ვიქტორ ჰიუგო

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი



ვიქტორ ჰიუგო

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

ფრანგულიდან თარგმნა
შალვა პაპუაშვილმა

წინასიტყვა

ამ წიგნის ავტორმა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის დათვალიერებისას, ერთ-ერთი კოშკის ბნელ კუნჭულში, ქვის კედელზე შეამჩნია ხელით საკმაოდ ღრმად ამოკვეთილი, სიძველისგან გაშავებული ბერძნული ასომთავრული წარწერა - ANANKE[1], რომლის ფორმა და განლაგება გოტიკურ კალიგრაფიას მოგვაგონებს. ეს გვაფიქრებინებს, რომ ის ვიღაცას შუა საუკუნეებში უნდა დაეწერა. უფრო მეტად კი ავტორი ამ სიტყვის იდუმალმა, საბედისწერო აზრმა განაცვიფრა, ცდილობდა გამოეცნო, ვისმა ტანჯულმა სულმა არ ისურვა ამ ქვეყნიდან ისე წასულიყო, რომ უძველესი ტაძრის კედელზე დანაშაულისა თუ უბედური შემთხვევის კვალი არ დაეტოვებინა. მას შემდეგ ეს კედელი შეღებეს ან ჩამოფხიკეს და წარწერაც გაფერმკრთალდა. აგერ უკვე ორასი წელია ასე ეპყრობიან შუა საუკუნეების შესანიშნავ ეკლესიებს - მღვდელი ღებავს, ხუროთმოძღვარი ფხეკს, შემდეგ მოულოდნელად გამოჩნდება კიდევ სხვა და დაანგრევს კიდეც. და აი, გარდა მოკრძალებული მოგონებისა, რომელსაც წიგნის ავტორი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს უძღვნის, აღარაფერი შემორჩა არც მის კედელზე ამოკვეთილი იდუმალი სიტყვისგან და არც იმ უცნობი ბედისწერისგან, რასაც იგი ესოდენ სევდიანად გამოხატავდა. ადამიანი, რომელმაც ეს სიტყვა კედელზე დაწერა, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ხალხის მახსოვრობიდან წაიშალა, ტაძრის კედლიდან კი სიტყვაც თითქმის გაქრა. შეიძლება თვით ტაძარიც მალე აღიგავოს პირისგან მიწისა.

სწორედ ამ სიტყვამ შექმნა ეს წიგნი.

თებერვალი, 1831.

---

[1] *ბერძ. ანანკე - ბედისწერა;*

1.1. დიდი დარბაზი

სამასორმოცდარვა წელი, ექვსი თვე და ცხრამეტი დღე გავიდა მას შემდეგ რაც პარიზელები ზარების რეკვამ გააღვიძა. მათ ხმამ სამივე უბნის - სიტეს უნივერსიტეტისა და ქალაქის ჩრდილოეთ გალავნებს გუგუნით გადაუარა.

თუმცა ეს დღე - 1482 წლის 6 იანვარი - სულაც არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი, რომელზეც ისტორიას რაიმე მოგონება უნდა შემოენახა. ღირსშესანიშნავი არაფერი იყო იმაშიც, რამაც ზარები და პარიზის მოქალაქენი დილიდანვე აამოძრავა. ამ დღეს არც პიკარდიელთა ან ბურგუნდიელთა [1]იერიში ყოფილა, არც სტუდენტები ამბოხებულან ლაასში, არც „ჩვენი მაღალკეთილშობილება მეფე, მრისხანე მბრძანებელი“ მობრძანებულა, არც ქურდები ჩამოუხრჩვიათ სახალხოდ, არც ფერად-ფერად სამოსში გამოწყობილი, მორთულ-მოკაზმული რომელიმე ქვეყნის ელჩობა გამოჩენილა მოულოდნელად, რაც ხშირი იყო XV საუკუნეში. პარიზში ორიოდე დღის წინ ელჩების უკანასკნელი ჯგუფი ფლამანდიიდან ჩამოვიდა; მათ დავალებული ჰქონდათ ტახტის მემკვიდრე და მარგარიტა ფლამანდიელი[2] დაექორწინებინათ. ეს ძალიან არ მოსწონდა კარდინალ ბურბონელს[3], მაგრამ მეფისთვის რომ ეამებინა, იძულებული იყო თავაზიანად მიეღო ხეპრე ფლამანდიელი ბურგომისტრების ხროვა და „ფრიად მშვენიერი მორალიტეს, სახუმარო სატირისა და ფარსის“ წარმოდგენით გამასპინძლებოდა იმ დროს, როცა მისი სასახლის

---

[1] *პიკარდია და ბურგუნდია - საფრანგეთის უძველესი პროვინციები;*

[2] *მარგარიტა ფლანდრიელი (1482-1530) - მაქსიმილიან ავსტრიელის ასული, საფრანგეთის უფლისწულის, მომავალი მეფის - შარლ VIII-ის საცოლე.*

[3] *კარდინალი შარლ ბურბონელი (1437-1488), დიპლომატი და სამხედრო პირი, ლიონის არქიეპისკოპოსი და გრაფი.*

კარიბჭესთან საუცხოო ხალიჩებს შხაპუნა წვიმა ასველებდა. 16 იანვარი, რომელმაც „პარიზის მოსახლეობა აამოძრავა“, უხსოვარი დროიდან დაწესებული ნათლისღებისა და ქილიკების დღესასწაული იყო. ამ დღეს გრევის მოედანზე კოცონს ანთებდნენ, ბრაკის სამლოცველოსთან არყის ხეს რგავდნენ და მართლმსაჯულების სასახლეში მისტერიას თამაშობდნენ. ეს ამბავი უმაღლესი მოსამართლის გზირებმა ქალაქს წინა საღამოს, ბუკითა და ნაღარით აუწყეს. ისინი მეწამული ფერის სერთუკებში გამოწყობილიყვნენ და მკერდზე დიდი თეთრი ჯვრები ეკიდათ.

ხალხმა სახლები და დუქნები დაკეტა და დილიდანვე გუნდ-გუნდად გამოჩნდა. მცონარა პარიზელების უბრალო, საღი აზრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბრბოს უდიდესი ნაწილი დაიძრა კოცონისკენ, რომელიც სავსებით შეეფერებოდა წელიწადის ამ დროს, ნაწილი - მისტერიის საყურებლად გაეშურა, რომელიც კარგად დაცული და გადახურული მართლმსაჯულების სასახლის დიდ დარბაზში უნდა წარმოედგინათ და გასაყინად მიატოვა ბრაკის სამლოცველოსთან ახლადდარგული, საცოდავი არყის ხე.

ყველაზე მეტი ხალხი სწორედ მართლმსაჯულების სასახლისკენ მიმავალ ხეივნებს მიაწყდა. ფლამანდიელ ელჩობას განზრახული ჰქონდა, მისტერიის წარმოდგენას და ქილიკების პაპის არჩევას დასწრებოდა, რაც, ასევე, დიდ დარბაზში უნდა გამართულიყო.

იმ დღეს დარბაზში შეღწევა ადვილი როდი იყო. იმ დროს ის ყველაზე დიდ დახურულ ნაგებობად ითვლებოდა დედამიწაზე. ვინც ფანჯრიდან გაიხედავდა, მართლმსაჯულების სასახლის წინ ხალხით გაჭედილი მოედანი მღელვარე ზღვად წარმოუდგებოდა, რომლისკენაც ხუთი თუ ექვსი ქუჩა ყოველ წუთს ადამიანთა ახალ-ახალ ტალღას ერეკებოდა. მართლმსაჯულების სასახლის მაღალი გოტიკური ფასადის ცენტრში, დიდ კიბეზე ორ ნაკადად უწყვეტად ადიოდ-

ჩადიოდა ხალხი, რომელიც შუა ბაქანს ქვემოთ ორ გვერდით ჩასასვლელთან იყოფოდა და უზარმაზარი კიბით მოედნისკენ ეშვებოდა. ყვირილ-სიცილი და ათასობით ფეხის ბრაგაბრუგი და ლაპარაკი საშინელ ხმაურსა და ღრიანცელს ქმნიდა. დროდადრო ღრიანცელი ერთიორად ძლიერდებოდა, ხალხის დინება უცბად შეტბორდებოდა, აირ-დაირეოდა და მორევივით ტრიალებდა. მიზეზი ქალაქის სამხედრო პოლიციის სერჟანტი იყო, რომელიც წესრიგის დასამყარებლად ხალხში ცხენით იკვლევდა გზას; ეს საუცხოო ტრადიცია ქალაქის უფროსებმა უანდერძეს კონეტაბლებს, კონეტაბლებმა - ცხენოსან პოლიციელ გუშაგებს, ხოლო პოლიციის ცხენოსანმა გუშაგებმა - პარიზის ახლანდელ ჟანდარმერიას. კარში, ფანჯრებზე, სახურავებზე - ყველგან ირეოდა ხალხის მშვიდი, უშფოთველ-უზრუნველი და სათნო სახეები. ისინი უყურებდნენ სასახლეს, აჩოჩქოლებულ ბრბოს და მეტი არც არაფერი უნდოდათ, რადგან პარიზში ცნობისმოყვარეობის საგანი შეიძლება გახდეს თვით კედელიც კი, რომლის უკან რაღაც ხდება.

1830 წელს მცხოვრებნი წარმოდგენით მაინც რომ გავერიოთ XV საუკუნის პარიზელებში და მათთან ერთად კისრისტეხით შევიდეთ სასახლის უზარმაზარ დარბაზში, რომელიც 1482 წლის 6 იანვარს ესოდენ ვიწრო ჩანდა, თვალწინ საინტერესო სანახაობა გადაგვეშლებოდა. უწინარეს ყოვლისა, ყურს გამოგიჭედავდათ საშინელი გუგუნი და თვალს მოგჭრიდათ ბრწყინვალება. დაინახავდით მოჩუქურთმებულ, ლაჟვარდისფრად მოხატულ, ოქროს შროშანებით მორთულ ორმაგ სრულ თაღს, ფეხქვეშ - მარმარილოს თეთრი და შავი ფილების იატაკს და რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით აღმართულ უზარმაზარ სვეტს. დარბაზის გასწვრივ შეამჩნევდით შვიდ დედაბოძს, რომელსაც ორმაგი კამარა ეყრდნობოდა და კარებს, სარკმლებსა და სვეტებს შორის საფრანგეთის მეფეთა ქანდაკებების

უსასრულო რიგს. მაღალ ფანჯრებში ათასფერი შუშა ბრწყინავდა, დარბაზის ფართო გასასვლელებში კი - მდიდრული, ნატიფი ჩუქურთმებით მორთული კარი; ყველაფერი - კამარა, სვეტები, კედლები, სარკმელები, ქანდაკებები - მაღლიდან ძირამდე ცისფერსა და ოქროსფერს დაეფარა, რომელიც იმ დროს უკვე გაუფერულებულიყო და მტვრისა და აბლაბუდისგან თითქმის გამქრალიყო.

წარმოიდგინეთ იანვრის დღის მკრთალი შუქით განათებული უზარმაზარი მოგრძო დარბაზი, სავსე ჭრელი, ახმაურებული ბრბოთი, რომელიც კედლების გასწვრივ, შვიდი სვეტის ირგვლივ ბრუნავდა და თვალწინ დაგიდგებათ სურათი, რომლის საყურადღებო მხარის ზუსტად გადმოცემასაც შევეცდებით.

რავაიაკს[1] ჰენრი IV რომ არ მოეკლა, უდავოა, არც ის დოკუმენტები იარსებებდა, მართლმსაჯულების სასახლის კანცელარიაში რავაიაკის საქმეზე რომ ინახებოდა; არ იარსებებდნენ დოკუმენტების გაქრობით დაინტერესებული რავაიაკის თანამოაზრენიც, რომლებიც იძულებული გახდნენ, მართლმსაჯულების სასახლისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ. ასე რომ, 1618 წელს ხანძარიც არ გაჩნდებოდა. ყოველივე ეს იმ ჭეშმარიტებას ამტკიცებს, რომ დიდ მოვლენებს ყოველთვის დიდი შედეგები მოჰყვება.

შესაძლოა, რავაიაკის თანამოაზრენი არც მონაწილეობდნენ 1618 წლის ხანძრის გაჩენაში. არსებობს კიდევ ორი სხვა, ერთობ სარწმუნო ცნობა: პირველი, როგორც ცნობილია, 7 მარტს, ნაშუაღამევს მართლმსაჯულების სასახლეს ციდან ჩამოვარდნილი ვეებერთელა ანთებული ვარსკვლავი დაეცა; მეორეც, არსებობს თეოფილეს[2] ოთხტაეპიანი ლექსი: რა სავალალო ამბავი მოხდა, როცა

---

[1] *რავაიაკ, ფრანსუა (1578-1610) - იეზუიტი, ჰენრიხ IV-ის მკვლელი.*

[2] *თეოფილე ვიო - ფრანგი პოეტი (XVIIს.).*

სამართლის თავად ქალღმერთმა, თაფლაკვერით და ქრთამით რომ გაძღა, პარიზში თავის სასახლე დაწვა.

თუმცა, რაც უნდა ვიფიქროთ ამ სამგვარ - პოლიტიკურ, ფიზიკურ და პოეტურ ახსნაზე, 1618 წელს, სამწუხაროდ, მართლმსაჯულების სასახლეში ხანძარი ნამდვილად გაჩნდა. ამ კატასტროფის გამო, განსაკუთრებით კი მომდევნო რესტავრაციების წყალობით, რომელთაც ბოლო მოუღეს იმასაც, რაც ცეცხლს გადაურჩა, საფრანგეთის მეფეთა პირველი სასახლიდან ძალიან ცოტა რამ დარჩა; იგი უფრო ძველი იყო, ვიდრე ლუვრი. იმდენად ძველი, რომ ჯერ კიდევ ფილიპე მშვენიერის[1] დროს ეძებდნენ მასში იმ დიდებულ ნაგებობათა კვალს, რომლებიც მეფე რობერტმა აღმართა და ჰელგალდუსმა აღწერა[2].

თითქმის ყველაფერი გაქრა. რა უქნეს კანცელარიის იმ ოთახს, სადაც წმ. ლუიმ „დაამთავრა ქორწინება[3]? სად არის ბაღი, სადაც იგი „კამელოტის მუნდირით, ნოხზე წამოწოლილი, სამართალს ქმნიდა ჟუანვილთან[4] ერთად?“ სად არის იმპერატორ სიგიზმუნდის ოთახი[5]? შარლ IV-ის[6]? იოანე უმიწაწყლოსი[7]? სად არის კიბე, საიდანაც შარლ VI-ემ[8] თავისი მოწყალების ედიქტი გამოაცხადა? რა იქნა ჭიშკარი, სადაც ანტიპაპ ბენედიქტეს[9] სიგელები დახიეს და მერე იძულებულ-

---

[1] *საფრანგეთის მეფე 1285-1314 წლებში.*

[2] *მეფის მრჩეველი, ისტორიკოსი.*

[3] *ლუი IX - საფრანგეთის მეფე (1226-1270). 1234 წელს ცოლად შეირთო გრაფის ასული მარგარიტა. იგი მცირეწლოვანი იყო და ქორწინება იურიდიულად წლების შემდეგ გააფორმა.*

[4] *ლუი IX-სთან დაახლოებული პირი.*

[5] *იმპერატორი (1361, 1410-37).*

[6] *საფრ. მეფე (1346-78, 1316).*

[7] *ინგლისის მეფე (1167-1216).*

[8] *საფრ. მეფე (1685-1740).*

[9] *ბენედიქტ XIII (1394-1417) კათოლიკური ეკლესიის განხეთქილების დროს რომის პაპის მოწინააღმდეგეების მიერ არჩეული ანტიპაპი.*

ნი გახდნენ საქვეყნოდ მოენანიებინათ? სადაა დიდი დარბაზი, ოქროს ვარაყით, ლაჟვარდოვანი ფერებით, ისრული კამერებით, ქანდაკებებით, სვეტებით, მთლიანად მოჩუქურთმებული უზარმაზარი თაღი? სადაა ოქროთი შემკული ოთახი, დიდებული კარი, საუცხოო მაღალი ფანჯრები ფერადი შუშებით? სად გაქრა დიუ ჰანცის დახვეწილი და ფაქიზი სადურგლო ხელოვნება?.. რა უქნა დრომ, რა უქნეს ადამიანებმა ამ საოცრებებს? და რა მივიღეთ გალიის ისტორიის, გოტიკური ხელოვნების სანაცვლოდ? ალბათ, მუსიე დე ბროსე[1], სენ-ჟერვეს მთავარკარის მოუქნელი, ხელმარცხიანი ამშენებლის მძიმე, ნახევრად მრგვალი, დაბალი თაღები და ისტორიის მაგიერ მთავარი სვეტის გამო სიტყვამრავალი მოგონებანი, დღემდე რომ ჭორების სახით გვესმის. დავუბრუნდეთ ნამდვილი ძველი სასახლის ნამდვილ დიდ დარბაზს.

ამ გიგანტური ოთხკუთხედის ერთი კიდე ეჭირა ცნობილ მარმარილოს ფილას, რომელიც ისეთი გრძელი, ფართო და არნახული სისქისა იყო, რომ, როგორც ძველი ჩანაწერები მოგვითხრობენ, შეეძლო მადა აღეძრა გარგანტუასთვის, რადგან „მარმარილოს ამხელა ნაჭერს დედამიწაზე ვერსად მოძებნიდა;“ მეორე ბოლო ეკავა სამლოცველოს, სადაც ლუი XI-მ დაადგმევინა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წინაშე მუხლმოდრეკილი თავისი ქანდაკება და აქ გადმოატანინა კარლოს დიდისა[2] და წმ. ლუდოვიკოს ძეგლები, რომლებსაც საფრანგეთის მეფეთა შორის ზეცაში ყველაზე მეტი გავლენა ჰქონდათ. საუცხოო სკულპტურული სამკაულებით მორთული სამლოცველო ფაქიზი, მშვენიერი ხუროთმოძღვრული გემოვნებით იყო აგებული, მისი დახვეწილი ჩუქურთმები ამთავრებს

---

[1] *დე ბროსე, ჟაკ - ფრანგი არქიტექტორი.*

[2] *768 წლიდან ფრანკთა მეფე კაროლინგთა დინასტიიდან (742-814), 800 წლიდან რომის იმპერატორი.*

გოტიკურ ერას და XVI საუკუნის შუა წლებამდე, აღორძინების ეპოქის ჯადოსნურ ფანტაზიებში გრძელდება. ფაქიზი ხელოვნებით შესრულებული, სინატიფითა და სინარნარით თავისებურ შედევრს წარმოადგენდა მთავარი შესასვლელის ზემოთ გაჭრილი პატარა მრგვალი სარკმელი, რომელიც მაქმანებიან ვარსკვლავს წააგავდა.

დარბაზის შუაგულში, მთავარი შესასვლელის პირდაპირ კედელთან ოქროქსოვილით გადაკრული ტრიბუნა იყო, რომელიც მისტერიაზე მიწვეული ფლამანდიელი ელჩებისა და სხვა წარჩინებული პირებისთვის საგანგებოდ აღემართათ.

მარმარილოს ფილაზე, რომელიც გადამწერთა ფეხსაცმლის ქუსლებს მთლად დაეკაწრა, ტრადიციის თანახმად, მისტერია უნდა წარმოედგინათ. მასზე აღმართული იყო ხის საკმაოდ მაღალი, გადახურული ხარაჩოები. მას გარედან ჰქონდა უბრალოდ მიდგმული, დაქანებულსაფეხურებიანი კიბე, რომელიც სცენასა და მსახიობთა გასახდელ ოთახს აკავშირებდა. უეცრად უნდა გამოჩენილიყო რომელიმე მოქმედი პირი თუ მოულოდნელი სცენური ეფექტი უნდა შეექმნა, მსახიობი ამ საფეხურებზე ცოცვას მაინც ვერ ასცდებოდა. ჰოი, უმანკო და ღირსეულო ყრმობავ ხელოვნებისა და მექანიკისა!

მარმარილოს ფილის ოთხივე კუთხეში მთავარი მოსამართლის ოთხი მოხელე იდგა. ისინი ვალდებულნი იყვნენ ხალხისთვის თვალ-ყური ედევნებინათ დღესასწაულების და სიკვდილით დასჯის დღეებში.

წარმოდგენა შუადღისას, მაშინ უნდა დაწყებულიყო, როცა სასახლის დიდი საათი თორმეტჯერ დარეკავდა. რასაკვირველია, თეატრალური წარმოდგენისთვის საკმაოდ გვიანი იყო, მაგრამ ეს დრო ელჩებს აწყობდათ. ხალხის ტალღა მართლმსაჯულების სასახლეს უკვე დილიდან აწყდებოდა. ცნობისმოყვარეთა პატიოსანი ნაწილი უკვე სისხამ დილიდან იყინებოდა სასახლის კიბეების წინ; დარბაზში

პირველები რომ შესულიყვნენ, ზოგი იმასაც ამტკიცებდა, მთელი ღამე აქ გავათენეო; ბრბო ყოველ წუთს სულ უფრო იზრდებოდა და აზვირთებული მდინარესავით აწყდებოდა კედლებს, სვეტების ირგვლივ ბობოქრობდა და მოაჯირებს, ფანჯრის რაფებს, არქიტექტურულ შვერილებსა თუ ყველა ამობურცულ სკულპტურულ სამკაულს ეფინებოდა. ლოდინით გასავათებულ, სულშეხუთულ და ჩაჭედილ ხალხში, კარგა ხნით ადრე, ვიდრე ელჩები მოვიდოდნენ, ყოველი მხრიდან გაისმოდა ჩივილი და წყევლა- კრულვა ფლამანდიელების, ვაჭართა უხუცესის, კარდინალ ბურბონელის, სასახლის მოსამართლის, მადამ მარგარიტა ავსტრიელის, წკეპლებიანი მოხელეების, სიცივის, ავდრის, პარიზის ეპისკოპოსის, ქილიკთა პაპის, სვეტების, ძეგლების მისამართით; ბუნებრივია, ამ დროს თავხედობას, ურცხვობასა და სიგიჟეს დიდი გასაქანი ეძლეოდა - სივიწროვის, მოუთმენლობის, ჩხუბისა და ძიძგილაობის გამო, რომელიც ყოველ წვრილმანზე ატყდებოდა ხოლმე; ყოველივე ეს მეტად ართობდა მასაში გაფანტულ სტუდენტებსა და მსახურებს, რომლებიც უკმაყოფილებას გესლიანი ნაკვესებით, დაცინვით აღვივებდნენ და საყოველთაო ცუდ განწყობას კიდევ უფრო აძლიერებდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა მხიარული სტუდენტების ერთი ჯგუფი, რომელთაც ფანჯრის მინები ჩაემსხვრიათ, სარკმელებსა და მოაჯირებზე თამამად ჩამომსხდარიყვნენ, ხუმრობდნენ, ოხუნჯობდნენ და დარბაზში თუ მოედანზე მყოფ ხალხს დასცინოდნენ. მათი დამცინავი წაბაძვანი, გამაყრუებელი ხარხარი, გამქირდავი გადაძახილ-გადმოძახილი დარბაზის ერთი კუთხიდან მეორეში, მოწმობდა, რომ ისინი სულაც არ იზიარებდნენ აქ მყოფთა მოწყენილობასა და დაღლილობას; თვალწინ გადაშლილი სანახაობა მეტად სიამოვნებდათ და წარმოდგენის დაწყებას მოთმინებით ელოდნენ.

- სულსა ვფიცავ, ეს თქვენა ხართ, ჟან ფროლო დე მოლენდინო! - უყვირა ერთმა მათგანმა ქერათმიან, ლამაზი და ცბიერი სახის ონავარ ყმაწვილს, რომელიც სვეტის აკანთოზე ჩამოკიდებულიყო, - ტყუილად ხომ არ შეგარქვეს ქარწისქვილა, რადგან ხელ-ფეხი ქარის წისქვილის ოთხ ფრთას მიგიგავთ. დიდი ხანია, აქ ხართ?

- ეშმაკის წყალობით, აგერ უკვე ოთხ საათზე მეტია, - უპასუხა ჟან ფროლომ, - იმედი მაქვს, ამას სალხინებელში ჩამითვლიან; წმინდა სალოცავში მოვისმინე, როგორ დაიწყო სიცილიელთა მეფის რვა მგალობელმა შვიდ საათზე დილის წირვის პირველი გალობა. - მშვენიერი მგალობლები კი არიან, - უპასუხა მეორემ, - ხმა გაცილებით წვრილი აქვთ, ვიდრე მათივე ჩაჩის წვეტი; მაგრამ, მუსიე, წირვამდე მეფეს უნდა შეატყო, ეამება თუ არა ლათინური ფსალმუნების პროვანსული კილოთი მოსმენა.

- წირვა იმისთვის მოიგონა, სიცილიელი მეფის ამ შეჩვენებული მგალობლებისთვის გასამრჯელოს შოვნის საშუალება რომ მიეცა! - გაკაპასებით წამოიყვირა ვიღაც ბებერმა დედაკაცმა ფანჯრებქვეშ თავმოყრილ ხალხში, - მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, სად გაგონილა! ათასი პარიზული ლივრი ერთ წირვაში! ისიც საიჯარო გადასახადიდან, რომელსაც პარიზის დახურულ ბაზრებზე თევზის გამყიდველებისგან იღებენ.

- გაჩუმდი, ბებერო! - ჩაერია ლაპარაკში ვიღაც დარბაისელი ზორბა კაცი, რომელიც ცხვირზე ხელს იჭერდა, აქაოდა თევზით მოვაჭრის გვერდით ვდგავარო, - წირვის შესრულება საჭირო იყო. რაო, თქვენ გინდათ, რომ მეფე ისევ ავად გახდეს? - მოსწრებული ნათქვამია, მუსიე ჟილ ლეკორნიუ, მეფის კარის ჭონო[1]! - უყვირა სვეტისთავს ჩაბღაუჭებულმა დაბალმა სტუდენტმა.

---

[1] *ძვ. ტანსაცმლის მკერავი.*

სტუდენტები სამეფო კარის საცოდავი ჭონის სახელის ხსენებას გამაყრუებელი ხარხარით შეხვდნენ.

- ლეკონიუ! ჟილ ლეკონიუ! - გაიძახოდნენ ერთნი.

- Cornitus et hirsutus[1]! - ბანს აძლევდნენ მეორენი.

- ეი! - განაგრძო სვეტისთავზე ჩამომჯდარმა ბიჭმა, - რას ხარხარებენ? უეჭველია ეს პატივცემული ჟილ ლეკორნიუ, მუსიე ჟან ლეკონიუს ძმაა, მეფის სასახლის მოსამართლისა, ძე მეტრ მაიე ლეკონიუსი, ვენსენის ტყის მთავარი მცველისა; ისინი პარიზის მოქალაქენი არიან და მამაც და შვილებიც ყველა ცოლიანია.

მხიარულებამ ერთიორად იმატა. სქელი ჭონი ამაოდ ცდილობდა უსიტყვოდ დამალვოდა მისკენ მიმართულ მზერას, ხვნეშოდა და სიმწრის ოფლში იწურებოდა; ხეში ჩარჭობილი სოლივით გაჭედილიყო და, რაც მეტად ცდილობდა ხალხისთვის თავი დაეღწია, მით უფრო იჭედებოდა და ფართო, დარდისა და გულისწყრომისგან წამოჭარხლებულ სახეს ძლივს აფარებდა მეზობელთა მხარ- ბეჭს. ბოლოს ასევე სქელი, დაბალ-დაბალი, ჩასკვნილი და დარბაისელი კაცი გამოესარჩლა: - რა სისაძაგლეა! როგორ ბედავენ სტუდენტები ასე აბუჩად აიგდონ პატივცემული მოქალაქე! ჩემს დროს ამისთვის გაწკეპლავდნენ და ამავე წკეპლებისგან დანთებულ კოცონზე დაწვავდნენ. ბრბომ გადაიხარხარა.

- ეი, შენ! ვინ ლაყბობს მანდ? ეს რომელი უბედური ჭოტია?

- მოიცა, მე ვიცნობ. - თქვა ერთმა, - ეს მეტრ ანდრი მუსნიეა. - ის უნივერსიტეტის ოთხ ნაფიც წიგნით მოვაჭრეთაგან ერთ-ერთი გახლავთ! - თქვა მეორემ. - ამ დუქანში ყველაფერი ოთხ-ოთხია[2]! - იყ-

---

[1] *რქიანი და ბანჯგვლიანი (ლათ.).*

[2] *შუა საუკუნეებში პარიზის უნივერსიტეტში 4 ფაკულტეტი იყო (ღვთისმეტყველება, იურისპრუდენცია, მედიცინა და ხელოვნება), რომელიც 4 ეროვნული ჯგუფისგან შედგებოდა: ფრანგული, პიკარდიული, ნორმანდიული და ინგლისური.*

ვირა მესამემ, - ოთხი ნაცია, ოთხი ფაკულტეტი, ოთხი დღესასწაული, ოთხი ეკონომი, ოთხი მზრუნველ-ამომრჩეველი და ოთხი წიგნით მოვაჭრე. - საუცხოოა! - წამოიძახა ჟან ფროლომ, - მით უფრო საჭიროა ოთხმაგი ხმაური მივაგებოთ. - მუსნიე, წიგნებს დაგიწვავთ!

- მუსნიე, ლაქიას მიგიტყეპავთ!

- მუსნიე, გვერდებს დავუზელთ შენს ცოლს!

- რა მშვენიერი, ჩასუქებული დედაკაცია მადამ უდარდელი!

- მერე და, რა ქორფა და მხიარულია, თითქოს უკვე დაქვრივებულიყოს! - ეშმაკსაც წაუღიხართ! - დაიბღავლა მეტრ ანდრი მუსნიემ.

- გაჩუმდი, მეტრ ანდრი, - უყვირა ჟანმა, რომელიც ისევ სვეტისთავზე ეკიდა, - თორემ თავზე დაგეცემი!

მეტრ ანდრიმ მაღლა აიხედა, თითქოს ერთხანს ზომავდა სვეტის სიმაღლესა და ავარას წონას; გონებაში მისი სიმძიმე სიჩქარის კვადრატზე გაამრავლა და გაჩუმდა. ამ პაექრობაში გამარჯვებულმა ჟანმა ნიშნის მოგებით და საზეიმოდ წარმოთქვა: - სწორედ ასე მოვიქცეოდი, მიუხედავად იმისა, რომ არქიდიაკონის ძმა გახლავართ! - ძვირფასებო, უნივერსიტეტის უფროსობამ დღესაც კი არაფრით აღნიშნა ჩვენი პრივილეგიები! ქალაქში არყის ხე დარგეს; აქ, სიტეში - მისტერიაა, ქილიკების პაპის არჩევა და ფლამანდიელი ელჩები; ჩვენთან, უნივერსიტეტში კი - არაფერი! - ამავე დროს, მობერის მოედანი საკმაოდ დიდია! - თქვა ფანჯრის რაფაზე მოკალათებულმა ყმაწვილმა.

- ძირს რექტორი, მზრუნველ-ამომრჩევლები და ეკონომები! - იყვირა ჟანმა. - ამ საღამოს მეტრ ანდრის წიგნებით შანგაიარში კოცონი უნდა დაგვენთო, - განაგრძო მეორემ. - აგრეთვე გადამწერთა საწიგნეებით! - თქვა მის გვერდით მდგომმა. - ზედამხედველების ხელჯოხებით!

- დეკანების საფურთხებლებით!

- ეკონომების კარადებით!

- მზრუნველ-ამომრჩეველთა კიდობნებით!

- და რექტორის სკამით!

- ძირს! - არაბუნებრივი ბოხი ხმით დაიქუხა ჟანმა: - ძირს მეტრ ანდრი, ზედამხედველები, გადამწერები, ღვთისმეტყველები, მედიკები, მეკანონენი, ეკო ~ნომები, მზრუნველები, ამომრჩევლები და რექტორი!

- სწორედ მეორედ მოსვლაა, ნამდვილად ქვეყნის აღსასრული დგება, - ბურტყუნებდა მეტრ ანდრი და ყურებში თითებს იცობდა.

- აი, ხსენებაზე რექტორიც გამოჩნდა! აგერ ის, მოედანზე რომ გადადის, - იყვირა ფანჯრის რაფაზე მსხდომთაგან ერთ-ერთმა.

ვისაც შეეძლო, ყველამ ფანჯრისკენ იბრუნა პირი.

- ნუთუ ეს მართლაც ჩვენი ღრმად პატივცემული რექტორი, მეტრ ტიბოა? - იკითხა ჟან ფროლომ, რომელიც ერთ-ერთ შიდა სვეტზე ჩამოკიდებულიყო და ვერ ხედავდა, რა ხდებოდა გარეთ. - დიახ, დიახ, - უპასუხეს დანარჩენებმა. - სწორედ ის გახლავთ, მეტრ ტიბო, რექტორი! მართლაც, რექტორი და უნივერსიტეტის ყველა დიდმოხელე ელჩების შესახვედრად საზეიმო პროცესიით მიდიოდა. სტუდენტები მათ გესლიანი დაცინვითა და ირონიული ტაშისცემით ეგებებოდნენ. დაცინვათა პირველი მძაფრი გრიგალი თავს დაატყდა რექტორს, რომელიც პროცესიას მიუძღოდა.

- გამარჯობა, მუსიე რექტორო! ეი, შენ, გამარჯობა-მეთქი!

- როგორ მოხვდა აქ ეს ძველი ყომარბაზი? როგორ დათმო თავისი კამათლები? - ერთი შეხედეთ, როგორ მიძუნძულებს თავისი ჯორით! ერთი შეხედეთ, რექტორს უფრო გრძელი ყურები აქვს, ვიდრე ჯორს!

- ეი, შენ! გამარჯობა, მუსიე რექტორო ტიბო! ბებერო ჩერჩეტო! ძველო ყომარბაზო! - ღმერთი გფარავდეთ! წუხელ ხშირად მოგდიოდათ დუშაში?!

- ერთი შეხედეთ, რა მიხრწნილი, ტყვიისფერი, ჩამომჭკნარი და მოთენთილი სიფათი აქვს. ეს სულ ყომარბაზობის შედეგია.

- საით მიცუნცულებთ, ტიბო, ზურგი რომ შეგიქცევია უნივერსიტეტისთვის, რომელი ქალაქისკენ მიბრძანდებით?

- ის უთუოდ თავშესაფრის საძებნელად მიდის ტიბოტოდეს ქუჩაზე, - იყვირა ჟანმა. სტუდენტებმა ჭექა-ქუხილივით დააყარეს სიცილ-ხარხარი და ტაშის გრიალში ხუმრობა გაიმეორეს.

- თქვენ, ალბათ, ბინის საძებნელად მიბრძანდებით ტიბოტოდეს ქუჩაზე, განა არა, მუსიე რექტორო, ეშმაკის მოზიარევ?

ახლა იერიში უნივერსიტეტის სხვა მოხელეებზე მიიტანეს.

- ძირს უმცროსი მოხელეები! ძირს ხელჯოხიანები!

- ერთი მითხარი, რობერ პუსპენ, ის ვინღაა?

- ეგ ჟილბერ სიუია, ოტენის კოლეჯის ხაზინადარი.

- მოიცა, აი, ჩემი ფეხსაცმელი. შენ მანდ უფრო მოხერხებულად ხარ, მიდი, მოადე სიფათში. - Saturnatias mittimus ecce nuces[1]...

- ძირს ექვსი ღვთისმეტყველი თავიანთი ანაფორით!..

- განა ისინი ღვთისმეტყველნი არიან? მე კი მეგონა, ის ექვსი თეთრი ბატი იყო, წმიდა ჟენევიევამ ქალაქს როონის მამულებისთვის რომ შესწირა.

- ძირს მედიკები!

- ძირს დისპუტები ძირითად და ნებაყოფლობით არჩეულ თემებზე! - თავში მოგახლიდი ჩემს ქუდს, წმიდა ჟენევიევას ხაზინადარო! შენ მე გამაცურე! - ეს სრული ჭეშმარიტებაა! მან ნორმანდიის სათ-

[1] *ესეც შენ, საზეიმო ხოშკაკალა! (ლათ.).*

ვისტომოში ჩემი ადგილი პატარა ასკანიო ფალზასპადას მისცა, ბურჟის პროვინციიდან, აქაოდა იტალიელიაო! - ეს უსამართლობაა! - თქვეს სტუდენტებმა, - ძირს წმიდა ჟენევიევას ხაზინადარი! - ეშმაკსაც წაუღია გერმანული სათვისტომოს მზრუნველი!

- და სენტ-შაპელის კაპელანებიც თავიანთი რუხი ბეწვის სამოსელით! - Seu de pellibus grisis fourrtis[1]...

- ოო, შეხედე, თავისუფალი ხელოვნების მაგისტრები! აი, ისინი... წითელი და შავი ლამაზი მანტიებით!

- რექტორს უკან კარგა დიდი კუდი მოსთრევს!

- თითქოს ვენეციელი დოჯი მიდიოდეს ზღვასთან საქორწინოდ.

- შეხედე, ჟან, იქ წმიდა ჟენევიევას კანონიკები არიან!

- ეშმაკსაც წაუღია კანონიკები!

- აბატო კლოდ შოარ! დოქტორო კლოდ შოარ!

- ვის ეძებთ! მარია ჟივარდს ხომ არა?

- ის გლატინის ქუჩაზე ცხოვრობს.

- ის ლოგინს უშლის გარყვნილების მეფეს.

- ის იხდის თავის ოთხ დინარს.

- aut unum bombum[2].

- თქვენ გნებავთ, რომ ყოველ ჯერზე გადაიხადოს?

- ბიჭებო, აგერ მეტრ სიმონ სანენი, პიკარდიის მეურვე-ამომრჩეველი, უკან ცოლი მოსჯდომია. - Post equitem sedet arta eura[3].

- უფრო გაბედულად, მეტრ სიმონ!

- გამარჯობა, მუსიე მეურვე!

- ღამე მშვიდობისა, მადამ მეურვის ცოლო!

---

[1] *ანუ რუხი ცხვრის ტყაპუჭებით.*

[2] *ანუ ერთ ცემა-ტყეპას.*

[3] *მხედარს თან სდევს პირქუში ზრუნვა (ლათ.).*

- რა ბედნიერი ხალხია, ისინი ყველაფერს ხედავენ! - ხმამაღლა ამოიოხრა ჟან დე მოლენდინომ, რომელიც სვეტისთავზე ისევ ჩუქურთმებს ებღაუჭებოდა. ამასობაში უნივერსიტეტის ნაფიცი, წიგნით მოვაჭრე მეტრ ანდრი მუსნიე დაიხარა და მეფის სასახლის ჭონს, მეტრ ჟილ ლეკონიუს ყურში წასჩურჩულა: _ - გარწმუნებთ, მუსიე, რომ ქვეყნის აღსასრული მოდის! სტუდენტთა ასეთი თავაშვებულობა არავის არასოდეს უნახავს. ამაში კი ჩვენი საუკუნის წყეული გამოგონებებია დამნაშავე, მათ წარწყმიდეს ყოველივე. ზარბაზნებიო, შაშხანებიო, საათებიო და, რაც მთავარია, წიგნის ბეჭდვა, ეს რაღაც ახალი გერმანული შავი ჭირი. აღარც ხელნაწერი თხზულებები. წიგნის ბეჭდვა წიგნით ვაჭრობას ახშობს. აღსასრულის დღე დგება.

- მართალია! ეს იქიდანაც ჩანს, რომ ხავერდით ვაჭრობა გაიფურჩქნა, - თქვა ბეწვეულით მოვაჭრე ჭონმა.

ამ დროს თორმეტმაც დარეკა.

- ჰ-ა-ა!.. ერთხმად წამოიძახა ბრბომ. სტუდენტები მიყუჩდნენ. შემდეგ ისევ ალიაქოთი და ღრიანცელი ატყდა. ფეხებს ამოძრავებდნენ, თავებს აქეთ-იქით აქნევდნენ, მოჰყვნენ ხველებასა და ცხვირის ხოცვას. ყველა ადგილზე მოთავსდა, მაღლა აიწია, შეჯგუფდა და სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ყველამ კისერი წაიგრძელა, პირი დააღო და თვალები მარმარილოს ფილას მიაპყრო. იქ ისევ სასამართლოს ოთხი მოხელე იდგა. ისინი თავიანთ ადგილებს უძრავად მიჰყინვოდნენ. ყველა ფლამანდიელი ელჩობისთვის განკუთვნილ ცარიელ ტრიბუნას მიაჩერდა. ეს ხალხი დილიდან სამ რამეს უცდიდა - შუადღეს, ფლამანდიის ელჩობასა და მისტერიას. თავის დროზე მხოლოდ შუადღე მოვიდა.

ეს კი უკვე მეტისმეტი იყო. უცადეს კიდევ ერთ წუთს, ორ, სამ, ხუთ... თხუთმეტ წუთს. არავინ გამოჩნდა. ტრიბუნა ცარიელი იყო,

სცენა - დამუნჯებული. ამასობაში მოუთმენლობას ხალხის რისხვა მოჰყვა. ირგვლივ აღშფოთების შეძახილები გაისმა. „მისტერია! მისტერია“ - ისმოდა ყრუ დრტვინვა. მღელვარება იზრდებოდა. მოსალოდნელი ქარიშხალი უკვე ბრბოს თავზე დაქროდა. პირველი ნაპერწკალი ხალხში ჟან ფროლომ გადაისროლა.

- მისტერია! ეშმაკსაც წაუღია ფლამანდიელები! - მთელი ძალღონით ყვიროდა და სვეტისთავს გველივით ეხვეოდა. ბრბო ტაშისცემით შეეგება.

- მისტერია! ეშმაკებსაც წაუღია ფლამანდიელები!

- ჩვენ გვინდა მისტერია, ახლავე, დაუყოვნებლივ! - გააგრძელა სტუდენტმა, - თორემ, ვგონებ, სასამართლო მოხელის ჩამოხრჩობა მოგვიხდება გასართობად და ჭკუის სასწავლებლად. - კარგად თქვა, - იყვირა ხალხმა, - ჯერ სასამართლოს მოხელეების ჩამოხრჩობით დავიწყოთ. ამას საშინელი ყიჟინა მოჰყვა. მოხელეები გაფითრდნენ, ერთმანეთს გადახედეს. ხალხის მასა მათკენ დაიძრა. ისინი ხედავდნენ, როგორ იღუნებოდა ხალხის მოწოლისგან ხის სუსტი მოაჯირი, რომელიც მათ მაყურებლისგან ჰყოფდა. კრიტიკული მომენტი იყო.

- ჩამოვახრჩოთ, ჩამოვახრჩოთ.. - ყვიროდნენ ყოველი მხრიდან. ამ დროს ტანსაცმლის გასახდელიდან გამოვიდა მამაკაცი, რომლის გამოჩენამ ხალხი წამსვე დააშოშმინა და თითქოს რაღაც გრძნეულებით, მათი მრისხანება ცნობისმოყვარეობით შეცვალა. - სიჩუმე! სიჩუმე! - ყვიროდნენ ყოველი მხრიდან.

მთელი სხეულით ათრთოლებული მამაკაცი გაუბედავად, სალამქალამითა და რევერანსებით მარმარილოს ფილის კიდისკენ გაემართა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე მისი რევერანსები მუხლმოდრეკას ემსაგვსებოდა. ამასობაში სიჩუმეც ჩამოვარდა. - ჩემო თანამოქალაქენო!

- თქვა მან, - დღეს ჩვენ პატივი გვაქვს, მისი ყოვლადუსამღვდელოესობის, მუსიე კარდინალის წინაშე წარმოვადგინოთ ფრიად მშვენიერი პიესა სახელწოდებით: „ყოვლადბრძნული სამსჯავრო ყოვლადწმიდისა ქალწულისა მარიამისა.“ მე შევასრულებ იუპიტერის როლს. მისი უსამღვდელოესობა ამჟამად თან ახლავს ავსტრიის პატივცემული ჰერცოგის ელჩებს, რომლებიც ოდნავ შეფერხდნენ, რადგან ისინი ბოდეს ჭიშკართან უნივერსიტეტის მუსიე რექტორის მისასალმებელ სიტყვას ისმენენ.

როგორც კი მისი ყოვლადუწმინდესობა, მუსიე კარდინალი მოვა, ჩვენც მაშინვე დავიწყებთ. იუპიტერი რომ არ ჩარეულიყო, უდავოა, სხვა ვერაფერი იხსნიდა სასამართლოს ოთხ უბედურ მოხელეს. გარდა ამისა, მუსიე იუპიტერს ძალიან ლამაზი ტანსაცმელი ეცვა და ბრბოს დაშოშმინებაში ამანაც თავისი წვლილი შეიტანა. იუპიტერს ტანზე ოქროქარგული, შავხავერდგადაკრული აბჯარი ეკეთა. თავზე ოქროცურვილი ვერცხლის ღილებით მორთული ორწვეტიანი ქუდი ეხურა. რომ არა სახის წითელი ფერი და ხშირი წვერი, ხელში რომ არ სჭეროდა მოოქრული მუყაოს გრაგნილი, ფეხებზე მოჭიმული რომ არ ჰქონოდა ბერძნულ ყაიდაზე დახვეული ხორცისფერი ქსოვილი, იუპიტერი თავისი მკაცრი შესახედაობით ძალიან ჰგავდა ბერის ჰერცოგის რაზმის ბრეტონელ მშვილდოსანს.

1.2. პიერ გრენგუარი

სანამ იუპიტერი სიტყვას ამბობდა, მისი კოსტიუმით გამოწვეული ერთსულოვანი კმაყოფილება და აღტაცება მისივე ნათქვამმა შთანთქა, როცა ავბედით დასასრულს მიაღწია: „როგორც კი მისი ყოვ-

ლადუსამღვდელოესობა კარდინალი მობრძანდება, დავიწყებთო,“ მისი ხმა სტვენამ და ყიჟინამ დაფარა.

- ახლავე დაიწყეთ! მისტერია! მისტერია დაუყოვნებლივ! - ყვიროდა ხალხი. საერთო ღრიანცელში მკვეთრად გამოირჩეოდა ჟან ფროლოს ხმა. - დაიწყეთ ახლავე! - გაჰკიოდა სტუდენტი. - ძირს იუპიტერი და კარდინალი ბურბონელი! - ღრიალებდნენრობენ პუსპენი და ფანჯრის რაფაზე მოკალათებული სტუდენტები.

- ახლავე წარმოდგენა! - იმეორებდა ბრბო, - ამ წუთს, დაუყოვნებლივ! თორემ მზად არის ტომარა და თოკი კომედიანტებისა და კარდინალისთვის!

თავზარდაცემულ, შეშინებულსა და გაფითრებულ, საბრალო იუპიტერს ჭექა ქუხილის სიმბოლო გაუვარდა და ქუდზე ხელი იტაცა; შემდეგ ხალხს თავი დაუკრა და შიშისგან აკანკალებულმა ბუტბუტი დაიწყო:

- მისი ყოვლადუსამღვდელოესობა... ელჩები... მადამ მარგარიტა ფლანდიელი... - აღარ იცოდა, რა ეთქვა. გულის სიღრმეში მართლაც შეეშინდა, იქნებ ჩამომახრჩონო. მას ბრბო ლოდინის გამო ჩამოახრჩობდა, კარდინალიც ჩამოახრჩობდა, თუ არ დაელოდებოდა. ორივე მხრიდან უფსკრულს, ანუ სახრჩობელას ხედავდა. საბედნიეროდ, ვიღაცამ იხსნა და თვითონ იკისრა პასუხისმგებლობა.

უცნობი მოჯირს იქით, მარმარილოს ფილასთან იდგა; აქამდე ის არავის მეუმჩნევია; აწოწილი და სიგამხდრისგან გალეული შეუძლებელია ვინმეს თვალში მოხვედროდა, რადგან მას მთლიანად ფარავდა უზარმაზარი ქვის სვეტი, რომელსაც მიყრდნობოდა; ფერმკრთალ, ქერა, ახალგაზრდა მამაკაცს ლოყები და შუბლი უკვე ნაოჭებით დაღარვოდა. ტანზე შავი, სიძველისგან გაპრიალებული სარჟის კამზოლი ეცვა; თვალებგაბრწყინებული, ღიმილით მიუახლოვდა მარმარილოს ფილას და საბრალო მსხვერპლს რაღაც ანიშ-

ნა, მაგრამ საგონებელში ჩავარდნილი და შეშინებული მსახიობი ვერაფერს ხედავდა.

ახალმოსულმა ნაბიჯი წინ გადადგა და თქვა:

- იუპიტერო, ჩემო ძვირფასო იუპიტერო! - მაგრამ იუპიტერს არაფერი ესმოდა. მოთმინებადაკარგულმა მაღალმა ქერა კაცმა თითქმის ყურში ჩასძახა: - მიშელ ჟიბორნ!

- ვინ მეძახის? - იკითხა იუპიტერმა, თითქოს უეცრად გააღვიძესო. - მე, - უპასუხა ქერა კაცმა.

- აა! - თქვა იუპიტერმა.

- დაიწყეთ ახლავე, - მიმართა კვლავ ქერამ. - დააკმაყოფილეთ ხალხი. მე ვკისრულობ მუსიე მოსამართლის დამშვიდებას, ხოლო იგი მუსიე კარდინალს დააშოშმინებს. იუპიტერმა შვებით ამოისუნთქა.

- ყოვლადმოწყალე ძვირფასო თანამოქალაქენო! - მთელი ძალღონით უყვირა მან ხალხს, რომელიც სტვენასა და ყიჟინას განაგრძობდა, - ჩვენ ახლავე დავიწყებთ. - Evoe, Juipiter! Plaudite, cives[1]!

- დიდება! დიდება! - შესძახა ხალხმა. გაისმა გამაყრუებელი ტაშისცემა. მას შემდეგაც კი, რაც იუპიტერი ფარდას მიეფარა, დარბაზი კვლავ ყიჟინისგან ზანზარებდა. ამასობაში უცნობმა პიროვნებამ, რომელმაც ჯადოსნური ძალით „ქარიშხალი“ სიწყნარით შეცვალა, სვეტის უკან მოკრძალებით დაიხია. უდავოა, ის კვლავ შეუმჩნეველი, უძრავი და დადუმებული დარჩებოდა, ორი ახალგაზრდა ქალი რომ არ გამოხმაურებოდა. ისინი მაყურებელთა პირველ რიგში ისხდნენ და მისი საუბარი მიშელ ჟიბორნ-იუპიტერთან შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. - მეტრ, - უთხრა ერთ-ერთმა მათგანმა და თან ანიშნა ახლოს მისულიყო. - ჩუმად, ძვირფასო ლენარდ, - უთხრა მეზო-

---

[1] *იზეიმე, იუპიტერო! ტაში დაუკარით, მოქალაქენო! (ევოე - ბახუსის ქურუმ ქალთა შეძახილი).*

ბელმა, საზეიმოდ გამოწყობილმა ლამაზმა ყმაწვილქალმა, - ის სასულიერო პირი როდია, საერო პირია და „მეტრ“ კი არა, „მუსიე“ უნდა უწოდო. - მუსიე, - უთხრა ლენარდმა. უცნობი მოაჯირს მიუახლოვდა.

- რა გნებავთ, მადმუაზელ? - ჰკითხა მან თავაზიანად.

- ოჰ! არაფერი! - უპასუხა დაბნეულმა ლიენარდმა, - ჩემს მეზობელ ჟისკეტ ლა ჟანსიენს უნდა რაღაც გითხრათ.

- არაფერიც, - უპასუხა გაწითლებულმა ჟისკეტმა, - ლიენარდმა თქვენ „მეტრ“ გიწოდათ; მე კი ვუთხარი, „მუსიე“ დაგიძახოთ.

ქალიშვილებმა თვალები დახარეს. უცნობი, რომელიც მზად იყო მათთან საუბარი გაება, ღიმილით შეჰყურებდა. - გოგონებო, მაშ, თქვენ არაფერი გაქვთ ჩემთვის სათქმელი?

- დიახ, სრულიად არაფერი, - უპასუხა ჟისკეტმა.

- არაფერი, - გაიმეორა ლიენარდმა.

მაღალმა, ახალგაზრდა ქერა კაცმა წასვლა დააპირა, მაგრამ ცნობისმოყვარე გოგონებს სულაც არ უნდოდათ, ნადავლი ხელიდან იოლად გაეშვათ.

- მუსიე, - მიმართა ჟისკეტმა მკვირცხლად, - მაშ, თქვენ იცნობთ იმ ჯარისკაცს, რომელიც ყოვლადწმიდა ქალწულის როლს ითამაშებს მისტერიაში?

- თქვენ გსურთ თქვათ, იუპიტერის როლს? - ჰკითხა უცნობმა.

- დიახ! - დაეთანხმა ლიენარდი, - ეს სულელია! მაშ, თქვენ იცნობთ იუპიტერს? - მიშელ ჟიბორნს? - უპასუხა უცნობმა, - დიახ, მადმუაზელ.

- რა მშვენიერი წვერი აქვს! - თქვა ლიენარდმა.

- კარგი იქნება ის, რასაც ისინი გვეტყვიან? - მორცხვად ჰკითხა ჟისკეტმა. - ძალიან კარგი, მადმუაზელ, - უპასუხა უცნობმა უყოყმანოდ. - რა იქნება ასეთი? - ჰკითხა ლიენარდმა.

- „მართალი სამსჯავრო ყოვლადწმიდა ქალწულისა მარიამისა.“ ეს მორალიტეა, მადმუაზელ. - ჰოო! ეს სულ სხვა რამეა, - თქვა ლიენარდმა. ხანმოკლე დუმილი მამაკაცმა დაარღვია. - ეს წარმოდგენა სრულიად ახალია და ჯერ არავის დაუდგამს.

- მაშ, ეს ის არ არის, - თქვა ჟისკეტმა, - ორი წლის წინ რომ წარმოადგინეს, მუსიე ლეგატის მობრძანების დღეს, - როდესაც ლამაზმა ასულმა განასახიერა... - სირენები, - სიტყვა მიაშველა ლიენარდმა.

- და სრულიად შიშვლები, - დაამატა ყმაწვილკაცმა.

ლიენარდმა მორცხვად დახარა თვალები. ჟისკეტმა შეხედა და ასევე მოიქცა. უცნობმა ღიმილით განაგრძო:

- ფრიად საინტერესო სანახაობა იყო. დღეს კი საგანგებოდ ფლანდიელი პრინცესას პატივსაცემად დაწერილ პიესას წარმოადგენენ.

- პასტორალებს იმღერებენ? - ჰკითხა ჟისკეტმა.

- ფუ! - თქვა უცნობმა, - მორალურ დრამაში საჭირო არ არის სხვადასხვა ჟანრის ერთმანეთში აღრევა. ეს რომ სახუმარო პიესა იყოს, მაშინ კი ბატონო.

- სამწუხაროა, - ჩაილაპარაკა ჟისკეტმა. - მაშინ პონსოს შადრევანთან ველურ კაცებსა და ქალებს განასახიერებდნენ, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ, ათასგვარ ილეთს აკეთებდნენ და თან პატარა არიებსა და ყველასთვის საყვარელ სიმღერებს მღეროდნენ. - ის, რაც პაპის ელჩობისთვის გამოდგება, არ შეეფერება პრინცესას, - საკმაოდ ცივად თქვა კაცმა.

- მათ ახლოს კი, - განაგრძო ლიენარდმა, - სასულე ინსტრუმენტებზე დიდებულ მელოდიებს ასრულებდნენ.

- და გამვლელები რომ გაგრილებულიყვნენ, - განაგრძო ჟისკეტმა, - შადრევნის სამი მილიდან ღვინო, რძე და ტკბილი სასმელი

გადმოსჩქეფდა. სვამდა ყველა, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა. - პონსოს შადრევნის ცოტა ქვემოთ, სამებასთან ახლოს კი, - განაგრძო ლიენარდმა, - უჩვენებდნენ პიესას - „ვნებანი უფლისანი."

- მშვენივრად მახსოვს! - შესძახა ჟისკეტმა, - ჯვარზე გაკრული ღმერთი... მარჯვნივ და მარცხნივ კი ორი ავაზაკი იდგა.

ქალები ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, გატაცებით იგონებდნენ მუსიე პაპის ელჩობის მობრძანებას.

- ცოტა მოშორებით, მხატვართა ჭიშკრის წინ კიდევ სხვები, ძალიან მდიდრულად ჩაცმულნი ისხდნენ.

- და წმიდა ინოკენტის შადრევნის ახლოს მონადირე ფურირემს ძაღლების ყეფით მისდევდა... - ხოლო პარიზის სასაკლაოსთან დიეპის ციხესიმაგრის ბუტაფორია იდგა. - გახსოვს, ჟისკეტ, როცა ელჩობამ ჩაიარა, ციხესიმაგრის იერიში განასახიერეს და ყველა ინგლისელს ყელი გამოსჭრეს.

- შატლეს ჭიშკართანაც დიდებულ ხალხს ნახავდით.

- ზარაფების ხიდზეც, რომელიც მთლიანად ნოხებით იყო მოფენილი. - და როდესაც ელჩობა გამოჩნდა, ხიდზე ორასზე მეტი სხვადასხვა ფრინველი ააფრინეს; რა მშვენიერი სანახავი იყო, ლიენარდ.

- დღეს ბევრად უკეთესი იქნება! - როგორც იქნა, სიტყვა ჩააგდო მათმა თანამოსაუბრემ, რომელიც მოუთმენლად ელოდა თავის ჯერს. - თქვენ გვპირდებით, რომ კარგი წარმოდგენა იქნება? - იკითხა ჟისკეტმა. - უეჭველად, - უპასუხა მან; შემდეგ კი ერთგვარი მედიდურობით დასძინა: - ქალიშვილებო, მე ამ პიესის ავტორი გახლავართ.

- მართლა? - ჰკითხეს გაკვირვებულმა ქალებმა.

- მართლა! - უპასუხა თავმომწონედ პოეტმა. - ესე იგი, ჩვენ ორნი ვართ; ჟეან მარშანი, რომელმაც პიესის დეკორაციებისთვის სადურგლო სამუშაოები შეასრულა და მე, რომელმაც ეს პიესა დავწერე.

- პიერ გრენგუარი გახლავართ. - თვით „სიდის“ ავტორიც კი ვერ იტყოდა ასე ამაყად: „მე პიერ კორნელი ვარ“ იუპიტერის ფარდის მიღმა გაუჩინარებიდან საკმაო დრო გავიდა. ამასობაში ახალი პიესის ავტორმა ისე მოულოდნელად გაამხილა თავისი ვინაობა, რომ ჟისკეტისა და ლიენარდის გულუბრყვილო აღტაცება გამოიწვია. საყურადღებო ფაქტია: ბრბო, რომელიც რამდენიმე წუთის წინ ასე შფოთავდა, ახლა, კომედიანტის სიტყვას ენდო და მშვიდად ელოდა წარმოდგენის დაწყებას, რაც ამტკიცებს სამარადისო ჭეშმარიტებას: თუ გინდათ ხალხი მოთმინებით ელოდოს, მაშინ უნდა უმტკიცო, ახლავე დავიწყებთო.

მაგრამ სტუდენტი ჟანი არ თვლემდა.

- ჰეი! იუპიტერო! წმინდაო ღვთისმშობელო! ეშმაკის პამპულებო! დაგვცინით თუ? პიესა! პიესა-მეთქი! დაიწყეთ, თორემ ისევ ჩვენ დაგასწრებთ!

ამაზე მეტი აღარც იყო საჭირო. ხის გადახურული კარკასიდან მუსიკალური ბგერები გაისმა, ფარდა გადაწიეს. იქიდან ჭრელ ტანსაცმელში გამოწყობილი და სახეშეთხუპნილი ოთხი მსახიობი გამოვიდა და თეატრის დაქანებული კიბით ზედა სცენაზე აფოფხდა. ისინი ერთ ხაზზე გამწკრივდნენ და მაყურებლებს მდაბლად დაუკრეს თავი. სიმფონია დადუმდა. მისტერია დაიწყო. ოთხმა მსახიობმა, მას შემდეგ, რაც მაყურებელმა რევერანსებისთვის ტაშით უხვად დააჯილდოვა, მოკრძალებული დუმილის დროს პროლოგიც დაიწყო. თუმცა, ხალხის ყურადღება ტანსაცმელმა უფრო მიიპყრო, ვიდრე მათმა შესრულებამ. ეს მართებულიც იყო. ოთხივეს სხვადასხვა ხარისხის ქსოვილის ნახევრად ყვითელი და ნახევრად თეთრი სამოსი

ეცვა - პირველს ფარჩის, მეორეს - აბრეშუმის, მესამეს - შალის, მეოთხეს - ტილოსი. პირველ მსახიობს მარჯვენა ხელში ხმალი ეჭირა, მეორეს - ორი ოქროს გასაღები, მესამეს - სასწორი, მეოთხეს - ნიჩაბი. ამ სიმბოლოების მნიშვნელობა ისედაც გასაგები იყო ზანტი გონების ადამიანისთვისაც კი, მაგრამ ფარჩის სამოსის კალთაზე შავი დიდი ასოებით მაინც ამოექარგათ: „მე ვარ აზნაურობა," აბრეშუმისაზე - „მე ვარ სამღვდელოება," შალისაზე - „მე ვარ ვაჭრობა," ხოლო ტილოსაზე - „მე ვარ გლეხი". მოკლე სამოსსა და წვეტიან ქუდებში გამოწყობილი ორი ალეგორიული ფიგურა მამრობით სქესს აღნიშნავდა, ხოლო ამდენივე, რომლებსაც უფრო გრძელი სამოსი და ჩაჩები ემოსათ - მდედრობითს. პროლოგის პოეტურ ენაში გლეხობა შეუღლებული იყო ვაჭრობასთან და სამღვდელოება - აზნაურობასთან, ორივე ბედნიერი წყვილი კი, ერთად ფლობდა დიდებულ ოქროს დოფინს, რომელიც ულამაზესი ქალისთვის უნდა მიეძღვნათ.

ისინი ამქვეყნად უმშვენიერესი ქალის საძებნელად გაემართნენ. ზედიზედ დაიწუნეს დედოფალი გოლკონდა, პრინცესა კომნინი, თათართა დიდი ხანის ასული და სხვები. ბოლოს დასასვენებლად მართლმსაჯულების სასახლის მარმარილოს ფილასთან მოვიდნენ და პატივცემული აუდიტორიის წინაშე მორალური სენტენციები თუ ნაკვესები წარმოთქვეს, რომლებსაც მაშინ საკმაოდ კარგად ასწავლიდნენ მჭევრმეტყველების ფაკულტეტზე, ითხოვდნენ გამოცდებზე, ლიცენციატის წოდების მისაღებად. ეს მართლაც საუცხოო რამ იყო.

მაგრამ ბრბოში, სადაც ოთხი ალეგორიული ფიგურა ზედიზედ აფრქვევდა მეტაფორების ნაკადს, არავინ უსმენდა ისეთი ყურადღებით, გულათრთოლებული, თვალაგზნებული, კისერწაწეული, როგორც ავტორი, პოეტი და ხელოვანი, სახელოვანი პიერ გრენგუარი.

მის გულში კვლავ ჟღერდა მაყურებლის ტაში პროლოგის დასაწყისში. ის მთლად ჭვრეტად და სმენად იყო ქცეული. ისეთი გატაცებით უსმენდა, როგორც ავტორი უგდებს ხოლმე ყურს, როდესაც მსახიობის ბაგეთაგან იფრქვევა მისი აზრები უზარმაზარ მდუმარე აუდიტორიაში. ო, ღირსეულო პიერ გრენგუარ!

სამწუხაროდ, პირველი აღტაცება მალე გაქრა. პიერ გრენგუარმა ის-ის იყო ტუჩებთან მიიტანა სიხარულისა და ზეიმის დამათრობელი ფიალა, რომ მასში უცებ სიმწრის წვეთი შეერია. ვიღაც ძონძებში გახვეულმა მათხოვარმა, რომელიც იმდენად ჩაჭედილიყო მრავალრიცხოვან ბრბოში, რომ საშუალება არ ჰქონდა მოწყალება ეთხოვა, ხალხის ყურადღება რომ მიეპყრო თვალსაჩინო ადგილზე წამოსკუპება მოინდომა. როგორც კი პროლოგი დაიწყო, ელჩობისთვის მომზადებული ტრიბუნის ირგვლივ შემოვლებულ მოაჯირზე აცოცდა და ჩამოჯდა; თითქოს უნდოდა სიბრალული გამოეწვია ძონძებითა და მარჯვენა მკლავზე საზიზღარი ჭრილობით, თუმცა ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

სანამ ჩუმად იყო, პროლოგი დაუბრკოლებლად გრძელდებოდა. არც წესრიგი დაირღვეოდა, სტუდენტ ჟანს მაღალი სვეტიდან რომ არ შეემჩნია მათხოვარი, რომელიც თვალთმაქცურად იმანჭებოდა. გიჟურმა სიცილმა აიტაცა ყმაწვილი - სულაც არ ენაღვლებოდა წარმოდგენა შეწყდებოდა თუ არა - და სიჩუმეში დაიყვირა:

- ჰეი! შეხედეთ ამ გაჭირვებულს, მოწყალებას რომ თხოულობს! ვისაც ბაყაყებით სავსე გუბეში ქვა გადაუგდია ან ფრინველთა გუნდისთვის თოფი უსვრია, იმის წარმოდგენა არ გაუჭირდება, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს უადგილო გამოხტომა იმ დროს, როცა ხალხი სმენად იყო ქცეული. გრენგუარი შეკრთა, თითქოს დენმა დაარტყაო. პროლოგი უცბად შეწყდა, ხმა ჩაკმინდა, ატყდა ჩოჩქოლი, ყველა მათხოვრისკენ შებრუნდა. მას სულაც არ შერცხვენია, პირი-

ქით, მარჯვე საბაბი იპოვა, რომ მოსავალი მოემკო. თვალები ნახევრად დახუჭა და საცოდავი სახით დაიწყო: - მოწყალება გაიღეთ, ღვთის გულისთვის!

- ღმერთო ჩემო! - განაგრძო ჟანმა, - სულსა ვფიცავ, ეს კლოპენ ტრუილფუა. ჰეი! მეგობარო, შენ ფეხზე გქონდა ჭრილობა და ახლა მკლავზე გადაგივიდა? - თქვა და წვრილი ვერცხლის ფული მარჯვედ ჩაუგდო ნაბდის გაქონილ ქუდში, რომელიც მას მტკივან ხელში ეჭირა. მათხოვარმა წარბშეუხრელად მიიღო მოწყალებაც, დაცინვაც და საბრალო ხმით განაგრძო: - გთხოვთ, გაიღოთ მოწყალება! - ამ შემთხვევამ მაყურებელი ძალიან გაართო. მათი უმრავლესობა ამ უცნაურ დუეტს მხიარულად უკრავდა ტაშს, რომელიც შუა პროლოგის დროს შეასრულა სტუდენტმა თავისი განმგმირავი ხმით და მათხოვარმა დაჟინებული მოწყალების მოთხოვნით. გრენგუარი ძალიან უკმაყოფილო იყო. როგორც კი გონს მოვიდა, სცენაზე მყოფ ოთხივე მსახიობს მთელი ხმით დაუყვირა:

- განაგრძეთ! ეშმაკმა დალახვროს! განაგრძეთ! ის ორი ხელშემშლელი კი იმის ღირსადაც არ ჩათვალა, ზიზღით მაინც გადაეხედა.

ამ დროს იგრძნო, რომ ვიღაცამ სერთუკის კალთაზე მოსწია. გრენგუარი გაბრაზებული მიბრუნდა. თუმცა გუნებაზე ვერ იყო, უნებურად გაეღიმა. ჟისკეტ ლა ჟანსიენს თავისი ლამაზი ხელი მოაჯირში გამოეყო და მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობდა. - მუსიე, - მიმართა ქალიშვილმა, - ნუთუ განაგრძობენ?

- უსათუოდ, - უპასუხა ამ შეკითხვით განაწყენებულმა გრენგუარმა. - თუ ასეა, მუსიე, იქნებ კეთილი ინებოთ და ამიხსნათ...

- რასაც ილაპარაკებენ? - შეაწყვეტინა გრენგუარმა. - კეთილი! მისმინეთ! - არა, - თქვა ჟისკეტმა, - ამიხსენით ის, რაც აქამდე თქვეს. გრენგუარი შეკრთა, თითქოს ღია ჭრილობაზე შეეხნენო. - „ჭირსაც წაუღია ეს ჩერჩეტი და გონებადახშული ქალი“ - ჩაიბურტყუნა მან.

ამ წუთიდან ჟისკეტი მის თვალში არარაობად იქცა. როგორც იქნა, მსახიობები მის ბრძანებას დაემორჩილნენ და საზოგადოებამაც, რაკი დაინახა დეკლამირება კვლავ განაგრძესო, ყურადღება ისევ სცენაზე გადაიტანა. თუმცა მომხდარის გამო, რომელმაც მოულოდნელად გაწყვიტა პროლოგი ორ ნაწილად, პიესამ თავისი მშვენიერება დაკარგა, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა ნაღვლიანი გრენგუარი. პუბლიკა თანდათან დაწყნარდა. სტუდენტიც გაჩუმდა, მათხოვარი ფულებს ითვლიდა და წარმოდგენაც განახლდა. მართლაც მშვენიერი ნაწარმოები იყო. მართალია, სცენიდან ცოტა გაჭიანურებული და უშინაარსო ჩანდა (ალბათ, მაშინდელი წესების გამო), სამაგიეროდ უბრალოებით გამოირჩეოდა და გრენგუარი გულწრფელად იყო აღტაცებული. ოთხი ალეგორიული პიროვნება ცოტა დაიღალა, რადგან ქვეყნიერების სამი ნაწილი შემოიარეს და ვერ შეძლეს ოქროს დოფინისგან ზრდილობიანად დაეღწიათ თავი. ამას საკვირველი თევზის ხოტბა მოსდევდა და ათას ლამაზ გადაკრულ სიტყვას შეიცავდა მარგარიტა ფლამანდიელის ახალგაზრდა საქმე როზე, რომელიც იმ დროს ამბუაზის ციხე-კოშკში განდეგილივით ცხოვრობდა და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მის გამო გლეხობამ და სამღვდელოებამ, თავადაზნაურობამ და ვაჭრებმა თითქმის მსოფლიო შემოიარეს. ახალგაზრდა, ლამაზი, ძლიერი, მამაცი და, უპირველეს ყოვლისა, სამეფო კარის ყველა სათნოების წყარო დოფინი საფრანგეთის ლომის შვილი იყო. ეს საუცხოო, თამამი მეტაფორა თეატრის ბუნებრივ ისტორიას დღეს შეუსაბამობად როდი მიაჩნია, ლომმა დოფინი რომ შვას. ეს უდავოდ იშვიათი და მაღალფარდოვანი შეუსაბამობა სწორედ რომ პოეტურ აღფრთოვანებას იწვევს. თუმცა, ამ მშვენიერი აზრის გასაშლელად პოეტმა ორასი ლექსი გამოიყენა, რაც კრიტიკის თვალსაზრისით, ცოტა არ იყოს, მეტისმეტია. თუმცა, მუსიე მთავარმოსამართლის განკარგულებით,

მისტერია ოთხ საათამდე უნდა გაგრძელებულიყო - მსახიობებსაც ხომ უნდა ეთქვათ რაღაც - ხალხი მაინც მოთმინებით უსმენდა. უცბად მადმუაზელ ვაჭრობასა და მადამ აზნაურობას შორის გაჩაღებულ ჩხუბში, იმ დროს, როდესაც ძია გლეხობა საკვირველ ლექსს წარმოთქვამდა, საპატიო ესტრადის აქამდე უდროოდ დაკეტილი კარი კიდევ უფრო უდროოდ გაიღო და კარისკაცმა ხმამაღლა გამოაცხადა: - მისი უსამღვდელოესობა, მონსენიორ კარდინალი ბურბონელი!

1.3. მუსიე კარდინალი

საბრალო გრენგუარი! პეტარდების დიდი აფეთქება სენტ-ჯონის კუნძულზე, ოცი არკებუზის ბათქი, ბილის კოშკიდან განთქმული ზარბაზნის გრგვინვა, რომელმაც 1465 წლის 29 სექტემბერს, პარიზის გარემოცვის დროს ერთი გასროლით შვიდი ბურგუნდიელი მოკლა, თოფისწამლის საწყობის აფეთქება პორტ-დიუ-ტამპლში - ყოველივე ეს ისე ძლიერ ვერ დააბნევდა ამ საზეიმო და დრამატულ წუთებში, როგორც კარისკაცის მიერ წარმოთქმულმა რამდენიმე სიტყვამ. იმიტომ კი არა, რომ პიერ გრენგუარს ეშინოდა ან სძულდა მუსიე კარდინალი. ის არც სულმდაბალი იყო და არც ქედმაღალი. ნამდვილი ეკლექტიკოსი გრენგუარი იმ სულით მტკიცე და ამაღლებულ, თავშეკავებულ და მშვიდ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც ყოველთვის პოულობენ შუა ადგილს, საღად მსჯელობენ, ლიბერალურ ფილოსოფიას აღიარებენ და კარდინალებსაც ჯეროვან პატივს მიაგებენ. ფილოსოფოსთა ამ ძვირფას მოდგმას, რომელსაც გადაშენება არ უწერია, თითქოს სიბრძნისგან, ამ მეორე არიადნასგან მიეღოს ძაფის გორგალი; შლის ეს მოდგმა ამ გორგალს, მისდევს ძაფს ქვეყნის დასაბამიდან და მიიკვლევს გზას ადა-

მიანთა ურთიერთობების ლაბირინთში. მათ ნახავთ ყველა დროში, მუდამ უცვლელსა და ერთნაირს, ასე ვთქვათ, დროჟამის შესაფერისად. მაშასადამე, უსიამოვნო შთაბეჭდილებაში, რომელიც პიერ გრენგუარზე კარდინალის გამოჩენამ მოახდინა, არც პირადი სიძულვილი იყო და არც მისი ბრძანების უგულებელყოფა. პირიქით, პოეტი, რომელსაც ფრიად საღი გონება ჰქონდა და მეტისმეტად გაცვეთილი ტანსაცმელი ეცვა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ მის გადაკრულ სიტყვებს პროლოგში, მეტადრე ტახტის მემკვიდრის, საფრანგეთის ლომის ძის ხოტბას, მისი უსამღვდელოესობის ყურამდე მიეღწია. მაგრამ, ანგარება როდი ამოძრავებს პოეტთა კეთილშობილ ბუნებას. თუ პოეტის არსებას გამოვხატავთ ათი რიცხვით, მაშინ ქიმიკოსი ანალიზით, როგორც რაბლე[1] ამბობს, ალბათ, ცხრა მეათედი პატივმოყვარეობის საპირისპიროდ ერთ მეათედ ანგარებას აღმოაჩენდა. იმ დროს, როცა კარდინალი შემოვიდა, გრენგუარის პატივმოყვარეობის ეს ცხრა მეათედი, საერთო აღტაცების ფონზე, კიდევ უფრო გაიზარდა, გადიდდა, გაფართოვდა და ისეთ საოცარ ნიშნულს მიაღწია, რომ სრულიად ჩაკლა ადამიანის ბუნების ძვირფასი ნაწილის, ანგარების უჩინარი მოლეკულა, რომელიც სინამდვილისა და ადამიანის არსებობის იმ ბალასტს წარმოადგენს, ურომლისოდაც ძნელია მიწას ფეხი შეახო. გრენგუარი უყურებდა, ასე ვთქვათ, ხელით ეხებოდა მთელ ამ კრებულს და დიდ სიამოვნებას განიცდიდა. მართალია, ეს ბრბო არამზადებისგან შედგებოდა, მაგრამ მაინც განცვიფრებული და გაშტერებული იყო. თითქოს სული ეხუთებოდა იმ უზომო ტირადებისგან, ყოველ წუთს რომ იფრქვეოდა საქორწინო სიმღერიდან. გრენგუარი საყოველთაო ნეტარებას იზიარებდა და ისე როდი მოიქცა, როგორც ლაფონტენი[2], რო-

---

[1] *ფრანგი მწერალი (1483/94-1553), „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი.*
[2] *ლაფონტენი, ჟან (1621-1695) ფრანგი მწერალი.*

მელმაც თავისი კომედიის - „ფრორენტინელის“ წარმოდგენისას იკითხა: „რომელმა უმეცარმა შეთხზა ეს უხეირო რაფსოდია?“ ახლა გრენგუარი სიამოვნებით ჰკითხავდა თავის მეზობელს: „ვინ დაწერა ეს შედევრი?“ ასე რომ, ადვილი წარმოსადგენია, რა გავლენას მოახდენდა მასზე კარდინალის უეცარი და უდროო გამოჩენა. გრენგუარის შიში სავსებით გამართლდა. მისი უსამღვდელოესობის შემოსვლამ ააფორიაქა პუბლიკა. ყველა ტრიბუნისკენ შებრუნდა. ყურთასმენა აღარ იყო. „კარდინალი! კარდინალი!“ - იმეორებდა ყველა. მეორედ შეწყდა დაწყე ვლილი პროლოგი.

კარდინალი წუთით ტრიბუნის ზღურბლზე შეჩერდა და აუდიტორიას გულგრილად გადახედა; ამ დროს ჩოჩქოლმა ერთიორად იმატა. ყველას უნდოდა ის კარგად დაენახა. თითოეული ცდილობდა თავი მეზობლის მხრებზე მაღლა აეწია.

მართლაც, კარდინალი იმდენად მნიშვნელოვანი პიროვნება იყო, რომ მისი დანახვა ნებისმიერ წარმოდგენას სჯობდა. შარლი, კარდინალი ბურბონელი, არქიეპისკოპოსი და ლიონის გრაფი, ორივე გალიაში რომის კათოლიკური ეკლესიის პირველი ეპისკოპოსი, ერთდროულად ენათესავებოდა ლუი XI-ს - ძმის, პიერის, ბოჟიოს მმართველის მხრიდან, რომელიც ჯვარდაწერილი იყო მეფის უფროს ქალიშვილზე და შარლ გულადსაც[1] - დედის, აგნესა ბურგუნდიელის მხრიდან. ადვილი წარმოსადგენია, რა სიძნელეებს უქმნიდა ეს ორმხრივი ნათესაობა და ყველა ის უხილავი წყალქვეშა კლდე წუთისოფლისა, რომლის მიხვეულ-მოხვეულებში მის ფიქრთა ნავს უნდა გაევლო, რათა არც ლუის წასწყდომოდა, არც შარლს - ამ ქა-

[1] *ბურგუნდიელი ჰერცოგი, ლუი XI-ის (1461-1483) პოლიტიკური მოწინააღმდეგე.*

რიბდასა და სცილას[1]. ღმერთის წყალობით, ძლიერთა მიმართ პირმოთნემ ამ მოგზაურობის კეთილად დამთავრება შეძლო - დაუბრკოლებლად ჩავიდა რომში და კარდინალის მანტია მიიღო. თუმცა, ნავსაყუდელში იმყოფებოდა, ჩვეულებრივ, ხშირად იმეორებდა, რომ 1476 წელი მისთვის „ბნელიც იყო და ნათელიც.“ სწორედ ამ წელს დაკარგა დედა, ბურბონელი ჰერცოგინია და ბიძაშვილი, ბურგუნდიის ჰერცოგი; მისი პირველი მწუხარება მეორეში პოვებდა ნუგეშს.

ზოგადად კარდინალი ზომიერი კაცი იყო; მხიარულად ცხოვრობდა, სიამოვნებით სვამდა შალიოს სამეფო ზვრების ღვინოს, ლამაზ ქალებს უფრო გაიკითხავდა, ვიდრე ბებრებს. ერთი სიტყვით, პარიზელებში კარგი კაცის სახელი ჰქონდა. მარტო ვერსად ნახავდით, ყოველთვის თან ახლდა თავაზიანი, მხიარული და მოქეიფე ეპისკოპოსებისა თუ აბატების ამალა. არაერთხელ აღშფოთებულან სენ-ჟერმენ დოზერის მრევლის ღვთისმოსავი ქალები, როცა ბურბონთა სასახლის განათებული ფანჯრების წინ საღამოობით ჩაუვლიათ და გაუგონიათ, როგორ მღეროდნენ ჭიქების წკრიალში Bibamus papaliter[2] - პაპ ბენედიქტე XII-ის (მან ტიარას[3] მესამე გვირგვინი მიუმატა) სადღეგრძელოს იგივე ხმები, რომელთაც ეს-ეს არის მწუხრის ლოცვა შეასრულეს. უთუოდ პოპულარობის წყალობით აიცილა კარდინალმა ბრბოს მტრული შეხვედრა, რომელიც რამდენიმე წუთის წინ საკმაო უკმაყოფილებას გამოთქვამდა და თანაც ნაკლებად იყო განწყობილი, პატივი ეცა კარდინალისთვის სწორედ იმ დღეს,

---

[1] *მითოლოგიით ეს ზღვის ურჩხულები თითქოს მესინის სრუტის ორივე მხარეს ბინადრობდნენ და მეზღვაურებს ღუპავდნენ. „სცილასა და ქარიბდას შორის“ მოვყევი, ანუ ერთდროულად ორ საშინელ ხიფათში ჩავვარდი.*

[2] *დავლიოთ პაპივით.*

[3] *ტიარა - რომის პაპის საზეიმო თავსაბურავი სამი გვირგვინით, რაც სიმბოლურად გამოხატავდა პაპის სასამართლო, საკანონმდებლო და საკულტო უფლებებს.*

როდესაც თავად უნდა აერჩია პაპი. მაგრამ პარიზელები გულღრძონი როდი არიან. რაკი წარმოდგენის დაწყებას იძულებით მიაღწია, ხალხმა ეს კარდინალზე გამარჯვებად მიიჩნია და ამით დაკმაყოფილდა. გარდა ამისა, კარდინალი ლამაზი მამაკაცი იყო; საუცხოო წითელი მანტია მეტისმეტად უხდებოდა; ასე რომ, ყველა ქალი, ანუ პუბლიკის საუკეთესო ნახევარი მის მხარეზე იყო. მართლაც, რა უსამართლობა და უზრდელობა იქნებოდა ყიჟინა აეტეხათ კარდინალისთვის, რომლის დაგვიანების გამოც მათ მოცდა მოუწიათ. კარდინალი დამსწრეთ იმ მემკვიდრეობით მიღებული ღიმილით მიესალმა, რომლითაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ესალმებიან ხოლმე ხალხს და დინჯად გაემართა ხავერდგადაკრული სავარძლისკენ; აშკარად ეტყობოდა, რომ სხვა რამეზე ფიქრობდა. ეპისკოპოსთა და აბატთა ამალა, რომელსაც დღეს გენერალურ შტაბს ვეძახით, ტრიბუნაზე ხმაურით შემოიჭრა, რამაც პარტერში ცნობისმოყვარეობა ერთიორად გააძლიერა. თითოეული ცდილობდა, მეორისთვის ეჩვენებინა, რომ რომელიმე მათგანს იცნობდა. ვინ მართალს ამბობდა და ვინ ტყუილს კაცი ვერ გაიგებდა. ერთი მითქმა-მოთქმა და აყალმაყალი იყო.

სტუდენტები საშინლად იგინებოდნენ. ეს დღე, ქილიკების დღესასწაული მათ ეკუთვნოდათ. ამ დღეს ყოველგვარი უხამსობა ნებადართული იყო, ყოველგვარი თავხედობა - მისატევებელი. გარდა ამისა, ბრბოში გიჟმაჟი და ენაჭარტალა ქალიშვილები ერივნენ. ასეთ მშვენიერ დღეს განა შეეძლოთ, არ ეხმარათ უწმაწური სიტყვები გულის საოხად, არ ჩაედინათ მკრეხელობა; არ დაეგმოთ ღმერთი მშვენიერი ქალებისა და სამღვდელოების გარემოცვაში. ისინი ამ სიამოვნებას ვერ მოიკლებდნენ; ამ საშინელ ღრიანცელში ისმოდა ენაწაგდებულ სტუდენტთა მიერ ღვთის გმობა და წრეგადასული ბინძური სიტყვები - მთელი წლის განმავლობაში ხომ წმ. ლუის გა-

ვარვარებული შანთის შიშით ენა მუცელში ჰქონდათ ჩაგდებული, საბრალო წმინდა ლუი! როგორ აბუჩად იგდებდნენ მას მართლმსაჯულების ტაძარში! თითოეულმა მათგანმა ტრიბუნაზე ახლად გამოჩენილთა შორის ამოირჩია თავისი მსხვერპლი - შავი ან რუხი, თეთრი ან იისფერი ანაფორა. რაც შეეხება ჟან ფროლო დე მოლენდინოს, მან, როგორც არქიდიაკონის ძმამ, მიზანში წითელი მანტია ამოიღო და თამამად შეუტია, ურცხვი თვალები კარდინალს გაუშტერა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიაძახა: - Cappa repleta mero[1]! თუმცა, კარდინალი ამას არ აუღელვებია, რადგან ამ დღეს ყველას მიეტევებოდა ყოველგვარი თავისუფალი და მოურიდებელი საქციელი. სახეზე ეტყობოდა, რომ სხვა რამ აფიქრებდა - კარდინალი ფლამანდიელ ელჩობაზე ფიქრობდა. ის არ იყო შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი და მაინცდამაინც არ ანაღვლებდა დეიდაშვილის, მარგარიტა ბურგუნდიელისა და ბიძაშვილის, ვენის კრონპრინცის, შარლის ქორწინების შესაძლო შედეგები; ნაკლებად აწუხებდა ისიც, თუ რამდენ ხანს გასტანდა ფარისევლური „კეთილი თანხმობა“ ავსტრიელ ჰერცოგსა და საფრანგეთის მეფეს შორის ან როგორ შეხვდებოდა ინგლისის მეფე თავისი ქალიშვილის უგულებელყოფას. კარდინალი ყოველ საღამოს მიირთმევდა შალიოს სამეფო ზვრების ღვინოს და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ამ ღვინის რამდენიმე ბოთლი (მართალია, დოქტორ კუაკტიეს მიერ ოდნავ შეზავებული), რომელიც ლუი XI-მ გულითადად შესთავაზა ედუარდ IV[2]-ს, ერთ მშვენიერ დილას ლუის ედუარდისგან გაათავისუფლებდა. „ჰერცოგ ავსტრიელის ფრიად საპატიო ელჩობას“ ამგვარი პრობლემა არ შეუქმნია მისთვის, მაგრამ, როგორც კარდინალი, ვალდებული იყო ვიღაც ქალაქის თავებთან თავაზიანობა გამოეჩინა; ის,

---

[1] *ღვინით გაჟღენთილო ანაფორავ!*
[2] *ინგლისის მეფე 1461-1483 წლებში.*

მაღალი წოდების ფრანგი, ფლამანდიელ ლუდიყლაპიებს უნდა გამასპინძლებოდა და ყოველივე ეს საჯაროდ ეკეთებინა. ასეთი მოსაწყენი როლი მას მეფის საამებლადაც კი არ უთამაშია. თუმცა, როცა კარისკაცმა ხმამაღლა გამოაცხადა, ავსტრიის ჰერცოგის ელჩები მობრძანდნენო, მან უაღრესად თავაზიანი ღიმილით (ამ ხელოვნებას ბრწყინვალედ ფლობდა) პირი კარისკენ იბრუნა. დარბაზმაც მას მიბაძა.

დინჯი, დარბაისლური ნაბიჯით წყვილ-წყვილად შემოვიდა მაქსიმილიან ავსტრიელის[1] ორმოცდარვა დესპანი, რომლებიც შარლ ბურბონელის მკვირცხლი ამალისგან სრულიად განსხვავდებოდნენ. ელჩებს წინ მოუძღოდა სენტ-ბერტინელი აბატი, „ოქროს საწმისის“ ორდენის კანცლერი, ღირს მამა იოანე და იაკობ დე გუა, მუსიე დობი, გენტის უმაღლესი მსაჯული. დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც შიგადაშიგ შეკავებული სიცილი არღვევდა - ყოველი ახალმოსული ფლამანდიელი მედიდურად და მშვიდად წარმოთქვამდა თავის უცნაურ სახელსა და წოდებას, კარისკაცი კი დამახინჯებითა და არეულ-დარეულად იმეორებდა. მოსამართლეები, მამასახლისები, ბურგომისტრები, ყველა მოუხეშავი, ტლანქი, გაბღენძილი, ზვიადი და ქედმაღალი ჩანდა. ხავერდითა და დაჩითული აბრეშუმის ქსოვილებით საზეიმოდ გამოპრანჭულიყვნენ, თავზე კიპრის ოქროსსიმიანი ფოჩებით მორთული შავი ხავერდის ქუდები ეხურათ. ყველას კეთილი ფლამანდიური სახე ჰქონდა; მათ სახეებზე აღბეჭდილიყო ღირსებაც, სიმკაცრეც, რაც რემბრანდტის[2] „ღამის დაზვერვის“ შავ ფონზე გამოსახულ მკვეთრსა და სერიოზულ სახეებს მოგაგონებდათ. ამ ადამიანებს თითქოს შუბლზე ეწერათ: მაქსი-

---

[1] *ავსტრიელი ერცჰერცოგი 1493-1519 წლებში, წმინდა რომის იმპერიის იმპერატორი.*

[2] *ჰოლანდიელი მხატვარი (1606-1669).*

მილიან ავსტრიელი მართალი იყო, როცა აცხადებდა: „მთლიანად ვენდობი მათ საღ აზრს, სიმამაცეს, გამოცდილებას, პატიოსნებასა და წინდახედულებასო“. მხოლოდ ერთი ადამიანი იყო გამონაკლისი. მას თხელი, ჭკვიანი და ცბიერი სახე ჰქონდა, რომელსაც მაიმუნის დრუნჩსაც მიამსგავსებდით და დიპლომატის გამომეტყველებასაც. კარდინალმა მისკენ სამი ნაბიჯი გადადგა და მოწიწებით დაუკრა თავი. თუმცა, ის უბრალოდ ვილჰელმ რიმი იყო, ქალაქ გენტის მრჩეველი და პირველი წარჩინებული... მაშინ ბევრმა არ იცოდა, ვინ იყო ის; შესაძლოა, ეს ოშვიათი ჭკუის კაცი რევოლუციის დროს მოვლენათა ზედაპირზეც ამოტივტივებულიყო და თავი გამოეჩინა, მაგრამ XV საუკუნეში იძულებული იყო ფარული ინტრიგების ქსელი გაება და, როგორც ჰერცოგი სენ-სიმონი[1] ამბობს, სანგარში ეცხოვრა; თუმცა, იგი სათანადოდ დააფასა ევროპის საიდუმლო ჯურღმულებისა და ძირგამომთხრელ საქმეთა პირველმა ოსტატმა; მისი ხელი ხშირად ერია ლუი XI-ის იდუმალ საქმეებში. ამის შესახებ ხალხმა არაფერი იცოდა და გაოცებული იყო, რატომ ეპყრობოდა კარდინალი ასე თავაზიანად ვიღაც საცოდავ ფლამანდიელ მრჩეველს.

1.4. მეტრ ჟაკ კოპენოლი

იმ დროს, როდესაც გენტის მრჩეველი და მისი უსამღვდელოესობა ერთმანეთს მდაბლად უკრავდნენ თავს და ხმადაბლა საუბრობდნენ, გამოჩნდა მაღალი, ფართო სახის, მხარბეჭიანი მამაკაცი, რომელიც მელიას დადევნებულ მაძებარ ძაღლს მოგაგონებდათ და ვილჰელმ რიმთან ერთად შესვლას ცდილობდა. მისი ნაბდის ქუდი და ტყავის სერთუკი ამდენ აბრეშუმსა და ხავერდში შავ ლაქასავით

[1] *სენ-სიმონ, ლუი (1675-1755) - ფრანგი მემუარისტი და პოლიტიკური მოღვაწე.*

მოჩანდა. კარისკაცმა იფიქრა, ვიღაც გზააბნეული მეჯინიბეაო და წინ გადა ეღობა. - ჰეი, მეგობარო! შესვლა არ შეიძლება!

ტყავის სერთუკიანმა მხარი გაჰკრა და გზიდან ჩამოიშორა.

- რა უნდა ჩემგან ამ ბრიყვს? - ისეთი ხმით დაიქუხა, რომ მთელი დარბაზის ყურადღება მიიქცია. - ვერა ხედავ, ვინა ვარ?

- თქვენი სახელი? - ჰკითხა კარისკაცმა.

- ჟაკ კოპენოლი.

- წოდება?

- მეწინდე, გენტის დუქან „სამი ძეწკვის“ მფლობელი.

კარისკაცმა უკან დაიხია. მესმის ქალაქისთავებისა და ბურგომისტრების მობრძანება მოახსენო ხალხს, მაგრამ მეწინდე? - ეს უკვე მეტისმეტია! კარდინალი ეკლებზე იჯდა. ხალხი სმენად და ცქერად იქცა. უკვე ორი დღეა მისი უსამღვდელოესობა ცდილობდა, როგორმე გაეწვრთნა ეს ფლამანდიელი დათვები, რათა ხეირიანად მაინც ჩაეცვათ და უცებ ეს უხეშობა რა გუნებაზე დააყენებდა. ამასობაში რიმი კარისკაცს მიუახლოვდა და ცბიერი ღიმილით წასჩურჩულა: - გამოაცხადეთ ასე, მეტრ ჟაკ კოპენოლი, სახელოვან ქალაქ გენტის სასამართლოს მდივანი. - კარისკაცო, - გაიმეორა კარდინალმა ხმამაღლა, - გამოაცხადეთ, მეტრ ჟაკ კოპენოლი, სახელოვანი გენტის სასამართლოს მდივანი. ეს წინდაუხედაობა იყო. ფრთხილი და მოხერხებული ვილჰელმ რიმი, ალბათ, თავადაც მოაგვარებდა ამ საქმეს, ახლა კი კოპენოლმა მოისმინა კარდინალის ნათქვამი. - არა, ღმერთო ჩემო! ჯვარო უფლისაო! - იყვირა მან მჭექარედ, - მოახსენე, ჟაკ კოპენოლი, მეწინდე. გესმის, კარისკაცო? არც მეტი და არც ნაკლები. ჯვარო უფლისაო! მეწინდე, ეს საკმაოდ ლამაზად ჟღერს. რითი ვარ სხვაზე ნაკლები? თვით მუსიე ერცჰერცოგს არაერთხელ უძებნია თავისი ხელთათმანი ჩემს შარვალში.

ატყდა ხარხარი და ტაში. პარიზელებმა იციან ხუმრობის ფასი. ისევე, როგორც ეს პუბლიკა, კოპენოლიც ხომ მათი წრიდან იყო. ამიტომ ელვის სისწრაფით დამყარდა მათ შორის კავშირი. ფლამანდიელი მეწინდის მედიდურმა საქციელმა, რითაც ეგზომ დაამცირა სასახლის დიდებულნი, მდაბიო ხალხს ღირსების გრძნობა გაუღვიძა, რაც ჯერ კიდევ მკრთალად კიაფობდა XV საუკუნეში. მეწინდე, რომელიც ასე მედგრად დაუხვდა მუსიე კარდინალს, დიახაც, რომ, მათი ტოლი და სწორი იყო! ეს აზრი ანუგეშებდა საწყალ ხალხს, რომელიც მიჩვეული იყო მოწიწება გამოეხატა და დამორჩილებოდა წმიდა ჟენევიევას სააბატოს სასამართლოს ბოქაულის - კარდინალის ლაქიის პაჟსაც კი.

კოპენოლი ამაყად მიესალმა მის ყოვლადუსამღვდელოესობას, მანაც ზრდილობიანი სალამი უძღვნა გავლენიან მოქალაქეს, რომლისაც თვით ლუი XI-საც კი ეშინოდა. გამჭრიახი და ცბიერი ვილჰელმ რიმი დამცინავი ღიმილითა და ქედმაღლურად შესცქეროდა მათ, როდესაც ისინი თავიანთი ადგილებისკენ გაემართნენ, - კარდინალი შემკრთალი და შეწუხებული, კოპენოლი კი - მშვიდი და მედიდური ჩანდა. იგი უეჭველად იმაზე ფიქრობდა, რომ მეწინდის წოდება არაფრით ჩამოუვარდება სხვა წოდებას და მარია ბურგუნდიელს, დედას სწორედ იმ მარგარიტასი, რომელსაც დღეს კოპენოლი აქორწინებდა, ნაკლები შიში ექნებოდა მისი, კარდინალი რომ ყოფილიყო და არა მეწინდე. კარდინალს არ აუმხედრებია გენტის მოსახლეობა კარლოს გულადის ქალიშვილის ხალხის წინააღმდეგ; კარდინალს არ წაუქეზებია ბრბო აღესრულებინა მისი განაჩენი; როცა ეს ქალბატონი ეშაფოტის კვარცხლბეკთან ბრბოს ევედრებოდა, შეებრალებინა მისი ხალხი, ამ დროს საკმარისი გახდა მეწინდეს ტყავისსამკლაურიანი ხელის ერთი აწევა, რომ ძირს გაგორებულიყო გიუი დ'ემბერკურისა და კანცლერ ვილჰელმ ჰუგენოტის თავები.

მაგრამ საბრალო კარდინალისთვის არაფერი დამთავრებულა; მას ბოლომდე უნდა გამოეცალა სიმწრის ფიალა, რაკი ასეთ ცუდ საზოგადოებაში მოხვდა. იმ ურცხვ მათხოვარს, რომელიც პროლოგის დასაწყისში კარდინალის წინ მოაჯირზე აცოცდა, ცნობილი სტუმრების მოსვლამაც ვერ აიძულა ადგილი დაეთმო. როდესაც პრელატები და ელჩები ფლამანდიური ქაშაყებივით იჭედებოდნენ ტრიბუნაზე, მათხოვარი სამერხულზე საგულდაგულოდ მოწყობილიყო და ფეხი ფეხზე მოურიდებლად გადაედო. ეს არნახული თავხედობა პირველ ხანებში ვერავინ შენიშნა. თავის მხრივ, თითქოს ვერც მათხოვარი ამჩნევდა, რა ხდებოდა დარბაზში. იგი ნეაპოლიტანური უდარდებლობით აკანტურებდა თავს და დროდადრო საერთო ხმაურში იმეორებდა: „გაიღეთ მოწყალება.“ ცხადია, იქ მყოფთა შორის მხოლოდ მან არ ინება ყურადღება მიექცია კოპენოლისა და კარისკაცის შელაპარაკებისთვის. გენტელი მეწინდე, რომელმაც ასე სწრაფად მოიპოვა ხალხის თანაგრძნობა, შემთხვევით ტრიბუნის პირველ რიგში დაჯდა, სწორედ იმ ადგილის ზემოთ, სადაც მათხოვარი მოკალათებულიყო. ყველა განცვიფრდა, როცა ფლამანდიელი ელჩი მის წინ მოკალათებულ მათხოვარს დააშტერდა და მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი. მათხოვარი მისკენ მიბრუნდა. მათ ერთმანეთი იცნეს. ორივეს სახე გაებადრა, შემდეგ ხელიხელჩაკიდებულმა მეწინდემ და გლახამ ხმადაბლა გააბეს ბაასი. ისინი გაშტერებულ ხალხს ყურადღებას არ აქცევდნენ. ამასობაში კლოპენ ტრუილფუს კუნძები ტრიბუნის ოქროს ფარჩაზე ისე გამოიყურებოდა, როგორც ფორთოხალზე აცოცებული მუხლუხი.

ამ უჩვეულო სცენამ ისეთი აღტაცება და ყიჟინა გამოიწვია დარბაზში, რომ კარდინალმა ყურადღება მიაქცია. იგი ოდნავ გადაიხარა, რაკი ადგილიდან კრუილფუს ჩამოკონკილი ტანსაცმელი

ძლივს გაარჩია, ეგონა, გლახა მოწყალებას თხოულობსო და ამგვარი თავხედობით აღშფოთებულმა იყვირა:

- მუსიე უფროსო მოსამართლევ, ამ არამზადას მდინარეში გადაუძახეთ! - ღმერთო ჩემო, ჯვარო უფლისაო! თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მუსიე კარდინალო, - უთხრა კოპენოლმა, თან კლოპენს ხელს არ უშვებდა, - ეს ხომ ჩემი მეგობარია! - დიდება! დიდება! - იღრიალა ბრბომ. ამ წუთიდან მეტრ კოპენოლმა პარიზშიც, ისევე, როგორც გენტიში, „ხალხის დიდი ნდობა მოიხვეჭა, რადგან ამ ჯურის ადამიანები, - ამბობს ფილიპ დე კომინი[1], - ხალხის ნდობას მაშინ იმსახურებენ, როცა მოურიდებლად იქცევიან.“ კარდინალმა ტუჩზე იკბინა, მეზობლის, წმ. ჟენევიევას სააბატოს მოძღვრისკენ გადაიხარა და წასჩურჩულა:

- ერთობ სასაცილო დესპანებს კი გვიგზავნის მუსიე ერცჰერცოგი, რათა პრინცესა მარგარიტას ჩამობრძანება გვაუწყოს.

- თქვენო მაღალკეთილშობილებავ, - უთხრა სააბატოს მოძღვარმა, - ძალიან ზრდილობიანი ბრძანდებით ამ ფლამანდიელი ღორის დინგის მიმართ. Margaritas ante porcos[2]. - უკეთესი იქნებოდა, - უპასუხა კარდინალმა ღიმილით, - თუ ვიტყვით, Porcos ante Margaritam[3]. ანაფორიანთა მცირე ამალა აღტაცებაში მოიყვანა სიტყვათა ამგვარმა თამაშმა. კარდინალმა ცოტა შვება იგრძნო; მან სამაგიერო გადაუხადა კოპენოლს - მისმა ხუმრობამაც მოწონება დაიმსახურა. ყველაფერში კარგად რომ გავერკვეთ, ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, სად ხდებოდა მოქმედება: მართლმსაჯულების სა-

---

[1] *ფრანგი ისტორიკოსი (XV ს.), ლუი XI-სა და შარლ V-ის მემუარების ავტორი.*

[2] *მარგალიტებს ღორებს არ უყრიან.*

[3] *ღორები მარგალიტის წინაშე. სიტყვათა თამაში: ლათინურად მარგარიტა ნიშნავს მარგალიტს, მარგუერიტე - კი ფრანგულად მარგარიტასაც აღნიშნავს და მარგალიტსაც.*

სახლის დიდ, ფართო, ოთხკუთხა დარბაზში, დასავლეთის კედელთან ოქროს ფარჩით მორთული, განიერი და დიდებული ტრიბუნა მოჩანდა, სადაც ერთმანეთის მიყოლებით პატარა კარით საზეიმო პროცესიით შედიოდნენ დიდებულები, რომელთა სახელებსაც კარისკაცი წამდაუწუმ გაჰყვიროდა. პირველ რიგში უკვე მოთავსდა უამრავი პატივსაცემი პირი, რომლებსაც ყარყუმის, ხავერდის მეწამული მანტიები ემოსათ. ტრიბუნის ირგვლივ ურიცხვი ბრბო საშინლად ღრიალებდა. ათასი თვალი მისჩერებოდა ტრიბუნაზე მყოფთ, ათასი ბაგე ჩურჩულით იმეორებდა ყოველი მათგანის სახელს. მართლაც საინტერესო სანახაობა იყო და მაყურებელთა ყურადღებას ნამდვილად იმსახურებდა. მაგრამ, დარბაზის ბოლოს, რას ნიშნავს ფიცარნაგის მაგვარი რაღაც, რომელზეც ოთხი ჯამბაზი ზემოთ იმანჭება და ოთხიც ქვემოთ? ეს ვინღაა, შავოსანი, ფერმკრთალი სახის მამაკაცი, ფიცარნ აგის გვერდით? ეეჰ, ჩემო მკითხველო, ეს ხომ პიერ გრენგუარი და მისი პროლოგია. ჩვენ ის სრულიად დაგვავიწყდა. მას კი სწორედ ამის ეშინოდა. იმ წუთიდან, როცა კარდინალი შემოვიდა, გრენგუარი ცდილობდა, როგორმე თავისი პროლოგი გადაერჩინა. ჯერ დაბნეულ მსახიობებს უბრძანა უფრო ხმამაღლა განეგრძოთ; შემდეგ, რაკი დარწმუნდა, არავინ უსმენდა, შესვენება გამოაცხადა და ფეხების ბაკუნს, ბორგვას, შფოთვას მოჰყვა. მერე ჟისკეტსა და ლიენარდს ეხვეწებოდა: ხალხი წააქეზეთ, პროლოგის გაგრძელება მოითხოვეთო, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. თვალს არავინ აშორებდა კარდინალს, ელჩებსა და ტრიბუნას. მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ თავისი მობრძანებით მისტერია ულმობლად ჩაშალა. ამასთან, როგორც ტრიბუნაზე, ისე სცენაზე, ერთი და იგივე სანახაობა იყო - კონფლიქტი გლეხებსა და სამღვდელოებას, დიდგვაროვანთა და ვაჭართა შორის. ხალხის უმრავლესობას ერჩია, ფლამანდიელი ელჩებისა და ეპისკოპოსთა ამალის, მანტია-

მოსხმული კარდინალისა და კოპენოლისთვის - ცოცხალი ადამიანებისთვის ეცქირა, ვიდრე ფერუმარილით შეთხუპნილი, დიაცებივით მორთულ-მოკაზმული მსახიობებისთვის, თეთრ-ყვითელი კვართებით სასაცილოდ რომ გამოწყობილიყვნენ და ბზით დატენილ ფიტულებს რომ ჰგავდნენ.

როცა სიჩუმე ჩამოვარდა, პოეტმა პიესის გადასარჩენად ხრიკს მიმართა. - მუსიე, - მიუბრუნდა ის თავის მეზობელს, დარბაისელ, მშვიდი სახის მსუქან მამაკაცს, - ხელახლა ხომ არ დავიწყოთ?

- რა? - ჰკითხა მეზობელმა.

- რა და მისტერია, - უთხრა გრენგუარმა.

- როგორც გენებოთ, - უპასუხა მეზობელმა. ეს ცალყბად ნათქვამი თანხმობა საკმარისი აღმოჩნდა გრენგუარისთვის, რომ ხალხში გარეულიყო და მთელი ძალით ეყვირა: - ხელახლა დაიწყეთ მისტერია, თავიდან დაიწყეთ!

- ეშმაკმა დალახვროს! - თქვა ჟან დე მოლენდინომ, - რას გალობენ დარბაზის ბოლოს? (გრენგუარი ოთხი კაცის ხმით ღრიალებდა). მეგობრებო! განა მისტერია არ დამთავრდა? ხელახლა დაწყება? ეს ხომ უსამართლობაა!

- არა! არა! - აყვირდნენ სტუდენტები. - ძირს მისტერია! ძირს! მაგრამ გრენგუარმა კიდევ უფრო უმატა ძახილს, ყვიროდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა. - ხელახლა დაიწყეთ! ხელახლა!

ყვირილმა კარდინალის ყურადღება მიიპყრო.

- მუსიე უფროსო მოსამართლევ, - მიმართა მან შორიახლო მდგომ მაღალ მამაკაცს, რომელსაც შავი სამოსი ეცვა, - რას ღრიალებენ ეს არამზადები?

სასამართლოს უფროსი მსაჯული ერთგვარ მოხელე-ამფიბიას, ღამურას ჯიშის არსებას წააგავდა; იგი კარდინალს მიუახლოვდა, თან ეშინოდა, ვაითუ გამიწყრესო და ლუღლუღით ძლივს აუხსნა, რა

უხამსად იქცეოდა ხალხი; თქვენ ყოვლადუსამღვდელოესობაზე ადრე შუადღე მობრძანდა, ხალხი ღელავდა, ამიტომ მსახიობები იძულებული გახდნენ წარმოდგენა დაეწყოთო. კარდინალს გაეცინა.

- ვფიცავ პატიოსნებას, მუსიე უნივერსიტეტის რექტორიც სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო! რას იტყვით, მეტრ ვილჰელმ რიმ?

- მონსენიორ, - მიუგო რიმმა, - ჩვენ კმაყოფილნი ვართ, რომ თავიდან აგვაცილეთ კომედიის ნახევარი მაინც. ყოველ შემთხვევაში, მოგებულნი ვართ.

- თქვენო უწმინდესობავ, ნებას დართავთ ამ ფლიდებს განაგრძონ თავიანთი ფარსი? - ჰკითხა მოსამართლემ.

- განაგრძეთ, განაგრძეთ, - უთხრა კარდინალმა, - ჩემთვის სულ ერთია. ამასობაში ლოცვანს წავიკითხავ.

მოსამართლე ტრიბუნასთან მივიდა, ხელი ასწია, ხალხი რომ გაეჩუმებინა და გამოაცხადა: - თანამოქალაქენო და სტუმრებო! იმისთვის, რათა დაკმაყოფილდნენ ისინი, რომლებსაც თავიდან დაწყება სურთ და ისინიც, რომლებიც წარმოდგენის შეწყვეტის მომხრენი არიან, მისი უწმინდესობა ბრძანებს განაგრძონ.

ორივე მხარე იძულებული გახდა ამ ბრძანებას დამორჩილებოდა, მაგრამ ავტორიცა და საზოგადოებაც დიდხანს იოკებდა კარდინალისადმი გულისწყრომას. მსახიობებმა დეკლამაცია განაგრძეს და გრენგუარს იმედი მიეცა, რომ მისი პიესის დარჩენილ ნაწილს მაინც მოუსმენდნენ. ეს იმედიც, ისევე როგორც სხვა ილუზიები, მალე გაუცრუვდა. დარბაზში ერთხანს მართლაც ჩამოვარდა სიჩუმე, მაგრამ გრენგუარმა ვერ შენიშნა, რომ იმ დროს, როდესაც კარდინალმა ბრძანება გასცა, ტრიბუნა მთლიანად არ იყო დაკავებული. ფლამანდიელი სტუმრების მოსვლის შემდეგ გამოჩნდნენ საზეიმო პროცესიის სხვა მონაწილენიც. მათ სახელებსა და წოდებებს კარისკაცი ხანგამოშვებით გაჰყვიროდა, რაც დიალოგს ხიბლს უკარგავდა.

აბა, წარმოიდგინეთ, რა მოსასმენია პიესა, რომლის დროსაც კარისკაცი დიალოგებს შორის, ხშირად კი შუა ტაეპში ასე დაიყვირებს:

- მეტრ ჟაკ შარმოლიუ - მეფის საეკლესიო სამართლის მრჩეველი! - ჟან დე ჰარლეი - პარიზის ღამის გუშაგთა ოფიცერი!

- მუსიე გალიო დე ჟენუალაკი - რაინდი, სამეფო არტილერიის უფროსი! - მეტრ დრე-რაგიე - სამეფო მამულების ინსპექტორი!

- მუსიე ლუი დე გრავილი - რაინდი, მეფის მრჩეველი, საფრანგეთის ადმირალი! - მეტრ დენი დე მერსიე - პარიზის უსინათლოთა სახლის ზედამხედველი! და სხვა და სხვა.

ეს უცნაური აკომპანიმენტი პიესის მოსმენას ართულებდა, რაც ძალიან აღიზიანებდა გრენგუარს, მისი აზრით, ინტერესი წარმოდგენისადმი სულ უფრო უნდა გაზრდილიყო, რადგან დარწმუნებული იყო, პიესას მოსმენის გარდა, არაფერი აკლდა. განა ადვილი იყო, მახვილგონივრული და დრამატული კვანძის მოგონება?! იმ დროს, როდესაც პროლოგის ოთხი გმირი საშინელ გასაჭირში იყო, თვით ვენერა გამოეცხადათ, vera incessu patuit dea[1]. მას ლამაზი ტუნიკა ეცვა, რომელზეც პარიზის გერბი - გემი იყო ამოქარგული. მან უმშვენიერესი ქალისთვის აღთქმული უფლისწული მოითხოვა. მის მოთხოვნას მხარს უჭერდა იუპიტერი, რომლის ჭექა-ქუხილი გასახდელი ოთახიდან ისმოდა. ქალღმერთი მზად იყო უფლისწულს ცოლად გაჰყოლოდა. ამ დროს გამოჩნდა თეთრაბრეშუმკაბიანი ქალიშვილი გვირილებით ხელში (აშკარად მარგარიტა იგულისხმებოდა), რათა ვენერას შებრძოლებოდა. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ ვენერა, მარგარიტა და კულისებში მყოფნი შეთანხმდნენ, მარიამ ღვთისმშობლის სამსჯავროსთვის მიემართათ. პიესაში კიდევ ერ-

[1] *სიარულისას აშკარად ეტყობოდა, რომ ქალღმერთი იყო (ვერგილიუსი).*

თი კარგი როლი იყო, მესოპოტამიის მეფის, დონ პედროსი; მაგრამ მოქმედება წარამარა წყდებოდა და კაცი ვერ გაარკვევდა, რას წარმოადგენდა იგი.

წყალში ჩაიყარა ყველაფერი, ვერავინ გაიგო და დააფასა პიესის მშვენიერება. კარდინალის შემოსვლისთანავე თითქოს უჩინარმა ჯადოსნურმა ძაფმა ყველას მზერა ტრიბუნისკენ მიმართა. არავინ ჩანდა ამ ჯადოს მომხსნელი. ახალმოსულების წყეული სახეები და ჩაცმულობა პუბლიკას უფრო იზიდავდა. ეს აუტანელი იყო. მხოლოდ ჟისკეტი და ლიენარდი მობრუნდებოდნენ ხოლმე დროდადრო, როცა გრენგუარი მათ სახელოს მოსწევდა. გარდა სქელი, მომთმენი მეზობლისა, არავინ უსმენდა მივიწყებულ, საცოდავ პიესას. გრენგუარი მხოლოდ გვერდიდან ხედავდა სახეებს.

სიმწრით უყურებდა, როგორ იმსხვრეოდა მისი დიდებისა და პოეზიის შენობა! აბა, წარმოიდგინეთ, ცოტა ხნის წინ ეს ხალხი მზად იყო აჯანყებულიყო თვით მუსიე მოსამართლის წინააღმდეგ, ისე მოუთმენლად ელოდა მისი პიესის დაწყებას! ახლა კი, როცა სურვილი აუსრულდა, სცენას აღარავინ უყურებს. ზღვის მარადიულ მიმოქცევას ჰგავს ხალხის კეთილგანწყობა! გაახსენდა, რომ ცოტა ხნის წინ კინაღამ ჩამოახრჩეს სასამართლოს მცველები! ოჰ, რას არ მისცემდა, ოღონდ ერთხელ კიდევ განეცადა ის ტკბილი წუთები!

როგორც იქნა, კარისკაცის აუტანელი წამოძახილები დამთავრდა და გრენგუარმაც ამოისუნთქა. მსახიობებიც გამხნევდნენ და თამამად განაგრძეს. მაგრამ, უეცრად მეწინდე მეტრ კოპენოლი წამოდგა და ხალხს მიმართა:

- ბატონებო, მოქალაქენო! არ ვიცი, ღმერთმანი, ამას რად აკეთებთ. ვხედავ იქ, კუთხეში, სცენაზე ვიღაცები, როგორც ჩანს, ჩხუბს აპირებენ. არ ვიცი, იქნებ ეგ არის ის, რასაც თქვენ „მისტერიას“ ეძახით, მაგრამ თავშესაქცევს ვერაფერს ვხედავ; ისინი მხოლოდ ლაქ-

ლაქებენ. აი, უკვე ნახევარი საათია ველოდები პირველ დარტყმას, მაგრამ ამგვარი არაფერი ხდება. ისინი ლაჩრები არიან, ლანძღვა-გინებით გულს იფხანენ. მოკრივენი ლონდონიდან ან როტერდამი-დან უნდა ჩამოგეყვანათ; აი, მაშინ იქნებოდა ნამდვილი სანახაობა! ისეთ მუშტის ტრიალს ნახავდით, რომ ბაგაბუგს მოედანზე გაიგო-ნებდით. მავრიტანული ცეკვა მაინც ეჩვენებინათ ან სხვა სასაცილო რამ. მე შემპირდნენ ქილიკების დღესასწაულს და ქილიკების პაპის არჩევას. ჩვენცა გვყავს გენტიში ქილიკების პაპი და, ღმერთმანი, სხვებს არ ჩამოვრჩებით! მაგრამ მთავარია, როგორ ვარჩევთ პაპს: შეიკრიბება ხალხი, როგორც აქ, შემდეგ თითოეული რიგრიგობით გაყოფს თავს რომელიმე ნახვრეტში და სახეს დამანჭავს. ვინც ყვე-ლაზე უარესად დაიმანჭება, გამარჯვებულიც ისაა და პაპადაც იმას აირჩევენ. მორჩა და გათავდა. ეს ძალიან თავშესაქცევი რამ არის. გთავაზობთ, თქვენც ასე აირჩიოთ ქილიკების პაპი. ყოველ შემ-თხვევაში, ამ მოლაყბეთა მოსმენას ნამდვილად სჯობს. რას იტყვით, ძვირფასო მოქალაქენო? აქაც საკმაოდ მოიპოვებიან ორივე სქესის ულაზათო, სასაცილო სახეები საიმისოდ, რომ ჩინებული მანჭვა-გრეხა ვიხილოთ.

გრენგუარმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ განცვიფრების, ბრაზისა და აღშფოთებისგან ენა დაება. უკვე სახელმოხვეჭილი მე-წინდის წინადადებას ხალხი ისეთი ენთუზიაზმით შეხვდა, მას აღა-რაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ბედს დამორჩილებოდა და საერთო დინებას მიჰყოლოდა. გრენგუარმა ორივე ხელი სახეზე აი-ფარა.

1.5. კვაზიმოდო

სულ მალე კოპენოლის იდეის სარეალიზაციოდ ყველაფერი მზად იყო. მოქალაქენი, სტუდენტები და სასამართლოს გადამწერები საქმეს შეუდგნენ. პატარა სამლოცველო, რომელიც მარმარილოს პირდაპირ იდგა, მანჭვა-გრეხის დემონსტრირებისთვის ამოირჩიეს. კარს მაღლა მრგვალი სარკმლის მინა გამოამტვრიეს და შეთანხმდნენ, რომ მეტოქეები მასში გაყოფდნენ თავს. იქამდე მისაღწევად კი ერთმანეთზე დადგმულ ორ კასრზე უნდა აცოცებულიყვნენ. თითოეული კანდიდატის (შეეძლოთ ქალი პაპიც აერჩიათ) მანჭვა-გრეხას მეტი ეფექტი რომ დასდებოდა, დააწესეს, სანამ მონაწილე სარკმელში თავს გაყოფდა, სამლოცველოში სახეაფარებული უნდა ჰყოლოდათ. ერთ წუთში სამლოცველო მონაწილეობის მსურველებით გაივსო და კარიც დახურეს. კოპენოლი ადგილიდან იძლეოდა განკარგულებას, ამ საქმის მთავარი ორგანიზატორი სწორედ ის იყო. ამ ღრიანცელით, გრენგუარზე არანაკლებ შეძრწუნებულმა კარდინალმა გადაუდებელი საქმეები და მწუხრის ლოცვა მოიმიზეზა და თავისი ამალიანად იქაურობა დატოვა. ბრბოს, რომელსაც ასე აღელვებდა კარდინალის მობრძანება, არაფრად ჩაუგდია მისი წასვლა. მხოლოდ ვილჰელმ რიმმა შენიშნა მისი ყოვლადუსამღვდელოესობის გაპარვა. სცენამაც და ტრიბუნამაც უკვე განიცადა ბედნიერების წამი, ახლა ლუი XI-ის სამლოცველოს ჯერი დადგა. დარბაზში მხოლოდ ფლამანდიელები და მდაბიოები დარჩნენ. გასაქანი მიეცა ყოველგვარ სიგიჟეს... მანჭვა-გრეხა დაიწყო. პირველმა სახემ, რომელიც სარკმელში გამოჩნდა, გადმობრუნებული წითელი ქუთუთოებით, მხეცის ხახასავით დაღებული პირით, იმპერიის დროინდელი ჰუსარის ჩექმასავით ნაოჭებად ჩაკეცილი შუბლით, ისეთი თავშეუკავებელი ხორხოცი გამოიწვია, რომ ჰომეროსი ამ ხეპრე

ბრბოს, ალბათ, ღმერთებად მიიჩნევდა. მაგრამ დიდი დარბაზი სულაც არ წარმოადგენდა ოლიმპს, რაც გრენგუარის საბრალო იუპიტერმა ყველაზე უკეთ იცოდა. პირველ მანჭვა-გრეხას მეორე მოჰყვა, მეორეს - მესამე... მხიარულება მატულობდა. ამ სანახაობაში იყო რაღაც თავბრუდამხვევი, დამათრობელი და მომაჯადოე ბელი. წარმოიდგინეთ ჩამწკრივებული სახეები, რომლებიც ყველა გეომეტრიულ ფიგურას გამოსახავდნენ - კონუსიდან მრავალწახნაგამდე; წარმოადგენდნენ ადამიანის ყოველგვარ გამომეტყველებას, დაწყებული რისხვით და დამთავრებული ავხორცობით; ყველა ასაკს, ცხოველთა პროფილს - დაღრენილი სახით, დინგითა და დრუნჩით. ერთი სიტყვით, წარმოიდგინეთ ადამიანთა სახეების უწყვეტი კალეიდოსკოპი. ორგია თანდათან ფლამანდიურს ემსგავსებოდა. აქ აღარც სტუდენტები იყვნენ, აღარც ელჩები, აღარც კაცები, აღარც ქალები - საყოველთაო თავაშვებულობაში ყველაფერი აირია. უზარმაზარი დარბაზი თითქოს ურცხვობისა და აღვირახსნილი მხიარულების ღუმელად იქცა, სადაც ყოველი ბაგე ღრიალებდა, ყოველი სახე იმანჭებოდა, ყოველი სხეული იგრიხებოდა. უცნაური სახეები, რომლებიც კბილების ღრჭენით რიგრიგობით ჩნდებოდნენ სარკმელში, აგიზგიზებულ კოცონში გადატყორცნილ მუგუზლებს მოგაგონებდათ. ამ აბობოქრებულ ბრბოს ღუმელიდან ამოვარდნილი ორთქლივით აღმოხდებოდა ხოლმე გაურკვეველი გუგუნი, მკვეთრი, ყურისწამღები და გამგმირავი. - ოი, დასწყევლოს ღმერთმა!

- ერთი ამ სიფათს შეხედეთ!

- ეგ ისეთი არაფერია!

- აი, ეს ნახეთ!

- გილიომეტა მოგერეპიუ, ერთი შეხედე ამ ხარის დრუნჩს, რქებიღა აკლია. ეს ხომ შენი ქმარია! - აგერ კიდევ მეორე!

- ვფიცავ პაპის ღიპს! ეს რა სიფათია?

- ჰეი, თაღლითობა არ მოდის. მარტო სახე გვიჩვენე!

- ეს, ალბათ, წყეული პერეტა კალბოტია! ამისთანა რაღაცები მას ეხერხება. - დიდება! დიდება!

- სიცილისგან ვკვდები, მეტი აღარ შემიძლია!

- ერთი იმას შეხედე, ნახვრეტში ყურები არ ეტევა!

ამ აღვირახსნილ ღრეობაში მკვეთრად გამოირჩეოდა ჟანი. იგი წარმოუდგენლად შმაგობდა და მძინვარებდა. პირი ფართოდ დაეღო და ღრიალებდა. ისეთი მჭექარე ხმა ჰქონდა, რომ ადამიანის სმენის აღქმის უნარს აღემატებოდა.

რაც შეეხება სასოწარკვეთილ გრენგუარს, მალე გონს მოეგო, გამხნევდა, გადაწყვიტა მარცხს მედგრად დახვედროდა.

- განაგრძეთ! - უკვე მესამედ ეუბნებოდა იგი მსახიობებს და მარმარილოს წინ ბოლთას ცემდა. უეცრად სურვილი დაებადა, სამლოცველოს სარკმელში თვითონაც გაეყო თავი, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უმადურ ხალხს დამანჭვოდა, „მაგრამ არა, ეს ჩვენ არ შეგვფერის, არავითარი შურისძიება, ვიბრძოლოთ ბოლომდე, - იმეორებდა იგი, - პოეზიას დიდი ძალა და გავლენა აქვს. ისინი გონზე უნდა მოვიყვანო. ვნახოთ, რომელი გაიმარჯვებს - მანჭვა-გრეხა თუ კაზმული სიტყვიერება!“ მაგრამ ვაი, რომ საკუთარი პიესის ერთადერთი მაყურებლი თვითონ იყო. თუმცა არა, ის სქელო, რომელსაც კრიტიკულ მომენტში ერთხელ უკვე ეთათბირა, წარმოდგენას უყურებდა. რაც შეეხება ჟისკეტსა და ლიენარდს, დიდი ხანია გაპარულიყვნენ. ერთადერთი ერთგული მაყურებლის დანახვაზე გრენგუარს გული აუჩუყდა. მიუახლოვდა, ხელი ოდნავ დაადო. კეთილი კაცი კი მოაჯირს დაყრდნობოდა და თვლემდა. - მუსიე, - უთხრა გრენგუარმა, - მადლობელი ვარ.

- რისთვის მიხდით მადლობას, მუსიე? - მიუგო მთქნარებით სქელომ. - ვხედავ, თავი მოგაბეზრათ ამ საშინელმა ხმაურმა, რომელიც ხელს გიშლით მოუსმინოთ თქვენთვის სასიამოვნო პიესას, - უთხრა პოეტმა, - მაგრამ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ: თქვენი სახელი მომავალ თაობებს გადაეცემა. ნება მიბოძეთ, თქვენი სახელი გავიგო, მუსიე! - რენო შატო, პარიზის სასამართლოს ბეჭდის მცველი, მზად ვარ გემსახუროთ. - მუსიე, აქ მხოლოდ თქვენ ბრძანდებით მუზების დამფასებელი, - უთხრა გრენგუარმა. - თქვენ მეტისმეტად თავაზიანი ბრძანდებით, მუსიე, - უპასუხა სასამართლოს ბეჭდის მცველმა.

- მხოლოდ თქვენ უსმენდით პიესას, - განაგრძო გრენგუარმა, - მოგწონთ? - ჰმ! ჰმ! - უპასუხა ნახევრადგამოფხიზლებულმა მოხელემ, - მართლაც თავშესაქცევია. გრენგუარი ამ ხოტბით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან ტაშის გრიალსა და უჩვეულო ყიჟინაში საუბრის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ქილიკების პაპი უკვე აერჩიათ. - დიდება! დიდება! დიდება! - ღრიალებდა ბრბო.

მართლაც, ისეთი გასაოცარი სიმახინჯე გამოჩნდა სარკმელში, რომ საყოველთაო მოწონება და აღტაცება გამოიწვია. თვით მეტრ კოპენოლიც კი ტაშს უკრავდა. მისი სიმახინჯისა და უსახურობის აღწერა შეუძლებელია, თუმცა შევეცდები. პაწაწინა მარცხენა თვალს ჯაგარივით წითური წარბი ჩამოფარებოდა, მარჯვენა თვალი კი ვეება მეჭეჭქვეშ სრულიად არ ჩანდა. უსწორმასწორო, ჩამტვრეული და მეჩხერი კბილები კოშკის ქონგურებს მიუგავდა, გახეთქილ და დაკოჟრებულ ტუჩზე სპილოს ეშვისებრი ღოჯი მოუჩანდა, ნიკაპი ორად ჰქონდა გაყოფილი. მის საშინელ სახეზე ერთდროულად იხატებოდა გაბოროტება, გაოცება და სევდა.

მოწონება ერთსულოვანი იყო, ყველა აღტაცებული ყიჟინით მიესალმა. ბრბო სამლოცველოს მიაწყდა და ზეიმით გამოიყვანა ქი-

ლიკების ნეტარი პაპი. აქ კი ხალხის განცვიფრებამ და აღტაცებამ მწვერვალს მიაღწია - დამანჭული სახე მისი ნამდვილი სახე იყო. უფრო სწორად, მთელი მისი არსება სიმახინჯეს წარმოადგენდა. ჯმუხი, ჩასკვნილი, ოთხკუთხა, თითქმის ერთი და იმავე სიგანისა და სიმაღლის ვეება არსებას თავს აბურძგნული, ჯაგარივით წითური თმა უფარავდა, ზურგზე უშველებელი კუზი გაწონასწორებული იყო მეორე, მოპირდაპირე კუზით მკერდზე. თეძოები ისე უცნაურად ამოვარდნოდა, რომ ფეხების ერთმანეთთან მიტანა მხოლოდ მუხლებთან შეეძლო; თუ წინიდან შეხედავდით, სახელურებით შეერთებულ ორ ნამგალს მოგაგონებდათ; ფართო ტერფები და ურჩხულივით ხელები ჰქონდა. მიუხედავად ამგვარი სიმახინჯისა, მაინც რაღაც შემზარავი ძალ- ღონის, სიმარჯვისა და სიმამაცის გამოხატულებას წარმოადგენდა. თითქოს დამსხვრეული იყო და ხელახლა უშნოდ შეაკოწიწესო.

როდესაც სამლოცველოს კარიბჭეზე ციკლოპისმაგვარი არსება გამოჩნდა, ბრბომ მაშინვე იცნო - ვერცხლის ზანზალაკებით მოჭედილი ნახევრად წითელი, ნახევრად იისფერი, განიერი წამოსასხამისა და უფრო კი სიმახინჯის გამო.

ყველამ ერთხმად იყვირა:

- ეგ კვაზიმოდოა, ზართამრეკავი! კვაზიმოდო, კუზიანი, პარიზის ღვთისმშობლის მნათე! კვაზიმოდო ცალთვალა! ბრუციანი! კვაზიმოდო ფეხებდაბრეცილი, კოჭლი! დიდება! დიდება! ჩანს, საბრალოს უხვად ჰქონდა მეტსახელები.

- ერიდეთ, ორსულო ქალებო! - გაჰკიოდნენ სტუდენტები.

- ისინიც, ვინც დაორსულებას აპირებთ! - დაუმატა ჟანმა. ქალები სახეზე ხელებს იფარებდნენ. - ოჰ! რა საძაგელი მაიმუნია! - თქვა ერთმა.

- ისეთივე ავია, როგორც მახინჯი, - განაგრძო მეორემ.

- ხორცშესხმული ეშმაკია, - ჩაურთო მესამემ.

- სამწუხაროდ, ღვთისმშობლის ტაძართან ვცხოვრობ და მესმის, როგორ დაძრწის ღამღამობით სახურავზე.

- კატებთან ერთად.

- იგი მუდამ ჩვენს ბანზეა.

- ის საკვამურიდან ჯადოს გვიკეთებს.

- ერთ საღამოს ჩემს სარკმელში შემოყო თავი. საშინლად შემეშინდა. - დარწმუნებული ვარ, ღამღამობით კუდიანების თავყრილობაზე მიფრინავს. ერთხელ ცოცხი ჩემს სახურავზე დარჩენოდა.

- ოი, კუზიანის საზიზღარო სიფათო!

- ოი, ბილწო, ავყია სულო!

- ფუი ეშმაკს!

მამაკაცები, პირიქით, აღტაცებული იყვნენ და ტაშს უკრავდნენ. კვაზიმოდო კი, მთელი ამ აურზაურისა და ალიაქოთის მიზეზი, ეკვდერის ზღურბლზე იდგა, პირქუში, სერიოზული და ყველას ნებას აძლევდა მისი ცქერით დამტკბარიყო. სტუდენტი რობერ პუსპენი ძალიან მიუახლოვდა და მის ცხვირწინ გადაიხარხარა. კვაზიმოდოს კრინტი არ დაუძრავს, ისე სწვდა ქამარში, ასწია და ასე, ათ ნაბიჯზე ხალხში გადაისროლა.

განცვიფრებული და აღტაცებული კოპენოლი მასთან მივიდა.

- ჯვარო უფლისაო! წმინდაო მამაო! შენისთანა დიდებული სიმახინჯე ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. შენ ღირსი ხარ პაპის წოდება მოგენიჭოს არა მარტო პარიზში, არამედ რომშიც, - უთხრა და მხარზე ხელი მხიარულად დაარტყა. კვაზიმოდო არც განძრეულა. კოპენოლმა განაგრძო: - შენ სწორედ ისეთი ჯეელი ხარ, რომელთანაც ქეიფი გულით მინდა, თუნდაც თორმეტ ლივრად დამიჯდეს. რას იტყვი?

კვაზიმოდომ არ უპასუხა.

- ჯვარო უფლისაო! - თქვა მეწინდემ, - დაყრუვდი?

კვაზიმოდო მართლაც ყრუ იყო. მაგრამ კოპენოლის ჩაციებამ კვაზიმოდოს მოთმინება დააკარგვინა; უეცრად მისკენ მიბრუნდა და ისე საზარლად გააღრჭიალა კბილები, რომ ფლამანდიელმა გოლიათმა უკან დაიხია, როგორც ბულდოგმა კატის წინაშე. ამ უცნაური პიროვნების ირგვლივ, შიშისა და პატივისცემის გამო, შეიკრა წრე, რომლის რადიუსი თხუთმეტი ნაბიჯი მაინც იქნებოდა.

ვიღაც დედაბერმა მეტრ კოპენოლს უთხრა, კვაზიმოდო ყრუაო.

- ყრუა? - თქვა მეწინდემ და ხმამაღლა, ფლამანდიურად გადაიხარხარა, - ჯვარო უფლისაო! ეს ხომ სრულყოფილი პაპია!

- ჰეი, მე ვიცნობ მაგას! - იყვირა ჟანმა, რომელიც სარკმლიდან ჩამოვიდა, რომ უფრო ახლოს დაენახა კვაზიმოდო, - ეს ჩემი ძმის, არქიდიაკონის ზართამრეკავია. გამარჯობა, კვაზიმოდო! - კაცი კი არა, ტარტაროზია, ეშმა! - თქვა რობერ პუსპენმა, რომელიც დაცემისგან ჯერ კიდევ გაბრუებული იყო, - შეხედავ, კუზიანია; გაივლის, კოჭლია; გიყურებს, ბრუციანია; დაელაპარაკები, ყრუა. ენა თუ აქვს? - ლაპარაკობს, თუ მოინდომა, - თქვა დედაბერმა. - ზარების რეკვამ დააყრუა, თორემ მუნჯი როდია.

- ეგღა აკლია, - შენიშნა ჟანმა.

- ერთი თვალი ზედმეტი აქვს, - ჩაურთო რობერ პუსპენმა. ამ დროს მათხოვრებმა, მსახურებმა და ჯიბგირებმა სტუდენტებთან ერთად მოსამართლეთა კარადიდან მუყაოს ტიარა და ქილიკების პაპის სასაცილო მანტია ზეიმით გადმოიღეს. კვაზიმოდომ ზვიადი მორჩილებით მათ ნება დართო შეემოსათ იგი. შემდეგ ჭრელ საკაცეზე დასვეს, რომელიც ქილიკების ძმობის თორმეტმა წევრმა მხრებზე გაიდო. ერთგვარი მწარე და დამცინავი სიხარულით გაუბრწყინდა ხეიბარს პირქუში სახე, როცა მან თავის დაგრეხილ ფეხებთან ნაზი და წარმოსადეგი ვაჟკაცების თავები დაინახა. მერე, წესი-

სამებრ, ვიდრე ქუჩებში გადაინაცვლებდა, მათხოვართა პროცესია ღრიალითა და ყაყანით სასახლის გრძელი ტალანების შემოსავლელად გაემართა.

1.6. ესმერალდა[1]

ამ სცენის დროს გრენგუარიცა და მისი პიესაც მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. გრენგუარის ჩიჩინითა და ძალდატანებით, მსახიობები შეუწყვეტლივ წარმოთქვამდნენ მის ლექსებს და ისიც გულმოდგინედ უსმენდა. პოეტი ბედს კი შეურიგდა, მაგრამ გამაყრუებელ ხმაურს მაინც არ ეპუებოდა. ის იმედს არ კარგავდა, რომ ხალხის ყურადღებას კვლავ მიიპყრობდა. იმედი კიდევ უფრო გაუცხოველდა, როცა დარბაზიდან ხმაურითა და ღრიალით გავიდნენ კვაზიმოდო, კოპენოლი და ქილიკების პაპის დამთხვეული ამალა. მათ გახელებული ბრბო მისდევდა. - ძალიან კარგი, ყველა ხელისშემშლელი წავიდა, - ჩაილაპარაკა გრენგუარმა, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი დარბაზი თვალის დახამხამებაში თითქმის დაცარიელდა. მხოლოდ ალაგ-ალაგ შემორჩენილიყო რამდენიმე მაყურებელი, უმთავრესად ქალები, მოხუცები ან ბავშვები, რომელთაც ღრიანცელი და აურზაური მობეზრებოდათ. რამდენიმე სტუდენტი მოაჯირებსა და ფანჯრების რაფებს კიდევ შემორჩენოდა. ისინი მოედანს გადაჰყურებდნენ. - რა გაეწყობა! - გაიფიქრა გრენგუარმა, - ესენიც საკმარისია, რომ ჩემი მისტერიის დასასრული მოისმინონ. ცოტანი კი არიან, მაგრამ, სამაგიეროდ, რჩეული და განათლებული საზოგადოებაა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაირკვა, რომ სიმფონია, რომელსაც დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ყოვლადწმიდა ქალწულის გა-

[1] *la Esmeralda (ესპ.) - ზურმუხტი.*

მოსვლისას, ვერ შესრულდებოდა, რადგან ყველა მუსიკოსი ქილიკების პაპის პროცესიას გაჰყოლოდა!

- უმუსიკოდაც იოლად გავალთ, - თქვა გრენგუარმა ნაძალადევი სიმშვიდით. იგი მოქალაქეთა ჯგუფს მიუახლოვდა. ეგონა, მის პიესაზე მსჯელობდნენ, მაგრამ ყური მოჰკრა საუბრის ფრაგმენტს: - მეტრ შენეტ, თქვენ იცით, რომ ნავარის სასახლე მუსიე დე ნემურს ეკუთვნოდა? - დიახ, ბრაკის სამლოცველოს პირდაპირ დგას.

- ჰოდა, ეგ სახლი ამას წინათ სახელმწიფო ხაზინამ წელიწადში ექვს პარიზულ ლივრად და რვა სუდ მხატვარ გილიომ ალიქსანდრს მიაქირავა.

- როგორ გაძვირდა ქირა!

„მართლაც! - ამოიოხრა გრენგუარმა, - ალბათ, სხვები უსმენენ ჩემს პიესას“. - ბიჭებო! - იყვირა უცებ ფანჯრის რაფაზე მოკალათებულმა ერთ-ერთმა ალგაზრდა ოინბაზმა, - ესმერალდა, ესმერალდაა მოედანზე!

სიტყვამ მაგიურად იმოქმედა დარბაზში დარჩენილებზეც. მის დასანახად - ფანჯრებს მიაწყდნენ, კედლებს ეპოტინებოდნენ და თან იმეორებდნენ: „ესმერალდა! ესმერალდა!“ ამ დროს გარედან ტაშის გრიალი მოისმა.

- ეს რაღაა, რას ნიშნავს „ესმერალდა?“ - თქვა გრენგუარმა და სიმწრისგან ხელები დამუჭა, - ოოჰ, ღმერთო ჩემო! როგორც ჩანს, ახლა ფანჯრებში ცქერის დრო დადგა! როცა მარმარილოსკენ მიბრუნდა, დაინახა, რომ წარმოდგენა შეწყვეტილიყო და იმის ნაცვლად, რომ სცენაზე გამოსულიყო, იუპიტერი სცენის დაბლა უძრავად იდგა. - მიშელ ჟიბორნ! - უყვირა გაბრაზებულმა პოეტმა, - რას აკეთებ მანდ? ახლა შენი როლია! ადი მაღლა!

- სამწუხაროდ, - თქვა იუპიტერმა, - ვიღაც სტუდენტმა კიბე წაიღო. გრენგუარმა შეამჩნია, რომ კიბე მართლაც აეღოთ, ანუ კავშირი პიესის კვანძსა და ეპილოგს შორის გაწყვეტილიყო.

- არამზადა! - წაიბუტბუტა მან,- რატომ წაიღო კიბე?

- ესმერალდა რომ დაინახოს, - უპასუხა საცოდავად იუპიტერმა. ეს უკანასკნელი ლახვარი იყო, რომელსაც გრენგუარმა უდრტვინველად მიუშვირა მკერდი. - ეშმაკსაც წაუღიხართ! - უთხრა მან მსახიობებს. - თუ გადამიხადეს რამე, თქვენც აგინაზღაურებთ.

და თავდახრილმა ყველაზე ბოლოს დაიხია უკან, როგორც ომწაგებულმა მამაცმა გენერალმა. მართლმსაჯულების სასახლის მიხვეულ-მოხვეულ კიბეებზე რომ ჩადიოდა, ჩუმად ბუზღუნებდა: „ეს პარიზელები ვირებისა და ხეპრეების ნამდვილი ბრბოა! მოვიდნენ მისტერიის მოსასმენად და არ უსმენენ. მათ ყველაფერი ართობთ, კლოპენ ტრუილფუცა და კარდინალიც, კოპენოლიცა და კვაზიმოდოც, თვით ეშმაკიც, მაგრამ არა ყოვლადწმიდა მარიამი! ეს რომ მცოდნოდა, გაჩვენებდით დოყლაპიებო! სახეების სანახავად მოვედი და ზურგების მეტი ვერაფერი ვნახე. გაგონილა, პოეტი იყო და მეაფთიაქის წარმატება გხვდეს წილად?! თუმცა, ჰომეროსიც ხომ მოწყალებას თხოულობდა. ეშმაკმა დამლახვროს, არ მესმის, რა უნდათ, რომ თქვან ამ „ესმერელდათი“, რას ნიშნავს ეს სიტყვა? ალბათ, ბოშაა!“

2.1. ქარიბდიდან სცილაში

იანვარში ადრე ღამდება. როდესაც გრენგუარი სასახლიდან გამოვიდა, უკვე ბნელოდა. სიბნელე სიამოვნებას ჰგვრიდა, ერთი სული ჰქონდა, რომელიმე ბნელ, მიყრუებულ, ვიწრო ქუჩამდე მიეღწია, რათა იქ ყველაფერი კარგად გაეანალიზებინა და ფილოსო-

ფოსს პირველი მალამო დაედო პოეტის ჭრილობაზე. ახლა ფილოსოფია მისი ერთადერთი თავშესაფარი იყო, რადგან არ იცოდა, ღამე სად გაეთია. პიესის აშკარა მარცხის შემდეგ ვერ ბედავდა დაბრუნებულიყო ბინაში, რომელიც მდინარის პირას, გრენიე-სურ-ლოს ქუჩაზე ეჭირა; იმედი აღარ ჰქონდა, რომ მუსიე უფროსი მოსამართლისგან საქორწინო თხზულებისთვის გასამრჯელოს მიიღებდა და მეტრ გილიომ დუ-საირს, პირუტყვის გადასახადთა ამკრეფს ექვსი თვის ბინის ქირას გადაუხდიდა - თორმეტ პარიზულ სუს, თორმეტჯერ იმაზე მეტს, რაც საერთოდ ებადა: ქუდის, პერანგისა და მისი ამხანაგის ჩათვლით. დროებით თავი შეაფარა ხაზინადრის საპატიმროს პატარა ჭიშკარს სენ-შაპელთან, ერთ წუთს ჩაფიქრდა, სად გაეთია ღამე - მას მხოლოდ პარიზის რომელიმე ქვაფენილის ამორჩევა შეეძლო. უცებ გაახსენდა, გასულ კვირას, სავატერიის ქუჩაზე პარლამენტის მრჩევლის სახლს რომ ჩაუარა, ჭიშკართან ერთი ქვის ლოდი შენიშნა, რომელსაც ჯორზე შესაჯდომად იყენებდნენ. მაშინ გაიფიქრა, თუ გამიჭირდა, ეს საუკეთესო ყურთბალიშად გამომადგებაო. გრენგუარმა ღმერთს მადლობა უძღვნა ესოდენ კარგი აზრის ჩაგონებისათვის; მაგრამ, ის-ის იყო მოედნის გადაკვეთა დააპირა, რომ ქილიკების პროცესია მართლმსაჯულების სასახლიდან გამოვიდა და საშინელი ღრიალით, ანთებული ჩირაღდნებითა და მუსიკით პირდაპირ გრენგუარისკენ გაემართა. ამ სანახაობამ კვლავ გაუღიზიანა შელახული თავმოყვარეობა და იქაურობას სწრაფად გაშორდა. დრამატულმა მარცხმა ისე გაამწარა, რომ ყველაფერი, რაც კი დღევანდელ ზეიმს უკავშირდებოდა, აღიზიანებდა, ჭრილობას უხსნიდა. სენ- მიშელის ხიდისკენ წავიდოდა, მაგრამ იქ ბავშვები დარბოდნენ ანთებული შუშხუნებით. - ჭირსაც წაუღია საზეიმო ჩირაღდნები! - თქვა გრენგუარმა და ზარაფთა ხიდისკენ გადაუხვია. ხიდის თავში, სახლებზე გამოკიდულ სამ ბაირაღზე გამოსახული იყ-

ვნენ მეფე, ტახტის მემკვიდრე და მარგარიტა ფლამანდიელი. ჩირაღდნებით განათებულ ექვს პატარა ალამზე კი მხატვარს ჰერცოგი ავსტრიელი, კარდინალი ბურბონელი, მუსიე დე ბოჟიო, მადამ ჟანა დე ფრანსი, ჰერცოგ ბურბონელის უკანონო შვილი დაეთითხნა... ბრბო აღტაცე ბული იყო.

- რა ბედნიერია მხატვარი ჟოან ფურბო! - გრენგუარმა ღრმად ამოიოხრა. და აქაურობასაც ზურგი შეაქცია. მის წინ გაჭიმული ქუჩა ისეთი ბნელი და მიყრუებული ეჩვენა, რომ იმედი მიეცა, აქ მაინც დავაღწევ თავს დღესასწაულის ხმაურსო. ქუჩას გაუყვა. რამდენიმე წუთის შემდეგ ფეხი რაღაცას წამოჰკრა, წაიბორძიკა და დაეცა. არყის ხის ტოტების კონა იყო, რომელიც სასამართლოს გადამწერებმა დილით სასამართლოს თავმჯდომარის კართან ამ დღის სადიდებლად დადეს. გრენგუარმა ამ უსიამოვნო შემთხვევასაც გმირულად გაუძლო. წამოდგა და მდინარის ნაპირთან მივიდა. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპყრობილე უკან მოიტოვა, სამეფო ბაღების დიდი კედლების გასწვრივ ქვიშიანი, მოუკირწყლავი შარაგზა გაიარა, ტალახი კოჭებამდე სწვდებოდა; სიტეს დასავლეთ ნაწილს მიაღწია და რამდენიმე ხანს პატარა კუნძულ „ძროხის მებორნეს“ უცქირა, რომელსაც მისგან მდინარის თეთრად მოციმციმე ზოლი აშორებდა, სიბნელეში რაღაც შავ მასად ეჩვენა, მკრთალ სინათლეზე კაცი სკის მაგვარ ქოხს გაარჩევდა, სადაც ღამღამობით თავს აფარებდა ძროხების გადამყვანი მებორნე. „ეეჰ, ბედნიერო მებორნევ! - გაიფიქრა გრენგუარმა, - შენ არ ოცნებობ დიდებაზე და არც საქორწინო თხზულებებს წერ! შენ არ გაღელვებს მეფეები ვისზე ქორწინდებიან, არც ბურგუნდიელი ჰერცოგის ასულები! შენ არაფერი იცი იმ ბალახის გარდა, რომელსაც აპრილში შენი ძროხები ძოვენ! მე კი დაწუნებული პოეტი ვარ! სიცივისგან ვკანკალებ, თორმეტი სუ ვალად მაწევს და ფეხსაცმლის ლანჩიც ისე გაილია, რომ შენი ლამ-

პის შუშის მაგივრობას გასწევს. გმადლობთ, მებორნევ, შენს ქოხს რომ ვუყურებ, ვმშვიდდები და პარიზი მავიწყდება“, - ამ თითქმის ლირიკული ექსტაზიდან პოეტი სენჟენის დიდი პეტარდის ჭექამ გამოაფხიზლა, რომელიც ნეტარი ქოხის მხრიდან გაისმა. როგორც ჩანს, არც მებორნეს სურდა სხვებს ჩამორჩენოდა და თავს ფეიერვერკით ირთობდა. პეტარდის ხმაზე გრენგუარი შეკრთა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა. - ღმერთმა დასწყევლოს ეს დღესასწაული! - წამოიძახა მან, - ნუთუ ყველგან უნდა მდიოს, ოჰ, ღმერთო ჩემო! თვით მებორნის ქოხთანაც კი არ მეშვება! მერე სენას გადახედა და საშინელმა ცდუნებამ შეიპყრო. - ოჰ, - თქვა მან, - სიამოვნებით დავიხრჩობდი თავს, წყალი რომ ძალიან ცივი არ იყოს! სასოწარკვეთილმა გადაწყვიტა: რაკი ქილიკების პაპს, ჟოან ფურბოს ალმებს, არყის ხის ტოტებს, ჩირაღდნებსა და პეტარდებს თავი ვერ დავაღწიე, უკეთესია საზეიმო ორომტრიალს შევუერთდეო და გრევის მოედნისკენ გასწია. - „ცეცხლთან მაინც გავთბები, - გაიფიქრა მან, - სადღესასწაულო კოცონიდან კი მუგუზალი მაინც მერგება. იქნებ ვახშმად ორიოდე ლუკმასაც გამოვრჩე იმ სამი უზარმაზარი, სამეფო გერბის ფორმის ტკბილი ღვეზელიდან ხალხის თვალმოსაჭრელად ქალაქის ფარდულის წინ რომ გამოუდგამთ.“

2.2. გრევის მოედანი

მაშინდელი გრევის მოედნიდან დღეს მხოლოდ კოშკია შემორჩენილი, რომლის ხუროთმოძღვრული სამკაულების მახვილი წახნაგები საძაგელი წებოვანი საღებავით შეუთითხნიათ. ალბათ, მას მალე შთანთქავს ახალი ნაგებობანი, რომლებიც პარიზის ძველ ფასადებს საკმაოდ სწრაფი ტემპით ფარავს. ადამიანები, რომლებიც გულგრილად ვერ ჩაუვლიან ლუი XV-ის დროინდელ ორ, ქოხივით

უბადრუკ სახლს შორის ჩაჭედილ საბრალო კოშკს, ადვილად წარმოიდგენენ გოტიკური შენობების იმ ანსამბლს, რომელიც მოედანს ფარავდა: დღისით დატკბებოდით ამ შენობების ნაირფეროვნებით, ქვისა თუ ხის ქანდაკებებით, რომლებიც შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ხუროთმოძღვრული სტილის სრულქმნილ ნიმუშებს წარმოადგენდა; ღამით მხოლოდ სახურავების შავ დაკბილულ კიდეებს შეამჩნევდით, რომლებიც მოედანს მახვილი კუთხეების ჯაჭვივით შემოვლებოდა.

მოედნის აღმოსავლეთით, შუაში იდგა, სამი ერთმანეთზე მიჯრილი ტლანქი და ნარევი სტილის შენობა, რომელთა სახელები მათ ისტორიაზე, დანიშნულებასა და არქიტექტურაზე მიანიშნებდა: „დოფინის სახლი“ - მასში ტახტის მემკვიდრე შარლ V ცხოვრობდა; ქალაქის თვითმმართველობის შენობა და „სვეტებიანი სახლი“, რომლის სამი სართული სქელი სვეტების მწკრივს ეყრდნობოდა. აქ ნახავდით ყველაფერს, რაც კი სჭირდებოდა ისეთ ქალაქს, როგორიც პარიზი იყო: სამლოცველოს, რათა აღევლინათ უფლის ლოცვა; სასამართლოს, რათა დაესაჯათ მეფის ქვეშევრდომნი და ცეცხლსასროლი იარაღით სავსე „არსენალს“. პარიზელებმა იცოდნენ, რომ მხოლოდ წირვა-ლოცვა და სასამართლო როდი დაიცავდა თავისუფალ ქალაქს, ამიტომ თვითმმართველობის შენობის სხვენზე სათადარიგოდ შემონახული ჰქონდათ ჟანგიანი არკებუზები. მას შემდეგ გრევის მოედანი საშინელ მოგონებებს აღძრავს. ასეთივე იყო ქალაქის თვითმმართველობის პირქუში შენობა, რომელმაც „სვეტებიანი სახლი“ შეცვალა. უნდა ითქვას, რომ სახრჩობელა და სამარცხვინო ბოძი, - „მართლმსაჯულება და კიბე“, როგორც მაშინ ამბობდნენ, - ქვაფენილის შუაში გვერდიგვერდ აღმართულიყო. გამვლელი იძულებული იყო თვალი აერიდებინა ამ ავბედითი მოედნისთვის, სადაც უამრავმა ჯან-ღონითა და სიცოცხლით სავსე ადამიანმა

უკანასკნელად გაიბრძოლა სიკვდილის კლანჭებში; სადაც ორმოცდაათი წლის შემდეგ გაჩნდა „სენ-ვალიეს ციებ-ცხელება[1]“- ეშაფოტის შიშით გამოწვეული სენი, უსაზარლესი და უსაზიზღრესი ყველა სენთა შორის.

ნუგეშისმომცემია, რომ კანონთა კრებულებიდან გაქრა სიკვდილით დასჯა, რომელსაც სამასი წლის წინ თავისი რკინის ბორბლებით, სახრჩობელებით, ყოველგვარი საწამებელი იარაღით გაევსო და ჩაეხერგა გრევის მოედანი, დახურული ბაზრის მოედანი, პრინცის მოედანი, ტრაურის გზაჯვარედინი, ბილწი მონფოკონი, სენ-დენის ჭიშკარი, ბოდეს ჭიშკარი, თუ არ ჩავთვლით უამრავ სახრჩობელას, აღმართულს პრევოების[2], ეპისკოპოსების, კაპიტულების, აბატებისა და წინამძღვრების მიერ, ვისაც კი გასამართლების უფლება ჰქონდა; თუ არ ჩავთვლით სასამართლო განაჩენის საფუძველზე დამნაშავეთა დახრჩობას სენაში; სანუგეშოა, რომ ფეოდალური საზოგადოების ამ ძველთაძველ მებატონეს, მას მერე, რაც თანდათან დაკარგა თავისი აბჯარ-საჭურველი, სასჯელთა სიუხვე, დასჯის საკუთარი სისტემა, როგორიც კი შეუძლია წარმოიდგინოს ადამიანის ფანტაზიამ, ჩვენს უსაზღვრო პარიზში გრევის მოედნის მხოლოდ ერთი სამარცხვინო კუთხეღა შემორჩა, უბადრუკი, იდუმალი, მიმალული, მოუსვენარი, დარცხვენილი გილიოტინა, რომელიც ჯერ დანაშაულს ჩადის, ხოლო შემდეგ სწრაფად ქრება, თითქოს ეშინია, დანაშაულზე არ წამასწრონო.

---

[1] *ასე ეძახდნენ იმ თავზარდამცემ შიშს, რომელიც გამოიწვია ფრანც I-ის წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზატორის, სენ-ვალიეს თავის მოკვეთამ ეშაფოტზე.*

[2] *პრევო - უმაღლესი მოსამართლე ძველ საფრანგეთში.*

2.3. BESOS PARA GOLPES[1]

პიერ გრენგუარმა გრევის მოედანს რომ მიაღწია, მთლად გათოშილი იყო. გეზი მეწისქვილეების ხიდისკენ აიღო, რათა ზარაფების ხიდზე გამართული ღრიანცელისა და ჟოან ფურბოს ალმებისთვის თავი აერიდებინა; ის-ის იყო ხიდზე გადადიოდა, რომ ეპისკოპოსის წისქვილის ბორბლებმა კამზოლი დაუსველა; ამცივნებდა, ეგონა, პიესის მარცხმა უფრო მცივანა გამხადაო. საჩქაროდ მიუახლოვდა მოედნის შუაგულში საუცხოოდ მოგიზგიზე კოცონს, რომელსაც ბრბო მჭიდროდ შემოხვეოდა.

- შეჩვენებული პარიზელები! - ჩაილაპარაკა თავისთვის, - ახლა ცეცხლთან არ მიშვებენ, არადა ძალიან მჭირდება მცირე კუნჭული გასათბობად. ფეხსაცმელი წყლით გამეჟღინთა; ამ წყეულმა წისქვილებმაც ხომ სიბრალულის ცრემლები გადმომაფრქვიეს. ეშმაკსაც წაუღია პარიზის ეპისკოპოსი თავისი წისქვილებით! ნეტავ ვიცოდე, რად უნდა ეპისკოპოსს წისქვილი? იქნებ უნდა ეპისკოპოსობა მეწისქვილეობაზე გაცვალოს? და თუ ამისთვის მხოლოდ ჩემი წყევლა-კრულვა აკლია, სიამოვნებით ვუგზავნი მასაც, მის ტაძარსაც და წისქვილებსაც! ვნახოთ ერთი, თავს თუ შეიწუხებენ ეს ყვავები და მიიწმოიწევიან! ნეტავ, იქ რას აკეთებენ? - თბებიან: საუცხოო სიამოვნებაა! უყურებენ, როგორ გიზგიზებს ასეულობით გუდურა[2]; მშვენიერი სანახაობაა.

ახლოს რომ მივიდა, შენიშნა, რომ წრე უფრო ფართო იყო, ვიდრე სამეფო ხარჯით მოგიზგიზე კოცონთან გათბობის მსურველებს სჭირდებოდათ. ამდენ მაყურებელს კოცონის საცქერლად როდი მოეყარა თავი. ბრბოსა და კოცონს შორის საკმაოდ დიდ ადგილზე

---

[1] *კოცნა დარტყმის წილ.*
[2] *ერთი შეკვრა შეშა.*

ახალგაზრდა ქალი ცეკვავდა. ადამიანური არსება იყო იგი, ფერია თუ ანგელოზი, თვალისმომჭრელი სანახაობით მოხიბლულმა გრენ-გუარმა, სკეპტიკოსმა ფილოსოფოსმა და ირონიულმა პოეტმა უცებ ვერ განსაზღვრა. გოგონა მაღალი არ იყო, მაგრამ ისეთი ნაზი აღნა-გობა ჰქონდა, რომ მაღალი ჩანდა. ადვილად მიხვდებოდით, რომ დღისით ანდალუზიელი და რომაელი ქალების მსგავსად, მის შავ-გვრემან კანს მშვენიერი ოქროსფერი დაჰკრავდა. მისი პაწია ანდა-ლუზიური ფეხები მის კოხტა ფეხსაცმელს საამოდ ეხამებოდა. იგი ცეკვავდა, ტრიალებდა, დაფარფატებდა ფეხქვეშ დაუდევრად გაშ-ლილ სპარსულ ხალიჩაზე. როცა მისი სხივმფრქვევი სახე მაყურებ-ლისკენ შემობრუნდებოდა და ჩაუქროლებდა, დიდრონი შავი თვა-ლები ელვასავით ანათებდა. ყველა მას მისჩერებოდა, პირდაღებუ-ლი უყურებდა. ცეკვავდა, თან დაირას უკრავდა და ქალწულებრივი მრგვალი მკლავებით თავზემოთ აჰქონდა; ტანწერწეტა, ნაზი, მკვირცხლი, კრაზანასავით სწრაფი იყო; მჭიდროდ შემოტმასნილი კაბით, შიშველი მხრებით, კოხტა ფეხებით, რომლებიც ხანდახან მოფრიალე კაბის ქვეშ უჩანდა, შავთმიანი, მგზნებარე თვალებით - ქალიშვილი ზებუნებრივ, არაამქვეყნიურ ქმნილებას ჰგავდა.

„ჭეშმარიტად, - ფიქრობდა გრენგუარი, - სალამანდრაა, ნიმფა, ფერია, ქალღმერთი, ბახუსის ქურუმი ქალი მენალეის მთიდან.“

იმ წუთს „სალამანდრას“ თმიდან ერთ-ერთი ნაწნავი ჩამოეშალა და მასზე დამაგრებული ყვითელი სპილენძის ფული მიწაზე გაგორ-და.

- ოჰ, არა, - თქვა მან, - ბოშა ქალია.

ყოველგვარი ილუზია გაქრა. გოგონამ ისევ დაიწყო ცეკვა. მიწი-დან ორი ხმალი აიღო, წვერებით შუბლზე მიიბჯინა და ერთ მხარეს დაატრიალა, ტანით კი მეორე მხარეს დატრიალდა. მართლაც, იგი ერთი უბრალო ბოშა ქალი იყო. მაგრამ, რაოდენ დიდიც უნდა ყოფი-

ლიყო გრენგუარის იმედგაცრუება, შეუძლებელია, ამ სურათს შთაბეჭდილება არ მოეხდინა მასზე, არ მოეჯადოებინა. სადღესასწაულო კოცონის კაშკაშა წითელი სინათლე მხიარულად კრთოდა ირგვლივმყოფთა სახეებზე, გოგონას შავგვრემან შუბლზე და მათ მოციმციმე ჩრდილებში არეულ მკრთალ ანარეკლს სტყორცნიდა მოედნის სიღრმეში, სვეტებიანი სახლის ძველ, ბზარებით დაღმეჭილ, პირქუშ ფასადსა და სახრჩობელის ქვის ძელებზე.

ალისფრად განათებულ ათასობით სახეს შორის იყო ერთი, რომელიც მოცეკვავე გოგონას სხვებზე მეტად გატაცებით მისჩერებოდა. ამ მკაცრი, მშვიდი და პირქუში სახის მამაკაცს შემოჯარული ბრბო ფარავდა: ოცდათხუთმეტ წლამდე იქნებოდა, მაგრამ უკვე მელოტი იყო; მხოლოდ საფეთქლებზე შემორჩენოდა მეჩხერად ჭაღარაშერეული თმა, ფართო და მაღალ შუბლზე ნაოჭები გასჩენოდა, თუმცა ღრმად ჩამჯდარ თვალებში არაჩვეულებრივად ახალგაზრდული ცეცხლი უელავდა: სიფიცხე, ცხოვრების წყურვილი, გულის სიღრმეში ჩამარხული ვნება. იმ დროს, როცა თექვსმეტიოდე წლის გიჟმაჟი გოგონა ცეკვავდა და ყველას აღტაცებას იწვევდა, მოღუშული და ჩაფიქრებული სახე კიდევ უფრო ეღუშებოდა. დროდადრო ტუჩებზე ღიმილი და ოხვრა ეხატებოდა, თუმცა ღიმილი უფრო მწარე და ნაღვლიანი ჰქონდა, ვიდრე ოხვრა.

ბოლოს აქოშინებული გოგონა შეჩერდა, ხალხი სიყვარულით უკრავდა ტაშს. - ჯალი! - დაიძახა მან.

გრენგუარმა მხოლოდ ახლა დაინახა ლამაზი, ცქვიტი, კისკასი, მბრწყინავბეწვიანი, პატარა თეთრი თხა, რომელმაც გოგონასთან მიირბინა - რქები, ჩლიქები და საყელური ოქროსფერი ჰქონდა. გრენგუარმა ის ადრე ვერ შენიშნა, რადგან ნოხის ერთ კუთხეში იწვა და პატრონს უყურებდა. - ჯალი, - უთხრა მოცეკვავე ქალმა, - ახლა შენი ჯერია.

ჯალი დაჯდა და დაირა თხას კეკლუცად გაუწოდა.

- ჯალი, - ჰკითხა გოგონამ, - წლის რა თვეა ახლა?

თიკანმა წინა ფეხი ასწია და ბარაბანს ერთხელ დაარტყა. მართლაც პირველი თვე იყო. ბრბომ ტაში დაუკრა.

- ჯალი, - ხელახლა ჰკითხა გოგონამ და დაირა გადააბრუნა, - თვის რომელი რიცხვია დღეს? ჯალიმ თავისი პაწია ოქროსფერი ჩლიქი ასწია და ექვსჯერ დაარტყა დაირას. - ჯალი, - განაგრძო ბოშა ქალმა და კვლავ გაუწოდა დაირა, - ახლა რომელი საათია? ჯალიმ ბარაბანს შვიდჯერ დაარტყა. იმ წამს „სვეტებიანი სახლის“ კოშკის საათმა შვიდჯერ დარეკა. ხალხი გაოცებული იყო.

- აქ რაღაც ჯადოქრობაა! - წარმოთქვა ავბედითმა ხმამ ბრბოში. ეს იმ მელოტი მამაკაცის ხმა იყო, ბოშა ქალს თვალს რომ არ აშორებდა.

გოგონა შეკრთა და შებრუნდა. უეცრად ტაშმა იგრიალა და უსიამოვნო შეძახილი დაფარა. ამან გოგონას მხნეობა შემატა და მძიმე სიტყვები დაავიწყა. მან კვლავ მიმართა თხას: - ჯალი, როგორ დადის მეტრ რიშარ გრან-რემი, პარიზის მსროლელთა კაპიტანი ლიტანიობაზე?

ჯალი უკანა ფეხებზე აიწია და აკიკინდა, თანაც ისეთი სასაცილო მედიდურობით გაიარა, მსროლელთა კაპიტნის ფარისევლური ღვთისმოსაობის დამცინავ მიბაძვაზე ხალხს სიცილი წასკდა. - ჯალი, - განაგრძო წარმატებით წაქეზებულმა გოგონამ, - როგორ წარმოთქვამს ქადაგებას მეფის პროკურორი მეტრ ჟაკ შარმოლიუ საეკლესიო სასამართლოში? თხა ახლა უკანა ფეხებზე დაჯდა და აკიკინდა, თანაც ისე უცნაურად აქნევდა წინა ფეხებს, რომ მის მოძრაობასა და ქცევაზე ყველას თვალწინ ჟაკ შარმოლიუ წარმოუდგა, ოღონდ უხეირო ფრანგული და ასეთივე უხეირო ლათინურიღა აკლდა.

ბრბო აღტაცებული უკრავდა ტაშს.

- ეს მკრეხელობაა, წმიდათა შებღალვაა! - კვლავ გაისმა მელოტის ხმა. ბოშა ქალი ერთხელ კიდევ მიბრუნდა მისკენ.

- აჰ! ისევ ის საზიზღარი კაცია! - წაიჩურჩულა მან და ქვედა ტუჩი აიბზუა, სახე აიმრიზა, ჩანს, ასეთი ჩვევა ჰქონდა, მერე ქუსლებზე შემოტრიალდა და დაირით ხელში ხალხს გასამრჯელოსთვის ჩამოუარა.

უხვად წამოვიდა მსხვილი თუ წვრილი ვერცხლის ფული. გოგონამ გრენგუარის წინ გაიარა; მან დაუფიქრებლად წაიღო ხელი ჯიბისკენ, გოგონა შეჩერდა. - ფუი, ეშმაკს! - წაიბუტბუტა პოეტმა, როდესაც ჯიბის სიღრმეში სიცარიელე აღმოაჩინა. ლამაზი ქალიშვილი კი იდგა და დიდრონი თვალებით შეჰყურებდა. გრენგუარს სიმწრის ოფლმა დაასხა. პერუს მთელი ოქრო და ვერცხლი რომ ჯიბეში ჰქონოდა, არც კი დაფიქრდებოდა, ისე მისცემდა მოცეკვავეს; მაგრამ გრენგუარს პერუს ოქრო და ვერცხლი არ ჰქონდა, თუმცა მაშინ ამერიკა აღმოჩენილიც არ იყო. საბედნიეროდ, იგი მოულოდნელმა შემთხვევამ იხსნა. - წაეთრევი თუ არა აქედან, შე ეგვიპტელო კალიავ? - იყვირა ვიღაცამ გამყინავი ხმით მოედნის ყველაზე უფრო ჩაბნელებული კუთხიდან.

ქალიშვილი შეშინებული შემობრუნდა. ეს იმ მელოტის ხმას არ ჰგავდა, ქალის გაშმაგებული ხმა იყო.

თუმცა ხმამ, რომელმაც იგი ასე შეაშინა, ბავშვებში სიხარული და აღტყინება გამოიწვია. - ეგ როლანდის კოშკში ჩამწყვდეული განდეგილია! - იყვირეს მათ სიცილ-ხარხარით, - ეგ ძაძიანია, რომ ბუზღუნებს! ალბათ, არ უვახშმია. ქალაქის საუზმედან ნასუფრალი მაინც მოვუტანოთ! და ბავშვებმა „სვეტებიან სახლს“ მიაშურეს.

ამასობაში გრენგუარმა მოცეკვავის შეშფოთებით ისარგებლა და გაუჩინარდა. ბავშვების ყვირილზე გაახსენდა, რომ მასაც არ ევახშმა და თვითონაც სასაუზმისკენ გასწია. მაგრამ ბავშვები მასზე ფეხ-

მარდნი იყვნენ - ტაბლა უკვე მოწმენდილი დახვდა. უბადრუკი კვერიც კი არ დაეტოვებინათ.

აუტანელია უვახშმოდ დაძინება, მაგრამ კიდევ უფრო აუტანელია, როცა კაცმა არ იცის, სად გაათიოს ღამე. სწორედ ამ მდგომარეობაში გახლდათ გრენგუარი - ულუკმაპურო და უსახლკარო; იგი ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე გაჭირვებას გრძნობდა. ფიქრობდა, რომ იუპიტერმა ადამიანები კაცთმოძულეობის ჟამს შექმნა და ბრძენი იძულებულია მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოლოს ბედის წინააღმდეგ, რომელსაც მისი ფილოსოფია თითქოს ალყაში ჰყავს მომწყვდეული. მაგრამ ასეთ სრულ გარემოცვაში იგი ჯერ არ მოხვედრილა; მისი კუჭი ჯანყდებოდა და დიდ უსამართლობად მიაჩნდა, რომ ავი ბედი მის ფილოსოფიას შიმშილით აღებას უპირებდა. ნაღვლიანი ფიქრებით შეპყრობილი გრენგუარი უეცრად უცნაურმა, თუმცა ერთობ ტკბილმა სიმღერამ გამოაფხიზლა. ახალგაზრდა ბოშა ქალი მღეროდა.

ხმაც ისეთივე მიმზიდველი ჰქონდა, როგორც ცეკვა და გარეგნობა - რაღაც გამოუთქმელად მშვენიერი, წმინდა, წკრილა, ჰაეროვანი და აღმაფრთოვანებელი. დაუსრულებლად იფრქვეოდა ბგერები, მელოდიები, მოულოდნელი კადანსები; მარტივ მუსიკალურ ფრაზებს მკვეთრი და ნარნარა ბგერები ცვლიდა, მისი ჩანჩქერივით მორაკრაკე და მაინც ჰარმონიულობით სავსე ხმები თავგზას თვით ბულბულსაც კი აუბნევდა; ოქტავების რბილი, ხავერდოვანი რხევა-ბიბინი ქალიშვილის მკერდივით ადი-ჩადიოდა. მშვენიერი სახე იშვიათი მოძრაობით გამოხატავდა მისი სიმღერის მთელ ჟინიანობას, თავშეუკავებელ აღმაფრენასა და ღირსეულ უმანკოებას. იგი ხან შეშლილი გეგონებოდათ, ხან - დედოფალი. გრენგუარმა იგრძნო, რომ თვალებიდან ცრემლი მოსდიოდა, მაგრამ გოგონას სიმღერა უმთავრესად მაინც სიხარულით სუნთქავდა; იგი ჩიტივით გალობ-

და, მშვიდად და უზრუნველად. ბოშა გოგონას სიმღერა გრენგუარის სულის სიმებს შეეხო, მიუხედავად იმისა, რომ ის მისთვის გაუგებარ ენაზე მღეროდა, ისეთი აღტაცებით უსმენდა, რომ ამქვეყნად ყველაფერი დავიწყებოდა. პირველად მხოლოდ ახლა ამოისუნთქა თავისუფლად, გადაავიწყდა, ვეღარ გრძნობდა იმ ტანჯვას, რომელსაც რამდენიმე საათია განიცდიდა. მაგრამ ეს წამიც ხანმოკლე გამოდგა. მოედნის ბნელი კუთხიდან იმავე ქალის ხმა გაისმა, რომელმაც წეღან ბოშა ქალს ცეკვა შეაწყვეტინა:

- ჩაიწყვიტე ხმა, ჯოჯოხეთის ჭრიჭინავ!

საბრალო ჭრიჭინამაც ხმა გაკმინდა. გრენგუარმა კი ყურები დაიცო. - აჰ, შე წყეულო ჩლუნგო ხერხო, ქნარის დამამსხვრეველო! - წამოიძახა მან. სხვებიც აჰყვნენ: - ეშმაკსაც წაუღია ძაძიანი!

და შესაძლოა, უჩინარ ბებერ საფრთხობელას სანანებლადაც გახდომოდა ბოშა ქალზე თავდასხმები, მსმენელთა ყურადღება ქილიკების პაპის პროცესიას რომ არ მიეპყრო, რომელსაც უკვე შემოევლო მრავალი ქუჩა, გზაჯვარედინი და ახლა ჩირაღდნებითა და ხმაურით გრევის მოედანზე შემოიჭრა (სასახლიდან გამოსული, პროცესიამ გზადაგზა წესრიგი დაამყარა და პარიზის ქურდბაცაცა, უსაქმური და მაწანწალა ხალხი შემოიკრიბა). წინ მოდიოდნენ ბოშები, რომელთაც ცხენზე ამხედრებული ბოშათა ჰერცოგი მეთაურობდა; მას ქვეითად გრაფები მოჰყვებოდნენ. უკან ჯგუფ-ჯფუფად მოსდევდნენ კაცები და ქალები, რომელთაც მხრებზე აღრიალებული ბავშვები შეესვათ. ყველანი - ჰერცოგიც, გრაფებიცა და მდაბიოებიც ძონძებითა და ზიზილ-პიპილებით იყვნენ მორთულნი. შემდეგ მოდიოდნენ მდაბიოთა სამეფოს - „არგოს“ ქვეშევრდომნი - წოდებისა და ჩინის მიხედვით დაჯგუფებული საფრანგეთის ყველა ქურდი; პირველად ყველაზე დაბალი ფენა მოდიოდა ოთხ-ოთხ მწკრივად - სხვადასხვა ნიშნით მკერდდამშვენებული უამრავი ხეიბარი,

კოჭლი, ცალხელა, ჯუჯა ჯიბგირი; ღვთისმგმობნი, ავზნიანები, ვითომ ბნედიანები, ღვთის გლახები, მაწანწალები, ცუღლუტები, თაღლითები, გაპარტახებულნი, სახლკარდამწვარნი, გაკოტრებული მეწვრილმანეები, ხუმარები, ქურდების მოზიარენი, მატყუარები, გაიძვერები, ყალთაბანდები, რომელთა ჩამოთვლა ჰომეროსსაც კი დაღლიდა. მუზმუზელების, ყალთაბანდებისა და ქურდბაცაცების კონკლავის შუაგულში ძლივს გაარჩევდით მდაბიოთა დიდ კეისარს; იგი პატარა ორთვალაზე ჩაცუცქულიყო, რომელშიც ორი დიდი ძაღლი ება. მდაბიოთა სამეფოს შემდეგ გალილეელთა სახელმწიფოს მათხოვრები მოდიოდნენ. ღვინით დასვრილ მეწამულ სამოსში გამოწყობილ მათ მეფეს, გილიომ როსოს წინ მიუძღოდნენ ლაზღანდარები და ოხუნჯები; ისინი ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ და ცეკვავდნენ, ირგვლივ კი მისი კვერთხმტვირთველნი, დამქაშები და საანგარიშო პალატის მოსამსახურენი ეხვივნენ. ბოლოს ქაჯთა ღამის თავყრილობის შესაფერისი მუსიკის თანხლებით მოდიოდა შავწამოსასხამიან სასამართლო მწერალთა წოდება, რომელთაც ხელში ყვავილებით შემკული არყის ხის ტოტები და ცვილის სანთლები ეჭირათ. ბრბოს შუაგულში ქილიკების ძმობის დიდი თანამდებობის პირებს მხრებით მოჰქონდათ საკაცე, რომელზეც სახეგაბრწყინებული იჯდა ხელში კვერთხით, თავზე მიტრით და ტანზე მანტიამოსხმული ქილიკების ახლადარჩეული პაპი - ღვთისმშობლის ტაძრის ზართამრეკავი, კვაზიმოდო-კუზიანი. ამ უცნაური პროცესიის თითოეულ ჯგუფს თავისებური მუსიკა ჰქონდა. ბოშები თავიანთ ბალაფოებსა და აფრიკულ დაირებს აბრახუნებდნენ. მდაბიოებს, ამ მეტისმეტად არამუსიკალური სმენის მოდგმის ხალხს ხელში მწყემსის ნაღარა და XII საუკუნის გოტიკური რიუბები ეჭირათ. მათგან ბევრით არ გამოირჩეოდა მათხოვართა სამეფო. მათ მუსიკაში ძლივს გაარჩევდით რამდენიმე საცოდავ, ხელოვნების ბავშვობის ხანის სამსიმიან

ჭიანურს - მხოლოდ სამი ტონი რე-ლა-მი ჰქონდა. სამაგიეროდ, ქილიკების პაპის ირგვლივ გაისმოდა დიდებული კაკაფონია, ეპოქის მთელი მუსიკალური სიმდიდრე. ყოველივე ეს შედგებოდა მაინც ზედა, საშუალო და ქვედა რეგისტრების სამსიმიანი ჭიანურებისგან, თუ არ ვიანგარიშებთ ფლეიტებსა და თითბერის საკრავებს. სამწუხაროდ, ეს გრენგუარის ორკესტრი იყო! ძნელი წარმოსადგენია ის ამაყი და ნეტარი სიხარული, რომელიც კვაზიმოდოს ნაღვლიან და მახინჯ სახეზე ასახულიყო. მან პირველად განიცადა პატივმოყვარეობის სიტკბო. დღემდე ეზიზღებოდა თავისი მდგომარეობა და საკუთარი თავი. თუმცა ყრუ იყო, თითქოს ნამდვილი პაპი ყოფილიყოს, ხალხის მხიარული მისალმებით ტკბებოდა, ხალხისა, რომელიც სძულდა იმიტომ, რომ მათ სიძულვილს გრძნობდა. მართალია, ეს ხალხი მდაბიოთა ბრბოს წარმოადგენდა, მაგრამ განა სულ ერთი არ არის? მაინც ხალხია, ის კი - მბრძანებელი. იგი სერიოზულად იღებდა ირონიულ ტაშს, სასაცილო პატივისცემას; თუმცა, ამაში ნამდვილად ერია ერთგვარი შიშიც, რადგან კუზიანი ღონიერი, მარჯვე, ყრუ, ავი და მრისხანე იყო, - აი, ის თვისებები, რაც აკავებს ირონიას. ქილიკების ახალი პაპი კარგად ვერ ერკვეოდა თავის გრძნობებში. გონებაც ისეთივე უბადრუკი ჰქონდა, როგორც სხეული, რომელშიც მისი სული ბინადრობდა. ამიტომ ყველაფერი, რასაც იგი ამ წუთს გრძნობდა, მისთვის სრულიად ბუნდოვანი იყო. მხოლოდ სიხარულსა და სიამაყეს განემსჭვალა მისი არსება. მოღუშულ, უბადრუკ სახეს თითქოს ნათელი დასდებოდა. ის-ის იყო თავისი „დიდებით“ სანახევროდ მთვრალი კვაზიმოდო ტრიუმფით გაატარეს „სვეტებიანი სახლის“ წინ, რომ უცებ ბრბოდან გამოვარდა ვიღაც განრისხებული კაცი და ხელიდან გამოგლიჯა მოოქრული ხის კვერთხი - ქილიკების პაპის ღირსების სიმბოლო. ეს გულადი კაცი ის მელოტი იყო, რომელმაც მუქარითა და სიძულვილით აღსავსე სიტყვებით საწყალი

ბოშა გოგონა დააფრთხო. მას მღვდლის სამოსი ეცვა. როცა იგი ბრბოს გამოეყო, გრენგუარმა მაშინვე იცნო, - ჰეი, შესდექ! - შესძახა გაკვირვებით, - ეგ ხომ ჩემი ჰერმეტიკის[1] მასწავლებელია, მამა კლოდ ფროლო, არქიდიაკონი! რა ჯანდაბა უნდა ამ საზიზღარი ცალთვალასგან? მას ხომ ერთ ლუკმადაც არ ეყოფა?

შიშისგან შეძრწუნებულ ხალხში კივილი გაისმა. კვაზიმოდო საკაციდან სწრაფად გადმოხტა; ქალებმა პირი იბრუნეს, რომ არ დაენახათ, როგორ გაგლეჯდა შუაზე არქიდიაკონს. კვაზიმოდო მასთან ერთი ნახტომით მიიჭრა, თვალებში შეხედა და მუხლებზე დაემხო. ხუცესმა მიტრა ააგლიჯა, კვერთხი გადაუმსხვრია და ზიზილ-პიპილებიანი მანტია დაუფხრიწა. კვაზიმოდო მუხლებზე დამხობილი დარჩა, თავი ჩაღუნა და ხელები გადააჯვარედინა. ისინი უსიტყვოდ, უცნაურად საუბრობდნენ, მინიშნებითა და ხელებით. გაბრაზებული ხუცესი მედიდურად იდგა და ემუქრებოდა. კვაზიმოდოს კი მორჩილად მოეყარა მუხლი და ევედრებოდა. თუმცა, თავისუფლად შეეძლო ერთი დარტყმით გაეჭყლიტა ხუცესი. ბოლოს არქიდიაკონმა კვაზიმოდო მხრებში მაგრად შეანჯღრია, ანიშნა წამომდგარიყო და გაჰყოლოდა. კვაზიმოდო ადგა.

პირველმა განცვიფრებამ და გაბრუებამ რომ გაიარა, ქილიკთა ძმობამ ტახტიდან უეცრად ჩამოგდებული პაპის დაცვა მოინდომა. ბოშები და მდაბიოები წკავწკავითა და ჟივილ-ხივილით ხუცესს შემოეხვივნენ. კვაზიმოდო ხუცესს წინ ჩამოეფარა, თავისი ათლეტური მოძრაობით მუშტები შემართა და თავდამსხმელთ გააფთრებული ვეფხვივით კბილების კრაჭუნით შეუბღვირა. ხუცესი კვლავ აღიჭურ-

---

[1] *გამოგონილი ავტორის, ჰერმეს ტრისმეგისტოს თეოფილოსოფიური მოძღვრება - ალქიმიის ერთ-ერთი მიმართულება. მითიური პიროვნება ჰერმეს ტრისმეგისტოსი უძველეს ეპოქაში ითვლებოდა საიდუმლო მცნიერებათა (ალქიმიის, ოქროს მიღების) გამომგონებლად.*

ვა პირქუში მედიდურობით, კვაზიმოდოს ნიშანი მისცა და უსიტყვოდ გაშორდა იქაურობას. კვაზიმოდო წინ მიდიოდა და ბრბოში გზას უკაფავდა. როდესაც ბრბოს გაშორდნენ, მათ ცნობისმოყვარეთა და უსაქმურთა ჯგუფი აედევნა. კვაზიმოდო ზურგში ამოუდგა არქიდიაკონს და თან გაჰყვა. ჯმუხი, პირქუში, ავი, საზარელი, აბურძგნული, მთლად დაძაბული და ძალ-ღონით სავსე კვაზიმოდო ტახისებურ ეშვებს ილოკავდა, მტაცებელი ნადირივით ღმუოდა, ბრდღვინავდა და გამგელებული ბრბოს იგერიებდა. ორივემ ვიწრო და ბნელ ქუჩაზე გადაუხვია - მათი დადევნება ვეღარავინ გაბედა.

- აი, საოცრება! - თქვა გრენგუარმა, - მაგრამ, სად ეშმაკებში ვივახშმო?

2.4. უსიამოვნებანი, როცა ქუჩაში ლამაზ ქალს აედევნები

გრენგუარმა არ იცოდა, საით წასულიყო და ალალბედზე ბოშა გოგონას აედევნა. იგი თავისი თხით მედანეების ქუჩაზე დაინახა და თვითონაც იქით გადაუხვია. „რატომაც არა!“ - თქვა თავისთვის. პარიზის ქუჩების პრაქტიკოსმა ფილოსოფოსმა გააცნობიერა, რომ ოცნება ყველაზე მოსახერხებელია, როცა ლამაზ ქალს მისდევ და არ იცი, ის სად მიდის; ნებაყოფლობით თავისუფლებაზე ხელის აღება, სხვისი ჟინისადმი საკუთარი ჟინის დამორჩილება, როცა ეს სხვა ამის აზრზეც არაა, რაღაც ნარევი უცნაური დამოკიდებულებისა და ბრმა მორჩილებისა, შუალედური რაღაც მონობასა და თავისუფლებას შორის, ყოველივე ეს მოსწონდა და ართობდა გრენგუარს. არსებითად იგი მერყევი, გაუბედავი და რთული ბუნების იყო, რომელიც ყველა უკიდურესობას აერთიანებდა, განუწყვეტლივ მერყეობდა ყველა ადამიანურ მიდრეკილებათა შორის და ერთს მეორეთი

ახშობდა; თავს სიამოვნებით ადარებდა მუჰამადის საფლავს, რომელსაც ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს ექაჩება ორი მაგნიტი და რომელიც მარად მერყეობს მწვერვალსა და უფსკრულს შორის, ცის კამარასა და ქვაფენილს შორის, დაცემასა და აღზევებას შორის, ზესკნელსა და ქვესკნელს შორის. გრენგუარს რომ ჩვენს დროში ეცხოვრა, მშვენიერ ადგილს დაიჭერდა კლასიკოსებსა და რომანტიკოსებს შორის! მაგრამ, ის უბიწო არ იყო სამას წელს რომ ეცოცხლა. და ეს სამწუხაროა! უიმისობა სიცარიელეს ქმნის, რაც დღეს ყველაზე მეტად იგრძნობა. როცა კაცს თავშესაფარი არ აქვს, სურვილი უჩნდება ქუჩაში გამვლელებს აედევნოს (მეტადრე ქალებს). სწორედ ასეთ ხასიათზე იყო გრენგუარი.

ჩაფიქრებული მისდევდა ქალიშვილს, რომელსაც ფეხი აეჩქარებინა და თხასაც მიარბენინებდა, რაკი უკვე გვიან იყო, ხალხი შინ ბრუნდებოდა და სამიკიტნოებიც იკეტებოდა. „ალბათ, აქვს თავშესაფარი, თუნდაც ხუხულა, - გაიფიქრა მან. - ბოშა ქალებს კეთილი გული აქვთ. ვინ იცის?.“

მრავალწერტილი, რომელიც მან თავის გონებაში დასვა, საკმაოდ სასიამოვნო აზრს შეიცავდა. დროდადრო შინმისულ მოქალაქეებს ჩაუვლიდა, რომლებიც უკვე კარს ხურავდნენ; მის ყურამდე აღწევდა მათი საუბარი და საამო ფიქრებს აწყვეტინებდა.

აი, ორი მოხუცი შეხვდა ერთმანეთს.

- მეტრ ტიბო ფერნიკლ, ხედავთ, როგორ ცივა?

(გრენგუარმა ეს ზამთრის დადგომისთანავე შეამჩნია).

- დიახ, ძალიან ცივა, მეტრ ბონიფაც დიზომე! - მიუგო მეორემ. - ალბათ ისეთივე ზამთარი გვექნება, როგორც სამი წლის წინ, როცა ერთი შეკვრა შეშა რვა სუ ღირდა. - ეს კიდევ არაფერი, მეტრ ტიბო, 1407 წლის ზამთარში, წმ. მარტინობიდან მირქმის დღემდე ისე საშინლად ყინავდა, რომ სასამართლო პალატის მდივანს ყოველი სა-

მი სიტყვის დაწერის შემდეგ მელანი კალამზე ეყინებოდა! ამის გამო სასამართლო ოქმების წარმოებაც კი შეწყდა. ცოტა მოშორებით, ფანჯრებთან მეზობლები დგანან, ხელში ანთებული სანთლები უჭირავთ: - თქვენმა ქმარმა გიამბოთ უბედურ შემთხვევაზე, მადამ ლა ბუდრაკ? - არა. რა მოხდა, მადამ ტურკან?

- მუსიე ჟილ გოდენის, შატლეს ნოტარიუსის ცხენი ფლამანდიელების პროცესიის დანახვაზე დამფრთხალა და ფილიპო ავრილო, ცელესტინების მონასტერში შეხიზნული ხეიბარი გაუთელავს. - მართლა?

- სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ.

- მოქალაქის ცხენი! სად გაგონილა? მეტისმეტია! კავალერიის ცხენი რომ ყოფილიყო, კიდევ მესმის!

ფანჯრები მიიხურა, მაგრამ გრენგუარს ფიქრთა ძაფი გაუწყდა. საბედნიეროდ, მალევე იპოვა და ადვილად გადააბა ბოშა ქალისა და ჯალის წყალობით, რომლებიც ისევ მის წინ მიდიოდნენ; იგი აღტაცებული უცქერდა ორ ნაზ, მოხდენილ და მომხიბლავ ქმნილებას, მათ პაწია ფეხებს, კეკლუც მოძრაობას; ურთიერთგაგებით და მეგობრულობით ორ ყმაწვილ ქალს ადარებდა, ხოლო მკვირცხლი, მარდი სიარულით - ორ ბეკეკას. ამასობაში ქუჩები წყვდიადმა მოიცვა და გაუკაცრიელდა. ბოშას ადევნებული გრენგუარი ვიწრო ქუჩების, შესახვევებისა და გზაჯვარედინების დახლართულ ლაბირინთში მოხვდა. „ამ ქუჩებს ლოგიკა აკლიათ!“ - ფიქრობდა გრენგუარი, რომელიც მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში ვერ ერკვეოდა და ეგონა, ერთსა და იმავე ადგილზე ვტრიალებო. მაგრამ ბოშა გოგონა გაბედულად მიჰყვებოდა გზას, ჩანდა, კარგად იცნობდა აქაურობას და ნაბიჯს უჩქარებდა. ბოშამ კარგა ხანია გრენგუარი შეამჩნია და შეშფოთებულმა რამდენჯერმე მიიხედა უკან; წუთით შეჩერდა კიდეც, უნდოდა საფუნთუშეს ოდნავ გაღებული კარიდან გამომავალ სინათ-

ლეზე დაენახა იგი. გოგონამ სახე შეიჭმუხნა, ტუჩი აიბზუა და გზა განაგრძო. ამან გრენგუარი ჩააფიქრა - ეს უეჭველად ზიზღსა და დაცინვას გამოხატავსო. გრენგუარმა თავი დაღუნა, ქვაფენილს თვლა დაუწყო და ქალს შორიახლო ისე მიჰყვებოდა. ერთ შესახვევში თვალთაგან დაეკარგა და იმწამსვე მისი კივილი მოესმა. გრენგუარმა ფეხს აუჩქარა. ბნელოდა, მაგრამ იქვე, ღვთისმშობლის ქანდაკების ფეხთან ჭრაქი ენთო და გრენგუარმა დაინახა, როგორ ფართხალებდა ბოშა ქალი ორი მამაკაცის მკლავებში. ისინი მის გაჩუმებას ცდილობდნენ. დამფრთხალ საბრალო თხას რქები დაეხარა და კიკინებდა. - გუშაგებო, აქეთ! ჩვენკენ! - იყვირა გრენგუარმა და მათკენ გაბედულად გაიქცა. ერთ-ერთი მამაკაცი, რომელსაც ბოშა ეჭირა, მისკენ მობრუნდა. გრენგუარმა კვაზიმოდოს საზარელი სახე დაინახა. გრენგუარი არ გაქცეულა, არც წინ გადაუდგამს ნაბიჯი.

კვაზიმოდო მასთან მიიჭრა, ერთი ხელუკუღმა დარტყმით ქვაფენილზე ოთხ ნაბიჯზე მოისროლა. შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა, აბრეშუმის ქსოვილივით გადაიგდო მკლავზე ქალიშვილი და სიბნელეში სწრაფად გაუჩინარდა. თანამგზავრიც მიჰყვა. საბრალო თხა კი საცოდავი კიკინით გამოედევნა მათ.

- მკვლელები, მკვლელები! - ყვიროდა უბედური ბოშა გოგონა.

- შეჩერდით, არამზადებო, გაუშვით გოგო! - ანაზდად დაიქუხა შეიარაღებულმა მხედარმა, რომელიც მოსახვევიდან უეცრად გამოვარდა. იგი მეფის მსროლელთა კაპიტანი იყო. მან ხელიდან გამოგლიჯა ბოშა ქალი გაოცებულ კვაზიმოდოს, უნაგირზე გარდიგარდმო დაიდო და ის-ის იყო მოულოდნელობისგან გონს მოსული კუზიანი ნადავლის დასაბრუნებლად ეძგერა, თხუთმეტ- თექვსმეტი შეიარაღებული მსროლელიც გამოჩნდა. ამ დღეს მეფის მსროლელთა პატარა რაზმი ღამის გუშაგებს პარიზის პრევოს, მუსიე რობერ დესტუტვილის განკარგულებით ამოწმებდა. კვაზიმოდოს გარს შემოერ-

ტყნენ, შეიპყრეს და ხელ-ფეხი შეუკრეს. იგი ბრდღვინავდა, ცოფებს ყრიდა, იკბინებოდა. ეს რომ დღისით მომხდარიყო, მთელ რაზმს მარტო მისი სახის შეხედვა გააქცევდა, მაგრამ ღამემ აჰყარა მას ყველაზე საშინელი იარაღი - სიმახინჯე. მისი თანამგზავრი კი ბრძოლის დროს გაქრა.

ბოშა ქალი კეკლუცად გასწორდა უნაგირზე, ორივე ხელი ახალგაზრდა ოფიცრის მხრებს დააყრდნო, რამდენიმე წამს დააშტერდა, თითქოს მისი ლამაზი სახითა და დროული დახმარებით მოიხიბლაო. პირველად გოგონამ დაარღვია სიჩუმე და ნაზ ხმაში მეტი სინაზე გაურია. - რა გქვიათ, მუსიე ოფიცერო?

- კაპიტან ფებუს დე შატოპერი, მზად ვარ გემსახუროთ, ჩემო მშვენიერო! - უპასუხა ოფიცერმა და წელში გაიმართა.

- გმადლობთ, - უთხრა ქალმა.

სანამ კაპიტანი ფებუსი კმაყოფილებით იგრეხდა ბურგუნდიულად შეკრეჭილ ულვაშებს, გოგონა ისარივით ჩამოსრიალდა ცხენიდან და ელვის სისწრაფით გაუჩინარდა. - პაპის ჭიპო! - წამოიძახა კაპიტანმა და ბრძანა კიდევ უფრო მაგრად მოეჭირათ კვაზიმოდოსთვის ღვედები, - მერჩია ის გოგო შემრჩენოდა ხელთ. - რა გაეწყობა, კაპიტანო! - უთხრა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, - ჩიტუნია გაფრინდა, ღამურა კი დარჩა.

2.5. უსიამოვნებანი გრძელდება

დაცემისგან დარეტიანებული გრენგუარი ქუჩის კუთხეში, ღვთისმშობლის ქანდაკების წინ, ქვაფენილზე ეგდო და ნელ-ნელა გონს მოდიოდა; რამდენიმე წუთს ნახევრად მთვლემარე რაღაც გაურკვეველ ოცნებებში ცურავდა - ბოშა ქალისა და თხის ჰაეროვანი სახეები კვაზიმოდოს მძიმეწონიან მუშტს ერწყმოდა. მაგრამ ასე დიდხანს

არ გაგრძელებულა. სიცივემ უცებ გამოაფხიზლა და რეალობას დაუბრუნა.

- ეს სიგრილე საიდანღა მოდის? - უცბად იკითხა გონს მოსულმა და შეამჩნია, რომ თითქმის საკანალიზაციო თხრილში იწვა.

- ეშმაკსაც წაუღია ეს კუზიანი ციკლოპი! - წაიბურტყუნა მან და შეეცადა ამდგარიყო, მაგრამ დაცემისგან დარეტიანებულმა ეს ვერ მოახერხა და რადგანაც ხელს საკმაოდ თავისუფლად ამოძრავებდა, ცხვირზე მიიჭირა და ბედს დაემორჩილა.

„პარიზის წუმპე, - ფიქრობდა ის, - განსაკუთრებით მყრალია. ის უთუოდ ბლომად შეიცავს აქროლებად და აზოტიან მარილს. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებენ ალქიმიკოსები.“ სიტყვა „ალქიმიკოსმა“ უცბად არქიდიაკონი კლოდ ფროლო გაახსენა. გაახსენდა, როგორ ებრძოდა ბოშა ქალი ორ მამაკაცს და მის მეხსიერებაში ბუნდოვნად გაიელვა არქიდიაკონის მოღუშულმა, მედიდურმა სახემ. მერე უცბად გამოერკვა და კვლავ სინამდვილეს დაუბრუნდა და დაიყვირა: „ეჰ, ვიყინები!“ გრენგუარის მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა. თხრილის წყლის ყოველი მოლეკულა გრენგუარის თირკმელებს სითბოს თითო მოლეკულას ართმევდა და მისი სხეულის ტემპერატურა თანდათანობით წყლისას უთანაბრდებოდა. ახლა სხვა სახის უსიამოვნება დაატყდა თავს.

ქუჩის ონავართა ერთი ჯგუფი, მუდამ პარიზის ქვაფენილებზე რომ დატყაპუნობენ, სიცილ- ხარხარითა და ყიჟინით მორბოდა იმ გზაჯვარედინისკენ, სადაც გრენგუარი იწვა. ისინი რაღაც ტომარას მოათრევდნენ; მათი ხის ქოშების ბაკაბუკი მკვდარსაც კი გააღვიძებდა. გრენგუარმა, რომელიც ჯერ კიდევ ამქვეყნად იყო, წამოიწია. - ჰეი, ჰენეკენ დანდეშ! ჰეი, ჟოან პინცებურდე! - ეძახოდნენ ერთმანეთს. - რკინეულობით მოვაჭრე ბებერი მუბონი მოკვდა! მისი თივის

ლეიბით ახლავე კოცონს დავანთებთ. ფლამანდიელთა პატივსაცემად დღეს ვზეიმობთ!

თხრილთან მიირბინეს და თივის ლეიბი ისე მიუგდეს გრენგუარს, რომ არც კი შეუმჩნევიათ. ერთ-ერთმა ცოტა ჩალა აიღო და ღვთისმშობლის ქანდაკების ფეხთან ანთებულ ჭრაქზე მოუკიდა. - ღმერთო შემიცოდე! - წაიბუტბუტა გრენგუარმა, - ახლა, ალბათ, ოფლი მომივა! საშინელი მომენტი იყო - გრენგუარი ცეცხლსა და წყალს შუა იყო. თავს ძალა დაატანა, დაიძაბა, ფეხზე წამოდგა, თივის ლეიბი ონავრებს ზედ მიაგდო და მოკურცხლა. - წმინდაო ქალწულო! - იყვირეს ბავშვებმა, - რკინეულობით მოვაჭრე მკვდრეთით აღსდგა! და ისინიც აქეთ-იქით გაიფანტნენ. ბრძოლის ველზე თივის ლეიბი დარჩა! მეორე დღეს ის დიდი ზეიმით აიღო მახლობელი სამრევლოს სამღვდელოებამ და სანტ-ოპორტიუნეს ეკლესიის ტანსაცმლის საცავში მიიტანა და 1789 წლამდე საკმაო შემოსავალს იღებდა იმ დიადი სასწაულიდან, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა მოახდინა მოკონსეის ქუჩის კუთხეში: 1482 წლის 6 იანვრის იმ ღირსსახსოვარ ღამეს ღვთისმშობელის ლუსკუმამ თავისი სიახლოვითაც კი განაძევა ეშმაკი მიცვალებული მუბონისგან, რომელმაც, ეშმაკის მოსატყუებლად თუ დასაცინად, სიკვდილისას სული თივის ლეიბში დამალა.

2.6. დამსხვრეული სურა

გრენგუარი ერთხანს გამალებით გარბოდა; მრავალჯერ გადახტა თხრილზე, გადაჭრა უამრავი ვიწრო ქუჩა, ჩიხი და გზაჯვარედინი, ცდილობდა ძველი დახურული ბაზრის მოედანსა და მოსახვევებს გასცლოდა. უცებ პოეტი შეჩერდა, ჯერ ერთი, სული რომ მოეთქვა,

მეორეც, მისი გონება წააწყდა დილემას, რომელიც თითქოს ყელში სწვდა.

- მე მგონია, მუსიე პიერ გრენგუარ, - უთხრა საკუთარ თავს და შუბლზე თითი მიიდო, - თქვენ დამთხვეულივით გარბიხართ, ჭკუა სულ დაკარგეთ. ონავრებიც არანაკლებ შეაშინეთ. ისინი სამხრეთისკენ გაიქცნენ, თქვენ კი ჩრდილოეთისკენ მოკურცხლეთ. თივის ლეიბი, რომელიც შეშინებულებს უნდა დავიწყებოდათ, სწორედ ის სტუმართმოყვარე სარეცელია, თქვენ რომ დილიდან დაეძებთ... ღვთისმშობელი სასწაულებრივად გიგზავნით ჯილდოს მის სადიდებლად შეთხზული პიესის გამო; თუ ბავშვები არ გაქცეულან და ცეცხლი წაუკიდეს თივის ლეიბს, თქვენ შეგიძლიათ კოცონთან გაშრეთ, გათბეთ და გამხნევდეთ. ორივე შემთხვევაში - კარგი ცეცხლი იქნება თუ კარგი ლოგინი - თივის ლეიბი თქვენთვის ზეციური საჩუქარია. შესაძლოა, მოკონსეის ქუჩის კუთხეში მდგარმა ნეტარმა ქალწულმა ამ მიზნით მოუვლინა სიკვდილი მუბონს; სიგიჟეა რომ გარბიხართ და უკან ტოვებთ იმას, რასაც ეძებთ. თქვენ ჩერჩეტი ბრძანდ ებით, პიერ! გრენგუარი უკან დაბრუნდა და ნეტარი ლეიბის ძებნას შეუდგა, მაგრამ ამაოდ. გაუთავებელი ყოყმანითა და ეჭვით შეპყრობილი, კიდევ უფრო დაიბნა და დაიკარგა ამ ბნელ და დახლართულ ვიწრო ქუჩებში, თავი უფრო უმწეოდ იგრძნო, ბოლოს მოთმინებადაკარგულმა შესძახა: - წყეულიმც იყოს ყოველი გზაჯვარედინი! ალბათ, ეშმაკმა შექმნა ისინი თავის მსგავსად და ხატად. ცოტა გულს მოეშვა, ხოლო მოწითალო სინათლემ, რომელიც იმ წუთს გრძელი და ვიწრო ქუჩის ბოლოს შეამჩნია, მხნეობა დაუბრუნა.

- დიდება შენდა, ღმერთო! - თქვა მან. - ეს იქ არის, იქ! ჩემი თივის ლეიბი იწვის! - და თავი შეადარა იმ გემის მესაჭეს, რომელიც ღამით იძირება. გრძელ, დამრეც, მოუკირწყლავ ქუჩაზე ძლივს მოასწრო

რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, რომ უცნაური რამ შენიშნა - ქუჩა სულაც არ იყო უდაბური და უკაცური. მის გასწვრივ მოციმციმე სუსტი სინათლისკენ გაურკვეველი და უფორმო მასები მიხოხავდნენ.

ჯიბეცარიელი ადამიანი გამბედავია. გრენგუარი წინ მიდიოდა და ერთ-ერთს დაეწია კიდეც, რომელიც სხვების კუდში ზანტად მიხოხავდა. იგი ერთი საცოდავი ხეიბარი იყო, რომელიც ორ ხელზე მიხტოდა და როდესაც ახლოს ჩაუარა ამ ადამიანის სახის ობობასებრ არსებას, მან გრენგუარის მისამართით შესაბრალისი ხმით წამოიწყო: - La buona mancia, signor! La buona mancia[1]! - ეშმაკსაც წაუღიხარ შენცა და ჩემი თავიც, არ მესმის, რას ბურტყუნებ! - თქვა გრენგუარმა და გაშორდა.

ახლა მეორე ისეთივე უფორმო მოძრავ მასას დაეწია და დააკვირდა. ისიც ხეიბარი იყო, კოჭლი და თანაც ცალხელა - ყავარჯნებს ეყრდნობოდა; გრენგუარმა, რომელსაც კლასიკური შედარებები უყვარდა, ვულკანის ცოცხალ სამფეხა ზედადგარს შეადარა. ეს ცოცხალი სამფეხა ზედადგარი გვერდზე ჩავლისას მიესალმა, მაგრამ ქუდი ისე ახლო მიუტანა პოეტს ნიკაპთან, როგორც სადალაქო ფიალა და ყურებში ჩასძახა: - Senor caballero, para comprar un pedazo de pan![2] „მგონი, ესეც ლაპარაკობს, - თქვა გრენგუარმა, - ეს რაღაც რთული ენაა, ჩემზე ბედნიერია, თუ ესმის მაგ სიტყვების მნიშვნელობა.“ მერე შუბლზე ხელი იტკიცა, მისმა აზრმა ანაზდად გეზი იცვალა: - მართლა, რა ეშმაკი უნდოდათ თქვათ ამ დილას სიტყვა „ესმერალდათი?“ უნდოდა ფეხი აეჩქარებინა, მაგრამ რაღაცამ გზა მესამედ გადაუღობა. ეს რაღაც, უფრო სწორად, ვიღაც, ებრაული სახის ბრმა, პატარა ტანის წვეროსანი იყო, რომელიც ჯოხს ირგვლივ ნიჩაბივით უსვამდა და თოკით დიდი ძაღლი მიათრევდა. მან

---

[1] *კეთილი რჩევა (იტ.).*

[2] *სენიორ კაბალიერო, გაიღეთ მოწყალება ლუკმა-პურის საყიდლად (ესპ.).*

უნგრული კილოთი წაიდუდღუნა: - Facitote caritatem[1]! “ - მადლობა ღმერთს! - თქვა გრენგუარმა, - ერთი მაინც ლაპარაკობს ქრისტიანული ენით. ალბათ, კეთილი კაცის გამომეტყველება მაქვს, რომ ასე მთხოვენ მოწყალებას, თუმცა, ჩემი ქისა უკიდურესად გალეულია. მეგობარო, - მიუბრუნდა იგი უსინათლოს, - გასულ კვირას უკანასკნელი პერანგი გავყიდე, - უთხრა, უსინათლოს ზურგი შეაქცია და გზა განაგრძო, მაგრამ უსინათლომაც უმატა ნაბიჯს. დამბლადაცემულიცა და კუტიც ქვაფენილზე ყავარჯნების ბაკაბუკით მისკენ სწრაფად გაქანდნენ. კვალდაკვალ მისდევდნენ საწყალ გრენგუარს, ერთმანეთს ზედ აწყდებოდნენ. შემდეგ სამივემ თავისი სიმღერა წამოიწყო: - Caritatem! - წაუმღერა უსინათლომ. - La buona mancia! - ჩამოართვა კუტმა.

- Un pedazo de pan, - დაამთავრა მუსიკალური ფრაზა კოჭლმა. გრენგუარმა ყურები დაიცო.

- ჰოი, ეს რა ბაბილონის გოდოლია! - შეჰყვირა მან და გაიქცა. - და უსინათლოც გამოეკიდა. გარბოდა უსინათლოც, კოჭლიცა და კუტიც.

რაც უფრო ღრმად შედიოდა ქუჩაზე, მით უფრო სწრაფად მრავლდებოდნენ მის ირგვლივ კუტები, უსინათლონი, კოჭლები, ცალხელები, ცალთვალები, ბრუციანები, კეთროვანნი: ვინ სახლებიდან მოძვრებოდა, ვინ მოსაზღვრე შუკებიდან, ვინ სარდაფებიდან; სინათლისკენ მოეშურებოდნენ და ღმუილ-ღმუილით, ღრიალით, წკმუტუნით, ბორძიკით მიხოხავდნენ ტალახში ამოსვრილნი, როგორც ლოკოკინები წვიმის შემდეგ.

გრენგუარი, რომელსაც ის სამი ისევ მისდევდა, შეშინებული მიდიოდა სხვებთან ერთად, გვერდს უვლიდა კოჭლებს, ზედ აბიჯებდა

[1] *გაიღეთ მოწყალება (იტალ.).*

კუტებს. ფეხი ეფლობოდა ხეიბართა გროვაში. გადაწყვიტა, უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ დააგვიანდა. ლეგიონს მისთვის უკან დასახევი გზა ჩაეხერგა, ის სამიც ფეხდაფეხ მისდევდა. გრენგუარი განაგრძობდა გზას, მას წინ უბიძგებდა შიში, თავბრუ ეხვეოდა, თავი საშინელ სიზმარში ეგონა.

ქუჩის ბოლო უზარმაზარ მოედანს უერთდებოდა, სადაც ღამის ნისლში ათასობით მოციმციმე ლამპარი მიმოფანტულიყო. გრენგუარი იქით გაექანა, იმედი მოეცა, რომ მარდი ფეხები დაეხმარებოდა და იმ სამ მოჩვენებას გაექცეოდა.

- Onde vas, hombre[1]? - შეუძახა დამბლადაცემულმა, ყავარჯნები გადაყარა და გამოუდგა: იგი ყველაზე ფეხმარდი და მუხლმაგარი ვაჟკაცი ბრძანებულა, როგორსაც კი ოდესმე გაურბენია პარიზის ქვაფენილზე.

ამ დროს კუტიც ფეხზე წამოიმართა, გრენგუარს თავზე ჩამოაცვა თავისი რკინის მძიმე ბადია, ბრმამ კი ანთებული თვალებით შეხედა სახეში. - სადა ვარ? - თქვა შეშინებულმა პოეტმა.

- საოცრებათა ეზოში, - უპასუხა მეოთხე მოჩვენებამ, რომელიც თავზე წამოადგა. - სულსა ვფიცავ, მართლაც ასეა, - მიუგო გრენგუარმა, - რამეთუ კარგად ვხედავ, ბრმანი აღიხილვენ... მაგრამ სად არის მაცხოვარი?

პასუხად ავბედითი ხარხარი გაისმა. საწყალმა პოეტმა ირგვლივ მიმოიხედა. მართლაც სასწაულებათა საზარელ ეზოში, ჯადოსნურ წრეში იმყოფებოდა, სადაც ქრებოდნენ შატლეს ოფიცრები და ქალაქის პოლიციის სერჟანტები, ყველა, ვინც კი იქ შესვლას გაბედავდა; ფილოსოფოსი ქურდების უბანში იყო - პარიზის ამ ბილწ მეჭეჭში, უწმინდურების არხში, საიდანაც ყოველ დილით ამოდინდებოდა

[1] *საით გარბიხარ, ადამიანო! (ესპ.).*

და ღამით უკუიქცეოდა წყარო ბიწიერებისა და მანკიერებისა, მათხოვრობისა თუ მაწანწალობისა, რითაც გადავსებულია პარიზის ქუჩები; საზარელ სკაში, სადაც საღამოობით ნადავლით ბრუნდებოდნენ საზოგადოებრივი კრაზანები; იმ ცრუ სასნეულოში, სადაც ბოშა მაწანწალა, გაქცეული ბერი, ხელიდან წასული სტუდენტი, ყველა ეროვნების, რჯულისა თუ სარწმუნოების ადამიანები - საღებავის ცრუ იარებით დაფარულნი, დღისით მათხოვარნი, ღამე ყაჩაღებად იქცეოდნენ; პოეტი აღმოჩნდა უზარმაზარ გასახდელ ოთახში, სადაც იცვამდნენ და იხდიდნენ მსახიობები იმ მარადიული კომედიისა, რომელსაც პარიზის ქვაფენილზე თამაშობენ ძარცვა-გლეჯა, მეძავეობა და მკვლელობა. ამ უსწორმასწორო, მოუკირწყლავ, ფართო მოედანზე აქა-იქ გიზგიზებდა კოცონი; მის ირგვლივ უცნაური ჯგუფები ფუთფუთებდნენ. ისინი მიმოდიოდნენ, ყვიროდნენ. ისმოდა მკვეთრი სიცილ-ხარხარი, ბავშვების ჩხავილი, ქალების ხმაური. ბრბოს ხელები და თავები ცეცხლის შუქზე უცნაურ შავ ლანდებად ისახებოდა. ვეებერთელა გაურკვეველი ჩრდილები ერთმანეთში ირეოდა, დაინახავდით ძაღლს, რომელიც ჰგავდა ადამიანს და ადამიანს, რომელიც ჰგავდა ძაღლს. იფიქრებდით, რომ პარიზის ამ უბანში გვარ-სახეობათა შორის ყოველგვარი მიჯნა წაშლილიყო. მამაკაცები, დედაკაცები, ცხოველები, ასაკი, სქესი, ჯანმრთელობა და სნეულება, ყველაფერი საერთო იყო. ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა, ერთმანეთს შრეებად ედებოდა; თითოეულს საერთო დაღი აჩნდა.

დაბნეულობის მიუხედავად, გრენგუარმა ცეცხლის მკრთალ შუქზე მაინც გაარჩია ამ უზარმაზარი მოედნის ირგვლივ ახორხლილი ძველი სახლები, ჭიანაჭამი, დაბრეცილი, დაგვალული ფასადებით; თითოეულს ერთი ან ორი სარკმელი ჰქონდა დატანებული; სიბნელეში ისინი წრიულად მდგარი დედაბრების უშველებელ, პირქუშ და

დაღრეჯილ თავებად ეჩვენებოდა, თითქოს ქაჯთა ღრეობას შეჰყურებენო.

გრენგუარის წინ რაღაც ახალი, უცნობი, გაუგონარი, მახინჯი, ქვემძრომი, ქვეწარმავალი, მატლივით მოფუთფუთე, არნახული და ფანტასტიკური სამყარო გადაიშალა. თავზარდაცემული პოეტი, რომელიც იმ სამ მათხოვარს უკვე მარწუხებში მოემწყვდია, ბრბოს ბღავილისგან მთლად გაბრუებულიყო; ცდილობდა გონება მოეკრიბა და გაეხსენებინა, კვირაძალი ხომ არ იყო. მაგრამ ამაოდ - მეხსიერებისა და ფიქრის ძაფი გაწყვეტოდა. ყველაფერში ეჭვი ეპარებოდა, ნანახსა და განცდილს შორის მერყეობდა; უპასუხო კითხვა ებადებოდა: „თუ მე ვარსებობ, მაშინ არსებობს ეს ყოველივე? და თუ ეს ყოვეივე არსებობს, მაშინ ვარსებობ მე?“

ამ დროს აჩოჩქოლებულ ბრბოში გარკვევით გაისმა შეძახილი:

- მეფესთან მივიყვანოთ! მეფესთან მივიყვანოთ!

- წმინდაო მარიამ! - წაიბუტბუტა გრენგუარმა, - აქაური მეფე უთუოდ ვაცია. - მეფესთან! მეფესთან! - იმეორებდა ყველა. გრენგუარი წაათრიეს. მაგრამ, ის სამი მათხოვარი ნადავლს არ უშვებდა და „ჩვენიას“ ძახილით სხვებს ხელიდან გლეჯდნენ. ამ ბრძოლაში პოეტის ძველმა სერთუკმა სული დალია.

საშინელ მოედანზე რომ მიდიოდა, თავბრუსხვევამ გაუარა. მალე რეალობის გრძნობაც დაუბრუნდა. თანდათან გარემოსაც შეეჩვია. პირველ წამს მისმა პოეტურმა თავმა ან შესაძლოა, სრულიად უბრალო და პროზაულმა მიზეზმა - ცარიელმა სტომაქმა წარმოშვა კვამლის, ორთქლის მაგვარი რამ, რომელიც მასსა და საგნებს შორის აღიმართა. ამის გამო ყველაფერს ბუნდოვნად აღიქვამდა. ნელ-ნელა ნაკლებად ცთომილი და გაზვიადებული შთაბეჭდილებანი მოეძალა. სინამდვილე თვალში გაეჩხირა და თანდათანობით დაუნგრია პოეზია, რომელიც თავიდან გარს ერტყა. მიხვდა, რომ ფეხი

ტალახში ჩადგა, გარს ქურდები ეხვივნენ და არა დემონები, საქმე მის სიცოცხლეს ეხებოდა და არა სულს (რადგან მას არ გააჩნდა ის ძვირფასი შუამავალი - ფულით სავსე ქისა, რომელიც წარმატებულად შუამავლობს ავაზაკსა და პატიოსანს შორის). უფრო ახლოს და მეტი გულგრილობით დააკვირდა ამ აღვირახსნილ ღრეობას და მიხვდა, რომ ქაჯთა ღამის ყრილობიდან ბნელეთში ამოყო თავი.

საოცრებათა ეზო მართლაც ბნელეთს წარმოადგენდა, ყაჩაღთა ბუნაგს, რომელიც წითლად შეღებილიყო არა მარტო ღვინით, არამედ სისხლითაც. როცა ჩამოძენძილმა ბადრაგმა გზის ბოლოს მიიყვანა, გრენგუარის თვალწინ ისეთი სანახაობა გადაიშალა, რაც სრულიად არ გამოადგებოდა საიმისოდ, რომ კვლავ დაბრუნებოდა თვით ჯოჯოხეთის პოეზიაც კი. ეს ბნელეთის ყველაზე უფრო პროზაული და უხეში სინამდვილე იყო. ეს ამბავი XV საუკუნეში რომ არ მომხდარიყო, ვიტყოდით, გრენგუარი მიქელანჯელოდან კალომდე დაეშვაო. ფართო, მრგვალ ფილაზე აგიზგიზებული დიდი კოცონის ალი უქმად მდგარი ზედადგარის წითლად გავარვარებულ ფეხებს ლოკავდა, აქეთ-იქით რამდენიმე ჭიანაჭამი მაგიდა მიედგათ. მაგიდებზე ღვინითა და ლუდით გაზინტლული ხელადები ცეცხლისა და ღვინისგან წითლად აღაჟღაჟებული უამრავი მთვრალი პროფილის ფონზე ბზინავდა. ვიღაც ღიპიანი, მხიარული სახის კაცი ჩათქვირებულ მეძავს ლოშნიდა; ვიღაც თვითმარქვია თაღლითი ჯარისკაცი, ერთი ნაგლი ვინმე, როგორც ქურდების ენაზე იტყვიან, უსტვენდა და ცრუ ჭრილობებიდან ნახვევებს იხსნიდა და ჯანმრთელ და ღონიერ მუხლს იზელდა. ვიღაც მჭლე კაცი კი, პირიქით, ქრისტესისხლას და ხარის სისხლისგან ფეხზე „ქრისტე ღმერთის იარებს“ ხვალისთვის იმზადებდა. ორი მაგიდის იქით, მწირის ტანსაცმელში გამოწყობილი მათხოვარი-ფარისეველი ერთ კილოზე ბუტბუტებდა ღვთისმშობლის ლოცვას. ახალბედა ჭაბუკი ბნედის გაკვეთილებს იღებდა

ბებერი მათხოვრისგან, რომელიც უხსნიდა, როგორ გაუჩნდებოდა პირზე დუჟი საპნის ღეჭვით. იმავე მაგიდასთან ოთხი თუ ხუთი ქურდი ქალი იმ საღამოს მოტაცებული ბავშვის გამო ერთმანეთს ეცილებოდა. ყველგან ისმოდა ბრიყვული სიცილ-ხარხარი და უხამსი სიმღერები. თითოეული თავისას გაიძახოდა, თავისკენ ეწეოდა, თან კიცხავდა, კილავდა, იგინებოდა, მეზობელს ყურს არ უგდებდა. ერთმანეთს ხელადებს უჯახუნებდნენ და ამ ჯახაჯუხში ჩხუბი ფეთქდებოდა. დამსხვრეული ხელადებით ერთმანეთს ძონძებს აფხრეწდნენ. იქვე კუდამოძუებული დიდი ძაღლი ჩაცუცქულიყო და ცეცხლს უყურებდა. ამ გნიასს რამდენიმე ბავშვი ესწრებოდა. იქვე მოტაცებული ბავშვი ღრიალებდა. მეორე, ოთხი წლის ბუთხუზა ბიჭი, რომელიც მაგიდას ნიკაპით სწვდებოდა, მაღალ სკამზე შემომჯდარიყო და ხმას არ იღებდა. მესამე თითით გულმოდგინედ აგლესდა მაგიდაზე ჩამოღვენთილ სანთელს. პატარა ბავშვი ტალახში ჩაცუცქულიყო და ქვაბს კრამიტის ნატეხით ისე ფხეკდა, ლამის შიგ ჩავარდა. ცეცხლთან კასრზე ერთი მათხოვარი წამომჯდარიყო. სწორედ ეს გახლდათ ტახტზე წამოჭიმული მეფე.

სამმა მათხოვარმა გრენგუარი კასრთან მიათრია, ერთი წუთით ღრეობა დაწყნარდა, მხოლოდ ის ბავშვი არ ეშვებოდა ქვაბს.

გრენგუარი სუნთქვას ვერ ბედავდა, ხმას ვერ იღებდა, თავს მაღლა ვერ სწევდა. - Ombre, quita tu sombrero[1]! - უთხრა ერთ-ერთმა. სანამ გრენგუარი მის ნათქვამს გაიგებდა, ვიღაცამ ქუდი მოხადა, რომელიც, მართალია, ერთი საცოდავი რამ იყო, მაგრამ მზესა თუ ავდარში ჯერ კიდევ გამოდგებოდა. გრენგუარმა ამოიოხრა.

ამასობაში მეფემ კასრის „მედიდური სიმაღლიდან“ სიტყვით მიმართა: - ეს გაიძვერა ვინღაა?

---

[1] *კაცო, ქუდი მოიხადე! (ესპ.).*

გრენგუარი შეკრთა. ამ ხმამ დილანდელი ამბავი გაახსენა, მისი პიესის პირველი ლახვრის ჩამცემი, რომელიც დუდღუნებდა: „ღვთის გულისთვის, გაიღეთ მოწყალება“. პოეტმა თავი ასწია - მის წინაშე ნამდვილად კლოპენ ტრუილფუ იდგა, რომელიც მეფური რეგალიებით იყო შემკული და ძონძები აღარ ეცვა. მკლავზე იარაც გამქრალიყო. ხელში ხამის ტყავის ღვედებისგან დაწნული მათრახი ეჭირა, რომელსაც იმ დროს პოლიციის სერჟანტები იყენებდნენ წესრიგის დასამყარებლად. თავზე რაღაც უცნაური, მრგვალი, ზოლებიანი და ზემოთ შეკრული საბურავი ეხურა, რომელსაც, ეტყობა, მეფის გვირგვინის დანიშნულება ჰქონდა, თუმცა არც ქუდს ჰგავდა და არც გვირგვინს. გრენგუარს, თვითონაც არ იცოდა რატომ, იმედი მიეცა, როდესაც ბნელეთის მეფეში ის წყეული მათხოვარი შეიცნო.

- მეტრ, - წაილუღლუღა მან, - მუსიე.. თქვენო დიდებულება... მონსენიორ!.. მიბრძანეთ, როგორ მოგმართოთ? - თქვა მან ბოლოს, რადგან აღარ იცოდა, როგორ მიემართა. - როგორც გენებოს, ისე მომმართე: მონსენიორ, თქვენო დიდებულებავ, გინდა ამხანაგო, ოღონდ ნუ ლუღლუღებ, მოკლედ მოსჭერი, რა გაქვს სათქმელი თავდასაცავად? „თავდასაცავადო! - გაიფიქრა გრენგუარმა. - მაშ, ცუდადაა ჩემი საქმე!“ - და ენის ბორძიკით უპასუხა: - მე ის გახლავართ, დილას რომ...

- ვფიცავ ეშმაკის ბრჭყალებს! - გააწყვეტინა კლოპენმა, - თქვი შენი სახელი, არამზადავ, მეტი არაფერი! ყური მიგდე, შენ იმყოფები სამი ძლიერი ხელმწიფის წინაშე: ჩემს წინაშე, კლოპენ ტრუილფუს, თუნის [1]მეფის, დიდი კეისრის მემკვიდრის, „არგოს“ სამეფოს უზენაესი მბრძანებლის წინაშე; მათიას ჰუნიადი სპიკალის, ეგვიპტელთა და ბოშათა ჰერცოგის წინაშე, - აი, იმ პირყვითელა ბებრისა, თა-

[1] *Thune (tu-ne -არგო) - თუნი, ვერცხლის ფული, ხუთფრაკიანი.*

ვი რომ ჩვრით წაუკრავს; გილიომ როსოს, გალილეის იმპერატორის წინაშე, - იმ სქელოსი, ვიღაც კახპას რომ ეალერსება. ჩვენ შენი მსაჯულები ვართ. შენ ფეხი შემოდგი ჩვენს სამეფოში და ჩვენიანი არ ხარ. შენ ჩვენი ქალაქის საგანგებო უფლებები შელახე. შენ დაისჯები, თუ არა ხარ თაღლითი, ნაქურდალის შემნახავი ან სახლკარდამწვარი, ესე იგი, ამ პატიოსანი ხალხის ენაზე რომ ვთქვათ, თუ არა ხარ ქურდი, მათხოვარი ან მაწანწალა. მაშ, ვინ ხარ ან რა ხარ? იმართლე თავი! - ვაი რომ, არა მაქვს ეგ პატივი! - თქვა გრენგუარმა. - მე ავტორი ვარ... - კმარა, - მოუჭრა ტრუილფუმ, თქმა აღარ აცალა, - შენ ჩამოგახრჩობთ. ეს სულ უბრალო რამაა, მუსიე პატიოსანო მოქალაქევ! როგორც თქვენ ეპყრობით ჩვენებს, როცა ხელში ჩაგივარდებათ, ჩვენც ისე ვეპყრობით თქვენებს, როცა ჩვენთან ამოყოფენ თავს. კანონს, რომელსაც თქვენ იყენებთ მაწანწალების მიმართ, მაწანწალებიც იყენებენ თქვენს მიმართ. თქვენი ბრალია, თუ ის მკაცრია. ხანდახან ჩვენც ხომ უნდა გვქონდეს საშუალება შევხედოთ, როგორ იმანჭება პატიოსანი კაცი, როცა თავს თოკში აყოფინებენ. თანაც სახრჩობელას დარბაისლური იერი მიეცემა. აბა, მეგობარო, გაინძერი, მკვირცხლად დაურიგე ეგ ძონძები ამ ქალიშვილებს. ვუბრძანებ ჩამოგკიდონ მაწანწალების გასართობად, შენ კი შენი ქისა შესწირე, რომ ბიჭებმა შესანდობარი დალიონ. თუ გინდა იფარისევლო, იქ, ქვევით, ხარახურაში გდია შესანიშნავი ქვის მამა ღმერთი, რომელიც სენ-პიერო ბეფიდან მოვიპარეთ. ოთხი წუთი გეძლევა იმისთვის, რომ შენი სული მას მიუგდო. საზარელი იყო ამის მოსმენა.

- კარგად თქვა, სულსა ვფიცავ! კლოპენ ტრუილფუ წმინდა პაპივით ქადაგებს! - იყვირა გალილეის ხელმწიფემ და სურა გატეხა, რომ მაგიდის ფეხისთვის მისი ნატეხი შეედგა. - ყოვლადმოწყალეო ხელმწიფენო და მეფენო, - თქვა გრენგუარმა გულგრილად, - გონს

მოდით, რატომ არ ფიქრობთ, ვინ ვარ მე? მე პიერ გრენგუარი ვარ, პოეტი, ავტორი იმ მისტერიისა დღეს დილით სასახლის დარბაზში რომ წარმოადგინეს.

- აჰ, მაშ ეს შენა ხარ, მეტრ! - თქვა კლოპენმა. - მეც იქ გახლდით. ღმერთმანი! ჰოდა, მერე რაო, ამხანაგო, დილით თავი მოგვაბეზრე, განა ეს იმის საბუთს გვაძლევს, საღამოს სახრჩობელაზე არ ჩამოგ-კიდოთ?

„ძალიან გამიძნელდება აქედან თავის დაღწევა," - გაიფიქრა გრენგუარმა და ერთხელ კიდევ სცადა: - ვერ გამიგია, - თქვა მან, - რატომ არ არიან შეყვანილი პოეტები მაწანწალების რიცხვში. ეზო-პე[1] მაწანწალა იყო, ჰომეროსი - მათხოვარი, მერკურიუსი[2] - ქურ-დი... კლოპენმა შეაწყვეტინა: - მე მგონია, თვალებს გვიხვევ შენი აბ-დაუბდით! ეშმაკმა დაგლახვროს! ნუ იპრანჭები, გეყოფა თავპატიჟი.

- მაპატიეთ, ყოვლადმოწყალეო მეფევ, - შეეპასუხა გრენგუარი, რომელიც თავს მედგრად იცავდა, - ერთი წუთით... უნდა მომისმი-ნოთ. ისე ხომ ვერ დამდებთ მსჯავრს, რომ არ მომისმინოთ?.. მაგრამ მისი საცოდავი ხმა ხმაურმა დაფარა. პატარა ბიჭმა კიდევ უფრო გა-ტაცებით დაიწყო ქვაბის ფხეკა; ამას ისიც დაერთო, რომ ვიღაც დე-დაბერმა გავარვარებულ ზედადგარზე ქონით სავსე ტაფა შედგა, რომელიც ისე შიშხინებდა, თითქოს ბავშვთა გუნდი საკარნავალო ნიღაბს ჟივილ- ხივილით დასდევსო.

ამასობაში კლოპენ ტრუილფუმ ხელად მოითათბირა ბოშათა ჰერცოგთან და გალილეის მთლად გალეშილ ხელმწიფესთან, მერე კი მჭექარე ხმით იყვირა: - სიჩუმე!

რადგან ქვაბი და ტაფა ყურს არ უგდებდა და დუეტს განაგრძობ-და, იგი კასრიდან ჩამოხტა, ერთი წიხლი ქვაბს უთავაზა და ბავშვია-

---

[1] *ძველი ბერძენი მწერალი (550 ჩვ. წ. ა.).*

[2] *ვაჭრობის, სიცრუისა და წვრილმანი ქურდობის ღმერთი.*

ნად ათ ნაბიჯზე გააგორა, მეორე ტაფას ამოჰკრა, მოაპირქვავა და მთელი ქონი ცეცხლში ჩაიღვარა; თვითონ კი მედიდურად ისევ ტახტზე აბრძანდა და არც ბავშვის ყრუ ქვითინი ჩაუგდია აინუნში და არც დედაბრის ბუზღუნი, რომლის ვახშამი თეთრ ალში გიზგიზებდა.

ტრუილფუმ ნიშანი მისცა; ჰერცოგი, იმპერატორი, თაღლითები და ქურდბაცაცები გრენგუარს რკალივით გარს შემოერტყნენ და შუაში მოიმწყვდიეს. ნახევარწრე ზიზილ-პიპილა ჯღანების, ორკაპების, ცულების, მობარბაცე ფეხების, მსხვილი, ღონიერი მკლავებისა და ტურტლიანი, გამოლენჩებული სახეებისგან შედგებოდა. მათხოვართა მრგვალი მაგიდის შუაში სენატის დოჯივით, კონკლავის პაპივით აღზევებულიყო კლოპენ ტრუილფუ, ჯერ ერთი, კასრის სიმაღლის წყალობით, მეორეც, რაღაც მედიდური, მძვინვარე და საზარელი იერის გამო, რაც ელვარებას მატებდა მის თვალებს და ველურ გამოხედვაში მაწანწალების მოდგმის მხეცურ თვისებებს არბილებდა. - ყური მიგდე, - უთხრა მან გრენგუარს და დაკოჟრილი ხელი მახინჯ ნიკაპზე მოისვა, - მე ვერ ვხედავ იმის საბუთს, რატომ არ უნდა ჩამოგკიდოთ სახრჩობელაზე. მართალია, ეს შენ ზიზღსა გგვრის. ცხადია, თქვენ, მოქალაქენი, ამას მიჩვეულნი არა ხართ. თუმცა, ჩვენ შენთვის ავი როდი გვინდა. საშუალება გეძლევა განსაცდელისგან თავი დაიძვრინო. გინდა ჩვენს მხარეზე გადმოხვიდე, ჩვენიანი გახდე?

წარმოიდგინეთ, რა გავლენას მოახდენდა ეს წინადადება გრენგუარზე, რომელიც, საცაა, იარაღის დაყრას აპირებდა. იგი ენერგიულად ჩაებღაუჭა ამ წინადადებას. - ცხადია, მინდა, დიდი სიამოვნებით! - შესძახა მან.

- თანახმა ხარ, გაერიო მოკლე ორლესულების მარაქაში? - ჰკითხა კლოპენმა. - სწორედ მოკლე ორლესულების მარაქაში, - უპასუხა გრენგუარმა. - აღიარებ თავს თავისუფალ მოქალაქეთა თემის წევ-

რად? - განაგრძო მეფემ. - დიახ, თავს ვცნობ თავისუფალ მოქალაქეთა თემის წევრად.

- თუნის სამეფოს ქვეშევრდომად?

- დიახ, თუნის სამეფოს ქვეშევრდომად.

- მაწანწალად?

- მაწანწალად.

- სულითა და გულით?

- სულითა და გულით.

- მაგრამ გაფრთხილებ, - შენიშნა მეფემ, - ბოლოს მაინც ჩამოგახრჩობენ. - ეშმაკმა დალახვროს! - თქვა პოეტმა.

- ოღონდ, - განაგრძო კლოპენმა უშფოთველად, - უფრო გვიან, დიდი ზეიმით, პატიოსანი ადამიანები სახელოვანი პარიზის ქვის მშვენიერ სახრჩობელაზე ჩამოგახჩრობენ. კარგი ნუგეშია! - როგორც თქვენ ბრძანებთ, - უპასუხა გრენგუარმა.

- შენ სხვა ხეირიც გექნება. როგორც თავისუფალი მოქალაქე, არც ნაგვისა და სინათლის გადასახადს გადაიხდი, არც ღარიბ-ღატაკთა საქველმოქმედოს, რაც პარიზის ყოველ მოქალაქეს ევალება.

- დაე, ეგრე იყოს! - უთხრა პოეტმა, - თანახმა ვარ. მე მაწანწალა ვარ, თავისუფალი მოქალაქე, პატარა ორლესული ხანჯალი, ყველაფერი, რასაც თქვენ ინებებთ. უწინაც ასეთი ვიყავი, თქვენო დიდებულებავ, რამეთუ მე ვარ ფილოსოფოსი; et omnia in philosophia, omnes in philosopho continentur[1], - თუნის მეფემ წარბი შეიკრა. - ვინა გგონივარ, მეგობარო, უნგრეთის ურიების ენით რომ გვეჭიკჭიკები? მე ებრაული არ ვიცი. იმისთვის, რომ ავაზაკი გახდე, საჭირო არ

[1] *ყველაფერი ფილოსოფიაშია და ვინც ფილოსოფოსობს, ყველაფერს მოიცავს (ლათ.).*

არის, ურია იყო. მე აღარც კი ვიპარავ, ამაზე მაღლა ვდგავარ, მე ვკლავ. ყელის გამოჭრა? - სიამოვნებით. ქურდობა? - არა. გრენგუარი ცდილობდა, რამდენიმე საბოდიშო სიტყვა ჩაერთო ამ მოკლე წინადადებების ნიაღვარში. რაც უფრო ბრაზდებოდა კოპენ ტრუილფუ, მით უფრო სწრაფად და მკვეთრად წარმოთქვამდა სიტყვებს.

- პატიებას გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ! ეს ებრაული კი არა, ლათინურია. - გეუბნები, ურია არა ვარ-მეთქი! - გაცხარებით უთხრა კლოპენმა, - ვუბრძანებ ჩამოგახრჩონ, შე სინაგოგის ნაშიერო! როგორც ეს პატარა ვაჭრუკანა ურია, შენ გვერდით რომ დგას, რომელსაც, იმედია, მალე ვნახავ ყალბი ფულივით დახლზე მილურსმულს. ამას რომ ამბობდა, თითს პატარა წვეროსანი უნგრელი ებრაელისკენ იშვერდა, რომელმაც გრენგუარს თავი მოაბეზრა თავისი facitote caritatemi-თ და სხვა ენა არ ესმოდა; იგი განცვიფრებით უცქერდა თუნის მეფეს, ვერ გაეგო, რითი გამოიწვია მისი რისხვა. ბოლოს, მისი უდიდებულესობა კლოპენი დამშვიდდა.

- გაიძვერავ, - მიმართა მან პოეტს, - მაშ, შენ გინდა მაწანწალა იყო? - უეჭველად, - უპასუხა პოეტმა.

- სურვილი ჯერ კიდევ ყველაფერი როდია, - უთხრა ბუზღუნით კლოპენმა, - კარგი სურვილებით შეჭამადს ვერ შეაზავებ, კეთილი სურვილებით სამოთხეში თუ ამოჰყოფ თავს. მაგრამ სამოთხე სხვაა, არგო სხვა. არგოელი რომ გახდე, უნდა დაამტკიცო, რომ რაღაცაში ვარგიხარ, აბა, ერთი ამჯერად ეგ ფიტული მოჩხრიკე.

- გავჩხრეკ ყველას, თქვენ თუ მიბრძანებთ, - უთხრა გრენგუარმა. კლოპენმა ნიშანი მისცა. რამდენიმე მოხალისე წრეს გამოეყო და ერთი წუთის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ. მათ მოათრიეს ორი ბოძი, რომლის ორივე ბოლოში დამაგრებული იყო ბრტყელი ფიცარი, რათა უფრო მტკიცედ მდგარიყო მიწაზე. ამ ორი ბოძის ზედა ბოლოებზე გადებული იყო განივი ძელი. იგი ადვილად გადასატან-გადმოსა-

ტან მშვენიერ სახრჩობელას წარმოადგენდა. გრენგუარს წილად ხვდა ბედნიერება, ენახა, თვალის დახამახამებაში მის წინ როგორ აღიმართა იგი. მას არაფერი აკლდა, თვით თოკიც კი, ასე კოხტად რომ ქანაობდა გარდიგარდმო გადებულ ძელქვეშ. „ნეტავ, რა აქვთ განზრახული? რას აპირებენ?“ - ეკითხებოდა თავის თავს შეშფოთებული პოეტი. იმავე წუთს ეჟვნების ჟღარუნი გაისმა და მის შეშფოთებასაც ბოლო მოეღო. მაწანწალებს კისრით თოკზე ჩამოეკიდათ წითელსამოსიანი ფიტული, რომელიც ჩიტების საფრთხობელას ჰგავდა; მას იმდენი ეჟვანი და ზანზალაკი ეკიდა, რომ მოსართავად კასტილიის ოცდაათ ჯორს ეყოფოდა. ერთხანს ჟღარუნობდნენ, შემდეგ ნელ-ნელა დადუმდნენ; როდესაც ფიტული უძრავ მდგომარეობას დაუბრუნდა, ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა.

მაშინ კლოპენმა გრენგუარს მიუთითა ძველ, დანჯღრეულ სკამზე, რომელიც ფიტულის ქვეშ იდგა.

- შედექი მაგაზე!

- ეშმაკმა დალახვროს, - მიუგო გრენგუარმა, - მე აქ კისერს მოვიტეხ. თქვენი სკამი მარციალის[1] ორტაეპიანი ლექსივით კოჭლია, ერთი ფეხის ზომა ჰეგზამეტრია[2], მეორესი - პენტამეტრი[3].

- ადი-მეთქი! - გაუმეორა კლოპენმა.

გრენგუარი სკამზე ავიდა, თავსა და ხელებს აქეთ-იქით იქნევდა, როგორც იქნა, წონასწორობას მიაღწია - იპოვა თავისი სიმძიმის ცენტრი.

- ახლა, - განაგრძო თუნის მეფემ, - მარჯვენა ფეხი გადააჭდე შენს მარცხენა ფეხს და აიმართე მარცხენა ფეხის ცერზე.

---

[1] *მარკუს ვალერიუს მარციალი (ძვ.წ. 40-102) რომაელი პოეტი, სატირული ეპიგრამების ოსტატი.*

[2] *ძველბერძნული ლექსთწყობა, 6 უმეტესად დაქტილური ტაეპისგან შემდგარი (მაგ. ჰომეროსის და ვერგილიუსის პოემები).*

[3] *ხუთტაეპიანი დაქტილური ლექსი. დიქტიქონის მეორე სტრიქონი.*

- თქვენო უდიდებულესობავ, - უთხრა გრენგუარმა, - თქვენ გინდათ, რაიმე დავიშავო? კლოპენმა თავი გააქნია.

- მისმინე, მეგობარო, ძალიან ბევრს ლაპარაკობ. ორი სიტყვით გეტყვი, რა ხდება. ფეხის ცერზე უნდა აიწიო. როგორც გითხარი, ასე უნდა მისწვდე ფიტულის ჯიბეს, გაჩხრიკო და ამოიღო ქისა, შიგ რომ დევს. თუ ამას ისე გააკეთებ, რომ ერთი ზანზალაკის ხმასაც კი ვერავინ გაიგებს, ხომ კარგი - შენ მაწანწალა გახდები და მაშინ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რვა დღე ლაზათიანად გცემოთ. - ღმერთო, შემიწყალე! ფრთხილად უნდა ვიყო, - გაიფიქრა გრენგუარმა, - მაგრამ თუ ავამღერე ეს ზანზალაკები?

- ჩამოგახრჩობთ, გაიგე?

- ვერაფერიც ვერ გავიგე, - უპასუხა გრენგუარმა.

- მაშ, ერთხელ კიდევ დამიგდე ყური. შენ გაჩხრეკ ამ ფიტულს და ქისას ამოაცლი. ამ დროს ერთი ზანზალაკიც რომ შეტოკდეს, სახრჩობელაზე ჩამოგკიდებთ. ახლა გაიგე? - კეთილი, - უთხრა გრენგუარმა, - ახლა გავიგე. მერე?

- თუ მოახერხებ, ისე ამოაცალო ქისა, რომ ერთი ეჟვნის ჟღარუნსაც კი ვერავინ გაიგებს, მაშინ მაწანწალა ხდები და რვა დღეს ზედიზედ გცემთ. ახლა გაიგე?

- ვერა, თქვენო დიდებულებავ, ისევ ვერაფერი გავიგე, ჩემთვის რა ხეირია, თუ ერთ შემთხვევაში ჩამომახრჩობთ, ხოლო მეორე შემთხვევაში მიმბეგვავთ? - ის ხეირია, რომ მაწანწალა გახდები, - უპასუხა კლოპენმა, - მაწანწალა, შენი აზრით, არაფერია? ცემითაც შენს სასარგებლოდ გცემთ, რათა ცემაში გამოგაწრთოთ. - დიდ მადლობას მოგახსენებთ, - მიუგო პოეტმა.

- აბა, ჩქარა, დავიწყოთ! - შეუძახა მეფემ და კასრს ფეხი დაარტყა, რომელიც უშველებელი დოლივით აგუგუნდა.

- გაჩხრიკე ფიტული და გაათავე. უკანასკნელად გაფრთხილებ, ერთი ჟღარუნიც რომ გავიგონო, ფიტულის ნაცვლად შენ ჩამოგკიდებენ.

თუნელთა ბანდამ კლოპენის სიტყვებზე ტაში შემოჰკრა და სახრჩობელას გარს შემოერტყა, თან ისე შეუბრალებლად ხარხარებდნენ, რომ გრენგუარი მიხვდა, ისინი თავს იქცევდნენ და მათგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ასე რომ, ყოველგვარი იმედი დაკარგა, თუ არ ჩავთვლით მცირე ნაპერწკალს, რომელიც მის გულში კიდევ ღვიოდა - იქნებ, როგორმე გავიმარჯვოო და გადაწყვიტა ბედი ეცადა. თავიდან გულმხურვალე ლოცვა-ვედრებით მიმართა გასაძარცვ ფიტულს, რადგან მას უფრო ადვილად მოულბობდა კაცი გულს, ვიდრე მაწანწალებს. ზანზალაკები სპილენძის პაწაწა ენებით ხახადაღებულ ასპიტებად ეჩვენა, რომლებიც დაკბენას უპირებდნენ. - ოჰ, ღმერთო ჩემო! - თქვა ხმადაბლა, - ნუთუ, შესაძლებელია, რომ ჩემი სიცოცხლე ამ პაწაწა ზანზალაკების სულ მცირე რხევაზე იყოს დამოკიდებული? ოჰ! - ვედრებით გადააჭდო ხელი ხელს და დაუმატა: - ეჟვნებო, ნუ აჟღარუნდებით, ზანზალაკებო, ნუ აწკრიალდებით! ერთხელ კიდევ სცადა გავლენა მოეხდინა ტრუილფუზე.

- მოულოდნელად ქარმა რომ წამოუბეროს? - იკითხა პოეტმა.

- მაინც ჩამოგახრჩობთ, - უპასუხა კოპენმა უყოყმანოდ.

როცა დაინახა, რომ ვერც სულის მოთქმას, ვერც გადავადებას და ვერც თავის დაძვრენას შეძლებდა, გრენგუარი ბედს ვაჟკაცურად შეურიგდა. მარჯვენა ფეხი მარცხენაზე გადაიდო, მარცხენა ფეხის წვერზე აიწია და მკლავი გაშალა. მაგრამ, როგორც კი ფიტულს შეეხო, ცალ ფეხზე მდგარი სამფეხა სკამზე შეტორტმანდა; თავი რომ შეეკავებინა, უნებურად ისევ ფიტულისკენ გააქანა ხელი, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და ფიტულის ზანზალაკების საბედისწერო ჟღარუნით ყურნატკენი მიწაზე მძიმედ დაეცა. ფიტული კი ჯერ ყირა-

მალა დატრია ლდა, შემდეგ კი ორ ბოძს შორის მედიდურად დაიწყო ქანაობა.

- წყეულიმც იყავ! - წამოიყვირა გრენგუარმა და მიწაზე პირქვე დაემხო. ამ დროს კი მის თავზე კვლავ გაისმოდა ზანზალაკების საზარელი წკარუნი, მაწანწალების ჯოჯოხეთური ხარხარი და ტრუილფუს ხმა: - წამოაყენეთ ეგ ონავარი და ახლავე ჩამოკიდეთ! გრენგუარი წამოდგა. ფიტული უკვე ჩამოეხსნათ და მისთვის ადგილი გაეთავისუფლებინათ. საწყალი სკამზე აიყვანეს. კლოპენი მივიდა, კისერზე თოკი გადააცვა და მხარზე ხელი დაარტყა: - მშვიდობით, მეგობარო! ახლა კი ვეღარ დაიძვრენ თავს.

გრენგუარს უნდოდა ეთქვა „შემინდეთ“, მაგრამ ტუჩებზე შეეყინა. ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ არავითარი იმედი - ყველა ხარხარებდა. - ბელვინ დე ლეტუალ, - უთხრა თუნის მეფემ ერთ წოწლოკინა მაწანწალას, რომელიც მწკრივს გამოეყო და წინ წამოდგა, - აცოცდი ძელზე!

ბელვინ დე ლეტუალი ძელზე მკვირცხლად ავიდა; გრენგუარმა თვალები მაღლა აღაპყრო და შეშინებულმა გარდიგარდმო გადებულ ძელზე, სწორედ მის თავს ზემოთ ჩაცუცქული დაინახა. - ახლა, - განაგრძო კლოპენ ტრუილფუმ, - შენ, ანდრი-წითურავ, როგორც კი ტაშს შემოვკრავ, მუხლს ჰკრავ და ფეხქვეშ სკამს გამოაცლი: ფრანსუა შანტ-პრიუნ, შენ ფეხებზე ჩამოეკიდები ამ არამზადას; შენ კი, ბელვინ, მხრებზე შეახტები; სამივე ერთად, უცბად, გაიგეთ? გრენგუარს გააჟრჟოლა.

- მიხვდით? - ჰკითხა კლოპენ ტრუილფუმ სამივეს, რომლებიც მზად იყვნენ გრენგუარს სძგერებოდნენ. საბრალო მსხვერპლი საშინელი მოლოდინის წუთს განიცდიდა, კლოპენი კი ფეხის წვერით მშვიდად უკეთებდა ცეცხლში ვაზის წალამს. - გაიგეთ? - გაიმეორა მან და ტაშის შემოსაკვრელად ხელები გაშალა.

წამიც და ყველაფერი გათავდებოდა. უეცრად კლოპენი შეჩერდა, თითქოს რაღაც მოულოდნელმა აზრმა გაუელვა თავშიო და თქვა:

- ერთ წამს! კინაღამ დამავიწყდა! ჩვენში ასეთი წესია, კაცს არ ჩამოვახრჩობთ, თუ არ ვიკითხეთ, იქნებ გამოჩნდეს ქალი, რომელიც მის ქმრობას მოისურვებს. აბა, ამხანაგო, ეს შენი უკანასკნელი შანსია. აირჩიე, ან მაწანწალა ქალი, ან თოკი. გრენგუარმა ამოისუნთქა. ამ ნახევარ საათში მეორედ დაუბრუნდა ცხოვრებას, თუმცა, ამ ხვედრს მაინცდამაინც ვერ ენდობოდა.

- თქვენ, ჰეი! - იყვირა კლოპენმა და ისევ კასრზე აბობღდა, - თქვენ, ჰეი, დიაცებო, არის თქვენს შორის ვინმე, ამ არამზადას ქმრად რომ ინდომებს? შენ, ჰეი, კოლეტ ლა შარონ! ელიზაბეტ ტრუვენ! სიმონ ჟოდუინ! მარი ფეხკოტიტა! ტონი აყლაყუდა! მიშელ ჟენაილ! მათურინ ჟირორუ! ჰეი, ისაბო ლა ტიერი! მოდით და შეხედეთ! კაცი მუქთად! ვის უნდა?

ამ უბადრუკ მდგომარეობაში გრენგუარი, უეჭველად, ვერაფერი მადის აღმძვრელი იყო. მაწანწალა ქალები გულგრილად შეხვდნენ კლოპენის წინადადებას. უბედურმა გაიგონა, როგორ უპასუხეს:

- არა! არა! ჩამოახრჩვეთ, ამით ყველა ვისიამოვნებთ!

სამი ქალი მაინც გამოეყო ბრბოს და მასთან მივიდა, რათა მისთვის კბილები გაესინჯა. პირველი სქელი, ოთხკუთხა სახის დედაკაცი იყო. მან ყურადღებით დაათვალიერა ფილოსოფოსის საცოდავი სამოსი. ტილოს ხალათს უფრო მეტი ნახვრეტი ჰქონდა, ვიდრე წაბლის მოსახალ ტაფას. ქალი დაიმანჭა და ბუზღუნით მიმართა გრენგუარს:

- ძველი ძონძია! სად არის შენი ლაბადა?

- დავკარგე, - უთხრა გრენგუარმა.

- შენი ქუდი?

- მომტაცეს.

- შენი ფეხსაცმელი?

- ლანჩი ვარდება.

- ქისა?

- ვაი რომ, ერთი დინარიც არ მაბადია, - წაილუღლუღა გრენგუარმა. - მაშ, სთხოვე ჩამოგახრჩონ და მადლობაც უთხარი! - მიახალა მაწანწალამ და ზურგი აქცია. მეორემ, შავმა, სახედანაოჭებულმა ბებერმა, იმდენად უშნომ, რომ თვით საოცრებათა ეზოშიც კი ლაქასავით გამოირჩეოდა, ერთხანს გარს უტრიალა გრენგუარს. საბრალოს კინაღამ გააჟრჟოლა, ვაითუ ამან ამიყვანოსო. მაგრამ დედაბერმა წაიდუდღუნა: - ნამეტანი მჭლეა! - და გაშორდა.

მესამე ახალგაზრდა საკმაოდ ქორფა და არცთუ ულაზათო ქალს საბრალო პოეტმა წასჩურჩულა:

- მიშველეთ, გადამარჩინეთ!

ქალმა ერთი წამით თანაგრძნობით შეხედა, შემდეგ თვალები დახარა, კაბაზე ნაოჭი გაისწორა და ერთხანს იდგა ასე, გაურკვეველ მდგომარეობაში. გრენგუარი თვალს ადევნებდა მის ყოველ მოძრაობას: ეს მისი უკანასკნელი იმედი იყო.

- არა, - თქვა ბოლოს ახალგაზრდა ქალმა, - არა, გილიომ ლოყაჩამოვარდნილი მიმბერტყავს. - და ისიც ხალხს შეერია.

- ბედი არ გქონია, ამხანაგო, - უთხრა კლოპენმა. მერე კასრზე მთელი ტანით აიმართა და დაიძახა: - მაშ, არავის უნდა? - და ხმით ისე წაბაძა აუქციონერს, ყველამ გადაიხარხარა: - მაშ, არავის სურს? ერთი, ორი, სამი! - სახჩრობელისკენ მიბრუნდა და თავდაქნევით დაუმატა: - თქვენ დაგრჩათ! ბელვინ დე ლეტუალი, ანდრია-ჩითური და ფრანსუა შანტარიუნი გრენგუარს მიუახლოვდნენ. ამ დროს მათ რიგებში ყვირილი გაისმა:

- ლა ესმერალდა! ლა ესმერალდა!

გრენგუარი შეკრთა და იქით მიბრუნდა, საიდანაც ყვირილის ხმა მოდიოდა. ხალხი გაიყო და გზა მისცა მხიარულ, თვალისმომჭრელ არსებას. ეს ბოშა გოგონა იყო. - ესმერალდა! - აღელვების მიუხედავად, გაიმეორა ამ მოულოდნელობით განცვიფრებულმა გრენგუარმა და მომენტალურად თვალწინ გაურბინა ამ დღის შთაბეჭდილებებმა. მოეჩვენა, რომ ამ იშვიათი არსების მომხიბლაობას საოცრებათა ეზოც დაეპყრო. მაწანწალები წყნარად უთმობდნენ გზას, უკან იხევდნენ, მისი ერთი შეხედვითაც კი ველური სახეები ყვავილივით ეფურჩქნებოდათ. ესმერალდა მსუბუქი, მკვირცხლი ნაბიჯით მიუახლოვდა განწირულს. ლამაზი ჯალი უკან მისდევდა. გრენგუარი არც მკვდარი იყო, არც ცოცხალი. გოგონა ერთხანს მდუმარედ უყურებდა. - თქვენ გინდათ ეს კაცი ჩამოახრჩოთ? - სერიოზულად ჰკითხა მან კლოპენს. - დიახ, დაო, - უპასუხა თუნის მეფემ, - თუ შენ ქმრად არ წაიყვან. გოგონამ ქვედა ტუჩი მომხიბლავად აიბზუა და თქვა:

- მე მიმყავს იგი.

გრენგუარი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ყველაფერი, რაც დილიდან თავს გადახდა, სიზმარი იყო, ეს კი მისი გაგრძელება. მოულოდნელი, თუმცა ნამდვილად სასიამოვნო ცვლილება მეტისმეტად მძაფრი იყო. პოეტს ყელიდან ყულფი მოხსნეს და უბრძანეს, სკამიდან ჩამოსულიყო. იმდენად იყო აღელვებული, რომ არ წაქცეულიყო, ძირს დაჯდა.

ბოშათა ჰერცოგმა უსიტყვოდ მოიტანა თიხის სურა. ბოშა ქალმა იგი გრენგუარს გაუწოდა და უთხრა:

- ძირს დაანარცხე! - სურა დაიმსხვრა.

- ძმაო, - თქვა ბოშათა ჰერცოგმა და ორივეს თავზე ხელი დაადო, - ის შენი ცოლია; დაო, იგი შენი ქმარია, ოთხი წლით. წადით!

2.7. ქორწინების ღამე

რამდენიმე წუთის შემდეგ პოეტი ერთ მყუდრო, თბილ, თაღიან პატარა ოთახში აღმოჩნდა; ის იჯდა მაგიდასთან, რომელიც თითქოს აქ იმისთვის დაუდგამთ, რომ იქვე დაკიდებული პატარა კარადიდან საჭმელი გადმოეღოთ და სუფრა გაეწყოთ. მან წარმოიდგინა თბილი სარეცელი ლამაზ ასულთან ერთად. მისი ამბავი ზღაპარს ჰგავდა. ცოტაც და თავს ჯადოსნური ზღაპრის გმირად წარმოიდგენდა. დროდადრო ირგვლივ თვალებს აცეცებდა. თითქოს იმ ცეცხლოვან ეტლს ეძებდა, რომელშიც წყვილი ფრთოსანი ქიმერა იყო შებმული. მხოლოდ მას შეეძლო ასე სწრაფად გამოეყვანა ქვესკნელიდან აქ, სამოთხეში. ხანდახან თავის დახეულ სამოსს აშტერდებოდა, სინამდვილეს მაგრად რომ ჩაბღაუჭებოდა, მიწას არ მოსწყვეტოდა. მისი გონება, რომელიც წარმოსახვის სივრცეებში დაქროდა, მხოლოდ ამ ძაფზეღა ეკიდა.

ყმაწვილქალი ყურადღებას არ აქცევდა. იგი მიმოდიოდა, რამდენიმე სკამი გადადგ-გადმოდგა, თავის თხას გამოელაპარაკა. ბოლოს მაგიდის ახლოს დაჯდა და გრენგუარსაც შეეძლო მისი ცქერით გული ეჯერებინა. გაოგნებული ადევნებდა თვალს ბოშას და სულ უფრო იძირებოდა ფიქრსა და ოცნებაში: „აი, ვინ ყოფილა ესმერალდა! - თქვა მან თავისთვის, - ციური ქმნილება და ქუჩის მოცეკვავე! რაოდენ დიდია და რაოდენ მცირე! მან ამ დილას საბოლოოდ ჩასცა ლახვარი ჩემს მისტერიას, მანვე მაჩუქა სიცოცხლე. ჩემი ბოროტი გენია! ჩემი მფარველი ანგელოზი! მშვენიერი ქალია, სინდისსა ვფიცავ! მე მისი ტყვე ვარ, ალბათ, მასაც უნდა ვუყვარდე, რაკი ჩემი ამგვარად დატყვევება ინება. - თუმცა, სწორედ დროზე გამახსენდა, - თქვა და უცბად წამოდგა, სინამდვილის გრძნობის იმ დოზით განმსჭვალული, რომელიც მისი ხასიათისა და ფილოსოფიის საფუძ-

ველს შეადგენდა, მე ხომ მისი ქმარი ვარ“. ეს აზრი მის თვალებშიც გამოკრთა და ისე გამბედავად მიუახლოვდა ყმაწვილქალს, რომ მან უკან დაიხია და უთხრა:

- რა გინდათ ჩემგან?

- განა ამას კითხვა უნდა, სათაყვანებელო ესმერალდა? - უპასუხა გრენგუარმა. მის ხმაში ისეთი თავდავიწყება იგრძნობოდა, რომ თვითონვე გაუკვირდა.

ბოშა ქალმა გაფართოებული თვალებით შეხედა.

- არ მესმის რისი თქმა გნებავთ!

- როგორ! - განაგრძო გრენგუარმა მეტი გატაცებითა და გზნებით, - განა მე შენი არა ვარ, ჩემო ტკბილო, ნაზო მეგობარო? განა შენ ჩემი არა ხარ? - და სრულიად გულუბრყვილოდ მოხვია წელზე ხელი.

ბოშა ქალი გველთევზასავით გაუსხლტდა ხელიდან, ერთი ნახტომით ოთახის მეორე კუთხეში აღმოჩნდა; ჯერ დაიხარა, მერე ისევ გასწორდა და ხელში პატარა ხანჯალმა გაუელვა. ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. გრენგუარის წინ იდგა მრისხანე ქალი, ფიცხი, ამაყი; ტუჩებმოკუმულს ნესტოები ებერებოდა, ღაწვები წამოსწითლებოდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. იმავე დროს თიკანი პატრონის წინ დადგა და გრენგუარს საბრძოლველად რქები მიუშვირა. გოგონა კრაზანად იქცა და მზად იყო ნესტარი ეჩხვლიტა.

ფილოსოფოსი უსიტყვოდ წამოდგა. გაოგნებული ხან თხას აკვირდებოდა, ხან ქალიშვილს. - წმინდაო ქალწულო, - თქვა მან ბოლოს, როცა გაოგნებისგან თავი დააღწია და ლაპარაკის უნარი დაუბრუნდა, - ერთი ამ ორ გულადს დამიხედეთ.

ქალიშვილმა დუმილი დაარღვია:

- შენ კი ძალიან თავხედი და გაიძვერა ყოფილხარ!

- მაპატიეთ, ძვირფასო, - თქვა გრენგუარმა ღიმილით, - მაშ, რად წამიყვანეთ ქმრად? - განა კარგი იქნებოდა ჩამოეხრჩვეთ?

- მაშასადამე, თქვენ მხოლოდ იმიტომ მოინდომეთ ჩემი ცოლობა, რომ სახრჩობელას გადაგერჩინეთ? - ჰკითხა ცოტა არ იყოს იმედგაცრუებულმა პოეტმა. - განა სხვა რა აზრი შეიძლება მქონოდა?

გრენგუარმა ტუჩებზე იკბინა. „კარგი, კმარა, - თქვა მან, - ჩანს, კუპიდონი არც ისე მოწყალეა ჩემდამი, როგორც მეგონა. მაგრამ თუ ასეა, მაშინ რა საჭირო იყო იმ საცოდავი სურის გატეხა?“ - ესმერალდას ხანჯალი და თხის რქები ისევ თავდაცვით მდგომარეობაში იყო. - ქალწულო ესმერალდა, - უთხრა პოეტმა, - დავზავდეთ. მე შატლეს სასამართლოს მდივანი არ გახლავართ და არც იმაზე გამოგედავებით, რომ აკრძალვის ბრძანების მიუხედავად პარიზში ხანჯალს ატარებთ. თუმცა, შეუძლებელია არ იცოდეთ, რვა დღეა ნოელ ლეკრივენს ათი პარიზული სუს გადახდა მიუსაჯეს, რადგან ხმალი ეკიდა. მაგრამ ეს მე არ მეხება, საქმეზე გადავდივარ. ვფიცავ სამარადისო ცხონებას, რომ თქვენს უნებართვოდ, ახლოს არ გაგეკარებით, ოღონდ მაჭამეთ რამე. გრენგუარი ნაკლებად იყო ავხორცი, ის არ მიეკუთვნებოდა იმ რაინდებსა და მეომრებს, რომლებიც ქალიშვილებს იერიშით იმორჩილებენ. სიყვარულის საკითხში, როგორც ყველა სხვა საქმეში, იგი ლოდინის, მშვიდობიან პოლიტიკას ამჯობინებდა. კარგი ვახშამი (მეტადრე როცა გშია) და მშვიდი საუბარი საუკეთესო შესვენებად მიაჩნდა სამიჯნურო თავგადასავლის პროლოგსა და კვანძის გახსნას შორის.

ბოშა ქალმა არაფერი უპასუხა. პაწია ტუჩი ზიზღით აიბზუა, თავი ჩიტივით ასწია და ხმამაღლა გადაიკისკისა, კოხტა ხანჯალი კი ისევე გაქრა, როგორც გაჩნდა; გრენგუარმა ვერც კი მოასწრო დაენახა, სად გადამალა ფუტკარმა თავისი ნესტარი.

ერთი წუთის შემდეგ მაგიდაზე გაჩნდა ჭვავის პური, ერთი ნაჭერი ღორის ქონი, რამდენიმე დამჭკნარი ვაშლი და ერთი დოქი ლუდი.

გრენგუარი გამალებით ჭამდა. რკინის ჩანგლისა და ქაშანური თეფ-შის წკარუნზე იტყოდით, მისი სიყვარული ჭამის მადად გადაიქცაო. პირისპირ მჯდომი ქალიშვილი გრენგუარს მდუმარედ ადევნებდა თვალს, აშკარად ჩანდა, რომ სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. დრო-დადრო იღიმებოდა და თავის ლამაზ ხელს ალერსით უსვამდა თხას, რომელიც გოგონას მუხლებს ნაზად მიჰკვროდა. ღორმუცელობისა და ოცნების ამ სურათს ცვილის სანთელი ანათებდა. როდესაც სტო-მაქი ამოივსო, გრენგუარს შერცხვა - მაგიდაზე ერთი ვაშლის მეტი აღარაფერი დარჩენილიყო.

- თქვენ არ მიირთმევთ, ქალწულო?

მან უარის ნიშნად თავი გააქნია და ჩაფიქრებული სენაკის თაღს მიაშტერდა. „რა ეშმაკმა მიიქცია მისი ყურადღება? - გაიფიქრა გრენგუარმა და ჭერს ახედა, - შეუძლებელია მისი ყურადღება თაღ-ზე გამოქანდაკებულ ქვის ჯუჯის დაღმეჭილ სიფათს მიეპყრო. ეშმაკ-მა დალახვროს, მაგ ჯუჯას მაინც ვჯობივარ“.

მან ხმას აუმაღლა:

- მადმუაზელ!

ეგონა, ვერ გაიგოო და კიდევ უფრო ხმამა ღლა დაუძახა:

- მადმუაზელ ესმერალდა!

მაგრამ ამაოდ, ტყუილად ირჯებოდა. ყმაწვილქალის გონება სხვაგან იყო. გრენგუარი ვერაფერს გახდა. საბედნიეროდ, საქმეში თხა ჩაერია. მან ნელა მოსწია თავისი ქალბატონის სახელო. - რა გინდა, ჯალი? - მკვირცხლად ჰკითხა ბოშა ქალმა, თითქოს ეს-ესაა გააღვიძესო. - მშიერია, - უთხრა გრენგუარმა, გახარებულმა იმით, რომ საუბრის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცა.

ესმერალდამ პური დაუფშვნა და ჯალიც კეკლუცად შეუდგა ნამ-ცეცების ჭამას მის ხელისგულზე.

გრენგუარმა ქალიშვილს ფიქრის საშუალება აღარ მისცა და საჩოთირო კითხვის დასმა გაბედა: - მაშ, არ გინდათ, თქვენი ქმარი გავხდე?

ქალიშვილმა დაშტერებით შეხედა და უთხრა:

- არა.

- საყვარელი? - განაგრძო გრენგუარმა. გოგონამ სახე დამანჭა და ამრეზით მიუგო: - არა.

- მეგობარი? - ჩააცივდა გრენგუარი. ბოშა ქალმა კვლავ ჩაშტერებით შეხედა, წუთით ჩაფიქრდა და უპასუხა:

- შესაძლებელია.

„შესაძლებელია“ - ფილოსოფოსების ამ საყვარელმა სიტყვამ გრენგუარი გაამხნევა და ჰკითხა: - იცით კი, რა არის მეგობრობა?

- დიახ, - უპასუხა ბოშა ქალმა, - ეს ნიშნავს და-ძმობას, როცა ორი სული ერთმანეთს ხვდება, მაგრამ ერთ არსებად არ იქცევა, ეს ერთი ხელის ორი თითივითაა. - სიყვარული? - არ ეშვებოდა გრენგუარი.

- ოჰ, სიყვარული! - თქვა მან და ხმა აუკანკალდა, თვალები გაუბრწყინდა, - სიყვარული, როცა ორი ერთ არსებად შეერთდება - მამაკაცი და ქალი ანგელოზად იქცევა. სიყვარული ზეცაა. მშვენიერი იყო ქუჩის მოცეკვავე, როცა ამას ამბობდა; მისმა სილამაზემ გრენგუარი განაცვიფრა და ეგონა, რომ ეს სილამაზე სავსებით შეესაბამებოდა მისი სიტყვების თითქმის აღმოსავლურ აღტყინებას. მისი უბიწო, ვარდისფერი ბაგეები იღიმებოდნენ, წრფელსა და ნათელ შუბლს ხანდახან ფიქრთა ნისლი გადაუვლიდა, ხოლო დახრილი, გრძელი, შავი წამწამებიდან ენითაუწერელი ნათელი ისახებოდა და სახის ნაკვთებს იმ იდეალურ სინაზესა და მომხიბვლე ლობასანიჭებდა, რომელიც შემდეგში რაფაელმა გამოსახა ქალწულობის, დედობისა და ღვთაებრიობის მისტიკური შეერთებით. - როგორი უნდა

იყოს მამაკაცი, თქვენ რომ მოგეწონოთ? - არ ცხრებოდა გრენგუარი. - ვაჟკაცი უნდა იყოს.

- განა მე ვაჟკაცი არა ვარ? - უთხრა მან.

- ვაჟკაცი, რომელსაც თავზე მუზარადი ახურავს, ხელთ ხმალი ექნება და ქუსლებზე - ოქროს დეზები.

- კეთილი, - თქვა გრენგუარმა, - მაშ, უოქროსდეზებოდ და უცხენოდ ვაჟკაცი აღარ არსებულა. გიყვართ ვინმე?

გოგონა წუთით ჩაფიქრდა, შემდეგ კი რაღაც განსაკუთრებული გამომეტყველებით თქვა: - მაგასაც მალე გავიგებ.

- რატომ ამ საღამოს არა? - ჰკითხა ნაზად პოეტმა, - რატომ მე არა? ბოშა ქალმა მედიდურად მიაპყრო მრავლისმეტყველი თვალები.

- მე შევიყვარებ მხოლოდ ისეთ მამაკაცს, რომელიც ჩემს დაცვას შეძლებს. გრენგუარი გაწითლდა. ეს სიტყვები გულზე მოხვდა. ყმაწვილმა ქალმა, ცხადია, სიტყვა გადაუკრა იმ დახმარებაზე, რომელიც მან აღმოუჩინა ორი საათის წინ. მოაგონდა შემთხვევა, რომელიც საღამოს სხვა ფათერაკებს შორის დავიწყებოდა და შუბლში ხელი იტკიცა: - მართალია, ქალწულო, სწორედ ამით უნდა დამეწყო. მაპატიეთ, სულელურად დავიბენი. როგორ დააღწიეთ თავი კვაზიმოდოს ბრჭყალებს?

ამ კითხვამ ბოშა ქალი შეაკრთო.

- ოჰ, საზარელი კუზიანი! - და სახე ხელებში ჩამალა, თითქოს ძალიან სცივაო, ისე კანკალებდა. - მართლაც რომ საზარელია, მაგრამ მაინც, ეს როგორ მოახერხეთ? - არ ეშვებოდა გრენგუარი. ესმერალდამ ჩაიცინა, ამოიოხრა და დადუმდა.

- ის მაინც თუ იცით, რატომ აგედევნათ ის კუზიანი? - გრენგუარმა სცადა კითხვას შემოვლითი გზით დაბრუნებოდა.

- არ ვიცი, - თქვა გოგონამ და შემდეგ სწრაფად დაუმატა: - თქვენც ხომ მომდევდით, თქვენ რაღად ამედევნეთ?

- გულწრფელად მოგახსენებთ, მეც არ ვიცი, - უპასუხა გრენგუარმა. სიჩუმე ჩამოვარდა. გრენგუარი მაგიდაზე დანით რაღაცას კაწრავდა, ქალიშვილი კი იღიმებოდა. კედლისთვის ისე მიეპყრო მზერა, თითქოს, იქ რაღაცას ხედავსო. უცებ ძლივს გასაგონი ხმით ამღერდა და უცბადვე შეწყვიტა, ჯალის მიეალერსა.

- რა ლამაზი ცხოველი გყავთ, - უთხრა გრენგუარმა.

- ეს ჩემი დაიკოა, - უპასუხა გოგონამ.

- რატომ გეძახიან ესმერალდას? - ჰკითხა პოეტმა.

- არ ვიცი.

- მაინც?

ქალიშვილმა უბიდან მწვანე აბრეშუმშემოკრული თილისმა ამოიღო, რომელიც კისერზე მოგრძო ძეწკვით ეკიდა. თილისმა ქაფურის ძლიერ სურნელს აფრქვევდა და შუაში ზურმუხტის მსგავსი, დიდი, მწვანე შუშის თვალი ჰქონდა.

- ალბათ, ამის გამო, - თქვა მან. გრენგუარმა ავგაროზს ხელი წაატანა. გოგონამ უკან დაიხია. - არ შეეხო! ეს თილისმაა. ან შენ შეამთხვევ რაიმეს, ან ის. პოეტს ცნობისმოყვარეობა უფრო და უფრო უცხოველდებოდა.

- ვინ მოგცათ?

ქალმა თითი ტუჩზე მიიდო და თილისმა ისევ უბეში ჩამალა. გრენგუარმა კიდევ რამდენიმე კითხვა დაუსვა. ქალიშვილი უხალისოდ პასუხობდა.

- რას ნიშნავს „ლა ესმერალდა?“

- არ ვიცი...

- რომელ ენას ეკუთვნის?

- მგონი, ბოშურს.

- მეც ასე მეგონა, - თქვა გრენგუარმა, - თქვენ საფრანგეთში დაიბადეთ? - არაფერი ვიცი.

- ვინ არიან თქვენი მშობლები?

პასუხად გოგონამ სიმღერა წამოიწყო ძველ ჰანგზე:

ჩიტია მამაჩემი, ჩიტი - დედაჩემი.

წყალს გავდივარ ისე, არ მჭირდება ნავი, ჩიტია დედაჩემი, ჩიტი - მამაჩემი.

- კეთილი, - თქვა გრენგუარმა, - რა ხნისა ჩამოხვედით საფრანგეთში? - სულ პატარა.

- პარიზში?

- შარშან. როცა პაპის ჭიშკარში შემოვდიოდით, ჰაერში თვალი მოვკარი ლერწმის კიოტას. ეს იყო აგვისტოს დამლევს. მე ვთქვი: მკაცრი ზამთარი იქნება-მეთქი. - ასეც იყო, - თქვა გრენგუარმა, გახარებულმა იმით, რომ საუბარი გააგრძელა, თან გასათბობად თითებზე გაუთავებლად სულს იბერავდა. - მაშ, თქვენ წინასწარმეტყველების ნიჭიც გქონიათ? - არა. - ისევ მოკლედ მიუგო ბოშა ქალმა.

- ის კაცი, ჩვენ რომ დაგვაქორწინა, თქვენი ტომის მეთაურია? - დიახ. - გოგონამ, ჩვეულებისამებრ, მოხდენილად აიბზუა ტუჩი. - მე შენი სახელი არ ვიცი. - ჩემი სახელი? თუკი ინებებთ, ჩემი სახელია: პიერ გრენგუარი. - მე უფრო ლამაზი სახელი ვიცი, - თქვა ქალმა.

- ოჰო! - მიუგო პოეტმა. - დაე, ასე იყოს, ვერ გამაბრაზებთ. მომისმინეთ, უკეთ რომ გამიცნობთ, ეგებ, შემიყვაროთ კიდეც, რადგან ისე გულღიად მიამბეთ თქვენი თავგადასავალი, ვალდებული ვარ ცოტა რამ ჩემზეც გითხრათ. მაშ ასე, მე მქვია პიერ გრენგუარი, გონესის ფერმერის ნოტარიუსის შვილი. მამაჩემი ბურგუნდიელებმა ჩამოახრჩვეს, დედაჩემს კი პიკარდიელებმა მუცელი გამოფატრეს პარიზის გარემოცვის დროს; ეს ოცი წლის წინ იყო. ექვსი წლისა დავობლდი. ფეხსაცმლის ლანჩის მაგივრობას პარიზის ქვაფენილი მიწევდა.

თვითონაც არ ვიცი, თექვსმეტ წლამდე როგორ მივაღწიე. ხან ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე ქალი მომაწვდიდა ქლიავს, ხან ხაბაზი გად-მომიგდებდა პურის ქერქს; საღამოობით ვცდილობდი გუშაგებს ცი-ხეში დავემწყვდიე, დასაძინებლად ერთი კონა ჩალა მაინც რომ მქო-ნოდა. ზამთრობით სანსის ოტელის კარიბჭესთან ვთბებოდი მზეზე და სასაცილოდ მიმაჩნდა, წმ. იოანეს სადღესასწაულო კოცონს ცხელ ზაფხულში რომ ანთებდნენ. ერთი სიტყვით, ყველაფერ ამას ხელი არ შეუშლია ჩემთვის ასეთი ტანწერწეტა გავმხდარიყავი. თექ-ვსმეტი წლისამ ჩემი მდგომარეობის შეცვლა გადავწყვიტე. ყველა-ფერი ვცადე. ჯარისკაცად ვიმსახურე, მაგრამ საკმაოდ გულადი ვერ გამოვდექი; ბერად აღვიკვეცე, მაგრამ სათანადოდ ღვთისმოსავი არ ვიყავი. სასოწარკვეთილი შეგირდად დავდექი დიდცულიან ხუ-როებთან, მაგრამ საკმაო ძალ-ღონე არ მომდევდა. გული უფრო სკოლის მასწავლებლობისკენ მიმიწევდა. მართალია, კითხვა არ ვიცოდი, მაგრამ ეს არ მადარდებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მივ-ხვდი, მუდამ რაღაცა მაკლდა და არაფრისთვის გამოვდგებოდი. როცა ამაში დავრწმუნდი, პოეტურ გულისთქმას ავყევი და ლექსე-ბის თხზვასა და რითმას მოვკიდე ხელი. ეს ხელობა სწორედ ზედგა-მოჭრილია მაწანწალისთვის და, რაც უნდა იყოს, ქურდობას მაინც სჯობია. საბედნიეროდ, ღვთისმშობლის ტაძრის ღირსეულ არქი-დიაკონს, წმინდა მამას, კლოდ ფროლოს შევხვდი. მან მითანაგ-რძნო, მისი წყალობით დღეს განათლებული კაცი ვარ, ვიცი ლათი-ნური, რაღაცა გამეგება სქოლასტიკის, პოეტიკის, ლექსთათხზვის, თვით ალქიმიისაც კი, სიბრძნეთა შორის ყოვლადსიბრძნის. სწო-რედ მე გახლავართ ავტორი მისტერიისა, რომელიც დღეს დიდი ზარ-ზეიმით წარმოადგინეს ხალხით გაჭედილი სასახლის დიდ დარ-ბაზში. მე დავწერე აგრეთვე ექვსასგვერდიანი წიგნი 1465 წლის სა-ოცარ კომეტაზე. ცოტა რამ საარტილერიო ხელობისაც მესმოდა და

ჟეან მოგის დიდი ზარბაზნის გაკეთებაზეც ვმუშაობდი. როგორც ხედავთ, ცუდი საქმრო როდი გახლავართ. მე ვიცი უამრავი სასეირო და გასართობი რამ, შემიძლია ვასწავლო თქვენს თხას, მაგალითად, პარიზის ეპისკოპოსის გამოჯავრება, იმ შეჩვენებული ფარისეველისა, რომლის წისქვილები გამვლელებს ხიდის მთელ სიგრძეზე წუწავენ. ჩემი პიესა მომცემს დიდძალ ვერცხლის ფულს, თუ გადამიხადეს. ერთი სიტყვით, თქვენს განკარგულებაში ვარ ჩემი ჭკუა-გონებით, ცოდნით, მეცნიერებით, განსწავლულობით; მზად ვარ თქვენთან ვიცხოვრო, როგორც თქვენმა ქმარმა ან როგორც ძმამ, თქვენ აირჩიეთ.

გრენგუარი დადუმდა, დაელოდა რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი გამოსვლა ქალიშვილზე.

- ფებუს! - წარმოთქვა მან ხმადაბლა, შემდეგ პოეტისკენ მიბრუნდა, - ფებუს, რას ნიშნავს ეს სიტყვა?

მართალია, გრენგუარმა ვერ გააცნობიერა, რა დამოკიდებულება ჰქონდა ამ კითხვას მის ნათქვამთან, მაინც თანახმა იყო თავისი ცოდნა ეჩვენებინა.

- ეს ლათინური სიტყვაა და მზეს ნიშნავს, - თქვა მან თავმომწონედ. - მზეს! - გაიმეორა გოგონამ.

- ასე ეძახდნენ ლამაზ მშვილდოსანს, რომელიც ღმერთი იყო, - დაუმატა გრენგუარმა. - ღმერთი! - კვლავ გაიმეორა ჩაფიქრებულმა ბოშა ქალმა; მის ხმაში ვნება იგრძნობოდა. ამ დროს ერთ-ერთი სამაჯური შეეხსნა და დაუვარდა. გრენგუარი ფიცხლად დაიხარა ასაღებად. როცა წამოიწია, ახალგაზრდა ქალი და თხა უკვე გამქრალიყვნენ. ურდულის ჩხაკუნი გაიგონა. პატარა კარი, რომელიც უთუოდ მეზობელ საკანში გადიოდა, გარედან ჩაიკეტა. - ლოგინი მაინც თუ დამიტოვა? - თქვა ფილოსოფოსმა. ირგვლივ მიმოიხედა. დასაძინებლად ხის გრძელი სკივრი თუ გამოადგებოდა, მაგრამ სახურა-

ვი ჩუქურთმებით ჰქონდა დაფარული. - რას ვიზამ, - თქვა მან და უფრო მოხერხებულად მოეწყო სკივრზე, - ბედს უნდა დავემორჩილო. მაგრამ რა უცნაური ქორწინების ღამეა! აფსუს! რა სამწუხაროა! ამ ქორწინებასა და დამსხვრეულ სურაში იყო რაღაც ბუნებრივი და წარღვნამდელი, რაც ნამდვილად მომეწონა.

3.1. ღვთისმშობლის ტაძარი

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი უდავოდ დიდებული შენობაა და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, თავის განუმეორებელ სილამაზეს მაინც ინარჩუნებს. თუმცა, ძნელია არ აღშფოთდეთ, როცა ამ ღირსშესანიშნავ ძეგლზე დროჟამისა და ადამიანებისგან მიყენებულ ჭრილობებს ნახავთ. ისინი ამით გამოხატავენ უპატივცემულობას კარლოს დიდისა (მან აქ პირველი ქვა დადო) და ფილიპ ავგუსტის მიმართ, რომელმაც დაასრულა ტაძარი. ჩვენს ტაძართა შორის ამ უძველესი დედოფლის სახეზე რომელიმე ნაოჭის გვერდით ნაჭრილობევს ყოველთვის ნახავთ. Tempus elax, homo edacior[1], ამ გამოთქმას სიამოვნებით გადავთარგმნიდი ასე: „დრო ბრმაა, ადამიანი კი - უმეცარი“ ამ უძველეს ტაძარზე ნგრევისა და განადგურების ყოველი კვალი რომ დაგვედგინა, დროის დინების წილი ძალზე მცირე აღმოჩნდებოდა, ხოლო ადამიანებისა, მეტადრე კი „ხელოვნების კაცთა“ - ვგულისხმობ იმათ, რომლებმაც უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ხუროთმოძღვართა სახელი მიითვისეს, უფრო მეტი. ცოტაა ისეთი ხუროთმოძღვრული ძეგლი, ამ ტაძარზე უფრო ლამაზი ფასადი რომ ჰქონდეს. აქ თანმიმდევრობით და ერთობლივად წა-

[1] *ჟამი ხარბია, კაცი - უხარბესი (ლათ.).*

მოდგება სამი ისრული პორტალი, ზემოთ - დაკბილულ ლავგარდან-ზე ორმოცდარვა სამეფო ნიშა თითქოს ამოუქარგავთო; შუაში და-ტანებულია უზარმაზარი მრგვალი სარკმელი, ორი გვერდითი სარ-კმლით, მაღალი და ნარნარი, სამყურას ფორმის მოჩუქურთმებული კამაროვანი ტალანი, რომლის წვრილ სვეტებს ორი პირქუში და მა-სიური კოშკი ეყრდნობა. ამ დიადი მთლიანობის ყველა ჰარმონიუ-ლი ნაწილი, ერთმანეთზე ხუთ გიგანტურ იარუსად აღმართული, თვალწინ გადაგვიშლის გამოქანდაკებულ, გამოძერწილ, ნაჭედ, მოჩუქურთმებულ ურიცხვ დეტალს, უშფოთველად შეერთებულს დიდებულ ანსამბლად. ეს ერთგვარი, უზარმაზარი ქვის სიმფონიაა, ადამიანისა და ხალხის კოლოსალური ქმნილება, რთული და ერთი-ანი, ვითარცა „ილიადა“ და „რომანსერო“[1]; ეპოქის საოცარი ნაყო-ფია სადაც ყოველი ქვიდან ასობით ფორმით გამოსჭვივის ხელოვა-ნის გენიით წარმართული ხუროს ფანტაზია; ესაა ადამიანის ძლევა-მოსილი ხელით აღმართული ღმერთის ქმნილება, რომლისგანაც მან თითქოს ისესხა: მრავალსახეობა და მარადისობა. როდესაც ვსაუბრობთ პარიზის ღვთისმშობლის ფასადზე, ვგულისხმობთ მთელ ტაძარს; ვსაუბრობთ რა ტაძარზე, ვგულისხმობთ შუა საუკუ-ნეების ყველა ქრისტიანულ ეკლესიას. ყველაფერი ამ ხელოვნება-ში, რომელიც თავისთავად წარმოიშვა, ლოგიკური და უაღრესად პროპორციულია. ფეხის თითი რომ გაზომო, ამით შეგიძლია წარ-მოდგენა შეიქმნა მთელ სხეულზე. ამჟამად ფასადს სამი მნიშვნე-ლოვანი რამ აკლია; უპირველესად, თერთმეტსაფეხურიანი კიბე, რომელიც მას ოდესღაც მიწიდან ამაღლებდა; შემდეგ ქანდაკებების ქვემო რიგი, რომელიც სამი პორტალის ნიშებს იკავებდა და ქანდა-

[1] *XIII-XIV სს-ში შედგენილი და მე-16 ს-ში გამოცემული ესპანური ხალხური სიმღე-რებისა და პოემების კრებული.*

კებათა ზედა რიგი ძველი საფრანგეთის ოცდარვა მეფისა, რომლებიც პირველი სართულის გალერეას ამკობდნენ.

ვინ დაამხო ქანდაკებათა ეს ორი რიგი? ვინ დააცარიელა ნიშები? ვინ ამოკვეთა ცენტრალური პორტალის შუაში უკანონოდ შობილი ისრული თაღი? ვინ გაბედა ჩაესვა ბისკორნეტის არაბესკების გვერდით უგემოვნო, ტლანქი ლუი XV-ის სტილის ხის კარი? - ადამიანებმა, არქიტექტორებმა, ხელოვანებმა. ვინ შეცვალა ძველი გოტიკური საკურთხეველი, ბრწყინვალედ და უხვად გაწყობილი ტაგრუცებითა და კიდობნებით, ვინ ჩასვა ეს თეთრი და ცივი შუშები იმ ფერადი მინების ადგილას, რომლებიც მამა-პაპათა თვალს ხიბლავდა? ასე ეპყრობოდნენ შუა საუკუნეების ხელოვნების საკვირველ ძეგლებს თითქმის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი - საფრანგეთში. მის ნანგრევებზე შეიძლება გავარჩიოთ სამგვარი დაზიანება: უპირველესად, დროს შეუმჩნევლად აქა-იქ დაუკბილავს და ყველგან ჟანგით დაუფარავს მისი ზედაპირი; შემდეგ თავს დაატყდა, ბუნებით ბრმა და მრისხანე, პოლიტიკური და რელიგიური რევოლუციები, რომელთაც დაგლიჯეს მისი მდიდარი ხუროთმოძღვრული და ჭედური სამოსელი, დაამსხვრიეს მისი მრგვალი სარკმლები და ქანდაკებანი იმის გამო, რომ ზოგს თავზე მიტრა ედგა, ზოგსაც - გვირგვინი; ბოლოს, თავიანთი კვალი დატოვეს სასაცილო და სულელურმა მოდურმა მიმდინარეობებმა, რომლებიც აღორძინების ხანის ანარქიულ და მაინც ბრწყინვალე გადახვევათა შემდეგ, ერთმანეთს ცვლიდნენ ხუროთმოძღვრების დაცემა-დაქვეითების დროს. ტაძარს მათ უფრო მეტი ზიანი მიაყენეს, ვიდრე რევოლუციებმა, ისინი იჭრებოდნენ ხელოვნების სისხლსა და ხორცში, მათ იერიში მიჰქონდათ თვით დედაბურჯზე, თვით ჩონჩხზე, ისინი ჩეხდნენ, ჭრიდნენ, აქუცმაცებდნენ; აურ-დაურიეს, ჩაკლეს შენობის როგორც ფორმა, ისე სიმბოლო. „კარგი გემოვნების“ საბაბით, ურცხვად მო-

ურთავთ გოტიკური ხუროთმოძღვრების ჭრილობები თავიანთი უბადრუკი, დღემოკლე და უსარგებლო წვრილმანებით. სამი რამ ამახინჯებს დღეს გოტიკურ ხუროთმოძღვრებას: ნაოჭები და მეჭეჭები ზედა კანზე, რაც დროის ნახელავია, ხოლო მოტეხილობა, გამონგრევა, დაჟეჟილობა - უხეში ძალმომრეობის კვალი, რევოლუციების შედეგია; დამახინჯება, დასახიჩრება, მოკვეთა, ნაწილებად დაშლა და ცვლილება თვით ჩონჩხში, ანუ ე.წ. „რესტავრაციები“ - ბერძნებისა და რომაელების უბადრუკი მიმბაძველობის ბარბაროსული ნაცოდვილარია. რაოდენ შორს არის ის დრო, როდესაც რობერ სენალისი[1] პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს ეფესოს არტემიდეს საოცარ ტაძარს ადარებდა. თუმცა, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს არ შეიძლება სრული, დამთავრებული, გარკვეული ტიპის ძეგლი ეწოდოს. იგი უკვე აღარ არის რომანული სტილის ეკლესია, მაგრამ არც მთლად გოტიკურია. იგი გარდამავალი ხანის შენობაა, ნაირგვარობის შესანიშნავი ნიმუშია. თითოეული მხარე, თითოეული ქვა ამ ღირსეული ძეგლისა, არა მარტო ქვეყნის, არამედ მეცნიერებისა და ხელოვნების ისტორიაა. ასეთი ნაჯვარი ნაგებობანი გვახსენებენ, რამდენად ძველია ხუროთმოძღვრული ხელოვნება; თვალსაჩინოდ გვიმტკიცებენ, რომ ხუროთმოძღვრების დიდი ქმნილებანი იმდენად ცალკე პიროვნებათა ნაწარმოები როდია, რამდენადაც მთელი საზოგადოების ნამოღვაწარი; ისინი უფრო მეტად ხალხის შრომით და ოფლითაა შექმნილი, ვიდრე გენიოსი ადამიანის ზეშთაგონებით. ეს ერის მიერ კულტურის საგანძურში დატოვებული ანაბარია, საუკუნეობით დაგროვილი; იგი ერთგვარი ფორმაციაა. დროთა დინების ყოველ ზვირთს ზედ თავისი კვალი დაუტოვებია, ყოველ თაობას ძეგლზე თავისი ფენა დაუდია, ყოველ ადამიანს თავისი ქვა მიუტა-

[1] *ფრანგი ეპისკოპოსი (XV ს.-ის ბოლო).*

ნია. დიდი შენობები, ისე როგორც დიდი მთები, საუკუნეების ქმნილებებია. ხშირად ხელოვნება ფორმას იცვლის, ისინი კი ჯერაც არ დამთავრებულა. ცხადია, ის მშვენიერი მასალაა დიადი წიგნისა, ხშირად კი კაცობრიობის საყოველთაო ისტორიისა, სხვადასხვა ხელოვნების ამ თანმიმდევრულ შედუღება-შეერთებაში ასახული. ადამიანი, ხელოვანი, ინდივიდი წაშლილია ამ უშველებელი მასის ზედაპირზე და შემოქმედის გვარ-სახელიც კი არ დარჩენილა. მასში ზოგადად აისახა და შეჯამდა ადამიანის გონება. აქ დროა ხუროთმოძღვარი, ხალხი კი - კალატოზი. როდესაც ვაკვირდებით მხოლოდ ევროპულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას, აღმოსავლეთის ქვითნაგებობათა უმცროს ძმას, მაშინვე წარმოგვიდგება სამი ერთმანეთისგან მკაფიოდ განსხვავებული ხელოვნების უდიდესი წარმონაქმნი: რომანული, გოტიკური, აღორძინების, რომელსაც სიამოვნებით ვუწოდებთ ბერძნულ-რომაულს. თუმცა, ყველა ეს ელფერი, ეს განსხვავება შენობის მარტო ზედაპირს ეტყობა.

აქ ხელოვნებამ მხოლოდ გარსი იცვალა, ხოლო ქრისტიანული ტაძრის წყობა ხელუხლებელია. შიდა ჩონჩხი ყოველთვის იგივეა, იგივეა ნაწილთა ლოგიკური განლაგებაც. როგორი ქანდაკებებითა თუ ჩუქურთმებით, ნაძერწი თუ ნაქარგი მორთულობითაც უნდა იყოს შემკული ტაძრის გარსი, მის ქვეშ, მის შიგნით ყოველთვის ნახავთ, თუნდაც ჩანასახის ან საწყისი ფორმით, რომანულ ბაზილიკას. იგი მიწაზე მუდამ ერთი კანონით განლაგდება - საუკუნის, ხალხისა და ხელოვნების ფანტაზიის მიხედვით; ღვთისმსახურების ყველა წესის გათვალისწინებით. სხვა მხრივ კი, ხელოვნება ისე იქცევა, როგორც მოესურვება. ქანდაკებებს, მინიან თუ მრგვალ სარკმლებს, არაბესკებს, ჩუქურთმებს, ლავგარდანებს, სვეტისთავებს, ბარელიეფებს თავისი გემოვნებითა და თავისი წესებით ახამებს. აქედან

მოდის ამგვარი შენობების საოცარი გარეგანი მრავალფეროვნება, რომელთაც საფუძვლად უდევს საკმაო წესები და ერთიანობა.

3.2. პარიზი ჩიტის საფრენი სიმაღლიდან

პარიზის ღვთისმშობლის თვალწარმტაცი ტაძრის კოშკებიდან პარიზის დიდებული ხედი იშლებოდა. პარიზი XV საუკუნეში უკვე გიგანტური ქალაქი იყო, რომელიც წარმოიშვა სიტეს კუნძულზე, რომელზეც რამდენიმე საუკუნე არსებობდა; მდინარე სენაზე ჰქონდა ორი ხიდი - ჩრდილოეთით და სამხრეთით; ხიდები მთავრდებოდა ორი კოშკით, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ქალაქის კარიბჭეებისა და ციხესიმაგრეების ფუნქციას ასრულებდნენ: გრან-შატლე - მარჯვენა ნაპირზე, პტი-შატლე - მარცხენა ნაპირზე.

უკვე პირველი სამეფო დინასტიის დროს პარიზი კუნძულზე ვეღარ იშლებოდა და წყალგაღმა გადავიდა. სენის ორივე მხარეს დაიწყო ციხესიმაგრეთა პირველი სქელკედლებიანი და კოშკებიანი გალავნების მშენებლობა. 1367 წლიდან ქალაქი ისე გაფართოვდა, რომ ახალი ზღუდე-გალავანი გახდა საჭირო, რომელიც შარლ V-მ[1] ააგო. ისეთი ქალაქი კი, როგორიც პარიზია, მუდმივად ხარობს და იზრდება. სწორედ ასეთი ქალაქები იქცევა დედაქალაქებად. ისინი გეოგრაფიული, პოლიტიკური, მორალური თუ ინტელექტუალური ფილტრებია, საითაც მიმართულია ხალხის ყველა ბუნებრივი მიდრეკილება; ისინი ცივილიზაციის ჭებია, არხები, საითაც ჟონავს და უწყვეტად, წვეთ-წვეთობით, საუკუნეების მანძილზე გროვდება ვაჭრობა, მრეწველობა, ჭკუა-გონება, განათლება, მოსახლეობა, ყვე-

[1] *საფრანგეთის მეფე (1364-1380).*

ლაფერი, რაც კი ძალ-ღონის მქონეა, ნაყოფის მომცემია, მაცოცხლებელია, ყველაფერი, რაც კი ერის სული და გულია. შარლ V-ის გალავანს იგივე ბედი ეწია, რაც ფილიპ-ავგუსტისას[1]. XV საუკუნის დამლევს მასაც გადაალაჯეს და პარიზის გარეუბნებმა კიდევ უფრო შორს გაიწია, კვლავ გარდაიქმნა, თუმცა მხოლოდ ერთი, ლუი XV-ის გალავანი გადალახა - ტალახისა და ფურთხისგან შეკოწიწებული უბადრუკი კედელი, ღირსი და დამამშვენებელი მისი ამშენებელი მეფის, ღირსი და დამამშვენებელი პოეტისა, რომელმაც მას უმღერა: გალავნებში მომწყვდეული პარიზი გრგვინავს... XV საუკუნეში პარიზი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ, დამოუკიდებელ სამ ქალაქად იყო გაყოფილი - სიტე, უნივერსიტეტი და ქალაქი. თითოეულს თავისი დანიშნულება, ფიზიონომია, ადათი, ზნე-ჩვეულება, პრივილეგია, თავისი ისტორია ჰქონდა. სიტეში სჭარბობდა ეკლესიები, ქალაქში - სასახლეები, უნივერსიტეტში - სასწავლებლები. კუნძულზე იურიდიული ხელისუფლება ეკუთვნოდა ეპისკოპოსს, მარჯვენა ნაპირზე - ვაჭართუხუცესს, მარცხენა ნაპირზე - რექტორს, ხოლო უმაღლესი ხელისუფლება - პარიზის პრევოს, სამეფო თანამდებობის პირს და არა მუნიციპალიტეტის მოხელეს.

სიტეში იყო ღვთისმშობლის ტაძარი, ქალაქში - ლუვრი და რატუშა[2], უნივერსიტეტში - სორბონა. ქალაქს ჰქონდა დიდი დახურული ბაზარი, სიტეს - ჰოსპიტალი, ოტელ-დიე, უნივერსიტეტს - პრე-ოკლერი. სტუდენტების მიერ მარცხენა ნაპირზე ჩადენილი დანაშაული მართლმსაჯულების სასახლეში, კუნძულზე ირჩეოდა და მარჯვენა ნაპირზე, მონკოფონში ისჯებოდა, თუ საქმეში არ ჩაერეოდა რექტორი, რომელიც გრძნობდა, რომ უნივერსიტეტი ძლიერი იყო, მეფე კი სუსტი; სტუდენტებს კი ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ თავიანთ

---

[1] *საფრანგეთის მეფე (1180-1223). მან გააერთიანა საფრანგეთის ტერიტორია.*
[2] *ქალაქის თვითმმართველობის შენობა.*

მხარეში ჩამოახრჩობდნენ (გაკვრით აღვნიშნავ, რომ პრივილეგიების უმეტესობა, მეფეს ამბოხით წაგლიჯეს, თუმცა ეს ძველი ამბავია: მეფე ხელიდან მხოლოდ მაშინ უშვებს, როცა ხალხი ძალით გლეჯს).

ჩიტის საფრენი სიმაღლიდან სამივე - სიტე, უნივერსიტეტი და ქალაქი, უცნაურად და დახლართულ ქუჩათა ხშირ ბადედ წარმოგვიდგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის სამივე ნაწილი მხოლოდ ერთ მთლიან სხეულს შეადგენდა, მაშინვე გაარჩევდით ორ გრძელ, პარალელურ ქუჩას, რომლებიც უწყვეტლივ, გაუმრუდებლად, თითქმის სწორხაზოვნად გაჭიმულიყვნენ და სამივე ქალაქს სენის პერპენდიკულარულად თავიდან ბოლომდე კვეთდნენ, ერთმანეთთან აკავშირებდნენ, უწყვეტად გადაჰყავდათ მგზავრები ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში და სამი ქალაქისგან ერთს ქმნიდნენ.

როგორი იყო პარიზი ღვთისმშობლის ტაძრის კოშკების სიმაღლიდან 1482 წელს? ტაძრის წვეროზე ასულ აქოშინებულ ადამიანს თვალს მოსჭრიდა სახურავები, საკვამურები, ქუჩები, ხიდები, მოედნები, გუმბათები და სამრეკლოები. პირველ ყოვლისა, ძველი ქალაქი, „კუნძული სიტე, როგორც სოვალი[1] ამბობს, შლამში ჩაფლულ და სენის შუაგულისკენ გარიყულ დიდ გემს ჰგავს“, რომელიც XV საუკუნეში მდინარის ორივე ნაპირს ხუთი ხიდით უკავშირდებოდა. სწორედ ამ მსგავსების, და არა ნორმანდიელთა გარემოცვის გამო, გამოუსახავთ გემი პარიზის ძველ გერბზე. ვინც ამაში ერკვევა, მან იცის, გერბი ალგებრა, გერბი ენაა. ჰერალდიკაში შუა საუკუნეების მეორე ნახევრის მთელი ისტორიაა აღბეჭდილი, ისევე, როგორც რომანული ეკლესიის სიმბოლიკაში იკვეთება პირველი ნახევრის ისტორია. ფეოდალიზმის ამ იეროგლიფებმა თეოკრატიის იეროგლიფები შეცვალა. სიტე კიჩოთი აღმოსავლეთისკენ იყო მიქცეული,

---

[1] *ანრი სოვალი - პარიზელი ადვოკატი, რომელმაც დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით შექმნა ნაშრომი „ძველი და ახალი პარიზი“ (1654).*

ხოლო ქიმით - დასავლეთისკენ. თუ სახით გემის ქიმისკენ შებრუნ-დებოდით, ურიცხვ ძველ სახურავებს დაინახავდით; ღვთისმშობ-ლის ტაძრის წინ, კარიბჭესთან ახლოს, სამი ქუჩა ძველი სახლებით შემოჯარულ მშვენიერ მოედანს უერთდებოდა. მარჯვნივ, მარცხნივ, აღმოსავლეთით, დასავლეთით, სიტეს ესოდენ ვიწრო სივრცეში აღ-მართული იყო ყველა ეპოქის, ყველა შესაძლო ფორმისა და სიდი-დის ოცდაერთი ეკლესიის სამრეკლო, ღვთისმშობლის ტაძრის უკან, ჩრდილოეთით, გადაჭიმული იყო მონასტერი გოტიკური გა-ლერეებით; სამხრეთით - ნახევრად რომანული საეპისკოპოსო სა-სახლე; აღმოსავლეთით - ტერენის კონცხი. სენტ შაპელის მარჯვნივ, დასავლეთისკენ, წყლის ნაპირას იდგა მართლმსაჯულების სასახ-ლე თავისი კოშკებით. სამეფო ბაღები, რომლებიც სიტეს დასავლეთ განაპირას გაეშენებინათ, მებორნის კუნძულს ფარავდა. ღვთის-მშობლის მაღალი კოშკებიდან სენა არც კი მოჩანდა, იგი ხიდებს და-ეფარა, ხიდები - სახლებს.

თუ მარცხნივ, უნივერსიტეტისკენ გაიხედავდით, კოშკების დიდი და დაბალი თაიგული, პტი- შატლე მოგაჯადოებდათ; თუკი თვალს გააყოლებდით სანაპიროს აღმოსავლეთით დასავლეთისკენ, თქვენს თვალწინ ჩაივლიდა სახლების გრძელი მწკრივი ჩუქურთმე-ბიანი კოჭებით, ფერადმინიანი სარკმლებით; დაუსრულებელ ტე-ხილ ხაზს ხანდახან ქვის რომელიმე დიდი სასახლის ფასადი თუ კუთხე წყვეტდა. ეს განცალკევებული სასახლეები უზრუნველად და დიდი სიამაყით ისე გაჭიმულიყვნენ თავიანთი ეზოებითა და ბაღე-ბით, ფრთებითა და მთავარ კორპუსებით ერთმანეთზე მიჭუჭკული სახლების გროვაში, როგორც თავადი ხეპრეების ბრბოში. უნივერ-სიტეტის კვარტალი ერთიან ლოდად, ერთგვაროვან, მკვრივ მასად აღიქმებოდა, მის თანაბრად გაშლილ ორმოცდაორ სასწავლებელს ყველგან შენიშნავდით. ამ მშვენიერ შენობათა მრავალნაირი კონ-

ქები ხელოვნების ისეთივე ნიმუშებს წარმოადგენდნენ, როგორსაც ის სადა სახურავები, რომლებსაც ისინი ზევიდან გადაჰყურებდნენ. აქ იყო აგრეთვე ღვთისმოსავი სილამაზის მრავალი სააბატო, უფრო ზვიადი და მედიდური, ვიდრე სასახლეები. მათგან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობდა ბერნარდინელთა სააბატო მონასტერი თავისი სამი სამრეკლოთი; წმ. ჟენევიევას მონასტერი, რომლის გადარჩენილი ოთხკუთხოვანი კოშკი ესოდენ სინანულს იწვევს იმის გამო, რომ დანარჩენი ნაწილები გამქრალა; სორბონა, ნახევრად აუდიტორია, ნახევრად მონასტერი; უნივერსიტეტის კვარტალი მთაგორიანი იყო. სამხრეთ-აღმოსავლეთით წმ. ჟენევიევას მთა უზარმაზარი ბუშტივით ამობურცულიყო; ღვთისმშობლის ტაძრის სიმაღლიდან საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა ეს უამრავი ვიწრო და ოკრობოკრო ქუჩები, ბორცვის თხემზე გაშლილ- გაფანტული სახლები...

უნივერსიტეტის კვარტლის დათვალიერების შემდეგ მარჯვნივ, ქალაქისკენ თუ მიბრუნდებოდით, პანორამა უცებ იცვლებოდა; მართალია, ქალაქი ბევრად დიდი იყო, ვიდრე უნივერსიტეტი, მაგრამ იგი არ იყო ერთიანი. ერთი შეხედვითაც შეაჩნევდით, რომ იგი რამდენიმე, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ნაწილად იყოფოდა. აღმოსავლეთით ქალაქის ის ნაწილი, რომელსაც დღესაც ჭაობს ეძახიან, მდინარის ნაპირამდე ვრცელდებოდა. მომიჯნავე ოთხი სასახლე: ჟუი, სანსი, ბარბო და დედოფლის - ცაში აჭრილი ტანწერწეტა კოშკებით სენის წყალში არეკლილიყო. მათ უკან, ყველა მიმართულებით, ხან გრძივი ნაწიბურის სახით, ხან გალავნის სახითა და ქონგურებით, ხან დიდი ხეებით დაფარული, როგორც გარეუბნის აგარაკი, სენ-პოლის იმ საკვირველი სასახლის უზარმაზარი და მრავალსახოვანი გალავანი გაჭიმულიყო, სადაც თავისუფლად და დიდებულად დაბინავდებოდა ოცდაორი უფლისწული. მაშინ მე-

ფის სასახლე, ლუვრი იქნებოდა ეს თუ სენ-პოლი, იყო ქალაქი ქალაქში.

თუ სასახლეების შორეულ ამფითეატრზე სართულიდან სართულზე ასვლას განაგრძობდით, თქვენი მზერა შეჩერდებოდა ანგულემის, რამდენიმე ეპოქის ფართო ნაგებობაზე, რომლის კოშკები ხანდაზმულობის გამო ისე გამობურცულიყვნენ, როგორც კასრები. მის უკან აღმართულიყო მართლმსაჯულების სასახლის პატარა სამრეკლოების, საკვამურების, ფლუგერების, სპირალური და თითქოს სახვრეტელით დახრახნილი კიბეების, ტალავრების, თითისტარისებრი პატარა კოშკების, ანუ სხვადასხვა ფორმისა და სიმაღლის კოშკურების ტყე. გეგონებოდათ, უშველებელი ჭადრაკის დაფაააო. მართლმსაჯულების სასახლის მარჯვნივ აზიდული უზარმაზარი გაშავებული კოშკები, რომელთაც სარკმლებზე უამრავი სათოფური ჰქონდათ დატანებული, მუდამ აწეული ასაწევი ხიდით და მუდამ დაშვებული გისოსით - ეს ბასტილია იყო. ქონგურებს შორის გადმოშვერილი შავი ნისკარტები, შორიდან წვიმის ფარებს რომ ჰგავდნენ, ზარბაზნები გახლდათ. მათ ლულებქვეშ, ამ საზარელი შენობის ფეხთით, ორ კოშკს შორის მიმალულიყო სენტ-ანტუანის ჭიშკარი. მართლმსაჯულების სასახლის იქით მწვანეში ჩაფლული მდიდარი უბნები გადაშლილიყო, სამეფო კულტურებისა და პარკების ხავერდოვანი ხალიჩის ლაბირინთის ცენტრში შეიცნობდით დედალუსის ცნობილ ბაღს, რომელიც ლუი XI-მ დოქტორ კუაკტიეს აჩუქა. დოქტორის ლაბორატორია ლაბირინთის მაღლა იყო აღმართული, როგორც დიდი და განმარტოებული სვეტი, რომელსაც კაპიტელის ნაცვლად პატარა სახლი ჰქონდა დადგმული. აქ იქმნებოდა საშინელი ასტროლოგიური ისტორიები. დღეს აქ სამეფო მოედანია.

აღმოსავლეთით ქალაქის ცენტრში მოქალაქეთა სახლები იდგა. სწორედ ამ ადგილზე გამოდიოდა ქალაქის მარჯვენა სანაპიროს სა-

მივე ხიდი, ხოლო ხიდების მახლობლად საცხოვრებელი სახლები უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე სასახლეები. ზარაფების ხიდის თავში, რომლის უკან, მეწისქვილეთა ხიდის თვლებქვეშ, ქაფს იგდებდა მდინარე სენა, შატლეს ციხე-კოშკი იდგა. მათ შორის ამართული სენ ჟაკ-დე-ლაბუშრის მდიდრულად მორთული ოთხკუთხა სამრეკლო, ქანდაკებიანი კუთხეებით ხიბლავდა მაყურებელს, თუმცა XV საუკუნეში ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო. კერძოდ, მას აკლდა ის ოთხი ურჩხული, შემდგომში მისი სახურავის კუთხეებში რომ მოათავსეს და დღესაც იმ ოთხი სფინქსის იერი აქვთ, თითქოს ახალ პარიზს გამოსაცნობად ძველი პარიზის გამოცანა მისცესო (მოქანდაკე როლტს ამ ქანდაკებაში 1526 წელს ოცი ფრანკი გადაუხადეს). პარიზის სამივე ნაწილი - სიტე, უნივერსიტეტი და ქალაქი დასერილი იყო ურიცხვი ქუჩებით. შუაში მდინარე - „მარჩენალი სენა“ - პატარ-პატარა კუნძულებით, ხიდებითა და გემებით. ირგვლივ მთლიანად უსაზღვრო ვაკე საკერებლებივით, ათასგვარი კულტურით აჭრელებული და ლამაზი სოფლებით; ჰორიზონტზე წრიულად შემორტყმული ბორცვებით; შორს, აღმოსავლეთით - ვინსენი და მისი შვიდი ოთხკუთხა კოშკით; სამხრეთით - ბისეტრი, მახვილწვერა კოშკურებით; ჩრდილოეთით - სენ-დენი, წერწეტა წვეროთი; დასავლეთით - სენ კლუ, კოშკით. ასეთი იყო პარიზი, რომლის სილამაზითაც 1482 წელს ღვთისმშობლის ტაძრის კოშკების სიმაღლიდან მომზირალი ყვავები ტკბებოდნენ.

იმ დროისთვის იგი არა მარტო ლამაზი, ერთგვაროვანი ქალაქიც იყო - ნაყოფი ხუროთმოძღვრებისა და შუა საუკუნეების ისტორიისა, ქვის მატიანე. თუ გინდათ განიცადოთ ძველი პარიზი, რომელიმე დღესასწაულის დღეს, მზის ამოსვლისას ადით მაღალ ადგილზე, საიდანაც მთელი ქალაქი თვალწინ გადაგეშლებათ და დაესწარით ზარების გამოღვიძებას. ციდან მოცემულ ნიშანზე უცებ შეირხევა, ათ-

რთოლდება ათასობით ეკლესიის ზარი. ისმის ერთი ეკლესიიდან მეორეზე გადაძახილი. შერეული გუგუნი, რომელიც დღისით პარიზს თავს დასტრიალებს, მიანიშნებს, რომ ქალაქი ლაპარაკობს, ღამღამობით ეს ქალაქის სუნთქვაა, ამჟამად კი ქალაქი მღერის. ეკლესიის ზარების ამ გუნდურ სიმღერას მიუმატეთ ნახევარმილიონიანი მოსახლეობის ჩურჩული, მდინარის მარადი რაკრაკი, ქარის გაურკვეველი, უსაზღვრო სუნთქვა, ჰორიზონტის ბორცვებზე ორღანის უზარმაზარი კორპუსივით შეფენილი ოთხი ტყის შორეული საზეიმო კვარტეტი; და თქვით, არსებობს კი ამქვეყნად რაიმე უფრო მდიდრული, უფრო მხიარული, თვალისმომჭრელი, ვიდრე ზარების რეკვის ეს გნიასი; ვიდრე მუსიკის ეს ბრძმედი; ვიდრე ათი ათასი სპილენძის ხმა, ერთდროულად ამღერებული სამასფუტიანი სიმაღლის ქვის ფლეიტებით, ვიდრე ორკესტრადქცეული ქალაქი, რომელიც გრიგალივით აგუგუნებს სიმფონიას.

4.1. კეთილი გულები

თექვსმეტი წლით ადრე, ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, ქრისტეს დაბადებიდან 1467 წელს, კვირაცხოვლობის ერთ მშვენიერ დილას, წირვის შემდეგ, ღვთისმშობლის ტაძრის კარიბჭის ხის სარეცელზე ცოცხალი არსება იდო. ძველთაგან დადგენილი ადათის მიხედვით, მასზე მიტოვებულ ბავშვებს აწვენდნენ და საზოგადოებას ქველმოქმედებისკენ მოუწოდებდნენ. ვისაც სურდა, აიყვანდა. აქვე იდგა სპილენძის თასი მოწყალებისთვის. ცნობისმოყვარეთა შორის უმეტესად მოხუცი ქალები იყვნენ.

პირველ მწკრივში ოთხი ქალი ყველაზე მეტად დახრილიყო სარეცელზე. მონაზვნურ რუხ ტანსაცმელზე ეტყობოდათ, რომ რომელიმე საღვთო ორდენს ეკუთვნოდნენ. შთამომავლობამ უნდა იცო-

დეს მათი ვინაობა: აგნესა ლა-ჰერმე, ჟანა დე ლა-ტარმე, ჰენრიეტა ლა-გოტიერი, გოშერი ლა- ვიოლეტე. ეს ოთხი კეთილი ქვრივ-მონაზონი ეტიენ-ოდრის ორდენიდან იყვნენ, რომლებიც დედაწინამძღვრის ნებართვითა და პიერ დ'ეილის წესდების შესაბამისად, ქადაგების მოსასმენად მოვიდნენ. ისინი პიერ დ'ეილის წესდებას კი იცავდნენ, მაგრამ უთუოდ შეგნებულად არღვევდნენ მიშელ ბრახელისა და კარდინალ პიზანელის წესდებას, რომელიც მათგან მკაცრ დუმილს მოითხოვდა. - რა არის ეს, დაო ჩემო? - ჰკითხა აგნესამ გოშერს და თან პატარა ქმნილებას ათვალიერებდა, რომელიც ამდენი ხალხის დანახვით შეშინებული, წკავწკავებდა და იგრიხებოდა. - ვინ იცის, რა მოგველის, თუ ახლა ამგვარი ბავშვების გაჩენა დაიწყეს? - თქვა ჟანამ. - მე ბავშვებისა არა გამეგება რა, - უპასუხა აგნესამ, - მაგრამ მაგის ცქერაც კი ცოდვა უნდა იყოს. - სულაც არ არის ბავშვი, აგნესა.

- უსახური მაიმუნია, - შენიშნა გოშერმა.

- ეს საოცრებაა, - დაამატა ჰენრიეტა ლა-გოტიერმა.

- ჯვართამაღლების კვირის მერე ეს მესამეა, - აღნიშნა აგნესამ, - რადგან რვა დღეც არ გასულა, რაც სასწაულის მომსწრენი გავხდით - როგორ დასაჯა ღვთისმშობელმა ობერვილიე მლოცველ მწირთა დაცინვისთვის, რაც მეორე სასწაული იყო ამ თვეში.

- მართლაც საზიზღარი. ურჩხულია ეს ეგრეთ წოდებული ნაპოვნი ბავშვი, - თქვა ისევ ჟანამ. - ისე ღრიალებს, მგალობლებს დააყრუებს, - განაგრძო გოშერმა, - გაჩუმდი, შე მყვირალავ, შენა! - შენ ისა თქვი, რომ მისი უმაღლესობა რომის ეპისკოპოსი ამ სისაძაგლეს მის უმაღლესობა პარიზის ეპისკოპოსს უგზავნის! - დასძინა ლა-გოტიერმა და გულხელი დაიკრიფა. - მე მგონია, - თქვა აგნესა ლა ჰერმემ, - იგი მხეცია, პირუტყვია... ურიისა და ღორის ნაშობი... ერთი სიტყვით, რაღაც ურჯულო, არაქრისტიანი, რომელიც ან წყალში უნ-

და ჩააგდო, ან ცეცხლში. - იმედია, - დაიწყო ისევ ლა გოტიერმა, - მაგისთვის თავს არავინ გამოიდებს. - ეეჰ, ღმერთო ჩემო, - წამოიძახა აგნესამ, - წინასწარ მეცოდებიან მიტოვებულ ბავშვთა სახლის ძიძები, თუ მათ ამ პატარა ურჩხულის ძუძუს წოვება მოუწიათ! მე მერჩია ძუძუ ვამპირისთვის მეწოვებინა.

- რა გულუბრყვილოა, ლა-ჰერმი! - შეეპასუხა ჟანა. - ნუთუ ვერ ხედავთ, ჩემო დაო, რომ ეს პატარა ურჩხული სულ ცოტა, ოთხი წლის მაინც იქნება და თქვენს ძუძუზე მეტად შამფურზე შემწვარი მწვადი მოეწონება?!

მართლაც, ეს „პატარა ურჩხული“ ახალშობილი როდი გახლდათ. ოთხკუთხედი და მოუსვენარი პატარა მასა, ტილოს ტომარაში ჩაედოთ, რომელზეც გილიომ შარტიეს, პარიზის მაშინდელი ეპისკოპოსის ინიციალები იკითხებოდა. ტომრიდან გამოყოფილ მახინჯ, უსახურ, წითურ თავზე ცალი თვალი, პირი და კბილები მოუჩანდა. თვალიდან ცრემლი სდიოდა, პირი ღრიალებდა, კბილებს კი, როგორც ჩანდა, კბენა ეწადა; ტანი ტომარაში ფართხალებდა, რაც ძალზე აოცებდა ირგვლივ შემოხვეულ ბრბოს, რომელსაც ხალხი თანდათან ემატებოდა. მადამ ალოიზა დე გონდელორიე, მდიდარი და წარჩინებული ქალი, რომელსაც ხელჩაკიდული მიჰყავდა ექვსიოდე წლის მშვენიერი გოგონა, საწოლის წინ გაჩერდა და ერთხანს უბედურ ქმნილებას დააკვირდა. ამ დროს აბრეშუმსა და ხავერდში გამოწყობილი მისი მომხიბლავი ასული ფლორ-დე-ლის დე გონდელორიე საწოლზე მიკრულ წარწერას ლამაზ თითს აყოლებდა და დამარცვლით კითხულობდა: მიტოვებული ბავშვები.

- მეგონა, აქ მხოლოდ ბავშვებს ტოვებდნენ, - ჩაილაპარაკა ზიზღით ქალბატონმა და სანახაობას ზურგი შეაქცია; თან შესაწირ თასში ვერცხლის ფლორინი ჩააგდო, რომელმაც სპილენძის ხურდა ფულზე ჩხარუნი მოადინა, რამაც ეტიენ ოდრის ორდენის ღატაკი

მოწყალების დები გააოცა. მალე მედიდურმა და განსწავლულმა რობერტ მისტრიკოლმა, მეფის პროტონოტარიუსმა გამოიარა. ცალ იღლიაში უშველებელი კურთხევანი ამოეჩარა, მეორე ხელი ცოლისთვის (მადამ გილიომეტა ლა მერესთვის) მკლავში გამოედო; ასე რომ, თან ახლდა მისი ორივე ხელმძღვანელი: სასულიერო და საერო. - მიტოვებული ბავშვი! - თქვა მან, - ალბათ, ფლეგეტოს[1] ნაპირზე იპოვეს. - მას მხოლოდ ერთი თვალი უჩანს, - შენიშნა მადამ გილიომეტამ, - მეორეს მეჭეჭი გადაფარებია.

- ეგ მეჭეჭი როდია, - შეეპასუხა რობერტ მისტრიკოლი, - ეგ კვერცხია, რომელშიც დამწყვდეულია მეორე ასეთივე დემონი, რომლის კვერცხშიც მეორე ეშმაკია და ასე შემდეგ... - როგორ, ეს საიდან იცით? - ჰკითხა გილიომეტა ლა მერესმა. - დარწმუნებით ვიცი, - მიუგო პროტონოტარიუსმა.

- მუსიე პროტონოტარიუსო, - მიმართა გოშერმა, - რას გვიწინასწარმეტყველებს ეს ვითომდა ნაპოვნი ბავშვი?

- დიდ უბედურებას, - უპასუხა მისტრიკოლმა.

- აჰ! ღმერთო ჩემო! - თქვა ვიღაც მოხუცმა, - შარშან ისედაც შავი ჭირი მძინვარებდა. ახლა ამბობენ, არფლეში ინგლისის ჯარი შემოვაო.

- ამან შეიძლება ხელი შეუშალოს სექტემბერში დედოფლის ჩამოსვლას პარიზში, - მხარი აუბა მეორე მოხუცმა. - ვაჭრობაც ხომ სულ მოიშალა!

- ჩემი აზრით, - წამოიძახა ჟანა დე ლა-ტარმემ, - პარიზის მდაბიო ხალხისთვის ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ ამ პატარა ჯადოსანს ფიჩხის კონაზე დააწვენდნენ და არა საწოლზე. - კარგად აგიზგიზებულ ფიჩხის კონაზე! - დაუმატა მოხუცმა.

---

[1] *ფლეგეტო - ქვესკნელის ერთ-ერთი მდინარის სახელი ბერძნულ მითოლოგიაში.*

- ეს უფრო გონივრული იქნებოდა, - თქვა მისტრიკოლმა.

მონაზონთა მსჯელობას და პროტონოტარიუსის სენტენციებს უსმენდა ახალგაზრდა მღვდელი, რომელსაც მკაცრი სახე, ფართო შუბლი და ჩაფიქრებული გამოხედვა ჰქონდა. მან უხმოდ მისწი-მოსწია ხალხი, „პატარა ჯადოქარს“ დახედა და ხელი დაადო. სწორედ დროზე მიუსწრო, თორემ ბებერი ფარისევლები უკვე ტუჩებს ილოკავდნენ და წინასწარ ტკბებოდნენ „კარგად აგიზგიზებული კოცონით“.

- მე ვიშვილებ ამ ბავშვს, - თქვა მღვდელმა.

ანაფორაში გაახვია და წაიყვანა. იქ მყოფებმა შეცბუნებული თვალები გააყოლეს. ერთ წუთში იგი ეკლესიიდან მონასტერში გამავალ კარს უკან გაუჩინარდა. როცა პირველმა განცვიფრებამ გაიარა, ჟანა დე ლა-ტარმე დაიხარა და ჰენრიეტას ყურში ჩასჩურჩულა:
- სულ გეუბნებოდი, ეს ახალგაზრდა მღვდელი, კლოდ ფროლო, ჯადოქარია-თქო.

4.2. კლოდ ფროლო

მართლაც, კლოდ ფროლო ჩვეულებრივი პიროვნება არ იყო. ის ეკუთვნოდა საშუალო ფენას, რომელსაც გასულ საუკუნეში ან წარჩინებულ მოქალაქეებს უწოდებდნენ ან წვრილ აზნაურობას. ოჯახმა ძმებ პაკლეტებისგან მემკვიდრეობით მიიღო ტირშაპის მამული, რომლის სიუზერენიც პარიზის ეპისკოპოსი იყო. მამულის ოცდაერთი სახლი XIII საუკუნეში გაუთავებელი დავისა და სასამართლო განხილვის საგანი იყო. კლოდ ფროლო პარიზსა და მის გარეუბნებში ხარკის მაძიებელ ასორმოც მებატონეთაგან ერთ-ერთი გახლდათ; ამიტომ, მისი გვარი ამ წოდებით დიდხანს იყო აღნიშნული სენ-მარტენ-დე-შანის მონა სტერში დაცულ ჩანაწერებში. კლოდ

ფროლოს მშობლები ბავშვობიდანვე სასულიერო წოდებისთვის ამზადებდნენ. ასწავლეს ლათინური, მიაჩვიეს თვალების ძირს დახრასა და დაბალი ხმით საუბარს. ჯერ კიდევ ბავშვი მამამ უნივერსიტეტის კვარტალში ტორშის კოლეჯში გამოკეტა; იქ იზრდებოდა კურთხევანსა და ლექსიკონებში თავჩარგული.

ისედაც ბუნებით სევდიანი, ჩაფიქრებული, სერიოზული, გულმოდგინედ სწავლობდა და სწრაფად ითვისებდა ყველაფერს; არ ანცობდა და არ ყვიროდა შესვენების დროს. ნაკლებად ერეოდა ფუარის ქუჩის ღრეობებში, არ იცოდა, რა იყო dare alapas et capillios laniare[1]. არ მონაწილეობდა 1463 წლის ამბოხებაში, რომელსაც მემატიანეები „უნივერსიტეტის მეექვსე არეულობად“ მოიხსენიებენ; იშვიათად დასცინოდა კოლეჯ მონტეგიუს სტუდენტებს მეტსახელის „არახჩინების“ გამო, ან დორმანის სასწავლებლის სტიპენდიანტებს, რომ კინკრიხოები გაპარსული ჰქონდათ და მუქლურჯ, ცისფერ და იისფერ მაუდის სამზოლიან, განიერ წამოსასხამებს ატარებდნენ.

სამაგიეროდ, იგი ბეჯითად მეცადინეობდა სენ-ჟან-დე-ბოვეს ქუჩის ყველა დიდსა თუ პატარა სასწავლებელში. პირველი მოწაფე, რომელიც სენ-ვანდრე ჟეზილის კოლეჯში კანონიკური სამართლის ლექციის დაწყების წინ აბატმა სენ-პიერ დე ვალმა ერთ-ერთ სვეტთან ატუზული შეამჩნია, კლოდ ფროლო იყო: რქის საწერ-კალმით შეიარაღებული, კალამს კვნეტდა, გაცვეთილ მუხლებზე რვეული დაედო და რაღაცას იწერდა, თან, ხელები რომ გაეთბო, თითებს იორთქლავდა. პირველი მსმენელი, რომელსაც რელიგიის ისტორიის დოქტორი მუსიე მილ დილიე ხედავდა, იგივე კლოდ ფროლო იყო. ასე რომ, თექვსმეტი წლის სწავლულს უკვე შეეძლო მისტიკურ

[1] *სილის გაწვნა და თმის გლეჯა (ლათ.).*

თეოლოგიაში ნებისმიერ მოძღვარს გატოლებოდა, კანონიკურ თეოლოგიაში - საკრებულოს ნებისმიერ წევრს, ხოლო სქოლასტიკურ თეოლოგიაში - თვით სორბონის დოქტორს. თეოლოგიის მერე კანონიკური სამართლის შესწავლა დაიწყო. „სენტენციების კრებულიდან“ „კარლოს დიდის კაპიტულარიებზე“ გადავიდა. ცოდნას მოწყურებული დეკრეტალიებს დეკრეტალიებზე შთანთქავდა. კარგად შეისწავლა შუა საუკუნეების სამოქალაქო და კანონიკური სამართალი, დეკრატალიები რომ მოინელა, მედიცინასა და თავისუფალ ხელოვნებას დაეწაფა. ისე დაოსტატდა ციებ-ცხელების, ჩირქოვანი ჭრილობა-იარების და სიმსივნეების მკურნალობაში, რომ თავისუფლად მიანიჭებდა ჟაკ დეპარი ექიმ დასტაქრის ხარისხს. ასევე ერთნაირი წარმატებით გაიარა ხელოვნების ყველა სამეცნიერო საფეხური - ლიცენციატის, მაგისტრისა და დოქტორისა. მან შეისწავლა ლათინური, ბერძნული, ებრაული - იგი მეცნიერული ცოდნის დაგროვების ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი. თვრამეტი წლისამ ოთხი ფაკულტეტი დაამთავრა. ყმაწვილს ცხოვრების ერთადერთი მიზანი ცოდნა ეგონა. დაახლოებით 1466 წლის მეტისმეტად ცხელ ზაფხულს შავმა ჭირმა იფეთქა, რომელმაც მხოლოდ პარიზის ვიკონტის კვარტალში ორმოცი ათას კაცზე მეტი შეიწირა. უნივერსიტეტში ხმა გავრცელდა, სენმა განსაკუთრებით ტირპაშიS ქუჩის მცხოვრებლებს გაავლო მუსრიო. ამ ქუჩაზე ცხოვრობდნენ კლოდის მშობლებიც. შეშფოთებულმა მამისეული სახლისკენ გასწია. დედამამა უკვე მკვდარი დაუხვდა, ხოლო ბედის ანაბარად მიტოვებული უმცროსი ძმა აკვანში ჩხაოდა. ყმაწვილმა ბავშვი ხელში აიყვანა და ჩაფიქრებული სახლიდან გამოვიდა. მეცნიერულ სივრცეებში მქროლავი ყმაწვილი ამიერიდან მიწიერ ცხოვრებას დაუბრუნდა - ამ ტრაგედიამ მის ცხოვრებაში გარდატეხა მოახდინა. ცხრამეტი წლის დაობლებულმა ყმაწვილმა თავი ოჯახის უფროსად იგრძნო,

ძალზე მკაცრი იყო მეცნიერებიდან ამქვეყნად დაბრუნება. მას აქამდე მხოლოდ წიგნები უყვარდა; ახლა კი უცნაური და ტკბილი ადამიანური სიყვარული იგრძნო. ძმა შეეცოდა და მისდამი სიყვარულმა და ერთგულებამ შეიპყრო. ეს გრძნობები იშვიათი ძალით გაიფურჩქნა მის არსებაში. ჯერ კიდევ გაურყვნელი სულისთვის იგი პირველ სიყვარულს ჰგავდა. ბავშვობიდანვე მშობლებს მოშორებულ საბრალო ბავშვს, მონასტერში გამომწყვდეულსა და წიგნებში ჩაფლულს, სწავლასა და ცოდნის შეძენას დახარბებულს, საკუთარ სულზე საფიქრელად დრო არ ჰყოფნიდა. უმცროსმა ძმამ, მოულოდნელად ციდან ხელებში რომ ჩაუვარდა, ის სრულიად გარდაქმნა, ახალ ადამიანად აქცია. მიხვდა, ქვეყნად არსებობს კიდევ რაღაც, მეცნიერული თეორიებისა და ჰომეროსის ლექსების გარდა; მიხვდა, რომ ადამიანს სჭირდება სიყვარული; სინაზესა და სიყვარულს მოკლებული სიცოცხლე უსულგულო, ჭრიალა ბორბალია. რადგანაც ისეთ ასაკში იყო, როცა ილუზიას ილუზია ცვლის, წარმოიდგინა, რომ მხოლოდ პატარა ძმის სიყვარული იქნებოდა საკმარისი არსებობის შესავსებად. რთული ბუნების ფიცხი ახალგაზრდა ძმის მხურვალე სიყვარულმა გაიტაცა. ეს საბრალო, ლამაზი, ქერა, ხუჭუჭთმიანი ობოლი, რომელსაც სხვა არავინ ჰყავდა, გარდა მეორე ობლისა, სულის სიღრმემდე აღელვებდა მას. სიღრმისეულად მოაზროვნეს სერიოზულად აფიქრებდა ძმის ბედი და დედასავით ზრუნავდა მასზე. პატარა ჟანს კლოდმა ძიძა აუყვანა. ტირპაშის მამულის გარდა, მამის სიკვდილის შემდეგ მან მემკვიდრეობით მიიღო ბორცვზე აგებული წისქვილიც ბისეტრის სასახლის ახლოს. მეწისქვილის ცოლი იმხანად თავის ახალშობილს ძუძუს აწოვებდა, თანაც უნივერსიტეტიდან შორს არ იყო. კლოდმა სწორედ მას ანდო თავისი ძმა.

მას შემდეგ, რაც მძიმე ტვირთი იგრძნო, ცხოვრებას უფრო სერიოზულად შეხედა. პატარა ძმაზე ფიქრი მისთვის არა მარტო დას-

ვენება, სწავლის მიზანიც იყო. გადაწყვიტა, ბავშვის მომავლისთვის მიეძღვნა თავი - სამუდამოდ უარი თქვა ცოლსა და შვილზე, რათა სხვა საზრუნავი აღარ ჰქონდა. კლოდმა კიდევ უფრო მეტად მოინდომა სასულიერო წოდება მიეღო. ღირსება, ცოდნა, პარიზის ეპისკოპოსის უახლოესი ვასალის მდგომარეობა ფართოდ უღებდა მას ეკლესიის კარს. ოცი წლის იყო, როცა პაპის საგანგებო ნებართვით მღვდლად დაინიშნა; პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ყველაზე ახალგაზრდა კაპელანი, ღვთისმსახურებას ასრულებდა იმ საკურთხეველში, რომელსაც altare pignorums[1] უწოდებდნენ, რადგან იქ წირვა დაგვიანებით ტარდებოდა. კლოდ ფლორო კიდევ უფრო ღრმად ჩაიძირა საყვარელ წიგნებში, რომელთაც მხოლოდ იმის გამო მოსწყდებოდა ხოლმე, რომ ერთი საათით წისქვილში შეერბინა. ცოდნისა და მტკიცე ხასიათის წყალობით, რაც ძალზე იშვიათია მის ასაკში, მთელი მონასტრის პატივისცემა და აღტაცება დაიმსახურა. მალე იგი ხალხმაც გაიცნო და სწავლული ყმაწვილი ჯადოქრად მონათლა, რაც იმ დროს ჩვეულებრივი ამბავი იყო.

სწორედ კვირაცხოვლობას, ის იყო „დაგვიანებულთა“ წირვა დაასრულა და შინ ბრუნდებოდა, რომ მისი ყურადღება მიიპყრო მიტოვებულ ბავშვთა საწოლის ირგვლივ შეკრებილმა მოვიშვიშე მოხუცთა ჯგუფმა. იგი უბედურ ქმნილებას მიუახლოვდა, რომელსაც ზიზღით უყურებდნენ და ემუქრებოდნენ. ამ უბედურების, სიმახინჯისა და ბედის ანაბრად მიგდებული არსების დანახვაზე ანაზდად გაიფიქრა: „მე რომ მოკვდე, ჩემს პაწია ჟანსაც, ალბათ, ასევე მიაგდებენ მიტოვებული ბავშვების საწოლზეო“ და შეებრალა ბავშვი - ხელი დაავლო და სახლისკენ გააქანა. როდესაც ბავშვი ტომრიდან ამოიყვანა, დარწმუნდა, რომ მართლაც ძალიან მახინჯი იყო. საწყალს

[1] *„დაგვიანებულთა საკურთხეველი“ (ლათ.).*

მარცხენა თვალზე მეჭეჭი ჰქონდა, თავი მხრებში ჩავარდნოდა, ხერხემალი რკალივით გაღუნვოდა; გულმკერდის ძვალი ამოზნექოდა, ფეხები კი - გამრუდებოდა; მართალია, ვერ გაიგო, რომელ ენაზე ბურტყუნებდა, მაგრამ მისი ყვირილი მოწმობდა, ღონიერი და ჯანმრთელი უნდა ყოფილიყო. სიმახინჯის დანახვაზე კლოდი მეტი თანაგრძნობით განეწყო მის მიმართ; აღთქმა დადო, ძმის სიყვარულის გამო აღეზარდა იგი; ფიქრობდა, რა შეცდომებიც უნდა ჩაედინა მომავალში ჟანს, წინასწარ მიეტევებოდა მისი ქველ მოქმედების გამო. მან თავისი შვილობილი „კვაზიმოდოს“[1] სახელით მონათლა. ამით ან იმ დღის აღნიშვნა უნდოდა, როცა იპოვა ან რამდენად არასრული, ნაკლოვანი და ვაივაგლახით იყო შეკოწიწებული საცოდავი პატარა ქმნილება.

4.3. IMMANIS PECORIS CUSTOS, IMMANIOR IPSE[2]

1482 წელს კვაზიმოდო უკვე ზრდასრული იყო. რამდენიმე წლის წინ თავისი მამობილის, კლოდ ფროლოს წყალობით, ის პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ზართამრეკავი გახდა; კლოდი არქიდიაკვნად დანიშნეს სიუზერენის, ლუი დე ბომონის დახმარებით, ხოლო ეს უკანასკნელი 1472 წელს, გილიომ შარტიეს სიკვდილის შემდეგ, პარიზის ეპისკოპოსად ეკურთხა, ოლივიე ლე დენის ხელშეწყობით, რომელიც, ღვთის წყალობით, ლუი XI-ის დალაქი ბრძანდებოდა. დროთადინებამ ზართამრეკავი ეკლესიას მტკიცედ დააკავშირა. ამქვეყნიდან განდგომილი ორმაგი უბედურების - უცნობი წარმოშობი-

---

[1] *„კვაზიმოდო“ - კათოლიკებში პირველი კვირაა აღდგომის შემდეგ, მართლმადიდებლებში კვირაცხოველს უწოდებენ. „კვაზი“ ლათინურად ნიშნავს „თითქოს, თითქმის, ვითომ“ (მთარგმნელის შენიშვნა).*

[2] *მწყემსი საზარელი სამწყსოსი, სამწყსოზე უფრო საზარელი (ლათ.).*

სა და სიმახინჯის გამო, სიყრმიდანვე მიჩვეული იყო არაფერი დაენახა წმინდა კედლებს მიღმა. ზრდისა და განვითარების კვალდაკვალ ღვთისმშობლის ტაძარი მისთვის ხან კვერცხი იყო, ხან ბუდე, ხან სახლი, ხან სამშობლო, ხან მთელი სამყარო. მასსა და შენობას შორის ერთგვარი იდუმალი და წინასწარგანსაზღვრული ჰარმონია სუფევდა; ჯერ კიდევ ბავშვი კლაკვნით დაბობღავდა პირქუშ თაღებქვეშ, როგორც ადამიანის სახის ქვეწარმავალი. მოგვიანებით, როცა პირველად უნებლიედ მოჰკიდა ხელი სამრეკლოს თოკს, ზედ ჩამოეკიდა, გააქან- გამოაქანა და ზარი ააგუგუნა, კლოდს მოეჩვენა, თითქოს ბავშვმა ენა ამოიდგა... ნელ-ნელა ვითარდებოდა ტაძრის გარემოცვაში, იქ ცხოვრობდა, იქ ეძინა. გარეთ თითქმის არ გამოდიოდა. ყოველთვის მის იდუმალ ზემოქმედებას განიცდიდა და თითქოს შეეზარდა, მის ნაწილად იქცა. ტაძარი მისი საცხოვრისი, მისი სორო, მისი ჯავშანი იყო. ეს სავანე თითქოს მისთვის იყო შექმნილი. იქ არ იყო სიღრმე, კვაზიმოდოს რომ ვერ ჩაეღწია; იქ არ იყო სიმაღლე, მას რომ არ დაეპყრო. არც თავბრუს ჰხვევდა, არც შიშსა და ძრწოლას ჰგვრიდა ორი, საკმაოდ მაღალი კოშკი, რომლებზეც ხშირად უნახავთ იგი აცოცებული, როგორც შვეულ კედელზე მოსრიალე ხვლიკი. ამ მუდმივ ხტუნვასა და ცოცვაში, გიგანტური ტაძრის უფსკრულების თავზე ნავარდში, იგი ერთგვარ მაიმუნად თუ ქურციკად იქცა. მარტო სხეული კი არა, სულიც ტაძრის მიხედვით უყალიბდებოდა. რა მდგომარეობაში იყო მისი სული? რა ჩვევები შეიძინა ამ უხეშ გარსში დამწყვდეულმა? ამის თქმა ძნელია. კვაზიმოდო დაიბადა ცალთვალა, კუზიანი, კოჭლი. დიდი შრომა-გარჯა და მოთმინება დასჭირდა კლოდ ფროლოს, რომ მისთვის ლაპარაკი ესწავლებინა; ბედი არ სწყალობდა საბრალო ბავშვს - თოთხმეტი წლისას ზარების ხმამ ყურის აპკი გაუხეთქა და დაყრუვდა. ამით გზა დაეხშო სიხარულისა და სინათლის ერთადერთ სხივს, რომელიც

ჯერ კიდევ იჭრებოდა კვაზიმოდოს სულში, წყვდიად ღამეში შთაინთქა. ბედკრული ადამიანის სევდა ისევე განუკურნებელი იყო, როგორც მისი სიმახინჯე. სიყრუემ ერთგვარად დაამუნჯა კიდეც. სხვებისთვის დაცინვის საბაბი რომ არ მიეცა, არასოდეს ლაპარაკობდა. მან ნებაყოფლობით დაიმუნჯა ენა, რომლის ახსნას კლოდ ფროლომ ამდენი შრომა მოანდომა. როცა იძულებული იყო ელაპარაკა, ენა ებმოდა და ჟანგიან მარყუჟზე დამაგრებული კარივით უხეშად, მძიმედ ხრჭიალებდა. უეჭველია, რომ მახინჯ სხეულში გონებაც ძაბუნდება. კვაზიმოდო ძნელად აღიქვამდა სულის შინაგან მოძრაობას. აზრი, რომელიც მის გონებას გაივლიდა, იქიდან სრულიად დამახინჯებული გამოდიოდა, ამიტომაც, უამრავი ილუზია აწუხებდა, არასწორად მსჯელობდა, ხან გიჟივით ბოდავდა, ხან კი გონებასუსტივით ლუღლუღებდა. ამგვარი სულიერი წყობის შედეგად საგნებს ამღვრეული თვალით უყურებდა და მათი აღქმის უნარი თითქმის არ გააჩნდა. მისი უბედურების მეორე შედეგი ბოროტება იყო. ის ყოველთვის გაბოროტებული ჩანდა, ველურს წააგავდა, რადგან გონჯი იყო. მისი ზებუნებრივი ღონეც ამ გაბოროტების მიზეზს წარმოადგენდა. შეიძლება, გაბოროტება არც იყო თანდაყოლილი. მან იგრძნო, ხოლო შემდეგ ნათლად დაინახა, რომ ის ხალხისგან დამცირებული, შეგინებული, განკიცხული და დევნილი იყო. ისე გაიზარდა, რომ ირგვლივ მხოლოდ სიძულვილს ხედავდა. ეს სიძულვილი მასაც გადაედო. მას საყოველთაო სიძულვილი სდევნიდა და თვითონაც იმ იარაღით აღიჭურვა, რომლითაც დაჭრილი იყო. ადამიანებს უხალისოდ უყურებდა, მისთვის ტაძარიც კმაროდა. ეკლესია მეფეთა, წმინდანთა და ეპისკოპოსთა მარმარილოს ძეგლებით იყო სავსე, რომლებიც არ დასცინოდნენ, მშვიდად უყურებდნენ. არც ურჩხულებისა თუ დემონების ქანდაკებებს ეჯავრებოდათ კვაზიმოდო, რადგან მეტისმეტად ჰგავდა მათ. ხანდახან საათობით იყო რომე-

ლიმე ძეგლის წინ ჩაცუცქული და მასთან საუბრობდა. ამ დროს მოულოდნელად თუ ვინმე გამოჩნდებოდა, მაშინვე გარბოდა, როგორც მიჯნური, რომელსაც პაემანზე წაასწრეს.

ტაძარი მას მთელი სამყაროს მაგივრობას უწევდა. მაგრამ ის, რაც აქ ყველაზე მეტად უყვარდა, რაც მის სულს აღვიძებდა და მღვიმეში ესოდენ უმწეოდ დაკეცილი საცოდავი ფრთების გაშლის საშუალებას აძლევდა, რაც ხანდახან ბედნიერს ხდიდა, - ზარები იყო, რომლებიც უყვარდა, ეალერსებოდა, ესაუბრებოდა, ესმოდა მათი. ყველას ნაზად ეპყრობოდა; შუა სამრეკლო და ორი კოშკი მისთვის სამი დიდი გალია იყო, რომლებშიც მისი გამოზრდილი ფრინველები მხოლოდ მას უმღეროდნენ. სწორედ ამ ზარებმა დააყრუეს; ასეა, ხშირად დედას ის შვილი უფრო უყვარს, რომელმაც მეტი ტანჯვა განაცდევინა. ყველაზე მეტად დიდი ზარი უყვარდა, რომელსაც „მარია“ ერქვა. იგი სამხრეთის კოშკის სამრეკლოში უფრო პატარა ზარის - „ჟაკლინას“ (ეს სახელი ჟან მონტეგიუს ცოლის პატივსაცემად ეწოდა. ეს ზარი მონტეგიუმ ტაძარს შესწირა) გვერდით ეკიდა. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, როგორ სიხარულს განიცდიდა იგი დიდი ზარის რეკვისას. როგორც კი არქიდიაკონი ნებას დართავდა და ეტყოდა, „მიდიო,“ სამრეკლოს დახვეულ კიბეზე ისე სწრაფად აიჭრებოდა, სხვა ჩამოსვლას ვერ მოასწრებდა. აქოშინებული დიდი ზარის ჰაეროვან ოთახში შევიდოდა. ერთ წამს ყურადღებითა და სიყვარულით აკვირდებოდა, მერე ტკბილად რაღაცას ეჩურჩულებოდა, ხელს გადაუსვამდა, მიუალერსებდა, თითქოს ებრალებოდა იმ ტანჯვის გამო, რომელიც ელოდა. პირველი ალერსის შემდეგ კოშკის ქვემო სართულზე დამხმარეებს ჩასძახებდა, დაიწყეთო. ისინიც ბაგირს ჩამოეკიდებოდნენ. ოწინარი აჭრიალდებოდა და ლითონის უშველებელი კაფსულა ნელ-ნელა გაქან- გამოქანდებოდა. კვაზიმოდო ზართან ერთად თრთოდა და ირხეოდა. „მოდი“ - იყვირებდა

და თან გიჟური ხარხარი აუტყდებოდა. ამასობაში დიდი ზარის მოძრაობა ძლიერდებოდა და რაც უფრო იზრდებოდა მისი გაქანების კუთხე, კვაზიმოდოს თვალი თანდათან უფართოვდებოდა და ენთებოდა...

ამ უჩვეულო არსების იქ ყოფნა თითქოს მთელ ტაძარს აცოცხლებდა, სუნთქვას შთაბერავდა. ყოველ შემთხვევაში, ცრუმორწმუნე ხალხს ეჩვენებოდა, რომ მისგან მოდიოდა რაღაც იდუმალი ძალა, რაც სულს უდგამდა ღვთისმშობლის ტაძრის ქვებს და ძველთაძველი ეკლესიის სიღრმეებს ათრთოლებდა. ხედავდნენ, როგორ ცოცხლდებოდა და მოძრაობდა ათასობით ქანდაკება. მის ხელში ტაძარი თითქოს მორჩილი და გამგონი ქმნილება ჩანდა. კაცს ეგონებოდა, კვაზიმოდოს სული ჩაუდგამს ამ უზარმაზარი შენობისთვისო. თითქოს გამრავლებულაო, ერთსა და იმავე დროს თითქოს ყველგან იყო. როცა გაოცებული ადამიანები ხედავდნენ, როგორ მიცოცავდა ველური ჯუჯა კოშკის წვეროზე, როგორ იკლაკნებოდა გველივით, ხტებოდა შვერილიდან შვერილზე, ხვდებოდნენ, კვაზიმოდო ყვავებს ბუდეებს უნგრევდა. როცა ეკლესიის ჩაბნელებულ კუთხეში გაცოცხლებული ქიმერის მაგვარ რაღაცას წააწყდებოდნენ, ჩაცუცქულსა და შუბლშეკრულს, ეს კვაზიმოდო იყო ჩაფიქრებული. როცა სამრეკლოს ქვეშ ვეებერთელა თავს და თოკის წვეროზე გაშმაგებით მოქანავე უსწორმასწორო კიდურებიან ტომარას დალანდავდნენ, ეს კვაზიმოდო რეკავდა მწუხრის ზარს ან ღვთისმშობლის ლოცვის ჟამს აუწყებდა პარიზელებს. ხშირად უნახავთ, როგორ დაყიალობდა ღამღამობით საზიზღარი ფორმის არსება ჩუქურთმიან მოაჯირზე, ესეც ღვთისმშობლის ტაძრის კუზიანი იყო. შობის ღამეს, როდესაც თითქოს დაღლილი დიდი ზარი ხრინწიანი ხმით მორწმუნეებს შუაღამის წირვაზე მოუხმობდა, შენობის მოღუშული ფასადი ისეთ იერს იღებდა, კაცს ეგონებოდა, მთავარკარი დაღებულ ხახა-

სავით შთანთქავს ხალხს, მრგვალი სარკმელი კი ზედ დაჰყურებსო. ყოველივე კვაზიმოდოს გამო ხდებოდა. ეგვიპტეში კვაზიმოდოს, ალბათ, ტაძრის ღმერთად მიიჩნევდნენ, შუა საუკუნეებში კი დემონად თვლიდნენ.

დიახ, მათთვის, ვინც იცოდა კვაზიმოდოს არსებობა, ღვთისმშობლის ტაძარი დღეს უდაბურია, უსულო, მკვდარი. იგრძნობა, რომ იქ რაღაც გაქრა, უზარმაზარი სხეული დაცარიელდა; ის მხოლოდ ჩონჩხია, რომელიც სულმა მიატოვა.

4.4. ძაღლი და მისი პატრონი

ქვეყნად მაინც იყო ადამიანი, რომელიც კვაზიმოდოს ისევე უყვარდა, როგორც ტაძარი; შესაძლოა, უფრო მეტადაც და სხვებზე გაბრაზებული ბოღმას მასზე არასდროს ანთხევდა - ეს გახლდათ კლოდ ფროლო. ამის მიზეზი მარტივი იყო. კლოდმა თავშესაფარი მისცა, იშვილა, გამოკვება, გამოზარდა; ბავშვობაში ჩვეულებად ჰქონდა, როცა ბავშვები ჟივილ-ხივილით გამოეკიდებოდნენ, ფროლოს ფეხებთან მიმალულიყო; კლოდმა ასწავლა ლაპარაკი და წერა-კითხვა. მისი წყალობით გახდა ზართამრეკავი. კვაზიმოდოს მადლიერების გრძნობა უსაზღვრო იყო. მართალია, მამობილს სახე ხშირად ეღრუბლებოდა და სუსხიანი უხდებოდა, ხოლო სიტყვები ჩვეულებრივად მოკლე, მკაცრი და მბრძანებლური ჰქონდა, მაგრამ მადლიერების გრძნობა ერთი წამითაც არ დაუკარგავს. კვაზიმოდოს სახით არქიდიაკონს ყველაზე მორჩილი მონა, ყველაზე ერთგული მსახური, ყველაზე ფხიზელი ძაღლი ჰყავდა. როდესაც საბრალო ზართამრეკავი დაყრუვდა, ის და კლოდ ფროლო ერთმანეთს რაღაც ნიშნებით აგებინებდნენ, რაც მხოლოდ ამ ორისთვის იყო გასაგები. არქიდიაკონი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელთანაც

კვაზიმოდო ურთიერთობდა. საკმარისი იყო კლოდის ერთი ნიშანი, მისთვის რომ ესიამოვნებინა, კვაზიმოდო მზად იყო, ღვთისმშობლის ტაძრის კოშკებიდან თავდაყირა გადმომხტარიყო. ფიზიკურად ძლიერი კვაზიმოდო ბრმად ემორჩილებოდა მის განკარგულებას. აქ მჟღავნდებოდა შვილური გულითადობა და მსახურის ერთგულება, აგრეთვე ძლიერი გონების ბატონობა სუსტზე - საცოდავ, მახინჯ ქმნილებას თვალი ვედრებით მიეპყრო ამაღლებული, ჭკვიანი და ძლიერი გონებისთვის. არც ერთ ძაღლს, არც ერთ ცხენს, არც ერთ სპილოს ჰყვარებია ისე თავისი პატრონი, როგორც კვაზიმოდოს უყვარდა არქიდიაკონი.

4.5. ისევ კლოდ ფროლოს ამბავი

1482 წელს კვაზიმოდო ოციოდე წლის იყო, კლოდ ფროლო კი - დაახლოებით ოცდათექვსმეტის. ერთი დავაჟკაცდა, მეორე კი დაბერებას იწყებდა. კლოდი აღარ იყო ტორშის სასწავლებლის გულუბრყვილო სტუდენტი, ბავშვის ნაზი მფარველი, ახალგაზრდა და მეოცნებე ფილოსოფოსი, რომელმაც ბევრი რამ იცოდა, მაგრამ ბევრი რამისა არაფერი გაეგებოდა. ის იყო მკაცრი, მედიდური და მოღუშული ხუცესი, სულთა ზედამხედველი, არქიდიაკონი ჟოზასელი, ეპისკოპოსის მეორე ქორეპისკოპოსი, მონლერიის, შატოფორის ორი სადეკანოზოსა და ასსამოცდათოთხმეტი სოფლის მრევლის მეურვე. ის ზვიადი და პირქუში პიროვნება იყო, რომლის წინაშეც კანკალებდნენ გრძელ კვართებსა და ქურთუკებში ჩაცმული პატარა მომღერლები, ეკლესიის მგალობელნიც, წმინდა ავგუსტინეს ძმანიცა და ღვთისმშობლის ტაძრის მედავითნენიც.

როცა მკერდზე ხელებგადაჯვარედინებული პატრონიკეს ისრულ თაღს ქვეშ ჩაფიქრებული დინჯად გაივლიდა, თავი იმდენად დაბლა ჰქონდა დახრილი, რომ მხოლოდ შუბლი უჩანდა.

თუმცა, მამა კლოდს არც მეცნიერება მიუტოვებია და არც ძმის აღზრდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ესოდენ ტკბილსა და საამო საქმეს სიმწარეც ერეოდა. როგორც დიაკვანი პოლი ამბობს, ბოლოს საუკეთესო ქონიც დამძაღდება. პატარა ფროლო, მეტსახელად „მეწისქვილე“, სულაც არ მიდიოდა იმ გზით, კლოდმა რომ მოუნიშნა. იგი ფიქრობდა, ჟანი ღვთისნიერი, მორჩილი, სწავლასმოწყურებული და პატივისცემის ღირსი სტუდენტი იქნებოდა. ნორჩი ხეებივით, რომლებიც მებაღის მცდელობის მიუხედავად, ჯიუტად ბრუნდებიან იქით, საითაც ჰაერი და მზეა, უმცროსი ძმა იზრდებოდა, იფურჩქნებოდა, ლამაზ, ხშირსა და ღონიერ ტოტებს იყრიდა სიზარმაცის, უვიცობისა და ლოთობა-გარყვნილების გზაზე. მისი თავხედობისა და ურჩობის გამო მამა კლოდი შუბლს იჭმუხნიდა, ხოლო მოხერხებულ და გონებამახვილურ ხუმრობაზე ეღიმებოდა. კლოდმა ძმა იმავე ტორშის კოლეჯში მიაბარა, სადაც თვითონ გაატარა სტუდენტობის პირველი წლები; მისდა სამწუხაროდ, ფროლოს გვარი, რომელიც ოდესღაც მეცნიერების ამ ტაძარს პატივს მიაგებდა, დღეს სამარცხვინოდ ქცეულიყო. ამის გამო ჟანს მეტად სასტიკ და გრძელ ქადაგებას უკითხავდა. ისიც ვაჟკაცური მოთმინებით უსმენდა. მოუსვენარ ახალგაზრდას კეთილი გული ჰქონდა. თუმცა ძმის დარიგების შემდეგ, თითქოს არაფერი მომხდარაო, სრულიად მშვიდად განაგრძობდა ჯანყსა და უსაქციელობას. ხან კეთილმობრძანების აღსანიშნავად „ცხვირმოუხოცავს“ (ასე უწოდებდნენ უნივერსიტეტში ახალმოსულებს) ეძიძგილავებოდა (რითაც იცავდა ძვირფას ტრადიციას, რომელიც დღემდე გრძელდება), ხან სტუდენტთა გუნდს აშლიდა რომელიმე დუქანზე შეტევისთვის - მედუქნეს სცემ-

დნენ, მხიარული სიცილ-ხარხარით სამიკიტნოს აიკლებდნენ; მარანში ღვინის კასრებს ძირებს უმტვრევდნენ. ამის შემდეგ მამა კლოდთან გამოცხადდებოდა ტორშის კოლეჯის უმცროსი დამრიგებელი და საბრალო სახით წარუდგენდა მშვენიერი ლათინურით დაწერილ ანგარიშს შენიშვნით: Rixa, prima causa vinum optimum potatum[1]. თექვსმეტი წლის ყმაწვილისთვის შეუფერებელ რამესაც კი ამბობდნენ, გარყვნილებას იგი ხშირად გლატინის ქუჩაზე მიჰყავსო.

ყოველივე ამის გამო, ადამიანურ სიყვარულში იმედგაცრუებული და ნაღვლიანი კლოდი კიდევ უფრო მეტი გულმხურვალებით დაეწაფა მეცნიერებას, რომელიც აბუჩად მაინც არ აგიგდებთ და ზრუნვისა და ყურადღებისთვის მუდამ სამაგიერო ჯილდოს მოგიზღავთ. ის სულ უფრო განსწავლული მეცნიერი ხდებოდა და უფრო მკაცრი, როგორც ხუცესი და უფრო სევდიანი, როგორც ადამიანი. ყოველ მოკვდავშია რაღაც პარალელი გონებას, ჩვევებსა და ხასიათს შორის, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება და ცხოვრების მხოლოდ დიდი რყევა თუ დაარღვევს. რადგან კლოდ ფროლომ სიყმაწვილეშივე გაიარა კანონით ნებადართულ ცოდნათა თითქმის მთელი წრე, ამიტომ, ან უნდა შეჩერებულიყო იქ, udi defuit orbis[2], ან კიდევ უფრო შორს წასულიყო და მუდამ ცოდნას მოწყურებული, დაუდგრომელი გონებისთვის სხვა სულიერი საზრდო მოენახა. გველის ანტიკური სიმბოლო, რომელიც საკუთარ კუდს კბენს, ყველაზე უკეთ მეცნიერებას გამოადგება, რაშიც კლოდ ფროლო საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა. ბევრი ამტკიცებდა, რომ ადამიანმა ამოწურა შემეცნების ყოველი ნებადართული fas[3] და გაბედა შეჭრილიყო

---

[1] *ჩხუბი, თავიდათავი მიზეზი - საუკეთესო ღვინონასვამობა (ლათ.).*

[2] *„სადაც იკვრება წრე“ (ლათ.) (ე.ი. მაშინდელი ცოდნის წრე).*

[3] *ნებადართული (ლათ.).*

nefas[1]-ში. ამბობდნენ, რომ მან თანდათან იგემა ცოდნის ხის ყოველი ნაყოფი და მოწყურებულმა თუ მოყირჭებულმა იმით დაასრულა, რომ აკრძალულ ხილს მისწვდა. ფროლო მონაწილეობდა სორბონის თეოლოგთა თათბირებში, არ აკლდებოდა ფილოსოფოსთა შეკრებებს სენტ-ილერში, კანონიკური სამართლის დოქტორთა დისპუტებს სენ-მარტენში, მედიკოსთა კონგრესებს. მან შთანთქა ყველა ნებადართული და კარგად შეზავებული კერძი, რომელლიც კი გონების საზრდოდ შეეძლო დაემზადებინა და მიერთმია იმ ოთხ უზარმაზარ სამზარეულოში, ოთხი ფაკულტეტი რომ ერქვა და მანამდე მოყირჭდა, სანამ შიმშილს მოიკლავდა. მერე კიდევ უფრო წინ წავიდა, ღრმად შეიჭრა შეზღუდული მატერიალური მეცნიერების ქვესკნელში. შესაძლოა, სული საფრთხეშიც კი ჩაიგდო და მღვიმეში ალქიმიკოსთა, ასტროლოგთა და ჰერმეტიკოსთა გასაიდუმლოებულ ტრაპეზს მიუჯდა, რომელიც შუა საუკუნეებში ავეროესს[2], გილიომ პარიზელსა და ნიკოლა ფლამელს ეკავათ, ხოლო აღმოსავლეთში შვიდსანთლიანი შანდლით განათებული მისი ბოლო სოლომონამდე, პითაგორასა და ზოროასტრამდე[3] აღწევდა.

სამართლიანია ეს თუ უსამართლო, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა ხალხი. ცნობილია, რომ არქიდიაკონი ხშირად დადიოდა სასაფლაოზე, სადაც მისი დედ-მამა იყო დასაფლავებული; არა იმდენად, რომ მათი საფლავის ჯვარს მთხვეოდა, არამედ უცნაურ ფიგურებს, რომლებითაც სავსე იყო იქვე მდგარი ნიკოლა ფლამელისა თუ კლოდ პერნელის აკლდამები... იგი ხშირად უნახავთ ლომ-

---

[1] *ნებადაურთველში (ლათ.).*

[2] *ავეროესი (1126-1198) - გამოჩენილი არაბი ფილოსოფოსი (ესპანეთში).*

[3] *ალქიმიკოსი, შუა საუკუნეებში მასზე ლეგენდები დადიოდა. ძველი სპარსული რელიგიის დამაარსებელი (ძვ.წ. 1000-500 წლებს შორის შექმნა სინათლისა და სიბნელის დუალისტური მოძღვრება.*

ბარდის ქუჩაზე ერთ პატარა სახლში მალულად შესული, რომელიც ნიკოლა ფლამელს აუგია და აქვე გარდაცვლილა დაახლოებით 1417 წელს. მას შემდეგ სახლი გაუკაცრიელდა, იმდენად გაუხეხიათ მისი კედლები და ზედ თავიანთი სახელები ამოუჭრიათ ჰერმეტიკოსებსა და ყველა ქვეყნის ალქიმიკოსებს, რომ ინგრეოდა. ზოგიერთი მეზობელი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ერთხელ ისიც დაინახეს, როგორ იქექებოდა არქიდიაკონი კლოდი სარდაფში, რომლის ქვის საყრდენები თავად ნიკოლა ფლამელის უამრავი ლექსითა და იეროგლიფით იყო აჭრელებული. ვარაუდობდნენ, რომ ნიკოლა ფლამელმა ამ სარდაფში ჩაფლო ფილოსოფიური ქვა. აგერ ორი საუკუნეა, ალქიმიკოსებმა იქამდე ჩიჩქნეს სარდაფი, სანამ მთელი სახლი მტვრად არ იქცა. ცნობილია ისიც, რომ არქიდიაკონი გატაცებული იყო ღვთისმშობლის ტაძრის სიმბოლიკური პორტალით; გრძნეული ქვის წიგნის ეს კაბადონი გაურკვევლად დაუწერია ეპისკოპოს გილიომ პარიზელს, ვინც უეჭველად შეჩვენებული იყო, რადგან ესოდენ ჯოჯოხეთური თავფურცელი მიაკრა ამ წმინდა ღვთაებრივ პოემას. ამბობდნენ, რომ არქიდიაკონმა კლოდმა ღრმად შეისწავლა წმინდა ქრისტოფის ძეგლი და ის გრძელი იდუმალი ქანდაკება, რომელიც მაშინ კარიბჭის შესასვლელში იყო აყუდებული და ხალხი დაცინვით „მუსიე ლეგრის[1]“ ეძახდა. ყველას შეეძლო დაენახა, როგორ დაუსრულებლად აკვირდებოდა კლოდი პორტალის ნაქანდაკებ მორთულობას და ქალწულთა ფიგურებს ან როგორ ანგარიშობდა კუთხეს, რომლითაც მარცხენა პორტალზე გამოკვეთილი ყორანი იმზირება ეკლესიის იდუმალი წერტილისკენ, სადაც უეჭველად დამალული უნდა ყოფილიყო ფილოსოფიური ქვა, რადგანაც იგი ნიკოლა ფლამელის სარდაფში არ აღმოჩნდა... უცნაური ბედი ეწია იმ-

[1] *Legris ფრანგულად გამოითქმის, როგორც gris (ნასვამი).*

ხანად პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს, რომელიც სხვადასხვაგვარად უყვარდა ორ განსხვავებულ არსებას - კლოდსა და კვაზიმოდოს. ერთს, ადამიანის მაგვარს, ინსტინქტს დამორჩილებულსა და ველურს, სილამაზის, აღნაგობისა და იმ ჰარმონიის გამო უყვარდა, რომელიც მის დიდებულ ანსამბლში მჟღავნდება; მეორეს, არაჩვეულებრივი, ცოდნით გამდიდრებული წარმოსახვით დაჯილდოებულს, იგი მნიშვნელობის, მასში ჩადებული აზრის, ფასადის სკულპტურაში გაბნეული სიმბოლიკის, ანუ იმ გამოცანის გამო უყვარდა, რომელსაც სამარადჟამოდ სთავაზობს გონებას ეს ტაძარი.

უტყუარია ისიც, რომ იმ კოშკში, რომელიც გრევის მოედანს დაჰყურებს, არქიდიაკონი შეეჩვია ერთ პატარა სენაკს, სადაც, როგორც ამბობენ, მის უნებართვოდ თვით ეპისკოპოსიც კი ვერ შევიდოდა. ეს სენაკი კოშკის თითქმის ზემო წვეროზე, ყვავთა ბუდეებს შორის, ოდესღაც გაუკეთებია ეპისკოპოს ჰუგო ბეზანსონელს, რომელიც იქ ჯადოსნობდა. რა ხდებოდა ამ სენაკში, არავინ იცოდა, მაგრამ ღამღამობით მდინარის მეორე ნაპირიდან ხშირად დაუნახავთ. როგორ ჩნდებოდა და ქრებოდა კოშკის უკანა მხარეს რაღაც ცვალებადი ფერის უცნაური ნათება, რომელიც სიბნელეში ბუხრის ალს უფრო ჰგავდა, ვიდრე ლამპრისას. სიმაღლეზე ეს ნათება უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა; ამ დროს ჭორიკანა დედაკაცები ამბობდნენ: - შეხედეთ, არქიდიაკონი ცეცხლს აჩენს! იქ, ზევით, ჯოჯოხეთი გიზგიზებსო.

ყოველივე ეს დიდი ვერაფერი საბუთი იყო ჯადოქრობისა, მაგრამ, როგორც იტყვიან, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება, მით უმეტეს, არქიდიაკონი ხალხის კეთილგანწყობით ნამდვილად არ სარგებლობდა. მაინც უნდა ვთქვათ, რომ ეგვიპტის მეცნიერებებს - ნეკრომანტიას, ჯადოსნობას, თვით ყველაზე უმანკო თეთრ მაგიასაც კი არ ჰყავდა იმაზე უფრო დაუძინებელი მტერი, ვიდრე კლოდ ფროლო

იყო. იქნებ, ეს გულწრფელი ზიზღიც იყო ან ქურდის ხრიკი, რომელიც თავად ყვირის ხოლმე, „ქურდი დაიჭირეთო!“ ამას ხელი არ შეუშლია კაპიტულის სწავლულებისთვის, რომლებიც თვლიდნენ, რომ არქიდიაკონმა ჯოჯოხეთის წინკარში ფეხის შედგმა გაბედა, კაბალისტიკის უღრან ტყეში გაება და საიდუმლო მეცნიერებათა წყვდიადში ხელს აფათურებდა. ამ მხრივ, არც ხალხი ცდებოდა: კვაზიმოდო დემონად მიაჩნდა, კლოდ ფროლო კი - ჯადოქრად. ფიქრობდნენ, რომ ზართამრეკავი ვალდებული იყო გარკვეულ დრომდე არქიდიაკონთან ემსახურა, შემდეგ კი მის სულს გაწეული სამსახურის საფასურად ჯოჯოხეთში თან წაიღებდა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ არქიდიაკონი ზედმეტად მკაცრი ცხოვრების წესს იცავდა, ქრისტიანთა შორის ცუდი სახელი ჰქონდა - არ არსებობდა გამოუცდელი ღვთისმოსავიც კი, რომლის ცხვირსაც მასში ჯადოქარი არ ეყნოსა. რაც წლები ემატებოდა, მის ცოდნაში ნაპრალი ჩნდებოდა, მის გულში კი უფსკრული. ამას ადვილად მიხვდებოდა დაკვირვებული თვალი: მის სახეზე სული ისე გამოკრთოდა, როგორც შავ ღრუბელში. რატომ ჰქონდა თავი მუდამ დახრილი? რატომ ოხრავდა ხშირად? რა იდუმალი აზრი უღრეჯდა ბაგეს მწარე ღიმილით, როცა მისი შეჭმუხნილი წარბები საბრძოლველად განწყობილი ორი ხარივით ერთმანეთს უახლოვდებოდა. რატომ გაუმელოტდა შუბლს ზემოთ თავი? რატომ გაუჭაღარავდა ასე ადრე მეჩხერი თმა? რატომ უელვარებდა ხშირად თვალები?!

ძლიერი სულიერი თუ ზნეობრივი შეშფოთების ამ სიმპტომებმა სიმძაფრის უმაღლეს საფეხურს იმ დროს მიაღწია, როცა ეს ამბები ხდებოდა. არქიდიაკონს ისეთი უცნაური გამოხედვა ჰქონდა, რომ მის დანახვაზე ბევრჯერ მგალობელი ბავშვიც კი შეშინებული გაქცეულა; გუნდში, ღვთისმსახურების ჟამს, სკამზე მეზობლად მჯდომს არაერთხელ მოუსმენია, როგორ ურევდა საეკლესიო საგალობელ-

ში რაღაც გაუგებარ სიტყვებს. მრეცხავ ქალს, რომელსაც „კაპიტოლის განბანვა“ ევალებოდა, შიშით შეუნიშნავს არქიდიაკონის ანაფორაზე კრუნჩხვით გამოწვეული ფრჩხილების კვალი. თუმცა, თავი სანიმუშოდ ეჭირა. ქალებს მუდამ გაურბოდა. როგორც კი ახლომახლო ქალის აბრეშუმის კაბის შარიშურს გაიგონებდა, თვალებზე სწრაფად ჩამოიფხატებდა კაპიუშონს. როდესაც 1481 წლის დეკემბერში პრინცესა დე ბოჟიომ ღვთისმშობლის მონასტრის ნახვა მოისურვა, იგი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო. ეპისკოპოსს გაახსენა 1334 წლის წესდება, რომელიც ნებისმიერ ქალს მონასტერში შესვლას უკრძალავდა.

ეპისკოპოსმა ლეგატ ოდოს განაწესი დაიმოწმა, რომელიც ზოგიერთი დიდი ქალბატონისთვის გამონაკლისს უშვებდა; ამაზე არქიდიაკონმა განუცხადა, რომ ლეგატის ბრძანება ასოცდაშვიდი წლით ადრე გამოიცა, მაშასადამე, გაუქმებულად უნდა ჩაითვალოსო და უარი თქვა პრინცესას წინაშე წარმდგარიყო.

გარდა ამისა, კარგა ხანია შეამჩნიეს, რომ არქიდიაკონის ზიზღი ბოშა ქალების მიმართ იზრდებოდა. მან შუამდგომლობით მიმართა ეპისკოპოსს და საგანგებო ბრძანებულება გამოაცემინა, რომელიც ბოშებს კარიბჭის ახლოს მისვლას, ცეკვასა და დაირის დაკვრას უკრძალავდა. ამავე დროს, სასულიერო სასამართლოს ისეთ ობმოკიდებულ საქმეებში იქექებოდა, რომლებშიც ჯადოქრებს სასჯელად ედებოდათ ცეცხლზე დაწვა ან თოკით ჩამოხრჩობა იმის გამო, რომ ადამიანებს ჯადოს უკეთებდნენ ვაცების, ღორებისა თუ თხების საშუალებით.

4.6. ათვალწუნებულნი

არქიდიაკონი და ზართამრეკავი კათედრალის მიდამოებში მცხოვრებთ არ უყვარდათ. ბევრჯერ, როცა კლოდი და კვაზიმოდო, ბატონს ადევნებული ლაქია, ღვთისმშობლის ტაძრის უბნის გრილ, ვიწრო და ბნელ ქუჩებში გამოჩნდებოდნენ, რაიმე გასაღიზიანებელს ეტყოდნენ, ირონიულ სიმღერას შემოსძახებდნენ, უხეშ და შეურაცხმყოფელ ხუმრობას დაადევნებდნენ. თუმცა, იშვიათად, კლოდ ფროლოს მკაცრი შუბლისა და თითქმის დიდებული სახის დანახვაზე, მქირდავნი გაწბილებულან კიდეც. ზოგჯერ ვინმე ანცი ბიჭი ბედავდა, საკუთარ ტყავსა და ძვლებს ხიფათში იგდებდა და კვაზიმოდოს კუზში ქინძისთავს ატაკებდა; ხან რომელიმე თამამი ლამაზმანი გავლისას განზრახ შეეხებოდა მღვდლის შავ ანაფორას და ცხვირწინ გესლიან, დამცინავ სიმღერას წაუმღერებდა: „ეშმა, ეშმა, დაგიჭირე, დაბმული ხარ, ვერ წამიხვალ“.

როცა არქიდიაკონი და ზართამრეკავი გაივლიდნენ, ხანდახან ჭიშკრის საფეხურებზე მჯდარი ტურტლიანი ბებერი დედაკაცები ხმამაღლა ილანძღებოდნენ: - „ჰმ! ერთს სწორედ ისეთი სული აქვს, როგორიც მეორეს სხეული.“

კენჭობანას მოთამაშე ონავრების გუნდი სტვენა-ყიჟინით გამოედევნებოდა ხოლმე. ხშირად ფიქრებში ჩაძირული მღვდელი შეურაცხყოფასა თუ ლანძღვა- გინებას საერთოდ ვერ ამჩნევდა. ზართამრეკავი კვაზიმოდო კი ყრუ იყო.

5.1. ABBAS BEATI MARTINI

მამა კლოდის სახელი შორს იყო გავარდნილი, მაგრამ ერთმა შემთხვევამ უფრო მეტად გაუთქვა სახელი, რომელიც დაახლოებით იმ დროს მოხდა, როცა უარი თქვა პრინცესა დე ბოჟიოსთან შეხვედრაზე.

საღამო იყო, ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ იგი თავის სენაკში განმარტოვდა. იქ არაფერი იყო უცხო და იდუმალი, გარდა კუთხეში დაწყობილი, რაღაც საეჭვო ფხვნილით სავსე რამდენიმე შუშისა, რომელიც ძალიან ჰგავდა ალქიმიკოსების ჯადოსნურ ფხვნილს. აქა-იქ კედელზე მოჩანდა წმინდა მეცნიერული ხასიათის წარწერები ან კეთილსაიმედო ავტორთა რელიგიური ამონარიდები. არქიდიაკონი სპილენძის სამსანათიანის შუქზე ხელნაწერებით სავსე სკივრს მიუჯდა. ის-ის იყო წიგნი გადაფურცლა, რომ კარზე მიუკაკუნეს.

- ვინ არის მანდ? - გასძახა სწავლულმა დამშეული ძაღლის თავაზიანობით, რომელსაც ძვლის გამოხრაში ხელი შეუშალეს.

- თქვენი მეგობარი, ჟაკ კუაკტიე.

იგი კარის გასაღებად გაემართა. სტუმარი მართლაც მეფის მკურნალი აღმოჩნდა, ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი, რომლის მკაცრ გამომეტყველებას ცბიერი გამოხედვა არბილებდა. მას მეორე მამაკაცი ახლდა. ორივეს ფიქალისფერი, ციყვისბეწვშემოვლებული, ქამარშემოჭერილი და მჭიდროდ შეკრული გრძელი სამოსელი ეცვა, თავზე იმავე ქსოვილისა და ფერის ქუდები ეხურათ. ხელ-ფეხს გრძელი სახელოები და კალთები უფარავდათ, თვალებზე კი ჩაჩები ჩამოეფხატათ. - ღმერთო, შემეწიე, ბატონებო! - თქვა არქიდიაკონმა და შინ შეუძღვა, - არ ველოდი პატივცემულ სტუმრებს. - თავაზიანად

ლაპარაკობდა, თან წამდაუწუმ გამომცდელი თვალით აკვირდებოდა მკურნალსა და მის თანამგზავრს.

- არასდროს არის გვიან, ინახულო სახელგანთქმული მეცნიერი, მამა კლოდ ფროლო, - უპასუხა ექიმმა კუაკტიემ, რომელიც ყოველ წინადადებას საზეიმო ხმით წარმოთქვამდა და აჭიანურებდა.

ექიმი და არქიდიაკონი თავაზიანად მიესალმნენ ერთმანეთს, რაც იმ ეპოქაში, ჩვეულებისამებრ, წინ უსწრებდა სწავლულთა შორის დიალოგს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი ერთმანეთის მიმართ კეთილად იყვნენ განწყობილნი. ყოველი სწავლულის ბაგე, რომელიც მეორე სწავლულის მიმართ ქათინაურებს უხვად აფრქვევს, თაფლგარეული ნაღველით სავსე ლარნაკია.

კლოდ ფროლოსა ჟაკ კუაკტიეს საუბარი უმთავრესად ამქვეყნიურ სახეირო საქმეებს ეხებოდა, რომელთა გამოყენება ღირსეულმა მკურნალმა მარჯვედ იცოდა მეფის ყოველი ავადმყოფობის ჟამს, უფრო უტყუარი ალქიმიის წყალობით. - ჭეშმარიტად, მუსიე ექიმო, ძალიან გამეხარდა, როდესაც თქვენი ძმისწულის, სენიორ პიერ ვერსეს ეპისკოპოსად დანიშვნა შევიტყვე. ის ხომ ახლა ამიენის ეპისკოპოსია? - დიახ, მამაო, ღვთის მადლითა და წყალობით.

- იცით, თქვენ ერთობ დიდებულად გამოიყურებოდით შობის დღეს, საანგარიშო პალატის საზოგადოებას რომ მეთაურობდით, მუსიე პრეზიდენტო!

- სამწუხაროდ, მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტი გახლავართ, მამაო კლოდ! - სადამდე აზიდულა თქვენი საუცხოო სასახლე სენტ-ანდრე დეზარკის ქუჩაზე? ნამდვილი ლუვრია.

- სამწუხაროდ, მეტრ კლოდ, ეს მშენებლობა ძალიან ძვირი მიჯდება. რამდენადაც ზევით მიიწევს, იმდენად ვკოტრდები.

- ოჰო, ნუთუ შემოსავალი არა გაქვთ საპატიმროდან, მართლმსაჯულების სასახლის შემოგარენიდან, რენტა ყველა სახლიდან, დუქ-

ნიდან, ფარდულიდან, სახელოსნოდან? ეს კარგი საწველი ფური უნ-და იყოს.

- ჩემს პუასის საკასტელიანოს წელს არავითარი შემოსავალი არ მოუცია. - სამაგიეროდ ტრიელის, სენ-ჯემსის, სენ-ჟერმენ-ან-ლეს გზების საბაჟო გადასახადი იძლევა მუდმივ, სარფიან მოგებას.

- სულ ასოცი ლივრი, ისიც არა პარიზული.

- თქვენ ხომ მეფის მკურნალის თანამდებობა გაქვთ. ეს კი მყარ, საიმედო შემოსავალს იძლევა. - დიახ, მამაო კლოდ, მაგრამ ეს დაწ-ყევლილი პოლინიის მამული, რის გამოც ამდენი აჟიოტაჟი ატყდა, კარგსა და ცუდ წელიწადს თუ ვიანგარიშებთ, საშუალოდ სამოც ოქ-როს ეკიუსაც ვერ მაძლევს. ქათინაურებში, რომელთაც მამა კლო-დი ჟაკ კუაკტიეს მისამართით აფრქვევდა, გესლიანი, მკვეთრი და ფარული დაცინვა იგრძნობოდა. ის დასცინოდა ადამიანის ტლანქ ბედნიერებას. მაგრამ სტუმარი ამას ვერ ამჩნევდა.

- სულსა ვფიცავ, - თქვა ბოლოს კლოდმა და ხელი მაგრად ჩამო-ართვა, - მოხარული ვარ, რომ ჯანმრთელს გხედავთ.

- გმადლობთ, მეტრ კლოდ.

- ჰო, მართლა, - წამოიძახა კლოდმა, - როგორ ბრძანდება თქვე ავადმყოფი მეფე? - საკმაოდ ვერ აჯილდოებს თავის მკურნალს, - მი-უგო ჟაკმა და თანამგზავრს ალმაცერად გადახედა.

- ასე გგონიათ, ნათლია კუაკტიე? - ჰკითხა თანამგზავრმა. ამ სიტ-ყვებმა, რომელშიც გაოცება და საყვედური იკითხებოდა, არქიდია-კონის ყურადღება უცნობი პიროვნებისკენ მიმართა. თუმცა, კლოდს ერთი წუთითაც არ დავიწყებია მისი იქ ყოფნა. ათასი მიზეზი ჰქონდა ფრთხილად მოპყრობოდა ჟაკ კუაკტიეს, ლუი XI-ის ყოვლისშემძლე მკურნალს, როდესაც თანმხლებთან ერთად მიიღო. მას სახეზე მცი-რეოდენი კმაყოფილებაც არ ეტყობოდა, როცა ჟაკ კუაკტიემ უთხრა: - ჰო, სწორედ დროა მოგახსენოთ, მამაო კლოდ, ერთ ერთი თანა-

მოძმე მოგიყვანეთ, რომელმაც გაიგო რა თქვენს შესახებ, თქვენი გაცნობა ინება. - ეგ ბატონიც მეცნიერია? - ჰკითხა არქიდიაკონმა და უცნობს უნდოდ გადახედა, რომელმაც არანაკლებ გამჭრიახი და უნდო მზერა შეაგება.

რამდენადაც ლამპრის სუსტ შუქზე გაარჩევდით, უცნობი დაახლოებით სამოცი წლის, საშუალო სიმაღლის იქნებოდა, საკმაოდ ავადმყოფურად გამოიყურებოდა. მისი მეტისმეტად უბრალო სახე რაღაც ძალასა და სიმკაცრეს გამოხატავდა. ღრმად ჩამჯდარი თვალები მღვიმის სიღრმიდან გამოტყორცნილი შუქივით უელავდა; ხოლო ცხვირამდე ჩამოფხატულ, გაცრეცილ ჩაჩქვეშ დიდი ნიჭის მაუწყებელი - ფართო შუბლი მოუჩანდა.

არქიდიაკონის კითხვაზე პასუხის გაცემა უცნობმა თვითონ ითავა და დარბაისლური ხმით მიმართა:

- ღირსეულო მასწავლებელო, თქვენმა დიდებულმა სახელმა ჩემამდე მოაღწია და მინდა რჩევა გკითხოთ. მე ერთი საცოდავი პროვინციელი აზნაური, ნათლია ტურანჟო გახლავართ. „უცნაური სახელია აზნაურისთვის“, გაიფიქრა კლოდმა და გრძნობდა, რომ მის წინ ძლიერი და სერიოზული, ჭკვიანი პიროვნება იდგა. რაც უფრო აკვირდებოდა ამ დარბაისელ კაცს, ჟაკ კუაკტიეს იქ ყოფნით გამოწვეული ირონიული ღიმილი დაღვრემილი სახიდან თანდათან უქრებოდა. კვლავ მოკალათდა თავის დიდ სავარძელში, ჩვეულებისამებრ, იდაყვით მაგიდას დაეყრდნო და ხელი შუბლზე მიიბჯინა. რამდენიმე წამის შემდეგ ორივეს ანიშნა დამსხდარიყვნენ და ნათლია ტურანჟოს მიმართა:

- მაშ, თქვენ რჩევისთვის მობრძანდით, მეტრ, მაგრამ, რომელ მეცნიერებაში? - ღირსეულო მასწავლებელო, - მიუგო ტურანჟომ, - მე ავად ვარ, ძალიან ავად. თქვენზე ამბობენ, დიდი მკურნალი ესკულაპიაო და მინდა რჩევა გთხოვოთ მედიცინაში. - მედიცინაში! -

თქვა არქიდიაკონმა და თავი გააქნია; წამიერად ფიქრმა გაიტაცა, შემდეგ უპასუხა: - ნათლია ტურანჟო, თუ ნამდვილად ეს სახელი გქვიათ, მიმოიხედეთ, ჩემს პასუხს კედელზე ამოიკითხავთ.

ნათლია ტურანჟო დაემორჩილა და კედლის ერთი წარწერა წაიკითხა: „მედიცინა სიზმრის ასულია - იამბლიხი."

ჟაკ კუაკტიეს ეს ამბავი არ ესიამოვნა. ნათლია ტურანჟოსკენ გადაიხარა და არქიდიაკონს რომ არ გაეგონა, საკმაოდ ხმადაბლა ყურში ჩასჩურჩულა:

- ხომ გაგაფრთხილეთ, გიჟია-მეთქი. თქვენ კი მისი ნახვა ისურვეთ. - შესაძლოა, ეს გიჟი მართალიც იყოს, ექიმო კუაკტიე! - მიუგო ნათლია ტურანჟომ ხმადაბლა მწარე ღიმილით.

- როგორც გნებავთ, - ცივად უპასუხა კუაკტიემ. შემდეგ არქიდიაკონს მიმართა: - ძალიან ჩქარობთ მსჯელობისას, მამაო კლოდ, თქვენ, როგორც ჩანს, ადვილად გაუსწორდებით ჰიპოკრატეს. „მედიცინა სიზმარიაო!" აქ რომ მეაფთიაქენი, ფარმაცევტები და ექიმები ყოფილიყვნენ, თავს ვერ შეიკავებდნენ და, ალბათ, ჩაგქოლავდნენ. მაშ, თქვენ უარყოფთ სიყვარულის სასმელის გავლენას სისხლზე, მალამოს მოქმედებას კანზე? თქვენ უარყოფთ ბალახთა და ლითონთა ამ სამარადჟამო აფთიაქს, რომელსაც ქვეყანად უხმობენ და განზრახ შექმნეს იმ მარადი ავადმყოფობისთვის, ადამიანს რომ უწოდებენ?!

- მე არ უარვყოფ, - ცივად უპასუხა მამა კლოდმა, - არც აფთიაქს, არც ავადმყოფს, მე უარვყოფ ექიმს.

- მაშ, თქვენი აზრით, - განაგრძო გაცხარებით კუაკტიემ, - სიმართლე არაა ის, რომ ნეკრისი სხეულში შესული სირსველაა, რომ ნატყვიარი ჭრილობა მოხრაკული მინდვრის თაგვის დადებით იკურნება, რომ ახალგაზრდას სისხლის გადასხმა მოხუცის სისხლძარღვებს აახალგაზრდავებს; ნუთუ მართალი არაა ის, რომ ორჯერ ორი

ოთხია და კრუნჩხვის დროს სხეული წინ იხრება, მერე კი უკან? არქიდიაკონმა აუღელვებლად უპასუხა:

- ზოგიერთ საგანზე მე საკუთარი აზრი მაქვს.

კუაკტიე სიბრაზისგან გაწითლდა.

- აი, რა, ჩემო ძვირფასო კუაკტიე, ნუ გავჯავრდებით, ნუ გავცხარდებით, - თქვა ნათლია ტურანტომ, - მუსიე არქიდიაკონი ხომ ჩვენი მეგობარია.

კუაკტიე დამშვიდდა, თან ხმადაბლა წაიბურტყუნა:

- ეგეც მართალია. გიჟს რა მოეთხოვება!

- ღმერთმანი, მეტრ კლოდ, - ხელახლა ალაპარაკდა ნათლია ტურანჟო ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, - ძალიან დამაბნიეთ. მინდოდა თქვენთვის ორი რამ მეკითხა: ერთი - ჩემი ჯანმრთელობის და მეორე - ჩემი ვარსკვლავის შესახებ.

- მუსიე, - მიუგო არქიდიაკონმა, - თუ მხოლოდ ეს გაინტერესებთ, მაშინ ამაოდ გარჯილხართ და კიბეზე ამოსვლით ამაოდ დაგიღლიათ გული. მე არც მედიცინისა მჯერა და არც ასტროლოგიის. - ნამდვილად? - განცვიფრებით წარმოთქვა ნათლიამ.

კუაკტიემ ნაძალადევად გაიცინა.

- თქვენ ახლა კარგად ხედავთ, რომ ეგ გიჟია, - უთხრა ხმადაბლა ტურანჟოს. - მაგას ასტროლოგიისაც კი არ სჯერა!

- განა, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, - განაგრძო მამა კლოდმა, - თითქოს ვარსკვლავის ყოველი სხივი ადამიანის თავამდე გაბმული ძაფია?

- მაშ, რა გწამთ? - წამოიძახა ნათლია ტურანტომ. - ერთ წამს არქიდიაკონი ყოყმანობდა, შემდეგ პირქუშად გაიღიმა, რაც მის პასუხს არ ეხამებოდა: - Credo in Deum[1]. - Dominum nostrum[2], - და-

---

[1] *მწამს ღმერთი. (ლათ.).*

[2] *უფალი ჩვენი. (ლათ.).*

უმატა ნათლია ტურანჟომ და პირჯვარი გადაისახა. - Amen! - თქვა კუაკტიემ.

- მეტრ, - განაგრძო ნათლიამ. - აღტაცებული ვარ, სულითა და გულით მიხარია, როცა ვხედავ, რაოდენ ურყევი ხართ სარწმუნოებაში. დიდი მეცნიერი ბრძანდებით და მეცნიერების აღარ გჯერათ? - არა, - მიუგო არქიდიაკონმა და მკლავზე ხელი მოჰკიდა ნათლია ტურანჟოს. მის მიმქრალ თვალებში აღფრთოვანების შუქმა იელვა, - არა, მეცნიერებას არ უარვყოფ. ტყუილად როდი დავხოხავდი ამდენხანს ამ მღვიმის ურიცხვ განშტოებებში, ვიდრე შორს, ბნელი ტალანის ბოლოს არ შევნიშნე რაღაც სინათლე, ცეცხლის ალი; იგი უეჭველად ანარეკლია თვალისმომჭრელი ლაბორატორიისა, სადაც მომთმენნი და ბრძენნი ღმერთს ეზიარებიან. - ბოლოს და ბოლოს, - შეაწყვეტინა ტურანჟომ, - რომელი მეცნიერება მიგაჩნიათ ჭეშმარიტად? - ალქიმია.

კუაკტიემ წამოიძახა:

- ღმერთმანი, რა ბრძანებაა, მამაო კლოდ, დავუშვათ, რომ ალქიმია თავისებურად მართალია, მაგრამ, ამის გამო, რატომ უნდა დაგმოთ მედიცინა და ასტროლოგია? - თქვენი მეცნიერება ადამიანზე არარაობაა! თქვენი ცის მეცნიერებაც არარაობაა! - მტკიცედ თქვა არქიდიაკონმა.

- ეს ხომ იმას ნიშნავს, ანგარიში გაუსწორო ეპიდავრსა და ქალდეას, - დაცინვით შენიშნა მკურნალმა.

- მომისმინეთ, მუსიე ჟაკ, მე ჩემი აზრი გულწრფელად მოგახსენეთ. მე არ გახლავართ მეფის მკურნალი და მის უდიდებულესობას არ მოუცია ჩემთვის დედალოსის ბაღი, რათა თანავარსკვლავედს დავკვირვებოდი. ნუ ცხარობთ და მომისმინეთ. მე არ ვლაპარაკობ მედიცინაზე, რომელსაც მეტისმეტად აკლია საღი აზრი, არამედ ას-

ტროლოგიაზე. დამისახელეთ ვერტიკალური ბუსტ-როფედონის[1] თვისება, რიცხვების - ზირუფისა და ზეფიროდის დახმარებით გაკეთებული აღმოჩენები.

- ნუთუ, თქვენ უარყოფთ კლავიკულის სიმპათიკურ ძალას? იმას, რომ კაბალისტიკა აქედან მოდის? - თქვა კუაკტიემ.

- სცდებით, მუსიე ჟაკ! არც ერთ თქვენს ფორმულას ნამდვილი შედეგი არ მოჰყოლია. ალქიმიას კი თავისი აღმოჩენები აქვს. განა სადავოა, რომ ათასწლობით მიწისქვეშა ყინული მთის ბროლად იქცევა, რომ ტყვია ყველა ლითონის წინაპარია, რადგან ოქრო არ არის ლითონი, ოქრო სინათლეა; რომ ტყვიას სჭირდება ოთხი ორასწლიანი პერიოდი, რათა თანმიმდევრობით გარდაიქმნას ჯერ წითელ დარიშხანად, შემდეგ წითელი დარიშხანი - კალად, კალა - ვერცხლად. ეს ხომ უტყუარი ფაქტებია! ბედისწერის ხაზები და ვარსკვლავთა გავლენა ისევე სასაცილოა, როგორც ის, რომ ჩინელებთან ერთად გვერწმუნა, ვითომც მოლაღური თხუნელად იქცევა და ხორბლის მარცვლები - ოქროს თევზებად. - მეც მისწავლია ჰერმეტიკა, - წამოიძახა კუაკტიემ, - და ვამტკიცებ... გაცხარებულმა არქიდიაკონმა არ დაამთავრებინა.

- მე კი შევისწავლე მედიცინაც, ასტროლოგიაცა და ჰერმეტიკაც. ჭეშმარიტება მხოლოდ ეს არის, - და ხელში აიღო ფხვნილით სავსე შუშა, - მხოლოდ აქ არის სინათლე! ჰიპოკრატე სიზმარია, ურანი - ზმანება, ჰერმესი - ფიქრი. ოქრო მზეა. ოქრო რომ შექმნა, ღმერთი უნდა იყო. აი, ერთადერთი მეცნიერება. მე ჩავუღრმავდი მედიცინასა და ასტროლოგიას და გეუბნებით: არარაობა, არარაობა სუფევს იქ! ადამიანის სხეული წყვდიადითაა მოცული, მნათობებიც წყვდიადშია! მძლავრი და შთაგონებული სახით გადაწვა იგი თავის სავარ-

[1] *გრძნეულებათა წიგნი, რომლის ავტორობასაც სოლომონს მიაწერენ.*

ძელში. ნათლია ტურანჟო დუმილით ადევნებდა თვალს, კუაკტიე ირონიულად იღიმებოდა, შეუმჩნევლად მხრებს იჩეჩდა და თავისთვის ბურტყუნებდა: - „აი, გიჟი“.

- მიაღწიეთ კი მაგ თქვენს სასწაულებრივ მიზანს? - ჰკითხა უცებ ტურანჟომ, - გააკეთეთ ოქრო? - ეგ რომ გამაკეთებინა, - დინჯად წარმოთქვა ფიქრებში წასულმა არქიდიაკონმა, - მაშინ საფრანგეთის მეფეს კლოდი ერქმეოდა და არა ლუი.

ნათლიამ წარბი შეიკრა.

- თუმცა რას ვამბობ? - განაგრძო ირონიული ღიმილით კლოდმა, - რას მიქვია საფრანგეთის ტახტი, როცა აღმოსავლეთის იმპერიის აღდგენასაც კი შევძლებდი! - ღმერთმა ხელი მოგიმართოს! - თქვა ნათლია ტურანჟომ.

- ოი, საბრალო გიჟო! - ჩაიბუტბუტა კუაკტიემ. ფიქრებში გართულმა არქიდიაკონმა განაგრძო: - მაგრამ არა, მე ჯერ ისევ მივცოცავ; სახე დამეკაწრა, ქვებზე მუხლები დამეყვლიფა მიწისქვეშა გზებზე. ჯერ მხოლოდ ბუნდოვანი ვარაუდი მაქვს, გარკვევით ვერ ვკითხულობ, მხოლოდ ვმარცვლავ! - და როცა შეძლებთ წაკითხვას, - ჰკითხა ნათლიამ, - ოქროს გააკეთებთ? - ამაში ეჭვი ნურავის შეეპარება! - თქვა არქიდიაკონმა.

- ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა უწყის, რაოდენ მიჭირს ფული, სიამოვნებით შევისწავლიდი თქვენს წიგნებს. მითხარით, ღირსეულო მასწავლებელო, თქვენი მეცნიერება ხომ არ მტრობს ან ვნებს ღვთისმშობელს?

ტურანჟოს ამ კითხვაზე მამა კლოდმა ამპარტავნული სიმშვიდით უპასუხა: - მაშ, რისი არქიდიაკონი ვარ?

- ეს მართალია, ჩემო ბატონო. ხომ არ ინებებდით ჩემთვისაც გაგენდოთ თქვენი მეცნიერება? ნება მიბოძეთ, თქვენთან ერთად ვისწავლო დამარცვლით კითხვა. კლოდმა დიადი სახე მიიღო, ვითარცა

მღვდელთმთავარმა სამუელმა. - მოხუცო, იდუმალებით მოცულ საგანთა სამყაროში მოგზაურობას წლები სჭირ დება, რაც თქვენ აღარ დაგრჩენიათ. თქვენს თავს უკვე ჭაღარა ფარავს. მართალია, ამ მღვიმედან თეთრი თმით გამოდიან, მაგრამ იქ შავი თმით შედიან. მეცნიერება ისედაც უღარავს, უჭკნობს, უფიტავს ადამიანს სახეს, მაგრამ თუ მაინც გადაწყვეტთ ამ დისციპლინის შესწავლა დაიწყოთ და გაარჩიოთ ბრძენთა საშინელი ანბანი, კეთილი, ასე იყოს, მობრძანდით, შევეცდები დაგეხმაროთ. მე არ გეტყვით, ინახულეთ პირამიდები, ან ბაბილონის კოშკი, ან ეკლინგის ინდური ტაძრის უზარმაზარი თეთრი მარმარილოს საკურთხეველი. თავადაც არ მინახავს ქალდეველთა ქვის ნაგებობანი, არც სოლომონის დანგრეული ტაძარ, არც ებრაელ მეფეთა აკლდამის ჩამონგრეული ქვის კარი. ჩვენ დავჯერდებით ჰერმესის წიგნის ფრაგმენტებსაც, რომელიც აქ გვაქვს. მე აგიხსნით წმ. ქრისტოფის ქანდაკების, მთესველის და იმ ორი ანგელოზის სიმბოლოს. რომლებიც გამოსახულნი არიან სენტ-შაპელის პორტალზე...

არქიდიაკონის აღგზნებული პასუხით შეცბუნებული ჟაკ კუაკტიე წელში გასწორდა და მეცნიერს საზეიმო ხმით შეაწყვეტინა, რათა მეორის შეცდომა გაესწორებინა: - Eras, amice Claudi[1] სიმბოლო რიცხვი არ არის. თქვენ ორფეუსი ჰერმესი გგონიათ. - თქვენ ცდებით, - მედიდურად უპასუხა არქიდიაკონმა, - დედალოსი საძირკველია, ორფეუსი კედლებია, ჰერმესი მთელი შენობაა. თქვენ მობრ ძანდებით, როცა ინებებთ, - განაგრძო მან და ტურანჟოსკენ შებრუნდა, - მე გაჩვენებთ ნიკოლას ფლამელის ბრძმედის ფსკერზე დარჩენილ ოქროს მარცვლებს და მათ გილიომ პარიზელის ოქროს შეადარებთ. გაგაგებინებთ ბერძნული სიტყვის - პერისტერას იდუმალ

[1] *ცდები, მეგობარო კლოდ.*

თვისებებს, გასწავლით მარმარილოს ასოების წაკითხვას, დიადი წიგნის გრანიტის კაბადონების გარჩევას. ეპისკოპოს გილიომისა და სენ-ჟან ლე რონის პორტალიდან გავემართებით სენ-შაპელის-კენ, შემდეგ ნიკოლას ფლამელის სახლისკენ, მარივოს ქუჩაზე; მისი საფლავისკენ, რომელიც წმინდანთა სასაფლაოზეა; გასწავლით იმ იეროგლიფების კითხვას, რომლებითაც დაფარულია სენ-ჟერვეს ჰოსპიტლის პორტალის ოთხი სქელი რკინის გისოსი და რკინეულობის ქუჩა. ჩვენ ერთად გავარჩევთ აგრეთვე სენ-კომის, სენტ-ჟენევიევ-დეზ-არდანის, სენ- მარტენის, სენ-ჟაკ დე-ლა-ბუშრის ფასადებს...

მიუხედავად იმ გონიერებისა, რომელიც ტურანჟოს თვალებიდან გამოსჭვიოდა, მას უკვე დიდი ხანია მამა კლოდის აღარა გაეგებოდა რა და შეაწყვეტინა. - უფლის აღდგომის მადლმა! ეგ რა წიგნია?

- აი, ერთ-ერთი მათგანი, - თქვა არქიდიაკონმა და სენაკის სარკმელი გამოაღო, თითი ღვთისმშობლის უზარმაზარი ეკლესიისკენ გაიშვირა; ვარსკვლავიან ცაზე გამოკვეთილი ორი კოშკის, ქვის გვერდებისა და ზურგის შავი სილუეტი შუაგულ ქალაქში დაბრძანებულ უშველებელ სფინქსს ჰგავდა. ერთხანს მდუმარედ გაჰყურებდა არქიდიაკონი ბუმბერაზ შენობას, შემდეგ ამოიოხრა, მარჯვენა ხელი მაგიდაზე გაშლილ ნაბეჭდ წიგნზე გაშალა, მარცხენა კი ღვთისმშობლის ტაძრისკენ გაიშვირა, ნაღვლიანი მზერა წიგნიდან ეკლესიაზე გადაიტანა: - ვაი, რომ, ეს გაანადგურებს იმას.

კუაკტიე დაუზარლად მიუახლოვდა წიგნს; მან ვერ შეძლო თავი შეეკავებინა და წამოიძახა: - მაგრამ, მომიტევეთ, რა არის აქ ასეთი საშინელი? ეს ხომ ახალი ამბავი არ არის. ეს სენტენციების ოსტატის, პიერ ლომბარის წიგნია. იქნებ იმიტომაა საშინელი, რაკი ნაბეჭდია? - თქვენ სწორად ბრძანეთ, - უპასუხა ფიქრებში შთანთქმულმა კლოდმა და მოკეცილი საჩვენებელი თითით დასტამბულ წიგნს დაეყრდნო. შემდეგ კი იდუმალებით მოცული სიტყვები დაურ-

თო: - ვაი! ვაი, რომ მცირე იბატონებს დიდზე, ეული კბილი იმარ-ჯვებს მასაზე, ნილოსის თაგვი კლავს ნიანგს, პატარა თევზი კლავს ვეშაპს, წიგნი მოკლავს შენობას! მონასტერში სინათლის ჩაქრობის ზარმა სწორედ იმ წუთს დარეკა, როცა მკურნალმა ჟაკმა თანამ-გზავრს ხმადაბლა გაუმეორა: „იგი გიჟია“. ამჯერად თანამგზავრიც დაეთანხმა: „მგონი, ასეა“. ამ დროს გარეშე პირის მონასტერში დარჩენა აღარ შეიძლებოდა. მეტრ, - უთხრა ნათლიამ არქიდიაკონს გამომშვიდობებისას, - მე მიყვარს მეცნიერები და დიდი გონების ადამიანები, თქვენს მიმართ კი იშვიათ პატივისცემას ვგრძნობ. ხვალ მობრძანდით ტურნელის სასახლეში და იკითხეთ - აბატი სენ-მარტენ დე ტური. არქიდიაკონი განცვიფრდა. მხოლოდ ახლაღა მიხვდა, ვინ იყო ნათლია ტურანჟო და სენ- მარტენ-დე-ტურის სამო-ნასტრო კრებულიდან ნაწყვეტი გაახსენდა: ,,bas beati Martini, scilicet rex Francix, est canonicus de consuetudine et habet Canvam praebendam, quam habet sanctus venantius et dabet sedere in sede htesaurarii[1]. ამტკიცებენ, რომ ამის შემდეგ არქიდია-კონი ხშირად საუბრობდა ლუი XI-სთან, როცა მისი უდიდებულესო-ბა პარიზს ჩამობრძანდებოდა. მამა კლოდის გავლენა ჩრდილავდა და აშფოთებდა ოლივიე ლე დენს, აგრეთვე ჟაკ კუაკტიეს, რომელიც ამის გამო მეფეს აუგად მოიხსენიებდა.

[1] *ნეტარი მარტინის მოძღვარი. ე.ი. საფრანგეთის მეფე ტრადიციით კანონიკია და ჰყავს მცირეოდენი მრევლი, რომელიც ეკუთვნის წმ. ვენანცის ეკლესიას და კაპი-ტულში ხაზინადარის ადგილას უნდა იჯდეს.*

5.2. ეს გაანადგურებს იმას

რა იგულისხმა არქიდიაკონმა იდუმალ სიტყვებში: „ეს გაანადგურებს იმას?“ ამ აზრს ორი მხარე აქვს. პირველი, ეს იყო სასულიერო პირის შიში ახალი ძალის - ბეჭდვის წინაშე; დამფრთხალი საეკლესიო კათედრა, ზეპირი თუ ხელნაწერი სიტყვა ნაბეჭდ სიტყვას აუმხედრდა; ეს იყო წინასწარმეტყველის შეძახილი, რომ მალე აგუგუნდებოდა თავისუფლებამოწყურებული ხალხი, რომ მომავალში გონება ძირს გამოუთხრიდა რწმენას, რომის უღელს; რომ ბეჭდვის მიერ აქროლებული აზრი თეოკრატიის ჭურჭლიდან ორთქლდებოდა, რომ ახალი ძალა ძველს შეცვლიდა, რომ საბეჭდი დაზგა მოკლავს ეკლესიას.

მაგრამ, ამ პირველ უდავოდ მარტივ აზრებში იფარებოდა სხვა, უფრო ახალი აზრი, როგორც დასკვნა პირველისა, არცთუ იოლად მისახვედრი და ფილოსოფიური; ეს უფრო წინათგრძნობა იყო, რომ ფორმის შეცვლით ადამიანის აზრი თანდათან შეცვლის გამოხატვის წესსაც - ყოველი თაობის მთავარი იდეა სხვა წესით, სხვა მასალით დაიწერება; ესოდენ მკვრივი და გამძლე ქვის წიგნი ადგილს დაუთმობს უფრო გამძლე ქაღალდის წიგნს. არქიდიაკონის გაურკვეველ, ბუნდოვან ნათქვამში მეორე აზრიც იგულისხმებოდა - ერთი ხელოვნება დაამხობდა მეორე ხელოვნებას, რომ წიგნის ბეჭდვა ხუროთმოძღვრებას მოკლავდა.

მართლაც, დასაბამიდან, ქრისტეშობიდან XV საუკუნის ჩათვლით, ხუროთმოძღვრება კაცობრიობის უდიდესი წიგნი იყო, ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გამოსახვის მთავარი საშუალება. როდესაც პირველ თაობათა მეხსიერებამ თავი მეტისმეტად დატვირთულად იგრძნო, როდესაც ადამიანის მოდგმის მოგონებათა ტვირთი იმდენად დამძიმდა და გაბუნდოვანდა,

რომ შიშველმა და ადვილად მქროლავმა სიტყვამ დაკარგვის საფრთხე შეუქმნა, მაშინ მოგონებანი მეტად ცხადი და ბუნებრივი წესით მკვიდრ ნიადაგზე გადაიტანეს - ყოველი გადმოცემა თუ ადათ-წესი ძეგლებში განსხეულდა.

პირველი ძეგლები კლდის ლოდები იყო, „რომელთაც არ შეხებია რკინა," ამბობს მოსე. ხუროთმოძღვრებაც ისევე დაიწყო, როგორც ყოველი დამწერლობა. თავიდან იგი ანბანი იყო. ფეხზე დააყენებდნენ ქვას და იგი უკვე ასოს წარმოადგენდა, ყოველი ასეთი ასო - იეროგლიფს, თითოეული იეროგლიფი - იდეას. ასე იქცეოდა ძველი თაობა მთელ დედამიწაზე. კელტების „ფეხზე მდგომ ქვებს" პოულობენ ციმბირშიც და ამერიკის ტრამალებშიც.

უფრო გვიან შეადგინეს სიტყვები. ქვა ქვაზე დადეს, გრანიტის ეს მარცვლები შეაერთეს და მარცვლებიდან სიტყვების შედგენა სცადეს. კელტური დოლმენები და ეტრუსკული ყორღანები, ებრაელთა სამაროვანი ბორცვები - სიტყვებია. ზოგიერთი, უმეტესად ყორღანები, საკუთარი სახელებია. ზოგჯერ კი, როცა ქვაც ბლომად ჰქონდათ და ვრცელი ადგილებიც, მთელ წინადადებებს ადგენდნენ, ბოლოს, წიგნების შედგენაც დაიწყეს. გადმოცემებმა წარმოშვა სიმბოლოები; ყველა სიმბოლო, რომელიც ადამიანს სწამდა, თანდათან გაიზარდა, გამრავლდა, ერთმანეთს გადაეხლართა, გართულდა; ძეგლები მათ ვეღარ იტევდა; სიმბოლოს გასაშლელად შენობა დასჭირდა და ადამიანის აზრთან ერთად ხუროთმოძღვრებაც განვითარდა, ათასთავიან და ათასხელიან ბუმბერაზად იქცა და ცვალებადი სიმბოლო სამარადისო ხილვად ხელშესახებ ფორმაში დამკვიდრდა. იმ დროს, როდესაც დედალოსი - ძლიერების სიმბოლო - ზომავდა, ორფეოსი - გონების სიმბოლო - მღეროდა, მაშინ სვეტმა - ასოს სიმბოლომ, თაღმა - მარცვლის სიმბოლომ, პირამიდამ - სიტყვის სიმბოლომ, გეომეტრიისა და პოეზიის კანონებით ამოძრავებულმა, დაიწ-

ყო დაჯგუფება, შერევა, შედუღება, ცამდე ამაღლება. ეპოქის მთავარი იდეების კარნახით დაიწერა საკვირველი წიგნები, რომლებიც, ამავე დროს, საკვირველი შენობებია: ეკლინგის პაგოდა, კერპის ტაძარი, ხეოფსის პირამიდა, სოლომონის ტაძარი. მთავარი იდეა, სიტყვა, ჩამარხული იყო არა მხოლოდ შენობების ფუძეარსში, არამედ მათ ფორმაშიც. მაგალითად, სოლომონის ტაძარი, საღვთო წიგნის მარტო ყდა როდია, ის თავად იყო საღვთო წიგნი. მათ გალავნებზე ღვთისმსახურებს შეეძლოთ ამოეკითხათ სიტყვის შინაარსი და თვალი ედევნებინათ მათი გარდაქმნებისთვის საკურთხევლიდან საკურთხევლამდე, ტაძრიდან ტაძრამდე, სანამ უკანასკნელ თავშესაფარს, მის უაღრესად ხორცშესხმულ, მკვრივ ნივთიერ ფორმას მისწვდებოდა, რაც ისევ ხუროთმოძღვრული იყო - ძველი აღთქმის კიდობანს. სიტყვა ჩადებული იყო შენობის წიაღში, მაგრამ მისი ხატება შენობის გარსზე აღიბეჭდა. არა მხოლოდ შენობის ფორმა, მისთვის შერჩეული ადგილიც კი ამჟღავნებდა მასში ჩადებულ აზრს. ქვეყნიერების ექვსი ათასეული წლის მანძილზე, ინდოეთის ყველაზე უხსოვარი პაგოდადან კიოლნის კათედრალამდე, ხუროთმოძღვრება ადამიანთა მოდგმის ყველაზე დიდი დამწერლობა იყო. ეს იმდენად ჭეშმარიტია, რომ არა მარტო ყველა რელიგიურ სიმბოლოს, ყოველგვარ ადამიანურ აზრსაც კი თავისი ფურცელი და ძეგლი გააჩნია ამ უსაზღვრო წიგნში. ყოველი ცივილიზაცია თეოკრატიით იწყება და დემოკრატიით მთავრდება.

ერთხელისუფლებიანობის შემდეგ თავისუფლების მემკვიდრეობითი თანმიმდევრობის კანონი ხუროთმოძღვრებიაშიც აისახა. როდესაც არსებობის პირველ პერიოდში თეოკრატიამ ევროპაში წესრიგი დაამყარა, როდესაც ვატიკანმა ირგვლივ შემოიკრიბა და ხელახლა დააჯგუფა ნანგრევებადქცეული ძველი რომის ელემენტები, როდესაც ქრისტიანობამ წინა ცივილიზაციის ნანგრევებში საზოგა-

დოების ყველა ფენის ძებნა დაიწყო, მან შექმნა ახალი იერარქიული ქვეყანა, რომლის ქვაკუთხედი სამღვდელოება იყო. ამ ქაოსში იშვა იდუმალი რომანული ხუროთმოძღვრება, ეგვიპტისა და ინდოეთის თეოკრატიული საამშენებლო ხელოვნებისა და კათოლიციზმის უცვლელი ემბლემა, პაპის ერთობის ურყევი იეროგლიფი. მართლაც, მაშინდელი აზრი ჩაწერილია ამ პირქუშ რომანულ სტილში. მასში ყველგან იგრძნობა ძალაუფლება, ავტორიტეტი, ერთხელისუფლებიანობა, ერთიანობა, შეუღწევადობა, აბსოლუტიზმი; ყველგან - მღვდელი, არსად - ადამიანი, ყველგან - კასტა, არსად - ხალხი. მაგრამ დაიწყო ჯვაროსანთა ლაშქრობა, დიდი სახალხო მოძრაობა. როგორიც უნდა იყოს მისი გამომწვევი მიზეზი თუ მიზანი, ყოველთვის გადმოსცემს თავისუფალი სულის უკანასკნელ ნაფიქრს, დანალექს. რაღაც სიახლე დღის სინათლეზე გამოდის. იწყება ქარიშხლიანი პერიოდი. ძალაუფლება, ავტორიტეტი ირყევა, ერთხელისუფლებიანობა ორად იყოფა. ხალხის გამოსვლის მოლოდინში, ფეოდალიზმი თეოკრატიისგან ხელისუფლების განაწილებას მოითხოვს; ხალხი, როგორც ყოველთვის, ლომის წილს მიიღებს: თავადაზნაურობა თავს აღწევს სამღვდელოებას, ქალაქის თემი - თავადაზნაურობას, ევროპის სახე იცვლება. იცვლება ხუროთმოძღვრების სახეც. როგორც ცივილიზაციამ, მანაც გადაშალა ფურცელი; ეპოქის ახალი სული მზადაა მისი კარნახით წეროს. ჯვაროსანთა ლაშქრობიდან მან მიიღო ისრული კამარა, ერებმა - თავისუფლება. როცა ნელ-ნელა დაიშალა რომი, რომანული ხუროთმოძღვრებაც მოკვდა. იეროგლიფმა მიატოვა კათედრალი და ციხე- კოშკების გერბზე გადავიდა, რათა ფეოდალების პრესტიჟი აღედგინა. თვით კათედრალიც, ოდესღაც დოგმატიკის ერთგული შენობა, ბურჟუაზიამ, ქალაქის თემმა, თავისუფლებამ დაიპყრო; მშვიდობით, გამოეთხოვეთ იდუმალებას, მითსა და კანონს! გზა მიეცით ფანტაზია-

სა და ახირებას! ოღონდ, დაუტოვეთ მღვდელს თავისი საყდარ-საკურთხეველი, მას ხომ სხვა არაფერი სჭირდება. ოთხივე კედელი ხომ ხელოვანისაა. ამიერიდან ხუროთმოძღვრული წიგნი არც სამღვდელოებას ეკუთვნის, არც რელიგიას, არც რომს. იგი წარმოსახვის, პოეზიისა და ხალხის განკარგულებაშია. ამასობაში ხელოვნება გოლიათური ნაბიჯებით წინ მიიწევს. ყოველი თაობა ამ წიგნში თავის სტრიქონს წერს. იგი ჩამოფხეკს კათედრალების ფასადებიდან ძველ რომანულ იეროგლიფებს; უკვე დიდი ჯაფა სჭირდება ახლადშეტანილ სიმბოლოებქვეშ დოგმის გარჩევას, რომელიც აქა-იქღა ბჟუტავს. ხალხური შემოქმედების საფარველქვეშ ძლივს გაარჩევთ რელიგიურ ჩონჩხს. ვერც კი წარმოიდგენთ, რა თავგასულობას იჩენდნენ მაშინ ხუროთმოძღვრები ეკლესიის მიმართ. იმ ეპოქაში ქვაზე აღბეჭდილი აზრი თანამედროვე ნაბეჭდი სიტყვის თავისუფლებისდარი პრივილეგიით სარგებლობდა. ეს ხუროთმოძღვრების თავისუფლების დრო იყო, რომელიც ძალიან შორს მიდიოდა. ხანდახან რომელიმე პორტალზე, ფასადზე გამოსახული სიმბოლოები მტრულიც კი იყო ეკლესიის მიმართ. XIII საუკუნეში გილიომ პარიზელმა, XV საუკუნეში ნიკოლა ფლამელმა ამგვარი მეამბოხური ფურცლები ჩაწერეს. სენ-ჟაკ-დე-ლა-ბუშრის ტაძარი მთლიანად ოპოზიციური იყო. მაშინ თავისუფალ აზრს მხოლოდ ამ სახით გამოხატავდნენ. საზოგადოების მატერიალური და ინტელექტუალური ძალა ხუროთმოძღვრებაში ერთიანდებოდა - ღვთის ტაძართა აგების საბაბით ხელოვნებამ ბრწყინვალე განვითარებას მიაღწია.

ვინც კი პოეტად იბადებოდა, ხუროთმოძღვარი ხდებოდა. ფეოდალიზმის ყოველმხრივ შევიწროებულ მასაში გაბნეული გენია, ხუროთმოძღვრების გარდა სხვა გამოსავალს რომ ვერ პოულობდა, გზას ამ ხელოვნებით იკაფავდა და მისი „ილიადები“ კათედრალების ფორმას იღებდნენ. ყველა სხვა ხელოვნება ხუროთმოძღვრების

მოთხოვნებს ემორჩილებოდა და ეგუებოდა. რელიგიური ხუროთ-მოძღვრება აერთიანებდა ქანდაკებასაც, ფერწერასაც და მუსიკა-საც. თვით მწირი პოეზიაც კი, რომელიც კერპივით გაყინულიყო ხელნაწერებში, იძულებული გახდა საკუთარი თავი შენობის ჩარჩო-ებში ჩაესვა.

გუტენბერგამდე ხუროთმოძღვრება მთავარი და საყოველთაო დამწერლობაა. ეს გრანიტის წიგნი აღმოსავლეთმა დაიწყო, ბერ-ძნულმა და რომაულმა ანტიკურობამ გააგრძელა და შუა საუკუნეებ-მა უკანასკნელი ფურცელი ჩაწერა. თუმცა, კასტურ ხუროთმოძ-ღვრებას ხალხური მოჰყვა, ეს მოვლენა ისტორიის სხვა დიად ეპო-ქებშიც მეორდებოდა. შორეულ აღმოსავლეთში, სადაც პირველ ყო-ფილი საზოგადოების აკვანი დაირწა, ინდურ ხუროთმოძღვრებას მოჰყვა ფინიკიური - არაბული ხუროთმოძღვრების გულუხვი დედა; ეგვიპტურ ხუროთმოძღვრებას, რომლის ნაირსახეობას წარმოად-გენდა ეტრუსკული სტილი და ციკლოპური ძეგლები, მოჰყვა ბერ-ძნული ხუროთმოძღვრება, რომლის გაგრძელებაც რომანული სტი-ლი იყო. ახალ დროში რომანული ხუროთმოძღვრების შემდეგ გაჩ-ნდა გოტიკური. თუ ამ სამ წყებას ორად გავყოფთ, დავინახავთ, რომ ინდური, ეგვიპტური და რომანული ხუროთმოძღვრება განასა-ხიერებს: თეოკრატიას, კასტას, ერთხელისუფლებიანობას, დოგმას, მითს, ღმერთს; ფინიკიური, ბერძნული და გოტიკური ხუროთმოძ-ღვრება კი, მათი ფორმების სხვადასხვაობის მიუხედავად: თავისუფ-ლებას, ხალხს, ადამიანს. XV საუკუნემდე ხუროთმოძღვრება კა-ცობრიობის მთავარი მატიანე იყო. ამ ხნის მანძილზე დედამიწაზე არ გამოჩენილა მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც შენობით არ გა-მოხატულიყოს. ყოველ ხალხურ იდეას, ისევე, როგორც ყოველ რე-ლიგიურ კანონს, თავისი ძეგლი გააჩნდა. ადამიანთა მოდგმა ყველა მნიშვნელოვან საფიქრალს ქვაზე აღბეჭდავდა. მერედა რატომ? ყო-

ველი აზრი, რელიგიური თუ ფილოსოფიური, მარადისობას ესწრაფვის, მაგრამ საკმაოდ არასაიმედოა ხელნაწერს მინდობილი უკვდავება! სულ სხვაა შენობა - მკვიდრი, ხანგრძლივი, ამტანი და გამძლე წიგნი! რომ გაანადგურო დაწერილი სიტყვა, საკმარისია ცეცხლი ან თურქი; რომ დაანგრიო ქვაში ნაძერწი სიტყვა, საჭიროა სოციალური რევოლუცია, დედამიწის გადატრიალება - ბარბაროსებმა გადაუარეს კოლიზეუმს, შესაძლოა, წარღვნამაც უწია პირამიდებს... XV საუკუნეში ყველაფერი შეიცვალა. ხუროთმოძღვრება ტახტიდან ჩამოაგდეს, ორფეოსის ქვის ასოები გუტენბერგის ტყვიის ასოებმა შეცვალა.

წიგნი გაანადგურებს შენობას. წიგნის ბეჭდვა უდიდესი ისტორიული მოვლენაა, რევოლუციათა მშობელი დედაა, კაცობრიობის აზრის გამოსახვის სრულიად ახალი წესია; აზრი იხდის ძველ ფორმას და ახლით იმოსება. საბოლოოდ იცვალა კანი სიმბოლურმა გველმა, რომელიც ადამის დროიდან გონებას გამოსახავდა. ნაბეჭდმა სიტყვამ აზრი უფრო გაამარტივა, მარადიული გახადა, ფრთიანი, მოუხელთებელი, მკვიდრი და სიცოცხლისუნარიანი, მოხერხებული და ხელსაყრელი, ყველასთვის ხელმისაწვდომი; ბეჭდვის გამოგონების შემდეგ ხუროთმოძღვრება დუნდება, ჭკნება და შიშვლდება. სასიცოცხლო ძალები ელევა, ეპოქებისა და ხალხის აზრი მას გაურბის! ეს გულგრილობა თუ გაციება ხუროთმოძღვრების მიმართ XV საუკუნეში ნაკლებად იგრძნობა, რადგან ნაბეჭდი სიტყვა ჯერ კიდევ ძალიან სუსტია. XVI საუკუნიდან ხუროთმოძღვრების ავადმყოფობა უკვე ცხადი ხდება, იგი აღარაა საზოგადოების ძირითად იდეათა გამომხატველი და შესაბრალისად ეგუება კლასიკურ ხელოვნებას. სწორედ ამ დაცემა-დაქვეითებას უწოდებენ აღორძინებას, დეკადანსს რენესანსად ნათლავენ. თუმცა, ეს დაცემა ბრწყინვალე იყო! როცა ხუროთმოძღვრება აღარ წარმოადგენდა ყოვლისმომცველ,

უმაღლეს, მბრძანებელ და მტარვალ ხელოვნებას, სხვა ხელოვნებათა ძლიერ წინსწრაფვას ვეღარ აკავებდა, ყველა გათავისუფლდა და თავ- თავის მხარეს მიაშურა. ძერწვა ქანდაკებად იქცა, მოხატვა - ფერწერად, ლიტურგია - მუსიკად. აი, რამ წარმოშვა რაფაელი, მიქელანჯელო, ჟან გუჟონი, - XVI საუკუნის ბრწყინვალე მნათობები. ხელოვნებასთან ერთად ყოველმხრივ თავისუფლდება ადამიანის აზრიც. XVI საუკუნემ რელიგიის ერთიანობა დაამსხვრია. წიგნის ბეჭდვამდე რეფორმაცია მხოლოდ განხეთქილება იყო, ბეჭდვამ იგი რევოლუციად აქცია. ბედისწერისა თუ განგების გამო გუტენბერგი ლუთერის წინამორბედია. როდესაც შუა საუკუნეების მზე ჩაესვენა და გოტიკის გენია ხელოვნების ცის ტატნობიდან სამუდამოდ გაქრა, ხუროთმოძღვრებაც სულ უფრო გაუფერულდა, დაჭკნა, წაიშალა. XVI საუკუნეში მიქელანჯელომ უდავოდ იგრძნო მისი სიკვდილი, ამიტომ შეიპყრო სასოწარკვეთილების იდეამ. ხელოვნების ამ ბუმბერაზმა პართენონზე პანთეონი აღმართა და წმ. პეტრეს ტაძარი შექმნა - ხელოვნების უდიდესი ქმნილება, რომელიც ღირსია დარჩეს როგორც ერთადერთი და განუმეორებელი, ხუროთმოძღვრების უკანასკნელი ნიმუში, დიდი ხელოვანის უკანასკნელი ხელწერა. რა დაემართა ამასობაში წიგნის ბეჭდვას? მთელი სასიცოცხლო ძალა, რაც ხუროთმოძღვრებას დაუშრა, მას მიემატა. რამდენადაც ხუროთმოძღვრება იკლებს, წიგნის ბეჭდვა იმატებს, იბერება და იზრდება. ძალთა მარაგი, რასაც კაცობრიობის აზრი შენობების აგებაზე ხარჯავდა, ამიერიდან წიგნებზე იხარჯება. XVI საუკუნიდან ბეჭდვა, რომელიც დაუძლურებული ხუროთმოძღვრების დონეს უსწორდება, ებრძვის და ანადგურებს მას. XVII საუკუნეში ის უკვე საკმაოდ ფრთებგაშლილია, უფრო ფესვგადგმული და ძლიერი, რომ ქვეყანას დიადი ლიტერატურის დღესასწაული გადაუხადოს. XVIII საუკუნეში ბეჭდვამ ყველაფერი გადაყლაპა. XIX საუკუნეში მან ყვე-

ლაფრის გარდაქმნა, ხელახლა აშენება დაიწყო. და მაინც, ამ ორი ხელოვნებიდან რომელია კაცობრიობის აზრის ნამდვილი გამომხატველი? რომელი გამოხატავს მის არა მარტო ლიტერატურულ და სქოლასტიკურ გატაცებებს, არამედ მის ღრმა და საყოველთაო მოძრაობას? რომელი მისდევს ფეხდაფეხ წინმიმავალ კაცთა მოდგმას მუდმივად, უშეცდომოდ? ხუროთმოძღვრება თუ წიგნის ბეჭდვა? წიგნის ბეჭდვა.

წიგნი სწრაფად იქმნება, იაფი ღირს და ადვილად ვრცელდება! ამიტომ, რა გასაკვირია, თუ ადამიანის ყოველი აზრი მისკენ ისწრაფვის? ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხუროთმოძღვრება აღარ შექმნის ხელოვნების ობოლ მარგალიტებს. დროდადრო, წიგნის ბეჭდვის ბატონობის ხანაშიც კი, შეიძლება გადამდნარი ზარბაზნებისგან მთელი არმიის გამოყენებით აღმართონ სვეტები. შემთხვევას შეუძლია XX საუკუნეშიც წარმოშვას დიდი ხუროთმოძღვარი, როგორც XIII საუკუნეში - დანტე, მაგრამ ხუროთმოძღვრება ვეღარასოდეს იბატონებს, იგი დაემორჩილა ლიტერატურის კანონებს, რომელსაც ოდესღაც თვითონ ადგენდა. ამ ორი ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულება შეიცვალა. კაცთა მოდგმას ორი წიგნი, ორი ნუსხა, ორი ანდერძი, ორი აღთქმა გააჩნია - ქვითხუროთმოძღვრება და წიგნის ბეჭდვა - ქვის ბიბლია და ქაღალდის ბიბლია. როდესაც საუკუნეებში ფართოდ გაშლილ ამ ორ ბიბლიას აკვირდები, უნებურად დაგენანება გრანიტის ამ დამწერლობის აშკარა სიდიადე, ეს გიგანტური ანბანი, სვეტების მწკრივის, პორტალების, ობელისკების სახით გამოხატული, ადამიანის ხელით აღმართული მთები, მთელი დედამიწა რომ დაუფარავთ და წარსული შემოუნახავთ, პირამიდიდან სამრეკლომდე, ხეოფსიდან სტრასბურგის კათედრალამდე. წარსული ამ მარმარილოს ფურცლებიდან უნდა ამოიკითხო. უწყვეტად უნდა ფურცლო ხუროთმოძღვრების მიერ დაწერილი ეს წიგნი

და ეთაყვანო მას, მაგრამ არ უნდა უარყო წიგნის ბეჭდვით აღმართული შენობის სიდიადე. ეს შენობა უზარმაზარია. ვიღაც სტატისტიკოსს გამოუთვლია, თუ გუტენბერგის დროიდან გამოცემულ ყველა ტომს ერთმანეთზე დავაწყობთ, დედამიწასა და მთვარეს შორის მანძილი შეივსებაო. ეს შენობა ათასსართულიანია. შენობის ზედაპირზე ხელოვნება უხვად გვთავაზობს თავის არაბესკებს, მრგვალ სარკმლებს, მაქმანებს. აქ თითოეულ ნაწარმოებს თავისი ადგილი და თავისი შვერილი აქვს. ყველგან და ყველაფერში ჰარმონია იგრძნობა. შექსპირის კათედრალიდან ბაირონის მეჩეთამდე ათასობით სამრეკლო არეულ-დარეულად დაზვინულა მსოფლიო აზრის ამ დედაქალაქში. შენობის საფუძველში აღდგენილია კაცობრიობის რამდენიმე ძველი საბუთი, რომელიც ხუროთმოღვრებას არ აღუნუსხავს. შესასვლელის მარცხნივ დატანებულია თეთრი მარმარილოს ძველი, ანტიკური ბარელიეფი - ჰომეროსი; მარჯვნივ მრავალენოვანი ბიბლია; კიდევ უფრო მოშორებით აბურძგნულა რომანსეროს გველეშაპი, ვედები, ნიბელუნგები... თუმცა, ეს საოცარი შენობა ჯერ მაინც დაუმთავრებელია. ბეჭდვა, ეს გიგანტური მანქანა, უწყვეტად ამოტუმბავს საზოგადოების მთელ ინტელექტუალურ ძალას და თავისი წიაღიდან ამოაფრქვევს ახალ საშენ მასალას შემოქმედებისთვის. კაცთა მოდგმა მთლიანად ხარაჩოებშია. თითოეული გონება კალატოზია. თვით ყველაზე თავმდაბალიც კი თავის ღრუს ავსებს ან თავის ქვას დებს. ყოველდღე ახალი ქვით ნაშენი აღიმართება. თითოეული მწერლის ორიგინალური და ინდივიდუალური წვლილის დამოუკიდებლად, არსებობს აგრეთვე კოლექტიური წილიც - XVIII საუკუნემ მოგვცა ენციკლოპედია, რევოლუციამ - გაზეთი „მონიტორი“. ბეჭდვაც უთუოდ მზარდი და უსასრულო სპირალებით ზემოთმავალი მშენებლობაა, ენათა აღრევაა, უწყვეტი, დაუღალავი შრომაა, მთელი კაცობრიობის გაშმაგებული შეჯიბრია;

მასში გონების აღთქმული თავშესაფარია ახალი წარღვნის, ბარბაროსთა შემოსევის წინააღმდეგ. იგი კაცთა მოდგმის მეორე ბაბილონის გოდოლია.

6.1. მიუკერძოებელი აზრი ძველ მაგისტრატურაზე

ძალიან ბედნიერი კაცი გახლდათ კეთილშობილი აზნაური რობერ დ'ესტუტვილი, იგივე რაინდი დე ბეინი, ბარონი დ'ივრი და სენტ-ანდრი ლა-მარშელი, მეფის მრჩეველი, ანუ პარიზის მართლმსაჯულების მოხელეთა უფროსი. ჩვიდმეტი წელია, რაც 1465 წლის 7 ნოემბერს, იგი მეფემ პარიზის პრევოდ დანიშნა, რომელიც სამემკვიდრო საბატონოდ უფრო ითვლებოდა, ვიდრე თანამდებობად. საკვირველი რამ იყო 1482 წელს მეფის სამსახურში მუსიე რობერი, რომლის თანამდებობაზე დანიშვნის სიგელი ბურბონელ ნაბუშართან, ლუი XI-ის უკანონო ასულის ქორწინების ეპოქით თარიღდება. ეს უწყება „ებოძა დასაცავად", ღაღადებდა მეფის სიგელი; და მართლაც, მტკიცედ იცავდა მას. ჩააფრინდა, ჩაეჭიდა და იმდენად შეესისხლხორცა, რომ თავიდან აიცილა თანამდებობის პირთა გაშმაგებული ცვლა, რომლითაც შეპყრობილი იყო ლუი XI, ეჭვიანი და შარიანი მეფე, რომელიც ხშირი დანიშვნა-დათხოვნით ცდილობდა თავისი ხელისუფლების მოქნილობა შეენარჩუნებინა. ეს კიდევ არაფერი. ყოჩაღმა რაინდმა იმდენს მიაღწია, რომ მის შემდეგ ეს თანამდებოდა მის ძეს დაეკავებინა და აგერ ორი წელია, რაც კეთილშობილი აზნაურის საჭურველთმტვირთველი რაინდი, ჟაკ დ'ესტუტვილი პარიზის მართლმსაჯულების მუდმივ წევრთა სიის თავშია. იშვიათი და უმაღლესი წყალობაა! მართალია, რობერტ დ'ესტუტვილი მამაცი მებრძოლი იყო, მან ხომ საგულდაგულოდ აღმართა რაინ-

დთა დროშა „საზოგადოებრივი კეთილდღეობის ლიგის“ წინააღ-
მდეგ და დედოფალს მისი პარიზში მოსვლის დღეს ფრიად საკვირ-
ველი შაქარ-ირემი მიართვა. გარდა ამისა, მეგობრობდა მუსიე
ტრისტან განდეგილთან, მეფის სასამართლოს თავმჯდომარესთან.
ასე ტკბილად და სიამოვნებით ცხოვრობდა მუსიე რობერი. ჯერ ერ-
თი, კარგ ჯამაგირს იღებდა, ამას ემატებოდა მართლმსაჯულების
საუწყებოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამდივნოს, შატ-
ლეს ქვედა პალატაში განხილული სამოქალაქო და სისხლის სამარ-
თლის საქმეებიდან მიღებული შემოსავალი, მანტისა და კორბეი-
ლის ხიდების მცირე საგზაო ბაჟები, ყურძნიდან, შეშიდან და მარი-
ლის გაყიდვიდან მიღებული სარგო. ამას დაუმატეთ ქალაქში ცხე-
ნით სეირნობის დროს მიღებული სიამოვნება, თავმომწონედ რომ
გამოიჭიმებოდა თემის მამასახლისებისა და უბნის ზედამხედველე-
ბის მოწითალო წამოსასხამების ფონზე თავისი ლამაზი სამხედრო
სამოსით და კიდევ, განა არაფერს ნიშნავდა ის, რომ მის სრულ გამ-
გებლობაში იყვნენ ქალაქის მცველთა ათისთავები, შატლეს კარის-
მცველნი და გუშაგნი, შატლეს სასამართლოს ორი წევრი, ციხის
მსაჯულები, თექვსმეტი უბნის თექვსმეტი კომისარი, შატლეს სატუ-
საღოს ზემდეგი, ოთხი სალენო ათისთავი, ასოცი ცხენოსანი სერ-
ჟანტი, ასოცი ათისთავი, ღამის გზირთა უფროსი თავისი ხელქვეი-
თებით? განა არაფერს ნიშნავდა ის, რომ იგი განაგებდა სამარ-
თალს, წყვეტდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის დიდსა და პა-
ტარა საქმეებს, ჰქონდა სამარცხვინო ბოძზე გაკვრისა თუ ჩამოხ-
რჩობის უფლება. შეიძლება წარმოვიდგინოთ იმაზე უფრო სასია-
მოვნო რამ, როგორიცაა სამართლისა და განჩინების ქმნა, რასაც
ყოველდღე ასრულებდა მუსიე რობერ დ’ესტუტვილი გრან-შატლე-
ში? ან ის რად ღირდა, ყოველ საღამოს გალილეის ქუჩაზე, სამეფო
სასახლის გალავანში მოქცეულ თავის წარმტაც სასახლეში (რაც

ცოლის, მადამ ამბრუაზ დე ლორის მზითვი იყო) რომ ისვენებდა შრომისგან დაღლილ-დაქანცული. მუსიე რობერ დ'ესტუტვილი არა მარტო მართლმსაჯულების განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა, როგორც პრევო ან ვიკონტი, მას წილი ედო, თვალი ეჭირა და კბილს ასობდა აგრეთვე მეფის სასამართლოსაც. ნებისმიერი მაღალი თანამდებობის პირს, სანამ ჯალათთან მოხვდებოდა, მის ხელში უნდა გაევლო. განა, მეტი რაღა იყო საჭირო, რომ ადამიანს თავი ბედნიერად გრძნო?! თუმცა, მუსიე რობერ დ'ესტუტვილმა 1482 წლის 7 იანვარს ცუდ ხასიათზე გაიღვიძა. ხასიათი ასე რამ გაუფუჭა, თვითონაც ვერ გეტყოდათ. იქნებ იმიტომ, რომ მოღრუბლული ამინდი იყო? ან იქნებ იმიტომ, რომ ძველი სამხედრო ქამარი წელზე მაგრად უჭერდა? ან იქნებ იმიტომაც, რომ ფანჯრის წინ ქუჩაში ურიცხვი უქმად მოყიალე დაინახა, რომელთაც იგი არაფრად ჩააგდეს? ან იქნებ წინასწარ გრძნობდა, რომ მომავალი მეფე შარლ VIII პრევოს შემოსავალს სამასსამოცდაათი ლივრით, თექვსმეტი სუთი და რვა დინარით შეამცირებდა? იგი ცუდ გუნებაზე იყო იმიტომ, რომ უბრალოდ ცუდ გუნებაზე იყო.

თუმცა, გუშინდელი დღესასწაულის შემდეგ ყველასთვის მოსაწყენი დღე იყო, მითუმეტეს თანამდებობის პირისთვის, რომელსაც ევალებოდა, პარიზში ზეიმის შემდეგ დარჩენილი ყოველგვარი ნაგვისა და ჭუჭყის დაგვა-დასუფთავება, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. გარდა ამისა, იგი გრან შატლეში სხდომას უნდა დასწრებოდა. ზოგადად, მოსამართლენი თავიანთ უგუნებობას სასამართლოს სხდომის დღეს უკავშირებენ, ამიტომ გვერდით მუდამ ჰყავთ ვიღაც უდანაშაულო, რომელზეც ჯავრს ამოიყრიან მეფის, კანონისა და მართლმსაჯულების სახელით. მაგრამ სასამართლოს სხდომა მის გარეშე დაიწყო. ჩვეულებისამებრ, მის საქმეს აკეთებდნენ მისი მოადგილეები სამოქალაქო, სისხლისა და

კერძო სამართლის დარგში. დილის რვა საათიდან ათეულობით მოქალაქე, ქალი თუ კაცი, შატლეს სხდომათა ქვედა დარბაზის ბნელ კუთხეში, მუხის მაგარ მესერსა და კედელს შორის შეგროვილიყო და ნეტარებით თვალს ადევნებდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის სხვადასხვა მხიარულ სანახაობას. სამართალს სჯიდა, ცოტა არ იყოს, არეულ- დარეულად და ალალბედზე, მეტრ ფლორიან გარბედიენი, შატლეს უმცროსი მოსამართლე და მუსიე პრევოს მოადგილე.

პატარა, დაბალთაღიანი დარბაზის სიღრმეში სამეფო გერბიანი მაგიდა და მუხის დიდი ჩუქურთმებიანი სავარძელი იდგა, რომელზეც პრევო ჯდებოდა ხოლმე და რომელიც ამჟამად თავისუფალი იყო, მარცხნივ კი უმცროსი მოსამართლის, მეტრ ფლორიანისთვის განკუთვნილი სკამი იდგა. ცოტა ქვემოთ სასამართლოს მდივანი იჯდა და რაღაცას ჯღაბნიდა. პირდაპირ იყო ხალხი, კარისა და მაგიდის წინ კი მართლმსაჯულების უწყების უამრავი მსაჯული, რომელთაც იისფერი ქამლოთის სამოსი ეცვათ და ყელზე თეთრი ჯვრები ეკიდათ. სიღრმეში, მაგიდის უკან, დახურული კარის წინ თემთა მამასახლისების ქალაქის საბჭოს ორი სერჟანტი დარაჯად იდგა, რომლებიც ნახევრად წითელ, ნახევრად ცისფერ დალიანდაგებულ ქურთუკებში იყვნენ გამოწყობილნი. სქელ კედელში დატანებულ ერთადერთ ვიწრო, ისრულ ფანჯარაში შემოჭრილი იანვრის დღის სხივი მკრთალად ანათებდა ორ სასაცილო ფიგურას: უცნაურ ქვის ბოროტ სულს, დემონს, რომელიც თაღის შვერილზე იყო ამოკვეთილი და დარბაზის სიღრმეში სამეფოს გერბებით მორთულ მაგიდასთან მჯდომ მოსამართლეს.

წარმოიდგინეთ მოსამართლის მაგიდაზე, საჩივრის ქაღალდების ორ დასტას შორის იდაყვებზე დაყრდნობილი თეთრი კრაველის საყელოში ჩარგული წითელი ხორკლიანი სახე, რომლის ორი წვერი,

გეგონებოდათ, წარბების მაგივრობას სწევდა; მოხამხამე თვალები, დარბაისლურად დაკიდული მსუქანი ლოყები, რომლებიც ნიკაპ-ქვეშ ხელახლა უერთდებოდნენ ერთმანეთს ღაბაბის სახით და თქვენ წინაშე წარსდგება მეტრ ფლორიან ბარბედიენი, შატლეს უმ-ცროსი მოსამართლე. იგი ყრუ ბრძანდებოდა. თუმცა, უნდა ითქვას, ეს ნაკლი მოსამართლისთვის არცთუ არსებითი რამ არის; სიყრუე სულაც არ უშლიდა ხელს მეტრ ფლორიანს, უაპელაციო და ჯეროვა-ნი განაჩენი გამოეტანა. უდავოა, რომ მოსამართლისთვის საკმარი-სია თავი ისე დაიჭიროს, თითქოს უსმენს; პატივცემული მოსამარ-თლე სავსებით აკმაყოფილებდა მიუკერძოებელი მართლმსაჯულე-ბის მთავარ პირობას, რადგან შეუძლებელი იყო მას ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა. სასამართლოს დარბაზში იმყოფებოდა მი-სი ყოველი საქმისა და საქციელის ულმობელი შემმოწმებელი ჟან ფროლო-მეწისქვილე, რომელსაც ყველგან მეხვდებოდით პარიზში, ოღონდ პროფესორის კათედრის წინ - არასოდეს.

- ხედავ, - ხმადაბლა უთხრა გვერდით მჯდომ რობერ პუსპენს, რო-მელიც გამქირდავად იღრიჭებოდა, - აი, იქ, ჟანეტა დე ბიუისონს, ახალ ბაზრელ მცონარას, კოხტა გოგოა, სულსა ვფიცავ, მაგ ბებერ-მა სასჯელი დასდო! მეგონა, ეგ კაცი მხოლოდ ყრუ იყო, თვალებიც დაბრმავებია! თხუთმეტი სუ და ოთხი ბრიზული დინარი მიუსჯია, ორ კრიალოსანს რატომ ატარებო! ცოტა არ იყოს, ძვირია, Lex duri carminis[1]. - ეს ვინღაა? რობენ შიეფ დე ვილი, ჯაჭვის პერანგების ოს-ტატი. „იმისთვის, რომ ოსტატის წოდება მიწღო და ამქარში“ ჩაირიც-ხოს, - შესასვლელ ფულს იხდის. ჰეი, ეს რა ამბავია! ორი აზნაური ამ უსაქმურებში! ვფიცავ ქრისტეს სხეულს! აჰ, კამათელი უგორებიათ, უთამაშიათ. როდის ვნახავ აქ ჩვენს რექტორსაც? ასი პარიზული

[1] *მკაცრი შინაარსის კანონია (ლათ.).*

ლივრი ჯარიმა მეფის სასარგებლოდ! ეს ბარბედიენი ყრუსავით დაუზოგავად ურტყამს, - ყრუც ხომ ამიტომ არის! დაე, ჩემს ძმასავით არქიდიაკონად ვიქცე, თუ ამან თამაშში ხელი შემიშალოს; ვითამაშებ დღისით, ვითამაშებ ღამით, ვიცოცხლებ თამაშისთვის, მოვკვდები თამაშისთვის; პერანგს წავაგებ, სულს ჩავალ! ღმერთო! ეს რა გოგოები არიან! ღმერთმანი, ყველას ვიცნობ! ჯარიმა! ჯარიმა! მოიცათ, ახლა თქვენ გასწავლიან მოოქრული ქამრების ტარებას! ათი პარიზული სუ! კოპწიებო! კეკლუცებო! ოჰ, ბებერო მოსამართლის დინგო, ყრუ, ჩერჩეტო! ოჰ! ფლორიან, ტლანქო ბაიყუშო! ო, ბარბედიენ, ბრიყვო, ოტროველავ! შეხე, როგორ გამოჭიმულა მაგიდასთან! ის სანსლავს მოსარჩელეებს, მომჩივანთ, სანსლავს საქმეებს, ნთქავს, ღეჭავს, კუწავს, იტენება, ტყვრება, ივსება. ეს ჯარიმებიო, ირაოს შემოსავალიო, ხარკი და ბეგარაო, საურავები, სასამართლო ხარჯები, ქირა, ჯილდოები, ზარალი და სარგებელი, წამება, ციხე და საპატიმრო, ბორკილები ხარჯების დაფარვით - ყოველივე ეს მისთვის საშობაო თაფლის კვერებია, აგერ კიდევ ერთი სიყვარულის ასული! ტიბოლა-ტიბოდე, არც მეტი და არც ნაკლები! - ჩავარდა იმიტომ, რომ გლატინის ქუჩას გასცდა. - ეს ჯეილი ვინაა? ჟიფრუა მაბონი? ჯარისკაცი - ავად უხსენებია მამა- ღმერთი. ჯარიმა ტიბოდეს! ჯარიმა ჟიფრუას! ორივეს ჯარიმა! ბებერო ყრუჩუნა! როგორც ჩანს, ეს ორი საქმე ერთმანეთში აერია! ერთში ათს ჩამოვალ, თუ ქალს ღმერთის ავადხსენებისთვის არ გადაახდევინოს, ჯარისკაცს კი - სიყვარულისთვის! - ყურადღება, რობერ პუსპენ! ეს ვინ მოჰყავთ, შეხედე, რამდენი ათისთავია, ვფიცავ იუპიტერს! იქ მწევრების მთელი ხროვაა. ჩანს, დიდი ნადირი დაიჭირეს, ტახი. მართლაც ტახი დაუჭერიათ, რობენ, ტახი! - თანაც რა ზორბა! - ვფიცავ ჰერაკლესს! ეს ჩვენი გუშინდელი მბრძანებელია, ქილიკების პაპი, ზართამრეკავი, ჩვენი ცალთვალა, ბრუციანი, კუზიანი, ღმეჭია! ეს ხომ კვაზიმოდოა!

შეკრულ-შებოჭილ, გათოკილ-გაბაწრულ, ბორკილგაყრილ კვაზიმოდოს მთელი ბადრაგი მოსდევდა, რომელსაც პირადად მეთაურობდა ღამის მზირთა უფროსი, რომელსაც მკერდზე საფრანგეთის გერბი ჰქონდა ამოქარგული, ხოლო ზურგზე - ქალაქის გერბი. თუმცა, თვით კვაზიმოდოს საიმისო არა ეტყობოდა რა, გარდა სიმახინჯისა, რომ ეს შეიარაღებული ჯგრო გაემართლებინა. მოღუშული, მდუმარე კვაზიმოდო დამშვიდებული ჩანდა. დროდადრო ერთადერთი თვალით მრისხანე მზერას სტყორცნიდა ბორკილებს. ირგვლივ მიმოიხედა, ისე ზანტად და მთვლემარედ, რომ ქალები გასაცინებლად თითით აჩვენებდნენ ერთმანეთს. ამასობაში მეტრ ფლორიანი, უმცროსი მოსამართლე, ყურადღებით ფურცლავდა კვაზიმოდოს წინააღმდეგ აღძრული საჩივრის ქაღალდებს, რომელიც სასამართლოს მდივანმა წარუდგინა. ახალმოყვანილს ზერელედ შეავლო თვალი, მერე ჩაფიქრდა, თითქოს აზრებს თავს უყრისო. სიფრთხილის წყალობით, რასაც ის ყოველთვის იჩენდა დაკითხვისას, მან წინასწარ იცოდა ბრალდებულის სახელი, წოდება, დანაშაული, ამზადებდა მოსაზრებებს მოსალოდნელ პასუხებზე და თავს ისე მოხერხებულად აღწევდა დაკითხვის ლაბირინთებს, ადვილად ვერ მიხვდებოდით, რომ ყრუ იყო. საქმეზე დართული ქაღალდები მისთვის იგივე იყო, რაც ბრმისთვის თანმხლები ძაღლი. თუ ხანდახან შემთხვევით თავის ნაკლს გასცემდა რაიმე უაზრო მიმართვით ან კითხვით, ერთნი ამას ღრმააზროვნებად მიიჩნევდნენ, მეორენი - სისულელედ. ორივე შემთხვევაში სასამართლოს ღირსება არამც და არამც არ ილახებოდა, რადგან სჯობს მოსამართლე სულელად ან მოაზროვნედ ითვლებოდეს, ვიდრე ყრუდ. ამიტომაც გულმოდგინედ ფარავდა თავის სიყრუეს და მეტწილად ისეთი წარმატებით, რომ საკუთარ თავზეც კი მცდარი წარმოდგენა შეექმნა; თუმცა, ეს უფრო ადვილად ხდება, ვიდრე ფიქრობენ; ყველა კუზიანი თავაწეული და-

დის, ყველა ენაბლუ ბევრს ლაქლაქებს, ყველა ყრუ ხმადაბლა ლაპარაკობს. მუსიე მოსამართლეს კი საკუთარი თავი ცოტა ყურმძიმედ მიაჩნდა. სიყრუე ერთადერთი რამ იყო, რასაც საზოგადოებრივ აზრს უთმობდა და ისიც მხოლოდ გულახდილობისა და კეთილსინდისიერების გამონათების წუთებში. კვაზიმოდოს საქმე რომ განეხილა, თავი უკან გადასწია, თვალები ნახევრად დახუჭა, რათა უფრო მეტად შეუვალი სახე მიეღო; ამგვარად, ახლა ყრუც იყო და ბრმაც. ის სრულიად აკმაყოფილებდა იმ ორ პირობას, ურომლისოდაც არ არსებობს სრულყოფილი მოსამართლე და დაკითხვა დაიწყო:

- თქვენი სახელი?

მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, რომელიც „კანონით არ იყო გათვალისწინებული," - ყრუს ყრუ უნდა დაეკითხა.

კვაზიმოდო არავის გაუფრთხილებია, რომ ეს კითხვა მისი მისამართით იყო ნათქვამი, გაშტერებული მოსამართლეს მისჩერებოდა და დუმდა; მას პასუხი არ გაუცია. ყრუ მოსამართლეც არავის გაუფრთხილებია ბრალდებულის სიყრუის თაობაზე და იფიქრა, ალბათ მიპასუხა და მისთვის ჩვეული სულელური დამაჯერებლობით განაგრძო.

- კეთილი. თქვენი წლოვანება?

კვაზიმოდომ არც ამ კითხვას უპასუხა. მოსამართლეს ეგონა, უკვე მიპასუხაო და განაგრძო. - თქვენი წოდება?

ისევ და ისევ დუმილი. ამასობაში მაყურებელი აჩურჩულდა, ერთმანეთს გადახედ- გადმოხედა.

- კმარა, - ჩაილაპარაკა სამართლის აუღელვებელმა მსაჯულმა, როცა ჩათვალა, ბრალდებულმა მესამე კითხვაზეც მიპასუხაო. - თქვენ ბრალად გედებათ ღამის სიმყუდროვის დარღვევა; ძალადობა და უხამსი მოქმედება მსუბუქი ყოფაქცევის ქალის მიმართ; ჩვენი მბრძანებლის, მეფის რაზმის ჯარისკაცების წინაშე ამბოხი. მიეცით

სასამართლოს ახსნა-განმარტება ყველაფერ ამაზე, - სასამართლოს მდივანო, ჩაწერეთ ბრალდებულის ყველა პასუხი?

ამ ავბედით კითხვაზე მთელმა დარბაზმა - დაწყებული მდივნითა და დამთავრებული მსმენელებით, ისეთი საყოველთაო ხარხარი ატეხა, რომ ძალაუნებურად ორივე ყრუმ შენიშნა. კვაზიმოდო მობრუნდა და ზიზღით ასწია თავისი კუზი; მასავით გაკვირვებულმა მეტრ ფლორიანმა იფიქრა, მაყურებელთა სიცილი უთუოდ ბრალდებულის რაღაც უკადრისმა შეპასუხებამ გამოიწვიაო; ამის ნათელ დასტურად კუზიანის მხრების აჩეჩვა მიიჩნია და აღშფოთებით მიმართა: - ეს სულ შენი ბრალია, არამზადავ! ასეთი პასუხი სახრჩობელის ღირსია! იცით, ვის ელაპარაკებით?

ასეთმა თავდასხმამ საერთო მხიარულების ტალღა ვერ შეაჩერა. იგი იმდენად უცნაური, შეუსაბამო და სულელური ეჩვენა ყველას, რომ გიჟურად ახარხარდნენ თემთა მამასახლისების საქალაქო საბჭოს უგუნური ჯიშის ათისთავებიც. მხოლოდ კვაზიმოდო ინარჩუნებდა სერიოზულობას იმ უბრალო მიზეზით, რომ ვერაფერს ხვდებოდა. მოსამართლე კი სულ უფრო ბრაზობდა, გულფიცხობდა. გადაწყვიტა იმავე კილოთი განეგრძო, იმ იმედით, რომ ბრალდებულს დააშინებდა, ამით მსმენელებზე ზეგავლენას მოახდენდა და სასამართლოსადმი პატივისცემასაც აღადგენდა! - რა სათქმელია, შე უხამსო, გარყვნილო და მტაცებელო ურჩხულო, როგორ ბედავ აბუჩად აიგდო შატლეს მოსამართლე, თანამდებობის პირი, ვისაც მინდობილი აქვს სამოქალაქო წესრიგის დამყარება პარიზში, დავალებული აქვს გამოიძიოს დანაშაულებანი, კანონის დარღვევანი და ცუდი საქციელი, შეამოწმოს ყველა სარეწაო და აკრძალოს მონოპოლია, წესიერად შეინახოს ქვაფენილი, აღკვეთოს შინაური ფრინველით, ზღვის, ტბისა და ჭაობის ფრინველით მეწვრილმანეობა, თვალი ადევნოს შეშისა და ხე-ტყის მასალის სწორ მიზომვას, გაწმინდოს

ქალაქი სიბინძურისგან, ხოლო ჰაერი - გადამდებ სნეულებათაგან, ერთი სიტყვით, მუდმივად იღვწოდეს საზოგადო სარბიელზე და ყოველივე ეს არავითარი გასამრჯელოს იმედით! იცით თუ არა თქვენ, რომ მე, ფლორიან ბარბედიენი გახლავართ მუსიე პრევოს მოადგილე, კომისარი, გამომძიებელი, კონტროლიორი საოლქო სასამართლოში, ზედამხედველობის საქმეებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოებში!.. არ არსებობდა ისეთი მიზეზი ან საბუთი, რომელიც მეორე ყრუსთან მოლაპარაკე პირველ ყრუს შეაჩერებდა. ღმერთმა უწყის, სად და როდის ჩამოვიდოდა მიწაზე მეტრ ფლორიანი, რომელმაც მძლავრად მოუსვა მაღალფარდოვანი მჭევრმეტყველების ნიჩბებს, დარბაზის სიღრმეში დაბალი კარი ანაზდად რომ არ გაღებულიყო და თვით მუსიე პრევო არ შემოსულიყო. მეტრ ფლორიანს ენა არ დაბმია, მაგრამ ქუსლებზე ნახევრად შებრუნდა და თავისი საზეიმო სიტყვა, რომელიც ერთი წუთის წინ კვაზიმოდოს მეხივით დაატეხა თავს, წამსვე პრევოსკენ მიმართა: - მონსენიორ! - თქვა მან. - მოვითხოვ ისეთ სასჯელს, როგორსაც თქვენ ინებებთ, ამ ბრალდებულის წინააღმდეგ მის მიერ ჩადენილი მძიმე და საოცარი დანაშაულის გამო. - და აქოშინებული ისევ დაჯდა, ოფლი მოიწმინდა, რომელიც შუბლიდან წურწურით სდიოდა და მის წინ გაშლილ ეტრატებს ასველებდა. მუსიე რობერ დ'ესტუტვილმა წარბი შეიკრა, ისეთი მედიდური და დიდმნიშვნელოვანი ნიშანი მისცა კვაზიმოდოს ყურადღების მისაპყრობად, რომ ყრუ რაღაცას მიხვდა. პრევომ მკაცრი სიტყვით მიმართა მას:

- რა ჩაიდინე, გაიძვერავ, აქ რისთვის მოგიყვანეს?

საწყალს ეგონა, პრევო სახელს მეკითხებაო, ჩვეულებრივი დუმილი დაარღვია და ხრინწიანი, ხორხისმიერი ხმით უპასუხა: - კვაზიმოდო.

პასუხი იმდენად არ შეესაბამებოდა კითხვას, რომ ირგვლივ კვლავ გიჟური ხარხარი ატყდა; რისხვისგან გაწითლებულმა მუსიე რობერმა კი იყვირა: - შენ რაო, მეც დამცინი, პირწავარდნილო არამზადავ?

- ღვთისმშობლის ტაძრის ზართამრეკავი, - უპასუხა კვაზიმოდომ, რადგან იფიქრა, უთუოდ საჭიროა, მოსამართლეს ჩემი ვინაობა მოვახსენოო.

- ზართამრეკავი! - განაგრძო პრევომ, რომელმაც დილას საკმაოდ ცუდ გუნებაზე გაიღვიძა და ამგვარ უცნაურ პასუხებზე განრისხება არ გაუჭირდებოდა. - ზართამრეკავიო! გაჩვენებ ზურგზე წკეპლეებით ზარების გუგუნს პარიზის ყოველ გზაჯვარედინზე, გესმის, გაიძვერავ? - თუ თქვენ გნებავთ ჩემი წლოვანება გაიგოთ, - თქვა კვაზიმოდომ, - მგონი, წმინდა მარტინობას ოცი წლისა გავხდები.

ეს უკვე მეტისმეტი იყო, ამჯერად პრევომ თავი ვეღარ შეიკავა. - ააჰ! შენ პრევოსაც აბუჩად იგდებ, უბადრუკო! სერჟანტებო - კვერთხოსანნო, მიიყვანეთ ეს არამზადა სამარცხვინო ბოძთან გრევის მოედანზე, გაწკეპლეთ და ბორბალზე ერთ საათს ატრიალეთ. ღმერთსა ვფიცავ, ძვირად დავუსვამ! მე მოვითხოვ, ეს მსჯავრი ოთხმა მაცნემ პარიზის სავიკონტოს შვიდივე ოლქს აუწყოს.

სასამართლოს მდივანი წამსვე შეუდგა განაჩენის შედგენას.

- ვფიცავ უფლის ღიპს! სწორი გასამართლებაც ამას ჰქვია! - იყვირა ჟან ფროლო-მეწისქვილემ. პრევო შემობრუნდა და კვლავ კვაზიმოდოს დააშტერდა ელვარე თვალებით. - მგონი, ამ არამზადამ ახსენა ღიპი უფლისა! მდივანო, დაუმატეთ თორმეტი პარიზული დინარი ჯარიმა ღვთისგმობისთვის; დაე, ჯარიმის ნახევარი შეეწიროს წმ. ესტატეს ეკლესიას. განაჩენი რამდენიმე წუთში შედგა. შინაარსი მოკლე და მარტივი იყო, რადგან მართლმსაჯულების საუწყებოს და პარიზის სავიკონტოს ძველი, ჩვეულებრივი სამართალი ჯერ კიდევ

არ გადაემუშავებინათ სასამართლოს თავმჯდომარეს, ტიბო ბაიესა და სამეფო ვექილს, როჟე ბარნს. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო ჩახერგილი შარიანი ხრიკებისა და სამართალწარმოების მაღალი ხეტყით, რომელიც ამ ორმა იურისკონსულტმა დანერგა XVI საუკუნის დამდეგს. იქ ყველაფერი ნათელი, მომარჯვებული და ზუსტად აღსასრულებელი იყო. მიზნისკენ პირდაპირ მიდიოდნენ და ყოველი მიუკიბ-მოკიბავი, უჯაგნარო ბილიკის ბოლოს მაშინვე ამჩნევდნენ ურმის თვალზე გაკვრას, სახრჩობელას ან სამარცხვინო ბოძს. ყოველ შემთხვევაში, თითოეულმა ის მაინც იცოდა, საით მიდიოდა, რა ელოდა.

სასამართლოს მდივანმა განაჩენი პრევოს წარუდგინა. პრევომ ბეჭედი დაუსვა, დარბაზიდან გავიდა, რათა სასამართლო სხდომების შემოვლა განეგრძო, ისეთ გუნებაზე ბრძანდებოდა, იმ დღეს პარიზის ყველა საპატიმრო გაივსებოდა. ჟან ფროლო და რობერ პუსპენი ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ. კვაზიმოდო ყოველივე ამას გულგრილად და გაკვირვებით უყურებდა. ის-ის იყო მეტრ ფლორიან ბარბედიენი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ხელმოწერას აპირებდა, საბრალო მსჯავრდებულისადმი თანაგრძობით გულაჩუყებული მდივანი მასთან მივიდა, იმ იმედით, იქნებ, სასჯელის რაიმე შემსუბუქებას მივაღწიოო და შიგ ყურში ჩასძახა, თან კვაზიმოდოზე უთითებდა:

- ეს კაცი ყრუა.

მას იმედი ჰქონდა, რომ ერთნაირი ფიზიკური ნაკლი მეტრ ფლორიანს მსჯავრდებულის მიმართ თანაგრძნობას გაუღვიძებდა. მაგრამ მან ერთი სიტყვაც ვერ გაიგო, თუმცა უნდოდა ეჩვენებინა, ყველაფერი გავიგეო და უპასუხა:

- აჰ! ეს სხვა საქმეა; ეს არ ვიცოდი. ამ შემთხვევაში დაუმატეთ კიდევ ერთი საათი სამარცხვინო ბოძი! - და შეცვლილ განაჩენს ხელი მოაწერა.

6.2. ვირთხის სორო

დილის ათი საათია. გრევის მოედანზე ყველაფერი გუშინდელ დღესასწაულს მოგაგონებთ, ყველგან წინა დღის ზეიმის კვალი იგრძნობა - ქვაფენილი დაფარულია ნამსხვრევებით, ბაფთებით, ძონძებით, ნაფხრეწებით, დაღვენთილი ცვილის წვეთებით, სახალხო ღრეობის ნამცეცებით. აქა-იქ უსაქმურთა მრავალრიცხოვანი გუნდი ფეხით ქექავს სადღესასწაულო კოცონთა ჩამქრალ მუგუზლებს, დუქნებთან მდგომი ვაჭრები ბაასობენ და ერთმანეთს ეხმიანებიან. ყველას პირზე აკერია დღესასწაული, ელჩები, კოპენოლი, ქილიკების პაპი. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან, გულიანად იცინიან.

ამასობაში ოთხმა ცხენოსანმა სერჟანტმა, რომლებიც სამარცხვინო ბოძს ოთხივე მხრიდან მოსდგომოდნენ, ხალხის ყურადღება მიიპყრო და მოედანზე გაფანტულები ირგვლივ შემოიკრიბეს. ხალხმა გადაწყვიტა უძრავად მდგარიყო იმ იმედით, რომ მცირე სასჯელის აღსრულებას მაინც იხილავდა.

თუ მოედნის ნებისმიერი ადგილიდან მზერას გადაიტანთ ნახევრად გოტიკურ, ნახევრად რომანულ როლანდის კოშკზე, რომელიც დასავლეთ სანაპიროსთან კუთხეს ქმნის, წინხედის კუნჭულში მდიდრულად გაფორმებულ სქელ საჯარო ლოცვანს შეამჩნევთ, რომელსაც წვიმისგან პატარა საჩიხე იცავს, ხოლო ქურდებისგან - რკინის ბადე, თუმცა მისი გადაფურცვლა მაინც შეიძლებოდა. ლოცვანის გვერდით ორი რკინის ძელაკით გადაჯვარედინებული ვიწრო ისრული სარკმელი ერთადერთი ხვრელია, საიდანაც უკარო სენაკ-

ში ცოტა ჰაერი და დღის სინათლე აღწევს; სენაკი გამოჭრილია ძველი სახლის სქელ კედელში, ქუჩის პირას, ქვედა სართულზე და იქ მუდამ პირქუში სიწყნარე მეფობს. ირგვლივ კი ფუთფუთებს, დუღს და გუგუნებს პარიზის ყველაზე ხალხმრავალი და ხმაურიანი მოედანი.

ამ სენაკმა დაახლოებით სამი საუკუნის წინ გაითქვა სახელი. როლანდის ციხის მფლობელმა, მადმუაზელ როლანდიმ ჯვაროსანთა ლაშქრობაში დაღუპული მამის გლოვის ნიშნად იგი საკუთარი სახლის კედელში გამოაჭრევინა და სამუდამოდ შიგ ჩაიკეტა. სასახლიდან ამ სენაკის გარდა არაფერი დაუტოვებია, ყველაფერი ღარიბებსა და ღმერთს შესწირა. დამწუხრებული ქალწული ოც წელიწადს ელოდა სიკვდილს და დღედაღამ მამის სულს ავედრებდა უფალს, ნაცარში იძინებდა, ტანთ შავი ძაძა ემოსა; იგი გულმოწყალე გამვლელთა მიერ სარკმლის ქიმზე დატოვებული პურითა და წყლით არსებობდა; ამგვარად იღებდა იგი სანაცვლო მოწყალებას, რაც ადრე თვითონ გასცა. სიკვდილის ჟამს, მარადიულ საძვალეში გადასვლისას, ამქვეყნიური აკლდამა სამუდამოდ უანდერძა დამწუხრებულ, მგლოვიარე ქალებს, დედებს, ქვრივებს თუ ქალიშვილებს, რომლებიც დიდი მწუხარებისა თუ მონანიებისთვის ცოცხლად დამარხვას მოისურვებდნენ. ღარიბმა მოსახლეობამ იგი ცრემლითა და ლოცვა-კურთხევით დაკრძალა. მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ღვთისმოსავი ქალწული წმინდანად არ შერაცხეს, რადგან სათანადო მფარველობა აკლდა. ცოტა ურწმუნონი კი იმედოვნებდნენ, რომ ეს საქმე სამოთხეში უფრო ადვილად მოგვარდებოდა, ვიდრე რომში. მორწმუნეთა უმეტესობა მადმუაზელ როლანდის წმინდანად მოხსენიებას სჯერდებოდა და მის ძონძებს წმინდა ნაწილებივით ინახავდა. ქალაქმა კი, თავის მხრივ, მის პატივსაცემად, საკნის სარკმელთან საჯარო სალოცავი გამართა; ლოცვა კი ქველმოქმედების

სურვილს აღუძრავდათ და საბრალო დაყუდებულნი როლანდის აკლდამის მემკვიდრენი, მივიწყებულ-მიტოვებულნი, შიმშილით აღარ მოკვდებოდნენ. ამგვარი აკლდამები შუა საუკუნეების ქალაქებში სულაც არ იყო იშვიათი. ხშირად ხალხმრავალ ქუჩაში, ყველაზე ჭრელ-ჭრელ და ხმაურიან ბაზარში, პირდაპირ ცხენთა ფლოქვებსა და ფორანთა თვლებქვეშ შეხვდებოდით სარდაფს, ჭას, კედელში დატანებულ და რკინისბადიანი საკნისმაგვარ რაიმეს, რომლის სიღრმეში დღე-ღამე ლოცვას, სამარადისო გოდებასა და მონანიებას აღავლენდა ნებაყოფლობით თავშეწირული ადამიანი. ეს იყო საშინელი სენაკი, რაღაც შუამდებარე რგოლი სახლსა და სამარეს შორის, სასაფლაოსა და ქალაქს შორის, მასში საზოგადოებას მოწყვეტილი, ცოცხლად დამარხული არსების ტანჯული სულის ძახილი ვერ აღწევდა ბრბოს გონებამდე. იმდროინდელი ნაკლებ განმსჯელი და ნაკლებ ფაქიზი ღვთისმოსაობა რელიგიურ გმირობას მარტივად ყურებდა. პატივს მიაგებდნენ, ადიდებდნენ, აკურთხებდნენ, თუ გაჭირდებოდა, თაყვანსაც სცემდნენ, მაგრამ ღრმად ვერ აცნობიერებდნენ განდეგილის ტანჯვას და ნაკლებ თანაუგრძნობდნენ. დროდადრო საბრალო მომნანიებელთან საკვები მიჰქონდათ, სოროში შეიხედავდნენ, ცოცხალი თუ არისო; არც მისი სახელი იცოდნენ და არც ის ახსოვდათ, როდიდან დაიწყო დაყუდებულმა ნებაყოფლობითი კვდომა; თუ უცხოელი სარდაფში ცოცხლად დამბალი ჩონჩხის ამბავს იკითხავდა, უბრალოდ პასუხობდნენ, ის განდეგილიაო. მაშინ ყველაფერს ამგვარად უყურებდნენ, უმეტაფიზიკოდ, გადაუჭარბებლად, გამადიდებელი შუშის გარეშე, შეუიარაღებული თვალით. მიკროსკოპი ჯერ კიდევ არ არსებობდა, არც ნივთიერი საგნებისთვის და არც სულიერი მოვალეობისთვის. ნებაყოფლობითი განდეგილობის ფაქტები პარიზელებს არ აკვირვებდათ. ქალაქში ამგვარი სენაკები მრავლად იყო და თუ შიგ მომნანიებელი გამოილეოდა,

სამღვდელოება იქ კეთროვანს მაინც ჩასვამდა, აქაოდა, ჯერ არ გამოლეულა გულმხურველე მორწმუნენიო.

რაც შეეხება როლანდის კოშკის სენაკს, მას ბინადარი არასოდეს აკლდა. როლანდის სიკვდილის შემდეგ იგი იშვიათად თუ იყო თავისუფალი. მრავალი ქალი მოსულა აქ და სიკვდილამდე დაყუდებულა, ვინ მშობელთა, ვინ მიჯნურთა და ვინ ცოდვათა დასატირებლად. იმ ეპოქის ჩვეულების თანახმად, კედელზე ლათინური წარწერა განათლებულ გამვლელს სენაკის დანიშნულების შესახებ აუწყებდა: TU, ORA[1]!

ხალხმა, რომელიც საგანში ღრმად ჩახედვას ვერ ახერხებს, ამ შავ, პირქუშ და ნესტიან ჯურღმულს Trou aux Rats[2] დაარქვა, რაც, ალბათ, ნაკლებ ამაღელვებლად, მაგრამ, სამაგიეროდ, ხატოვნად ჟღერს.

6.3. სიმინდის კვერის ამბავი

იმ დროს, როცა ეს ამბავი ხდებოდა, როლანდის სენაკი დაკავებული იყო. თუ გინდათ გაიგოთ, ვისგან, მაშინ ყური მიუგდეთ სამ პატიოსან ჭორიკანას, რომლებიც შატლედან გრევის მოედნისკენ მიმავალ სანაპიროს მიუყვებოდნენ.

ორ მათგანს პატიოსანი პარიზელი მოქალაქეების შესაფერისად ეცვა. ნაზი და მოხდენილი თეთრი ყელსახვევები, მაუდის ლურჯ-წითელზოლებიანი კაბები, ფეხებზე კოხტად მორგებული წინდები, წითური ტყავის ოთხკუთხა შავლანჩიანი ფეხსაცმელი, ზიზილ-პიპილებით მორთული, ბაფთებითა და მაქმანებით უხვად დახუნძლული თავსაბურავი მოწმობდა, რომ მდიდარ ვაჭართა კლასს ეკუთვნოდ-

---

[1] *შენ ილოცე! (ფრანგ.).*

[2] *Trou aux Rats („თაგვის სორო“) ისევე ჟღერს, როგორც ლათინური TU, ORA!*

ნენ და საშუალო ადგილი ეჭირათ იმათ შორის, ვისაც ლაქიები უბრალოდ „ქალსა“ და „ქალბატონს“ ეძახიან. მათ არ ეკეთათ არც ბეჭდები, არც ოქროს ჯვრები, მაგრამ ადვილად მიხვდებოდით, რომ ამის მიზეზი არა სიღარიბე, არამედ ჯარიმის შიში იყო. მათი თანამგზავრის ჩაცმულობასა და ქცევაში იგრძნობოდა, რომ პროვინციელი ნოტარიუსის ცოლი გახლდათ და პარიზშიც დიდი ხნის ჩამოსული არ იყო - სარტყელი თეძოებს მაღლა ჰქონდა შემოჭერილი. ამას დაუმატეთ ნაკეცებიანი ყელსახვევი, ნასკვიანი ბაფთები ფეხსაცმელზე, განივი ზოლები კაბის ქვედა ტანზე და სხვა შეუსაბამობანი, რაც კარგ გემოვნებას ნამდვილად ეწინააღმდეგებოდა. პირველი ორი პარიზელი ქალებისთვის დამახასიათებელი ნაბიჯით მიდიოდა. პროვინციელს ხელი მოეკიდა მკვრივი ბიჭისთვის, რომელსაც მოზრდილი სიმინდის კვერი ეჭირა და, ჩვენდა სამწუხაროდ, სუსხიანი ამინდი აიძულებდა ცხირსახოცის ნაცვლად ენა გამოეყენებინა. ბიჭი კვერს უფრო უყურებდა, ვიდრე ქვაფენილს და წამდაუწუმ ბორძიკობდა, რაც დედის ხმამაღალ შეძახილს იწვევდა.

სამი „დამუაზელი“ ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდა (,,მადამს“ მაშინ მხოლოდ წარჩინებულ ქალს უწოდებდნენ).

- ფეხი ავაჩქაროთ, დამუაზელ მაიეტა, - უთხრა პროვინციელს ყველაზე ახალგაზრდამ და სქელმა.

- ძალიან მეშინია, მეტისმეტად არ დავიგვიანოთ. შატლეში გვითხრეს, სამარცხვინო ბოძთან ახლავე წაიყვანენო.

- ნეტაი თქვენ! რას ლაპარაკობთ, დამუაზელ უდარდა მიუნიე? - შეეპასუხა მეორე პარიზელი, - ორ საათს ეყოლებათ სამარცხვინო ბოძზე. დრო გვაქვს. ოდესმე გინახავთ სამარცხვინო ბოძზე გაკვრა? - დიახ, მინახავს რეიმსში, - უთხრა პროვინციელმა.

- ოჰო! წარმოდგენილი მაქვს, რა იქნება თქვენი სამარცხვინო ბოძი რეიმსში. ერთი უბადრუკი გალია, სადაც მხოლოდ გლეხუჭებს ატრიალებენ. დიდი საქმეა!

- მხოლოდ გლეხუჭებსო! - შესძახა მაიეტამ, - და ისიც მაუდის ბაზარზე! რეიმსში! იქ შეგიძლიათ მართლაც ნამდვილი დამნაშავეები ნახოთ, ისეთებიც კი, დედ-მამა რომ მოუკლავთ! გლეხუჭებიო! ვინ გგონივართ, ჟერვეზა?

უეჭველია, პროვინციელი მზად იყო გაცხარებულიყო, თავიანთი სამარცხვინო ბოძის ღირსების დასაცავად, მაგრამ მოკრძალებულმა უდარდა მიუნიემ საუბარი დროზე შეაბრუნა. - ჰო, მართლა, დამუაზელ მაიეტა, რას იტყვით ფლამანდიელ ელჩებზე? გინახავთ ასეთი მშვენიერი რამ რეიმსში?

- უნდა გამოგიტყდეთ, - უპასუხა მაიეტამ, - რომ ამისთანა რამის ნახვა მხოლოდ პარიზში შეიძლება.

- თუ დაინახეთ ის დიდი ელჩი, საკუთარ თავს მეწინდეს რომ უწოდებდა? - ჰკითხა უდარდამ. - დიახ, - თქვა მაიეტამ, - სატურნის იერი აქვს.

- ის სქელო, სახე გატიტვლებულ ღიპს რომ მიუგავდა? - განაგრძო ჟერვეზამ. - ანდა ის ჩია კაცი, წითელი ქუთუთოები, პაწია თვალები, გაპუტული და დაკბილულ-დაკუწული წარბ-წამწამები რომ ჰქონდა?

- ყველაზე ლამაზი სანახავი მაინც ცხენები იყვნენ, მათი ქვეყნის წესზე მორთულ- მოკაზმულნი, - თქვა უდარდამ.

- აჰ, ჩემო ძვირფასო! - გააწყვეტინა მაიეტამ, რომელმაც ამჯერად თავისი უპირატესობა იგრძნო და გაიბღინძა, - მაშინ რას იტყოდით, 61 წელს, თვრამეტი წლის წინ, მეფედ კურთხევის დროს რეიმსში უფლისწულთა და მეფის თანამგზავრთა ცხენები რომ გენახათ! ყველანაირი მოსართავები ამშვენებდათ; ზოგი - დამასკოს მაუდისა იყო, ზოგი - ნაზი ოქროს ფარჩისა, კვერნისა და სიასამურის ბეწვმო-

კერებული, ზოგი - ხავერდისა, ყარყუმქობაშემოვლებული, ზოგიც - ოქრო-ვერცხლის ფუნჯებით დამძიმებული. ვინ იცის, ყოველივე ეს რა ღირდა! და მერე რანი იყვნენ მათზე ამხედრებული ლამაზ-ლამაზი ყმაწვილკაცები!

- შეიძლება, მაგრამ ფლამანდიელებს მაინც უმშვენიერესი ცხენები ჰყავთ, - ცივად შეეპასუხა დამუაზელ უდარდა. - გუშინ მათ პატივსაცემად მუსიე ვაჭართუხუცესმა დიდებული ვახშამი გამართა რატუშაში, სადაც ტკბილეულობა, დარიჩინიანი ნაზავი ღვინოები თუ სხვა იშვიათი და არაჩვეულებრივი კერძები მიართვეს.

- რას ბრძანებთ, ჩემო მეზობელო? - შესძახა ჟერვეზამ, - ეს ის მუსიე კარდინალი გახლდათ, ფლამანდიელებს ვახშამი რომ გაუმართა ბურბონის მცირე სასახლეში! - არა, რატუშაში!

- არა-მეთქი, - პირიქით! ბურბონის მცირე სასახლეში!

- რატუშაში-მეთქი, - გაბოროტებით უპასუხა უდარდამ, - ჯერ ექიმმა სკურაბლმა მიმართა მათ საზეიმო სიტყვით ლათინურად, რითაც ისინი ძალიან კმაყოფილი დარჩნენ. ეს ჩემმა ქმარმა მითხრა, ის ხომ ნაფიცი წიგნით მოვაჭრეა. - არა, ნამდვილად ბურბონის მცირე სასახლეში, - არანაკლები გაცხარებით განაგრძო ჟერვეზამ, - ჯერ კიდევ მუსიე კარდინალის მთავარმა მეურვემ მიართვა: თორმეტი ორჩარექიანი დარიჩინზე დაყენებული თეთრი, ვარდისფერი და წითელი ღვინო, ლიონური ორმაგი მოოქრული ოცდაოთხი ზანდუკი, ამდენივე კელაპტარი თითო-ორი გირვანქა და ექვსი ნახევარკასრიანი ბონის თეთრი და წითელი საუკეთესო ღვინო. ეს ვიცი ჩემი ქმრისაგან, რომელიც სათემო უხუცესთა საქალაქო საბჭოში ორმოცდაათი კაცის უფროსია. მან ამ დილას ფლამანდიელი ელჩები ტრაპიზონელი იმპერატორის ელჩებს შეადარა, რომლებიც მესოპოტამიიდან პარიზში ჯერ კიდევ უკანასკნელი მეფის დროს ჩამოვიდნენ.

- მაგრამ მათ ნამდვილად რატუშაში ივახშმეს, - შენიშნა უდარდამ და ჟერვეზას ტრაბახს ოდნავაც არ აუღელვებია.

- იმდენი შემწვარი და მოხრაკული, არნახული ტკბილეულობა მიართვეს. - მე კი გეუბნებით, რომ ბურბონის მცირე სასახლეში მათ ემსახურებოდა ლესეკი, ქალაქის გუშაგთა სერჟანტი.

- არა, რატუშაში-მეთქი!

- ბურბონის მცირე სასახლეში, ჩემო ძვირფასო!

- ისიც კი ვიცი, მთავარ კარზე წარწერილი სიტყვა - „იმედი“ როგორ იყო განათებული. - რატუშაში! რატუშაში! და თვით ჰიუსონ-ლევუარი უკრავდა იქ ფლეიტას. - მე გეუბნებით, არა!

- მე კი გეუბნებით, ჰო!

- მე გეუბნებით, არა!

გულუბრყვილო სქელმა უდარდამ შეპასუხება დააპირა, მათი კინკლაობა შეიძლება ჩხუბშიც გადაზრდილიყო, რომ არა მაიეტა, რომელმაც სწორედ ამ დროს შესძახა: - ერთი შეხედეთ, რამდენი ხალხი შეგროვილა იქ, ხიდის ბოლოს! შუაში რაღაცას უყურებენ. - მართლაც, - თქვა ჟერვეზამ, - დაირის ხმა მესმის. მე მგონი, პატარა ესმერალდა თავისი თხით რაღაცას ოინბაზობს. აჩქარდით, მაიეტა! ნაბიჯს უმატეთ და ბიჭიც გამოიყოლეთ. თქვენ ხომ პარიზის საკვირველებანის სანახავად ჩამოხვედით. გუშინ ფლამანდიელები ნახეთ, დღეს ბოშა ქალს გაჩვენებთ. - ბოშა ქალი! - თქვა მაიეტამ და უცბად შემოტრიალდა, ვაჟიშვილს მაგრად ჩასჭიდა ხელი. - ღმერთო, შენ დამიფარე! ის ხომ ბავშვს მომტაცებს! წავიდეთ, ესტაშ! მაიეტა გრევის მოედნისკენ გაიქცა და ხიდი კარგა შორს მოიტოვა. ბავშვი, რომელსაც მიათრევდა, მუხლებზე დაეცა; აქოშინებული ქალი შეჩერდა. უდარდა და ჟერვეზა წამოეწივნენ. - ბოშა ქალი ბავშვს მოგტაცებთ?! - თქვა ჟერვეზამ. - რა უცნაური ფანტაზიაა. ჩაფიქრებულმა მაიეტამ თავი დაუქნია.

- მართლაც უცნაურია, - შენიშნა უდარდამ, - ძაძიანიც ხომ იმავე აზრისაა ბოშა ქალებზე. - ვინ არის ეგ ძაძიანი? - იკითხა მაიეტამ.

- ეს და გუდულაა, - თქვა უდარდამ.

- ვინ არის და გუდულა?

- მართლაც გეტყობათ რეიმსელი რომ ხართ, რაკი ეს ამბავი არ იცით! - უპასუხა უდარდამ, - „ვირთხის სოროს“ პატიმარია.

- როგორ! - იკითხა მაიეტამ, - ეგ ის საბრალო დედაკაცია, ვისთანაც ეს კვერი მიგვაქვს? უდარდამ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

- სწორედ ის გახლავთ. იმ სარკმლიდან დაინახავთ, გრევის მოედანზე რომ გამოდის. მასაც იგივე აზრი აქვს ბოშებზე, ხალხს რომ დაირის დაკვრითა და მკითხაობით ართობენ. არავინ იცის, საიდან გაუჩნდა ბოშათა მიმართ ასეთი შიში და ზიზღი, მაგრამ თქვენ, მაიეტა, მათი რატომ გეშინიათ? - ოო! - თქვა მაიეტამ და ორივე ხელი შემოხვია ბავშვს, - არ მინდა, მეც ის დამემართოს, რაც პაკეტა შანტფლერის დაატყდა თავს.

- ეს ისტორია უნდა გვიამბოთ, ჩემო კარგო მაიეტა, - უთხრა ჟერვეზამ და მკლავზე ხელი მოჰკიდა.

- სიამოვნებით, - უპასუხა მაიეტამ, - გეტყობათ, პარიზელები ხართ, რაკი ეს ამბავი არ იცით! გიამბობთ! მაგრამ რატომ გავჩერდით?.. საჭირო არ არის გაჩერება. ვიაროთ. ჰოდა, პაკეტა შანტფლერი თვრამეტი წლის ლამაზი ქალიშვილი იყო მაშინ, მეც ამდენივე წლის ვიყავი, მას აქეთ თვრამეტი წელი გავიდა. მისი ბრალია, რომ ვერ გათხოვდა - თოთხმეტი წლისას უკვე აღარ შეეძლო ეფიქრა ქმარზე! ის გიბერტოს, მოხეტიალე მომღერლის ქალიშვილი იყო, რეიმსის სამდინარო გემებს რომ დაჰყვებოდა. სწორედ იმ კაცისა, მეფე შარლ VII-ს რომ ართობდა გვირგვინის კურთხევის დროს. მამა რომ მოუკვდა, პაკეტა ჯერ კიდევ ბავშვი იყო. დარჩა დედა, პრადონის, პარიზელი ქვაბების ოსტატის და, რომელიც შარშან

გარდაიცვალა. ხედავთ, რა ოჯახი ჰქონდა! სამწუხაროდ, ბუნებით კეთილმა დედამ შვილს ოქრომკერდით სათამაშოების მორთვა-მოკაზმვის გარდა, ვერაფერი ასწავლა. ორივე რეიმსში ცხოვრობდა, მდინარის გასწვრივ, გოდების ქუჩაზე. დაიმახსოვრეთ ეს სახელი: მე მგონია, სწორედ ამიტომ დაატყდა თავს უბედურება პაკეტას. 61 წელს, ჩვენი მეფის, ლუი XI-ის კურთხევის წელს, ღმერთი იყოს მისი მფარველი, პაკეტა ისეთი მხიარული და ლამაზი იყო, რომ ყველა „შანტფლერის“[1] ეძახდა. საბრალო გოგო! მშვენიერი კბილები ჰქონდა, სიცილი უყვარდა, მაგრამ მწუხარება ელოდა... ის და დედამისი გაჭირვებით ცხოვრობდნენ და ლუკმა-პურს ძლივს შოულობდნენ. მომღერალ- მუსიკოსის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო გაუჭირდათ. ოქრომკერდით საქარგავი კვირაში ექვს დინარზე მეტ შემოსავალს არ იძლეოდა. სადღა იყო ის დრო, როდესაც მამამისი კურთხევისას ერთ სიმღერაში თორმეტ პარიზულ სუს შოულობდა. ერთ ზამთარს, იმავე 61 წელს, ქალებს კონა ფიჩხიც კი არ ჰქონდათ. ძალიან ციოდა, სიცივისგან შანტფლერს ისეთი მშვენიერი ფერი დასდებოდა, რომ მამაკაცები „პაკეტას,“ ზოგი კი „პაკერეტას“ ეძახდა. სწორედ მისმა სილამაზემ დაღუპა! ერთ კვირას ეკლესიაში მოვიდა, ყელზე ოქროს ჯვარი ეკიდა, მაშინვე მივხვდით, რომ ხელიდან წასულიყო, თოთხმეტი წლის გოგო! წარმოიდგინეთ, თოთხმეტი წლის! ჯერ ახალგაზრდა ვიკონტ კორმონტრეით დაიწყო, შემდეგ მუსიე ანდრი დე ტრიანკურთან, სამეფო კავალერთან მეგობრობდა; მერე ქვევით და ქვევით დაეშვა, - მეფის ლაქია, სამეფო ტახტის მემკვიდრის დალაქი, მეფის მზარეული... და ბოლოს, გილიომ რასინამდე, მოხეტიალე მუსიკოს-მეჩანგემდე და მეფარნე ტიერი-დე-მერიმდე დაეშვა. საბრალო შანტფლერი ბოლოს ხელიდან

[1] *აყვავებული სიმღერა.*

ხელში გადადიოდა. ქონებიდან თითქმის აღარაფერი დარჩა, ოქროს ფულებიდან უკანასკნელი სუც შემოელია. რაღა თქმა უნდა, ქალბატონებო, გვირგვინის კურთხევისას ლოგინს უთბობდა ურცხვთა მეფეს! და ყოველივე ეს ერთ წელიწადში მოხდა. მაიეტამ ამოიოხრა და თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა. - ეს ჩვეულებრივი ამბავია, - თქვა ჟერვეზამ, - მაგრამ არ მესმის, რა შუაშია აქ ბოშები ან ბავშვები?

- მოითმინეთ! - უთხრა მაიეტამ, - ბავშვის ამბავს ახლავე მოისმენთ. 66 წლის იანვარში, წმინდა პავლეს დღეს, თექვსმეტი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც პაკეტას გოგო შეეძინა. უბედურმა ქალმა დიდად გაიხარა. დედა მისი, რომელიც ყველაფერზე თვალს ხუჭავდა, უკვე მკვდარი იყო. პაკეტას ამქვეყნად აღარავინ ჰყავდა ისეთი, მას რომ ჰყვარებოდა. არც ის უყვარდა ვინმეს. თავისი დაცემისა და გაპარტახების ხუთი წლის განმავლობაში შანტფლერი საბრალო ქმნილებად იქცა. იგი მარტოდმარტო დარჩა, თითით საჩვენებელი ქუჩის მეძავი, აბუჩად აგდებული, ქალაქის გუშაგებისგან ნაცემ-ნაბეგვი, ონავრების სამასხარაო... გარდა ამისა, მას ოცი წელი შეუსრულდა, ოცი წელი კი სიყვარულის მსახური ქალებისთვის უკვე სიბერეა. ეს გიჟური გატაცება იმაზე მეტ შემოსავალს როდი იძლეოდა, რასაც უწინ სათამაშოების ქარგვა. ყოველი ახალი ნაოჭის გაჩენასთან ერთად, მის საშოვარს თითო ეკიუ აკლდებოდა. ზამთრობით მის კერაში შეშა და კიდობანში პური კიდევ უფრო იშვიათად ჩნდებოდა. მუშაობა აღარ შეეძლო, რადგან, რაც ავხორცობას დაადგა, გაზარმაცდა, ხოლო რაც უფრო ზარმაცობდა, მით მეტად ავხორცობდა, მით მეტად იტანჯებოდა. სენ-რემის ეკლესიის მღვდელი განგვიმარტავს, რომ ამგვარი ქალები სიბერის ჟამს უფრო მეტად განიცდიან სიცივესა და შიმშილს, ვიდრე სხვა მათხოვარი დედაკაცებიო.

- კი, მაგრამ ბოშა ქალები? - შენიშნა ჟერვეზამ.

- აცალე ერთ წამს, ჟერვეზა! - უთხრა უდარდამ, - ბოლოს რაღა დარჩება, თუ თავიდანვე ყველაფერი გვეცოდინება: განაგრძე, მაიეტა, გეთაყვა. საბრალო შანტფლერი! მაიეტამ განაგრძო:

- ის ძალიან უბედური იყო; ეგონა, ნაკლებად შერცხვენილი, ნაკლებად უგუნური და ნაკლებად მიტოვებული იქნებოდა, ქვეყნად რომ ვინმე ჰყოლოდა, ვისაც შეიყვარებდა და ვინც მის სიყვარულს გაიზიარებდა. მას შვილი უნდოდა, რადგან მხოლოდ უმანკო ბავშვს შეეძლო მისი შეყვარება. ამაში მას შემდეგ დარწმუნდა, რაც შეეცადა შეეყვარებინა ქურდი, მაგრამ ცოტა ხანში მიხვდა, რომ ქურდსაც კი სძულდა. სიცარიელის შესავსებად უწესო ქალებს ან საყვარელი სჭირდებათ ან შვილი. სხვაგვარად ისინი მეტისმეტად უბედურნი არიან. რადგან ღვთისმოსაობა არასოდეს მიუტოვებია, მოწყალე ღმერთს ევედრებოდა მისთვის შვილი მიეცა. მოწყალე ღმერთმაც შეიბრალა და პატარა გოგონა უძღვნა. ვერ გეტყვით, რა სიხარული განიცადა. ეს იყო გაშმაგებული ნიაღვარი ცრემლებისა, ალერსისა და კოცნისა. ბავშვს ძუძუს თავად აწოვებდა. ერთადერთი საბნიდან არტახები შეუკერა და ამიერიდან აღარც სიცივეს გრძნობდა და აღარც შიმშილს. გამოცოცხლდა, ისევ დაუბრუნდა სილამაზე. უკვე მობერებული ყმაწვილქალად იქცა. სამიჯნურო ურთიერთობანი განახლდა, კვლავ იწყეს შანტფლერისთან სიარული, ისევ გამოუჩნდა მუშტარი. ამ საზიზღრობით ნაშოვნი ფულით ბავშვის ძვირფას თეთრეულსა და სამოსს ყიდულობდა. თავისთავზე აღარც კი ფიქრობდა. დარწმუნებული ვარ, პატარა აგნესას, - ეს ბავშვის ნათლობის სახელია, - უფრო მეტი სამოსი ჰქონდა, ვიდრე ტახტის მემკვიდრის საუფლისწულო მამულის მფლობელის ქალიშვილს. დედა გოგონას თვითონ უკერავდა, უქარგავდა და წმინდა ღვთისმშობლის კალთასავით მორთო. გოგონას ისეთი პაწია, ისეთი ლამაზი, ისეთი ვარ-

დისფერი ფეხები ჰქონდა - ატლასზე უფრო ვარდისფერი! - როდესაც შვილები გეყოლებათ, უდარდა, გაიგებთ, რომ ამ პაწია ხელებსა და ფეხებზე უფრო ლამაზი ამქვეყნად არა არის რა! - სიამოვნებით, უარს არ ვიტყოდი, - ამოიოხრა უდარდამ, - მაგრამ უნდა ვიცადო, ვიდრე მუსიე ანდრი მუსნიე ინებებს.

- თუმცა, - განაახლა თხრობა მაიეტამ, - პაკეტას შვილს მარტო ფეხები როდი ჰქონდა ლამაზი. ოთხი თვისა იქნებოდა, როცა ვნახე. ნამდვილი ამური იყო! დიდრონი თვალები ჰქონდა, წარმტაცი, ნაზი და ხუჭუჭა შავი თმა. თექვსმეტი წლის საამაყო სილამაზის შავგვრემანი გოგონა იქნებოდა! დედას სიგიჟემდე უყვარდა. ეალერსებოდა, კოცნიდა, ბანდა, რთავდა, ეამბორებოდა! ერთ დღეს რეიმსში მეტად უცნაური მხედრები მოვიდნენ. ისინი მათხოვრები და მაწანწალები იყვნენ, მთელ ქვეყანას უვლიდნენ თავიანთი დუკებისა და გრაფების ხელმძღვანელობით. ყველა შავი იყო, ყველას უკლებლივ ხუჭუჭა თმა და ყურებში ვერცხლის რგოლები ჰქონდა გაყრილი. ქალები კიდევ უფრო შეუხედავნი იყვნენ, ვიდრე კაცები. ტანზე უშნო კვართები შემოეცვათ, თმა ცხენის კუდივით ჩამოჰკიდებოდათ. მათ ფეხებთან მოფუსფუსე ბავშვებს თვით მაიმუნებიც კი შეეძლოთ დაეფრთხოთ. უღვთოთა და ეკლესიიდან განკვეთილთა ხროვა იყო. ყველანი ეგვიპტიდან, პოლონეთზე გავლით, რეიმსს მოაწყდნენ. ამბობდნენ, მათ თვით პაპმა ათქმევინა აღსარება და მოსანანიებლად შვიდი წელიწადი უნდა ეწანწალათ დედამიწაზე ღია ცის ქვეშ და ლოგინი არ უნდა დაეგოთო. ამიტომაც მათ მომნანიებლებსაც უწოდებდნენ. რეიმსში იმიტომ მოვიდნენ, რომ ალჟირის მეფისა და გერმანიის იმპერატორის სახელით ხალხისთვის ბედი ეწინასწარმეტყველათ. თავად განსაჯეთ, მათ ქალაქში შესვლა აკრძალული ჰქონდათ და მთელი ეს ხროვა ბრენის ჭიშკრის ახლოს, იმ ბორცვზე დაბანაკდა, სადაც წისქვილია. ცხადია, მთელი რეიმსი მათ სანახავად გაეშურა.

ისინი ადამიანებს ხელებს უსინჯავდნენ და სასწაულებს უწინასწარ-მეტყველებდნენ. მათ შეეძლოთ იუდასთვისაც კი ემცნოთ, პაპი გახ-დებიო. მაგრამ ცუდი ხმა გავრცელდა, ბოშები ბავშვებს იტაცებენ, კაცს ქისას აჭრიან და ადამიანის ხორცს ჭამენო. ჭკუადამჯდარი ადა-მიანები უგუნურებს ურჩევდნენ, იქ არ წახვიდეთო. ყველა გულის-თქმასა და ფეხის ხმას აჰყვა. დედებს ამაყად ეჭირათ თავი და დიდად ზეიმობდნენ თავიანთი შვილების გამო, რადგან ბოშა ქალებმა მათ ხელებზე ამოიკითხეს წარმართულ და თურქულ ენებზე დაწერილი სასწაულები. ერთის ბავშვი მომავალში იმპერატორი იქნებაო, მე-ორისა - პაპი, მესამისა - მხედართმთავარიო. საწყალი შანტფლე-რიც ცნობისმოყვარეობამ აიტაცა. მასაც უნდოდა გაეგო თავისი შვი-ლის მომავალი ბედ-იღბალი და ისიც ბოშებისკენ გაემართა. ბოშა ქალები ბავშვის სილამაზით აღტაცებულან. ეალერსებოდნენ, კოც-ნიდნენ თავიანთი შავი ტუჩებით. ვაი, რომ ყოველივე ეს დედას ახა-რებდა. ბავშვი ჯერ კიდევ ერთი წლისაც არ იყო, მაგრამ უკვე ტიტი-ნებდა, მომხიბლავი მოძრაობით სამოთხის ანგელოზს ჰგავდა. ბოშა ქალები რომ დაინახა, შეშინდა და ატირდა. მაგრამ დედა იქიდან აღ-ტაცებული წამოვიდა იმ ბედნიერი მომავლის გამო, რომელიც გულ-თმისანმა მის აგნესას უწინასწა რმეტყველა, - დედოფალი გახდე-ბაო. მეორე დღეს, როცა ბავშვს ეძინა, - გოგონას მუდამ გვერდით იწვენდა, - კარი ოდნავ გაღებული დატოვა და საშრობელას ქუჩაზე მეზობელთან გადაირბინა. უნდოდა ეამბნა, რომ დადგებოდა დღე, როდესაც მის აგნესას სუფრაზე მოემსახურებოდა ინგლისის მეფე და ეთიოპიის ერცჰერცოგი! სახლში დაბრუნებულს კარი ღია დახ-ვდა. საბრალო დედამ საწოლთან მიირბინა... ლოგინი ცარიელი იყო. გარეთ გავარდა, კიბეზე თავქვეშ დაეშვა, კედლებს თავს ურ-ტყამდა და თან შეშლილივით ყვიროდა: „ჩემო შვილო, ჩემო გოგო-ნავ! სადაა ჩემი შვილი? ვინ მომტაცა ჩემი შვილი?“ მაგრამ გაუკაც-

რიელებულ ქუჩაზე, ვინ რას ეტყოდა? ქალაქის ყველა ქუჩა გაჩხრიკა, მთელი დღე ხან იქით აწყდებოდა, ხან აქეთ. გაგიჟებული, გონდაკარგული, გზააბნეული ყნოსავდა კარსა და ფანჯრებს, როგორც ლეკვებდაკარგული ველური მხეცი, გამვლელებს აჩერებდა და ყვიროდა: ჩემი გოგონა! ჩემი ლამაზი შვილი! მონად დავუდგები, ვინც შვილს დამიბრუნებს, მისი ძაღლის მსახური გავხდები! მერე სენ-რემის საყდრის მღვდელს შეხვდა: მამაო, უფალო ღვდელო, ფრჩხილებით მიწას გადავხნავ, ოღონდ კი შვილი დამიბრუნეთო! გულის გამგმირავი სანახაობა იყო, უდარდა! თავად ვნახე, თვით ყველაზე გულქვა ადამიანი, პროკურორი მეტრ პონს ლაკბარიც კი ტიროდა. აჰ! საბრალო დედა! საღამოს შინ დაბრუნდა. მისი არყოფნის დროს მეზობელ ქალს დაუნახავს, როგორ შევიდა მის სახლში ორი ბოშა დედაკაცი, ხელში გახვეული რაღაც სჭერიათ, მალე ქუჩაში გამოსულან და გაქცეულან. მათი წასვლის შემდეგ პაკეტას ბინიდან ბავშვის ტირილი გაუგონიათ. გახარებულმა დედამ გადაიხარხარა, კიბე ფრთასშესხმულივით აირბინა, კარი გრუხუნით გამოაღო და შევიდა, მაგრამ, ჰოი, საშინელებავ! უდარდა! მისი პატარა ლამაზი აგნესას ნაცვლად იატაკზე წკმუტუნით დაბობღავდა რაღაც სიმახინჯე, რაღაც ურჩხული, კოჭლი, ბრუციანი, უსახური. შეძრწუნებულმა თვალებზე ხელი მიიფარა. „ოჰ, - თქვა მან, - ნუთუ ჯადოქრებმა ჩემი გოგონა ამ საშინელ ცხოველად აქციეს?“

ეს საზარელი ურჩხული, ალბათ, რომელიმე ბოშა ქალისა და ეშმაკის ნაშიერი იყო. იგი ოთხიოდე წლისა იქნებოდა და რაღაც არაადამიანურ ენაზე ბურტყუნებდა. პატარა ფეხმოღრეცილი მაიმახი საჩქაროდ წაიყვანეს. ის გააგიჟებდა, ჭკუაზე შეშლიდა ქალს. შანტფლერი იატაკზე დაეცა და პაწია ფაჩუჩი ჩაბღუჯა; ესღა დარჩენოდა იმისგან, ვინც უყვარდა. დიდხანს ეგდო უძრავად, დამუნჯებული, დადუმებული, სუნთქვაშეკრული, ეგონათ, სული განუტევაო. უცებ

მთელი სხეულით აძიგძიგდა, გიჟური კოცნით დაფარა თავისი უწ-მინდესი ნივთი. ისეთი ქვითინი აღმოხდა, გეგონებოდათ, გული გას-კდომას აპირებსო. გარწმუნებთ, ყველანი ვტიროდით. შანტფლერი უცბად წამოდგა და რეიმსის ქუჩებში გავარდა, თან ყვიროდა: „ბო-შების ბანაკში! ბოშების ბანაკში! გუშაგებს დაუძახეთ, რომ ცეცხლში დავწვათ ჯადოქრები!“ მაგრამ ბოშები აყრილიყვნენ. უკუნეთი ღამე ჩამოწვა. გამოდევნება შეუძლებელი იყო. მეორე დღეს, რეიმსიდან ორ ლიეზე, მანანით დაფარულ ტრიალ ადგილზე ნახეს დიდი კოცო-ნის კვალი, რამდენიმე ბაფთა, რომლებიც პაკეტას ბავშვს ეკუთვნო-და, სისხლის წვეთები და თხის სკორე. წინა დღით სწორედ შაბათი იყო. ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ბოშებმა ამ ტრიალ მინდორზე მოაწყვეს თავიანთი შაბათობა, კუდიანთა ღამის ღრეობა და ბელზე-ბელის საზოგადოებაში შესანსლეს ბავშვი, როგორც ეს სჩვევიათ მაჰმადიანებს. შანტფლერიმ ეს საშინელი ამბავი რომ გაიგო, აღარც უტირია, მხოლოდ ტუჩები ააცმაცუნა. თითქოს უნდოდა რაღაც ეთ-ქვა, მაგრამ ვეღარ ახერხებდა. მეორე დღეს თმა უკვე გაჭაღარავე-ბოდა. მესამე დღეს სადღაც გაქრა.

- მართლაც საშინელი ისტორიაა, - თქვა უდარდამ, - ბურგუნდი-ელსაც კი აატირებს! - ახლა კი აღარ მიკვირს, - დაურთო ჟერვეზამ, - რატომ გაურბიხართ ასე შიშით ბოშებს. - და კარგად მოიქეცით, - განაგრძო უდარდამ, - რომ დროზე გაეცალეთ ამ ბოშებს, ესენიც პო-ლონეთიდან არიან.

- არა, - თქვა ჟერვეზამ, - ამბობენ, ესენი ესპანეთიდან და კატა-ლონიიდან მოვიდნენო. - კატალონიიდან? შესაძლოა, - უპასუხა უდარდამ, - პოლონეთი, კატალონია, ვალონია, - ეს სამი პროვინცია მუდამ ერთმანეთში მერევა. ერთი რამ უდავოა, ეს ბოშები ეგვიპტი-დან არიან. - უეჭველია, - დაუმატა ჟერვეზამ, - მათ საკმაოდ გრძელი კბილები აქვთ, რათა პატარა ბავშვები შეჭამონ. არც ის გამიკვირ-

დება, ეს ესმერალდა პატარებს ჭამდეს და პირს იტკბარუნებდეს. მისმა თეთრმა თხამ ძალიან ვერაგული ოინები იცის, მანდ რაღაც უღვთობა, უწმინდურობა და წრეგადასულობა უნდა აფარებოდეს!

მაიეტა ფიქრებმა წაიღო, ამ დროს ჟერვეზამ მიმართა:

- ასე რომ, ვერავინ გაიგო, რა მოუვიდა შანტფლერის?

მაიეტამ არაფერი უპასუხა. ჟერვეზამ კითხვა გაუმეორა, ხელით შეანჯღრია და სახელი შეუძახა. მაიეტა ფიქრებიდან გამოერკვა.

- რა მოუვიდა შანტფლერის? - ანგარიშმიუცემლად გაიმეორა სიტყვები, რომლებიც ახლახან ჩაესმა. - აჰ! - უპასუხა სწრაფად, - არავინ იცის. - ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: - ერთნი ამბობდნენ, ვითომც მწუხრზე ენახოთ რეიმსიდან ფლეშამბოს ჭიშკრით მიმავალი; მეორენი ამტკიცებდნენ, ეს ამბავი ცისკრისას მოხდა და იგი ბაზეს ძველი ჭიშკრიდან გავიდაო. ერთ გლახას მისი ოქროს ჯვარი უნახავს ქვაზე, მინდორში, სადაც ბაზრობა იმართება ხოლმე. იგი მისი პირველი საყვარლის, ლამაზ ვიკონ დე კორმონტრეის საჩუქარი იყო. პაკეტა არასდროს იცილებდა მას, რაც უნდა გაჭირვებოდა. თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ამიტომ, როცა ჯვარი იპოვეს, ვიფიქრეთ, მოკვდაო. თუმცა, ზოგი ამბობდა, პარიზისკენ ფეხშიშველი მიდიოდაო. თუ ასე იყო, მაშინ ველის ჭიშკარს გაივლიდა. ყოველივე ეს რაღაც არ ედრება ერთმანეთს. მე კი მგონია, ველის ჭიშკრიდან გავიდა და ამ გზით წუთისოფელიც დატოვა.

- თქვენი არ მესმის, - უთხრა ჟერვეზამ.

- ველი მდინარეა, - უპასუხა მაიეტამ ნაღვლიანი ღიმილით.

- საბრალო შანტფლერი! - თქვა შეძრწუნებულმა უდარდამ და გაიჟრჟოლა, - მაშ, თავი დაიხრჩო!

- თავი დაიხრჩო! - უპასუხა მაიეტამ. მგრძნობიარე უდარდა მზად იყო მაიეტასთან ერთად ოხვრასა და ვიშვიშს დასჯერებოდა, მაგრამ

უფრო ცნობისმოყვარე ჟერვეზას კითხვები არ ელეოდა. - ურჩხული? - უცბად ჰკითხა მან.

- რომელი ურჩხელი? - კითხვა შეუბრუნა მაიეტამ.

- ბოშათა პატარა ურჩხული, ჯადოქრებმა შანტფლერის რომ დაუტოვეს გოგონას მაგიერ? მას რაღა უყავით? იმედი მაქვს, ისიც წყალში დაახრჩვეთ.

- არა, - უპასუხა მაიეტამ.

- რაო! მაშ დაწვათ? ეს უფრო მართებულია ჯადოქრის ნაშიერისთვის. - არც ერთი და არც მეორე, ჟერვეზა. მუსიე არქიეპისკოპოსი დაინტერესდა ბოშების ბავშვით, შეულოცა, აკურთხა, მონათლა, სრულიად განდევნა მისი სხეულიდან ეშმა და პარიზს გაგზავნა ღვთისმშობლის ტაძრის მიტოვებული ბავშვების ხის საწოლზე გამოსაფენად. - ოო, ეს ეპისკოპოსები! - თქვა ჟერვებამ ბუზღუნით, - აქაოდა, ნასწავლები ვართო, იმას როდი აკეთებენ, რასაც სხვები. ერთი მითხარით, უდარდა, გეთაყვა, განა შეიძლება ეშმაკის დაწვენა მიტოვებული ბავშვების ბაგაზე? დარწმუნებული ვარ, ის პატარა ურჩხული თვით ეშმაკი იყო. მერედა, რა დაემართა მას პარიზში, მაიეტა? ცხადია, არც ერთი ქრისტიანი არ ინდომებდა მის აყვანას. - არ ვიცი, - უპასუხა რეიმსელმა. - სწორედ იმ დროს ჩემმა ქმარმა, რეიმსიდან ორ ლიეზე, ბერიუს სოფლის ნოტარიუსის თანამდებობა იყიდა და ამ ამბისთვის ყური აღარ მოგვიკრავს. ამ ლაპარაკში სამმა ღირსეულმა ქალმა გრევის მოედანს მიაღწია. საუბარსა და ფიქრებში გართულებმა როლანდის კოშკის საჯარო ლოცვანს ისე ჩაუარეს, არც შეჩერებულან და გეზი სამარცხვინო ბოძისკენ აიღეს, რომლის ირგვლივ ბრბო ყოველ წუთს მატულობდა. სანახაობას, რომელიც ამჟამად ყველას იზიდავდა, შესაძლოა, სულაც დაევიწყებინა მათთვის „ვირთხის სოროსთან“ შეჩერება, რომ არა ექვსი წლის ბუთხუზა ესტაში.

- დედა, - უთხრა მან მაიეტას, თითქოს რაღაც ალღომ უკარნახა, რომ „ვირთხის სორო“ უკან დარჩა, - დედა, ახლა შემიძლია შევჭამო ნამცხვარი?

ესტაშის წინდაუხედავმა და ნაჩქარევმა კითხვამ იმავე წუთს მიიპყრო მაიეტას ყურადღება. - მართლა, - შესძახა მან, - სულ დაგვავიწყდა განდეგილი! მაჩვენეთ „ვირთხის სორო“, რომ გადავცე ნამცხვარი.

- ახლავე, - თქვა უდარდამ, - ეს საქველმოქმედო საქმეა.

- როგორ? ეს ჩემია! - თქვა უკმაყოფილოდ ბიჭმა.

ქალები უკან მიბრუნდნენ. როდესაც როლანდის კოშკის სახლს მიაღწიეს, უდარდამ თქვა: - სამივემ ერთად არ უნდა შევიხედოთ სოროში, თორემ ძაძიანი შეშინდება. თქვენ ისე დაიჭირეთ თავი, ვითომც ლოცვანს კითხულობთ, ამასობაში მე ცხვირს შევყოფ სარკმელში. ძაძიანი მგონი მიცნობს. განიშნებთ, როდის მოხვიდეთ, - და მარტო მივიდა სარკმელთან. როგორც კი შიგნით შეიხედა, მხიარულ, გაბადრულ სახეზე ღრმა სიბრალული აესახა, ფერი ეცვალა. თვალები აუწყლიანდა, ბაგე მოეკუმა, თითქოს ტირილს აპირებსო. ერთი წუთის შემდეგ ტუჩებზე თითი მიიდო და მაიეტას ანიშნა მისულიყო.

აღელვებული და გაჩუმებული მაიეტა ფეხის წვერებზე აწეული მივიდა, თითქოს მომაკვდავის სარეცელს უახლოვდებაო. როდესაც სუნთქვაშეკრულმა ქალებმა „ვირთხის სოროს“ სარკმელში შეიხედეს, თვალწინ მართლაც შემაძრწუნებელი სანახაობა წარმოუდგათ. ისრულთაღიან ვიწრო სენაკში, პირდაპირ ფილაქანზე, კუთხეში ქალი ჩაცუცქულიყო. ნიკაპი მუხლებზე დაებჯინა, ორივე ხელი ჯვარედინად მიეჭდო მკერდზე. მოკრუნჩხულს, ფართო ნაოჭებად დაკეცილ თალხ ტომარისებურ ძაძაში გახვეულს, გრძელი ჭაღარა თმა სახიდან ტერფებამდე ჩამოშლოდა და, ერთი შეხედვით, სიბნე-

ლეში რაღაც შავ სამკუთხედად მოჩანდა. იგი ნახევრად განათებულ მოჩვენებას ჰგავდა, როგორსაც სიზმარში ან გოიას არაჩვეულებრივ ქმნილებებში ვნახულობთ - ფერმკრთალს, უძრავს, ავბედითს, ვინმეს საფლავზე ჩამომჯდარს ან საპატიმროს ბადესთან აკრულს. იგი არ ჰგავდა არც ქალს, არც კაცს, არც ცოცხალ არსებას; მნახველს ჟრუანტელს გვრიდა ძლივს შესამჩნევი ადამიანის სახე, რომელსაც ბუნდოვნად გაარჩევდა ამ თალხმოსილ სამგლოვიარო გარსში. კაცი იფიქრებდა, თითქოს ქვის ფილაზე დაკრული ფიგურა არც მოძრაობდა, არც ფიქრობდა, არც სუნთქავდა. ბნელ დილეგში ცეცხლი არ ენთო, ერთადერთი სარკმელი მზის სხივს არასოდეს უშვებდა და გარედან მხოლოდ ჩრდილოეთის ქარსა და ყინვას ატარებდა, მაგრამ იგი სიცივეს მაინც ვერ გრძნობდა, ტანჯვას არც კი იმჩნევდა. თითქოს ქვად ქცეულიყო, თითქოს ზამთრის სუსხს ყინულად გადაექცია. თუმცა, დროგამოშვებით გალურჯებული ტუჩები მაინც თრთოლვით გაიპობოდა და უნებლიე ოხვრა აღმოხდებოდა. ასეთი იყო ქმნილება, რომელსაც თავისი სამყოფელის გამო დაყუდებული განდეგილი ერქვა, ხოლო ტანისამოსის გამო - ძაძიანი.

სამივე ქალი იცქირებოდა სარკმელში, რადგან მაიეტასა და უდარდას ჟერვეზაც შეუერთდა. მათი თავები დილეგის ისედაც სუსტ სინათლეს ფარავდნენ, მაგრამ ბედკრული ადამიანის ყურადღება მაინც ვერ მიიპყრეს.

- მყუდროებას ნუ დავურღვევთ, - თქვა დაბალი ხმით უდარდამ, - ლოცულობს. მაიეტა სულ უფრო გრძნობამორეული აკვირდებოდა გამოფიტულ, დამჭკნარ, თმაგაწეწილ თავს და თვალები ცრემლებით ევსებოდა. - რა უცნაურია! - ბუტბუტებდა. თავი სარკმელში შეყო და იმ კუთხისკენ გაიხედა, საითაც უბედური ადამიანის მზერა იყო მიპყრობილი. როდესაც სარკმლიდან თავი გამოყო, სახე ცრემლე-

ბით ჰქონდა დასველებული. - რას ეძახით ამ ქალს? - ჰკითსა უდარ-დას.

- და გუდულას, - უთხრა უდარდამ.

- მე კი, - უპასუხა მაიეტამ, - პაკეტა ლა შანტფლერის დავუძახებ-დი. თითი პირზე მიიდო და უდარდას ანიშნა სარკმელში შეეხედა. მან განდეგილის მზერას გააყოლა თვალი და ოქროსფერი ატლასის პატარა ფაჩუჩი დაინახა, ათასნაირი ოქროს და ვერცხლის კილიტე-ბით მოქარგული. ახლა ჟერვეზამ შეიხედა და უბედური დედის ხილ-ვის გამო სამივემ ტირილი მორთო. ვერც მათმა ცქერამ, ვერც ცრემ-ლებმა მიიპყრეს განდეგილის ყურადღება. იგი იმავე მდგომარეო-ბაში დარჩა - ხელებგადაჭდობილი, ბაგედადუმებული, თვალებმიშ-ტერებული. ვინც მისი ამბავი იცოდა, ეს პატარა ფაჩუჩი გულს აუჩუ-ყებდა.

ქალებს სიტყვაც არ წარმოუთქვამთ; ხმადაბლა ლაპარაკიც კი ვერ გაებედათ. ეს დიადი დუმილი, სევდა და მწუხარება, სადაც ყვე-ლაფერი გამქრალა, გარდა ერთადერთი ნივთის - ფაჩუჩისა, მათზე სააღდგომო ან საშობაო დიდსაკურთხევლის შთაბეჭდილებას ახ-დენდა. ისინი დუმდნენ, ფიქრებმა გაიტაცეს, მოწიწებით განიმ-სჭვალნენ და მზად იყვნენ მუხლი მოედრიკათ. ბოლოს, ჟერვეზა, ყველაზე ცნობისმოყვარე და, მაშასადამე, ნაკლებად მგრძნობიარე, შეეცადა დაყუდებულს გამოლაპარაკებოდა:

- დაო! დაო გუდულა! - მან სამჯერ გაიმეორა და ყოველ დაძახე-ბაზე ხმას უმაღლებდა. განდეგილი არც შერხეულა, სიცოცხლის ნი-შანწყალიც კი არ დასტყობია. უდარდამ უფრო ტკბილად და ალერ-სიანად უთხრა:

- დაო, დაო, წმინდაო გუდულა!

იგივე დუმილი, იგივე უძრაობა.

- უცნაური ქალია! - შესძახა ჟერვეზამ, - ვერაფერს გააგებინებ, თავთან ზარბაზნებიც რომ დაუცალო!

- იქნებ დაყრუვდა? - თქვა უდარდამ.

- იქნებ დაბრმავდა? - დაურთო ჟერვეზამ. - იქნებ მკვდარია? - განაგრძო მაიეტამ.

უეჭველია, თუ სულს ჯერ კიდევ არ მიეტოვებინა ეს გარინდებული სხეული, იმდენად განშორებოდა და ისეთ სიღრმეებში მიმალულიყო, სადაც გარეგანი შეგრძნებანი ვერ აღწევს. - მაშ, სარკმლის რაფაზე მოგვიხდება კვერის დატოვება, - თქვა უდარდამ, - მაგრამ ვინმე ონავარი აიღებს. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ გონს მოვიყვანოთ? ესტაშმა, რომელიც ძაღლებშებმული პატარა ეტლის ცქერით იყო გართული, უცბად შეამჩნია, რომ სამივე ქალი რაღაცას უყურებდა სარკმელში, ისიც ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, ცერებზე აიწია, ბუთხუზა, ღაჟღაჟა სახე სარკმელს მიაყრდნო და შესძახა: - დედა, მეც შემახედე! - ბავშვის წკრიალა ხმაზე განდეგილი ათრთოლდა. მკვეთრად მოაბრუნა თავი, გრძელი, გამხმარი ხელებით შუბლიდან თმა გადაიწია და გაკვირებული, სიმწრისგან გატანჯული, სასოწარკვეთილებით სავსე თვალები ბავშვს მიაშტერა. - ო, ღმერთო ჩემო! - იყვირა მან უცბად და თავი მუხლებს შორის ჩარგო, გეგონება, ხრიანწიანმა ხმამ მკერდი ჩაუხიაო, - სხვის ბავშვებს მაინც ნუ მაჩვენებთ! - გამარჯობა მადამ, - უთხრა ბავშვმა სერიოზულად. ამ მოულოდნელმა შეძრწუნებამ გონს მოიყვანა განდეგილი. ხანგრძლივმა ჟრუანტელმა მთელ სხეულს თხემით ტერფამდე დაურბინა, კბილები აუკაწკაწდა, სანახევროდ ასწია თავი, იდაყვები ბარძაყებს მოუჭირა და ხელებით ტერფები შეიპყრო, თითქოს გათბობა სურდა: - ოჰ! რა სიცივეა!

- საბრალო ქალი! - თქვა უდარდამ დიდი თანაგრძნობით. - გინდათ, ცოტა შეშა მოგიტანოთ? მან უარის ნიშნად თავი გააქნია.

- კარგი, - უპასუხა უდარდამ და რაღაც შუშა გაუწოდა, - აი, სურნელოვანი სასმელი, დალიე, ცოტა შეგახურებს. განდეგილმა ისევ თავი გააქნია, უდარდას ჩაშტერებით შეხედა და უთხრა: - წყალი!

- არა, დაო, წყალი რა სასმელია იანვარში. თქვენ ცოტა სანელებლიანი ღვინო უნდა დალიოთ და შეჭამოთ სიმინდის კვერი, რომელიც თქვენთვის გამოვაცხვეთ, - დაიჟინა უდარდამ. განდეგილმა მაიეტას მიწოდებული ტკბილი ნამცხვარი მოიშორა და უთხრა: - შავი პური.

ჟერვეზასაც გული მოულბა და შალის წამოსასხამი შეიხსნა.

- აი, გამომართვით ეს განიერი წამოსასხამი, თქვენს სამოსელზე უფრო თბილი უნდა იყოს. წამოისხით მხრებზე.

- ტომარაც კმარა, - უპასუხა განდეგილმა და წამოსასხამზეც უარი თქვა. - მაგრამ რაღაცით ხომ უნდა აღნიშნოთ დღესასწაული, - უთხრა გულკეთილმა უდარდამ. - ისედაც მახსოვს და ჩემთვის აღვნიშნე, - თქვა განდეგილმა, - ორი დღეა, ჩემს თუნგში წყალი აღარ არის.

ერთხანს გაჩუმდა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა:

- დღესასწაულებში მივიწყებენ, კარგადაც იქცევიან, რატომ უნდა ზრუნავდეს ქვეყანა ჩემზე, როცა მე არ ვფიქრობ მასზე? ჩამქრალ ნაკვერცხლებს ნაცარიც ცივი აქვს და თითქოს გრძელი საუბრით დაიღალაო, თავი კვლავ მუხლებზე ჩამოუვარდა.

უდარდამ იფიქრა, რომ სიცივის გამო ჩიოდა და გულუბრყვილოდ ჰკითხა: - იქნებ გათბეთ მაინც?

- სითბო! - თქვა ძაძიანმა უცნაური კილოთი, - და გაათბობთ იმ საბრალო ჩვილს, რომელიც თხუთმეტი წელია მიწაში წევს?

ყოველი ნაკვთი უკანკალებდა, ხმა უთრთოდა, თვალები უბრწყინავდა. მუხლ ებზე წამოიწია. უცბად თეთრი და გამხმარი ხელი გაოცებული ბავშვისკენ გაიშვირა: - წაიყვანეთ ეს ბავშვი! - იყვირა მან, - ბოშა ქალი ჩაივლის აქ.

ფილაქანზე პირქვე დაემხო და შუბლი ფილაზე ისეთი ხმით დაარტყა, სამივემ იფიქრა, ხომ არ მოკვდაო. მაგრამ, ერთ წუთში გონს მოეგო და მუხლებით და იდაყვებით იმ კუთხემდე მიცოცდა, სადაც პაწია ფაჩუჩი იდო. შეხედვა ვეღარ გაბედეს, საკნიდან გულისგამგმირავ კივილსა და ყრუ დაჯახების ხმაში არეული კოცნა და ოხვრა ესმოდათ. მერე იქიდან ჩქამიც აღარ ისმოდა. - ნუთუ თავი მოიკლა? - თქვა ჟერვეზამ და სარკმელში შეიხედა: - დაო, დაო გუდულა! - დაო გუდულა, - გაიმეორა უდარდამ.

- აჰ, ღმერთო ჩემო! აღარც იძვრის! - განაგრძო ჟერვეზამ. - ნუთუ მოკვდა? გუდულა! გუდულა! მაიეტამ, რომელსაც აქამდე ცრემლები ახრჩობდა და ხმას ვერ იღებდა, ძალ ღონე მოიკრიბა: - მოიცადეთ, - მერე სარკმლისკენ დაიხარა: - პაკეტა! პაკეტა ლა შანტფლერი! ბავშვი რომ შეუგნებლად პეტარდის მბჟუტავ პატრუქს შეუბერავს და ააფეთქებს, ისე არ შეშინდება, როგორც მაიეტა, როცა დაინახა, რა შთაბეჭდილება მოახდინა განდეგილზე მისმა ნასროლმა სიტყვამ. იგი მთელი სხეულით ათრთოლდა, ფეხშიშველი წამოიჭრა და სარკმელს ისეთი ანთებული თვალებით მოაწყდა, რომ მაიეტამ, უდარდამ, ჟერვეზამ და ბავშვმა უკან დაიხიეს. განდეგილის ავბედითი სახე სარკმლის გისოსს მოადგა:

- ოჰ, ეს ბოშა ქალი მეძახის! - საშინელი ხარხარით ყვიროდა. იმავე წუთს სამარცხვინო ბოძთან მიმდინარე სანახაობაზე შეაჩერა პირქუში მზერა და შუბლი საზარლად შეიჭმუხნა, სარკმლიდან ორი ჩონჩხისებური ხელი გამოყო და მომაკვდავის ხიხინის მსგავსი ხმით დაიყვირა: - ისევ შენა ხარ, ბოშა გომბიო! ისევ შენ მეძახი, ბავშვების ქურდო! წყეულიმც იყავ! წყეული! წყეული! წყეული!

6.4. ცრემლი ერთი წვეთი წყლისთვის

ეს სიტყვები თითქოს შემაერთებელი რგოლი იყო იმ ორ სცენას შორის, ერთსა და იმავე დროს რომ ხდებოდა „ვირთხის სოროში“ და სამარცხვინო ბოძის კიბეზე. პირველი ამბის მოწმე სამი ქალი იყო, მეორის კი - გრევის მოედანზე თავმოყრილი ხალხი.

სახალხო დასჯის ლოდინს მიჩვეულ ბრბოს სამარცხვინო ბოძის მოთმინებით ცქერაც ართობდა. სამარცხვინო ბოძი ფრიად მარტივი, ქვით ნაშენი, კუბის ფორმის ნაგებობა იყო. გაუთლელი ქვის მეტად ციცაბო, დამრეც საფეხურს კაცი ზედა ბაქანზე აჰყავდა. დამნაშავეს მუხის ხის თარაზულ ბორბალზე აბამდნენ, მუხლებზე აყენებდნენ, ხელებს ზურგს უკან უკრავდნენ. მცირე ნაგებობის შიგნით მდგარი ოწინარი ძელურას ამოძრავებდა, ძელურა კი მუდმივად თარაზულ სიბრტყეზე მიმაგრებულ თვალს აბრუნებდა და მსჯავრდებული თანდათან მოედნის ყველა წერტილიდან ჩანდა. ამას დამნაშავის „დატრიალებას“ ეძახდნენ.

გრევის მოედნის სამარცხვინო ბოძი სულაც არ წარმოადგენდა ისეთ თავშესაქცევს, როგორც დიდი ბაზრის; იქ არც რთული ხუროთმოძღვრება იყო, არც რკინისჯვრიანი სახურავი, არც მოჩუქურთმებული მყიფე სვეტები და ხელები, არც ქვის მოხდენილი ქანდაკება. მაყურებელი უხეირო, გამხმარი და შიშველი ქვის სახრჩობელათი უნდა დაკმაყოფილებულიყო. გოტიკური ხუროთმოძღვრების მოყვარულთათვის ეს ღარიბულ ტრაპებს წარმოადგენდა, თუმცა შუა საუკუნეების პატივცემულ დოყლაპიებსა თუ ბუზიყლაპიებს ძეგლები ნაკლებად აინტერესებდათ და სამარცხვინო ბოძის პეწიანობაზე ნაკლებად ზრუნავდნენ. როგორც იქნა, მსჯავრდებულიც მოიყვანეს. როდესაც იგი ბაქანზე ასწიეს და თოკებითა და ღვედებით სამარცხვინო ბოძის ბორბალზე მიკრული დაინახეს. მოედანზე ხარ-

ხარსა და მხიარულ მისალმებაში არეული საშინელი ყიჟინა დასცეს. მათ იცნეს კვაზიმოდო. ბედის უკუღმართობაც ეს არის! ჯერ კიდევ გუშინ, სადაც ახლა სამარცხვინო ბოძზეა გაკრული, სიხარულითა და ზეიმით ესალმებოდნენ, ტაშით ეგებებოდნენ და ერთხმად ქილიკების პაპად გამოაცხადეს, ბოშებისა და გალილეელთა მეფეების თანხლებით საზეიმო სვლით დაატარებდნენ! მიშელ ნუარემ, ხელმწიფის ნაფიცმა მებუკემ ბრიყვი ბრბო გააჩუმა და მუსიე პრევოს ბრძანებისა და განკარგულების თანახმად, განაჩენი გამოაცხადა. შემდეგ უკან, ფორმიანი მამაკაცებისკენ დაიხია.

კვაზიმოდო ყველაფერს გულგრილად უყურებდა, წარბიც არ შეუხრია. სხეულზე ღრმად გადაჭერილი ღვედებითა და ჯაჭვებით შებოჭილს წინააღმდეგობა არ შეეძლო. მისთვის სულერთი იყო, როგორ მოეპყრობოდნენ. მის სახეზე ვერაფერს წაიკითხავდით, გარდა ველურის ან ყეყეჩის გაკვირვებისა. ყრუ რომ იყო, ყველამ იცოდა, ახლა ბრმაც კი ეგონათ. იგი წრიულ ფიცარზე მუხლებით დააყენეს, ქურთუკი და პერანგი გახადეს, საქამრემდე გაატიტვლეს, ღვედებისა და ბალთების ახალი წყება დაახვიეს, კიდევ უფრო მაგრად შეკრეს და თოკები უფრო საიმედოდ დაჭიმეს. კვაზიმოდოს წინააღმდეგობა არ გაუწევია, მხოლოდ დროდადრო ქშინავდა ხმაურით. - აი, ყეყეჩი, ნამდვილი ბრიყვი, - უთხრა ჟან ფროლო-მეწისქვილემ თავის მეგობარ რობერ პუსპენს (ორივე მსჯავრდებულს აედევნა), - მაგას კოლოფში დამწყვდეულ ცოფიჭამიაზე მეტი როდი გაეგება.

ბრბოში გიჟური ხარხარი გაისმა, როდესაც კვაზიმოდოს გაშიშვლებული კუზი, აქლემის მკერდი, კორძებიანი და ბანჯგვლიანი მხრები დაინახეს. ამ საერთო მხიარულების დროს ბაქანზე ჯმუხი, დაბალი ტანის ღონიერი მამაკაცი ავიდა და მსჯავრდებულის გვერდით დადგა. კაცს ფორმიან სამოსზე ქალაქის გერბი უჩანდა. მისი

სახელი ელვის სისწრაფით გავრცელდა. ეს გახლდათ მეტრ პიერა ტორტერიუ, შატლეს ნაფიცი ჯალათი.

ჯალათმა სამარცხვინო ბოძის ერთ-ერთ კუთხეში ქვიშის საათი დადგა. ორფეროვანი მოსასხამი მოიხსნა და ყველამ დაინახა მის მარჯვენა ხელზე გადაკიდებული თეთრი, გრძელღვედებიანი, ლითონის ელვარე წვრილი შოლტი. მარჯვენა მკლავზე პერანგის სახელო იღლიამდე დაუდევრად აიკაპიწა.

ამასობაში ჟან ფროლო რობერ პუსპენის მხრებზე ასულიყო, ქერა თავი ბრბოზე მაღლა აეწია და ყვიროდა:

- მობრძანდით, ნახეთ, ბატონებო და ქალბატონებო! ახლა დაუყოვნებლივ გაწკეპლავენ მეტრ კვაზიმოდოს, ჩემი ძმის, მუსიე არქიდიაკონ ჟოზასელის ზართამრეკავს. აი, აღმოსავლეთის ხუროთმოძღვრების სასაცილო ნიმუში, რომლის ზურგი გუმბათია, ხოლო ფეხები - ხვეული სვეტები. ბრბო ხარხარებდა, ყველაზე მეტად კი ბავშვები და ახალგაზრდა ქალიშვილები ხალისობდნენ. ჯალათმა ფეხი დააბაკუნა. ბორბალი დატრიალდა. ბორკილებგაყრილი კვაზიმოდო შეტორტმანდა. მის მახინჯ სახეზე გამოყეყეჩებული განცვიფრება რომ დაინახეს, ხარხარს უმატეს! იმ წუთს, როდესაც ბორბლის ერთ-ერთი შემოტრიალებისას კვაზიმოდოს ამობურცული ზურგი მეტრ პიერას პირდაპირ აღმოჩნდა, ჯალათმა ხელი ასწია, წვრილმა ღვედებმა ანკარა გველების ხლართივით მკვეთრი სტვენით გაიზუზუნეს და უბედურის მხრებს გაშმაგებით დააცხრნენ. კვაზიმოდო უეცრად გამოღვიძებულივით ადგილზე შეხტა.

ბორკილებში დაიგრიხა.

მოულოდნელობისა და ტკივილის ძლიერმა კრუნჩხვამ სახის კუნთები დაუღმიჭა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, გმინვა არ ამოხდენია. მხოლოდ თავი გადაიგდო უკან, ჯერ მარჯვნივ მიაბრუნა, შემდეგ მარცხნივ; თავს ისე აქანავებდა, როგორც ხარი, რომელსაც ბუ-

ზანკალი კბენს გვერდებში. პირველ დარტყმას მეორე მოჰყვა, მეორეს - მესამე, მესამეს - მეოთხე და ასე შეუჩერებლად. ბორბალი ბრუნავდა, შოლტი ზუზუნებდა. მალე სისხლიც თქრიალით წამოვიდა კუზიანის შავ მხრებზე და სეტყვასავით წამოსული გრძელი და წვრილი ღვედები სისხლის წვეთებს ხალხს აშხეფებდა. ერთი შეხედვით კაცს შეიძლება მოჩვენებოდა, რომ კვაზიმოდო ტკივილს ვერ გრძნობდა. ჯერ ბორკილების დამსხვრევას შეეცადა. ჩანდა, როგორ აენთო თვალი, როგორ დაეძაბა კუნთები, დაეძაბა სხეულის ნაწილები, ძალ-ღონე მოიკრიბა და ღვედები და ჯაჭვები დაჭიმა. ეს იყო ძლიერი, საოცარი, სასოწარკვეთილი ძალ-ღონის დაძაბვა. მაგრამ მართლმსაჯულების საუწყებოს ნაცადმა ბორკილებმა გაუძლო. დაღლილი კვაზიმოდო მოეშვა. მის გამოლენჩებულ სახეზე გაკვირვება ღრმა სასოწარკვეთილებამ შეცვალა. ერთადერთი თვალი დახუჭა, თავი მკერდზე დაკიდა და გაინაბა. ამის მერე აღარ განძრეულა. არც არაფერს შეეძლო მისი ამოძრავება, არც მოცქრიალე სისხლს, არც გაშმაგებულ დარტყმებს, არც ჯალათის განრისხებას, რომელსაც კიდევ უფრო აღაგზნებდა და ათრობდა ჯალათური საქმის აღსრულება.

ბოლოს, შავ ცხენზე ამხედრებულმა, შავით მოსილმა შატლეს სასამართლოს ბოქაულმა, რომელიც სასჯელის აღსრულების დაწყებიდან კიბის გვერდით იდგა, ებანოზის კვერთხი ქვიშის საათისკენ გაიშვირა. ჯალათი შეჩერდა, ბორბალმაც შეწყვიტა ტრიალი. კვაზიმოდომ ნელ-ნელა გაახილა თვალი. გვემა დამთავრდა. ნაფიცი ჯალათის ორმა ლაქია-მსახურმა მსჯავრდებულს სისხლიანი მხრები განბანა, მერე რაღაც საცხი წაუსვა, ჭრილობები მაშინვე შეიკრა და ზურგზე რაღაც, ომფორივით გამოჭრილი, ყვითელი ფეტამალი მოახურა. ამასობაში პიერა ტორტერიუ სისხლით გაჟღენთილ ღვედებს ქვაფენილზე ბერტყავდა.

მაგრამ კვაზიმოდოს წამება ამით არ დამთავრებულა. იგი სამარცხვინო ბოძზე კიდევ ერთ საათს უნდა დარჩენილიყო, რაც მეტრ ფლორიან ბარბედიენმა ასე ჭკვიანურად დაუმატა მუსიე რობერ დ'ესტურვილის განაჩენს - და ყოველივე ეს ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის დამაკავშირებელი ჟან დე კიუმენის ძველთაძველი სიტყვათა თამაშის სადიდებლად: Surdus adsurdus[1]! ქვიშის საათი ისევ გადააბრუნეს და კუზიანი ფიცარზე მიკრული დატოვეს მართლმსაჯულების ბოლომდე აღსასრულებლად. ხალხი, უფრო მეტად შუა საუკუნეებში, ვიდრე პირველყოფილი უვიცობის, ზნეობრივი და გონებრივი მცირეწლოვნობის მდგომარეობაში იმყოფება, მასზე, როგორც ბავშვზე, შეიძლება ვთქვათ: ეს ასაკი შეუბრალებელია[2]. კვაზიმოდო ყველას სძულდა და არცთუ უსაფუძვლოდ. ბრბო სამარცხვინო ბოძზე კვაზიმოდოს გამოჩენას საყოველთაო მხიარულებით შეეგება. მკაცრმა წამებამ, რაც მან განიცადა და იმ საბრალო მდგომარეობამ, რომელშიც ის დატოვეს, არამცთუ თანაგრძნობა აღძრა, ბრბო კიდევ უფრო გააბოროტა და დაცინვის ნესტარით შეაიარაღა. როდესაც მართლმსაჯულების სახელით „დანაშაულის საზოგადოებრივი დევნა" აღსრულდა, ჯერი მიდგა ათას პირად შურისგებაზე, აქაც, ისევე, როგორც დიდ დარბაზში, ყველაზე მეტად ქალები ხმაურობდნენ. ყველას რაღაც ჯავრი სჭირდა, ზოგს მისი ბოროტი საქციელის, ზოგს მისი სიმახინჯის გამო.

- ჰოი, ანტიქრისტეს ნიღაბო! - კიოდა ერთი ქალი.

- ჰეი, ცოცხის ტარის მხედარო! - უყვირა მეორემ.

- რა შემაძრწუნებელი სახის ნაოჭებია! - ღრიალებდა მესამე. - ეგ კიდევ რაა, - განაგრძო ერთმა ბებერმა ქალმა, - ასე რომ იმანჭება სამარცხვინო ბოძზე, რა იქნებოდა სახრჩობელაზე!

---

[1] *ყრუ უგუნურია.*
[2] *ლაფონტენი.*

- როდისღა დაგეცემა თავზე დიდი ზარი და ჩაგიტანს მიწაში ას ფუტზე, წყეულო ზართამრეკავო?

- და ეს ეშმაკი ზარის რეკვით მოგვიხმობს მწუხრის ლოცვაზე! - ოი, შე ყრუ! ცალთვალავ! ბრუციანო! ურჩხულო! კუზიანო!

- ეს სიფათი უფრო ადვილად წაუხდენს ორსულ ქალს მუცელს, ვიდრე ნებისმიერი ტრავმა! ჟან ფროლო-მეწისქვილე და რობენ პუსპენი მთელი ხმით გაჰკიოდნენ ძვე ლებურ მისამღერს: - თოკი სა-თოკეს! ცეცხლი მახინჯებს!

ათასი ლანძღვა-გინება, სტვენა-ყიჟინა, წყევლა-კრულვა, სი-ცილ-ხარხარი სეტყვასავით დააყარეს აქეთ-იქიდან. კვაზიმოდო ყრუ იყო, მაგრამ ნათლად ხედავდა, რომ ხალხის გაშმაგება არანაკ-ლები ენერგიით აისახებოდა მათ სახეებზე, ვიდრე სიტყვებში. ერ-თხანს მაგრად იყო, ჯალათის შოლტის ქვეშ დაძაბული მოთმინება მოიდრიკა და უკან მიდგა. მერე ნელ-ნელა მოავლო მუქარით აღ-სავსე თვალი ბრბოს, მაგრამ ხელფეხშეკრული მხოლოდ შეხედვით ხომ ვერ გარეკავდა ბუზებს, რომლებიც მის იარებს ჩაფრენოდნენ. მაშინ აბორგდა ბორკილებგაყრილი, სამარცხვინო ბოძის ძველმა ბორბალმა ჭრიალი დაიწყო. დამცინავი სტვენა-ყიჟინა კიდევ უფრო გაძლიერდა. მერე დამშვიდდა და დროგამოშვებით ჯაჭვით დაბმუ-ლი ნადირის გაშმაგებული გმინვა შეძრავდა ხოლმე მის გულ-მკერდს. იგი ძალიან ახლოს იდგა პირველყოფილ ბუნებასთან და არ იცოდა, რა იყო სირცხვილი. თუმცა, ასე მახინჯი ადამიანი განა შეიძლება სირცხვილს გრძნობდეს? მაგრამ რისხვა, სიძულვილი, სასოწარკვეთა ციკლოპის თვალში ელვის ნაპერწკლებად აენთო და სახეზე შავმა ღრუბელმა გადაუარა. ამ დროს სახედარზე მჯდომი ხუ-ცესი შენიშნა; მსჯავრდებულს მოღუშულ სახეზე რისხვა თანდათან სინაზით, ლმობიერებითა და გამოუთქმელი ალერსით შეეცვალა. ხუცესის მოახლოებასთან ერთად მისი ღიმილი უფრო მკაფიო, სხივ-

თამფრქვევი ხდებოდა, თითქოს მხსნელს ეგებებოდა. მაგრამ, როგორც კი ხუცესი სამარცხვინო ბოძს მიუახლოვდა და მსჯავრდებული იცნო, თვალები დახარა, სახედარი მაშინვე მიაბრუნა და დეზი ჰკრა, თითქოს ეჩქარებოდა დამამცირებელ ვედრებასა და თხოვნას გასცლოდა. არავითარი სურვილი არ ჰქოსდა კვაზიმოდოს დაენახა და დალაპარაკებოდა. ეს ხეუცესი მამა კლოდ ფროლო იყო.

შავმა ღრუბელმა კვლავ დაფარა კვაზიმოდოს შუბლი; ხანდახან გამოერეოდა ღიმილი, მაგრამ მწარე, მჭმუნვარე, სევდიანი, უაღრესად მწუხარე.

დრო გადიოდა, საათნახევარი მაინც იყო გაკრული, დაჭრილ-დასერილი, ნაწამები, უზომოდ შეგინებული, აბუჩად აგდებული და თითქმის ჩაქვავებული.

უცბად კვლავ აბორგდა ბორკილგაყრილი, სასოწარკვეთილი გაორმაგებული ძალით აქეთ-იქით აწყდებოდა, ნაგებობამ ზანზარი დაიწყო. მან დუმილი დაარღვია და ხრინწიანი, მძვინვარე ხმით იყვირა, რომელიც ძაღლის ყეფას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანის ძახილს. მისმა გმინვამ დაფარა ბრბოს გუგუნი, სტვენა და ყიჟინა: - წყალი!

სასოწარკვეთილმა შეძახილმა თანაგრძნობა როდი გამოიწვია, პირიქით, კიბის ირგვლივ შეგროვილ პარიზელებში მხიარულებამ იმატა. კვაზიმოდო ამ წუთებში უფრო სასაცილო და საზიზღარი იყო, ვიდრე შესაბრალისი; წითლად შეღებილი სახიდან ოფლი წურწურით სდიოდა, თვალს აქეთ-იქით დაბნეულად აცეცებდა. პირიდან ბრაზისა და ტანჯვისგან დუჟი მოსდიოდა, ენა სანახევროდ გამოეყო. ამ აჩოჩქოლებულ ბრბოში კიდეც რომ გამოჩენილიყო თუნდაც ერთი კეთილი სული, რომელიც შეეცდებოდა ჭიქა წყალი მიეტანა უბედური, ტანჯული ქმნილებისათვის, ამ სამარცხვინო ბოძს ბინძური საფეხურების ირგვლივ სირცხვილისა და თავის მოჭრის ისეთი ცრუ-

მორწმუნეობა მეფობდა, რომ ნებისმიერ წმინდანსაც კი ხელს კრავ-დნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ კვაზიმოდომ უიმედოდ თვალი მო-ავლო ბრბოს და კიდევ უფრო გულშემზარავი ხმით გაიმეორა: - წყა-ლი!

კვლავ სიცილ-ხარხარი გაისმა!

- აჰა. დალე! - უყვირა რობენ პუსპენმა და სახეში რუში ამოვლე-ბული ღრუბელი ესროლა. - დაიჭირე, საძაგელო ყრუ! მე შენი ვალი აქვს.

ერთმა დედაკაცმა თავში ქვა ესროლა:

- ეს გადაგაჩვევს ღამღამობით ჩვენს გაღვიძებას შენი წყეული ზართა რეკვით! - ეგეც შენ, შვილოსა, - ღრიალებდა ერთი დამბლა-დაცემული და თან ცდილობდა ყავარჯნით მისწვდომოდა, - კიდევ გაგვთვალავ ღვთისმშობლის ტაძრის მაღალი კოშკებიდან? - ეგეც შენ, - შეუძახა ვიღაც კაცმა და მკერდზე დამსხვრეული სურა მიაყა-რა. - შენ ჩემ ცოლს წინ ჩაუარე და იმანაც ორთავიანი ბავშვი გააჩი-ნა!

- ჩემმა კატამ კი ექვსთავიანი კნუტი დააგდო! - წრიპინებდა ვიღაც ბებერი. - წყალი! - მესამედ თქვა სულშეხუთულმა კვაზიმოდომ და ამ დროს დაინახა, როგორ გაიწია განზე ბრბო. უცნაურად ჩაცმული ყმაწვილქალი ხალხს გამოეყო. მას თან ახლდა ლამაზი თხა. გოგო-ნას ხელში დაირა ეჭირა. კვაზიმოდოს თვალი გაუბრწყინდა. ეს ხომ ის ბოშა იყო, რომლის მოტაცებასაც წინა ღამით ცდილობდა. ფიქ-რობდა, ამ თავხედური საქციელის გამო ხომ არ ვისჯები ასეო. თუმ-ცა, სამწუხაროდ, მისი დასჯის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ ყრუმ გა-ასამართლა. ეჭვი არ ეპარებოდა, ქალიშვილი ჯავრის ამოსაყრე-ლად მოდიოდა. კვაზიმოდოს ბრაზი ახრჩობდა. როგორ უნდოდა დაენგრია სამარცხვინო ბოძი და იგი მტვრად ექცია. ქალიშვილი უსიტყვოდ მიუახლოვდა მსჯავრდებულს, რომელიც ამაოდ იკლაკ-

ნებოდა; ქამრიდან მათარა მოიხსნა და უბედურს გამშრალ ტუჩებთან ფრთხილად მიუტანა. ყველამ დაინახა, რომ კვაზიმოდოს მანამდე გამშრალი და ანთებული თვალი აუწყლიანდა და სასოწარკვეთილებისგან დაღრეჯილ ისედაც მახინჯ სახეზე მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა. ალბათ, ეს ერთადერთი ცრემლი იყო მის ბედკრულ ცხოვრებაში. კინაღამ წყლის დალევა დაავიწყდა. ბოშა ქალმა მოუთმენლობისგან, ჩვეულებისამებრ, ტუჩი აიბზუა, თითქოს გაიბუტაო, შემდეგ გაიღიმა და მათარა კვაზიმოდოს პირთან მიუტანა. იგი ყლუპ-ყლუპით სვამდა. როცა წყალი დალია, უბედურმა გაშავებული ტუჩები გამოსწია, უთუოდ იმისთვის, რომ დაეკოცნა ლამაზი ხელი, მაგრამ გოგონამ, რომელიც, ალბათ, არც ენდობოდა და არც წინა ღამით მისი მოტაცება დავიწყებოდა, ხელი შეშინებული ბავშვივით უკან გასწია, აქაოდა, მხეცმა არ მიკბინოსო. ყრუმ ქალს საყვედურითა და სევდით აღსავსე თვალი მიაპყრო.

ამაღელვებელი სურათი იყო. ყველას გული მოულბო ამ სანახაობამ. მშვენიერმა, ნორჩმა, სპეტაკმა და ამავე დროს სუსტმა ასულმა ღვთიური მოწიწებით მიირბინა დასახმარებლად უბედურების, სიმახინჯისა და ბოროტების განსახიერებასთან. ეს სანახაობა მეტადრე დიადი იყო სამარცხვინო ბოძზე. თვით ბრბოც კი განცვიფრდა - ტაშისცემას და ყვირილს მოჰყვა: „დიდება! დიდება!“ ამ დროს განდეგილმა სოროს სარკმლიდან დაინახა ბოშა ქალი და ავბედითი წყევლა- კრულვა გაუგზავნა: - წყეულიმც იყავ, ბოშა გომბიო! წყეული! წყეული!

6.5. კვერის ამბის დასასრული

ესმერალდა გაფითრდა და სამარცხვინო ბოძის კიბე ბარბაცით ჩაიარა. განდეგილის ხმა მაინც უკან მისდევდა:

- ჩამოდი, ჩამოეთრიე, ეგვიპტელო ქურდო! სულ ერთია, ისევ ახვალ მანდ! - ძაძიანი ჟინიანობს, - ჩურჩულით ლაპარაკობდნენ ხალხში და მეტს აღარაფერს ამბობდნენ. ასეთი ქალები შიშს აღძრავდნენ, ამიტომ წმინდა და შეუვალი ხდებოდნენ. იმ დროს ერიდებოდნენ იმ ადამიანზე თავდასხმას, ვინც დღედაღამ ლოცულობდა.

კვაზიმოდოს წაყვანის დროც დადგა. იგი ახსნეს და ბრბოც გაიფანტა. მაიეტა, რომელიც თავის ორ თანამგზავრთან ერთად შინ ბრუნდებოდა, დიდ ხიდთან უცებ შეჩერდა:

- მართლა, ესტაშ, რა უყავი კვერი?

- დედიკო, - უთხრა ბავშვმა, - სანამ თქვენ ელაპარაკებოდით იმ დედაკაცს, სოროში რომ იყო, მოვიდა დიდი ძაღლი და მოკბიჩა, დანარჩენი მე შევჭამე. - როგორ, ვაჟბატონო, - უთხრა დედამ, - სულ შეჭამე?

- დედიკო, ეს ძაღლმა... ვუშლიდი, მაგრამ არ მისმინა... მეც მოვკბიჩე, გაიგე? - საშინელი ბავშვია, - თქვა დედამ ღიმილითა და ბუზღუნით, - იცით, უდარდა, ეს ერთი ჩამოჭამს ხოლმე ალუბლის ხეს შარლერანჟის ბაღში. პაპამისი ამბობს, კაპიტანი გამოვაო. მაცალეთ, მუსიე ესტაშ, კიდევ ჩამივარდებით ხელში; კარგი, გადმოადგი ფეხი, შე გაბერილო ღორმუცელავ!

7.1. თუ თხას ანდობ საიდუმლოს

რამდენიმე კვირამ გაიარა. მარტის პირველი დღეები იყო. მზე მაინც მხიარულად აფრქვევდა სხივებს. ნათელ, თბილ და მშვიდ დღეებში ღვთისმშობლის ტაძრით დატკბობა ყველაზე უპრიანია. ამ დროს ჩასასვლელად მომზადებული მზე ნელ-ნელა ტოვებს მოედნის ქვაფენილს, შვეულად აღმართულ ფასადზე მიიწევს და გამობურცულ ხუროთმოძღვრულ სამკაულებზე ჩრდილი ზემოდან ექცევა. ჩამავალი მზის სხივებით გაწითლებული კათედრალის პირდაპირ, მოედნისა და კარიბჭის ქუჩის კუთხეში, მდიდრული გოტიკური სახლის ქვის აივანზე რამდენიმე ლამაზი ქალიშვილი კეკლუცად იცინოდა და საუბრობდა. თუ მათი გრძელი ქვედაკაბების, აგრეთვე ნატიფად ნაქარგი კოფთების, მდიდრული სამკაულების და მეტადრე ხელების სითეთრის მიხედვით ვიმსჯელებთ, ადვილად მივხვდებოდით, რომ ისინი კეთილშობილი და მდიდარი ოჯახებიდან იყვნენ. მართლაც, ისინი ფლორ-დე-ლის დე გონდელორიე და მისი მეგობრები - დიანა დე კრისტეილი, ამლოტა დე მონმიშელი, კოლომბა დე გაიფონტენი და პატარა შანშევრიე იყვნენ. ისინი ქვრივ მადამ დე გონდელორიეს სტუმრობდნენ. აპრილში მუსიე დე ბოჟიო მეუღლითურთ პარიზს უნდა ჩამოსულიყო, რათა უფლისწულის საცოლის, მარგარიტასთვის სეფექალები შეერჩია. მაშინ ყველა დიდებული ცდილობდა ეს პატივი მის ქალიშვილს რგებოდა; მშობლებმა ჩამოიყვანეს ან გამოგზავნეს შვილები პარიზში და მადამ ალოიზა დე გონდელორიეს - მეფის მსროლელთა გარნიზონის ყოფილი უფროსის ქვრივს მიანდეს, რომელიც ერთადერთი ასულით განმარტოებით ცხოვრობდა პარიზის ღვთისმსობლის ტაძრის მოედანზე მდებარე სახლში.

აივნიდან, სადაც ახალგაზრდა ქალიშვილები იდგნენ, კარი მდიდრულად მორთულ ოთახში შედიოდა, რომლის კედლებზეც ოქროთი გაწყობილი ფლამადიური ტყავი იყო აკრული. ჭერზე გასწვრივად დაწყობილი კოჭები თვალს ხიბლავდნენ ოქროფერილი ნაძერწ-ნაქანდაკებით. აქ ყველაფერი მოწმობდა, რომ ამ სახლის დიასახლისი მდიდარი უნდა ყოფილიყო. ოთახის სიღრმეში, გერბებითა და ემბლემებით მორთული ბუხრის გვერდით, წითელ ხავერდგადაკრულ საუცხოო სავარძელში იჯდა მადამ დე გონდელორიე, რომელსაც ორმოცდათხუთმეტი წელი ტანსაცმელზეც ეტყობოდა და სახეზეც.

მის გვერდით იდგა საკმაოდ მედიდური სახის, ლამაზი ყმაწვილკაცი, თუმცა ცოტა მოფუქსავატო და თავმომწონე, ერთ-ერთი იმათგანი, ყველა ქალს რომ მოსწონს, ხოლო დარბაისლები მათ დანახვაზე მხრებს იჩეჩავენ. ყმაწვილს მეფის მსროლელთა გარნიზონის კაპიტნის ბრწყინვალე სამოსი ეცვა.

კეთილშობილი ასულებიდან ზოგი ოთახში იყო, ზოგი - აივანზე, ერთნი ხავერდგადაკრულ ოქროსფერ ბალიშებზე ისხდნენ, მეორენი - ყვავილებით მოჩუქურთმებულ მუხის სკამებზე. თითოეულ მათგანს მუხლებზე საქარგი ედო. ისინი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, თავშეკავებულად იცინოდნენ, როგორც ეს ახალგაზრდა ქალიშვილებს სჩვევიათ, როცა მათ შორის ყმაწვილკაცი იმყოფება. თუმცა, იგი თითქოს ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა და ყაწიმის აბზინდას ნატის ხელთათმანით გულმოდგინედ აპრიალებდა.

დროდადრო დიასახლისი დაბალი ხმით მიმართავდა ჭაბუკს, ისიც ერთგვარი ძალდატანებითი თავაზიანობით პასუხობდა. კაპიტანთან საუბრისას მადამ ალოიზას ღიმილსა და თავისი ქალიშვილისკენ მიპყრობილ მზერაზე ადვილად შეატყობდით, რომ საქმე ეხებოდა ახლო მომავალში ყმაწვილკაცისა და ფლორ დე-ლისის

ნიშნობას ან მათ ქორწინებას. კაპიტნის გულგრილ მიხრა-მოხრაზე ადვილად მიხვდებოდით, რომ აქ სიყვარულზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, განსაკუთრებით ვაჟის მხრიდან. მის სახეზე უხერხულობა და მოწყენილობა იკითხებოდა, რასაც გარნიზონის უმცროსი ლეიტენანტები საუცხოოდ გადმოთარგმნიდნენ - „აი, ძაღლური მოვალეობა“, - თუმცა, პატივცემული ქვრივი ძალიან ამაყობდა თავისი ასულით და კაპიტნის გულცივობას ვერც ამჩნევდა. ყოველნაირად ცდილობდა ვაჟის ყურადღება მიექცია და წამდაუწუმ ეუბნებოდა: - შეხედე, რა მარჯვედ ხმარობს ნემსსა და ძაფს ფლორ-დე-ლისიო. ცოტა ხნის შემდეგ ქვრივმა კაპიტანი სახელოთი თავისკენ მოქაჩა და ყურში უჩურჩულა: ერთი შეხედეთ, როგორ დაიხარა! - ნამდვილად, - ცივად უპასუხა ყმაწვილმა. ერთი წუთის შემდეგ იგივე განმეორდა: - ოდესმე შეგხვედრიათ თქვენს საცოლეზე უფრო მოხდენილი ქალიშვილი ასეთი თეთრი კანითა და ოქროსფერი თმით? განა მისი ხელები სრულქმნილი არ არის? მისი მომხიბლავი ყელი გედის ყელს არ გაგონებთ? ხანდახან შურსაც კი აღმიძრავთ! რა ბედნიერი ხართ, რომ მამაკაცად დაიბადეთ, თქვე საძაგელო, თქვენა! განა თაყვანისცემას არ იმსახურებს მომხიბლავი ფლორ-დე-ლისი? თქვენ ხომ თავდავიწყებით გიყვართ იგი?

- უთუოდ, - უპასუხა ყმაწვილკაცმა, თუმცა ფიქრებით სულ სხვაგან იყო. - მაგრამ... დაელაპარაკეთ, - უთხრა უცებ მადამ ალოიზამ და მხარზე ოდნავ უბიძგა, - უთხარით რამე. რაღაც მორცხვად გიჭირავთ თავი.

კაპიტანი შეეცადა თხოვნა აღესრულებინა.

- რას ქარგავთ? - ჰკითხა მან ფლორ-დე-ლისს.

- უკვე სამჯერ მოგახსენეთ, ნეპტუნის მღვიმეს, - ოდნავ ნაწყენი ხმით მიუგო ფლორ-დე- ლისმა. ცხადია, ფლორ-დე-ლისი დედაზე

ბევრად უკეთ ხედავდა გულცივ და უგულო დამოკიდებულებას მისდამი.

ვაჟმა იგრძნო, რომ საუბარი უნდა გაეგრძელებინა.

- მერედა, ვისთვისაა განკუთვნილი მთელი ეს ნეპტუნერია? - ჰკითხა მან. - სენტ-ანტუან-დე-შანის სააბატოსთვის, - თავაუღებლად უპასუხა ფლორ-დე- კაპიტანმა ნაქარგის ერთი კუთხე ასწია.

- ვინ არის, ეს ახოვანი აბჯროსანი, რომელიც მთელი ძალ-ღონით უბერავს საყვირს? - ეს ტრიტონია, - მიუგო ქალმა.

ფლორ-დე-ლისის მოკლე პასუხებში ნაწყენი კილო იგრძნობოდა. ყმაწვილკაცი მიხვდა, ქალისთვის ყურში რაღაც უნდა ეჩურჩულა, თუნდაც ეს სისულელე ყოფილიყო: - რატომ ატარებს დედათქვენი გერბებიან ძველებურ კაბას, როგორიც ჩვენს ბებიებს შარლ VII- ის დროს ეცვათ? გეფიცებით, ეს მოდაში აღარაა.

ფლორ-დე-ლისმა საყვედურით სავსე, ლამაზი თვალები მიაპყრო და ხმადაბლა უთხრა: - სულ ეგ არის, რაზეც შეგიძლიათ დაიფიცოთ?

როდესაც პატივცემულმა მადამ ალოიზამ დაინახა, როგორ გადახრილიყვნენ ისინი ერთმანეთისკენ და ჩურჩულებდნენ, ჩაილაპარაკა:

- სიყვარულის რა ამაღელვებელი სურათია!

შეცბუნებული კაპიტანი კი ხელსაქმისკენ დაიხარა და წამოიძახა: - მართლაც მშვენიერი ნამუშევარია!

სწორედ ამ დროს მეორე, თეთრსახიანმა, ცისფერ დამასკურ აბრეშუმში გამოწყობილმა ქერათმიანმა ლამაზმა ქალიშვილმა, კოლომბა დე გალფონტენმა, მოკრძალებული სიტყვა ჩაურთო იმ იმედით, რომ ლამაზი კაპიტანი გამოეპასუხებოდა:

- ძვირფასო გონდელორიე, გინახავთ როშგიიონის სასახლის ნაქარგობა? - ეგ ის სასახლე ხომ არაა, რომლის გალავანს მიღმაც ლუვრის თეთრეულის ზედამხედველი ქალის ბაღია? - სიცილით

იკითხა ლამაზკბილებიანმა დიანა დე კრისტეილმა, რომელიც ყოველთვის იცინოდა, როგორც კი საბაბი მიეცემოდა.

- იქ, სადაც პარიზის ძველი გალავნის დიდი ძველებური კოშკია? - დაუმატა ამლოტა დე მონმიშელმა, მშვენიერმა შავგვრემანმა, კულულებიანმა და ნორჩმა ქალიშვილმა, რომელსაც ოხვრა ჩვეულებად გადაქცეოდა, თუმცა, თვითონაც არ იცოდა, რატომ.

- ძვირფასო კოლომბა, - თქვა მადამ ალოიზამ, - თქვენ, ალბათ, მუსიე დე ბეკვილის სასახლეზე ლაპარაკობთ, შარლ VI-ის დროს რომ ცხოვრობდა? მართლაც, იქ დიდებული ნაქარგობა ინახება. - მეფე შარლ VI! - წაიბუტბუტა ახალგაზრდა კაპიტანმა ულვაშების გრეხით. - ღმერთო ჩემო, რა ძველთაძველი ამბები ახსოვს ამ პატივცემულ ქალბატონს! - ამ დროს ტანწერწეტა შვიდი წლის პატარა გოგონამ, ბერანჟერ დე შანშევრიემ, რომელიც აივნის ჩუქურთმათა შორის ფოლორცისკენ იყურებოდა, შესძახა; - ოჰ! შეხედეთ, მშვენიერო ნათლია ფლორ-დე-ლის, რა ლამაზი ქალი ცეკვავს ქვაფენილზე და დაირას უკრავს ხეპრეთა შორის!

დაირის ხმა ყველამ გაიგონა.

- ვინმე ბოშა ქალი იქნება ბოჰემიიდან, - თქვა ფლორ-დე-ლისმა და დაუდევრად შებრუნდა მოედნისკენ.

- ვნახოთ! ვნახოთ! - შესძახეს მკვირცხლად მისმა მეგობრებმა და აივნის მოაჯირთან მიირბინეს, საქმროს გულცივობის გამო ჩაფიქრებული ფლორ-დე-ლისი მათ დინჯად მიჰყვა. ამ შემთხვევის წყალობით, მძიმე საუბრისგან გათავისუფლებული სასიძო კი სამსახურში მოვალეობამოხდილის კმაყოფილი იერით თავის ადგილს დაუბრუნდა ოთახის სიღრმეში. „სასიამოვნოა მშვენიერი ასულის, ფლორ-დე-ლისის გვერდით თუნდაც გუშაგად დგომა“, ასეც ფიქრობდა უწინ კაპიტანი, მაგრამ თანდათან მობეზრდა, რაც უფრო ახლოვდებოდა მათი ქორწინება, მით უფრო გულგრილი ხდებოდა.

ამასთან, არც სიმტკიცით გამოირჩეოდა და ცოტა მდაბიურობისკენაც იყო მიდრეკილი. მიუხედავად მეტად წარჩინებული წარმოშობისა, სამხედრო სამსახურში ბევრი ქარაფშუტული ჩვევა შეითვისა. მას მოსწონდა სამიკიტნოს გარემო, რადგან იქ თავს თამამად გრძნობდა, ლამაზმანებსაც ადვილად შოულობდა და გამარჯვებასაც იოლად აღწევდა. თუმცა, ოჯახში გარკვეული აღზრდა მიიღო, საზოგადოებაში თავდაჭერა და ქცევაც ისწავლა, მაგრამ მეტად ახალგაზრდამ დატოვა მშობლიური სახლი და გარნიზონის ჯარში სამსახური დაიწყო, სადაც სამხრეების ტლანქი ხახუნისგან დღითიდღე ქრებოდა და იხეხებოდა მისი კეთილშობილური ბრწყინვალება. თუმცა, საზოგადოებრივი აზრის პატივისცემის ნიშნად, დროდადრო ეწვეოდა ხოლმე ფლორ-დე-ლისს, მაგრამ მასთან თავს ძალიან უხერხულად გრძნობდა; ჯერ ერთი, მთელი თავისი სიყვარული უხვად გაფანტა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და საცოლესთვის მცირედიღა მოიტოვა, მეორეც, სულ ეშინოდა, ვაითუ, ჩემმა პირმა ლაგამი აიწყვიტოს და ამ კეთილშობილ, ზრდილობიან ლამაზმანებთან გინება წამოსცდესო. წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა! თუმცა, ყოველივე ამას მისი კარგი გარეგნობა და გემოვნებით ჩაცმულობა ფარავდა. ბუხრის ჩუქურთმას დაყრდნობილი ერთხანს ასე იყო გაჩუმებული, ანაზდად ფლორ-დე-ლისი მისკენ შებრუნდა და ჰკითხა:

- განა თქვენ არ გვიამბეთ ბოშა გოგონაზე, რომელიც ამ ორი თვის წინ ღამის შემოვლისას მაწანწალებს ხელიდან გამოგლიჯეთ?

- დიახ, მგონი გიამბეთ, - უთხრა კაპიტანმა. - შეიძლება ეს ბოშა გოგონაა, კარიბჭის წინ რომ ცეკვავს. მობრძანდით, შეხედეთ, იქნებ იცნოთ, ფებუს!

შერიგების ფარული სურვილი იგრძნობოდა ქალის ამ თავაზიან შეთავაზებაში, აგრეთვე იმაშიც, რომ სახელით მიმართა. კაპიტანი

ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა აივანს. - მობრძანდით, - უთხრა ფლორ-დე-ლისმა და თან ფებუსს მკლავზე ნაზად შეახო ხელი, - შეხედეთ იმ პატარას, წრეში რომ ცეკვავს. თქვენი ბოშა გოგონა ხომ არ არის? ფებუსმა შეხედა და უპასუხა:

- დიახ, ისაა, თხით ვიცანი.

- ოჰ, მართლაც, რა ლამაზია მისი პაწია თიკანი! - შესძახა ამლოტამ და აღტაცებულმა ტაში შემოჰკრა.

- ნუთუ მართლა ოქროს რქები აქვს? - იკითხა ბერანჟერემ.

მადამ ალოიზა თავისი სავარძლიდან არ განძრეულა, ისე იკითხა: - ეგ იმ ბოშათაგანი ხომ არაა, შარშან ჟიბარის ჭიშკრით რომ შემოვიდნენ პარიზში? - დედა, - ტკბილად უთხრა ფლორ-დე-ლისმა, - მაგ ჭიშკარს დღეს ჯოჯოხეთის ჭიშკარს ეძახიან.

გონდელორიეს ასულმა იცოდა, კაპიტანს დედამისის ძველებურ ყაიდაზე საუბარი მაინცდამაინც არ მოსწონდა. მართლაც ყმაწვილი გულში დასცინოდა: - „ჟიბარის ჭიშკარი! მალე ისევ შარლ VI-ს მიადგება!“

- ნათლია! - წამოიძახა ბერანჟერემ, რომლის მოუსვენარი თვალები უეცრად ღვთისმშობლის კოშკის თხემზე შეჩერდა. - ვინ არის ის შავი კაცი ზემოთ?

ახალგაზრდებმა ზევით აიხედეს. კაცი, რომელიც ჩრდილოეთის კოშკის ზემო მოაჯირს დაყრდნობოდა და გრევის მოედანს გადმოჰყურებდა, ხუცესი იყო. იგი ქანდაკებასავით იდგა და მოედანს მიშტერებოდა. უძრავად გაყინულ ძერას ჰგავდა, რომელმაც ბეღურას ბუდე შეამჩნია. - ეს მუსიე არქიდიაკონია - ჟოზასელი, - თქვა ფლორ-დე-ლისმა. - თქვენ ძალიან გამჭრიახი თვალები გქონიათ, თუ აქედან იცანით! - შენიშნა გაიფონტენმა. - როგორ უყურებს პატარა მოცეკვავეს! - თქვა დიანა დე კრისტეილმა. - საწყალი ბოშა! - წარმოთქვა ფლორ-დე-ლისმა, - იგი ხომ ბოშათა მოდგმას ვერ იტანს. - ფრი-

ად სამწუხაროა, რომ ეგ კაცი ასე უყურებს, - დაუმატა ამლოტა დე მონმიშელმა, - გოგონა მომხიბლავად ცეკვავს.

- რაკი თქვენ იცნობთ ამ ბოშა გოგოს, ანიშნეთ აქ ამოვიდეს, გავერთობით, - უთხრა ანაზდად ფლორ-დე-ლისმა ფებუსს.

- ჰო, ჰო, გთხოვთ! - შესძახეს სხვებმაც და ტაში შემოჰკრეს. - მაგრამ ეს ხომ სიგიჟეა, - უპასუხა ფებუსმა, - მან უთუოდ დამივიწყა. მისი სახელიც კი არ ვიცი. თუმცა, რაკი თქვენ გნებავთ, ქალბატონებო, შევეცდები. აივნის მოაჯირზე გადაიხარა და დაუძახა:

- ჰეი, პატარავ!

მოცეკვავე გოგონა დაირას აღარ უკრავდა. მან თავი იქით მიაბრუნა, საიდანაც ძახილი მოესმა. გაბრწყინებული თვალები ფებუსს მიაპყრო და ადგილზე გაშეშდა. - ჰეი, პატარავ! - გაიმეორა კაპიტანმა და თითით ანიშნა ამოდიო. გოგონამ კიდევ შეხედა და გაწითლდა, თითქოს ლოყებზე ალმა გადაუარაო; დაირა იღლიაში ამოიჩარა, გაოცებულ მაყურებელთა წრე გაარღვია და ნელა, ბარბაცით, შემკრთალი, თვალებდაბინდული, გველის მიერ მონუსხული ჩიტივით გაემართა იმ სახლისკენ, საიდანაც ფებუსი უხმობდა და მალე ოთახის ზღურბლზე გამოჩნდა, გაწითლებული, დარცხვენილი, სუნთქვაგახშირებული; დიდრონი თვალები დაეხარა და ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდა.

მოცეკვავე გოგონას გამოჩენამ ქალიშვილებზე იშვიათი შთაბეჭდილება მოახდინა. უდავოა, რომ ყველა მათგანს აღაგზნებდა ბუნდოვანი და გაურკვეველი სურვილი - კაპიტანს მოსწონებოდა; მათი კეკლუცობის სამიზნე მისი ბრწყინვალე ტანსაცმელი იყო, მას აქეთ, რაც ის მათთან იმყოფებოდა, ქალიშვილებს შორის იდუმალი, ყრუ ქიშპობა დაიწყო, მართალია, ამას კარგად თავადაც ვერ აცნობიერებდნენ, მაგრამ ყოველ წუთს იგრძნობოდა მათ ქცევასა თუ საუბარში. რაკი ყველას ერთნაირი სასტარტო პირობები ჰქონდათ -

ყველა ლამაზი იყო, ამიტომ თითოეულს შეეძლო გამარჯვების იმედი ჰქონოდა. ბოშა გოგონას გამოჩენამ ეს წონასწორობა უცებ დაარღვია - იგი იშვიათი სილამაზისა იყო, როდესაც კარში გამოჩნდა, იფიქრებდით, იქაურობას საკუთარი შუქი მოაფრქვიაო. ამ ვიწრო ოთახში უფრო შეუდარებელი ჩანდა, ვიდრე მოედანზე. იგი დღის სინათლიდან წყვდიადში შეტანილ ჩირაღდანს ჰგავდა. ქალიშვილები უნებურად მოიხიბლნენ. თითოეულმა გულში ჩხვლეტა იგრძნო. მათი ფრონტის ხაზი წამსვე ისე შეიცვალა, რომ სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. ქალები ხომ ალღოთი უფრო სწრაფად უგებენ ერთმანეთს, ვიდრე მამაკაცები ჭკუა-გონებით. მათ საერთო მტერი გამოუჩნდა. ეს ყველამ იგრძნო, ყველა დაირაზმა. ლამაზ ქალთა კრებულს გუნება წაუხდა, ამიტომ ბოშა ქალი საოცრად ცივად მიიღეს. თავით ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერეს, ერთმანეთს გადახედეს და ამით ყველაფერი თქვეს. ბოშა გოგონა კი იდგა და ელოდა, როდის დაელაპარაკებოდნენ; იმდენად აღელვებული იყო, რომ ქუთუთოების აწევასაც კი ვერ ბედავდა. პირველად კაპიტანმა დაარღვია დუმილი.

- პატიოსან სიტყვას გაძლევთ, - თქვა მან თამამი და ქარაფშუტა კილოთი, - აი, მომხიბლავი ქმნილება! თქვენ რას ფიქრობთ, მშვენიერო ბიძაშვილო? - შენიშვნა, რომელსაც უფრო თავაზიანი თაყვანისმცემელი ხმადაბლა მაინც იტყოდა, ვერ გაფანტავდა იმ ქალურ ეჭვიანობას, რაც ბოშა ქალმა გამოიწვია.

ფლორ-დე-ლისმა თვალთმაქცურად და მოთაფლული ზიზღის კილოთი უპასუხა კაპიტანს: - არა უშავს.

სხვები კი ჩურჩულებდნენ. ბოლოს, მადამ ალოიზამ, რომელიც არანაკლებ ეჭვიანობდა თავისი ქალიშვილის გამო, მოცეკვავეს მიმართა:

- მომიახლოვდი, პატარავ!

- მიუახლოვდი, პაწიავ! - კომიკური სიდარბაისლითა და ღირსებით გაიმეორა ბერანჟერემ, რომელიც გოგონას ბარძაყამდე ძლივს სწვდებოდა. ბოშა გოგონა კეთილშობილი ქალბატონისკენ გაემართა.

- მშვენიერო ბავშვო, - უთხრა ფებუსმა მედიდურად და მისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, - არ ვიცი, მაქვს თუ არა ბედნიერება, რომ მიცნოთ, მე...

გოგონამ ღიმილით შეაწყვეტინა სიტყვა და უსაზღვრო ალერსით სავსე თვა ლები მიაპყრო: - ოო, დიახ!

- კარგი მეხსიერება ჰქონია, - შენიშნა ფლორ-დე-ლისმა.

- მაგრამ, - განაგრძო ფებუსმა, - იმ საღამოს რა სწრაფად გამექეცით. ნუთუ შეგაშინეთ? - ოჰ, არა! - თქვა ბოშა გოგონამ. ეს „ოჰ, არა!“ „ო, დიახ!“-ის შემდეგ ისეთი კილოთი წარმოთქვა, რომ ფლორ-დე-ლისს შიგ გულში მოხვდა. - თქვენს მაგიერ, ჩემო მშვენიერო, - განაგრძო კაპიტანმა, რომელსაც ქუჩის გოგოსთან საუბარმა ენა გაუხსნა, - შემატოვეთ ვიღაც კუშტი, პირქუში არამზადა, ბრუციანი და კუზიანი, მგონი, ეპისკოპოსის ზართამრეკავი. მითხრეს, რომელიღაც არქიდიაკონის ნაბიჭვარია და ეშმაკისგანაა შექმნილიო. სასაცილო სახელი აქვს. რაღა არ ჰქვია: „დიდმარხვის დღე,“ „ბზობის კვირა“ თუ „ყველიერი“, ერთი სიტყვით, კიდევ რაღაც დიდი საზეიმო სახელი აქვს! როგორ გაბედა თქვენი მოტაცება, თითქოს მნათეებისთვის იყოთ შექმნილი. ეს უკვე მეტისმეტია! ეშმაკმა დალახვროს, რა უნდოდა თქვენგან იმ გონჯს?

- არ ვიცი, - უპასუხა მან.

- რა თავხედობაა! ვიღაც ზართამრეკავი იტაცებს ქალიშვილს, თითქოს ვიკონტი ბრძანდებოდეს! ვიღაც ხეპრე ქურდმონადირე კეთილშობილთა ნადირს ასდევნებია. ეს იშვიათია! თუმცა ძვირად დაუჯდა. მეტრ პიერა ტორტერიუ ყველაზე ღონიერი მეჯინიბეა, რო-

მელმაც იცის ყალთაბანდების წამალი. თუკი ეს სიამოვნებას მოგანიჭებთ, მოგახსენებთ, რომ მან მარჯვედ დაამუშავა ზართამრეკავის ტყავი.

- საბრალო ადამიანია! - თქვა ბოშა გოგონამ და სამარცხვინო ბოძის სცენა გაახსენდა. კაპიტანმა გადაიხარხარა.

- ხარის რქებიც გამობმია! ეს თანაგრძობა ისევე უადგილოა, როგორც ფრთა ღორის უკანალზე! დაე, თუნდაც პაპის ღიპი გამომებას, თუ... - მაგრამ აქ უცებ გაჩუმდა, გაახსენდა, სად იყო. - მაპატიეთ, ქალბატონებო! მგონი, რაღაც სისულელე წამოვროშე. - ეგ ამ ქმნილების ენით ლაპარაკობს! - დაუმატა ხმადაბლა ფლორ-დე-ლისმა, რომელიც თანდათან იბოღმებოდა. ბოღმა არ განელებია, როცა ბოშა გოგონათი, უფრო სწორად საკუთარი თავით აღტაცებულმა კაპიტანმა საკმაოდ მიამიტური და ბრიყვული თავაზიანობით გაიმეორა:
- მშვენიერი გოგონაა, სულსა ვფიცავ!

- მაგრამ საკმაოდ ველურად აცვია, - თქვა დიანა დე კრისტეილმა და გაიღიმა, რათა ლამაზი კბილები გამოეჩინა. ეს აზრი ყველამ დროშასავით დაიჭირა ხელში და რაკი მის სილამაზეში ვერაფერი ნახეს საკბენი და საკბილო, ამიტომ მის სამოსს ეძგერნენ.

- მართლაც, პატარავ, - თქვა მონმიშელმა, - საიდან მოგივიდა თავში აზრად, რომ უგულისპირო პერანგითა და უყელსახვევოდ, უთავსაფროდ დარბიხარ ქუჩა-ქუჩა? - კაბის ქვედატანი კი იმდენად მოკლე გაცვია, რომ პირდაპირ შემაძრწუნებელია! - დაუმატა გალფონტენმა.

- ჩემო ძვირფასო! - საკმაოდ მჟავედ განაგრძო ფლორ-დე-ლისმა, - თქვენ გუშაგები შეგიპყრობენ თქვენი ოქროს სარტყლის გამო.

- პაწიავ, პაწიავ, - წამოიწყო ისევ დაუნდობელი ღიმილით კრისტეილმა, - ხელები რომ სახელოებით დაგეფარა, ასე არ დაგეწვებოდა მზეზე.

ჭეშმარიტად, ეს სანახაობა უფრო გონებაგამჭრიახი მაყურებლისთვის იყო, ვიდრე ფებუსი გახლდათ, რომელიც შეჰყურებდა ქუჩის მოცეკვავის ირგვლივ როგორ გველებივით იკლაკნებოდნენ, სრიალებდნენ, მოუსვენრობდნენ, ფუსფუსებდნენ და სისინებდნენ მოშხამული ენებით ეს ლამაზი ქალიშვილები. ისინი გულქვა კეკლუცები იყვნენ. ღვარძლით ჩხრეკდნენ და ქექავდნენ ზიზილ- პიპილებიან ღარიბულ და უცნაურ მორთულობას. სეტყვასავით დააყარეს ბოშა გოგონას ვითომ კეთილმოსურნე და მედიდური გესლიანი სიტყვები; გაავებული უყურებდნენ. კაცი იფიქრებდა, ახალგაზრდა რომაელი ქალბატონები გასართობად ოქროს ქინძისთავებს არჭობენ მკერდში ლამაზ მონა ქალსო. ისინი კოხტა მწევარ ძაღლებს ჰგავდნენ, ნადირობის ჟამს ნესტოებდაბერილნი, თვალებანთებულნი რომ უვლიან გარს ტყის საბრალო ფურირემს, რომლის გაგლეჯასა და შესანსვლას ბატონის მკაცრი გამოხედვა უკრძალავთ. რას წარმოადგენდა ამ დიდგვაროვანი ქალიშვილების წინაშე ქუჩის მოცეკვავე საცოდავი გოგო? მის იქ ყოფნას არავინ არაფრად აგდებდა და მასზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, როგორც უსუფთაო, უკადრის, ბილწ, თუმცა ლამაზ არსებაზე. ბოშა გოგონა კარგად გრძნობდა ამ ნემსების ჩხვლეტას. დროდადრო სახეზე სირცხვილის ალმური ედებოდა და თვალებში რისხვა უელვებდა. გეგონებოდათ, სადაცაა ბაგეთაგან რაიმე უხამსი დასცდებაო. ტუჩებს ხშირად ზიზღით იბზუებდა, მაგრამ დუმდა. უძრავად იდგა და ნაღვლიანი, მშვიდი თვალებით ფებუსს უყურებდა. მისი მზერა ბედნიერებასა და სინაზეს გამოხატავდა. იფიქრებდით, თავს იმის შიშით იკავებს, აქედან არ გააგდონო. ფებუსი კი იცინოდა და მოცეკვავეს უტიფრობანარევი თანაგრძნობით ექცეოდა. - დაე, ილაპარაკონ, ჩემო პატარავ! - იმეორებდა იგი ოქროს დეზების წკარუნით; - თქვენი ტანსაცმელი, რა თქმა უნდა, ცოტა უცნაური და ველურია, მაგრამ ისეთი ლამაზი ქალიშვი-

ლისთვის, როგორიც თქვენა ხართ, ეგ არაფერს ნიშნავს. - ღმერთო ჩემო, - წამოიძახა ქერა გაიფონტენმა და მწარე ღიმილით გედის ყელი მოიღერა, - ვხედავ, მეფის კაპიტანსაც ადვილად ეკიდება ბოშა ლამაზმანის თვალთაგან გაჩენილი ცეცხლი. - რატომაც არა? - თქვა ფებუსმა.

ამ პასუხზე, რომელიც კაპიტანმა დაუდევრად ისროლა, როგორც ალალბედზე გადაგდებული ქვა და თვალიც კი არ გაადევნა, სად დაეცემოდა, კოლომბამ სიცილი დაიწყო, იცინოდნენ დიანა, ამლოტა და ფლორ-დე-ლისიც კი, მაგრამ უკანასკნელს თვალებზე ცრემლიც მოადგა. ბოშა გოგონამ, რომელმაც კოლომბა დე გაილფონტენის სიტყვებზე თვალები დახარა, სიხარულითა და სიამაყით გაბრწყინებული თვალები კვლავ ფებუსს მიაპყრო. იგი მართლაც მშვენიერი იყო.

მოხუცი ქალბატონი თვალს ადევნებდა ამ სანახაობას და თავს შეურაცხყო ფილად გრძნობდა - ვერ გაეგო, რა ხდებოდა.

- წმინდაო მარიამ! - შეჰკივლა მან უცებ, - ეს რა მებლანდება ფეხებში? აჰ! საძაგელი ცხოველი! ეს თხა იყო, რომელიც პატრონის კვალს გამოჰყოლოდა და ქალბატონის კაბის კალთაში რქებით გაიხლართა. ამან ყველას ყურადღება მიიპყრო. ბოშამ უსიტყვოდ გაათავისუფლა თავისი თხა. - ოჰ! აგერ ოქროსჩლიქებიანი პაწაწა თიკანიც! - შესძახა ბერანჟერემ და სიხარულით შეხტა. ბოშა გოგონამ მუხლი მოიდრიკა და მოალერსე თხის თავს ლოყა მიადო, თითქოს პატიებას სთხოვს, ასე დიდხანს რომ მიატოვაო.

ამ დროს დიანა კოლომბას ყურისაკენ დაიხარა.

- ოჰ! ღმერთო ჩემო! ეს ადრე რატომ არ გამახსენდა? ეს ხომ ის ბოშა ქალია! ამბობენ, ჯადოქარია და მისი თხაც სასწაულებრივ რამეებს აკეთებსო.

- ძალიან კარგი, - თქვა კოლომბამ, - თუ ასეა, ჩვენც გაგვართოს მაგ თხამ და გვაჩვენოს რაიმე სასწაული.

დიანამ და კოლომბამ მკვირცხლად მიმართეს ბოშა ქალს:

- გოგონა, გააკეთებინე რაიმე სასწაული შენს თხას.

- არ მესმის, რას ამბობთ, - უპასუხა მოცეკვავემ.

- რაიმე სასწაული, თილისმა, რაიმე ჯადოსნობა.

- არ ვიცი. - და ისევ ლამაზ ცხოველს დაუწყო ალერსი, თან იმეორებდა: - „ჯალი! ჯალი!“ იმ წუთსვე ფლორ-დე-ლისმა შენიშნა თხის კისერზე ჩამოკიდებული მოქარგული ტყავის ქისა. - ეგ რა არის? - ჰკითხა ბოშა გოგონას.

- ეს ჩემი საიდუმლოა, - და დიდრონი თვალები მიანათა კაპიტანს. „ნეტა ვიცოდე, რა საიდუმლო გაქვს“, გაიფიქრა ფლორ-დე-ლისმა. ამ დროს პატივცემული დიდი ქალბატონი გაბრაზებული წამოდგა და თქვა: - ბოშა გოგოვ, თუ არც შენ და არც შენი თხა არაფერს გვიჩვენებთ, მაშ, რა გინდათ, აქ რაღას აკეთებთ?

ბოშა გოგონა უპასუხოდ, დინჯად გაემართა კარისკენ. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა გასასვლელს, მით უფრო ნელა ადგამდა ნაბიჯებს. თითქოს რაღაც მაგნიტი ეწეოდა უკან. უცებ შემობრუნდა, თავისი ცრემლიანი თვალები ფებუსს მიაპყრო და გაჩერდა. - ნამდვილად, უფალსა ვფიცავ, - შესძახა კაპიტანმა, - ასე წასვლა არ ეგების. დაბრუნდით და რაიმე იცეკვეთ. მართლა, რა გქვიათ, სანუკვარო?

- ესმერალდა, - თქვა თვალმოუშორებლად გოგონამ.

ამ უცნაური სახელის გაგონებაზე ახალგაზრდა ქალებს სიცილი წასკდათ. - ოი, რა საშინელი სახელია ქალიშვილისთვის! - თქვა დიანამ. - თქვენც კარგად ხედავთ, რომ იგი მჩხიბავია, - დაუმატა ამოტამ. - ჩემო ძვირფასო, - წამოიძახა ზეიმით მადამ ალოიზამ, - ასეთ სახელს თქვენი მშობლები ნათლობის ემბაზში ვერ იპოვიდნენ.

ამასობაში, ბერანჟერემ შეუმჩნევლად, ნუშის ნამცხვრით თხა ოთახის ერთ კუთხეში გაიტყუა. ერთ წუთში დაიმეგობრა. ცნობისმოყვარე გოგონამ თხას კისერზე ჩამოკიდული ქისა შეხსნა, პირი გაუხსნა და ჭილოფზე წამოყარა ანბანი, რომლის თითოეული ასო ცალ-ცალკე ეწერა ხის პატარა ფილაზე. როგორც კი ისინი ჭილოფზე გაიშალა, განცვიფრებულმა გოგონამ დაინახა, როგორ შეუდგა თხა ერთ-ერთი ,,სასწაულის" შესრულებას - ოქროსფერი ჩლიქით გარკვეული ასოები მიწი-მოსწია და ნელი წაბიძგებით განალაგა. წამში სწრაფად და უყოყმანოდ შეადგინა სიტყვა, რომელიც, როგორც ჩანს, კარგად ჰქონდა გავარჯიშებული. აღტაცებულმა ბერანჟერემ ტაში შემოჰკრა და წამოიყვირა: - ნათლია ფლორ-დე-ლის, ერთი შეხედეთ, რა ქნა თხამ!

ფლორ-დე-ლისმა მიირბინა და შეკრთა! იატაკზე გაშლილი ასოები შეადგენდნენ სიტყვას - ფებუს.

- ეს ამ თხამ დაწერა? - ჰკითხა ათრთოლებული ხმით.

- დიახ, ნათლია, - უპასუხა ბერანჟერემ.

დაეჭვება შეუძლებელი იყო; ბავშვმა წერა არ იცოდა. „აი, რა ყოფილა მისი საიდუმლო!" - გაიფიქრა ფლორ-დე-ლისმა.

ბავშვის შეძახილზე ყველამ მიირბინა. ბოშა გოგონამ დაინახა, რა სისულელე ჩაიდინა მისმა თხამ. ჯერ გაწითლდა, მერე გაფითრდა და კანკალი დაიწყო, თითქოს კაპიტნის წინაშე დანაშაულში ამხილესო. კაპიტანი გაკვირვებული და კმაყოფილი ღიმილით უცქერდა. - ფებუს! - ჩურჩულებდნენ განცვიფრებული ქალიშვილები. - ეს ხომ კაპიტნის სახელია! - საკვირველი მეხსიერება გქონიათ! - უთხრა ფლორ-დე-ლისმა გაშტერებულ ბოშა გოგონას, შემდეგ ქვითინი აუვარდა: - ოჰ, მართლაც ჯადოქარი ყოფილა! - და ლამაზი ხელები სახეზე მიიფარა. ხოლო გულიდან კიდევ უფრო მწუხარე ხმა მოესმა - „ის მეტოქეა" და გულწასული დაეცა. - ჩემო გოგონა, ჩემო

ასულო! - იყვირა შეშინებულმა დედამ. - გაეთრიე, ჯოჯოხეთის მოციქულო, ბოშის გომბიოვ!

ესმერალდამ თვალის დახამხამებაში წამოკრიფა ავბედითი ასოები, ჯალის ანიშნა და ერთ- ერთი კარიდან გავიდა. მეორე კარით კი ფლორ-დე-ლისი გაიყვანეს. მარტო დარჩენილი კაპიტანი ფებუსი ერთი წუთით შეყოვნდა, რომელ კარში გასულიყო; ბოლოს ბოშა ქალს აედევნა.

7.2. მღვდელი სხვაა, ფილოსოფოსი სხვა

ყოველდღე, მზის ჩასვლამდე ერთი საათით ადრე, არქიდიაკონი კლოდ ფროლო თავის სენაკში იკეტებოდა. ხანდახან მთელ ღამეს იქ ატარებდა. ერთ დღეს, როცა თავშესაფრის დაბალ კარს გასაღებს უყრიდა, დაირის ხმა მოესმა. კლოდმა გასაღები სწრაფად გამოიღო და თვალის დახამხამებაში კოშკის წვეროზე მოექცა, იმ მოღუშულ და ჩაფიქრებულ პოზაში, რომელშიც დიდგვაროვანმა ქალიშვილებმა შენიშნეს.

აქედან მთელი პარიზი მოჩანდა. ჰორიზონტზე მსუბუქად მოხაზული ბორცვების რკალით, დაკლაკნილი მდინარითა და ხიდებით, ქუჩებში ტალღასავით მობიბინე ხალხით, კვამლის ღრუბლებით, უსწორმასწორო ჯაჭვივით გაბმული შენობების სახურავებით. ამ ქალაქში არქიდიაკონი ქუჩის მხოლოდ ერთ კუთხეს ხედავდა, ხოლო იქ მყოფ ხალხში მხოლოდ ერთ არსებას - ბოშა გოგონას. ძნელი სათქმელი იყო, რას გამოხატავდა მისი გამოხედვა, რას გაეჩინა მის თვალებში ანთებული ცეცხლი. მზერაგაშტერებული კლოდი აღელვებულიც ჩანდა. მისი გაქვავებული სხეულის, ქვადქცეული იდაყვებისა და ბაგეებზე შეყინული ღიმილის დანახვაზე იტყოდით, ცოცხალი მხოლოდ თვალებიღა აქვსო.

მკვირცხლი, მსუბუქი, მხიარული ბოშა გოგონა ცეკვავდა. დაირას თითის წვერებზე ათამაშებდა და ვერ გრძნობდა იმ საზარელ მზერას, ტყვიასავით რომ ეცემოდა თავზე. ირგვლივ ხალხი ფუთფუთებდა. დროდადრო ვიღაც წითელ-ყვითელ ქურთუკში გამოწკეპილი მამაკაცი წრეს განზე სწევდა, შემდეგ მოცეკვავე ქალისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით სკამზე ჯდებოდა და მუხლებზე თხის თავს იხუტებდა. ჩანდა, ეს მამაკაცი ბოშა ქალს ახლდა. კლოდ ფროლო სიმაღლიდან მის სახეს კარგად ვერ ხედავდა; მისი ყურადღება თითქოს მოცეკვავესა და ამ მამაკაცს შორის გაიყო; სახე თანდათან ეღუშებოდა. უცებ წელში გასწორდა, ტანში ჟრუანტელმა დაურბინა. - ეს კაცი ვინაა? - წაიბუტ ბუტა მან, - მუდამ მარტო ვხედავდი. კლოდი ხვეული კიბით ძირს დაეშვა. როცა სამრეკლოს გაღებულ კარს ჩაუარა, კვაზიმოდო შეამჩნია, რომელიც ერთ-ერთი სენაკის წინ დახრილიყო და მოედნისკენ იხედებოდა. ცქერით იმდენად იყო გატაცებული, რომ მამობილი ვერც კი შეამჩნია. ველური თვალი უცნაურად უელავდა და მოცეკვავეს აღტაცებით უყურებდა.

- რა უცნაურია! - ჩაიდუდუნა გაკვირვებულმა კლოდმა. - ნუთუ ეგეც ბოშა გოგოს უყურებს? - და თავქვე სიარული განაგრძო. რამდენიმე წუთის შემდეგ შეწუხებული არქიდიაკონი კოშკის ძირში დატანებული კარიდან მოედანზე გამოვიდა. - სად გაქრა ბოშა გოგო? - იკითხა მან, როცა დაირის ხმაზე შეგროვილ მაყურებელთა ჯგუფს შეერია.

- არ ვიცი, - უპასუხა ერთ-ერთმა იქვე მდგომმა, - სადღაც გაქრა. მგონი, საცეკვაოდ დაუძახეს იმ მოპირდაპირე სახლში.

იმ ხალიჩაზე, რომელზეც ერთი წუთის წინ ბოშა გოგონა ცეკვავდა, არქიდიაკონმა მოცეკვავის თანამგზავრი მამაკაცი დაინახა, რომელიც წრეს უვლიდა, რათა რამდენიმე ვერცხლის ფული ეშოვა; სა-

ხედაწითლებულსა და კისერდაძაბულს კბილებით სკამი ეჭირა, ზედ კატა დაება, რომელიც შეშინებული ჩხაოდა.

- ღვთისმშობელო! - შესძახა არქიდიაკონმა, როდესაც გაოფლილმა ქუჩის ჯამბაზმა სკამისა და კატისგან აღმართული პირამიდით წინ ჩაუარა, - აქ რას აკეთებს მეტრ პიერ გრენგუარი? არქიდიაკონის მკაცრმა ხმამ საწყალი კაცი ისე დააბნია, რომ წონასწორობა დაკარგა და თავშეუკავებელ ყიჟინასა და ჟრიამულში სკამი კატიანად დამსწრეებს დაეცა. ალბათ, მეტრ პიერ გრენგუარს (რადგან ის სწორედ პიერ გრენგუარი იყო) უსიამოვნო ანგარიშის ჩაბარება მოუწევდა მეზობელთან, ნათხოვარი კატის, აგრეთვე მაყურებელთა დაჟეჟილი თუ გაკაწრული სხეულის ნაწილების გამო, სასწრაფოდ რომ არ ესარგებლა ამ არეულობით და თავი არ შეეფარებინა ეკლესიისთვის, საითაც კლოდ ფროლომ ანიშნა გამომყევიო. ტაძარში ბნელოდა, მხოლოდ ეკვდერთა კანდელები ციმციმებდნენ. მამა კლოდი სვეტს მიეყრდნო და გრენგუარს მიაშტერდა. გრენგუარს რცხვენოდა, რომ გამოჩენილმა სწავლულმა ჯამბაზის სამოსში წაასწრო, მაგრამ მის გამოხედვაში არც დაცინვა იგრძნობოდა და არც ირონია: იგი სერიოზული, მშვიდი სახით უყურებდა. დუმილი პირველად არქიდიაკონმა დაარღვია: - მოდით აქ, მეტრ პიერ. ბევრი რამ უნდა ამიხსნათ. ჯერ ერთი, რატომ არ ჩანდით, თითქმის ორი თვე? ახლა კი უცებ გნახულობთ გზაჯვარედინზე, ჭეშმარიტად უმშვენიერესი აღჭურვილობით, წითელ-ყვითელ სამოსში? - მუსიე, - თქვა საცოდავი ხმით გრენგუარმა, - ეს მართლაც სასაცილო და საკვირველი მორთულობაა და თქვენ ხედავთ, მასში შემკრთალ კატასავით ვგრძნობ თავს. ვაღიარებ, რომ ცუდად ვიქცევი და ქალაქის გუშაგებს საფრთხეში ვაგდებ, ვაითუ, ამ ქურთუკქვეშ დაფარული ფილოსოფოს- პითაგორელის გაჯოხვა მოუხდეთ. მაგრამ მიბრძანეთ, რა ვქნა, ჩემო ღირსეულო მასწავლებელო? ამაში ბრალი მიუძღვის

ჩემს ძველ კამზოლს, ქურთუკს, რომელმაც, ზამთარი დადგა თუ არა, უსირცხვილოდ მიმატოვა, ვიფლითები და აუცილებლად მჭირდება მოსვენება მეძონძის გუდაშიო. რას ვიზამ? ცივილიზაციას ჯერ კიდევ არ მიუღწევია განვითარების იმ საფეხურისთვის, რომ შიშველი სიარული შეიძლებოდეს, როგორც ეს დიოგენეს სურდა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ძალიან ცივი ქარია და არც იანვარია ისეთი თვე, როცა კაცს ცდის წარმატებით ჩატარების იმედი უნდა ჰქონდეს, რათა კაცობრიობა ამ ახალი გზის აღმოჩენით ერთი ნაბიჯით წინ წასწიოს. ამ დროს ხელში ჩამივარდა ეს ქურთუკი. მეც ავიღე და იქვე მივატოვე ჩემი ძველი, გაშავებული სამოსი, რომელიც ჩემისთანა ჰერმეტიკოსს ჰერმეტულად ვერ ფარავდა. და აი, სასაცილო სამოსით შევიმოსე. რა ვქნა, მიბრძანეთ, გეთაყვა? ეს ჩემი ვარსკვლავის დროებითი დაბნელებაა. - კარგი ხელობა კი აგირჩევია! - შენიშნა არქიდიაკონმა.

- გეთანხმებით, ჩემო მასწავლებელო, რომ ბევრად უკეთესია ფილოსოფოსობა და პოეტობა, ბრძმედში ცეცხლის ალის გაჩაღება ან ციდან ჩამოტანა, ვიდრე კატის ფარზე აღმართვა. ამიტომ როდესაც მოულოდნელად დამიძახეთ, ვირივით გამოვყეყეჩდი. მაგრამ, რა ვქნა, მოძღვარო? თავი ხომ უნდა ვირჩინო? ყველაზე ლამაზი ალექსანდრიული ლექსები ყველის მაგივრობას ვერ გაუწევს კბილებს. ამას წინათ მადამ მარგარიტა ფლამანდიელის პატივსაცემად ცნობილი საქორწინო პიესა დავწერე, რომელსაც თქვენ იცნობთ; მასში არაფერი გადამიხადეს, აქაოდა, სრულყოფილი არ არისო, ვინ დაწერს ოთხ ეკიუდ სოფოკლეს ტრაგედიას? შიმშილით სიკვდილი მელოდა. საბედნიეროდ, საკმაოდ ძლიერი ყბა აღმომაჩნდა, მე ვუთხარი მას: - მაჩვენე ენის ძალა და ეკვილიბრისტიკა და შენ თვითონ

ირჩინე თავი შენი. Ale te ipsam[1]. მოხეტიალე ხალხმა, რომლებიც ჩემი საუკეთესო მეგობრები გახდნენ, ოცნაირი ხერხი და ოინი მასწავლეს და ყოველ საღამოს მივირთმევ პურს, რომელსაც ისინი დღისით ჩემი შუბლის ოფლით შოულობენ. თუმცა, რა თქმა უნდა, გეთანხმებით, რომ ეს ჩემი გონებრივი უნარის მეტად უბადრუკი გამოყენებაა და ადამიანი იმისთვის როდია შექმნილი, თავისი სიცოცხლე დაირის დაკვრასა და სკამის ღრღნაში გაატაროს. მაგრამ, ღირსეულო მასწავლებელო, მარტო ის როდი კმარა, სიცოცხლე გავათრიოთ, ის უნდა შევინარჩუნოთ და დავიცვათ. მამა კლოდი წყნარად უსმენდა. უცებ მისმა თვალებმა ისეთი შორსმჭვრეტელი და გამჭრიახი, სულში ჩამწვდომი გამომეტყველება მიიღეს, გრენგუარმა იგრძნო, რომ იგი მისი სულის ბოლომდე გაჩხრეკას ცდილობდა, - ძალიან კარგი, მეტრ პიერ, მაგრამ, როგორ მოხვდით მოცეკვავე ბოშა ქალის საზოგადოებაში? - უნდა გამოგიტყდეთ, - უთხრა გრენგუარმა, - იქიდან, რომ ის ჩემი ცოლია და მე მისი ქმარი ვარ.

მღვდლის ბნელი თვალები ცეცხლივით აენთო.

- მერედა შენ ეგ ჩაიდინე, უბედურო? - უყვირა მან და თან გამძვინვარებულმა ხელი მოუჭირა, - ნუთუ ისე დაგგმო ღმერთმა, რომ მაგ გოგოს ხელი ახლე?

- ვფიცავ სამოთხის ჩემს წილს, მონსენიორ, - უპასუხა კანკალი, - გეფიცებით, არასოდეს მიხლია ხელი მისთვის, თუკი თქვენ ეს გაწუხებთ.

- მაშინ რა ცოლქმრობაზე ლაპარაკობ? - უთხრა მღვდელმა.

- სამწუხაროა, - თქვა მან ბოლოს, - მაგრამ, ეს იმიტომ ხდება, რომ ქალწულზე ვიქორწინე. - ამით, რისი თქმა გინდათ? - შეეკითხა არქიდიაკონი, რომელიც თანდათან მშვიდდებოდა. - საკმაოდ ძნე-

[1] *თავად გამოკვებე შენი თავი.*

ლი ასახსნელია, - უპასუხა პოეტმა. - ეს ერთგვარი ცრუმორწმუნეობაა. ჩემი ცოლი, როგორც ერთმა ბებერმა ქურდმა ამიხსნა, რომელსაც ჩვენთან დუკას, ჰერცოგს ეძახიან, მიტოვებული თუ დაკარგული ბავშვია. მას ყელზე ჰყიდია თილისმა, რომელიც, როგორც ირწმუნებიან, ერთ დღეს თავის მშობლებს აპოვნინებს, მაგრამ ძალას დაკარგავს, როგორც კი ქალიშვილი თავის უმანკოებას დაკარგავს. ამის გამო ორივე უბიწოდ ვცხოვრობთ. - ამრიგად, - განაგრძო კლოდმა, რომელსაც შუბლი თანდათან გაეხსნა და სახე გაუნათდა, - თქვენ ფიქრობთ, მეტრ პიერ, რომ ამ ქმნილებას ჯერ მამაკაცი არ მიჰკარებია? - რა ბრძანებაა, მამაო კლოდ, რას გააწყობს მამაკაცი ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, რომელიც მას ტვინში ღრმად აქვს გამჯდარი. ასეთი გადაჭარბებული მონაზვნური სათნოება, გააფთრებით რომ იცავს, ძალიან იშვიათია ბოშათა შორის. მას სხვა მფარველებიც ჰყავს: ბოშათა ჰერცოგი დუკა, რომელსაც იმედი აქვს, რომ ვინმე წყეულ აბატს მიჰყიდის; ამ გოგოს მისი ტომი ისე ეთაყვანება, როგორც ღვთისმშობელს; და ბოლოს, მას მფარველობს კოხტა ხანჯალიც, რომელსაც, მიუხედავად პრევოს ბრძანებისა, გოგონა მუდამ თან ატარებს და მაშინვე იელვებს თუ მოხვევას დაუპირებ. გარწმუნებთ, ძალიან ამაყი კრაზანაა!

არქიდიაკონმა კითხვა კითხვაზე დააყარა. გრენგუარისგან გაიგო, რომ ესმერალდა უწყინარი და მომხიბლავი ქმნილებაა; ლამაზი, გულუბრყვილო და ვნებიანი ქალიშვილი, ამ ცხოვრების არაფერი გაეგება და ყველაფერი აინტერესებს; ჯერ კიდევ არ იცის, რა განსხვავებაა დედაკაცსა და მამაკაცს შორის; უყვარს ცეკვა, ხმაური, ცხოვრება ღია ცის ქვეშ, სუფთა ჰაერზე; ქალი-ფუტკარია, რომელსაც ფეხებზე უხილავი ფრთები აქვს და რაღაც მუდმივ გრიგალში ცხოვრობს. მისი ბუნებაც მოხეტიალე ცხოვრების კვალდაკვალ ჩამოიქნა. მას ჯერ კიდევ ბავშვობაში შემოუვლია ესპანეთი, კატალო-

ნია სიცილია. ის ფიქრობდა, რომ ბოშათა ქარავანმა იგი ალჟირში ჩაიყვანა; ბოშები, გრენგუარის თქმით, ალჟირის მეფის, თეთრი მავრების ტომის მეთაურის ვასალები იყვნენ. მაგრამ, უტყუარი მხოლოდ ის იყო, რომ საფრანგეთში ჯერ კიდევ ბავშვი ესმერალდა უნგრეთის გამოვლით ჩამოვიდა. ყველა ამ ქვეყნიდან ქალიშვილმა თან მოიყოლა უცნაურ, ველურ კილოკავთა ნაფლეთები, უცხოური სიმღერები და აზრები, რამაც მისი ენაც ისევე ააჭრელა, როგორც მისი ნახევრად პარიზული, ნახევრად აფრიკული სამოსი. თუმცა, იმ უბნების მცხოვრებლებს, რომელთაც ის ხშირად სტუმრობს, სწორედ მხიარულების, თავაზიანობის, სიმკვირცხლის, ცეკვა-სიმღერის გამო უყვართ. გოგონა ფიქრობს, რომ მთელ ქალაქში მხოლოდ ორ პიროვნებას სძულს, რომლებზეც ხშირად შიშით ლაპარაკობს: როლანდის კოშკის საზიზღარ განდეგილს, რომელიც საბრალო გოგოს ყოველთვის წყევლის, როცა კი მისი სარკმლის წინ ჩაივლის და ვიღაც მღვდელს, რომელიც ყოველ შეხვედრაზე უცნაურად აშტერდება და საშინელ სიტყვებს ეუბნება.

უკანასკნელ სიტყვებზე არქიდიაკონი აღელდა, მაგრამ გრენგუარს ყურადღებაც არ მიუქცევია; იმდენად წაშლილიყო უზრუნველი პოეტის მეხსიერებაში იმ საღამოს უცნაური წვრილმანები, როდესაც პირველად დაინახა ბოშა გოგონა; ისიც კი დავიწყებოდა, რომ მაშინ არქიდიაკონიც იქ იყო. თუმცა პატარა მოცეკვავეს არაფრისაც არ ეშინოდა, ის ხომ არ მარჩიელობს, ამიტომ საშიშიც არაფერი აქვს, ბრალს ვერ დასდებენ ჯადოსნობაში, რასაც ხშირად უჩივიან ბოშა ქალებს. მერე რა, ქმრობას თუ არა, ძმობას მაინც ხომ უწევდა გრენგუარი. ფილოსოფოსი მოთმინებით იტანდა პლატონურ ქორწინებას. რაც უნდა იყოს, ბინა და ლუკმაპური მაინც ჰქონდა. ყოველ დილით ტოვებდა მაწანწალების თავშესაფარს, უფრო ხშირად ბოშა ქალთან ერთად და გზაჯვარედინებზე ფულის მოგროვებაში ეხმარე-

ბოდა. ყოველ საღამოს მასთან ერთად ბრუნდებოდა, მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა, თუმცა გოგონა ურდულით უკეტავდა თავის საკანს და წმინდანივით ეძინა. თუ ყველაფერს კარგად განვსჯით, ასეთი ყოფა, - ამბობდა გრენგუარი, - სასიამოვნოც კია და ხელს უწყობს ოცნებას. გარდა ამისა, ფილოსოფოსი სინდისს იფიცებდა, არც კი ვიცი მიყვარს თუ არა ბოშა გოგოო, რადგან თხა და ის ერთნაირად მიყვარსო და მოჰყვა თხის ქებას: სასიამოვნო, ჭკვიანი, გაგებული, ერთი სიტყვით, განსწავლული ცხოველიაო. შუა საუკუნეებში იშვიათი როდი იყო ასეთი განსწავლული ცხოველები, რომელთაც აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი და ხშირად კოცონზე აჰყავდა მწვრთნელი. მაგრამ ოქროსჩლიქებიანი თხის ჯადოქრობა ფრიად უმანკო ეშმაკობაა, - განაგრძობდა ფილოსოფოსი, არქიდიაკონი კი ცხოველი ინტერესით უსმენდა ამ წვრილმანებს, - საკმარისია თხას დაირა გაუწოდოთ, რომ ის თქვენთვის სასურველ ილეთს გააკეთებს. ასე გაწვრთნა იგი ბოშა ქალმა, რომელსაც ამ მახვილგონივრულ საქმეში იმდენად იშვიათი ნიჭი აქვს, რომ ორ თვეში თხას მოძრავი ანბანით ასწავლა სიტყვა „ფებუსის“ დაწერაო.

- ფებუსი! - თქვა ხუცესმა. - რატომ ფებუსის?

- არ ვიცი, - უპასუხა გრენგუარმა. - შესაძლოა, მას ჰგონია, რომ ამ სიტყვას რაღაც ჯადოსნური და იდუმალი ძალა აქვს, რომელსაც ხშირად იმეორებს ხმადაბლა, როცა ჰგონია, რომ მარტოა. - თქვენ დარწმუნებული ხართ, - უთხრა კლოდმა და თვალი თვალში გაუყარა, - რომ ეგ სიტყვაა და არა სახელი?

- ვისი სახელი? - ჰკითხა პოეტმა.

- აბა, რა ვიცი! - უთხრა მღვდელმა.

- აი, რას ვფიქრობ, მუსიე! ბოშები, ცოტა არ იყოს, ცეცხლთაყვანისმცემლები არიან და მზეს აღმერთებენ. აქედან წარმოდგება სიტყვა „ფებუს“.

- არა მგონია, ისეთი ცხადი იყოს, როგორც თქვენ გეჩვენებათ, მეტრ პიერ. - თუმცა, არც მანაღვლებს. დაე, იდუდუნოს, რამდენიც ნებავს - „ფებუს“. უდავოა, რომ ჯალის თითქმის ისევე ვუყვარვარ, როგორც ეს გოგო.

- ეგ ჯალი ვინღაა?

- თხაა.

არქიდიაკონმა ხელი ნიკაპზე მიიყრდნო და ერთი წუთით ჩაფიქრდა. უცბად გრენგუარისკენ მოსხლეტით შემობრუნდა: - მაშ, მეფიცები, რომ არ შეხებიხარ? - ვის? - ჰკითხა გრენგუარმა. - თხას?

- თხას კი არა, ქალს.

- ჩემს ცოლს? გეფიცებით, რომ არა!

- ხშირად ხარ მასთან მარტო?

- ყოველ საღამოს, ერთ საათს მაინც.

მამა კლოდმა წარბები შეიკრა.

- ოჰ! ოჰ! Solus cum sola non cigitabuntur orare Pater-noster[1]. - სულს გეფიცებით, მასთან შემიძლია წავიკითხი „მამაო ჩვენოც.“ „ავე მარიაც“ და Credo in Deum patrum omnipoten[2], მაგრამ ის ისევე მომაქცევს ყურადღებას, როგორც ქათამი ეკლესიას. - შემომფიცე წიაღი დედაშენისა, რომ თითიც არ დაგაკარებია ამ ქმნილებისთვის, - რიხით გაუმეორა არქიდიაკონმა.

- მამაჩემსაც გეფიცებით, რადგან მათ შორის გარკვეული კავშირია. მაგრამ, ღირსეულო მასწავლებელო, ნება მომეცით, მეც დაგისვათ ერთი კითხვა.

- ბრძანეთ, მუსიე.

- რა საქმე გაქვთ თქვენ ყოველივე ამასთან?

---

[1] *როცა კაცი მარტოა ქალთან, „მამაო ჩვენოს“ წაკითხვაზე არ იფიქრებს. (ლათ.).*

[2] *კათოლიკური ლოცვის პირველი სიტყვები: მწამს ღმერთი, ყოვლადძლიერი მამა ჩვენი. (ლათ.).*

არქიდიაკონს ფერმკრთალი სახე ყმაწვილქალივით შეუფარკლდა. ერთხანს პასუხი არ გაუცია. შემდეგ კი აშკარად დაბნეულად უპასუხა:

- მისმინეთ, მეტრ პიერ გრენგუარ, რამდენადაც ვიცი, თქვენ ჯერ კიდევ არ წაგიწყმედიათ სული. მაინტერესებს თქვენი ბედი და კეთილს გისურვებთ. სულ მცირე მიკარებაც კი ამ დემონურ ბოშა ქალთან სატანის მსახურად, ეშმაკის კერძად გაქცევთ. თქვენ ხომ იცით, რომ ხორცი მუდამ წარწყმედს სულს. და ვაი თქვენ, თუ ახლოს მიეკარეთ ამ ქალს! სულ ეს არის, რაც მინდოდა მეთქვა. - ერთხელ კინაღამ ვცადე, - თქვა გრენგუარმა ყურის ფხანით, - ეს იყო პირველ დღეს, მაგრამ დამსუსხა.

- გეყოთ თავხედობა, მეტრ პიერ. - და ხუცესს სახე მოეღრუბლა. - მეორედ, - განაგრძო პოეტმა ღიმილით, - სანამ დავწვებოდი, ჭუჭრუტანიდან შევიჭვრიტე და ვიხილე პერანგისამარა უმშვენიერესი ქალი.

- ეშმაკსაც წაუღიხარ, წადი აქედან! - უყვირა ხუცესმა და საზარელი თვალები ჩააშტერა. მხარზე ხელი ჰკრა გაშტერებულ გრენგუარს და გრძელი ნაბიჯებით ტაძრის ყველაზე ბნელ თაღქვეშ გაუჩინარდა.

7.3. ზარები

იმ დღიდან, რაც კვაზიმოდო სამარცხვინო ბოძზე დასაჯეს, კათედრალის ახლოს მცხოვრებლებმა შეამჩნიეს, რომ მას ზარების რეკვის ცეცხლი გაუნელდა. უწინ ზარები ყველა საბაბით ირეკებოდა. გაჭიანურებული ზარის რეკვა ისმოდა წირვის დროს და ცისკრის ლოცვიდან მწუხრის სერობამდე გრძელდებოდა; დიდი ზარის გუგუნი ავსებდა არემარეს ლიტურგიის, ქორწილის ან ნათლობის დროს.

ათრთოლებული და მოგუგუნე ტაძარი ზართა მხიარული ხმებით იყო სავსე. მასში მუდამ იგრძნობოდა არსებობა ხმაურა და თავნება სულისა, რომელიც სპილენძის პირით მღეროდა და თითქოს გაქრა. ტაძარი მოწყენილი ჩანდა და სიამოვნებით იცავდა დუმილს. დღესასწაულებსა და დასაფლავების დროს ისმოდა მშრალი, სადაგი, უბრალო ხმები, როგორც ამას საეკლესიო წესი მოითხოვდა. იმ ორმაგი გუგუნიდან, რომელიც ეკლესიიდან ისმის: ორღანი - შიგნით, ზარები - გარეთ, დარჩა მხოლოდ ორღანის ჰანგები. იფიქრებდით, სამრეკლოს მუსიკოსები მოაკლდაო. მაშინ, როდესაც კვაზიმოდო მუდამ იქ იყო. რა მოუვიდა, რა დაემართა? ნუთუ გულის სიღრმეში ისევ ბუდობდა სამარცხვინო ბოძზე განცდილი სირცხვილი და სასოწარკვეთა, ნუთუ ჯალათის მათრახმა ყველაფერი ჩაუკლა, თვით ზარებით გატაცებაც კი? ან იქნებ ზართამრეკავის გულში „მარიას“ მეტოქე გამოუჩნდა და იოლად დათმო ხარება დღეს რაღაც უფრო მშვენიერის გამო.

ისე მოხდა, რომ 1482 წლის ხარება 25 მარტს, სამშაბათს დაემთხვა. იმ დღეს ჰაერი ისეთი სუფთა და გამჭვირვალე იყო, რომ კვაზიმოდოს ზარებისადმი სიყვარული ისევ მოეძალა. ჩრდილოეთის კოშკზე ავიდა. ზედა სამრეკლოს მიაღწია თუ არა, ერთხანს ექვსივე ზარს შეხედა და თავი ნაღვლიანად გააქნია, თითქოს წუხდა, რომ მათსა და მის გულს შორის ვიღაც ჩამდგარიყო. ისინი გააქან-გამოაქანა თუ არა, ხელში ზართა მტევნის ამოძრავება იგრძნო; როდესაც დაინახა (რადგან არ ესმოდა), როგორ ავიდა და დაეშვა ამ მოგუგუნე კიბეზე მთრთოლვარე ოქტავა, როგორც ტოტიდან ტოტზე მოფრთხიალე ჩიტი, როდესაც მუსიკის ეშმამ, დემონმა მელოდიის ბრწყინვალე ასხმულა გადმოაფრქვია და საბრალო ყრუ დაიპყრო, ბედნიერება კვლავ დაუბრუნდა, ყველაფერი დაივიწყა და შვება, რომელიც მისმა გულმა იგრძნო, სახეზეც აესახა. წინ და უკან მიდი-

მოდიოდა, ხელებს ატყაპუნებდა, ერთი თოკიდან მეორესთან მირბოდა, ხმითა და ხელით ისევე ამხნევებდა თავის ექვს მომღერალს, როგორც ლოტბარი ორკესტრის მუსიკოსებს.

- აბა, მიდი, მიდი, გაბრიელ! დასჭექე შენი მქუხარე ხმით. დღესასწაულია. ტიბო, ნუ გეზარება! უკან რჩები. მიდი, მიდი! ნუთუ, ჟანგი მოგეკიდა, მცონარავ? - ჰო, ასე კარგია! სწრაფად, მკვირცხლად! დასცხე, დასჭექე, რომ ისინიც ჩემსავით დააყრუო! ასე ტიბო, ყოჩაღ! გილიომ! გილიომ! შენ ხომ ბევრად დიდი ხარ, პასკიე კი პატარა, მაგრამ ის გჯობნის. დავნაძლევდეთ, რომ მათ, ვისაც სმენა აქვს, მისი ხმა უფრო უკეთესად ესმის, ვიდრე შენი. - კარგია! კარგი! ჩემო გაბრიელ, აბა, ღონივრად! ეგრე, უფრო ღონივრად! ჰეი, თქვენ, ბეღურებო! რას აკეთებთ მანდ, მაღლა? არ გეტყობათ, რომ ხმას იღებდეთ. იმის მაგიერ, რომ იმღეროთ, სპილენძის ნისკარტები დაგიღიათ და ამთქნარებთ? აბა, ამუშავდით! დღეს ხარებაა. მშვენიერი დღეა. ზართა გუგუნიც დიდებული უნდა იყოს. საბრალო გილიომ! ძლივსღა ქშინავ, ჩემო გაბერილო! კვაზიმოდო გართული იყო ზარების წაქეზებით და ექვსივე აქეთ-იქით მიმოქროდა, ვინ ვის ასწრებდა. ანაზდად ფიქალის სამრეკლოდან გადაიხედა და მოედანზე უცნაურად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი დაინახა, რომელმაც მიწაზე ხალიჩა გაშალა და ზედ პატარა თხა დაწვა. მათ ირგვლივ ხალხი შეგროვდა. ამ სანახაობამ წამსვე შეცვალა მისი ფიქრთა კალაპოტი და მუსიკალური აღტყინებაც გაუნელა. კვაზიმოდომ ზარებს ზურგი შეაქცია, ქვადაფის საჩეხს უკან ჩაცუცქდა და მოცეკვავეს ჩაფიქრებული, ნაზი და ალერსიანი მზერა მიაპყრო, რამაც ერთხელ უკვე გააკვირვა არქიდიაკონი. ზარები დადუმდნენ, რამაც იმედი გაუცრუა ზართარეკვის მოყვარულებს, რომლებიც ზარების გუგუნს ზარაფთა ხიდიდან უსმენდნენ და შეცბუნებულნი იქაურობას გაშორდნენ.

7.4. ANANKE

შაბათს, იმავე მარტის 29 რიცხვში, წმ. ესტატეს დღეს, სტუდენტმა ჟან ფროლო-მეწისქვილემ შარვლის ჩაცმის დროს შეამჩნია, რომ ქისაში ლითონის წკრიალი აღარ ისმოდა. - საცოდავო, ჩემო ქისავ! - თქვა და ჯიბიდან ამოაცურა, - როგორ! არც ერთი პარიზულიც აღარ გდია! რა ულმობლად გამოგფატრეს მუცელი კამათლებმა, ლუდის ტოლჩებმა და ვენერამ! რა დაცარიელებული და დამჭკნარი ხარ! ბებრუხანას ჰგავხარ. გეკითხებით, მუსიე ციცერონ და მუსიე სენეკა, რომელთა ყბამოღრეცილი თხზულებანი აგერ ფილაქანზე ყრია, გეკითხებით, ბატონებო, რა ხეირია, თუ ზარაფხანის უფროსზე ან ებრაელზე უკეთ ვიცი, რომ ოქროს ეკიუ ოცდათხუთმეტი უნცია ღირს, ოცდახუთი სუ - რვა პარიზული დინარი? რა ხეირია ჩემთვის, თუ ერთი საცოდავი შავი ლიარიც არ მაბადია, კამათელში რომ გამერისკა! ჰო, კონსულო ციცერონო! აი, გაჭირვებაც ამას ჰქვია! - თან ნაღვლიანად იცვამდა. უცებ თავში ერთმა აზრმა გაუელვა, ჯერ მოიგერია, მაგრამ მერე ისევ დაუბრუნდა, ჟილეტი უკუღმა ჩაიცვა, რაც მძაფრი შინაგანი ბრძოლის აშკარა ნიშანი იყო, ბოლოს ქუდი იატაკზე მაგრად მოისროლა და შეჰყვირა: - მით უარესი! რაც იქნება, იქნება. წავალ ჩემს ძმასთან. მართალია, ქადაგებას გადავეყრები, სამაგიეროდ, ერთ ეკიუს მაინც შევეყრები. სწრაფად გადაიცვა ფართოსახელოიანი და ბეწვმოვლებული მოკლე ქურთუკი, ქუდი იატაკიდან აიღო და გარეთ გავარდა.

ასაწევი ხიდის ქუჩას თავქვე დაუყვა სიტეს მიმართულებით. როდესაც ნაღარის ქუჩაზე ჩაიარა, მუდამ მბრუნავ შამფურებზე წამოცმულმა მწვადის საუცხოო სუნმა მისი ყნოსვის ორგანოს შეუღიტინა, სიყვარულით შეავლო თვალი უშველებელ სასაუზმეს. მაგრამ ჟანს საუზმის ფული არ ჰქონდა, ღრმად ამოიოხრა და სიტეს შესასვლელ-

ში, პტი-შატლეს მასიურ კოშკთა ქვეშ უზარმაზარი ფარული კარი გაიარა. ჟანი წუთითაც არ შეჩერებულა, რომ ჩვეულების თანახმად დახრილიყო და ქვა ესროლა პერინე ლეკლერკის უბადრუკი ქანდაკებისთვის, რომელმაც შარლ VI-ის დროს პარიზი ინგლისელებს ჩააბარა და ამ დანაშაულის გამო სამარადისო სამარცხვინო ბოძს მიკრული, მოსანანიებლად დგას ასაწევი ხიდისა და ბიუსის ქუჩის კუთხეში, ქვებით დაჭრილი და ტალახით მოსვრილი.

ჟანი პატარა ხიდზე გავიდა, სენტ-ჟენევიევას ქუჩა გაიარა და ღვთისმშობლის ტაძრის წინ აღმოჩნდა. აქ კვლავ გაუბედაობამ აიტანა, რამდენიმე წამს „მუსიე ლეგრის“ ქანდაკების ირგვლივ გაიარ-გამოიარა და დამწუხრებულმა გაიმეორა:

- ქადაგება უდავოა, ეკიუ - საეჭვო.

ტაძრიდან გამოსულ ერთ-ერთ მსახურს ჰკითხა:

- სად არის მუსიე არქიდიაკონი ჟოზასელი?

- მგონი, კოშკის სამალავში, - უთხრა ეკლესიის მსახურმა, - გირჩევთ, არ შეაწუხოთ, თუკი, რა თქმა უნდა, მისი ბრწყინვალება პაპის ან მეფის გამოგზავნილი არ ბრძანდებით. ჟანმა ტაში შემოჰკრა.

- ყოჩაღ ბიჭო, კარგ ფეხზე მოვსულვარ! აი, დიდებული შემთხვევა, ჯადოქრის ყბადაღებულ საკანსაც ვნახავ!

ამ აზრმა საბოლოოდ გადააწყვეტინა ძმა ენახა, გაბედულად მიადგა პატარა შავ კარს და კოშკის ზედა სართულისკენ მიმავალ კიბეს აუყვა, თან თავის თავს ეუბნებოდა, - მაპატიოს ღვთისმშობელმა, უნდა დავრწმუნდე. ფრიად ღირსშესანიშნავი რამ უნდა იყოს ეს საკანი, რომელსაც ჩემი ღირსეული ძმა ისე მალავს, როგორც საკუთარ სირცხვილს! ამბობენ, აქ, ჯოჯოხეთის სამზარეულოში, დიდ ცეცხლზე ფილოსოფიურ ქვას ხარშავსო. ღმერთო ჩემო! რაში მაინტერესებს ფილოსოფიური ქვა, მერჩია მის სამზარეულოში სააღ-

დგომო ერბოკვერცხი მენახა, ვიდრე ამქვეყნად ყველაზე უფრო დიდი ფილოსოფიური ქვა!

სვეტებიან ტალანს რომ მიაღწია, წუთით სული მოითქვა და გრძელ კიბეს შეაგინა. ჩრდილოეთის კოშკის ვიწრო კარი გაიარა და რამდენიმე წუთის შემდეგ ვიწრო დერეფანში, თაღქვეშ დაბალ, სრულ კარს წააწყდა, რომელზეც ბოქლომი ეკიდა, შიგ გასაღები იდო. - უჰ! - თქვა სტუდენტმა, - უთუოდ აქაა. - მან კარი ნელა შეაღო და თავი შეყო. უთუოდ გინახავთ რემბრანდტის საუცხოო ქმნილებები. მათ შორის განსაკუთრებულია ერთი - დოქტორი ფაუსტი. სწორედ ფაუსტის საკნის მსგავსი რამ დაუდგა თვალწინ ჟანს, როდესაც ნახევრად გაღებულ კარში თავის შეყოფა გაბედა. ჩაბნელებულ და ოდნავ განათებულ ოთახში დიდი სავარძელი და დიდი მაგიდა იდგა, ირგვლივ ფარგლები და კომპასები ეყარა; ჭერზე ცხოველების ჩონჩხები ეკიდა; იატაკზე გლობუსი გორავდა; ცხენის თავის ქალები შენაცვლებით ეწყო მინის ქილებში, რომლებშიც ოქროს ფირფიტები ციმციმებდა, სახებითა და ასოებით აჭრელებულ პერგამენტებზე მკვდრების თავის ქალები ეწყო, გაშლილი ხელნაწერი ეტრატები ერთმანეთზე დაზვინულიყო. ერთი სიტყვით, მთელი ნაგავი მეცნიერებისა აქ მოეხვეტა და ყველაფერს ამ ხარახურის მტვერი და აბლაბუდა მოსდებოდა. მაგრამ აქ არც ანთებულ ასოთა წრე იყო და არც დოქტორი, რომელიც აღტყინებული აკვირდება აგიზგიზებულ მოჩვენებას. სავარძელში ზურგშექცევით იჯდა მაგიდისკენ გადახრილი მამაკაცი. ამიტომ ჟანი მხოლოდ მის მხრებსა და კეფას ხედავდა. მან ადვილად იცნო ძმის მელოტი თავი. ჟანმა კარი ისე ნელა გააღო, რომ ძმამ მისი შესვლა ვერ გაიგო. ცნობისმოყვარე სტუდენტმა ამით ისარგებლა და სენაკი სწრაფად დაათვალიერა. სარკმლიდან შემოჭრილი სინათლე მრგვალ სარკმელში გაჭრილ არქიტექტორ-აბლაბუდას კვეთდა, კერიასთან უწესრიგოდ ეყარა ჭურჭელი, სურები,

თიხის გორგოლები, შუშები, ნახშირიანი კოლბები. ჟანმა ოხვრით შენიშნა, რომ ტაფა არსად იყო - „აი, სამზარეულოც ამას ჰქვია“ - გაიფიქრა მან. ჩანდა, დიდი ხანია, ღუმელში ცეცხლი არ აენთოთ. ალქიმიკოსის სხვა ხელსაწყოთა შორის ჟანმა კუთხეში მიგდებულ-მივიწყებული, მტვრიანი შუშის ნიღაბი შეამჩნია, რომლითაც არქიდიაკონი უთუოდ სახეს იცავდა, როცა რომელიმე საშიშ ნივთიერებას აზავებდა. გვერდით არანაკლებ მტვრიანი საბერველი ეგდო, რომლის ზემო ფრთაზე სპილენძის ასოებით ამოკვეთილი იყო სიტყვა - Spira, Spera[1]. ჰერმეტიკოსთა ჩვეულების თანახმად, კედლებზე უამრავი გამონათქვამი იყო დაწერილი - ზოგი მელნით, ზოგიც ლითონით ამოფხაჭნილი. ერთმანეთში იყო არეული გოთური, ებრაული, ბერძნული და რომაული ასოები; უწესრიგოდ, ალალბედზე, ერთიმეორეზე მიწერილი ძველი გამონათქვამები ახალს დაეფარა; ყოველივე ეს ჯაგნარის ტოტებივით ერთმანეთში გადახლართულიყო, როგორც შუბები ხელჩართულ ბრძოლაში. ამ წარწერებიდან ხან აქ, ხან იქ ერთი რომელიმე გამოირჩეოდა, როგორც დროშა შუბების ტევრში; ალაგ-ალაგ მოჩანდა აბდაუბდა წარწერები ძველებრაულ ენაზე. ეს იყო შეხება ყველა ფილოსოფიასთან, კაცობრიობის დაგროვილ სიბრძნესთან. მაგრამ, უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ნივთები საკანში კაცს აფიქრებინებდა, რომ მათ პატრონს უკვე დიდი ხანია ხელი აეღო ამ საქმეზე და სულ სხვა საზრუნავს შეეპყრო. კლოდი უცნაურნახატებიან ხელნაწერზე დახრილიყო და, როგორც ჩანდა, რაღაც აზრი ტანჯავდა. ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა ჟანს, რადგან ფიქრებში გართული მისი ძმა ფუჭ მეოცნებესავით, თითქოს თვალღიას ცხადლივ ეზმანებაო, შიგადაშიგ წამოიძახებდა ხოლმე: - „დიახ, ამას ამბობს მანუ და ზოროასტრიც: მზე იშვა ცეც-

[1] *ისუნთქე, იმედი გქონდეს (ლათ.).*

ხლისგან, მთვარე - მზისგან. ცეცხლი სულია მთელი სამყაროსი, სადაც უსაზღვრო ნაკადებად განუწყვეტლივ მოსჩქეფს მისი პირველადი ატომები. ეს ნაკადები ცაზე ერთმანეთს გადაკვეთენ და გადაკვეთის წერტილებში სინათლეს წარმოშობენ, ხოლო დედამიწაზე, თავიანთი გადაკვეთის წერტილებში - ოქროს. სინათლე და ოქრო ერთი და იგივეა. ოქრო - ცეცხლია მყარ მდგომარეობაში. განსხვავება ხილულსა და მატერიალურს, თხევადსა და მკვრივს შორის ერთი და იმავე სუბსტანციისთვის იგივეა, რაც წყლის ორთქლსა და ყინულს შორის. ეს არ არის ფანტაზია, ეს ბუნების ზოგადი კანონია. როგორ გამოიყენოს მეცნიერებამ ეს იდუმალი კანონი? რა! ჩემს ხელზე დაღერილი შუქი ოქროა? საქმე იმაშია, რომ გარკვეული კანონით გაფართოებული სუბსტანციები, სხვა გარკვეული კანონითაა გაუხშოებული. როგორ ხდება ეს? ზოგმა მზის სხივის დედამიწაში დამარხვა მოიგონა. ავეროესმა დაამარცხა მზის სხივი პირველი სვეტის ქვეშ, ყურანის საკურთხევლის მარცხნივ, კორდოვას დიდ მეჩეთში. მაგრამ, აკლდამის გახსნა და იმის დადგენა, რამდენად წარმატებული იყო ეს მცდელობა, მხოლოდ რვა ათასი წლის შემდეგ შეიძლება.“ „ეშმაკსაც წაუღია! - თქვა თავისთვის ჟანმა, - დიდხანს მომიწევს ერთი ეკიუსთვის ლოდინი“. „სხვები ფიქრობენ, - განაგრძო ოცნებით გატაცებულმა არქიდიაკონმა, - უკეთესია ეს ცდა სირიუსის სხივზე ჩავატაროთ, რომლის მიღება წმინდა სახით ძალიან ძნელია, რადგან სხვა ვარსკვლავების ერთდროული ნათების გამო გზად სხივები ერთმანეთში ირევა. ფლამელს მიაჩნია, რომ ყველაზე მარტივად ეს ცდა შეიძლება მიწიერ ცეცხლზე ჩატარდეს. - ფლამელ! რა წინასწარმეტყველური სახელია, Flamma[1]!“ - დიახ, ცეცხლი. სულ ესაა. ნახშირი შეიცავს ალმასს, ოქრო - ცეცხლშია. მაგრამ, როგორ მივი-

[1] *ალი, ცეცხლი.*

ღოთ იგი? მაგისტრები ამტკიცებენ, რომ არსებობს ქალთა სახელები, რომელთაც ნაზი და იდუმალი მომხიბვლელობა აქვთ, საკმარისია, ცდის დროს ისინი წარმოთქვათ და იგი წარმატებით დამთავრდება. წავიკითხოთ რას ამბობს ამაზე მანუ: - „სადაც ქალები პატივში არიან, იქ ღმერთები კმაყოფილნი არიან, სადაც ქალები სძულთ, იქ ღმერთისადმი ვედრება ამაოა. ქალის ბაგე მუდამ წმინდაა; იგი მზის მოჩუხჩუხე სხივია. ქალის სახელი სასიამოვნო, ტკბილი, სათუთი, საოცნებო უნდა იყოს; გრძელი ხმოვნით ბოლოვდებოდეს და ღვთისმსახურების სიტყვებს ჰგავდეს.“ - დიახ, ბრძენი მართალია, მართლაც, მარია, სოფია, ესმერალ... ჯანდაბა! ისევ ის აზრი“ - და არქიადიკონმა წიგნი მძიმედ დახურა. ხელი შუბლზე გადაისვა, თითქოს აბეზარ აზრს იგერიებსო. შემდეგ მაგიდიდან ლურსმანი და უცნაური ფიგურებით აჭრელებული ჩაქუჩი აიღო. „რამდენი ხანია, - თქვა მან მწარე ღიმილით, - ყველა ჩემი ცდა მარცხით მთავრდება. რაღაც აკვიატებულ აზრს შევუპყრივარ და თითქოს გავარვარებული შანთით მიდაღავს ტვინს. კასიოდრუსის საიდუმლოც ვერ ავხსენი, რომელსაც ლამპა უპატრუქოდ და უზეთოდ ენთო. სულ უბრალო რამე კია!“

„აი, უბედურება“ - წაიდუდუნა თავისთვის ჟანმა.

„..საკმარისია, - განაგრძო ხუცესმა, - რაღაც ერთი უბედური აზრი, რომ ადამიანი გააგიჟოს! ოო, როგორ დამცინებდა კლოდ პერნელი, რომელმაც ერთი წუთითაც ვერ ჩამოაცილა ნიკოლა ფლამელი თავის დიდ საქმეს! მერე რა, თუ ხელთ მაქვს ზეხიელის ჯადოსნური ჩაქუჩი! ყოველთვის, როგორც კი ეს საშინელი რაბინი თავისი სენაკის სიღრმეში ამ ჩაქუჩს არტყამდა, აი, ამ ლურსმანს, მისგან შეჩვენებული ნებისმიერი მტერი, თუნდაც ორი ათასი მილით ყოფილიყო დაშორებული, მიწა შთანთქავდა; თვით საფრანგეთის მეფეც კი, იმის გამო, რომ ერთ საღამოს ამ სასწაულმოქმედის კარზე და-

უდევრად დააბრახუნა, მუხლებამდე პარიზის ქვაფენილში ჩაეფლო. სამი საუკუნეც არ გასულა მას შემდეგ, ჰოდა, მერე რა! ახლა მე მაქვს ჩაქუჩიცა და ლურსმანიც, მაგრამ ჩემს ხელში ისინი იგივეა, რაც ზეინკლის ხელში. სხვა საქმეა, თუ ვიპოვი ჯადოსნურ სიტყვას, რომელსაც ზეხიელი წარმოთქვამდა, როცა ლურსმანს ურტყამდა.“ „რა სისულელეა?“ - გაიფიქრა ჟანმა.

„ვნახოთ, ვცადოთ, - განაგრძო მკვირცხლად არქიდიაკონმა. - თუ წარმატებას მივაღწიე, მაშინ უნდა შევამჩნიო ლურსმნის თავზე დაფრქვეული ცისფერი ნაპერწკლები. - ემენ-ჰეტან! ემენ-ჰეტან! - დაე, ამ ლურსმანმა საფლავი გაუთხაროს, ვისაც სახელი ფებუსი ჰქვია!.. დასწყევლოს ღმერთმა! ისევ ის! მუდამ და მარად ერთი და იგივე აზრი!“ გაბრაზებულმა ჩაქუჩი გადააგდო და სავარძლის ზურგს ამოეფარა. რამდენიმე წუთს ჟანი ვერაფერს ხედავდა, გარდა რომელიღაც წიგნზე მისი მოკრუნჩხული მუშტისა. უცებ მამა კლოდი წამოდგა, ფარგალს ხელი დაავლო და კედელზე ასომთავრული ბერძნულით ამოკვეთა - ANANKE.

„ჩემი ძმა გაგიჟებულა,“ - თავისთვის ჩაილაპარაკა ჟანმა. - უფრო ადვილია atum-ის დაწერა. სავალდებულო არაა ყველამ ბერძნული იცოდეს.

არქიდიაკონი ისევ სავარძელში ჩაჯდა და ავადმყოფივით დამძიმებული და გახურებული შუბლი ხელებში ჩარგო.

სტუდენტი განცვიფრებით ადევნებდა თვალს ძმას. ჟანს ვერაფერი გაეგო; თვითონ თავს სრულ თავისუფლებას ანიჭებდა, ამქვეყნად ბუნების მხოლოდ ერთ კანონს მისდევდა - გულისწადილს, ვნებებს თავის მიდრეკილებათა კალაპოტში წარმართავდა, მუდამ დამშრალ გრძნობათა ტბას ყოველ დილას უხვად უჩნდებოდა ახალი შენაკადები; ამიტომ ვერ აცნობიერებდა, როგორი გაშმაგებით დუღს და ბობოქრობს ადამიანურ ვნებათა ზღვა, როდესაც გამოსავალს

ვერ პოულობს; არ იცოდა, როგორ გროვდება, ივსება, დუღდება, როგორ აწყდება ნაპირებს, როგორ წალეკავს გულს, როგორ აუტ-ყდება ყრუ ქვითინი და უხმო კრუნჩხვა, ვიდრე ჯებირებს არ გაარ-ღვევს და საკუთარ კალაპოტს არ გაჭრის. კლოდ ფროლოს მკაცრ გარეგნობას, მიუკარებელი და მიუღწეველი სათნოების ცივ გამო-მეტყველებას ჟანი ყოველთვის შეცდომაში შეჰყავდა. მხიარული სტუდენტი ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ამ ყინულის მწვერვალის სიღრმეში მდუღარე და აბობოქრებული ნიაღვარი იმალებოდა. მი-უხედავად თავქარიანობისა, მიხვდა, რომ ისეთი რამ ნახა, რაც არ უნდა ენახა - უფროს ძმას ყველაზე ინტიმურ ვითარებაში წაასწრო; კლოდს ეს არ უნდა გაეგო. როგორც კი დაინახა, არქიდიაკონი კვლავ გაირინდა, კარს უკან ფეხების ფრატუნს მოჰყვა, აქაოდა, ეს-ესაა მოვედიო. - შემობრძანდით, - დაიძახა არქიდიაკონმა სენაკი-დან, - განგებ დავტოვე გასაღები კარში. შემობრძანდით, მეტრ ჟაკ!

სტუდენტი თამამად შევიდა. არქიდიაკონი შეკრთა, მისი სტუმრო-ბამ აშკარად არ ესიამოვნა და სავარძელში შეიშმუშნა.

- როგორ! თქვენ ბრძანდებით, ჟან?

- დიახ, ჩემი სახელიც „ჟ“-ზე იწყება, - უპასუხა მოურიდებლად სტუდენტმა. მამა კლოდმა მკაცრი გამომეტყველება მიიღო.

- რატომ მობრძანდით აქ?

- ჩემო ძმაო, - დაიწყო ჟანმა და ცდილობდა საწყალი და მოკრძა-ლებული იერი მიეღო, თანაც უცოდველი კრავივით ქუდს ატრია-ლებდა, - მოვედი, გთხოვოთ... - რა?

- მცირე დარიგება, რაც ძალიან მჭირდება. - ჟანმა ვერ გაბედა ხმამაღლა დაემატებინა, „და ცოტა ფული, რაც უფრო მეტად მჭირ-დებაო.“

- ყმაწვილო, - უთხრა არქიდიაკონმა ცივად, - ძალიან ნაწყენი ვარ თქვენზე. - სამწუხაროა! - ამოიოხრა სტუდენტმა.

მამა კლოდმა სავარძელი შემოაბრუნა და ჟანს მიაშტერდა.

დასაწყისი საშინელი იყო, კარგს არაფერს მოასწავებდა, ჟანი ძლიერი დარტყმების მისაღებად მოემზადა.

- ჟან, თქვენზე საყვედურებს ყოველდღე ვისმენ. ახალგაზრდა ვიკონტი ალბერ დე რამონშანი ჯოხით გიცემიათ...

- ოჰ! დიდი საქმე! - თქვა ჟანმა. - ვიღაც წამხდარი ჯეელია, იმით ერთობოდა, ცხენს ტლაპოში დააჭენებდა და სტუდენტებს სვრიდა.

- მაიე ფარჟელი ვინღაა, ტანსაცმელი რომ ჩამოახიეთ? - განაგრძო არქიდიაკონმა, - Tunicam dechiraverunt[1], - ნათქვამია საჩივარში. - ერიჰა! მონტეგიუს ერთ-ერთი სტუდენტის უხეირო ლაბადა! ეგ არის და ეგ, მეტი არაფერი! - საჩივარში ნათქვამია tunicam და არა cappetam[2]? ლათინური ხომ იცით? ჟანმა პასუხი არ გასცა.

- დიახ! - განაგრძო მღვდელმა თავის ქნევით, - აი, როგორ სწავლობენ ახლა მეცნიერებას და ლიტერატურას. ლათინური ძლივს გაეგებათ, სირიული სულ არ იციან, ხოლო ბერძნულ ენას საერთოდ უგულებელყოფენ.

სტუდენტმა გაბედულად შეხედა.

- ჩემო ძმაო, გნებავთ წმინდა ფრანგულ ენაზე განგიმარტოთ ის ბერძნული სიტყვა, აი, იქ, კედელზე რომ სწერია? - რომელი სიტყვა?

- ANANKE.

არქიდიაკონის ყვითელ ღაწვებს სიწითლემ დაჰკრა, მაგრამ სტუდენტმა ეს ძლივს შენიშნა. - კეთილი, ჟან, - წაილუღლუღა უფროსმა ძმამ, - რას ნიშნავს ეს სიტყვა? - ბედისწერას.

მამა კლოდი ისევ გაფითრდა და სტუდენტმაც უზრუნველად განაგრძო: - ხოლო ცოტა ქვემოთ იმავე ხელით ამოკვეთილი სიტყვა Αναγνηεια კი „უწმინდურებას“ ნიშნავს. ხედავთ, მე ვიცი ბერძნული.

---

[1] *პერანგი დაუხიეს.*

[2] *პერანგი და არა ლაბადა.*

არქიდიაკონი დუმდა. ბერძნული ენის გაკვეთილმა ჩააფიქრა.

ჟანმა, რომელსაც განებივრებული ბავშვის ეშმაკობა ახასიათებდა, უაღრესად ტკბილი ხმით დაიწყო:

- ჩემო კეთილო ძმაო, ნუთუ იმდენად გძულვარ, რომ ასე მკაცრად მეპყრობით, აქაოდა, რაღაც ორიოდე სილა გავაწანი ანდა პატიოსან ბრძოლაში ხანჯლით გავკენწლე ვიღაც ბიჭები და ქონდრისკაცები, quibusdam marmosetis? - ხომ ხედავთ, ჩემო კარგო ძამიკო, მეც გამეგება რაღაც. მკაცრ უფროს ძმაზე პირმოთნეობამ უწინდელი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ცერბერი თაფლის კვერმა ვერ მიიტყუა. ერთი ნაოჭიც ვერ შეარხია არქიდიაკონის შუბლზე. - რის მიღწევას ცდილობთ? - ჰკითხა მან უკმეხად.

- კარგი, გეტყვით, რაც მინდა, - უპასუხა მამაცურად ჟანმა, - ფული მჭირდება. ამ თავხედურ განცხადებაზე არქიდიაკონმა დამრიგებლურ-მამობრივი გამომეტყველება მიიღო.

- ახალგაზრდავ, ხომ იცით, რომ ჩვენი ლენური სამფლობელო ტირშაპი, ღალისა და ოცდაერთი სახლის ყოველწლიური შემოსავლის ჩათვლით, სულ ოცდაცხრამეტ ლივრს, თერთმეტ სუს და ექვს პარიზულ დინარს იძლევა. მართალია, ეს ნახევარჯერ მეტია, ვიდრე ძმები პალეების დროს იყო, მაგრამ ბევრი მაინც არ არის.

- ფული მჭირდება, - მტკიცედ უთხრა ჟანმა.

- ახალგაზრდავ, თქვენ იცით, რომ სასულიერო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩვენი ოცდაერთი სახლი მთლიანად, როგორც ვასალური სამფლობელო, დამოკიდებულია ეპარქიაზე და ამ პატივისცემას ვერ გამოვისყიდით, თუ მის ყოვლადუმაღლესობას, ეპისკოპოსს არ გადავუხდით ორ ვერცხლის მარს[1] თითოეულს ექვსი პა-

[1] *mar = ძველებური წონა, რვა უნცია.*

რიზული ლივრის ფასად. მე კი ეს თანხა ჯერ არ დამიგროვებია და თქვენ ეს იცით.

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ფული მჭირდება, - მესამედ გაიმეორა ქანმა. - მერედა რისთვის?

ჟანის თვალებში იმედის სხივი აინთო. კატასავით დაიმანჭა და მოთაფლული ხმით უთხრა: - მომისმინეთ, ძვირფასო ძმაო, ცუდი განზრახვით არ მოგმართავდით, თქვენი უნციებით არ ვაპირებ თავი მოვიწონო სამიკიტნოებში და ოქრომკერდიანი ფარჩით პარიზის ქუჩებში ვისეირნო ჩემი ლაქიით. არა, ძმაო, ფული სასიკეთო საქ-მისთვის მჭირდება.

- რა სასიკეთო საქმისთვის? - ჰკითხა ცოტა განცვიფრებულმა კლოდმა. - ჩემს ორ მეგობარს ოდრის სამრევლოს სათნოების დის, ერთი ქვრივის ბავშვისთვის სახვევ- საგების ყიდვა უნდა. ეს საქველ-მოქმედო საქმეა. სულ სამი ფლორინი დაჯდება და მეც მინდა ჩემი წვლილი შევიტანო.

- რა ჰქვია თქვენს ორ მეგობარს?

- პიერ ყასაბი და ბატისტ ჩიტიჭამია.

- ჰმ! - თქვა არქიდიაკონმა. - ეს სახელები ისევე შეეფერება კე-თილ საქმეს, როგორც ყუმბარა საკურთხეველს.

ჟანმა უდავოდ ცუდად შეარჩია ეს ორი სახელი, მაგრამ გვიან მიხ-ვდა. - მერე, - განაგრძო გამჭრიახმა კლოდმა, - ეგ რა საფენ-სახვე-ვებია, რომ სამი ფლორინი ღირს? და ისიც ვიღაც ღვთისმოსავი ქვრივის ბავშვისთვის. რამდენი ხანია, რაც სამრევლოს ქვრივ ქა-ლებს ძუძუთა ბავშვები ჰყავთ?

ჟანმა ახლა უკვე პირდაპირ შეუტია ყინულის ლოდს.

- კეთილი, დაე, აგრე იყოს, ფული იმისთვის მჭირდება, რომ დღეს საღამოს ვალ-დ'ამურში იზაბო-ლა-ტიერის სანახავად წავიდე!

- ბილწო, უწმინდურო! - უყვირა ხუცესმა.

- Αναγνηεια. - თქვა ჟანმა.

სენაკის კედელზე წარწერილი სიტყვის დამოწმებამ, რაც ჟანმა, შესაძლოა, განზრახ ვერაგულადაც მოიშველია, იშვიათი შთაბეჭდილება მოახდინა ხუცესზე - ტუჩზე იკბინა და სიბრაზისგან გაწითლდა.

- გასწი აქედან, - უთხრა ჟანს, - ერთ კაცს ველოდები.

სტუდენტმა ერთხელ კიდევ სცადა.

- ძმაო კლოდ, წვრილი ფული მაინც მომეცი, რომ რამე შევჭამო. - რა ადგილას ხართ ახლა გრაციანის დეკრეტალიებში? - ჰკითხა კლოდმა. - რვეულები დავკარგე.

- რას გასწავლიან ახლა ლათინურში?

- ჩემი ჰორაციუსის ეგზემპლარი მომპარეს.

- არისტოტელესი რა გასწავლეს?

- მართლა, ძამიკო, ვიღაც ეკლესიის მამა ხომ ამბობს, რომ ყველა დროის მწვალებლური შეცდომების მასაზრდოებელი წყარო არისტოტელეს მეტაფიზიკის ჯაგნარი იყოო? ფუი, არისტოტელეს! არ მსურს მისმა მეტაფიზიკამ რწმენა შემირყიოს. - ახალგაზრდავ, - განაგრძო არქიდიაკონმა, - ერთ კეთილშობილ ფილიპ დე კომინს ცხენის უნაგირზე ამოქარგული ჰქონდა დევიზი, რასაც გირჩევთ, კარგად ჩაუფიქრდეთ: Qui non laborat, non manducet[1]? წუთით სტუდენტი დადუმდა. გაბრაზებული იატაკს დააშტერა და უცბად კლოდისკენ მზეწვიას სიმკვირცხლით მიბრუნდა:

- ასე რომ, ჩემო კარგო ძამია, თქვენ ერთ პარიზულ სუზეც კი უარს მეუბნებით, რომ ერთი ნაჭერი პური შევჭამო?

- Qui non labort, non manducet.

შეუბრალებელი არქიდიაკონის ამ პასუხზე ჟანმა ვითომ აქვითინებული სახე ხელებში ჩამალა და ქალივით სასოწარკვეთილი ხმით

[1] *ვინც არ შრომობს, არც ჭამს.*

იკივლა: - Οτοτοτοτοτοτοι! - ეს რას ნიშნავს, ახალგაზრდავ? - ჰკითხა ამ მოულოდნელი საქციელით განცვიფრებულმა კლოდმა.

- კეთილი, მოგახსენებთ! - თქვა სტუდენტმა და კლოდს ურცხვი თვალები შეანათა, რომლებსაც მუშტებით ისრესდა, რომ დაწითლებოდა (აქაოდა ვტιροδιο), - ეს ბერძნულია, ესქილეს ანაპესტია, რომელიც მშვენივრად გამოხატავს მწუხარებას. - და ისე უდარდელად, გულიანად გადაიხარხარა, თვით არქიდიაკონსაც გაეღიმა. კლოდი ახლაღა მიხვდა თავის დანაშაულს, ზედმეტად რომ ანებივრებდა ძმას, ეს ყველაფერი ამის შედეგი იყო.

- ოო, ჩემო კეთილო ძამიკო, - წამოიწყო ძმის გაღიმებით გათამამებულმა ჟანმა, - შეხედეთ ჩემს ძირგახვრეტილ წაღებს, რომელთაც ლანჩი ენასავით გადმოუგდიათ. არქიდიაკონს მალე დაუბრუნდა სერიოზულობა.

- მე გამოგიგზავნით ახალ წაღებს, მაგრამ ფულს არ მოგცემთ. - თუნდაც ერთი საცოდავი პარიზული, ჩემო ძამიკო, - შეევედრა ჟანი. - ზეპირად შევისწავლი გრაციანს, ვიწამებ ღმერთს, ჭეშმარიტ პითაგორად გარდავიქმნები, მეცნიერებისა და სათნოების გზას დავადგები, ოღონდ ერთი პარიზული გაიღეთ სამოწყალოდ. ნუთუ თქვენ გინდათ, რომ შიმშილით მოვკვდე?

მამა კლოდმა შუბლი შეჭმუხნა, თავი გააქნია: - Qui non laborat... ჟანმა სიტყვის დამთავრება არ აცალა.

- მაშ კარგი, ახლა მე ვიცი, ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! გაუმარჯოს მხიარულებას! სულ დუქანში ვეგდები, ვიჩხუბებ, ჭურჭელს დავამტვრევ, გოგოებში ვივლი! ქუდი კედელს მიანარცხა და თითები აატკაცუნა. არქიდიაკონმა პირქუშად შეხედა. - ჟან, თქვენ სული არ გაქვთ.

- მაშინ, ეპიკურეს თანახმად, მე მაკლია ისეთი რამ, რაც რაღაცისგან შედგება, რასაც სახელი არა აქვს.

- ჟან, სერიოზულად უნდა იფიქროთ გამოსწორებაზე.

- აჰ! რა ბრძანებაა! - შესძახა სტუდენტმა და თვალები ძმიდან იატაკზე გადაიტანა, - აქ ყველაფერი ცარიელია, აზრიცა და ქილებიც!

- ჟან, თქვენ მოლიპულ გზაზე მიექანებით. იცით, საით მიდიხართ? - დუქნისკენ, - უპასუხა გულგრილად ჟანმა.

- დუქანი სამარცხვინო ბოძთან მიგიყვანთ.

- სამარცხვინო ბოძი ისეთივე ბოძია, როგორიც ყველა სხვა, იქნებ მასზე მაინც ეპოვა დიოგენეს ადამიანი, რომელსაც ეძებდა.

- სამარცხვინო ბოძი სახრჩობელაზე აგიყვანთ.

- სახრჩობელა სასწორია, ერთ მხარეს ადამიანი ჰკიდია, მეორე მხარეს კი დედამიწა. სასახელოც კია ასეთი ადამიანი იყო.

- სახრჩობელა ჯოჯოხეთში შეგიყვანთ.

- ჯოჯოხეთი ერთი დიდი ცეცხლია და მეტი არაფერი.

- ჟან, ჟან, ცუდად დაასრულებთ!

- სამაგიეროდ, დასაწყისი იყო კარგი!

ამ დროს კიბეზე ვიღაცის ფეხის ხმა მოისმა.

- ჩუმად! - თქვა არქიდიაკონმა და ტუჩებზე თითი მიიდო, - აი, მეტრ ჟაკიც მოდის. ჟან, მისმინეთ, - დაუმატა დაბალი ხმით, - ფრთხილად იყავით, არასოდეს წამოგცდეთ, რასაც აქ დაინახავთ და მოისმენთ. ღუმელთან დაიმალეთ და კრინტი არ დაძრათ.

სტუდენტი დაიმალა და უცებ თავში მადლიანი აზრი გაუჩნდა.

- მართლა, ძმაო კლოდ, დუმილისთვის ერთი ფლორინი.

- ჩუმად! გპირდებით.

- ახლავე მომეცით.

- აჰა, აიღე! - უთხრა და გაბრაზებით მიუგდო არქიდიაკონმა ქისა. ჟანი უფრო ღრმად შეძვრა ღუმელის ქვეშ და კარიც გაიღო.

7.5. ორი შაოსანი მამაკაცი

სენაკში შავლაბადიანი პირქუში სახის მამაკაცი შემოვიდა. ჟანმა ახალმოსულის გამომეტყველებაში, მოძრაობაში (ცხადია, კუთხეში ისე მოკალათდა, რომ ყველაფერი დაენახა და მოესმინა) კატისა თუ მოსამართლის - რაღაც შემპარავი ხასიათი იყნოსა. ძალიან გაჭაღარავებელი, ნაოჭებიანი, სამოც წელს მიღწეული, წამდაუწუმ თვალებს ახამხამებდა, თეთრი წარბები და დიდი ხელები ჰქონდა, ქვედა ტუჩი კი დაშვებული. ჟანმა გადაწყვიტა, რომ ეს კაცი უეჭველად ექიმი ან მოსამართლე უნდა ყოფილიყო და, რადგან ტუჩი ცხვირიდან შორს ჰქონდა, აუცილებლად სულელიც. სტუდენტი თავის სამალავში ღრმად მიიკუნჭა, გული სწყებოდა, რომ დიდხანს მოუწევდა ასე უხერხულად და ასეთ უხეირო საზოგადოებაში ყოფნა.

არქიდიაკონი ახალმოსულის შესაგებებლად არც კი წამომდგარა. მან სტუმარს ანიშნა სკამზე დამჯდარიყო და, რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ, თითქოს დაწყებულ ფიქრს აგრძელებსო, ერთგვარი მზრუნველი კილოთი უთხრა: - გამარჯობა, მეტრ ჟაკ.

- მოგესალმებით, მეტრ! - მიუგო შაოსანმა მამაკაცმა.

ამ ორი მისალმების კილოს შორის, ერთი მხრივ, „მეტრ ჟაკ," ხოლო, მეორე მხრივ, „მეტრ," უპირატესად ისეთივე განსხვავება იყო, როგორც „თქვენო უმაღლესობავ"-სა და „მუსიე"-ს შორის არსებობს. ცხადია, ეს იყო მასწავლებლისა და მოსწავლის შეხვედრა. - აბა, როგორაა საქმე? - წამოიწყო ისევ არქიდიაკონმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, რის დარღვევასაც მეტრ ჟაკი მოერიდა, - გაქვთ წარმატების იმედი? - სამწუხაროდ, არა! - უპასუხა მან ნაღვლიანი ღიმილით, - მაინც სულ ვუბერავ და ვუბერავ. ფერფლი და ნაცარი თავზე გადამდის, მაგრამ ოქრო? - არც ერთი მარცვალი. მამა კლოდი მოუთმენლად შეიშმუშნა.

- მაგაზე არ მოგახსენებთ, მეტრ ჟაკ შარმოლიუ, მე გეკითხებით ჯადოქრის პროცესზე. უმაღლესი პალატის ხაზინადარი - მარკ სენენი გამოტყდა ჯადოქრობაში? დაკითხვამ მოგცათ რამე? - სამწუხაროდ, არა! - უპასუხა მეტრ ჟაკმა და ისევ ნაღვლიანად გაიღიმა, - ის კაცი არა, ქვაა. ღორების ბაზარზე მდუღარეში უნდა გავფუფქოთ, რამე რომ ვათქმევინოთ; თუმცა, სიმართლის გასაგებად არაფერს ვერიდებით - ყველა სახსარი ამოგდებული აქვს. მაგრამ არაფერი გამოდის; საშინელი კაცია, მასთან ვერაფერს გავხდი, დავიღალე... - ვერც მის სახლში წააწყდით რაიმე ახალს?

- როგორ არა! - მიუგო მეტრ ჟაკმა და ქისის ჩხრეკა დაიწყო, - აი, ეს პერგამენტი: აქ არის სიტყვები, რომლებიც ჩვენ არ გვესმის, მაგრამ პროკურორმა ფილიპ ლელიემ ცოტა ებრაული იცის... - მეტრ ჟაკი ლაპარაკობდა და თან დახვეულ პერგამენტს შლიდა.

- მომეცით, - უთხრა არქიდიაკონმა და თვალი ეტრატს მიაპყრო. - მტკნარი ჯადოქრობაა, მეტრ ჟაკ! - „ემენ-ჰეტან!“ ეს მაქციების კივილია, როდესაც ქაჯთა და კუდიანთა ღამის ყრილობაზე მიფრინავენ. Per ipsum, et cum ipso, et in ipso[1]. - ეს შელოცვაა, რომელიც ეშმას ქაჯთა ღრეობიდან ისევ ჯოჯოხეთში ketავს; Hax, pax, max[2] - ეს ეხება მკურნალობას: ცოფიანი ძაღლის ნაკბენის შელოცვაა. მეტრ ჟაკ! თქვენ საეკლესიო სამართლის მეფის პროკურორი ხართ! ეს პერგამენტი სისაძაგლეა! - კიდევ ვაწამებთ ამ კაცს, - დაამატა მეტრ ჟაკმა და თავის ჩანთაში ისევ იჩხრიკებოდა, - აი, კიდევ რა ვიპოვე მარკ სენენთან. - იგი ისეთივე ჭურჭელი იყო, კლოდის სენაკშიც ბლომად რომ ეყარა. - აა, - თქვა არქიდიაკონმა, - ეს ხომ ალქიმიური სადნობია. - ვაღიარებ, - უთხრა ნაძალადევი ღიმილით მეტრ

---

[1] *თავის მეოხებით, და თავისით, და თავისში.*

[2] *ჰაქს, პაქს, მაქს! - სიტყვების უაზრო რახარუხი.*

ჟაკმა, - ცეცხლზე გამოვცადე, მაგრამ იგივე შედეგი მივიღე, როგორიც ჩემით.

არქიდიაკონი ჭურჭლის დათვალიერებას შეუდგა.

- ეს რა ამოუკვეთია? ოჰ! ოჰ! რწყილების დასაფრთხობი სიტყვა? ეს მარკ სენენი უმეცარია! ამით ოქროს ვერასდროს მიიღებთ! ზაფხულობით ღამის ქოთნად თუ გამოგადგებათ, მეტი არაფერი. - რაკი შეცდომებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, - თქვა მეფის პროკურორმა, - სანამ თქვენთან ამოვიდოდი, ქვემოთ პორტალს დავაკვირდი. თქვენო მაღალღირსებავ, ღრმად ხართ დარწმუნებული, რომ ოტელ-დიეს მხრიდან ფიზიკის სამუშაოთა დასაწყისია გამოსახული და ღვთისმშობლის ფეხთით მდგარ შვიდ შიშველ ქანდაკებათაგან ერთი, ქუსლებზე რომ ფრთები აქვს, მერკურია? - დიახ, - უპასუხა ხუცესმა, - ამას წერს ავგუსტინ ნიფო, იტალიელი სწავლული, რომელსაც მფარველობდა და ასწავლიდა წვერიანი დემონი. თუმცა, ახლა დაბლა ჩავიდეთ და ყველაფერს თავად გამოსახულებაზე აგიხსნით.

- გმადლობთ, მეტრ, - უთხრა შარმოლიუმ და მიწამდე დახარა თავი. - ჰო, კინაღამ დამავიწყდა! როდის ინებებთ, პატარა ჯადოსანი გოგონა შეიპყრონ?

- რომელი ჯადოსანი?

- აი, ის ბოშა ქალი, თქვენ რომ იცნობთ, ყოველდღე რომ მოდის ტაძრის კარიბჭესთან საცეკვაოდ, მიუხედავად სასულიერო სასამართლოს აკრძალვისა! მას ჰყავს ერთი ეშმაკისრქებიანი ჭინკა თხა; ეს თხა კითხულობს, წერს და მათემატიკა პიკატრიქსზე ცუდად არ იცის; ბრალდება მზადაა. სასამართლო სწრაფად დამთავრდება. ღმერთმანი, ლამაზი ქმნილება კია ეს მოცეკვავე! რა მშვენიერი შავი თვალები აქვს, ორ ეგვიპტურ ლალს მიუგავს! როდის შევუდგეთ? არქიდიაკონი მეტისმეტად გაფითრდა.

- გეტყვით, - ძლივს გასაგონი ხმით წაიდუდუნა მან. შემდეგ თავს ძალა დაატანა და, როგორც იქნა, განაგრძო: - მანამდე მარკ სენენის საქმეს მოჰკიდეთ ხელი. - დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, - ღიმილით მიუგო შარმოლიუმ. - შინ რომ დავბრუნდები, ტყავის სარეცელზე კვლავ დავაკვრევინებ. მაგრამ კაცი კი არა, ქაჯია. იგი თვით პიერა ტორტერიუსაც კი ღლის, რომელიც ჩემზე ბევრად ღონიერია.

ჩანდა, მამა კლოდი შავ ფიქრებს შთაენთქა. იგი შარმოლიუსკენ მიბრუნდა. - მეტრ პიერა... უფრო სწორად მეტრ ჟაკ, მინდოდა მეთქვა, მარკ სენენს მოჰკიდეთ ხელი. - დიახ, დიახ, მამაო კლოდ. უბედური ადამიანია! მუმოლივით[1] ვაწამებთ. რა უცნაური აზრია ქაჯთა ღრეობაზე სიარული! უმაღლესი პალატის ხაზინადარს უნდა სცოდნოდა კარლოს დიდის კანონი: Stryga vel masca[2]. რაც შეეხება პატარას, ესმერალდას, როგორც ეძახიან იმ გოგოს, - თქვენს განკარგულებას დავუცდი. - დიახ, როცა პორტალთან მივალთ, ამიხსენით, რას ნიშნავს ეკლესიის შესასვლელში დახატული მებაღე. იგი მთესველი არ არის; მეტრ, რაზე ჩაფიქრდით? ფიქრებში ჩაძირული მამა კლოდი აღარ უსმენდა. შარმოლიუმ თვალი გააყოლა მის მზერას და დაინახა, რომ ხუცესი სარკმელზე გაბმულ ვეებერთელა აბლაბუდას უყურებდა. ამ დროს ერთი თავქარიანი ბუზი ბადეს დაეძგერა და გაიხლართა. როგორც კი ბადე შეირხა, აბლაბუდის შუაგულში მიყუჩებული უზარმაზარი ობობა ბუზთან გაჩნდა, წინა საცეცებით ორად გადაღუნა, ხოლო ბილწი ხორთუმი თავზე მოუცაცუნა.

- საბრალო ბუზი! - თქვა საეკლესიო სასამართლოს სამეფო პროკურორმა და გადასარჩენად ხელი გასწია. არქიდიაკონმა, უეცრად

---

[1] *ბურგუნდიელი მხედართმთავარი, შინაომის ოგრანიზატორი (VIIს.).*

[2] *მაქცია ანუ გრძნეული.*

გამოღვიძებულივით, მკლავზე ხელი მაგრად მოუჭირა და ძალით შეაჩერა.

- მეტრ ჟაკ! - უყვირა მან, - დაე, აღსრულდეს ბედისწერა!

პროკურორი შეშინებული შემობრუნდა. ეგონა, მკლავზე რკინის მარწუხები მოუჭირესო. ხუცესის გაშტერებული, მკაცრი და ანთებული თვალები საზარელ მწერებს მიშტერებოდა. - ოჰ! დიახ, - განაგრძო ხუცესმა გულის სიღრმიდან აღმომხდარი ხმით, - აი, სიმბოლო ყოველივესი. იგი ფრინავს, ხარობს, ზეიმობს, ეს-ეს არის დაიბადა; მას სწყურია გაზაფხული, ფართო არე, სუფთა ჰაერი, თავისუფლება; ოჰ! დიახ, მაგრამ საკმარისია, საბედისწერო სარკმელს წააწყდეს, რომ იქიდან ობობა, ბილწი ობობა გამოძვრეს! საბრალო მოცეკვავე! საბრალო ბუზო! მეტრ ჟაკ, ხელს ნუ შეუშლი, დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია! ეს ბედისწერაა! კლოდ, ვაი რომ, შენც ობობა ხარ, მაგრამ იმავე დროს ბუზიც ხარ, კლოდ! შენც დაფრინავდი, ესწაფებოდი მეცნიერებას, სინათლეს, მზეს; შენც ფიქრობდი, რომ ფართო ასპარეზზე გახვიდოდი, მაგრამ როგორც კი თვალისმომჭრელ სარკმელს წააწყდი, სხვა სამყაროში, სინათლის, გონებისა და მეცნიერების სამყაროში გამავალ სარკმელს, შენ, ბრმა ბუზო, უგუნურო, შეშლილო მეცნიერო, ვერ შეამჩნიე სინათლესა და შენს შორის ბედისწერის მიერ გაბმული სიფრიფანა აბლაბუდა. შენ თავდავიწყებით ეკვეთე მას, ბედკრულო გიჟო, და აი, ახლა თავგატეხილი, ფრთებდალეწილი ბედისწერის რკინის ბრჭყალებში ფართხალებ! მეტრ ჟაკ! ხელს ნუ შეუშლი ობობას!

- გარწმუნებთ, - უთხრა გაოგნებულმა შარმოლიუმ, - ხელს არ ვახლებ, ოღონდ, გაიღეთ მოწყალება და ხელი გამიშვით.

მაგრამ არქიდიაკონი არ უსმენდა.

- ოჰ! უგუნურო! - განაგრძო ისევ მღვდელმა და თან თვალს არ აშორებდა სარკმელს, - და თუნდაც შეძლო შენი ფრთებით ამ საში-

ნელი აბლაბუდის გარღვევა, ნუთუ ფიქრობ, რომ სინათლეს მიაღწევ?! როგორ უნდა გადალახო შემდეგ ეს მინა, გამჭვირვალე დაბრკოლება, ბროლის კედელი, რომელიც ყველა ფილოსოფიას ჭეშმარიტებისგან თიშავს? ოო, მეცნიერების ამაოებავ! რამდენი ბრძენი მოისწრაფოდა შენკენ და შუბლი შეალეწა მას! რამდენი სისტემა ეჯახება ამ სამარადისო მინას! იგი დადუმდა. უკანასკნელმა აზრებმა მეცნიერებას დაუბრუნეს და ეტყობოდა დაამშვიდეს. ჟაკ შარმოლიუმ სრულიად დაუბრუნა მას სინამდვილის გრძნობა, როცა ჰკითხა: - ჩემო მასწავლებელო, როდის დამეხმარებით, ოქრო გავაკეთო? მოუთმენლობა მიპყრობს. არქიდიაკონმა მწარე ღიმილით თავი გააქნია:

- მეტრ ჟაკ, წაიკითხეთ მიქაელ პსელუსის[1] „Dialogos de energia et operatione daemonum[2]. “ რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მთლად უცოდველი საქმე როდია.

- ხმას დაუწიეთ, მეტრ! მეც ვეჭვობ, - თქვა შარმოლიუმ. - მაგრამ რას ვიზამ, თუ ცოტა ჰერმეტიკასაც არ მივყავი ხელი, მხოლოდ საეკლესიო სამართლის მეფის პროკურორი ვარ და წელიწადში სულ ოცდაათ ეკიუს ვიღებ. ოღონდ ხმადაბლა ვილაპარაკოთ. ამ დროს შარმოლიუს მახვილ სმენას ყბების ღრა ჭუნისა და ღეჭვის ხმა მისწვდა. - ეს რა არის? - იკითხა მან.

ეს სტუდენტი ჟანი ბრძანდებოდა, რომელიც ძალიან შეწუხებულიყო და მეტად მოეწყინა. უცებ ხელთ დაობებული პურის ქერქი და ყველის ნაჭერი მოხვედროდა, მოურიდებლად ჭამას შესდგომოდა, დამშეული ყოველ ლუკმას ისე მადიანად ღრღნიდა, პირს ისე ღონივრად აწკლაპუნებდა, ისეთ ხმაურს ქმნიდა, რომ პროკურორის

---

[1] *ბიზანტიელი სახელმწიფო მოღვაწე მწერალი (XIს.).*

[2] *დიალოგი დემონთა ენერგიასა და მოქმედებაზე.*

სმენამ განგაში ატეხა. - ალბათ, ჩემმა კატამ თაგვი დაიჭირა და ახლა პირს იტკბარუნებს, - სასწრაფოდ უთხრა არქიდიაკონმა.

შარმოლიუ ამ განმარტებას დასჯერდა.

- მართალია, მეტრ, - მორიდებული ღიმილით უთხრა მან, - ყველა დიდ ფილოსოფოსს შინაური ცხოველი ჰყავდა...

მამა კლოდს ჟანის მორიგი უსაქციელობის ეშინოდა, ამიტომ ღირსეულ მოწაფეს მოაგონა, რომ პორტალის რამდენიმე გამოსახულება უნდა შეესწავლათ და სენაკიდან გაიყვანა. - უუჰ! - შვებით ამოისუნთქა სტუდენტმა, რომელიც სერიოზულად შეშინებული იყო, ვაითუ, ჩემი ნიკაპის ანაბეჭდი სამუდამოდ დამრჩეს მუხლზეო.

7.6. რა შეიძლება მოჰყვეს სალანძღავ სიტყვებს

- Te Deum laudamus[1]! - შესძახა ჟანმა, როდესაც თავისი სოროდან გამოძვრა. - როგორც იქნა, ორი ბუ წავიდა. ოჰ! ოჰ! რწყილებიო! ცოფიანი ძაღლებიო! ეშმაკიო! მეყოფა მათი სიბრძნე! თავი სამრეკლოსავით მიგუგუნებს, აყროლებული ყველი, რომ ზედ დაერთო! აბა, დავეშვათ ქვევით! ფული ბოთლებად ვაქციოთ! - და აღტაცებით ჩაიხედა ძვირფას ქისაში; ტანსაცმელი გაისწორა, მტვერი ჩამოიბერტყა, ფეხსაცმელი გაიწმინდა, რაღაც სიმღერა დაუსტვინა, ცალ ფეხზე შემოტრიალდა, სენაკი შეათვალიერა, წასაღები ხომ არაფერიაო, მიყრილ-მოყრილი მინის ავგაროზები წამოკრიფა, იზაბოლა- ტიერს ვაჩუქებო; ბოლოს ფეხი ჰკრა კარს, რომელიც მისმა ძმამ უკანასკნელი მოწყალების ნიშნად ღია დაუტოვა (თვითონაც განგებ არ მიხურა) და ხტუნვა-ხტუნვით ხვეულ კიბეზე დაეშვა. მოედანზე რომ გამოვარდა, ისევ იცინოდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა,

[1] *უფალო, გადიდებ შენ! (ლათ.).*

ორი ჭოტი, ე.ი. მამა კლოდი და მეტრ ჟაკ შარმოლი შენიშნა; პორტალის რომელიღაც ქანდაკებას უყურებდნენ. ფეხაკრეფით მიუახლოვდა. არქიდიაკონი შარმოლიუს ხმადაბლა ეუბნებოდა: - გილიომ პარიზელმა ამოაკვეთინა იობი, რომელიც ფილოსოფიურ ქვას აღნიშნავს. ისიც უნდა გამოიცადოს და ეწამოს, რათა სრულქმნილი გახდეს. - ჩემთვის სულ ერთია, - თქვა ჟანმა, - ფული ხომ მაქვს.

ამ დროს უკნიდან შემოესმა ვიღაცის ძლიერი და ომახიანი ხმა, რომელიც ილანძღებოდა: - ეშმაკის მოდგმავ! ქაჯთა ბუდევ! ეშმაკსაც წაუღიხარ! ბელზებელის ჭიპო! მეხიც დაგცემიათ! - სულსა ვფიცავ, - წამოიძახა ჟანმა, - სხვა ვინ იქნება, ეს ჩემი მეგობარი კაპიტანი ფებუსია! ფებუსის ხსენებამ არქიდიაკონის ყურამდე სწორედ იმ წუთს მიაღწია, როდესაც იგი მეფის პროკურორს გველეშაპის გამოსახულების საიდუმლოს უხსნიდა. მამა კლოდი შეკრთა, ლაპარაკი შეწყვიტა, რამაც შარმოლიუ დიდად განაცვიფრა; ხუცესი შემობრუნდა და თავისი ძმა დაინახა, რომელიც გონდელორიების სახლის კართან მდგარ მაღალ კაცს მიუახლოვდა. ის მართლაც კაპიტანი ფებუს დე შატოპერი გახლდათ. თავისი საცოლის სახლის კუთხეს მიყუდებოდა და უღვთოთ იგინებოდა.

- მე და ჩემმა ღმერთმა, კაპიტანო ფებუს, ნამდვილად საკვირველი და მახვილგონივრული გინება იცით, - უთხრა ჟანმა და ხელი მოჰკიდა.

- წადი, შე რქიანო, მეხიც დაგცემია! - უპასუხა კაპიტანმა. - შენ თვითონ ხარ რქიანი! შენ თვითონ დაგეცა მეხიცა და თავზარიც! - მიუგო სტუდენტმა, - მაგრამ ერთი მითხარი, ძვირფასო კაპიტანო, რამ გაიძულა ესოდენ ლამაზ სიტყვათა ნიაღვარი გადმოგეფრქვიათ?

- უკაცრავად, მაპატიეთ, ძვირფასო მეგობარო, - შეუძახა ფებუსმა და ხელი ჩამოართვა. - გაჭენებულ ცხენს უცებ ვერ შეაჩერებ. მე ხომ ნავარდით ვიგინებოდი. ეს-ესაა თავი დავაღწიე იმ კოხტაპრუწებს.

ყოველთვის, როცა მათგან გამოვდივარ, ბოღმა მახრჩობს. აუცილებლად უნდა გადმოვანთხიო, თორემ სული შემეხუთება.

- იქნებ დაგველია? - ჰკითხა სტუდენტმა.

ამ მეთავაზებამ კაპიტანი დაამშვიდა.

- სიამოვნებით, მაგრამ ფული არ მაქვს.

- მე მაქვს!

- მართლა? აბა, მაჩვენე!

ჟანმა მედიდურად და ამასთან გულუბრყვილოდ გადაუშალა კაპიტანს ქისა. ამასობაში არქიდიაკონი, რომელმაც გაოცებული შარმოლიუ მიატოვა, მათ მიუახლოვდა, რამდენიმე ნაბიჯზე შეჩერდა და თვალყურს ადევნებდა; მათ მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ - ქისას უყურებდნენ.

ფებუსმა წამოიძახა:

- ჟან, ქისა თქვენს ჯიბეში იგივეა, რაც მთვარე წყლის ჭურჭელში. კი მოჩანს, მაგრამ ანარეკლია და მეტი არაფერი. დავნაძლევდეთ, რომ მაგაში მხოლოდ კენჭებია! ჟანმა ცივად უპასუხა:

- აი, ის კენჭები, რომლითაც მოკირწყლულია ჩემი ჯიბე. - სიტყვა აღარ უთქვამს, ისე გამოცალა ქისა იქვე ახლოს, ქვის კუნძზე, თანაც ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს რომაელივით სამშობლო გადაერჩინოს.

- ღმერთო ჩემო! - წაიდუდუნა ფებუსმა, - მართლაც ფულია, მსხვილი თეთრი ფული, წვრილი თეთრი ფული, პარიზული დინარები. ნამდვილი არწივიანი ლიარები! თვალები ამიჭრელდა! გასაოცარია!

ჟანს ღირსეულად და აუღელვებლად ეჭირა თავი. რამდენიმე ლიარი ტალახში ჩავარდა. აღფრთოვანებული კაპიტანი ასაკრეფად დაიხარა. ფებუსმა ფული დაითვალა და ჟანს ზეიმით მიუბრუნდა:

- თქვენ იცით, რომ აქ ოცდასამი პარიზული სუა? წუხელ ვინ გაძარცვეთ ყელგამოჭრილთა ქუჩაზე?

ჟანმა უკან გადასწია ოქროსფერი, ხუჭუჭთმიანი თავი, მედიდურად მოჭუტა თვალები და თქვა: - ამიტომაც მყავს არქიდიაკონი ძმა, ჩერჩეტი, ნახევრად სულელი. - ეშმაკსაც წაუღიხართ! - წამოიძახა ფებუსმა, - ღირსეული ადამიანია! - წავიდეთ, დავლიოთ! - უთხრა ჟანმა.

- საით წავიდეთ? - ჰკითხა ფებუსმა, - „ევას ვაშლისკენ?“

- არა, კაპიტანო. წავიდეთ „ძველი მეცნიერებისკენ,“ ძველი მეცრუ-ენებისკენ. რებუსივითაა. მიყვარს ასეთი სახელები.

- მიმიფურთხებია მაგ რებუსებისთვის, ჟან! ღვინო უკეთესია „ევას ვაშლში,“ გარდა ამისა, კარს გვერდით, მზეზე ვაზი ხარობს, რომლის შეხედვაც სმის დროს მსიამოვნებს. - კეთილი! გავწიოთ ევასა და მისი ვაშლისკენ, - თქვა სტუდენტმა და ფებუსს ხელი მოჰკიდა: - ოჰ, სიტყვამ მოიტანა და დროზე უნდა მოგახსენოთ, ძვირფასო კაპიტანო, ახლახან ახსენეთ ყელგამოჭრილთა ქუჩა. ასე ბარბაროსულად აღარ ამბობენ, ახლა კისერმოჭრილთა ქუჩას ეძახიან. ორივე მეგობარი „ევას ვაშლისკენ“ გაემართა. რა თქმა უნდა, ჯერ ტალახში ჩაცვენილი ფული აკრიფეს. არქიდიაკონიც მათ აედევნა.

არქიდიაკონი მოღუშული მისდევდა, აინტერესებდა, ეს ის ფებუსი ხომ არ იყო, რომლის წყეული სახელი გრენგუართან შეხვედრის შემდეგ ყველა მის ფიქრს ერეოდა, მაგრამ სულ ერთია, მასაც ხომ ფებუსი ერქვა. ეს ჯადოსნური სახელიც საკმარისი იყო, რომ არქიდიაკონი მგლის ნაბიჯით ორ უდარდელ მეგობარს ასდევნებოდა. მეგობართა საუბრის მოსმენა ძნელი სულაც არ იყო, ისე მოურიდებლად, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ; არ ენაღვლებოდათ, რომ გამელელ-გამომვლელნი მათ საუბარს მოისმენდნენ. ისინი ლაპარა-

კობდნენ ორთაბრძოლებზე, ქალებზე, დოქებზე, გიჟურ გატაცებებზე.

ერთ-ერთი ქუჩის მოსახვევში მეზობელი გზაჯვარედინიდან დაირის ხმა შემოესმათ. მამა კლოდმა გაიგონა, როგორ უთხრა კაპიტანმა სტუდენტს: - მოვუსვათ აქედან! ნაბიჯს მოუმატე! - რატომ, ფებუს?

- მეშინია, ბოშა გოგომ არ დამინახოს.

- რომელმა ბოშა გოგომ?

- აი, ის პატარა ქალიშვილი, თხა რომ ჰყავს.

- ესმერალდა?

- სწორედ ის, ჟან. ყოველთვის მავიწყდება მისი ქაჯური სახელი. ავუჩქაროთ, თორემ მიცნობს. არ მინდა, ეს გოგო ქუჩაში მომადგეს.

- მერე იცნობთ, ფებუს?

არქიდიაკონმა დაინახა, როგორ ჩაიქირქილა ფებუსმა, ჟანის ყურისკენ გადაიხარა და დაბალი ხმით რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულა. შემდეგ გადაიხარხარა და გამარჯვებულიერმიღებულმა თავი გააქნია.

- ნამდვილად? - ჰკითხა ჟანმა.

- სულსა ვფიცავ! - უპასუხა ფებუსმა.

- ამ საღამოს?

- ამ საღამოს.

- დარწმუნებული ხართ, რომ მოვა?

- ხომ არ შეიშალეთ, ჟან? ასეთ რამეში ეჭვი რა მოსატანია!

- კაპიტანო ფებუს, ბედნიერი კაცი ხართ!

არქიდიაკონს საუბრის მოსმენისას კბილები აუკაწკაწდა, გააჟრჟოლა, შეჩერდა, მთვრალივით რომელიღაც ქვის ბოძს მიეყრდნო, შემდეგ ისევ მხიარული დარდიმანდების კვალს გაჰყვა. როდესაც

წამოეწია, ისინი ძველ მისამღერს გაჰკიოდნენ: პტი-კაროელი ბიჭები ჩამოკიდეს ხბოებივით...

7.7. ბერი - მოჩვენება

ცნობილი დუქანი „ევას ვაშლი“ უნივერსიტეტის უბანში, რონდელისა და ბატონიერის ქუჩის კუთხეში მდებარეობდა. პირველ სართულზე საკმაოდ ვრცელი და დაბალჭერიანი დარბაზი ეჭირა, რომლის თაღი შუაში ერთ სქელ, ყვითლად შეღებილ ხის დედაბოძს ებჯინებოდა. სივრცე მაგიდებს დაეკავებინა, კედლებზე კალის თუნგები ბზინავდა. იქ მუდამ უამრავი ლოთი თუ მოქეიფე ირეოდა. საკმაოდ იყვნენ ქალებიც. ფანჯრები ქუჩაზე გადიოდა, კართან ვაზი იყო, ხოლო კარის თავზე - რკინის აბრას, რომელზეც ვაშლი და ქალი ეხატა, წვიმისგან ჟანგი მოჰკიდებოდა და ქარის ყოველი დაბერვისას ლურსმანზე ჭრიალებდა.

დაღამდა. სანთლებით გაჩირაღდნებული სამიკიტნო სამჭედლოსავით გიზგიზებდა. მინებჩამსხვრეული ფანჯრებიდან ჭიქების წკარუნი, ღრეობის, გინებისა და ჩხუბის ხმა ისმოდა და ბუნდოვნად მოჩანდა მოფუთფუთე ხალხიც. საქმეებზე მიმავალი მგზავრები ისე ჩაუვლიდნენ აჩოჩქოლებულ სამიკიტნოს, იქით არც იხედებოდნენ. ხანდახან რომელიმე დაკონკილსამოსიანი პატარა ბიჭი ფეხის წვერებზე შედგებოდა, ფანჯრის რაფას მისწვდებოდა და შიგ ყიჟინით შეაგდებდა მისამღერს, რომლითაც მაშინ ლოთებს აღიზიანებდნენ:
- ლოთი, შფოთი, ბარბაცაო!.. ამ დროს ვიღაც მამაკაცი სამიკიტნოს წინ განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდა, სულ იქით იცქირებოდა, თვალს არ აშორებდა, დარაჯობდა. ლაბადის კაპიუშონი თვალებამდე ფარავდა, რომელიც ის-ის იყო „ევას ვაშლის“ ახლოს მეძველმანისგან ეყიდა, ან მარტის ღამის სიცივისგან თავდასაცავად, ან თავისი ტან-

საცმლის დასამალად. დროდადრო მქრქალი შუშების წინ ჩერდებოდა, შიგ იხედებოდა, ყურს უგდებდა და ფეხებს აბაკუნებდა. ბოლოს სამიკიტნოს კარი გაიღო. იქიდან ორი მოქეიფე გამოვიდა. კარიდან გამოვარდნილმა სინათლის სხივებმა წუთით გაანათა მათი მხიარული სახეები. ლაბადიანი ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, თაღს მოეფარა და იქიდან განაგრძო თვალთვალი.

- ეშმაკმა დალახვროს! - წამოიძახა ერთ-ერთმა. - სადაც არის შვიდს მიუკაკუნებს. ამ დროისთვის პაემანი მაქვს დანიშნული.

- მე თქვენ გეუბნებით, - ამოილუღლუღა მეორემ, - ყიამყრალთა ქუჩაზე არ ვცხოვრობ, indignus qui inter mala verba habitat[1]. ჩემი ბინა ჟან-პენ-მოლეს ქუჩაზეა. თქვენ უფრო რქიანი ყოფილხართ, ვიდრე მარტორქა, თუ საწინააღმდეგოს ამტკიცებთ. ვინც ერთხელ დათვზე შეჯდება, მერე აღარაფრის ეშინია. ვხედავ, სასუსნავის მოტრფიალე ბრძანებულხართ, როგორც წმინდა ჟაკ დე ლოპიტალი. - ჟან, მეგობარო, თქვენ მთვრალი ხართ, - უთხრა მეორემ. პირველმა ენისბორძიკით უპასუხა: - ილაპარაკეთ, რაც გინდათ, ფებუს, მაგრამ დამტკიცებულია, რომ პლატონს მეძებარი ძაღლის პროფილი ჰქონდა.

ხომ იცანით ორი მეგობარი, კაპიტანი და სტუდენტი? როგორც ჩანდა, იმ კაცმაც, ვინც სიბნელიდან უთვალთვალებდა, იცნო ისინი. ნელი ნაბიჯით აედევნა, ფეხდაფეხ მისდევდა ყველა იმ მიხვეულ-მოხვეულ, დაკლაკნილ გზებზე, რომლის გავლასაც სტუდენტი აიძულებდა სმაში უფრო გამოწრთობილსა და უფრო ფხიზელ კაპიტანს. ლაბადიანი მათ საუბარს გარკვევით ისმენდა: - ვფიცავ ბახუსის ტანს! ეცადეთ, კარგად იაროთ, მუსიე ბაკალავრო. ხომ იცით, რომ უნდა დაგტოვოთ. უკვე შვიდი საათია. პაემანი მაქვს ერთ ქალთან.

---

[1] *რა საკადრისია, უწმაწური სიტყვების მოყვარულთა, ყიამყრალთა შორის ცხოვრება.*

- დამანებეთ თავი! მე ვხედავ ვარსკვლავებსა და ცეცხლოვან შუბებს. თქვენ კი დამპმარტენის ციხე-კოშკს ჰგავხართ, რომელიც სიცილით სკდება.

- ვფიცავ ბებიაჩემის მეჭეჭებს, ჟან, უგუნურებაა ამგვარი სისულელეების როშვა. მართლა, ჟან, კიდევ დაგრჩათ ცოტა ფული? - მუსიე რექტორო, აქ არავითარი შეცდომა არაა. პატარა საყასბო, parva boucheria. - ჟან, ჩემო მეგობარო, ჟან! ხომ იცით, რომ პაემანი დავუნიშნე იმ გოგონას წმინდა მიშელის ხიდის ბოლოს; ხომ იცით, რომ მხოლოდ ფალურდელთან შემიძლია წავიყვანო, ხიდზე რომ როსკიპია, ოთახის ქირას მომთხოვს, გარყვნილი ბებერი ნისიად არ მენდობა. ჟან, გევედრები, გაიღე მოწყალება! ნუთუ მღვდლის ქისა სულ ამოვცალეთ? ნუთუ, ერთი პარიზულიც აღარ დაგრჩათ? - შეგნება იმისა, რომ კარგად გაატარე რამდენიმე საათი, იგივეა, რაც სუფრაზე გემრიელი საკაზმი და საწებელი.

- მსუნაგო, ნუღარ როშავ! მითხარით, ჟან, ეშმაკის ფეხო, დაგრჩათ ფული? მომეცით, თორემ, ღმერთმანი, გაგჩხრიკავთ, თუნდაც იობივით კეთროვანი, ან კეისარივით ქეციანი იყოთ! - მუსიე, გალიაშის ქუჩა ისაა, რომლის ერთი ბოლო უერთდება მეშუშეთა ქუჩას, მეორე კი - ფეიქართა ქუჩას.

- ჰოდა, მერე რა? ჩემო კარგო, ჩემო საბრალო მეგობარო, ჟან, ჰო, დიახ, გალიაშის ქუჩა, ძალიან კარგი, სწორია. მაგრამ, ღვთის გულისთვის, გონს მოდით. მე მჭირდება მხოლოდ ერთი პარიზული სუ შვიდი საათისთვის.

- სრული სიჩუმე! სმენა იყოს და გაგონება! მოუსმინე, ვიღაც მღერის. - ეჰ, შე, ანტიქრისტეს შეგირდო! - უყვირა ფებუსმა და მაგრად უბიძგა მთვრალ სტუდენტს, რომელიც კედლის ჩაყოლებით ჩაცურდა და ქვაფენილზე დაეცა. ოდნავ შერჩენილი ძმური თანაგრძნობით, რომელიც არასოდეს ტოვებს ლოთის გულს, ფებუსმა ფეხით

მიაჩოჩა ერთ-ერთ „ღატაკთა ბალიშთან“, რომელიც განგებას მუდამ მზადა აქვს პარიზის ყველა ბოძის კუთხეში და რომელსაც მდიდრები ზიზღით, ქედმაღლურად „ნაგვის გროვად“ მოიხსენიებენ. კაპიტანმა ჟანს თავი კომბოსტოს ზვინზე დაადებინა და სტუდენტმა იმწამსვე ხვრინვა ამოუშვა. მაგრამ გაბრაზებული კაპიტანი მაინც არ ცხრებოდა.

- მით უარესი, თუ გავლით ეშმაკის ურიკა აგიყვანს! - უთხრა მაგრად ჩაძინებულ სტუდენტს და გაშორდა.

ლაბადიანი კაცი, რომელიც კვალდაკვალ მისდევდა, ერთ წამს ძირს დაგდებული სტუდენტის წინ შეჩერდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა, შემდეგ ღრმად ამოიოხრა და კაპიტანს დაედევნა. როდესაც სენტ-ანდრე-დეზარის ქუჩაზე გავიდა, ფებუსმა შეამჩნია, რომ ვიღაც მისდევდა. შემთხვევით უკან მიიხედა და დაინახა, რომ ის ვიღაც ლანდივით კედელ-კედელ მოძვრებოდა. შეჩერდა, ისიც შეჩერდა; გზა განაგრძო, ლანდმაც განაგრძო გზა. თუმცა, ამ ამბავს ძალიან არ შეუწუხებია - „მე ხომ ერთი სუც არ მაბადია!“

იგი ოტენის კოლეჯის წინ შეჩერდა. ეს ის კოლეჯი იყო, სადაც მცირეოდენი განათლება მიიღო, რითაც დიდად მოჰქონდა თავი. ონავარ სტუდენტთა ჩვეულების თანახმად, ისე არასოდეს ჩაუვლიდა ამ შენობას, პორტალის მარჯვნივ აღმართული კარდინალ პიერ ბერტრანის ძეგლისთვის არ შეეფურთხებინა. ყმაწვილთა ასეთი გულმოდგინების წყალობით, წარწერა - eduensis episcopus[1] თითქმის წაიშალა.

ქუჩა სრულიად უკაცრიელი იყო. როდესაც ცხვირაწეული კაპიტანი დაუდევრად იკრავდა ზონრებს, შეამჩნია, რომ ლანდი ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა. მან მხოლოდ ლაბადა და ქუდი გაარჩია. მი-

[1] *ედუენელი ეპისკოპოსი.*

ახლოებისთანავე ლანდი შეჩერდა და კარდინალ ბერტრანის ძეგლივით გაიყინა. ფებუსი გაურკვეველი ცეცხლით ანთებული თვალებით მიაშტერდა, რომლებიც ისე კიაფობდნენ, როგორც კატის თვალები ღამის სიბნელეში.

უშიშარ კაპიტანს ადვილად ხმალამოღებული ყაჩაღიც ვერ შეაშინებდა. მაგრამ ეს მოძრავი ქანდაკება, გაქვავებული კაცი ძარღვებში სისხლს უყინავდა. ბუნდოვნად გაახსენდა, რომ ხალხში ხმები დადიოდა პარიზის ქუჩებში ღამღამობით მოწანწალე ბერ-მოჩვენებაზე. რამდენიმე წამს გაოცებული უყურებდა. ბოლოს სიჩუმე დაარღვია და გაცინება სცადა. - მუსიე, თუ თქვენ ქურდი ბრძანდებით, როგორც ვიმედოვნებ, მაშინ იმ ყანჩის შთაბეჭდილებას ახდენთ, კაკლის ნაჭუჭს რომ ეძგერა. მე ერთი გაპარტახებული ოჯახის შვილი ვარ, ჩემო ძვირფასო. გვერდით მიბრძანდით, ამ კოლეჯის სამლოცველოში ვერცხლეული და ჭეშმარიტი ხის ჯვარია.

ლანდმა ლაბადიდან ხელი გამოყო და არწივის კლანჭებივით ღონივრად ჩააფრინდა მკლავში. ლანდი ალაპარაკდა.

- კაპიტან ფებუს დე შატოპერ!

- როგორ, ეშმავ! - თქვა ფებუსმა, - საიდან იცით ჩემი სახელი? - მე ვიცი არა მარტო თქვენი სახელი, - უთხრა ლაბადიანმა სამარიდან ამოძახილი ხმით, - თქვენ ამ საღამოს პაემანი გაქვთ დანიშნული.

- დიახ, - უპასუხა გაოცებულმა ფებუსმა. - შვიდ საათზე.

- დიახ, თხუთმეტ წუთში.

- ფალურდელთან.

- სრულიად მართალია.

- სენ-მიშელის ხიდის როსკიპთან.

- წმინდა მიქელ მთავარანგელოზთან, როგორც მამაო ჩვენო ამბობს. - ურწმუნო, უღვთო! - წაიდუდუნა მოჩვენებამ. - ქალთან?

- Confiteor[1].

- რომელსაც ჰქვია...

- ესმერალდა, - დაასრულა ფებუსმა მკვირცხლად. მას თანდათანობით უბრუნდებოდა ხალისი.

ამ სახელის ხსნებაზე ლანდმა კიდევ უფრო გაშმაგებით ჩაასო ბრჭყალები ფებუსის მკლავს. - კაპიტანო ფებუს დე შატოპერ, შენ ცრუობ!

უთუოდ შიშისგან შეძრწუნდებოდა ის, ვინც ამ წუთს კაპიტნის ანთებულ და ამაყ სახეს შეხედავდა; ფებუსი მკვირცხლად უკან გადახტა, მარწუხებისგან თავი გაითავისუფლა და ხელი ხმლის ვადაზე იტაცა. მაგრამ განრისხებული ჭაბუკის წინ ლაბადიანი უძრავად იდგა. - ვფიცავ ქრისტეს! - შეუძახა კაპიტანმა, - ამგვარი სიტყვების მოსმენა იშვიათად უხდებათ შატოპერებს! შენ ვეღარ გაბედავ მათ გამეორებას.

- ცრუობ! - ცივად მიუგო ლანდმა.

კაპიტანმა კბილები გააკრაჭუნა. ბერ-მოჩვენება, აჩრდილი, ცრურწმენა, იმ წუთს ყველაფერი დაავიწყდა. ის მხოლოდ ადამიანს ხედავდა, რომელმაც შეურაცხოფა მიაყენა. - აჰ! ასე? ძალიან კარგი! - წაილუღლუღა კაპიტანმა გაშმაგებით. ხმალი იძრო და ენის ბორძიკით შეუძახა, რადგან რისხვაც, ისევე, როგორც შიში, ადამიანს კანკალს აწყებინებს: - აქეთ! ახლავე! აბა, მოდი! ხმალდახმალ! იძრე დაშნა! სისხლი უნდა ვიხილო ამ ქვაფენილზე! - მაგრამ ლანდი არ დაძრულა. როდესაც დაინახა მეტოქე საბრძოლო მდგომარეობაში ჩადგა და მის ასაჩეხად მზად იყო, მიმართა: - კაპიტანო ფებუს, - და სიმწრისგან ხმა აუთრთოლდა, - თქვენ დაგავიწყდათ პაემანი. ფებუსის მსგავსი ადამიანების სიფიცხე რძის შეჭამანდს ჰგავს, საკ-

[1] *ვაღიარებ.*

მარისია ერთი წვეთი ცივი წყალი, რომ დუღილი შეწყვიტოს. ამ უბრალო სიტყვებმა კაპიტანს აელვარებული ხმალი ძირს დააშვებინა.

- კაპიტანო, - განაგრძო კაცმა, - ხვალ, ზეგ, ერთ თვეში, ათ წელიწადში მზად ვიქნები, რომ ყელი გამოგჭრათ, მაგრამ ჯერ პაემანზე წადით.

- მართლაც, - თქვა ფებუსმა, თითქოს ცდილობდა საკუთარი თავი დაერწმუნებინა. - რატომ უნდა მოვიკლო ერთი სიამოვნება მეორის გამო, როდესაც შემიძლია ორივე მივიღო. - და ხმალი ქარქაშში ჩააგო.

- გასწიეთ პაემანზე, - გაუმეორა უცნობმა.

- მუსიე, - უპასუხა ცოტა შეცბუნებულმა ფებუსმა, - მადლობელი ვარ თავაზიანობისთვის. მართალია, ჩვენ ხვალაც მოვასწრებთ ერთმანეთისთვის ტანსაცმლის დახევას. მანამდე კი უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, რომ მეოთხედი საათი სიამოვნებაში გამატარებინეთ. თუმცა, იმედი მქონდა მოვასწრებდი თქვენს თხრილში ჩაწვენასაც და ლამაზ ქალიშვილთან დროზე მისვლასაც; მით უმეტეს, ამგვარ შემთხვევაში ცოტა რომ აცდევინოთ ქალს, კარგ საქციელადაც კი ითვლება. თქვენ ჩემზე გულადი კაცის შთაბეჭდილება მოახდინეთ და მართებული იქნება საქმე სახვალიოდ გადავდოთ. ამრიგად, მივდივარ პაემანზე, რომელიც, როგორც თქვენც იცით, შვიდ საათზე მაქვს დანიშნული. აქ ფებუსმა ყური მოიფხანა:

- აჰ, ეშმაკსაც წაუღია! დამავიწყდა! ერთი სუც არ მაბადია, უბადრუკი სხვენის ქირა რომ გადავიხადო, ბებერი მაჭანკალი კი წინასწარ მომთხოვს. არ მენდობა. - აი, ამით გადაუხადეთ.

ფებუსმა იგრძნო, როგორ ჩაუდო უცნობის ცივმა ხელმა ხელში მსხვილი ფული. - ღმერთმანი! - შესძახა მან, - თქვენ კარგი ბიჭი ხართ!

- ერთი პირობით, - თქვა ლაბადიანმა. - დამიმტკიცეთ, რომ მე ვცდებოდი და თქვენ მართალს ამბობდით. დამმალეთ რომელიმე კუთხეში, საიდანაც დავინახავ, ნამდვილად ის ქალია თუ არა, რომლის სახელიც თქვენ ახსენეთ. - ოჰ, სიამოვნებით! - უპასუხა ფებუსმა, - ჩემთვის სულ ერთია. ჩვენ წმინდა მართას ოთახში ვიქნებით, თქვენ კი შეძლებთ გვერდითი საკუჭნაოდან უცქიროთ, რამდენიც გნებავთ. - მაშ, წავიდეთ, - უთხრა ლაბადიანმა.

- მზად ვარ გემსახუროთ, - მიუგო კაპიტანმა. - მე არ ვიცი, იქნებ თქვენ თვით მუსიე ეშმაც ბრძანდებით, მაგრამ ამ საღამოს ჩვენ მეგობრები ვართ. ხვალ კი თქვენს ვალს - ქისისას და ხმლისას, ერთად გადაგიხდით. სწრაფი ნაბიჯით წავიდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მდინარის ხმაურზე მიხვდნენ, რომ სენ- მიშელის ხიდზე იყვნენ, რომელსაც იმ დროს სახლები ამძიმებდა. - ჯერ თქვენ მიგიყვანთ, - უთხრა ფებუსმა თანამგზავრს, - შემდეგ წავალ ჩემს ლამაზთან შესახვედრად, რომელიც პტი-შატლესთან მელოდება.

თანამგზავრმა, რომელიც მთელი გზა დუმდა, არც ამჯერად უპასუხა. ფებუსმა დაბალ კარზე მაგრად დააბრახუნა. კარის ღრიჭოებში სინათლე გამოჩნდა."

- ვინ არის? - დაიძახა ვიღაცამ ჩიფჩიფით.

- ვფიცავ ღვთის ტანს, ღვთის თავს, ღვთის მუცელს! - უპასუხა კაპიტანმა. კარი წამსვე გაიღო. მათ წინ მოხრილი, დაძონძილსამოსიანი ბებერი დედაკაცი იდგა ძველთაძველი სანათით, ორივე ცახცახებდა - ბებერიცა და სანათიც; ბებერს ჩვარწაკრული თავი უკანკალებდა, წვრილი თვალები ჰქონდა, სახე, ხელები და კისერი დანაოჭებული, ტუჩები ღრძილებქვეშ ჩასცვენოდა, პირს გვლივ თეთრი ბალანი შემოვლებოდა, სახე კატასავით შეჭმუხნოდა. მისი ხუხულა პატრონზე ნაკლებ როდი იყო წამხდარი: ცარცით შეთხუპნილი კედლები, ჭერში ჭვარტლისგან გაშავებული კოჭები, დანგრეული

ბუხარი, ყველა კუთხეში აბლაბუდა, ოთახის შუაგულში ფეხმორყეული მაგიდა და სკამები, ნაცარში მოფუთფუთე ჭუჭყიანი ბავშვი, სიღრმეში კიბე, უფრო სწორად, სხვენზე მიყუდებული ხის ხარიხა. ბუნაგში შესვლისთანავე ფებუსის იდუმალმა თანამგზავრმა კაპიუშონი თვალებამდე ჩამოიფარა. ამასობაში კაპიტანმა, რომელიც უწმაწურად იგინებოდა, როგორც რენიე იტყოდა, „ელვარე ეკიუ შუქზე შეათამაშა“. დედაბერი კაპიტანს „მონსენიორ“-ობით მიმართავდა. - წმინდა მართას ოთახი! - უთხრა დედაბერს, რომელმაც ფული უჯრაში დამალა. როდესაც დედაბერი შებრუნდა, თმაგაბურძგნული პატარა ბიჭი სწრაფად და მოხერხებულად მიუახლოვდა უჯრას, ეკიუ ამოიღო და მის ადგილას ფიჩხიდან აგლეჯილი ხმელი ფოთოლი დადო. ბებერი ორივე ჯენტლმენს (ასე მიმართავდა ის მათ) ე.წ. კიბეზე აუძღვა. ზედა სართულს რომ მიაღწიეს, დედაბერმა სანათი სკივრზე დადო. ფებუსმა, როგორც ამ სახლის ხშირმა სტუმარმა, ერთი ბნელი საკუჭნაოს კარი გააღო.

- იქ შებრძანდით, ძვირფასო! - უთხრა მან თანამგზავრს.

ლაბადიანი უსიტყვოდ დაემორჩილა. კარი მიუხურეს. ფებუსმა კარი ურდულით დაკეტა და დედაბერთან ერთად კიბეზე ჩავიდა.

7.8. კარგია, როცა ფანჯრები მდინარეს გადაჰყურებენ

კლოდ ფროლომ (მკითხველი ფებუსზე უფრო გონიერია და დიდი ხანია მიხვდა, რომ ბერ- მოჩვენება არქიდიაკონი იყო) რამდენიმე წუთში ხელის ცეცებით შეისწავლა ბნელი ხუხულა, სადაც კაპიტანმა ჩაკეტა. იგი ერთი იმ საკუჭნაოთაგანი იყო, რომელსაც ხუროთმოძღვარნი ზოგჯერ სახურავისა და საყრდენი კედლის შეერთების წერტილში ატანდნენ. მას სარკმელი არ ჰქონდა და იმდენად დახრილი იყო, წელში ვერ გაიმართებოდით. კლოდი ფეხქვეშ მოხრაშუნე ნამ-

სხვრევთა შორის ჩაცუცქდა. თავი უხურდა. ირგვლივ ხელები მოაფათურა, მინის ნატეხი შუბლზე მიიდო და მისმა სიგრილემ ცოტა დაამშვიდა. რა ხდებოდა ამ დროს არქიდიაკონის ბნელ სულში? მხოლოდ მან და ღმერთმა იცოდა. საინტერესოა, როგორი ბედშავი წესით თავსდებოდა მის გონებაში ესმერალდა, ფებუსი, ჟაკ შარმოლიუ, საყვარელი ძმა, რომელიც ქუჩაში უპატრონოდ მიატოვა, მისი ანაფორა და მისი სახელი, საერთოდ ამ დღის ყველა შემთხვევა? მაგრამ, სარწმუნოა, ეს სახეები მის სულში ერთ საზარელ ჯგუფად შეერთდა.

მეოთხედ საათს იცადა. ეგონა, მთელი საუკუნით დაბერდა. უცბად ხის კიბის საფეხურების ჭრაჭუნი მოესმა. ვიღაც ამოდიოდა. სხვენის კარი გაიღო, სინათლე გამოჩნდა. საკუჭნაოს ჭიანაჭამ კარში საკმაოდ ფართო ნაპრალი იპოვა და ზედ მიეკრა. ყველაფერს ხედავდა, რაც მეზობელ ოთახში ხდებოდა. პირველად სხვენზე თავი დედაბერმა ამოყო, რომელსაც ხელში სანათი ეჭირა, მას ულვაშების გრეხით მოსდევდა ფებუსი, შემდეგ გამოჩნდა მესამეც, ქვემოდან მომავალი მშვენიერი ესმერალდა მღვდელს თვალწინ თვალისმომჭრელ მოჩვებასავით დაუდგა. კლოდი ათრთოლდა, თვალებზე ნისლი გადაეფარა. სისხლი აუდუღდა, ძარღვები მთელი ძალით უფეთქავდა. ირგვლივ ყველაფერი გუგუნებდა და ტრიალებდა. ვერაფერს ხედავდა, აღარაფერი ესმოდა. როცა გონს მოვიდა, ფებუსი და ესმერალდა უკვე მარტონი იყვნენ. ისინი ხის სკივრზე ისხდნენ სანათის გვერდით, რომლის სინათლის ფონზე არქიდიაკონმა ახალგაზრდების ნორჩი სახეები დაინახა, სხვენის სიღრმეში კი უბადრუკი საწოლი. საწოლის გვერდით იყო სარკმელი, რომლის ჩამსხვრეულ მინაში, როგორც წვიმისგან გახვრეტილ აბლაბუდაში, ცის ნაგლეჯი მოჩანდა, ხოლო შორს - ნაზ ღრუბლებზე დაწოლილი მთვარე.

გაწითლებული, დარცხვენილი და შეცბუნებული ახალგაზრდა ქალი კანკალებდა. გრძელი დახრილი წამწამები ალისფერ ღაწვებს უჩრდილავდა. ოფიცერი, რომლისთვისაც ქალს შეხედვაც კი ვერ გაებედა, სიხარულით გაბადრულიყო; გოგონა სკამზე თითის წვერით უაზროდ რაღაცას ხაზავდა, თან თითზე იყურებოდა. ფეხები არ უჩანდა, პატარა თხა მის ფეხთით იწვა. კაპიტანს კარგად ეცვა. საყელო და სამაჯური ოქრომკერდითა და მაქმანებით ჰქონდა მოქარგული, რაც მაშინ მოდაში იყო. მამა კლოდს ისე უბზუოდა ყურები და ისე უფეთქავდა ძარღვები, რომ ძლივს ახერხებდა გაეგო, რაზე ლაპარაკობდნენ.

(მიჯნურთა ბაასი საკმაოდ ბანალურია. გაუთავებელი „მე თქვენ მიყვარხართ," გულგრილი მსმენელისთვის შიშველი და მეტად უფერული მუსიკალური ფრაზაა, თუკი „კრიმანჭულით" არ არის შემკული. მაგრამ კლოდი სრულიადაც არ უსმენდა გულგრილად).

- ოჰ! - თქვა თვალებდახრილმა ყმაწვილქალმა, - ნუ ამითვალწუნებთ, კეთილო მუსიე ფებუს! ვგრძნობ, რომ არასწორად ვიქცევი.

- თქვენ აგითვალწუნოთ, ლამაზო ბავშვო?! - უპასუხა კაპიტანმა ქედმაღლური თავაზიანობით და ზრდილობით, - თქვენ აგითვალწუნოთ! ღმერთო ჩემო! რაზე? რატომ? - იმიტომ, რომ გამოგყევით.

- ამ გაგებით, ჩემო მშვენიერო, მე და თქვენ სხვადასხვა აზრის ვართ. მე თქვენ კი არ უნდა აგითვალწუნოთ, არამედ უნდა მძულდეთ.

ყმაწვილქალმა შიშით შეხედა.

- ჩემი სიძულვილი? განა რა ჩავიდინე ისეთი?

- ამდენი რომ მახვეწნინეთ.

- ეს იმიტომ, რომ აღთქმა დავარღვიე. ვეღარ ვიპოვი ჩემს მშობლებს. თილისმა დაკარგავს თავის ძალას, მაგრამ რა ბედენაა? რაში მჭირდება ახლა დედ-მამა? - ამას რომ ამბობდა, გოგონამ თავისი

დიდრონი, სიხარულით დაწყლიანებული და ალერსიანი შავი თვალები კაპიტანს მიაპყრო. - ეშმაკმა წამიღოს, თუ რამე მესმოდეს თქვენი! - წამოიძახა ფებუსმა. ესმერალდა ერთ წუთს დადუმდა, შემდეგ მის თვალებს ცრემლი მოსწყდა, ბაგეს ოხვრა აღმოხდა და წარმოთქვა:

- ოჰ! ჩემო ბატონო, მე თქვენ მიყვარხართ! ქალიშვილის ირგვლივ უმანკოების, სათნოებისა და უმწიკვლობის ისეთი ეშხი და სურნელი დატრიალდა, რომ ფებუსმა მის გვერდით მთლად ლაღად ვერ იგრძნო თავი. მაგრამ ამ სიტყვებზე გული მიეცა, გათამამდა. - თქვენ გიყვარვართ?! - აღტაცებით წარმოთქვა მან და ბოშა გოგონას წელზე ხელი მოხვია. სწორედ ამ შემთხვევას ელოდა.

ამის დანახვაზე მღვდელმა თითის წვერით მკერდში ჩამალული ხანჯლის წვერი მოსინჯა. - ფებუს, - განაგრძო ბოშა ქალმა და კაპიტნის ხელი ნელ-ნელა მოიშორა, - თქვენ კარგი ხართ, კეთილი, დიდსულოვანი, ლამაზი. თქვენ გადამარჩინეთ. დიდი ხანია ვოცნებობდი კაპიტანზე, რომელიც ჩემს სიცოცხლეს იხსნიდა. თქვენზე ვოცნებობდი იქამდე, ვიდრე გაგიცნობდით. ჩემს საოცნებოსაც თქვენსავით ლამაზი ტანსაცმელი, დიდებული გამომეტყველება, ასეთივე ხმალი აქვს. თქვენ ფებუსი გქვიათ. რა მშვენიერი სახელია! მიყვარს ეს სახელი. თქვენი ხმალი, ამოიღეთ ქარქაშიდან თქვენი ხმალი, ფებუს, მინდა შევხედო.

- ბავშვი ყოფილხართ! - თქვა კაპიტანმა და დაშნა ქარქაშიდან ღიმილით ამოიღო. ბოშა ქალმა ხმლის პირს შეხედა, მომხიბლავი ცნობისმოყვარეობით დააკვირდა, აკოცა და თქვა:

- შენ მამაცის ხმალი ხარ. მე მიყვარს ჩემი კაპიტანი.

ფებუსმა შემთხვევით ისარგებლა და მის დაბლა დახრილ მშვენიერ კისერს აკოცა, რამაც გაწითლებული ყმაწვილქალი აიძულა გამართულიყო. მღვდელმა სიბნელეში კბილები გააკრაჭუნა. - ფებ, -

მიმართა ქალმა, - მათქმევინეთ, რაც სათქმელი მაქვს. ცოტა გაიარ-გამოიარეთ, რომ გამართულს შეგხედოთ და თქვენი დეზების წკარუნი მოვისმინო. რა ლამაზი ხართ! კაპიტანი მისი გულის მოსაგებად წამოდგა და თვითკმაყოფილი ღიმილით დატუქსა: - რა ბავშვი ხართ! მართლა, მშვენიერო, გინახივართ საზეიმო სამოსში? - სამწუხაროდ, არა! - უპასუხა გოგონამ.

- აი, ის მართლაც მშვენიერია! - და ფებუსი მის გვერდით უფრო ახლოს ჩამოჯდა. - მისმინეთ, ჩემო ძვირფასო... ბოშა გოგონამ ბავშვური გატაცებით, სიკეკლუცითა და მხიარულებით რამდენჯერმე ნელა დაჰკრა თავისი კოხტა ხელი ფებუსს ტუჩებზე.

- არა, არა, არ მოგისმენთ. გიყვარვართ? მინდა ვიცოდე, გიყვარვართ თუ არა. - მიყვარხართ თუ არა, ჩემი ცხოვრების ანგელოზო?! - წამოიძახა ნახევრად მუხლმოყრილმა კაპიტანმა. - ჩემი სხეული, სისხლი, ჩემი სული, ყველაფერი შენია, მიყვარხარ და შენს გარდა არასოდეს არავინ მყვარებია.

ამგვარ ვითარებაში კაპიტანს იმდენად ხშირად უთქვამს ეს სიტყვები, რომ სულმოუთქმელად, უშეცდომოდ წარმოთქვა. გოგონამ მხურვალე აღსარება რომ მოისმინა, ბედნიერებითა და ნეტარებით სავსე მზერა ცის მაგიერ ჭუჭყიან ჭერს მიაპყრო.

- ოჰ, - წაიჩურჩულა ქალმა, - აი, წუთი, რომლისთვისაც სიკვდილიც ღირს! ფებუსმა კი სწორედ მარჯვე „წუთი“ იპოვა ხელახლა საკოცნელად და ამით ახალი ტანჯვა განაცდევინა საბრალო არქიდიაკონს.

- სიკვდილიო! - წამოიძახა გამიჯნურებულმა კაპიტანმა, - ეს რა თქვით, მშვენიერო ანგელოზო? სწორედ ახლა უნდა ვიცოცხლოთ, სიკვდილი იმ დროს, როცა ასეთი სასიამოვნო ამბავი იწყება! ტარტაროზის რქებსა ვფიცავ, ეს რა ხუმრობაა! საქმე ასე არაა! მისმინეთ, ჩემო ძვირფასო სიმილარ... ესმენარდა... უკაცრავად, მაგრამ

ისეთი საოცარი სარკინოზული სახელი გაქვთ, რომ ვერაფერი მოვუხერხე. იგი ხშირ ბუჩქნარსა ჰგავს, რომელშიც მუდამ ვიბნევი. - ღმერთო ჩემო, - თქვა საბრალო გოგონამ, მეგონა, ლამაზი, იშვიათი სახელი მქონდა, მაგრამ თუ არ მოგწონთ, გოტონი დამიძახეთ.

- აჰ, ნუ ვაწყენინებთ ერთმანეთს ასეთი წვრილმანის გამო, ჩემო კეკლუცო! მაგ სახელს მიჩვევა უნდა, სულ ესაა. დავიზეპირებ, ყველაფერი კარგად იქნება. მაშ, მისმინეთ, ძვირფასო სიმილარ; მე გაღმერთებთ, თაყვანს გცემთ მთელი გულით. მართლაც, საკვირველია, როგორ მიყვარხართ. მე ვიცნობ ერთ ქალიშვილს, რომელიც ამის გამო გულზე სკდება...

ეჭვიანმა გოგონამ შეაწყვეტინა:

- ვინ არის იგი?

- რა ხელი გვაქვს ჩვენ მასთან? - თქვა ფებუსმა. - თქვენ ხომ გიყვარვართ? - ოოჰ!.. - წარმოთქვა ქალიშვილმა.

- ჰოდა, ძალიან კარგი! მთავარი ესაა. თქვენ დაინახავთ, როგორ მიყვარხართ. დაე, იმ აყლაყუდა ეშმაკმა ნეპტუნმა თავის ფიწალზე ამაგოს, თუ ამქვეყნად ყველაზე ბედნიერ ქალად არ გაქციო. სადმე ერთი პატარა ლამაზი ოთახი გვექნება. თქვენი ფანჯრების წინ ჩემს მსროლელებს ზეიმით გავატარებ. ყველა ცხენოსანია და კაპიტან მინიონის მსროლელებს ჯიბეში ჩაისვამენ. წაგიყვანთ პარიზელთა დიად სანახაობაზე რიულის კალოებთან. ოთხმოცი ათასი ადამიანი მწყობრში; ოცდაათი ათასი თეთრი თორი, აბჯარი, ჯავშანი თუ საჭურველი; სამოცდაშვიდი ამქრის დროშა; პარლამენტის, ხაზინის, ზარაფხანის ალმები; ერთი სიტყვით, მთელი ეშმაკის ამალა! წაგიყვანთ მეფის კარის ლომების, მტაცებელი ნადირების სანახავად. ყველა ქალს უყვარს ასეთი სანახაობანი. რამდენიმე წუთს ახალგაზრდა ქალი თავის წარმტაც ფიქრებში იყო შთანთქმული, კაპიტნის ხმას დაებნიდა, დაეთრო, ამიტომ სიტყვების აზრი არ ესმოდა. - ოჰ!

რა ბედნიერი იქნებით! - განაგრძო კაპიტანმა და იმავე დროს ნელ-ნელა შეხსნა ბოშა ქალს სარტყელი.

- რას აკეთებთ? - სწრაფად წამოიძახა ქალმა. ამ ძალმომრეობამ გოგონა ოცნებიდან გამოარკვია. - არაფერს, - მიუგო ფებუსმა. - მხოლოდ იმას გეუბნებით, რომ უნდა მიატოვოთ ეს გიჟური და ქუჩური მორთულობა, როდესაც ჩემთან იქნებით.

- როდესაც შენთან ვიქნები, ჩემო ფებ! - თქვა ნაზად ახალგაზრდა ქალმა. და ისევ დადუმდა, ფიქრებმა გაიტაცა... ქალის თვინიერებამ კაპიტანი წაათამამა, წელზე ხელი მოხვია. იგი წინააღმდეგობას არ უწევდა. ფებუსმა საცოდავ გოგონას ზედატანის ზონრები ჩუმ-ჩუმად შეუხსნა, ყელსახვევი ისე აურ- დაურია, რომ სულშეხუთულმა მღვდელმა დაინახა, როგორ ამოანათა მარმაშიდან ბოშა ქალის მშვენიერმა, მრგვალმა და მოშავგვრემანო მხარმა, როგორც ცის ტატნობზე ნისლიდან ამოსულმა მთვარემ. გოგონამ ფებუსი ნებაზე მიუშვა, გეგონებოდათ, ვერაფერს ამჩნევსო. თავხედ კაპიტანს თვალები უბრწყინავდა. უცებ ქალი მისკენ შებრუნდა.

- ფებ, - უთხრა მან განუსაზღვრელი სიყვარულის კილოთი, - მასწავლე შენი რელიგია. - ჩემი რელიგია! - შესძახა კაპიტანმა სიცილით, - მე გასწავლოთ ჩემი რელიგია! მეხიც დასცემია! რად გინდა ჩემი სარწმუნოება?

- რომ ვიქორწინოთ, - მიუგო მან.

კაპიტანს სახეზე განცვიფრების, ზიზღის, უკადრისობის, უზრუნველობისა და ვნებიანი გარყვნილების ნარევი გამოეხატა.

- ერიჰაა! - თქვა მან, - განა ჩვენ დაქორწინებას ვაპირებთ? ბოშა ქალი გაფითრდა და თავი ნაღვლიანად ჩაჰკიდა.

- ჩემო მშვენიერო, - ნაზად განაგრძო ფებუსმა, - ეს რა სიგიჟეა? დიდი რამაა ეს ქორწინება! განა ადამიანებს უფრო ნაკლებ ეყვარე-

ბათ ერთმანეთი, თუ ლათინური არ გადმოანთხიეს თავზე მღვდლის დუქანში?

ტკბილად ესაუბრებოდა და თან გოგონასკენ სულ უფრო ახლოს მიიწევდა, ნაზსა და მოქნილ წელზე ხელი კვლავ ალერსით მოხვია. თვალები უფრო და უფრო ენთებოდა, ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ მუსიე ფებუსისთვის აშკარად დადგა ისეთი წუთი, როდესაც თვით იუპიტერმაც კი იმდენი სისულელე ჩაიდინა, რომ კეთილი ჰომეროსი იძულებული გახდა დასახმარებლად ღრუბლისთვის მოეხმო.

მამა კლოდი ყველაფერს ხედავდა. კარის ფართო ღრიჭოდან მტაცებელი ფრინველივით იმზირებოდა. მკაცრი მონასტრული უბიწობის აღთქმით დასჯილი მხარბეჭიანი მღვდელი სიყვარულისა და ავხორცობის სანახაობის წინაშე კანკალებდა. ახალგაზრდა ფიცხი მამაკაცის ხელში ჩავარდნილი ნახევრად გახდილი ნორჩი და ლამაზი ქალიშვილის ცქერა ძარღვებში გამდნარ ტყვიას უსხამდა. უჩვეულო მღელვარებას განიცდიდა. მისი თვალი ავხორცი შურითა და ეჭვით ჩააფრინდებოდა ხოლმე ყველაფერს, რაც კი ყოველი ქინძისთავის ამოღების შემდეგ ჩნდებოდა. იმ წუთს ჭიანაჭამ ფიცრებზე მიკრული უბედური ხუცესი ვეფხვს ჰგავდა, რომელიც გალიიდან უცქერის, როგორ ჯიჯგნის ტურა ქურციკს. მისი თვალები კარის ნაპრალებში სანთლებივით ანათებდა. ფებუსმა უცბად მოაძრო ბოშა ქალს ყელსახვევი. საბრალო გოგონა, რომელიც აქამდე გაფითრებული და ჩაფიქრებული იჯდა, თითქოს უეცრად გაიღვიძაო, მძაფრი მოძრაობით მოშორდა ხელმარჯვე კაპიტანს და მოშიშვლებულ გულმკერდსა და მხრებზე დაიხედა. სირცხვილისგან აწითლებულმა, შემკრთალმა და დამუნჯებულმა, ლამაზი მკლავები გადააჯვარედინა, რომ მკერდი დაეფარა. თვალდახრილი ისე მდუმარედ და უძ-

რავად იდგა, რომ არა მის ლოყებზე აგიზგიზებული ალი, იტყოდით, წმინდანის ქანდაკებაააო.

კაპიტანმა მის კისერზე დაკიდული თილისმა შენიშნა.

- რა არის ეს? - ჰკითხა მან და ამით ისარგებლა, რომ კვლავ მიახლოებოდა შეშინებულ მშვენიერ ქმნილებას.

- ხელი არ ახლოთ! - სწრაფად შეუძახა გოგონამ. - ეს ჩემი მცველია. ეს მაპოვნინებს ჩემს ოჯახს, ჩემს მშობლებს, თუკი ამისი ღირსი ვიქნები. ოჰ! თავი დამანებეთ, მუსიე კაპიტანო! ჩემო საბრალო დედავ! დედიკო! სადა ხარ, მიშველე! შემიბრალეთ, მუსიე ფებუს! დამიბრუნეთ ჩემი ყელსახვევი! ფებუსმა უკან დაიხია და ცივად უპასუხა:

- ოჰ! ქალიშვილო! ახლა კი კარგად ვხედავ, რომ არ გიყვარვართ! - მე არ მიყვარხართ?! - შესძახა უბედურმა გოგონამ, იმავე დროს კაპიტანს კისერზე ჩამოეკიდა და გვერდით მოისვა. - მე არ მიყვარხართ, ჩემო ფებ?!

- რას ამბობთ? გინდათ გული გამიხეთქო? ოჰ! კარგი, აგრე იყოს! თქვენს ხელთა ვარ, მიიღეთ ყველაფერი! მიყავით, რაც გინდათ! რას მიკეთებს ეს თილისმა! ვინაა ჩემთვის დედა! თქვენ ხართ დედა-ჩემი, იმიტომ რომ მიყვარხარ! ფებ, ჩემო საყვარელო ფებ, შემომხედეთ, მე ვარ. მე ვარ ის პატარა, რომელსაც ხელს არ ჰკრავთ; მე თვითონ მოვედი, თვითონ გეძებდით. ჩემი სული, სიცოცხლე, სხეული, მთელი ჩემი არსება, ყველაფერი თქვენ გეკუთვნით, ჩემო კაპიტანო. ჰო,ა სე იყოს, ნუ ვიქორწინებთ, თუკი არ გინდათ. ბოლოს და ბოლოს, ვინ ვარ მე? ერთი საბრალო ქუჩის მაწანწალა, შენ კი, ჩემო ფებ, კეთილშობილი; ისე, კარგი რამ კია ქუჩის მოცეკვავე კაპიტანზე იწერდეს ჯვარს! გავგიჟდი, ჭკუიდან შევიშალე!: არა, ფებ, არა, მე ვიქნები თქვენი საყვარელი, თქვენი ხასა, სათამაშო, გასართობი, როცა კი ამას ისურვებთ. სხვა რის მაქნისი ვარ, რისთვის გავჩნდი

ამქვეყნად. დაე, წავიბილწო, მომეცხოს ჩირქი, თავი მომეჭრას. დაე, ვიყო შერცხვენილი, აბუჩად აგდებული, რა მენაღვლება, ოღონდ გიყვარდეთ! ყველაზე ამაყი, თავმომწონე და მხიარული ქალი ვიქნები. ხოლო როდესაც დავბერდები, დავუშნოვდები, ფებ, როდესაც თქვენი სიყვარულის ღირსი აღარ ვიქნები, ჩემო ღმერთო, ნება მომეცით, გემსახუროთ. დაე, სხვებმა შარფი მოგიქსოვონ, მე კი, თქვენი მონა, მას გავუფრთხილდები. ნება მომეცით ვაპრიალო თქვენი დეზები, ჯაგრისით ვწმინდო თქვენი ტანსაცმელი, მტვერი მოვაცილო თქვენს მხედრულ წაღებს. არა? ასე არაა, ჩემო ფებ, განა ასეთ თანაგრძნობაზე უარს მეტყვი? მანამდე კი წამიყვანეთ! ფებ, თქვენს ხელთა ვარ, მთლიანად თქვენ გეკუთვნით, ოღონდ გიყვარდეთ. ჩვენ, ბოშა ქალებს, მხოლოდ ორი რამ გვინდა: ჰაერი და სიყვარული. ამას რომ ამბობდა, კაპიტანს კისერზე ხელებს ხვევდა, ვედრებით შეჰყურებდა და თვალცრემლიანი მომხიბლავად უღიმოდა; მისი ნაზი და სათუთი მკერდი მაუდის ქურთუკსა და ნაქარგებს ეხახუნებოდა. მისი ნახევრად შიშველი ლამაზი სხეული ვაჟის მუხლებზე იგრიხებოდა. გაბრუებულმა კაპიტანმა მხურვალე ტუჩები ქალის ლამაზ მხრებს დააწება. უკან გადაწოლილი ახალგაზრდა ქალი თვალებს ჭერში აცეცებდა და გახელებული კოცნის გამო კანკალებდა. უცბად ფებუსის თავს მაღლა მეორე თავი დაინახა, მკვდრისფერი და დაკრუნჩხული სახე. შეჩვენებული ჯოჯოხეთური თვალები, სახის გვერდით კი ხანჯალმოღერებული ხელი. ეს მღვდელი იყო. მას კარი გამოემტვრია და ფებუსს თავს დასდგომოდა, რომელსაც მისი დანახვა არ შეეძლო. ქალიშვილი გაშეშდა და დამუნჯდა, როგორც მტრედი, რომელმაც თავი სწორედ იმ წუთას წამოსწია, როდესაც მის ბუდეში ყურბმა ჩაიხედა. კივილის თავიც აღარ ჰქონდა. დაინახა როგორ დაეშვა ხანჯალი ფებუსის თავზე.

- ჯანდაბა! - თქვა კაპიტანმა და დაეცა.

ქალს გული წაუვიდა. იმ წუთს, როდესაც თვალები დახუჭა და გრძნობას კარგავდა, ტუჩებზე ბუნდოვნად იგრძნო ცეცხლოვანი შეხება, ჯალათის გავარვარებულ რკინაზე უფრო მწველი კოცნა. როცა გონს მოვიდა, გარს ღამის გუშაგები ეხვივნენ. დასისხლიანებული კაპიტანი სადღაც მიჰყავდათ, მღვდელი გამქრალიყო, ფანჯარა, რომელიც მდინარეს გადაჰყურებდა, მთლიანად გაღებული იყო. იატაკიდან ლაბადა აიღეს, იფიქრეს კაპიტნისაა. ქალმა გაიგონა, როგორ თქვეს: - ამ ჯადოქარმა დაჭრა კაპიტანი.

8.1. ხმელ ფოთლად ქცეული ეკიუ

გრენგუარი და საოცრებათა ეზოს ბინადარნი საშინელ განგაშს შეეპყრო. თვე გავიდა და არავინ იცოდა, რა მოუვიდა ესმერალდას, რამაც ძალიან დააღონა ჰერცოგი და მისი მეგობრები. ვერც ის გაიგეს, თხა მაინც სად წავიდა. ამან უფრო გაუორმაგა სევდა და მწუხარება გრენგუარს. ერთ საღამოს გაქრა ბოშა გოგონა და მას მერე ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს. ყველა მცდელობა ამაო გამოდგა. რამდენიმე ბნედიანმა გრენგუარს უთხრა, რომ საღამოს სენ მიგელის ხიდის ახლოს ერთ ოფიცერთან ერთად მიდიოდაო. მაგრამ ბოშათა წესით დაქორწინებული ურწმუნო ფილოსოფოსი გრენგუარი დარწმუნებული იყო ცოლის უმანკოებაში. საკუთარი გამოცდილებით მსჯელობდა იმ დაუძლეველ უბიწოებაზე, რაც თილისმისა და ბოშა ქალის - ამ ორმაგი სათნოების შეხამებიდან წარმოდგებოდა. მან მათემატიკურად გამოიანგარიშა მეორე ხარისხში აყვანილი ზნეობრივი სიწმინდის წინააღმდეგობის ძალა. ასე რომ, ამ მხრივ დამშვიდებული იყო.

ვერაფრით აეხსნა ესმერალდას გაქრობა. ეს ბუნდოვანი გარემოება ძალიან აღონებდა. მან ყველაფერი მიატოვა, მიივიწყა ლიტე-

რატურული სახალისონი და საკუთარი დიდი ნაშრომიც: De figuris regularibus et irregularibus[1], რომლის გამოცემასაც იმედოვნებდა, როგორც კი ფულს ჩაიგდებდა ხელში.

ერთ დღეს დაღონებულმა მართლმსაჯულების სასახლის ერთ-ერთ კართან შეგროვილი ხალხი შენიშნა.

- რა მოხდა? - ჰკითხა იქიდან გამოსულ ერთ ყმაწვილკაცს.

- არ ვიცი, მუსიე, - უპასუხა ყმაწვილკაცმა, - ლაპარაკობენ, ვიღაც ქალს ასამართლებენ, რომელსაც სამხედრო პირი მოუკლავს. როგორც ჩანს, ამ საქმეში ჯადოქრობაც ურევია, ამის გამო საქმეში ეპისკოპოსი და სასულიერო სასამართლოა ჩარეული, ჩემი ძმაც, არქიდიაკონი ჟოზასელი მთელ დღეებს იქ ატარებს. მინდოდა დავლაპარაკებოდი, მაგრამ იმდენი ხალხია, იქამდე ვერ მივაღწიე. ძალიან მწყინს, რადგან ფული მჭირდება.

- ვაგლახ! - თქვა გრენგუარმა, - სიამოვნებით გასესხებდით, მუსიე, მაგრამ ჩემი შარვლის ჯიბეები გახვრეტილია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეკიუ ამძიმებს. გრენგუარმა ვერ გაბედა ახალგაზრდისთვის ეთქვა, რომ მის ძმას იცნობდა, რომელთანაც ეკლესიაში შეხვედრის შემდეგ აღარ მისულა და ამ დაუდევრობის გამო ერიდებოდა კიდეც. ყმაწვილი თავისი გზით წავიდა, გრენგუარი კი გაჰყვა ხალხს, რომელიც კიბით დიდ ოთახში ადიოდა. „ნაღველს ისე არაფერი აქარვებს, როგორც სასამართლო პროცესი, რადგან ძალიან სასაცილონი არიან რეგვენი და სულელი მოსამართლენი“, ფიქრობდა გრენგუარი და ხალხის მიხლა-მოხლის მიუხედავად, წყნარად მიიწევდა წინ. ამ გრძელი და ბნელი, დაკლაკნილი დერეფნის მომაბეზრებელი ტკეპნის შემდეგ დარბაზის კარს მიაღწია.

---

[1] *წესიერი და არაწესიერი ფიგურების შესახებ.*

დარბაზი განიერი და ბნელი იყო, რის გამოც კიდევ უფრო ფართო ჩანდა. დღე იწურებოდა. მაღალი ისრული ფანჯრები მხოლოდ მკრთალ სხივებს უშვებდნენ. მაგიდებზე აქა-იქ უკვე აენთოთ რამდენიმე სანთელი, რომლებიც მდივანთა ქაღალდებისკენ დახრილ თავებს ანათებდა. დარბაზის წინა მხარე ხალხს ეჭირა. მაგიდებს აქეთ-იქით მსაჯულები, სასამართლოს მოხელეები უსხდნენ; სიღრმეში კი, შემაღლებულ ადგილზე უამრავ მოსამართლეს დაინახავდით. მათ უძრავი და პირქუში სახეები ჰქონდათ. კედლებზე შროშანის ურიცხვი ყვავილი ეხატა. მოსამართლეთა თავებს მაღლა ბუნდოვნად ჩანდა დიდი ჯვარცმა, ხოლო დარბაზში ყველგან შუბები და შუბნაჯახები მოჩანდა, რომელთა წვერებზე სანთლების შუქი ცეცხლის წერტილებივით კიაფობდა. - მუსიე, - ჰკითხა ერთ-ერთ თავის მეზობლად მდგომს გრენგუარმა, - ვინ არიან ის ვაჟბატონები, იქ რომ ჩამწკრივებულან საეკლესიო კრებაზე გამოჭიმული პრელატებივით? - მუსიე, მარჯვნივ არიან სასამართლოს დიდი პალატის მრჩეველნი, მარცხნივ - საგამოძიებო ნაწილის მრჩეველნი. დაბალმოხელენი - შავებში, დიდმოხელენი - წითლებში, - უპასუხა მან. - წითელი სქელი კაცი, ოფლში რომ იწურება?

- იგი თვით თავმჯდომარეა.

- მის უკან რომ ცხვრები არიან? - განაგრძო გრენგუარმა, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვით, მოსამართლეები არ უყვარდა. შესაძლოა, მართლმსაჯულების სასახლეში დრამატურგიაში განცდილი მარცხის გამოც.

- ესენი მეფის პალატის მომხსენებლები არიან.

- მის წინ, აი, ის ტახი?

- იგი სამეფო სასამართლოს ოქმების მწერალია.

- მარჯვნივ, ის ნიანგი?

- მეტრ ფილიპ ლელიე, მეფის საგანგებო ადვოკატი.

- მარცხნივ, აი, ის მსუქანი შავი კატა?

- მეტრ ჟაკ შარმოლიუ, საეკლესიო სამართლის მეფის პროკურორი. - კიდევ ერთი კითხვა, მუსიე, - უთხრა გრენგუარმა. - ეს პატივცემული ხალხი აქ რას აკეთებს? - ასამართლებენ.

- ვის სამართლებენ? ბრალდებულს ვერ ვხედავ.

- ქალია, ბატონო, ვერც დაინახავთ. ზურგშექცეული ზის და ხალხი ეფარება. შეხედეთ იქაა, სადაც შუბნაჯახიანთა ჯგუფი დგას. - ვინაა ის ქალი? - ჰკითხა გრენგუარმა. - სახელი თუ იცით? _ - არა, ბატონო. ახლახან მოვედი. ჩემი ვარაუდით, საქმე ჯადოქრობას ეხება, რადგან პროცესს სასულიერო სასამართლოს წევრებიც ესწრებიან.

- ამრიგად, - თქვა ჩვენმა ფილოსოფოსმა, - ახლა ვნახავთ, ეს მანტიებში მოწყობილი პუბლიკა როგორ მიირთმევს ადამიანის ხორცს. სხვაზე ნაკლები სანახაობა როდია. - მუსიე, - შენიშნა მეზობელმა. - როგორ გგონიათ, მეტრ ჟაკ შარმოლიუს ფრიად თვინიერი გამომეტყველება არა აქვს?

- კი! - მიუგო გრენგუარმა, - მე არ ვენდობი ნესტოებჩაზნექილ, თხელტუჩებიან თვინიერს. აქ ორი მოსაუბრე მეზობლებმა გააჩუმეს. საყურადღებო ჩვენებას ისმენდნენ. - ჩემო უფალნო, - ლაპარაკობდა დარბაზის შუაში მდგომი დედაბერი, რომელსაც სახე ისე ჰქონდა ჩამალული ტანსაცმელში, რომ ძონძების მოსიარულე გროვა გეგონებოდათ, - ამბავი, რომელსაც მოგახსენებთ, ისევე მართალია, როგორც ის, რომ მე ფალურდელი ვარ და ორმოცი წელია ვცხოვრობ სენ მიშელის ხიდზე, ზუსტად ვიხდი რენტას, ბაჟსა და ხარკს. ახლა ერთი საცოდავი ბებრუხანა ვარ, ოდესღაც ლამაზი ქალი ვიყავი, ჩემო ბატონებო! კარგა ხანია მეუბნებოდნენ: ფალურდელ, საღამოობით ასე გვიანობამდე ნუ ართავთ ჯარაზე, თორემ ეშმაკს უყვარს თავისი რქებით ბებერი დედაკაცების ფთილების ჩეჩვაო. დარწმუნებით ამბობენ, რომ ბერი-მოჩვენება, რომელიც შარშან ტამპლის

მხარეს გამოჩნდა, ახლა ძველ ქალაქში, სიტეში დაძრწის. უფრთხილდი, ფალურდელ, კარზე არ მოგიკაკუნოსო. - და აი, ერთ საღამოს ჯარაზე ვართავდი, როცა კარზე დააკაკუნეს. ვეკითხები, ვინ ხარ? იგინებიან. კარი გავაღე. ორი კაცი შემოვიდა - ერთი შავი, მეორე ლამაზი კაპიტანი. შავ კაცს მხოლოდ თვალები, ორი გავარვარებული ნაკვერცხალი უჩანდა. თავიდან ფეხებამდე მოსასხამი ფარავდა, თავზე კაპიუშონი ჩამოეფხატა. მითხრეს, წმინდა მართას ოთახი გვინდაო. ეს ჩემი ოთახია, ბატონებო, ყველაზე სუფთა. ეკიუ მომცეს. ეკიუ უჯრაში ჩავმალე და გუნებაში ვიფიქრე: ხვალ ამით შიგნეულობას ვიყიდი-მეთქი. მაღლა ავედით. როცა ზემო ოთახს მივაღწიეთ, შევბრუნდი თუ არა, შავი კაცი გაქრა. ამან, ცოტა არ იყოს, გამაოცა. ლამაზი კაპიტანი კი, რომელიც წარჩინებული ბატონი ჩანდა, ჩემთან ერთად ისევ ქვემოთ ჩამოვიდა და წავიდა. სანამ ვართავდი, უკანვე მობრუნდა, თან თოჯინასავით ლამაზი ახალგაზრდა გოგო მოიყოლა, რომელსაც თხა ჰყავდა თან, ვეებერთელა ვაცი, არ ვიცი, შავი თუ თეთრი. ამან კი შემაფიქრიანა. ქალი? ქალს რას დავეძებ, რა ჩემი საქმეა, თხა კი სულ სხვაა! არ მიყვარს ეს ცხოველი წვერებისა და რქების გამო. მამაკაცს ჰგავს. გარდა ამისა, რაღაც ჯადოქრობის სუნი უდის. მაგრამ კრინტი არ დამიძრავს. ეკიუ ხომ მივიღე. ხომ სწორს ვამბობ, მუსიე მოსამართლე: ქალიშვილი და კაპიტანი ზემო ოთახში ავიყვანე და თხასთან ერთად დავტოვე. დაბლა ჩამოვედი და ისევ რთვა განვაგრძე. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი სახლის პირველი სართული უკანა მხრიდან მდინარეს გადაჰყურებს, როგორც ხიდზე აშენებული ყველა სახლი. ფანჯრებიც წყლისკენ იღება. ჰოდა, ვზივარ და ჩემთვის ვართავ. არ ვიცი რატომ ვფიქრობ ბერ-მოჩვენებაზე, ვინ იცის, იქნებ თხამაც გამახსენა, გარდა ამისა, ლამაზ ასულსაც ცოტა უცნაურად ეცვა. უცებ ზემოდან ყვირილი მომესმა. სხვენზე რაღაცამ ბრაგვანი მოადინა და ფანჯარაც გა-

იღო. ქვემო სართულში ფანჯარასთან მივირბინე, შევხედე, თვალწინ შავმა რაღაცამ ჩაიქროლა და წყალში მოადინა ტყაპანი. ანაფორიანი მღვდლის ლანდი შევნიშნე. მთვარე ანათებდა და კარგად დავინახე, სიტეს მხარეს გაცურა. მთლად აკანკალებულმა, მაშინვე გუშაგებს ვუხმე. თავიდან მათ ვერ გაიგეს, რა მოხდა, ნაქეიფრები იყვნენ. ჯერ მე მითაქეს. მერე მაღლა ავედით და რა ვნახეთ? საბრალო ჩემი ოთახი მთლად სისხლით იყო მორწყული, კაპიტანი ძირს გაშხლართულიყო, კისერში ხანჯალი ჰქონდა გაყრილი, ქალს თავი მოემკვდარუნებინა. დამფრთხალი თხა აქეთ-იქით აწყდებოდა. „კარგი რამ კია, ვუითხარი ჩემს თავს, ორი კვირა მაინც დამჭირდება იატაკის წმენდა-ფხეკა, აი, საშინელებაც ესაა“. საბრალო ოფიცერი წაიყვანეს, ქალიც ზედ მიაყოლეს, ტანსაცმელი არეულ-დარეული ჰქონდა. მომითმინეთ, უარესი ჯერ კიდევ არ მითქვამს. მეორე დღეს შიგნეულობის საყიდლად მინდოდა ეკიუ ამომეღო, მაგრამ რას ვხედავ, მის მაგიერ ხმელი ფოთოლი შემრჩა ხელში. ბებერი გაჩუმდა, მსმენელებს შიშის ძრწოლამ და ჩურჩულმა გადაუარა. - ეს მოჩვენებაო, ეს თხაო, ყოველივე ამას ჯადოსნობის სუნი უდის, - თქვა გრენგუარის ერთ- ერთმა მეზობელმა.

- ეს ხმელი ფოთოლიო! - დაურთო მეორემ.

- ეჭვი არაა, - თქვა მესამემ, - ამ ჯადოქარმა პირი შეკრა ბერ-მოჩვენებასთან, რათა კაპიტანი გაეძარცვათ.

თვით გრენგუარიც კი მზად იყო ეს საშინელი ამბავი დაეჯერებინა. - ქალო, სახელად ფალურდელო, - მედიდურად მიმართა თავმჯდომარემ, - აღარაფერი გაქვთ, მართლმსაჯულებისთვის მოსახსენებელი? - არაფერი, ჩემო ხელმწიფეო, - უპასუხა ბებერმა ქალმა, - გარდა იმისა, რომ მოხსენებაში ჩემი სახლი მყრალ ქოხადაა მოხსენიებული; ეს მეტისმეტად შეერაცხმყოფელია. რაც კი ხიდზე სახლებია, არც ერთი გახლავთ მაინცდამაინც დიდი შესახედაობის, რად-

გან ხალხითაა გადაჭედილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იქ ცხოვრობენ მდიდარი ყასბებიც, რომელთა ცოლებიც ლამაზი და სისუფთავის მოყვარულნი არიან.

სასამართლოს მოხელე, რომელმაც გრენგუარზე ნიანგის შთაბეჭდილება მოახდინა, წამოდგა. - სიწყნარე! - თქვა მან. - მესიე მოსამართლეებს ვთხოვთ, მხედველობიდან არ გამორჩეთ ის გარემოება, რომ ბრალდებულს აღმოაჩნდა ხანჯალი.

- ქალო ფალურდელო, ეშმაკისგან მოცემული ეკიუ რომ ხმელ ფოთლად იქცა, მოიტანეთ ის ფოთოლი?

- დიახ, ჩემო ბატონო. - თქვა მან, - მოვნახე, აი ისიც.

სასამართლოს ბოქაულმა გამხმარი ფოთოლი ნიანგს მიაწოდა, რომელმაც კუშტად გააქნია თავი და თავმჯდომარეს გადასცა, მან, თავის მხრივ, - საეკლესიო სამართლის მეფის პროკურორს. ფოთოლი მთელ დარბაზში შემოატარეს.

- ეს არყის ხის ფოთოლია, - თქვა მეტრ ჟაკ შარმოლიუმ. ესეც ახალი საბუთი ჯადოქრობისა. ერთ-ერთმა მრჩეველმა სიტყვა ითხოვა.

- მოწმევ, ორი მამაკაცი მოვიდა თქვენთან ერთსა და იმავე დროს: შავი კაცი, რომელიც ჯერ გაქრა თქვენს თვალწინ, მერე კი მღვდლის ტანსაცმლით სენა გადაცურა და ოფიცერი. ამ ორიდან რომელმა მოგცათ ეკიუ?

დედაბერი ერთი წამით ჩაფიქრდა და მერე უპასუხა:

- ოფიცერმა.

ხალხი აჩოჩქოლდა, აგუგუნდა.

- აჰ! - გაიფიქრა გრენგუარმა, - ეს უკვე მიელ ამ ისტორიას საეჭვოს ხდის. მაგამ ამ საქმეში ხელახლა ჩაერია მეტრ ფილიპ ლელა, მეფის საგანგებო ადვოკატი. - მესიე მოსამართლეებს მოვაგონებ, სასიკვდილოდ დაჭრილი კაპიტნის სასთუმალთან ჩაწერილ ჩვენებაში გაცხადებულია: იმ წუთს, როდესაც მასთან შავით მოსილი კაცი

მივიდა, თავში ბუნდოვანმა აზრმა გაუელვა, ხომ არ იყო ის ბერი-მოჩვენება. ამასთან დასძინა, რომ ლანდი თავგამოდებით აქეზებდა კავშირი დაეჭირა ბრალდებულიაან და კაპიტნის შენიშვნაზე, რომ ფული არ ჰქონდა, მოჩვენებამ მისცა ეკიუ, რომელიც კაპიტანმა ფა-ლურდელს გადაუხადა. მაშასადამე, ეგ ეკიუ ჯოჯოხეთის ფულია.

ამ დასაბუთებულმა შენიშვნამ, როგორც ჩანს, გაფანტა გრენგუა-რისა და სხვა სკეპტიკოსთა ეჭვები.

- ბატონებო, თქვენ ხელთაა ყველა საბუთი, - დასძინა მეფის ად-ვოკატმა და დაჯდა, - შეგიძლიათ განსაჯოთ ფებუს დე შატოპერის ნათქვამი.

ამ სახელის გაგონებაზე ბრალდებული წამოდგა. მისი თავი ხალხს ასცდა და ყველამ დაინახა. შეშინებულმა გრენგუარმა ესმე-რალდა მაშინვე იცნო. იგი ფერმკრთალი იყო. ოდესღაც კოხტად დაწნული და მოლივლივე თმა უწესრიგოდ ჩამოშლოდა. ტუჩები გა-ლურჯებოდა. თვალებში შიში ჩასდგომოდა. რა სამწუხაროა!

- ფებუს! - დაბნეულად წარმოთქვა ქალმა. - სად არის იგი? ოო, ბატონებო! სანამ მომკლავდეთ, გაიღეთ მოწყალება და მითხარით, ისევ ცოცხალია? - გაჩუმდი, ქალო! - უთხრა თავმჯდომარემ, - ეს ჩვე-ნი საქმე არაა. - ოჰ, შემიბრალეთ, მიპასუხეთ, ცოცხალია თუ არა? - კვლავ დაიწყო ლაპარაკი ქალმა და ლამაზი. გამხდარი ხელები გა-დააჯვარედინა - კაბაზე ჩაცურებული ხელბორკილების ჩხრიალი გა-ისმა. - იგი კვდება, - მიუგო ცივად მეფის ადვოკატმა, - დაკმაყოფილ-დით? უბედური საბრალდებო სკამზე უხმოდ, უცრემლოდ დაეცა. თეთრი ცვილის ქანდაკებას ჰგავდა.

თავმჯდომარე მის ფეხებთან მჯდარი კაცისკენ დაიხარა. ამ კაცს ოქროქარგული ქუდი ეხურა, შავი კაბა ეცვა, ყელზე ჯაჭვი ეკიდა და ხელში კვერთხი ეჭირა. - ბოქაულო, შემოიყვანეთ მეორე ბრალდე-ბული.

ყველამ პატარა კარს შხეედა, რომელიც გაიღო და ოქროსფრად რქებ და ფეხებდაფერილი ლამაზი თხა შემოუშვეს. გრენგუარის გულმა ბაგაბუგი დაიწყო. ლამაზი ცხოველი ერთ წუთს ზღურბლზე შეჩერდა, კისერი წასწია, თითქოს კლდის პირას დგას და თვალთა წინაშე გადაშლილ უსაზღვრო ჰორიზონტს გაჰყურებსო. უცებ ბოშა ქალი შეამჩნია, მაგიდასა და მდივანს თავზე გადაახტა და ორი ნახტომით მის მუხლებთან გაჩნდა. მერე თავისი ქალბატონის ფეხთით კოხტად მოიკეცა. თითქოს სიტყვასა და ალერსს ითხოვდა. მაგრამ ბრალდებული უძრავად იდგა და საბრალო ჯალის შეხედვაც კი არ აღირსა.

- ეს ხომ ის საზიზღარი ცხოველია, - თქვა ბებერმა ფალურდელმა, - ორივეს მშვენივრად ვიცნობ!

აქ ჟაკ შარპოლიუ ჩაერია.

- თუ ბატონ მოსამართლეებს ნებავთ, ჩვენ შევუდგებით თხის დაკითხვას, მართლაც და მეორე ბრალდებულად იყო წარმოდგენილი.

ცხოველთა ჯადოსნობის წინააღმდეგ საჩივარი იმ დროს იშვიათი როდი იყო. 1466 წლის სასამართლო ოქმებში გვხვდება „ბოროტმოქმედებათა გამო სიკვდილმისჯილი“ კორბეიელი ჟილე- სულარისა და მისი ღორის სასამართლო პროცესის ყველა საინტერესო წვრილმანი: ნეზვის, დედალი ღორის დასამარხად ორმოს გათხრაზე გაწეული ხარჯი, მორანის ნავსადგურში აღებული ფიჩხის ხუთასი შეკვრა, სამი ტოლჩა ღვინო და პური, მსჯავრდებულის უკანასკნელი ვახშამი, რომელიც ჯალათმა ძმურად გაუყო. ღორის შენახვისა და კვების საფასურიც კი თერთმეტი დღის განმავლობაში. ამასობაში საეკლესიო სამართლის პროკურორმა წამოიძახა:

- თუ ეშმა, რომელიც ამ თხას დაუფლებია და ყოველგვარ შელოცვას ეურჩება, კვლავაც აიხირებს ჯადოსნობასა და სიავეს, სასამართლოს დაშინებას, მაშინ ჩვენ ვაფრთხილებთ, რომ იძულებული

გავხდებით მოვითხოვოთ მისი ჩამოხრჩობა ან კოცონზე დაწვა. გრენგუარს ცივმა ოფლმა დაასხა. შარმოლიუმ მაგიდიდან ბოშა ქალის დაირა აიღო, მისთვის ნაცნობი ხერხით თხას გაუწოდა და ჰკითხა:

- რომელი საათია?

თხამ ჭკვიანური თვალებით შეხედა, ოქროსფერი ფეხი ასწია და შვიდჯერ დააკაკუნა. მართლაც შვიდი საათი იყო, ხალხს შიშისგან გააჟრჟოლა.

გრენგუარმა თავი ვეღარ შეიკავა.

- თავს იღუპავს! - დაიყვირა ხმამაღლა, - ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მას არ ესმის რას აკეთებს. - სიჩუმე, შენ, ეი, ვიღაც ხეპრე ხარ მანდ. დარბაზის ბოლოს! - მკვახედ უყვირა ბოქაულმა. ჟაკ შარმოლიუმ იმავე ხერხით გაამეორებინა თხას დაირაზე უამრავი ოინი - წლის, თვისა და დღის თარიღები და სხვა, რაც მკითხველმა უკვე იცის და იმ ოპტიკური მოჩვენების წყალობით, რომელიც სასამართლოს ჩვევია, მართლმსაჯულების სასახლის თაღებქვეშ შიშისგან ძრწოდნენ მაყურებლები. ბევრ მათგანს, შესაძლოა, გზაჯვარედინებზე არაერთხელ დაუკრავს ტაში ჯალის გულუბრყვილო ეშმაკობის გამო.

საქმე კიდევ უფრო ცუდად შებრუნდა, როდესაც სამეფო პროკურორმა მოძრავი ასოებით სავსე ტყავის პაწია ტომარა ჯალის კისრიდან მოხსნა და ფილაქანზე წამოყარა. ყველამ დაინახა, როგორ ამოარჩია ფეხით თხამ გაფანტული ასოები და შეადგინა საბედისწერო სახელი - „ფებუს“ - ჯადოსნობა, რომლის მსხვერპლიც კაპიტანი გახდა. მართლმსაჯულებამ ყველას თვალწინ მყარად დაასაბუთა და ბოშა გოგონა, მომხიბლავი მოცეკვავე, რომელსაც, ვინ იცის, რამდენჯერ მოუჯადოებია ხალხი თავისი სიკეკლუცითა და სინარნარით, ახლა სისხლისმსმელ მაქციად აქცია. თუმცა, თვითონ მას სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა. მის გონებამდე არც ჯალის

კეკლუცი მოძრაობა აღწევდა, არც პროკურორის მუქარა. არც მსმენელთა ყრუ წყევლა. ამ მდგომარეობიდან რომ გამოეყვანა, ათისთავმა შეუბრალებლად შეანჯღრია, ხოლო თავმჯდომარემ საზეიმოდ აუწია ხმა:

- ქალიშვილო, თქვენ ეკუთვნით ბოშათა იმ ტომს, რომელიც ჯადოსნობითაა გატაცებული. თქვენ, ჯადოშეკრული თხის მონაწილეობით, რომელიც სასამართლო საქმეს თან ერთვის, 29 მარტის ღამეს, ბნელეთის ძალთა თანხმობითა და თანადგომით, ჯადოთი და საიდუმლო ფანდებით, ხანჯლის ჩაცემით მოკალით გარნიზონის კაპიტანი ფებუს დე შატოპერი, კვლავ უარყოფთ? - საშინელებაა! - წამოიძახა გოგონამ და სახეზე ხელები აიფარა, - ჩემო ფებუს, ოჰ! ეს ჯოჯოხეთია!

- განაგრძობთ უარყოფას? - ცივად ჰკითხა თავმჯდომარემ.

- დიახ, უარვყოფ! - თქვა მან მრისხანე კილოთი და წამოდგა, თვალები უბრწყინავდა. თავმჯდომარემ მაშინვე განაგრძო:

- მაშინ, როგორ ახსნით თქვენს მამხილებელ ფაქტებს?

ბოშა გოგონამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად უპასუხა.

- უკვე გითხარით. არ ვიცი... ვიღაც მღვდელმა, მღვდელმა, რომელსაც არ ვიცნობ; ჯოჯოხეთის ხუცესმა, რომელიც მდევნის...

- მართალია, ეს ასეა, - თქვა მოსამართლემ. - ბერი-მოჩვენება. - ბატონებო, შემიბრალეთ! მე ერთი უბრალო გოგო ვარ.

- ბოშა გოგო, - დასძინა მოსამართლემ.

აქ ტკბილი, მოთაფლული ხმით სიტყვა აიღო მეტრ ჟაკ შარმოლიუმ: - იმის გამო, რომ ბრალდებული, სამწუხაროდ, ჯიუტობს, მოვითხოვ დაკითხვისას წამება გამოიყენოთ.

- წინადადება მიღებულია, - თქვა თავმჯდომარემ. უბედურს მთელი ტანი აუკანკალდა. ბადრაგის ბრძანებაზე მაინც წამოდგა და შუბნაჯახიანთა ორ მწკრივს შორის საკმაოდ მტკიცე ნაბიჯით გაიარა.

წინ შარმოლიუ და სასულიერო სასამართლოს წევრ-ხუცესები მიუძღოდნენ. დაბალი კარი უეცრად გაიღო და უეცრადვე მიიხურა, რამაც დამწუხრებულ გრენგუარზე საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა.

როდესაც ქალი გაიყვანეს, დარბაზში საცოდავი კიკინი გაისმა. პატარა თიკანი ტიროდა. სასამართლოს სხდომა დროებით შეჩერდა. ერთმა მრჩეველმა შენიშნა, რომ პატივცემული მოსამართლენი დაიღალნენ და დიდხანს მოუწევთ ლოდინი წამების გათავებამდეო. ამაზე თავმჯდომარემ მიუგო, რომ მართლმსაჯულების მსახურს ვალდებულებისთვის თავგანწირვა უნდა შეეძლოსო.

- აუტანელი, აბეზარი და უსიამოვნო ქუჩის გოგოა! - თქვა ვიღაც მოხუცმა მოსამართლემ, - თავს გვაწამებინებს მაშინ, როცა ჩვენ არც კი გვივახშმია!

8.2. ფოთლად ქცეული ეკიუს ამბის გაგრძელება

რამდენიმე საფეხურით ზევით ასვლისა და მერე ისევ ქვევით ჩასვლის შემდეგ, კუშტი ბადრაგით გარშემორტყმული ესმერალდა დერეფნებში გაატარეს, სადაც ისე ბნელოდა, რომ მთელი დღე სანათები ენთო. სასახლის ათისთავებმა დიდი კოშკის ქვედა სართულზე, მრგვალ, პირქუშ ოთახში შეაგდეს. ამ სარდაფსა თუ სენაკს ჭუჭრუტანაც კი არ ჰქონდა. თუმცა, სინათლის ნაკლებობა სულაც არ შეიმჩნეოდა, რადგან სქელ კედელში დატანებულ ღუმელში ცეცხლი ენთო. ღუმელიდან გამოტყორცნილ შუქზე პატიმარმა ოთახში უამრავი ხელსაწყო დაინახა, რომელთა ხმარება- გამოყენების არაფერი გაეგებოდა.

შუაში ტყავის ლეიბი იდო; ზედ ეკიდა სპილენძის რგოლზე მიბმული ბალთიანი ღვედი, რომელიც კბილებით ეჭირა თაღის შუაგულში გამოკვეთილ პატარა ურჩხულს. არეულ-დარეულად დაყრილი მარწუხები, გაზები, მაშები გუთნის განიერი რკინები ანთებულ ნაკვერჩხლებზე წითლად ვარვარებდნენ, ღუმელის სისხლისფერი შუქი ოთახში მხოლოდ საშინელი საგნების გროვას ანათებდა. ამ ქვესკნელს „წამების ოთახს“ უწოდებდნენ.

ლეიბზე გულგრილად და დაუდევრად იჯდა პიერა ტორტერიუ, ნაფიცი ჯალათი. ტყავის წინსაფრიანი, ტილოს შარვლიანი ოთხკუთხა სახის ორი ჯუჯა გავარვარებულ რკინეულობას აბრუნებდა.

საბრალო გოგონა, მიუხედავად იმისა, რომ თავს იმხნევებდა, ოთახში შესვლისთანავე შიშმა აიტანა.

სასახლის მოსამართლის ათისთავები ერთ მხარეს ჩამწკრივდნენ, სასულიერო სასამართლოს მღვდლები - მეორე მხარეს. ოქმის მწერალი კუთხეში მაგიდასთან იჯდა. მეტრ ჟაკ შარმოლიუ დათაფლული ღიმილით მიუახლოვდა ბოშა ქალს. - ჩემო ძვირფასო ბალღო, - მიმართა მან, - თქვენ ისევ უარყოფთ? - დიახ, - უპასუხა ქალმა მიმქრალი ხმით.

- მაშინ, - განაგრძო შარმოლიუმ, - სამწუხაროდ, იძულებული ვართ დაგკითხოთ უფრო დაჟინებით, აი, ამ ლეიბზე დაბრძანდით. მესიე პიერა, დაუთმეთ ადგილი ქალიშვილს და კარი დახურეთ.

პიერა ბუზღუნით წამოდგა.

- კარი რომ დავხურო, ცეცხლი ჩამიქრება, - ჩაიბუტბუტა ტორტერიუმ. - კეთილი, ჩემო კარგო, - სწრაფად უპასუხა შარმოლიუმ, - დატოვეთ ღია. მაგრამ ესმერალდა ისევ ფეხზე იდგა, ტყავის ლეიბი აშინებდა, რომელზეც, ვინ იცის, რამდენი ბედკრული ადამიანი დაკრუნჩხულა ტკივილებისგან.

შიშისგან სისხლი ეყინებოდა.

თავზარდაცემული და გაოგნებული იდგა. შარმოლიუს ნიშანზე ჯალათის ლაქიებმა ესმერალდა ლეიბზე უმტკივნეულოდ დასვეს; როგორც კი კაცებმა ხელი მოკიდეს, იგრძნო, მთელი სისხლი გულს მიაწვა. დაბნეული მზერა ოთახს მოავლო. მოეჩვენა, რომ უცებ ყველა მხრიდან დაიძრნენ და მისკენ წამოვიდნენ მახინჯი საწამებელი იარაღები.

- სად არის ექიმი? - იკითხა შარმოლიუმ.

- აქ არის, - უპასუხა შავსამოსიანმა კაცმა, რომელიც ესმერალდას აქამდე არ შეუმჩნევია. ქალს გააჟრჟოლა.

- ქალიშვილო, - გაისმა საეკლესიო სასამართლოს პროკურორის ალერსიანი ხმა, - მესამედ გეკითხებით, კვლავ უარყოფთ, რაშიც ბრალი გედებათ?

ამჯერად მან მხოლოდ თავი გაიქნია. ხმის ამოღება ვერ შეძლო. - კერპობთ კიდეც? - უთხრა ჟაკ შარმოლიუმ. - მაშინ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უნდა აღვასრულო ჩემი სამსახურებრივი მოვალეობა.

- პატივცემულო სამეფო პროკურორო, - უცბად მიმართა პიერამ, - რით დავიწყოთ? შარმოლიუ ერთი წუთით ჩაფიქრდა, როგორც პოეტი, რომელიც კარგ რითმას ეძებს. - ესპანური ჩექმით, - თქვა მან ბოლოს.

უბედურმა იგრძნო, რომ ყველამ მიატოვა: ღმერთმაც და ადამიანმაც; თავი უსიცოცხლოდ ჩამოუვარდა მკერდზე, როგორც უღონო, უძრავი საგანი.

ჯალათი და ექიმი ერთდროულად მიუახლოვდნენ. იმავე წუთს ორმა ლაქიამ თავის ბილწ არსენალში ქექვა დაიწყო. ამ საშინელი რკინეულობის ჩხარუნზე უბედური გოგონა აცახცახდა. - ოჰ! - ისეთი ხმით წაიბუტბუტა, რომ ვერავინ გაიგო, - ოო, ჩემო ფებუს! - მერე მარმარილოს ქანდაკებასავით დადუმდა.

ამის დანახვაზე სხვას ყველას გული შეუღონდებოდა, გარდა მოსამართლისა. თითქოს თვით სატანა უწყობდა დაკითხვას საბრალო ცოდვილ სულს ჯოჯოხეთის მეწამულ სარკმელქვეშ. ამ საბრალო, უწყინარი, წმინდა, სათუთი ქმნილების ნაზ სხეულში ჩასაფრენად მოიწევდა საწამებელი იარაღის მთელი არსენალი. საბრალო არსების შესაპყრობად ემზადებოდნენ ჯალათებისა და მარწუხების ტლანქი თათები. იგი საბრალო ფეტვის მარცვალი იყო, რომელიც მართლმსაჯულებამ წამების საზარელ დოლაბებქვეშ დასაფქვავად გაწირა!

ამასობაში პიერა ტორტერიუს ლაქიების კოჟრიანმა ხელებმა უხეშად გააშიშვლეს მშვენიერი ფეხი, პაწია ტერფი, რომელიც მოხდენილობითა და სინატიფით პარიზის გზაჯვარედინებზე გამვლელ-გამომვლელთ ხშირად ხიბლავდა.

- აფსუს, დასანანი კია! - ჩაიბუზღუნა ჯალათმა, როცა მშვენიერ ფეხს დახედა. მალე უბედურმა გოგონამ, თითქოს თვალები ნისლით დაებერაო, ბუნდოვნად დაინახა, როგორ მიუახლოვდა „ესპანური ჩექმა“ და რკინით შეჭედილ ძელაკებს შორის ჩადებული მისი ფეხი როგორ გაქრა ამ საშინელ აპარატში. შიშმა ძალა დაუბრუნა.

- მომხსენით ეს! - ფიცხლად იყვირა მან. თმაგაწეწილი წამოდგა, წელში გასწორდა და მოსამართლეებს მიმართა: - გაიღეთ მოწყალება, შემიბრალეთ!

ლეიბიდან წამოიჭრა, რათა სამეფო პროკურორს ფეხებში ჩავარდნოდა, მაგრამ რკინით შეჭედილმა მუხლის ტლანქმა კალაპოტმა ფეხი დაუჭირა და მოცელილი „ესპანურ ჩექმაზე“ ჩაიკეცა. შარმოლიუმ ნიშანი მისცა და გოგონა ისევ ლეიბზე მოათავსეს. ორმა ტლანქმა ხელმა მის ნაზსა და წვრილ წელს თაღზე ჩამოკიდებული ღვედი შემოახვია.

- უკანასკნელად გეკითხებით, აღიარებთ თუ არა ჩადენილ დანაშაულს? - ჰკითხა შარმოლიუმ გულგრილად.

- მე უდანაშაულო ვარ.

- მაშინ, მადმუაზელ, როგორ ამიხსნით თქვენს მამხილებელ გარემოებებს? - სამწუხაროდ, არ ვიცი, მუსიე!

- მაშ, უარყოფთ?

- მთლიანად!

- იმოქმედეთ! - უთხრა შარმოლიუმ პიერას. პიერამ ჯალამბრის სახელური შემოაბრუნა, ესპანურმა ჩექმამ მოუჭირა და უბედურმა გოგონამ ისე საშინლად იკივლა, რომ ამის გადმოცემა შეუძლებელია.

- შეაჩერეთ, - უითხრა შარმოლიუმ პიერას და ქალიშვილს მიმართა: - აღიარებთ? - ყველაფერს! - შესძახა საბრალო ასულმა. - ვაღიარებ. ვაღიარებ, ოღონდ შემიბრალეთ! მან ვერ გაითვალისწინა საკუთარი ძალები, როცა საწამებლად წამოიყვანეს. საბრალო ბავშვი! მისი ცხოვრება აქამდე ისეთი მხიარული, უზრუნველი და საამო იყო, რომ პირველივე ტკივილმა გატეხა.

- კაცთმოყვარეობა მაიძულებს მოგახსენოთ, - შენიშნა სამეფო პროკურორმა, - რომ ამ აღიარებით სიკვდილი მოგელით.

- ვიმედოვნებ! - უპასუხა გოგონამ და ცოცხალმკვდარი, ორად მოკეცილი ისევ ტყავის ლეიბზე დაეცა.

- თავი მაღლა ასწიეთ, ჩემო ლამაზო, ცოტა გამაგრდით, - უთხრა მეტრ პიერამ და თან წამოაყენა, - თორემ ჰერცოგ ბურგუნდიელის კისერზე დაკიდებული ოქროს ვერძის იერი გაქვთ. ჟაკ შარმოლიუმ ხმას აუწია:

- მწერალო, ოქმი დაწერე! ბოშა ქალიშვილო, თქვენ აღიარებთ, რომ მონაწილეობდით სერობაში, კუდიანთა შაბათობასა და თემობაში, ჯოჯოხეთურ ჯადოქრობაში ავ სულებთან, მახინჯებთან, მაქცი-

ებთან და ვამპირებთან ერთად? მიპასუხეთ! - ჰო, - ისე ხმადაბლა თქვა, რომ სიტყვა ამოსუნთქვაშივე გაქრა. - აღიარებთ, რომ დაინახეთ ბელზებელის ერკემალი, რომელსაც მხოლოდ ჯადოქრები ხედავენ? - დიახ.

- თქვენ აღიარებთ, რომ თაყვანს სცემდით ტამპლიერთა, ანუ ბომონელთა ღვთისგარეგან კერპებს?

- დიახ.

- რომ ჩვეულებრივად კავშირი გქონდათ ეშმაკთან შინაური თხის სახით, რაც სასამართლო საქმეს თან ერთვის?

- დიახ.

- აღიარებთ, რომ ეშმაკთა და მაქციათა დახმარებით, აგრეთვე ლანდის, რომელსაც მდაბიოთა ენაზე „ბერ-მოჩვენებას“ უწოდებენ, ოცდაცხრა მარტის ღამეს, ხანჯალი ჩაეცით და მოკალით ოფიცერი ფებუს და შატოპერი?

ქალი თავისი დიდრონი თვალებით მოსამართლეს მიაშტერდა და ანგარიშმიუცემლად, უნებურად და წაუბორძიკებლად უპასუხა: - დიახ.

უკვე ცხადი იყო, იგი მთლიანად გატყდა.

- ჩაწერე, მდივანო! - უთხრა შარმოლიუმ და შემდეგ ტანჯვა-წამების ოსტატებს მიმართა: - პატიმარი ისევ სასამართლო სხდომათა დარბაზში წაიყვანეთ.

როდესაც პატიმარ ქალს „ესპანური ჩექმა“ „გახადეს,“ საეკლესიო სასამართლოს პროკურორმა ტკივილისგან გაშეშებული ფეხი დაუთვალიერა.

- არაფერია! - თქვა მან, - დიდი უბედურება არაა. დროზე იყვირეთ. კიდევ შეძლებდით ცეკვას ლამაზო! - შემდეგ სასულიერო სასამართლოს დამქაშებს მიუბრუნდა: - როგორც იქნა, მართლმსაჯულებისთვის ყველაფერი ნათელი გახდა! ეს სანუგეშოა, ბატონებო!

მადმუაზელმა სამართლიანად უნდა დაგვიფასოს: რაც შეგვეძლო, ლმობიერად ვექცეოდით.

8.3. ფოთლად ქცეული ეკიუს ამბის დასასრული

როდესაც გაფითრებული ბოშა გოგონა სხდომის დარბაზში კოჭლობით დაბრუნდა, კმაყოფილი ჩურჩულით შეხვდნენ. მსმენელები მოუთმენლობის ისეთ გრძნობას განიცდიდნენ, თეატრში რომ განიცდიან ხოლმე უკანასკნელი შესვენების მიწურულს. რაც შეეხება მოსამართლეებს, მათ იმედი გაუჩნდათ, რომ მალე ივახშმებდნენ. თიკანიც სიხარულით აკიკინდა. მან პატრონისკენ გაიწია, მაგრამ სკამზე მიებათ.

სრულიად ჩამობნელდა. სანთლები არ მიუმატებიათ - ისეთი მკრთალი შუქი იყო, დარბაზის კედლებიც არ ჩანდა. სიბნელემ ნისლივით დაფარა საგნები. აქა-იქ ძლივს გაარჩევდით მოსამართლეების გულგრილ სახეებს. მათ პირდაპირ, - დარბაზის ბოლოს, ჩაბნელებულ სიღრმეში თეთრი ბუნდოვანი წერტილი ჩანდა. ის ბრალდებული იყო, რომელიც ძლივს მილასლასდა თავის ადგილზე. შარმოლიუ მედიდურად დაბრუნდა, დაჯდა და ისევ წამოდგა; ძლივს მალავდა თვითკმაყოფილებას მიღწეული გამარჯვების გამო. მან თავმომწონედ განაცხადა: - ბრალდებულმა ყველაფერი აღიარა.

- ბოშა ქალო, - გაიმეორა თავმჯდომარემ, - თქვენ აღიარეთ ყველა ჩადენილი დანაშაული: ჯადოსნობა, მეძავეობა და ფებუს დე შატოპერის მკვლელობა? გოგონას გული შეეკუმშა. სიბნელეში მისი ქვითინი გაისმა.

- ყველაფერი, რაც გნებავთ, ოღონდ მალე მომკალით, - ძლივს გასაგონად უპასუხა მან. - პატივცემული საეკლესიო სასამართლოს

სამეფო პროკურორო, - თქვა თავმჯდომარემ, - სასამართლო მზადაა მოისმინოს თქვენი დასკვნა.

მეტრ შარმოლიუმ უშველებელი რვეული ამოიღო და მოსამართლეთა წოდებისთვის დამახასიათებელი გადაჭარბებული გამომსახველობით ლათინურად კითხვა დაიწყო. საბრალდებო დასკვნაში ბრალდებულის წინააღმდეგ აღძრული საჩივრის დასაბუთება ციცერონის პერიფრაზებს ეფუძნებოდა და პლაუტუსის, მისი საყვარელი კომიკოსის ციტატებით იყო გამაგრებული. ორატორი საკვირველი დამაჯერებლობით ლაპარაკობდა. ჯერ შესავალი არ დაემთავრებინა, უცებ შუბლზე ოფლმა დაასხა, თვალები გადმოკარკლა. კითხვა შეწყვიტა და, ჩვეულებისამებრ, საკმაოდ არხეინი და სულელური გამომეტყველებით განაგრძო.

- ბატონებო! - წამოიყვირა მან (ამჯერად ფრანგულად, რადგან ეს რვეულში არ ეწერა), - სატანა იმდენადაა გარეული ამ საქმეში, რომ ახლაც კი სასამართლოს სიდიადეს მასხრად იგდებს, მაიმუნურად ბაძავს. შეხედეთ! - და ხელით პატარა თხაზე მიუთითა, რომელმაც შეამჩნია რა შარმოლიუს პათეტიკური მანერები, სრულიად მართებულად მიიჩნია მისთვის მიებაძა. უკანა ფეხებზე იჯდა და წინა ფეხების მოძრაობითა და წვერის ცანცარით შესანიშნავად ბაძავდა სამეფო პროკურორის პათეტიკურ მანერებს. ეს თხის ერთ-ერთი ყველაზე საოცარი ნიჭი იყო. ამ უკანასკნელმა ,,საბუთმა“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თხას ფეხები შეუკრეს. სამეფო პროკურორმა მჭევრმეტყველება განაგრძო. სიტყვა ძალიან გაუგრძელდა, მაგრამ დასკვნითი ნაწილი საუცხოო იყო: - მოწყალეო ხელმწიფენო, ვინაიდან ეს ქალი მხილებულია ჯადოსნობაში და მისი დანაშაულებრივი ქმედება დამტკიცებულია პარიზის ღვთისმშობლის წმინდა ეკლესიის მიერ, რომლის უმაღლესი იურისდიქცია ვრცელდება სიტეს კუნძულის ფარგლებში, აქ დამსწრეთ ვუცხადებ და მოვითხოვ: პირვე-

ლი - ფულადი ჯარიმის გადახდას; მეორე - საჯარო მონანიებას ღვთისმშობლის ტაძრის, კათედრალური ეკლესიის პორტალის წინ; მესამე - განაჩენს, რომლის ძალითაც, ეს ჯადოქარი თავის თხასთან ერთად სიკვდილით დაისჯება იმ ადგილას, რომელსაც მდაბიურ ენაზე „გრევი“ ჰქვია. დაამთავრა თუ არა, ქუდი დაიხურა და დაჯდა.

- აუუ! - ამოიოხრა დამწუხრებულმა გრენგუარმა. ბრალდებულის ახლოს წამოდგა მეორე შავითმოსილი კაცი. ეს მისი ვექილი იყო. დამშეულმა მოსამართლეებმა ბუზღუნი დაიწყეს. - ვექილო, მოკლედ მოსჭერით, - უთხრა თავმჯდომარემ.

- პატივცემულო თავმჯდომარევ, - უპასუხა ვექილმა, - რაკი მოპასუხემ აღიარა დანაშაული, ერთი სიტყვაღა დამრჩა სათქმელი პატივცემულ მოსამართლეთა მიმართ. აი, რას ამბობს სალიკური კანონის ტექსტი: „თუ მაქციამ ადამიანი შეჭამა და ამაში მხილებულია, იხდის ჯარიმას რვაათას დანარს, რაც შეადგენს ორას ოქროს სუს.“ ხომ არ ინებებს სასამართლო, ჩემს მოპასუხეს მიუსაჯოს ჯარიმა.

- ძველი ტექსტია, - თქვა მეფის საგანგებო ადვოკატმა.

- Nego[1], - უპასუხა დამცველმა.

- დავიწყოთ ხმის მიცემა! - თქვა ერთ-ერთმა მრჩეველმა. - დანაშაული ცხადია, ხოლო ახლა უკვე გვიანია.

ხმის მიცემა დარბაზის დაუტოვებლად დაიწყო. მისამართლეები „ქუდის მოხდით“ აძლევდნენ ხმასა და დასტურს; მათ ეჩქარებოდათ. სიბნელეში მაინც ჩანდა, როგორ შიშვლდებოდნენ თავები ერთიმეორეზე მიყოლებით. როცა თავმჯდომარე ძალიან ხმადაბლა, კითხვით მიმართავდა მათ, საცოდავი ბრალდებული თითქოს მათ უყურებდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. მწერალმა ოქმის წერა დაიწყო და როცა დაამთავრა, თავჯდომარეს გრძელი ეტრატი გადას-

[1] *უარვყოფ.*

ცა. უბედურმა ქალმა გაიგონა, როგორ ამოძრავდა ხალხი, როგორ, შეჯახა შუბები ერთმანეთს, ვიღაცის გამყინავმა ხმამ გამოაცხადა: - ბოშა ქალიშვილო, იმ დღეს, როდესაც ინებებს ჩვენი ხელმწიფე უფალი, შუადღისას თქვენ ფორნით მაგიყვანენ პერანგიანს, ფეხშიშველა და ყელზე თოკმობმულს ღვთისმშობლის ტაძრის პორტალთან და იქ საჯარო მონანიებას აღასრულებთ, ხელთ უნდა გეპყრათ წონით ორგარვანქიანი ცვილის კელაპტარი. იქიდან წაგიყვანენ გრევის მოედანზე, სადაც ჩამოგკიდებენ ქალაქის სახრჩობელაზე. თქვენი თხაც თქვენთან ერთად დაისჯება, გარდა ამისა, სასულიერო სასამართლოს გადაუხდით სამ ლუიდორს თქვენ მიერ ჩადენილ და აღიარებულ დანაშაულობათა - ჯადოქრობის, თილისმის, ავხორცობასა და ვინმე ფებუს დე შატოპერის მკვლელობის საზღაურად. უფალმა შეინდოს თქვენი სული.

- ოჰ! ეს სიზმარია! - ჩაიბუტბუტა უბედურმა ქალმა და იგრძნო, რომ ვიღაცის მაგარმა ხელმა წაიყვანა.

8.4. LASCIATE OGNI SPERANZA[1]

შუა საუკუნეებში, თუ ღვთისმშობლის ტაძარივით ხიმინჯებზე არ იდგა, ყოველ ნაგებობას მუდამ ორმაგი საძირკველი ჰქონდა - რაც მიწისზემოთ ჩანდა, თითქმის იმდენივე მიწაში იყო. ტაძრებში კიდევ სხვა, მიწისქვეშა ტაძარი იყო, დაბალი, ჩაბნელებული, იდუმალი, უსინათლო და დამუნჯებული, საყდრის ნავქვეშ მოთავსებული, დღედაღამ სანთლებით განათებული ქვესკნელი, რომელიც ორღანის და ზარების ჟღერას გამოსცემდა. ზოგჯერ ამ მიწისქვეშეთში აკლდამები იყო. სასახლეებსა და ციხეებში კი - საპყრობილეები, ხან საძ-

[1] *ყველა იმედი დატოვეთ (დანტე).*

ვალეები, ხან კი ორივე ერთად. ამ მძლავრ ნაგებობებს, ასე ვთქვათ, ფესვები მიწაში ბორჯღალებად გაედგა ისეთივე ოთახების, დერეფნებისა და კიბეების სახით, როგორიც მიწის ზემოთ იყო.

სენტ-ანტუანის ციხის, პარიზის მართლმსაჯულების სასახლის, ლუვრის მიწისქვეშა ნაგებობებს საპყრობილეებად იყენებდნენ. რაც უფრო ქვევით მდებარეობდა იგი, მით უფრო ვიწრო და ბნელი იყო. ისინი წარმოადგენდნენ მზარდ საშინელებათა ერთგვარ სარტყელს. დანტე თავისი ჯოჯოხეთისთვის ამაზე უფრო უკეთესს ვერაფერს ნახავდა. ამ ძაბრისებურ მიწისქვეშა საპატიმროებს ქვის ღრმა ფსკერი ჰქონდა, სადაც დანტემ სატანა დასვა, ხოლო საზოგადოება სიკვდილმისჯილებს ისროდა. თუ ვინმე ბედკრული იქ მოხვდებოდა, იგი სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა სიცოცხლის ყოველგვარ იმედს. სახრჩობელის ან კოცონის გარდა, აქედან გასასვლელი სხვა გზა არ არსებობდა. ხშირად ადამიანები აქ ცოცხლად ლპებოდნენ. ადამიანური სამართალი ამას „დავიწყებას“ უწოდებდა. სასიკვდილოდ განწირული მსჯავრდებული გრძნობდა, რომ მასსა და ადამიანებს შორის ქვებისა და მეციხოვნეების მთელი გროვა იდგა. მთელი ეს მასიური ციხესიმაგრე პატიმრისთვის მხოლოდ გიგანტური ცხრაკლიტული იყო, რომელმაც ცოცხალთა სამყაროს მოსწყვიტა. ქვის ამგვარ ღრმა ჯურღმულში, წმინდა ლუის ბრძანებით გათხრილ ტურნელის მიწისქვეშა ციხეში ჩაამწყვდიეს ჩამოხრჩობამისჯილი ესმერალდა, უეჭველად იმის შიშით, არ გაგვექცესო. მართლმსაჯულების ბუმბერაზი სასახლე საბრალო გოგონას, საცოდავ ბუზს, მთელი სიმძიმით დააწვა, რომელსაც მისი სულ პატარა კენჭის დაძვრაც კი არ შეეძლო! ცხადია, განგებაცა და საზოგადოებაც ერთნაირად უსამართლო იყო მის მიმართ, ამდენი ტანჯვა-წამება სულაც არ იყო საჭირო იმისთვის, რომ ასეთი ნაზი ქმნილება გაეტეხათ. და აი, იგი ახლა აქ იყო, წყვდიადში შთანთქმული და ცოცხლად დამარხული,

კედლებში დატანებული და ამოქოლილი. ვისაც ადრე უნახავს მზის სხივებზე მოცინარი მოცეკვავე, მისი ახლანდელი მდგომარეობა აუცილებლად შეაძრწუნებდა: ცივი, როგორც ღამე, ცივი, როგორც სიკვდილი; ნიავი აღარ ურხევდა თმას, ადამიანთა ხმაური აღარ აღწევდა მის ყურამდე, სინათლე აღარ უკრთოდა თვალებში; მოტეხილი, ბორკილებისგან გასრესილი, დოქ წყალსა და პურის ნატეხთან ჩალაზე დაგდებული, ნესტიანი კედლებიდან გამონაჟონ წყლის გუბეში და თითქმის სუნთქვაშეკრული ტანჯვასაც კი ვეღარ გრძნობდა. ფებუსი, მზე, შუადღე, სუფთა ჰაერი, პარიზის ქუჩები, ცეკვა და ტაში, ტკბილი სასიყვარულო ტიტინი ოფიცერთან, მერე დედაბერი, მღვდელი, ხანჯალი, სისხლი, წამება, სახრჩობელა! - ყოველივე ეს მის გონებაში მიმოდიოდა, ხან როგორც მხიარული, ოქროსფერი ხილვა, ხან როგორც მახინჯი მაჯლაჯუნა. მას შემდეგ, რაც საპყრობილეში მიიყვანეს, არც ეღვიძა და არც ეძინა. უბედური ვეღარ არჩევდა ცხადს სიზმრისგან, გათენებას - სინამდვილისგან, დღეს - ღამისგან. ყველაფერი ერთმანეთში აირია, დაიმსხვრა, შეტორტმანდა, მის აზრებში გაიბლანდა. არაფერს გრძნობდა, არც ფიქრობდა, მხოლოდ ზმანებაში იყო გართული. ჯერ არც ერთი ცოცხალი არსება ასე ახლოს არ მდგარა არარაობასთან. ასე გათოშილ-გაყინული და გაქვავებული ძლივს იგებდა, როგორ იღებოდა სადღაც, მის თავს მაღლა ხმაურით ორჯერ თუ სამჯერ დილეგის სარქველი, რომელიც სულ მცირე შუქსაც არ უშვებდა შიგნით და ვიღაცის ხელი შავი პურის ქერქს უყრიდა. ციხის დარაჯის ეს დროდადრო მონახულება ერთადერთი კავშირი იყო ადამიანებთან.

მხოლოდ ერთი რამ იპყრობდა უნებურად მის ყურადღებას. მაღლა, თაღის ხავსმოკიდებული ქვებიდან თანაბარ შუალედებში ჟონავდა წყლის წვეთები და გაშტერებული გუბეში მათ წკაპუნს უსმენდა. ეს ერთადერთი მოძრაობა იყო, რაც ჯერ კიდევ იძვროდა მის

გარშემო, ერთადერთი დროის აღმნიშვნელი ქანქარა, ერთადერთი ხმაური დედამიწაზე არსებულ ბგერათაგან, რომელიც მის ყურამდე აღწევდა. ამ წუმპეში, ბნელ ორმოში დროდადრო გრძნობდა, როგორ გადაუვლიდა ხოლმე ხელ-ფეხზე ცივი რაღაც. ამ დროს თრთოდა და კანკალებდა. მან არ იცოდა, როდის მოიყვანეს აქ. ახსოვდა მხოლოდ, რომ სადღაც ვიღაცის სასიკვდილო განაჩენი გამოაცხადეს, შემდეგ წაიყვანეს და სიცივისგან გათოშილს ღამის წყვდიადში გამოეღვიძა. უნდოდა ხელებით გაცოცებულიყო, მაგრამ ფეხზე რკინის რგოლმა მოუჭირა და ბორკილებმაც გაიჩხრიალა. ხელების ცეცებით გაიგო, რომ მის ირგვლივ ქვიტკირის კედლები იყო, ფეხთით კი წყლით დაფარული ფილა. ქვეშაგად ერთი კონა ჩალა ეგო. ხანდახან მდგომარეობა რომ შეეცვალა, რამდენჯერმე ქვის კიბის ბოლო საფეხურამდე გავიდა, რომელიც მის დილეგში იყო. ერთხანს შავბნელი წუთების დათვლა გადაწყვიტა, რომელთაც წყლის წვეთები უზომავდნენ, მაგრამ ავადმყოფი ტვინისთვის ეს მძიმე სამუშაო იყო და მალე თავისთავად შეწყდა. ისევ სრულ არარაობაში შთაინთქა.

ერთ დღეს თუ ღამეს (აკლდამაში ღამეც და დღეც ერთი ფერის იყო) თავს მაღლა უფრო ძლიერი ხმაური გაიგონა, ვიდრე ჩვეულებრივ დარაჯი ქმნიდა, როცა მისთვის პური და წყალი მოჰქონდა. ქალმა თავი ასწია და დილეგის თაღში დატანებული კარისა თუ საძვრენის სარქველის ჭუჭრუტანიდან მოწითალო სინათლე დაინახა. იმავე წუთს რკინის ტლანქმა სარქველმა თავის ჟანგიან კოჭაკებზე გაიჭრიალა და გადაბრუნდა. ჭრაქი, ხელი და ორი მამაკაცის ფეხები დაინახა. ქვემოდან მათი სახეების დანახვა შეუძლებელი იყო. სინათლემ თვალები მოსჭრა და სახეზე ხელები მიიფარა. თვალები რომ გაახილა, სარქველი უკვე დახურული იყო. ჭრაქი კიბის საფეხურზე იდგა, ხოლო მის წინ მხოლოდ ერთი მამაკაცი იდგა, შავი ბე-

რის ანაფორა ფეხებამდე სწვდებოდა, სახესაც კაპიუშონი უფარავდა. მის წინ იდგა გრძელი შავი სუდარა, რომლის ქვეშ მოძრავი რაღაც შეიმჩნეოდა. რამდენიმე წუთს გაშტერებით უცქერდა ამ მოჩვენებას. ხმა არცერთს არ ამოუღია. იტყოდით, ერთმანეთის პირდაპირ ორი ძეგლი დგასო. ამ აკლდამაში ორ რამეს ეტყობოდა სიცოცხლე: ჭრაქს, რომელიც ნესტიან ჰაერზე ტკაცუნობდა და წყლის წვეთებს, რომლებიც ერთფეროვანი წკაპუნით არათანაბარ ტკაცატკუცს ახშობდა.

ბოლოს პატიმარმა დაარღვია დუმილი:

- ვინ ხართ?

- მღვდელი.

ამ სიტყვის გამოთქმისა და ხმის გაგონებაზე ქალი შეკრთა. მღვდელმა კი დინჯად და ყრუდ განაგრძო:

- მზად ხართ?

- რისთვის?

- სიკვდილისთვის.

- ოჰ! - თქვა ქალმა, - მალე იქნება?

- ხვალ.

სიხარულით მაღლა აწეული თავი ისევ მკერდზე ჩამოუვარდა.

- ოო, კიდევ რა დიდხანს უნდა ვუცადო! - წაიბუტბუტა ქალმა. - ნუთუ არ შეიძლებოდა დღეს ყოფილიყო?

- მაშ, თქვენ მეტად უბედური ხართ? - ჰკითხა მღვდელმა დუმილის შემდეგ. - ძალიან მცივა, - უპასუხა ქალმა.

ხელები ტერფებზე წაივლო, როგორც სჩვევიათ უბედურ ადამიანებს, როცა სცივათ. როლანდის კოშკის განდეგილიც ხომ ასე იქცეოდა, თან კბილებიც უკაწკაწებდა. მღვდელმა კაპიუშონის ქვეშიდან დილეგს თვალი მოავლო.

- უსინათლოდ! უცეცხლოდ! წყალში! საშინელებაა!

- დიახ, - უპასუხა განცვირებული და უბედურებაგადატანილი გამომეტყველებით, - დღის შუქი ყველასთვისაა. მე რატომ მხვდა წილად მხოლოდ ღამე?

- იცით, - ჰკითხა კვლავ დუმილის შემდეგ მღვდელმა. - რატომ ხართ აქ? - მგონი, ვიცოდი, - უპასუხა ქალმა და გამხდარი თითი წარბზე გადაისვა, თითქოს მეხსიერებას უნდა დაეხმაროსო, - მაგრამ აღარ ვიცი. - უცებ ბავშვივით ატირდა. - მინდა აქედან გავიდე, მუსიე. მცივა, მეშინია, რაღაც მხეცები მაცოცდებიან ტანზე.

- კეთილი, გამომყევით, - უთხრა მღვდელმა და მკლავზე ხელი მოკიდა. უბედური ქალი მთლად გათოშილი იყო, გულ-მუცელიც კი გაყინული ჰქონდა, მაგრამ მღვდლის ხელი კიდევ უფრო ცივი ეჩვენა.

- ოჰ! - წაიბუტბუტა ქალმა, - ეს სიკვდილის ყინულის ხელია. თქვენ ვინ ხართ? მღვდელმა კაპიუშონი გადაიწია. ქალის წინ იყო ის პირქუში, ავბედითი სახე, ვინც ასე დიდხანს დევნიდა მას, დემონის თავი, მისი სათაყვანებელი ფებუსის თავზე რომ აღიმართა დედაბერთან, ის თვალები, რომლებიც უკანასკნელად ხანჯალთან ერთად იხილა. ამ კაცის გამოჩენამ, რაც მისთვის ყოველთვის საბედისწერო იყო და ერთი უბედურებიდან მეორისკენ მიაქანებდა და თვით წამებამდე და სიკვდილით დასჯამდეც კი მიიყვანა, ქალი მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანა. სქელი ფარდა, რომელიც მის გონებაზე იყო ჩამოფარებული, თითქოს ჩამოიხა. მისი შავბნელი საქმის ყოველი წვრილმანი, დედაბრის სხვენზე მომხდარი ამბიდან ტურნელში გამოტანილ განაჩენამდე, ერთბაშად ამოტივტივდნენ მის გონებაში, ბუნდოვნად კი არა, როგორც მანამდე, არამედ გარკვევით, მთრთოლვარედ, საშინლად. უკიდურესი ტანჯვის გამო თითქმის წაშლილი მოგონებები ამ კუშტმა სახემ კვლავ გააცოცხლა.

ქალს მოეჩვენა, რომ მისი გულის ყველა ჭრილობა უცებ გაიხსნა და სისხლით იცლებოდა.

- აა! - იყვირა მან, ხელები თვალებზე მიიფარა და დაკრუნჩხულივით აკანკალდა, - ისევ ის მღვდელი! - მერე ღონემიხდილს ხელები ჩამოუვარდა, ადგილზე გაიყინა, თავი ჩაჰკიდა და დამუნჯებულმა თვალი მიწას გაუშტერა. ისევ კანკალებდა. მღვდელმა ძერასავით დაადგა თვალი გოგონას. ძერაც ხომ ასე დიდხანს დასტრიალებს თავს პურის ყანაში მინაბულ საბრალო ტოროლას, მერე ფრენისას დუმილით თანდათან ავიწროებს უზარმაზარ წრეებს, უცებ მეხივით დაეცემა ნადავლს და ათრთოლებულს კლანჭებით აიტაცებს.

მან დაბალი ხმით ჩაიდუდუნა:

- ბარემ გამათავე, მომიღე ბოლო! უკანასკნელი ლახვარი ჩამეც! - და შიშისგან თავი მხრებს შორის ჩასწია, როგორც კრავმა ყასბის ნაჯახის დარტყმის მოლოდინში. - მაშ, თქვენ ჩემი გეშინიათ? - ჰკითხა მან ბოლოს. ქალიშვილმა არაფერი უპასუხა. - ნუთუ შიშს აღგიძრავთ? - მან ტუჩები მოკუმა, თითქოს ღიმილს აპირებდა. - დიახ, - უპასუხა ქალიშვილმა, - ჯალათი მუდამ აბუჩად იგდებს მსჯავრდებულს, რამდენიმე თვეა მდევნის, მემუქრება, მაშინებს. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი ვიყავი უიმისოდ! მან ჩამაგდო ამ უფსკრულში! ჰოი, ზეცავ, ეს ისაა, ვინც მოკლა ჩემი ფებუსი! - ამ სიტყვებზე გულამოსკვნით ატირდა, შემდეგ თვალები მღვდელს მიაპყრო: - ოჰ! საზიზღარო ადამიანო! ვინ ხართ? რა გინდათ, რა დაგიშავეთ? რაზე შემიძულეთ! მითხარით, რა გინდათ ჩემგან?

- მიყვარხარ! - შესძახა მღვდელმა. ქალს უცებ ცრემლი გაუშრა. გაშტერებული უყურებდა. მამაკაცი მუხლებზე დაემხო და ანთებულ თვალებს არ აშორებდა. - გესმის? მიყვარხარ! - იმეორებდა იგი.

- ეს რა სიყვარულია! - თრთოლვით უპასუხა უბედურმა ქალმა. მღვდელმა მიუგო: - ეს შეჩვენებულის სიყვარულია.

რამდენიმე წუთს ორივე დუმდა. თავიანთი მძიმე განცდებით შემუსრულნი, კაცი - გახელებული, ქალი - გაოგნებული.

- მაშ, მისმინე, - თქვა ბოლოს მღვდელმა და იშვიათი სიმშვიდე დაუბრუნდა, - შენ ახლა ყველაფერს გაიგებ. გეტყვი იმას, რასაც აქამდე ჩემს თავსაც კი ძნელად გავუმხელდი. როცა საკუთარ სინდისს ღამის წყვდიადში ვეკითხებოდი, რადგან სიბნელეში გვგონია, თვით ღმერთიც კი ვერ გვხედავს... მისმინე, შენთან შეხვედრამდე ბედნიერი ვიყავი, ყმაწვილო ქალო... - მეც! - ძლივს ამოიოხრა ქალმა.

- ნუ მაწყვეტინებ. დიახ, ბედნიერი ვიყავი, ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდი. მე უმწიკვლო, წმინდა ვიყავი, სული ჩემი ბროლივით გამჭვირვალე იყო. ქვეყნად არავინ მეგულებოდა, ჩემზე უფრო ამაყად და ბრწყინვალედ სჭეროდა თავი. მღვდელ-მსახურნი ჩემგან ზნეობრივი სიწმინდის მაგალითს იღებდნენ. სწავლულნი მეცნიერებასა და მოძღვრებაზე მეთათბირებოდნენ. დიახ, მეცნიერება ჩემთვის ყველაფერი იყო და ესეც კმაროდა ჩემთვის. წლებთან ერთად სხვაგვარი აზრებიც მებადებოდა. არაერთხელ აბორგებულა ხორცი ჩემი, როცა ჩემს წინ ქალს გაუვლია. ადამიანური სქესისა და სისხლის მძლავრება, რაც ჩემში სამარადჟამოდ ჩახშული მეგონა, კრუნჩხვამდე მისული არა ერთხელ აღშფოთებულა რკინისებრი აღთქმის ბორკილების წინააღმდეგ, რამაც მე უბედური საკურთხევლის ცივ ქვებს მიმაჯაჭვა. მაგრამ მარხვამ, ლოცვამ, სწავლამ, მეცადინეობამ, ხორცის გვემამ, მკაცრმა მონასტრულმა ცხოვრებამ სულს სხეულზე ბატონობა დაუბრუნა. ამის შემდეგ ქალებს ვერიდებოდი. ამასთან, საკმარისი იყო წიგნი გადამეშალა, რომ ჩემი ტვინის უწმინდური ბურანი მეცნიერების ბრწყინვალების წინაშე გამქრალიყო. რამდენიმე წუთში ვგრძნობდი, როგორ შორს რჩებოდა ყოველგვარი ხორციელი და მიწიერი, კვლავ სიმშვიდე მეუფლებოდა.

სანამ დემონი ჩემს დასაპყრობად ქალთა გაურკვეველ სახეებს მიგზავნიდა, რომლებიც ხან ეკლესიაში ჩამივლიდნენ გვერდით, ხან ქუჩებსა თუ სიზმარში გამომეცხადებოდნენ, მანამდე ადვილად ვთრგუნავდი მათ. ვაგლახ! თუ ახლა ვერ გავიმარჯვე, დამნაშავე თვითონ ღმერთია, რადგან აკცი და დემონი თანაბარი ძალის არ შექმნა. მისმინე, ერთ დღეს...

აქ მღვდელი შეჩერდა. პატიმარმა გაიგონა, როგორ ღრმად ამოიოხრა მან და განაგრძო: - ერთ დღეს ჩემი სენაკის სარკმლის რაფაზე დაყრდნობილი ვკითხულობდი. სარკმელი მოედანს გადაჰყურებს. უცებ დაირისა და მუსიკის ხმა მომესმა. გაბრაზებულმა იმის გამო, რომ ფიქრები შემაწყვეტინეს, მოედანს გადავხედე. ის, რაც იქ ვნახე, სხვამაც ნახა, მაგრამ ის სანახაობა ადამიანის თვალთა სახილველად როდი იყო გაჩენილი. იქ, ქვაფენილის შუაგულში, შუადღისას, გაბრწყინებულ მზეზე, ერთი ისეთი მშვენიერი არსება ცეკვავდა, რომ, ალბათ, ღმერთი უბიწო ღვთისმშობელს მას ამჯობინებდა, მას აირჩევდა დედად თვისად, ამ ქალს მაშინ რომ ეცხოვრა, როცა ღმერთმა განკაცება ინება! შავი, ელვარე თვალები ჰქონდა; მუქი თმა მზეზე ოქროს ძაფებივით უბრწყინავდა. ისე სწრაფად ტრიალებდა, როგორც ბორბალი. შავ ნაწნავებში მზეზე ლითონის ბალთები უელვარებდა, რომელიც მის შუბლს ვარსკვლავებივით მოჭედილი გვირგვინივით ამშვენებდნენ. კაშკაშა კილიტებით მორთული ცისფერი კაბა ნაპერწკლებს აფრქვევდა; მოქნილი და შავგვრემანი მკლავები ორი შარფივით წელის ირგვლივ ერთმანეთს ხან ჩაეწნებოდნენ, ხან გაიშლებოდნენ. სხეულის ნაკვთები საოცარი სილამაზის ჰქონდა. ჰოი, ბრწყინვალე ხატებავ, თვით მზის სხივებიც კი ვერ უკარგავდნენ ელვარებას შენს ნათელ სახეს! ვაი შენ, ჩემო თავო! ეს ქმნილება შენ იყავი, ქალიშვილო! განცვიფრებულმა, დამთვრალმა და მოხიბლულმა ნება მივეცი ჩემს თავს მეცქირა შენთვის, ვიდრე

შიშისგან უცბად არ შევკრთი: ვიგრძენი, რომ ბედი ჩემი უკვე გადაწყვეტილი იყო, გრძნეულ ბადეში ვიყავი გახვეული. - მღვდელი წუთით ისევ შეჩერდა, სული ეხუთებოდა, მერე ისევ განაგრძო: - უკვე სანახევროდ მოჯადოებული, ვცდილობდი რამეს ჩავჭიდებოდი, რომ არ დავცემულიყავი. მე მოვიგონე ყველა ის მზაკვრობა, რომელსაც სატანა ოდესღაც მე მიწყობდა. ქმნილება, რომელიც ჩემს თვალწინ იდგა, იმდენად ზეადამიანური სილამაზის იყო, რომ შესაძლოა, მხოლოდ ზეცის ან ჯოჯოხეთის წარმოგზავნილი ყოფილიყო. იგი არ იყო ჩვეულებრივი, უბრალო ქალწული, მიწის მტვრისა და შიგნიდან გაუბედავად მოციმციმე სხივით განათებული ქალის სულისგან შექმნილი. იგი ანგელოზი იყო! მაგრამ სიბნელის ანგელოზი, ცეცხლის ალისგან შექმნილი და არა სინათლისგან. იმ წუთს, როდესაც ამას ვფიქრობდი, შენს გვერდით თხა დავინახე, კუდიანთა შაბათობიდან მოვლენილი ცხოველი, რომელიც დაცინვით მიყურებდა. შუადღის მზე მის რქებზე ცეცხლს ანთებდა, მაშინ კი მივხვდი, რომ ეშმაკი მახეს მიგებდა და ეჭვიც აღარ მეპარებოდა, რომ შენ ჯოჯოხეთიდან იყავი წარმოგზავნილი ჩემს წარსაწყმედად. - მღვდელმა პატიმარს სახეში შეხედა და ცივად დაამატა: - ახლაც ასე ვფიქრობ. ამასობაში გრძნეულება ნელ-ნელა მოქმედებდა. შენი ცეკვა თავბრუს მახვევდა. ვგრძნობდი, რომ ჩემში იდუმალი ჯადო იჭრებოდა. ყველაფერმა, რასაც ჩემს სულში უნდა ეფხიზლა, ჩათვლიმა და თოვლში გამოჩენილი ადამიანივით სიამოვნებას მგვრიდა, ძილი რომ მეუფლებოდა. უცებ სიმღერა წამოიწყე. რა უნდა მექნა მე უბედურს? შენი სიმღერა კიდევ უფრო დამატყვევებელი, მომაჯადოებელი იყო, ვიდრე შენი ცეკვა. გაქცევა მინდოდა, ძალა არ შემწევდა. მილურსმულივით ერთ ადგილზე ვიყავი ჩაკირული. მეგონა იატაკის მარმარილო მუხლებამდე მწვდებოდა. ფეხები გამეყინა, თავი მიხურდა. ბოლოს, იქნებ შეგებრალე კიდეც, სიმღერა შეწყვი-

ტე და გაუჩინარდი. თვალის მომჭრელი ხილვის გამონაშუქი თანდა-
თან ჩამიქრა თვალებში, მომხიბლავი მუსიკის ბგერები ჩემს ყურებ-
ში ნელ-ნელა მიყუჩდა. მაშინ სარკმელთან კუთხეში დავემხე და ასე
დავრჩი კვარცხლბეკიდან გადმოგდებულ ძეგლზე უფრო გაშეშებუ-
ლი, უფრო უმწეო. მწუხრის ზარმა გამომაღვიძა, გამოვფხიზლდი,
გავიქეცი, მაგრამ, სამწუხაროდ რაღაც ჩაკვდა ჩემში, რის აღდგენა-
საც ვერ შევძლებდი, რაღაც მომევლინა, რასაც ვერსაით გავექცე-
ოდი. იგი ცოტა ხანს დუმდა, მერე ისევ განაგრძო: - დიახ, ამ დღიდან,
ჩემში დასახლდა ადამიანი, რომელსაც ადრე არ ვიცნობდი. ყველა
საშუალება გამოვიყენე: მონასტერი, საკურთხეველი, შრომა, წიგნე-
ბი. მაგრამ ყოველივე ამაო აღმოჩნდა! ოჰ! ფუჭია მეცნიერება, რო-
დესაც ვნებით შეპყრობილი, სასოწარკვეთილი მიმართავ. იცი კი,
ქალიშვილო, ამიერიდან ვინ ჩადგა ჩემს და წიგნს შორის? შენ, შენი
აჩრდილი, ხილვის ნათელი სახე, რომელიც ერთ დღეს ჩემ წინ აღი-
მართა. მაგრამ ეს სახე იმავე ფერის აღარ იყო. იგი ჩამუქდა, დაიბინ-
და, როგორც შავი წრე, რომელიც დიდხანს არ შორდება იმ გაუფ-
რთხილებელი ადამიანის თვალებს, ვინც მზეს გაშტერებით უყურებ-
და. შენს სახეს თვალთაგან ვერ ვიშორებდი, შენი სიმღერა ჟღერდა
ჩემს გულში, ჩემს ლოცვანზე შენს მოცეკვავე ფეხებს ვხედავდი, ღამ-
ღამობით სიზმარში ვგრძნობდი, შენი ნაკვთები როგორ ეხებოდა
ჩემს სხეულს, ამიტომ მინდოდა ერთხელ კიდევ მენახე, ხელით შევ-
ხებოდი, გამეგო, ვინ იყავი, დავრწმუნებულიყავი, შეესაბამებოდა
თუ არა იმ იდეალურ სახეს, რომელიც ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდე
ან იქნებ იმიტომაც, რომ სინამდვილეს ჩემი ოცნება დაემსხვრია.
ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებდი, რომ ახალი შთაბეჭდილება
გააქარწყლებდა პირველს, პირველი შთაბეჭდილება კი გაუსაძლი-
სი იყო. გეძებდი და გიპოვე. მაგრამ, სამწუხაროდ, ორჯერ რომ გნა-
ხე, ათასჯერ ნახვა მომინდა. სულ შენი ყურება მინდოდა. განა კაცი

თავს შეიკავებს ამ ჯოჯოხეთურ დაღმართზე? ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. იმ ძაფის მეორე ბოლო, რომელიც დემონმა ერთი წვერით ჩემს ფრთებს მიამაგრა, შენს ფეხებს მიაბა. შენსავით ქუჩებში ხეტიალი და ვიწყე. ჩემი მაღალი კოშკიდან გითვალთვალებდი. ყოველ საღამოს კიდევ უფრო მოხიბლული, კიდევ უფრო სასოწარკვეთილი, მოჯადოებული და დამარცხებული ვბრუნდებოდი. ვიცოდი, ეგვიპტელი ბოშა რომ იყავი და განა შეიძლებოდა დაეჭვება შენს ჯადოსნობაში? მისმინე, იმედი მქონდა, სასამართლო პროცესი მომიხსნიდა ჯადოს, გრძნეულებას მომაშორებდა. ერთმა ჯადოქარმა ბრუნო დ'ასტი მოხიბლა. მან ქალი დააწვევინა და განიკურნა. ეს ვიცოდი. მინდოდა ეს საშუალებაც მომესინჯა. ჯერ შენი გამოჩენა ავაკრძალვინე ღვთისმშობლის ტაძრის კარიბჭესთან, იმ იმედით, რომ დაგივიწყებდი, თუ აღარ მოხვიდოდი, მაგრამ შენ ეს არაფრად ჩააგდე. მაინც მოხვედი. შემდეგ შენი მოტაცება მინდოდა, ერთ ღამეს ესეც ვცადე, ჩვენ ორნი ვიყავით, კიდევაც შეგიპყარით, მაგრამ ამ დროს მოულოდნელად გამოჩნდა ის ბილწი ოფიცერი და გაგათავისუფლა. იქიდან დაიწყო ჩვენი უბედურება, შენიც, ჩემიც და მისიც. ბოლოს, აღარ ვიცოდი, რა მექნა, რა მეღონა და სასულიერო სასამართლოში გამხილე.

მეგონა, ბრუნო დ'ასტივით მეც განვიკურნებოდი. იმასაც ვფიქრობდი, რომ სასამართლო პროცესი შენს თავს მე ჩამაბარებდა, საპატიმროში ჩემს ხელთ იქნებოდი, ჩემი გახდებოდი, იქიდან ვეღარ გამექცეოდი; საკმაოდ დიდხანს ფლობდი ჩემს გულსა და გონებას, ახლა ჩემი ჯერია, რომ დაგეუფლო. როდესაც ბოროტებას ჩაიდენ, იგი ბოლომდე უნდა მიიყვანო. უგუნურებაა საზარელ საქმეში შუა გზაზე შეჩერდე. უკიდურეს დანაშაულში შმაგი სიხარულია. მღვდელსა და ჯადოქარს შეუძლიათ სიამით დატკბნენ საპატიმროში, ჩალის კონაზე.

მე დაგასმინე. სწორედ მაშინ იყო, რომ გაშინებდი, სადაც მხვდებოდი. შეთქმულება, რომელსაც შენს წინააღმდეგ ვაწყობდი, გრიგალი, რომელსაც გიმზადებდი, მუქარასა და შემოხედვაში იგრძნობოდა. მაგრამ მაინც ვყოყმანობდი. ჩემი გეგმა საშინელი იყო, ამიტომ უკან ვიხევდი. იქნებ ხელიც ამეღო ამ გეგმაზე, იქნებ ჩემი საზიზღარი აზრი ჩემსავე ტვინში ჩამკვდარიყო, დაშრეტილიყო ისე, რომ ნაყოფი არ გამოეღო. მეგონა, მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული ამ სასამართლო პროცესის გაგრძელება თუ შეწყვეტა. მაგრამ იქაც, სადაც თავი ყოვლისშემძლე მეგონა, ბედისწერა ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. ვაი რომ ამ ბედისწერამ შეგიპყრო შენც და იმ საზარელ ბორბლებში ჩაგაგდო, რომელიც მზაკვრულად მოგიმზადე! მისმინე, დასასრულს ვუახლოვდები.

ერთ მზიან დღეს დავინახე, ჩემს წინ კაცმა ჩაიარა და შენი სახელი თქვა, თან იცინოდა, თვალებში ავხორცი ჟინი უთამაშებდა. დასწყევლოს ღმერთმა! მას ავედევნე. დანარჩენი, რაც შემდეგ მოხდა, შენც იცი. - და დადუმდა.

ქალიშვილმა სხვა სიტყვა რომ ვერ მონახა, მხოლოდ ესღა წარმოთქვა: - ო, ჩემო ფებუს! - ნუ ამბობ მაგ სახელს! - თქვა მღვდელმა და ხელი მკლავზე ღონივრად მოუჭირა, - მაგ სახელს ნუ ამბობ. ჰოი, რა უბედურები ვართ! ამ სახელმა დაგვღუპა ყველა! უფრო სწორად, ჩვენ ყველამ ერთმანეთი დავღუპეთ ბედისწერის აუხსნელი თამაშის გამო! შენ იტანჯები, ხომ ასეა? შენ გცივა, ღამემ თვალები გამოგიღამა, ირგვლივ ციხის კედლებია, მაგრამ იქნებ შენი სულის სიღრმეში კიდევ კიაფობს რაიმე ნათელი, თუნდაც შენი ბავშვური სიყვარული იმ ფუქსავატი კაცის მიმართ, რომელიც შენი გულით თამაშობდა! მე კი, ჩემს გულში ვატარებ ციხეს! ჩემში ზამთარი, ყინვა, უიმედობაა! ჩემს სულში ღამემ დაისადგურა! იცი, რა ტანჯვა გამოვიარე? მე ვესწრებოდი სასამართლო პროცესს. მე ვიჯექი სასულიერო მო-

სამართლეების გვერდით. დიახ, მღვდლის კაპიუშონის ქვეშ ცოდვილი სული იგრიხებოდა. როდესაც მოგიყვანეს, მე იქ ვიყავი. როდესაც დაგკითხეს, მაშინაც იქ ვიყავი. მგლის ბუნაგია! იგი ჩემი დანაშაული იყო, ჩემი სახრჩობელა; ვხედავდი, როგორ ისახებოდა იგი შენს თავზე. თითოეული მოწმის, საბუთის გამოჩენას, დამცველის თითოეულ სიტყვას თვალყურს ვადევნებდი. შემეძლო დამეთვალა ყოველი შენი ნაბიჯი ამ სევდიან გზაზე. მაშინაც იქ ვიყავი, როცა ის მძვინვარე მხეცი... ოჰ! წამებას არ მოვე ლოდი: მისმინე. მე გამოგყევი წამების ოთახშიც. ვნახე, როგორ გაგხადეს და როგორ გკიდებდა ჯალათი თავის უწმინდურ ხელებს. დავინახე შენი ფეხი; მთელ სახელმწიფოს მივცემდი მარტო ამ ფეხის კოცნაში და მერე თუნდაც მოვმკვდარიყავი. ეს ფეხი თავზე რომ დაგედგა და გაგესრისე, უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებდი, ვნახე, როგორ მოამწყვდიეს იგი საშინელ „ესპანურ ჩექმაში", რომელიც ცოცხალ კიდურებს სისხლიან ტალახად აქცევს. ოჰ! უბედურო! ამას რომ ვუყურებდი, ანაფორის ქვეშ ხანჯლით მკერდს ვისერავდი. შემხედე, მგონი, ახლაც მდის სისხლი. - და ანაფორა გადაიხსნა, მკერდი მართლაც დასერილი ჰქონდა, თითქოს ვეფხვს დაუტორიაო, ხოლო ერთი, საკმაოდ დიდი ჭრილობა ჯერ კიდევ ხეირიანად არც შეხორცებოდა. შეძრწუნებულმა პატიმარმა უკან დაიხია.

- ოჰ! ქალიშვილო, შემიბრალე, - უთხრა მღვდელმა. - შენ უბედურად მიგაჩნია თავი! ვაი, რომ შენ არ იცი, რა არის უბედურება. ოჰ! ქალი გიყვარდეს! მღვდელი იყო! საძულველი იყო. გიყვარდეს გაშმაგებით, მთელი შენი არსებით, გრძნობდე, რომ მის სულ მცირე ღიმილში მისცემდი საკუთარ სისხლს, სულსა და გულს, სახელს, დიდებას, კეთილდღეობას, უკვდავებას, ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებას. სწუხდე, ნანობდე, რომ არ ხარ მეფე, გენიოსი, მთავარანგელოზი, ღმერთი, რომ მის ფეხთით დაამხო ყველაზე დიდი მო-

ნა; დღედაღამ თავს ევლებოდე მას სიზმარსა თუ ფიქრებში და ხედავდე, რომ ის ჯარისკაცის ტანსაცმელს ეტრფის! შენ კი სანაცვლოდ ვერაფერს სთავაზობ, გარდა მღვდლის ბინძური ანაფორისა, რაც მასში მხოლოდ შიშსა და ზიზღს იწვევს! შური და სიშმაგე გახრჩობს, როცა მოწმე ხდები, თუ როგორ ფლანგავს იგი თავის სიყვარულსა და სილამაზეს ვიღაც ბილწ, ბაქია და სულელ არამზადაზე! ხედავდე, სხეული, რომლის ფორმები ასე გწვავს და გბუგავს, ეს მკერდი, ესოდენ ტკბილი, ეს ტანი, როგორ თრთის და წითლდება სხვის კოცნაზე. ჰოი, ზეცაო! გიყვარდეს მისი ფეხები, მისი მკლავები, მისი მხრები, ფიქრობდე, ოცნებობდე მის შავგვრემან კანზე, მთელი ღამე სენაკის ქვის იატაკზე ტკივილებისგან იკლაკნებოდე, იწურებოდე და ალერსი, რომელიც გინდოდა მისთვის მიგეძღვნა, ბოლოს წამებად გადაუქციე! მხოლოდ ის მოახერხე, რომ ტყავის ლეიბზე დაეაწვინე! ოჰ! ჭეშმარიტად, ეს ჯოჯოხეთის ცეცხლზე გავარვარებული მარწუხებია! ბედნიერია, ვისაც ორად ხერხავენ ანდა ცხენებით ოთხად გლეჯენ! ქალიშვილო, შემიბრალე! ერთი წუთით სული მაინც მომათქმევინე! ცოტაოდენი ნაცარი მაინც დააყარე ამ გავარვარებულ ნაკვერცხალს! გევედრები, ოფლი მაინც შემიმშრალე შუბლიდან წურწურით რომ ჩამომდის! მაწამე ერთი ხელით, ოღონდ მეორით მომიალერსე! შემიბრალე, შემიცოდე, ქალიშვილო! გაიღე მოწყალება! - მღვდელი წყლიან ფილაქანზე გორაობდა და თავს ქვის საფეხურების კუთხეებს ურტყამდა. ქალიშვილი კი უსმენდა და უყურებდა.

როდესაც მოქანცული და აქაქანებული კაცი გაჩუმდა, ქალმა ხმადაბლა გაიმეორა: - ო, ჩემო ფებუს!

მღვდელი მუხლებით მიცოცდა ქალთან.

- გევედრები - შესძახა მან, - თუ გული გაქვს, ხელს ნუ მკრავ! მე მიყვარხარ! განწირული ვარ! როდესაც ამ სახელს ამბობ, ასე მგო-

ნია, შენი კბილებით ჩემი გულის ძარღვებს ჭრი! გაიღე მოწყალება! ჯოჯოხეთში რომ შეხვიდე, იქ შემოგყვები, საამისოდ ყველაფერი ჩავიდინე. ჯოჯოხეთი, სადაც შენ იქნები, ჩემთვის სამოთხეა. შენი სახე ღვთის ხატებაზე უფრო წარმტაცია! თქვი, არ გინდივარ? იმ დღეს, როდესაც ქალი ხელს ჰკრავს ამგვარ სიყვარულს, ასე მგონია, მთები დაიძვრებიან. შენ რომ გსურდეს! ოჰ! რა ბედნიერი ვიქნებოდი! გავიქცეთ! მე დაგეხმარები! დედამიწაზე. მოიძებნება ისეთი ადგილი, სადაც მზე მეტია, ხე უფრო ბევრი, ცა უფრო ლურჯი." ჩვენ გვეყვარება ერთმანეთი, სულს სულში ჩავაქსოვთ და წყურვილს ერთად დავიცხრობთ სიყვარულის უძირო ფიალიდან. ქალმა საზარელი და მკვეთრი სიცილით შეაწყვეტინა.

- დაიხედეთ, მამაო ჩემო! ფრჩხილებქვეშ სისხლი გაქვთ.

მღვდელი რამდენიმე წამს გაქვავებულივით შეჩერდა, თვალი საკუთარ ხელებს დააშტერა. - მერე რა, დაე, ასე იყოს! - უცნაური, თბილი ხმით უპასუხა მან ბოლოს, - მომაყენე შეურაცხყოფა, დამცინე, მამხილე, მაგრამ წამოდი, თუ წავიდეთ, ავჩქარდეთ! გეუბნები, ხვალ სახრჩობელა გელის გრევის მოედანზე: ჩემთვის ეს საშინელება იქნება! ოჰ, შემიბრალე, შემიწყალე! ასე არასოდეს მიგრძვნია შენდამი სიყვარული. ახლა ვხედავ, როგორ მყვარებიხარ. ოჰ, გამომყევი! შენც შემიყვარებ, როცა გადაგარჩენ. დაე, თუნდაც გძულდე, რამდენ ხანსაც გნებავს. ოღონდ გამომყევი. ხვალ! ხვალ! სახჩობელა! შენი სიკვდილით დასჯაა! ოჰ, იხსენი თავი! მეც შემინდე! მკლავზე ხელი მოკიდა, თავი დაეკარგა, მზად იყო ძალით წაეყვანა. ქალმა გაშტერებული თვალი მამაკაცს მიაპყრო.

- რა დაემართა ჩემს ფებუსს?

- აჰ! - თქვა მღვდელმა და მკლავზე ხელი შეუშვა, - შეუბრალებელი ხარ! - რა დაემართა ფებუსს? - ცივად გაუმეორა ქალმა.

- მოკვდა! - იყვირა მღვდელმა.

- მოკვდა? - თქვა ქალმა ისევ ცივად და უსიცოცხლოდ, - მაშინ სიცოცხლეზე რაღად მელაპარაკებით!

კაცი აღარ უსმენდა.

- ჰო, დიახ! - თქვა მან ჩურჩულით, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, - ის უნდა მომკვდარიყო. ხანჯლის წვერი ღრმად წავიდა. ვფიქრობ, გულს შეეხო. ოჰ! განა, თავადაც ამ ხანჯლის წვერზე არ დავდიოდი!

პატიმარი გამძვინვარებული ძუ ვეფხვივით ეძგერა კაცს და ზებუნებრივი ძალით კიბის საფეხურებზე მიაგდო.

- გამშორდი, ურჩხულო! გამეცალე კაცის მკვლელო! სიკვდილი მაინც დამანებე! დაე, ორივეს სისხლი საუკუნო ლაქად დააჩნდეს შენს შუბლს! შენი გავხდე, ხუცესო? არასოდეს! არასოდეს! არაფერი ჩვენ არ შეგვაერთებს, თვით ჯოჯოხეთიც კი! წადი, წყეულო, გამშორდი! არასოდეს! მღვდელმა კიბეზე წაიბორძიკა, ჭრაქს ხელი დაავლო და დინჯად აიარა ცივი საფეხურები. კარი თუ სარქველი გააღო და გავიდა.

პატიმარმა უცებ დაინახა, რომ მღვდლის თავი ისევ გამოჩნდა. საშინელი გამომეტყველება ჰქონდა. გაცოფებისა და სასოწარკვეთისგან ხმაჩახრინწულმა ჩამოსძახა: - გეუბნები, მოკვდა!

პატიმარი მიწაზე დაემხო; საპყრობილის წყვდიადში, გუბეზე, თითქოს ოხრავენო, წკაპაწკუპით ეცემოდა წყლის წვეთები.

8.5. დედა

ქვეყნად იმაზე უფრო საამო და სასიხარულო რა უნდა იყოს, ვიდრე ბავშვის ციცქნა ფაჩუჩის დანახვაზე დედის გულში აღძრული გრძნობა, მეტადრე თუ ის სადღესასწაულო, საკვირაო, ნათლობისაა. ლანჩამდე მოქარგული ატლასის ფაჩუჩის დანახვაზე, რომლითაც ბავშვს ჯერ ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს, დედას ჰგონია, თავად ბავშვს ხედავს, უღიმის, კოცნის, ესაუბრება; თუ ზამთარია, სახლში ხალიჩაზე დაცოცავს, ბეჯითად აბობღდება ტაბურეტზე, დედას შიშით აკანკალებს, ცეცხლთან არ მივიდეს. თუ ზაფხულია, ეზოში ან ბაღში დაფორთხავს, ბალახს გლეჯს, გულუბრყვილოდ შეჰყურებს ძაღლებს, ცხენებს. მის ირგვლივ ყველაფერი იცინის, ყველაფერი ბრწყინავს, ყველაფერი თამაშობს, სიო და მზის სხივებიც კი გიჟმაჟურად ცელქობენ მისი თმის კულულებში. ყოველივე ეს თვალწინ უდგება დედას ფაჩუჩის დანახვაზე და, როგორც ცვილი ცეცხლზე, ისე უდნება გული. მაგრამ, თუ დედას შვილი დაეკარგა, მაშინ ათასობით მხიარული, მომხიბლავი, ნაზი სურათი, ციცქნა ფაჩუჩს რომ გარს ახვევია, საშინელი ტანჯვის წყაროდ იქცევა. ლამაზი ფაჩუჩი წამების იარაღი ხდება, რომელიც სამუდამოდ ამსხვრევს დედის გულს, რომელშიც მუდამ ერთი ძარღვი თრთის, ყველაზე ღრმად ჩამარხული, ყველაზე მგრძნობიარე, მაგრამ ამ ძარღვს, გულის ამ სიმს ანგელოზი კი არ არხევს, არამედ დემონი წიწკნის. ერთ დილას, როდესაც მაისის მზე მუქ ლურჯ ცაზე აცურდა, როლანდის კოშკის განდეგილმა ბორბლების ხმაური, ცხენის ფლოქვების თქარათქური და რკინის ჟღარუნი გაიგონა. ამას დიდად არც გაუკვირვებია, ხელები ყურებში დაიცო, რათა ხმაური არ გაეგონა და მუხლებზე დაჩოქილმა იმ უსულო საგანს დაუწყო ცქერა, რომელსაც აგერ თხუთმეტი წელია თაყვანს სცემს. ეს ციცქნა ფაჩუჩი, როგორც

უკვე ვთქვით, მისთვის მთელი სამყარო იყო. მისი ფიქრი მასში იყო ჩაკეტილი და სიკვდილის მეტი ვერაფერი იხსნიდა. მხოლოდ როლანდის კოშკის ბნელმა საკანმა იცოდა, რამდენი მწარე, ამაღელვებელი ოხვრა-ჩივილი, ქვითინი და ლოცვა-ვედრება აღუვლენია ვარდისფერი ფაჩუჩის გამო. დედამიწაზე არასოდეს არსად ამდენი სასოწარკვეთა არ გადმოფრქვეულა ამგვარ ნივთზე. იმ დილას მწუხარება კიდევ უფრო გაუმძაფრდა. ხმამაღალი და ერთ კილოზე გაბმული მოთქმა ადამიანს გულს უგმირავდა.

- ო, ჩემო გოგონა! ვეღარ გიხილავ, ყველაფერი გათავდა! ასე მგონია, გუშინ მოხდა! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! უკეთესი იყო, არ მოგეცა იგი ჩემთვის, თუ ისევ ასე მალე წამართმევდი. განა არ იცი, რომ ბავშვი ჩვენს გულ-ღვიძლს ეჭიდება და შვილდაკარგული დედა ვეღარ გიწამებს? აჰ, მე უბედური, რატომ გამოვედი იმ დღეს შინიდან! უფალო! შენ შვილი წამართვი. ოჰ! ღმერთო ჩემო! რომ გენახა, როგორ ვაწოვებდი ძუძუს, როგორ ვეალერსებოდი, შემიბრალებდი, დაინდობდი ჩემს ბედნიერებას, არ წამართმევდი გულში დარჩენილ ერთადერთ სიყვარულს! რატომ მომიძულე ასე, რატომ დამსაჯე? ვაი, ვაი! სად არის ჩემი გოგონა? რა მოუვიდა? უფალო, დამიბრუნე! თხუთმეტი წელია მუხლები გადამიტყავდა შენს ვედრებაში, ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს საკმარისი არაა? დამიბრუნე, უფალო, ერთი დღით, ერთი საათით, ერთი წუთით მაინც და მერე თუნდაც სამარადისოდ მიმაბარე დემონს! ოჰ, რომ ვიცოდე სად სუფევს შენი კვართის კალთა, ხელებს შემოგხვევდი, შეგევედრებოდი, დაგებრუნებინა ჩემი შვილი! უფალო! გულმოწყალე ღვთისმშობელო, დამიბრუნე ჩემი შვილი, იგი მომტაცეს, მომპარეს, შეჭამეს! მინდა ვნახო ჩემი გოგონა! მე რა, თუ ის სამოთხეშია! არ მინდა თქვენი ანგელოზი, ჩემი შვილი მინდა! ოჰ! მიწაზე ვიგორებ, შუბლით ქვას გავხეთქავ, ჩემს თავს შევაჩვენებ და შენც დაგწყევლი უფალო, თუ ჩემს

შვილს არ დამიბრუნებ! კარგად ხედავ, მკლავები დაკბენილი მაქვს, განა კეთილი ღმერთი შეუბრალებელია? წყლისა და შავი პურის მეტს ნურაფერს მომაწვდით, ოღონდ კი ჩემთან იყოს ჩემი გოგო, ოღონდ ის მათბობდეს! მე ერთი სულმდაბალი, ცოდვილი ვარ, მაგრამ შვილმა დამიბრუნა ღვთისნიერება, მისმა სიყვარულმა რწმენა დამიბრუნა. ეეჰ, თხუთმეტი წელი გავიდა, ახლა ის დიდი იქნება. უბედური ბავშვი! როგორ, ნუთუ ვერასდროს ვნახავ, თვით ზეცაშიც კი! მაგრამ, მე ხომ იქ ვერასოდეს მოვხვდები.

უბედური ქალი ფაჩუჩებს ეცა, წლების მანძილზე მისი ნუგეშისა და სასოწარკვეთის წყაროს და ქვითინმა შეძრა მისი არსება ისევე, როგორც პირველ დღეს - შვილის დამკარგავი დედისთვის კი ყოველი დღე პირველია. ასეთი სევდა არ ბერდება. გლოვის შავი სამოსელი ცვდება, ხუნდება, გული კი ისევ გლოვობს.

ამ დროს საკნის წინ ბავშვების მხიარული ხმები გაისმა. ყოველთვის, როცა კი ბავშვებს თვალს მოჰკრავდა, საბრალო განდეგილი თავის საკნის ყველაზე ბნელ კუთხეში მიიკუნჭებოდა, ცდილობდა მათი ხმა არ გაეგო. ამჯერად, პირიქით, უეცრად წამოიჭრა და გაფაციცებით დაუგდო ყური. ერთმა პატარა ბიჭმა თქვა:

- იმიტომ, რომ დღეს ბოშა გოგოს ჩამოახრჩობენ.

ობობა რომ ეცემა ხოლმე აბლაბუდაში გაბმულ ბუზს, სწორედ ისეთივე მოულოდნელი ნახტომით მიიჭრა განდეგილი სარკმელთან, რომელიც გრევის მოედანს გაჰყურებდა. მართლაც, სახრჩობელაზე კიბე იყო მიყუდებული და ჯალათი დაჟანგულ ჯაჭვებს ასწორებდა. ირგვლივ რამდენიმე უსაქმური იდგა.

ბავშვები უკვე შორს იყვნენ. ძაძიანი თვალით ეძებდა ვინმე გამვლელს, რომ ამბავი ეკითხა; საკნის გვერდით მოღუშული მღვდელი შენიშნა, რომელსაც თავი ისე ეჭირა, ვითომც საჯარო ლოცვანს კითხულობდა, მაგრამ წიგნს ისე არ უყურებდა, რამდენადაც სახ-

რჩობელას. განდეგილმა იცნო არქიდიაკონი ჟოზასელი, წმინდა კაცი.

- მამაო, - ჰკითხა მან, - ვინ უნდა ჩამოახრჩონ?

მღვდელმა შეხედა და არ უპასუხა, ქალმა კითხვა გაუმეორა. მაშინ მღვდელმა უპასუხა: - არ ვიცი.

- აქ ბავშვებმა გაიარეს და თქვეს, ბოშა ქალიო, - განაგრძო განდეგილმა. - მგონი კი, - უთხრა მღვდელმა. პაკეტა ლა შანტფლერიმ აფთარივით გადაიხარხარა. - დაო ჩემო, - უთხრა არქიდიაკონმა. - როგორც ჩანს, თქვენ ძალიან გძულთ ბოშა ქალები? - და მერე როგორ! - შესძახა განდეგილმა. - ისინი მაქციები არიან, ბავშვთა ქურდები. მათ შესანსლეს ჩემი ერთადერთი ბავშვი! მე გული აღარ მაქვს. მათ შეჭამეს იგი! ის საზარელი შესახედი იყო.

მღვდელი ცივად შეჰყურებდა.

- ყველაზე მეტად ერთი მძულს მათ შორის, მე ის დავწყევლე, - განაგრძო განდეგილმა ქალმა. - იგი ახალგაზრდაა, ჩემი ქალიშვილი სწორედ მისი ხნის იქნებოდა, დედამისს რომ არ შეეჭამა. ყოველთვის, როცა კი ის ახალგაზრდა ჭრელი გველი ჩემი საკნის წინ გაივლის, სისხლს მიფორიაქებს. - ჰოდა, რაღა გინდა, დაო ჩემო, გაიხარეთ! - უთხრა აკლდამის ძეგლივით გაყინულმა მღვდელმა, - სწორედ მას ნახავთ ჩამოხრჩობილს. - მღვდელს თავი მკერდზე ჩამოუვარდა და ნელი ნაბიჯით იქაურობას გაშორდა.

განდეგილი სიხარულით ხელებს იმტვრევდა.

- სწორედ ამას ვუწინასწარმეტყველებდი, რომ სახრჩობელაზე ავიდოდა! გმადლობთ, მღვდელო! - მიაძახა მას და სარკმლის წინ დიდი ნაბიჯებით მიდი-მოდიოდა; გაშმაგებული და თვალანთებული კედლებს მხრებით აწყდებოდა. ისეთი იერი ჰქონდა, როგორც გალიაში დამწყვდეულ მტაცებელს, დიდი ხნის დამშეულ ძუ მგელს, რომელიც გრძნობს, რომ ჭამის დრო უახლოვდება.

8.6. სამი მამაკაცის სამი გული

ფებუსი არ მომკვდარა. ამგვარი ადამიანები ამტანნი არიან. როდესაც ფილიპ ლელიემ, მეფის საგანგებო პროკურორმა საბრალო ესმერალდას უთხრა: „იგი კვდებაო," ან არ იცოდა, ან იხუმრა. როდესაც არქიდიაკონმა მსჯავრდებულს გაუმეორა, „მოკვდაო," ნამდვილად არ იცოდა სიმართლე, ფიქრობდა, ვარაუდობდა, იმედი ჰქონდა, რომ მოკვდებოდა. მისთვის ძალიან ძნელი იყო თავის მეტოქეზე კარგი ამბავი შეეტყობინებინა იმ ქალისთვის, ვინც უყვარდა. მის ადგილას ყველა მამაკაცი ასე მოიქცეოდა.

მართალია, ფებუსს მძიმე ჭრილობა ჰქონდა, მაგრამ არც იმდენად, არქიდიაკონი რომ იმედოვნებდა. სამეფო კარის ექიმი, ვისაც ღამის გუშაგებმა პირველ წუთებშივე მიუყვანეს კაპიტანი, რვა დღეს შიშობდა მისი სიცოცხლის გამო და ეს გარემოება ლათინურადაც კი მოახსენა ფებუსს. მაგრამ ახალგაზრდობამ მაინც თავისი გაიტანა. როგორც ხშირად ხდება, მიუხედავად დიაგნოსტიკისა და წინასწარმეტყველებისა, ბუნებამ გართობა ინება და ავადმყოფი ექიმის გასაბაიბურებლად გადარჩა. ფილიპ ლელიემ და სასულიერო სასამართლოს გამომძიებელმა პირველი დაკითხვა სწორედ მაშინ მოუწყვეს, როდესაც საექიმო ტახტზე იწვა. კითხვებით ძალიან მოაბეზრეს თავი. წამლების საფასურში აფთიაქარს ოქროს დეზები დაუტოვა და გაიპარა. თუმცა, ამ გარემოებას საქმის გამოძიებაში არავითარი არევ-დარევა არ შეუტანია. მაშინდელი მართლმსაჯულება ნაკლებად ზრუნავდა სისხლის სამართლის საქმის სიცხადესა და დამაჯერებლობაზე. მათი მთავარი საზრუნავი ბრალდებულის ჩამოხრჩობა იყო. გარდა ამისა, მოსამართლეებს ესმერალდას წინააღმდეგ საკმაო მამხილებელი საბუთები ჰქონდათ. მათ იფიქრეს,

ფებუსი მოკვდაო, მორჩა და გათავდა. თავის მხრივ, ფებუსი არცთუ შორს გაქცეულა. ის შეუერთდა თავის ასეულს კე-ან-ბრიში, პარიზიდან რამდენიმე საფოსტო სადგურის მანძილზე. ბოლოს და ბოლოს, მას სულაც არ სურდა სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო და ამ საქმეში გარეულიყო. ბუნდოვნად გრძნობდა, რომ სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ისე თვითონაც არ იცოდა, რა ეფიქრა ამ საქმეზე. ცრუმორწმუნე იყო, როგორც ყოველი ჯარისკაცი. როდესაც ამ თავგადასავალში გარკვევა სცადა, ეჭვი აღუძრა თხამ, ესმერალდასთან უცნაურმა შეხვედრამ, არანაკლებ უცნაურმა ხერხმა, რითაც ქალმა სიყვარული აუხსნა, ბოლოს კი, ბერ-მოჩვენებამ. ამ ამბავში მან ჯადოქრობა უფრო მეტი დაინახა, ვიდრე სიყვარული. შესაძლოა, ის ქალი ჯადოქარი და თვით ეშმაკიც ბრძანდებოდა. ბოლოს, იქნებ ყოველივე ეს კომედია ან ფრიად უსიამოვნო წარმოდგენა იყო, სადაც ძალიან მარცხიანი, ნაცემ-ნაბეგვი და სირცხვილნაჭამი გმირის როლი ითამაშა. კაპიტანი ისეთ სირცხვილს განიცდიდა, რომელიც ასე საუცხოოდ განსაზღვრა ლაფონტენმა: დარცხვენილი როგორც მელა, დედალმა რომ დაატყვევა. თუმცა, იმედი ჰქონდა, ეს საქმე არ გახმაურდებოდა, მის სახელს, რაკი თვითონ არ ესწრებოდა, მხოლოდ გაკვრით ახსენებდნენ, ყოველ შემთხვევაში, ტურნელის სასამართლო დარბაზის კედლებს არ გასცდებოდა. არც გასცდენია - მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა გაზეთი „სასამართლო უწყებანი.“ კვირა არ გავიდოდა, ყალბი ფულისმჭრელი არ დაემდუღრათ, ჯადოქარი არ ჩამოეხრჩოთ, მწვალებელი არ დაეწვათ პარიზის რომელიმე „თხემ-ადგილზე“; ხალხი ისე მიეჩვია ყოველ გზაჯვარედინზე ხელებდაკაპიწებულ და მიხრწნილ ფეოდალურ თემიდას, რომელიც თავის საქმეს აკეთებდა სასაკლაო კუნძებზე, სახრჩობელებსა და სამარცხვინო ბოძებზე, რომ ყურადღებას არც აქცევდა. იმ დროს მაღალმა საზოგადოებამ ნაკლებად იცოდა ქუჩის

კუთხეში გატარებულ მსჯავრდებულთა სახელები, ხოლო მდაბიო ხალხი ამ საშინელი ტრაპეზით ტკბებოდა. სიკვდილით დასჯა ქუჩის ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ფებუსმა მალე შეწყვიტა ფიქრი გრძნეულ ესმერალდაზე, თუ სიმილარზე, როგორც ის ეძახდა; სულაც არ აინტერესებდა, ვინ დაარტყა ხანჯალი, ბოშა ქალმა თუ ბერ-მოჩვენებამ, არც იმით დაინტერესებულა, როგორ დამთავრდა სასამართლო პროცესი. როგორც კი მისი გული გათავისუფლდა, მასში კვლავ ფლორ-დე-ლისის სახე ამოტივტივდა. კაპიტან ფებუსის გულს, ისე როგორც მაშინდელ ფიზიკას, სიცარიელისა ეშინოდა. მით უმეტეს, რომ ფლორ-დე-ლისი ლამაზი იყო და მეტად სახარბიელო მზითევიც ჰქონდა. ამრიგად, ერთ დღეს, სრულიად განკურნებული და დარწმუნებული, რომ ორ თვეში ბოშა გოგონას საქმე დამთავრებული და დავიწყებული იქნებოდა, გამიჯნურებული კავალერი ცხენის ნავარდით გონდელორიეს სახლის კარს მიადგა. მან ყურადღება არ მიაქცია ღვთისმშობლის ტაძრის კარიბჭის წინა მოედანზე შეკრებილ მრავალრიცხოვან და აჩოჩქოლებულ ბრბოს. მოაგონდა, რომ მაისი იყო და იფიქრა, ალბათ, რომელიმე რელიგიური დღესასწაულიაო. ცხენი ფარული კარის რგოლს მიაბა და მშვენიერ საცოლესთან მხიარულად აირბინა.

ქალიშვილი დედასთან ერთად დახვდა. ფლორ-დე-ლისს ჯადოქრის, თხისა და წყეული ანბანის სცენა გულზე მძიმედ აწვებოდა და ამას ფებუსის უყურადღებობას უკავშირებდა. მაგრამ, როდესაც კაპიტანი დაინახა, იგი ისეთი ლამაზი ეჩვენა, მისი დალიანდაგებული გულისპირი იმდენად ახალი, სამხრეები იმდენად ელვარე და იერი იმდენად ვნებიანი, რომ სიამოვნებისგან გაწითლდა. ქალიშვილი თვითონაც უფრო დამშვენებულიყო... დიდებული ოქროსფერი თმა მომხიბლავად დაეწნა. ცისფერი კაბა ეცვა, რაც ძალიან უხდებათ თეთრ ქალებს, ხოლო თვალები ნეტარებისგან მიბნედოდა. ფებუსი,

რომელსაც კე-ან-ბრის სოფლელი გოგოების გარდა, ორი თვეა ლამაზი ქალი არ ენახა, ფლორ-დე-ლისის მშვენიერებამ გააბრუა; ამან კი ისეთი თავაზიანობა შემატა კაპიტნის ქცევასა და თავდაჭერას, რომ მათ შორის წამსვე ზავი ჩამოვარდა. თვით მადამ გონდელორიესაც კი, რომელიც სავარძელიდან დედური სიყვარულით შესცქეროდა მათ, უკმაყოფილების გამოსახატავად ძალა არ ეყო. რაც შეეხება ფლორ-დე-ლისს, მისი საყვედური ნაზ ღუღუნში ჩაინავლა. ქალიშვილი ფანჯარასთან იჯდა და ისევ თავის ნეპტუნის მღვიმეს ქარგავდა. კაპიტანი მისი სკამის ზურგს დაეყრდნო. ქალიშვილი ხმადაბლა, ალერსით ტუქსავდა: - რა დაგემართათ, სად იყავით მთელი თვე, საძაგელო?

- გეფიცებით, - უპასუხა კითხვით შეწუხებულმა ფებუსმა, - თქვენ ისეთი ლამაზი ხართ, არქიეპისკოპოსსაც თავბრუს დაახვევთ. ქალმა ღიმილი ვეღარ შეიკავა.

- კარგი, კარგი, მუსიე, ჩემს სილამაზეს თავი დაანებეთ; მართალია, ლამაზი ვარ! კითხვაზე მიპასუხეთ!

კეთილი! ძვირფასო! გარნიზონში გამომიძახეს.

- საით, გეთაყვა, თუ შეიძლება გვითხრათ? რატომ არ გამოგვემშვიდობეთ? - კე-ან-ბრიში. - ფებუსი გახარებული იყო, რომ პირველი კითხვა საშუალებას აძლევდა თავი დაეღწია მეორე კითხვისთვის.

- მაგრამ ის ხომ სულ ახლოსაა, მუსიე. ერთხელ მაინც როგორ არ მობრძანდით ჩემს სანახავად? აქ ფებუსს პასუხის გაცემა გაუძნელდა.

- საქმე ის არის... მოგეხსენებათ, სამსახური რა არის... გარდა ამისა, ჩემო მშვენიერო, ავად ვიყავი.

- ავად? - გაიმეორა შეშინებულმა ქალმა.

- დიახ... დაჭრილი ვიყავი.

- დაჭრილი? - საბრალო ქალიშვილი შეძრწუნდა.

- ოოჰ! - თქვა დაუდევრად ფებუსმა, - ისეთი არაფერია! ჩხუბი, კინკლაობა, დაშნით დაჭრა. თქვენ არ გეხებათ ეს.

- არ მეხება? - შესძახა ფლორ-დე-ლისმა და ცრემლიანი თვალები მიაპყრო. - ოჰ, თქვენ იმას არ ამბობთ, რასაც ფიქრობთ. რა დაშნის დაჭრაზე ლაპარაკობთ? ყველაფერი მინდა ვიცოდე. - იცით რა, ჩემო მშვენიერო, მე წავეჩხუბე მაე ფედის. იცნობთ? სენ-ჟერმენ-ან-ლეი-ელ ლეიტენანტს, ერთმანეთს ცოტა კანი გავუკაწრეთ. სულ ეს არის. მატყუარა კაპიტანმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ღირსების საქმე მამაკაცს ყოველთვის ამაღლებს ქალის თვალში. მართლაც, ფლორ-დე-ლისი შიშის, სიამოვნებისა და აღტაცებისგან აღელვებული შეჰყურებდა, მაგრამ ქალი მაინც ვერ დამშვიდდა. - ოღონდ თქვენ სრულიად ჯანმრთელად ბრძანდებოდეთ, ჩემო ფებუეს! - უთხრა მან. - არ ვიცნობ მაე ფედის, მაგრამ ცუდი კაცი ყოფილა. რაზე იჩხუბეთ? ფებუსი მაინცდამაინც დიდი წარმოსახვის უნარით არ გამოირჩეოდა. აღარ იცოდა, თავისივე საგმირო საქმისგან თავი როგორ დაეძვრინა.

- ოჰ! განა მე კი ვიცი?.. არაფერზე, ცხენზე, სიტყვის გამო. ძვირფასო, - შესძახა მან იმისთვის, რომ საუბრის თემა შეეცვალა, - ეს რა ხმაურია კარიბჭესთან? - და სარკმელთან მივიდა. - ოჰ! ღმერთო ჩემო, ხედავ რამდენი ხალხია მოედანზე.

- არ ვიცი, - თქვა ფლორ-დე-ლისმა, - მგონი, ვიღაც ჯადოქარმა ამ დილას საქვეყნოდ უნდა მოინანიოს ტაძრის წინ, შემდეგ კი ჩამოახრჩობენ.

კაპიტანი იმდენად დარწმუნებული იყო, რომ ესმერალდას საქმე უკვე დამთავრებული იყო, ფლორ-დე-ლისის სიტყვებს არ აუღელვებია. მაგრამ ერთი-ორი კითხვა მაინც დაუსვა: - რა ჰქვია იმ ჯადო ქალს?

- არ ვიცი, - უპასუხა ქალმა.

- მერედა, რას ამბობენ, რა ჩაიდინაო?

ქალმა თეთრი მხრები კვლავ აიჩეჩა.

- არც ეგ ვიცი.

- ოჰ! უფალო იესო! - თქვა დედამ, - ახლა იმდენად გახშირდნენ ჯადოქრები, მგონი, მათი სახელებიც არ იციან, ისე წვავენ. ეგ იგივეა, კაცმა რომ ცაში ყოველი ვარსკვლავის სახელის გაგება მოისურვოს. შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ყოვლადკეთილი ღმერთი მათ აღნუსხავს. - ქალბატონი წამოდგა და სარკმელთან მივიდა. - უფალო! - თქვა მან, თქვენ მართალი ბრძანდებით, ფებუს. შეხედეთ, რამდენი ხალხია, აჩოჩქოლებელი ბრბოა. ღმერთო, აკურთხე! ზოგი სახურავებზე ასულა. - იცით, ფებუს, ეს ჩემი ახალგაზრდობის ხანას მაგონებს, შარლ VII-ის მობრძანებას, როცა ასევე მთელმა ქვეყანამ მოიყარა თავი; აღარ მახსოვს, რომელ წელს იყო. როდესაც ამაზე ვსაუბრობ, თქვენ ძველთაძველ ამბად გეჩვენებათ, ხომ მართალია? ჩემთვის კი ახალგაზრდობის გახსენებაა. ოჰ! მაშინ ხალხი უფრო ლამაზი იყო, ვიდრე ახლა.

შეყვარებულები ქვრივს არ უსმენდნენ. ფებუსი კვლავ საცოლის სკამის ზურგს დაეყრდნო, აქედან მისი გარყვნილი თვალი ფლორდე-ლისის საყელოს ქვეშ, ყველა ჭუჭრუტანაში იჭვრიტებოდა. ქალის ყელსახვევიც დროზე გადაიხსნა, ისეთი მშვენიერი სანახაობა გადაიფურჩქნა მის თვალთა წინაშე და ისე აცმუკდა, რომ მისი ატლასისებრი კანის გამონაშუქისგან თვალაჭრელებულმა ფებუსმა გაიფიქრა: - როგორ შეიძლება თეთრი ქალის გარდა, სხვა ქალი შეიყვარო? ორივე დუმდა. დროდადრო ქალიშვილი აღტაცებულ და ალერსიან თვალებს მიაპყრობდა ვაჟს, თავს ასწევდა და მაშინ მათი თმები ერთმანეთში ირეოდა. - ფებ, - მიმართა უცბად ფლორ-დელისმა ხმადაბლა, - ჩვენ სამ თვეში ჯვარს დავიწერთ, შემომფიცეთ,

რომ ჩემს მეტი სხვა ქალი არ გყვარებიათ. - გეფიცებით, მშვენიერო ანგელოზო! - უპასუხა ფებუსმა.

ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ფლორ-დე-ლისს მისი ვნებიანი თვალები არწმუნებდა. შესაძლოა, იმ წუთს ვაჟი თვითონაც ასე ფიქრობდა.

ამასობაში დანიშნულთა სრული თანხმობით მოხიბლული კეთილი დედა ოთახიდან გავიდა. ფებუსმა ეს შეამჩნია და ქალთან მარტო დარჩენამ ისე გაათამამა ყოჩაღი კაპიტანი, რომ თავში მეტად უცნაური აზრები მოუვიდა. ფლორ-დე-ლისს იგი უყვარდა. ის მისი დანიშნული იყო. ოთახში მარტონი იყვნენ. დიდი დანაშაული როდია, საკუთარ ყანაში ჯერ კიდევ შემოუსვლელი პური იგემო. მისმა თვალების გამომეტყველებამ ფლორ-დე-ლისი შეაშინა, მიიხედ-მოიხედა, დედამისი ვერ დაინახა.

- ღმერთო ჩემო! - თქვა გაწითლებულმა და შეწუხებულმა ქალიშვილმა, - ძალიან მცხელა! - ვფიქრობ, - უპასუხა ფებუსმა, - მზე გვაწუხებს, ფარდები ჩამოვუშვათ. - არა, არა, - შესძახა დაბნეულმა ქალიშვილმა, - პირიქით, სუფთა ჰაერი მჭირდება. - და იმ ფურირემის მსგავსად, რომელმაც ძაღლების ხროვის მიახლოება იგრძნო, წამოხტა, სარკმლიან კართან მიირბინა, გააღო და აივანზე გავარდა.

საკმაოდ განაწყენებული ფებუსი მას მიჰყვა.

ღვთისმშობლის კარიბჭის წინამდებარე მოედანი ავისმომასწავებელ და იშვიათ სანახაობას წარმოადგენდა, რამაც უკვე მძაფრად და სხვა მხრივაც შეაშინა ისედაც მშიშარა ფლორ-დე-ლისი. მთელი მოედანი ხალხით იყო გაჭედილი, ყველა მოსაზღვრე ქუჩა გადავსებული იყო. კარიბჭის ირგვლივ შემოვლებული დაბალი კედელი ბრბოს ვერ შეაკავებდა, მის წინ მჭიდროდ ორად ჩამწკრივებული ქალაქის გუშაგები და შეიარაღებული მსროლელები რომ არ მდგარიყვნენ. კარიბჭეს კი ეპისკოპოსის შეიარაღებული რაზმი იცავდა.

ეკლესიის დაკეტილი კარი სრულ კონტრასტს ქმნიდა მოედნის ირგვლივ მდებარე სხვა სახლებთან - მათი ყველა ფანჯარა ღია იყო, საიდანაც ათასობით თავი იყო გამოყოფილი. ამ აჩოჩქოლებული ბრბოს ზედაპირი რუხი ჭუჭყიანი, მიწისფერი იყო. ცხადია, მოსალოდნელი სანახაობა მხოლოდ მოსახლეობის დაბალი ფენიდან გამოსულ ნაძირლებს მოსწონდათ. ყვითელთავსახვევიანი და ტურტლიანი, გაბურძგნულთმიანი ბრბო საზიზღრად ხმაურობდა, ყვირილზე მეტად სიცილი ისმოდა, უფრო მეტნი ქალები იყვნენ. დროდადრო ვინმეს მკვეთრი და მთრთოლვარე ხმა კვეთდა საერთო ხმაურს. - ჰეი, ოჰე! მაიე ბალიფრო! აქვე ჩამოკიდებენ?

- ჩერჩეტო! აქ პერანგისამარა საქვეყნოდ მოინანიებს! გულმოწყალე ღმერთი ლათინურს სახეში შეახველებს. ეს ყოველთვის აქ სრულდება შუადღისას. სახრჩობელაც თუ გნებავს, გრევის მოედანზე მიბრძანდი.

- მერე წავალ.

...

- მითხარით, დეიდა ლუკამბრი, მართალია, გოგომ აღსარებაზე უარი თქვაო? - მგონია ეგრეა, დეიდა ბეშენ.

- შეხედეთ ერთი მაგ წარმართს!

...

- ასეთია ადათი, მუსიე. მოსამართლემ მსჯავრდებული სიკვდილით დასასჯელად, თუ საეროა, პარიზის პრევოს უნდა ჩააბაროს, თუ სასულიერო წოდებისა - საეპისკოპოსო სასულიერო სასამართლოს უხუცესს.

- მადლობას მოგახსენებთ, მუსიე!

...

- ოჰ! ღმერთო ჩემო! - თქვა ფლორ-დე-ლისმა. - საბრალო!

ამ ფიქრით შეპყრობილმა ბრბოს სევდიანად გადახედა. კაპიტანი, რომელიც უფრო მეტად თავის საცოლის ალერსით იყო გართული, ვიდრე მდაბიოთა ცქერით, უკნიდან ქალის კაბის სარტყელს ვნებიანად სრესდა.

- გთხოვთ, ნუ მომეკარებით, ფებუს. დედა რომ შემოვიდეს, თქვენს ხელს შეამჩნევს. ამ დროს ღვთისმშობლის ტაძრის კოშკზე საათმა თორმეტი დარეკა, ბრბოს კმაყოფილების ჩურჩულმა გადაუარა. ის-ის იყო მეთორმეტე რეკვის უკანასკნელი ხმა მიყუჩდა, ყველას თავი შეირხა. მოედანზე, ფანჯრებსა და სახურავებზე იხუვლეს: - „აგერ ისიც!“ ფლორ-დე-ლისმა თვალებზე ხელი მიიფარა, რომ არ დაენახა.

- ჩემო მშვენიერო, გნებავთ ოთახში დავბრუნდეთ? - ჰკითხა ფებუსმა. - არა, - უპასუხა ქალმა და შიშით დახუჭული თვალები ცნობისმოყვარეობამ გაახელინა. მოედანზე გამოჩნდა იისფერსამოსიანი და მკერდზე თეთრჯვრიანი ცხენოსნებით გარშემორტყმული ორთვალა, რომელშიც ღონიერი ნორმანდიული ცხენი ება. ღამის გუშაგთა ათისთავები ბრბოში გზას კეტების ცემით იკვლევდნენ. ორთვალას გვერდით მოსდევდნენ აგრეთვე ცხენზე ამხედრებული სასულიერო სასამართლოსა და პოლიციის მოხელენი, რომელთაც შავი ტანსაცმლით ადვილად გამოარჩევდით. მათ წინ მიუძღოდა მეტრ ჟაკ შარმოლიუ. საბედისწერო ორთვალაში ზურგზე ხელებგაკრული ქალიშვილი იჯდა. მის გვერდით არ იდგა მოძღვარი. პერანგის ამარა იყო, გრძელი შავი თმა უწესრიგოდ ჩამოშლოდა ნახევრად შიშველ მხრებსა და გულ-მკერდზე (მაშინდელი წესით, თმა სახრჩობელის ძირში უნდა შეეჭრათ). სქელი, ხორკლიანი რუხი თოკი საბრალო ქალიშვილის მომხიბლავ ყელს ისე შემოხვეოდა, როგორც ჭიაყელა ყვავილს და კანს უყვლეფდა. თოკის ქვეშ ბრწყინავდა მწვანე შუშის მძივებით შემკული თილისმა, რომელიც უთუოდ

იმიტომ დაუტოვეს, რომ სასიკვდილოდ განწირულს ასეთ რამეზე უარს აღარ ეუბნებიან. ფანჯრებიდან მაყურებლებს შეეძლოთ ეტ-ლის სიღრმეში შეემჩნიათ, როგორ ცდილობდა საბრალო, შიშველი ფეხები (ქალური ინსტინქტის კარნახით) დაემალა. მის ფეხებთან ფეხგაკრული თხა ეგდო. მსჯავრდებულს პერანგი კბილებით ეჭირა, რომ მხრებიდან არ ჩამოვარდნოდა. ამ უბედურ ყოფაში, ეტყობა, საწყალს ისიც ტანჯავდა, რომ თითქმის ნახევრად შიშველს მთელი ქვეყანა მიშტერებოდა. ამგვარი ძრწოლისთვის არ არის გაჩენილი უმანკოება!

- უფალო იესო! - უთხრა უეცრად ფლორ-დე-ლისმა ოფიცერს, - ერთი შეხედეთ, ძვირფასო, ეს ის საძაგელი ბოშა ქალია თავისი თხით!

ეს რომ თქვა, ფებუსს მიუბრუნდა. კაპიტანს თვალები ორთვა-ლასთვის მიეშტერებინა და მთლად გაფითრებულიყო.

- რომელი ბოშა ქალი, რომელი თხა? - წაილუღლუღა მან.

- როგორ, - მიუგო ფლორ-დე-ლისმა, - განა არ გახსოვთ?

ფებუსმა შეაწყვეტინა.

- არ ვიცი, რაზე ლაპარაკობთ.

ვაჟს ოთახში დაბრუნება უნდოდა, მაგრამ ფლორ-დე-ლისს ბოშა გოგონას მიმართ წინანდელმა ეჭვებმა შეახსენა თავი და გამჭრიახი თვალებით უნდობლად შეხედა ოფიცერს. ბუნდოვნად გაახსენდა, რომ ამ ქალის პროცესის დროს ვიღაც კაპიტანს ახსენებდნენ. - რა დაგემართათ? - უთხრა ქალმა ფებუსს, - ამ ქალის დანახვამ რატომ შეგაკრთოთ? ფებუსმა სცადა ხუმრობაში გაეტარებინა:

- მე? სრულიადაც არა! აჰ! რატომ? საიდან სადაო!

- მაშინ დარჩით და ბოლომდე ვუყუროთ, - უთხრა ქალმა მბრძა-ნებლური კილოთი. მეტი რა გზა ჰქონდა დამარცხებულ კაპიტანს, უნდა დარჩენილიყო. თავს იმით იმშვიდებდა, რომ მსჯავრდებული

ორთვალას ფსკერს მიშტერებოდა. იგი, რა თქმა უნდა, ესმერალდა იყო, რომელიც შერცხვენისა და უბედურების ამ უკანასკნელ მიჯნაზეც კი, მშვენიერი იყო; დიდრონი შავი თვალები კიდევ უფრო დიდი მოუჩანდა, რადგან სიგამხდრისგან ლოყები ჩასცვენოდა, ფერმკრთალი პროფილი წმინდა და დიადი იყო. გარდა მორცხვობისა, მასში ყველა სხვა გრძნობა დაჩლუნგებულიყო. ორთვალას ჯაყჯაყზე მისი სხეული ისე ინჯღრეოდა, როგორც მკვდარი, უსიცოცხლო ან გატეხილი ნივთი. გამოხედვა მოღუშული და გიჟური ჰქონდა. თვალში კიდევ შენიშნავდით უძრავ, გაყინულ ცრემლს.

პირქუშ ცხენოსანთა ჯგუფმა ბრბო გაიარა, რომელიც მხიარული შეძახილებითა და ცნობისმოყვარეობით ხვდებოდა, მაგრამ, ლამაზი და დაჩაგრული, მწუხარებისგან გათანგული მშვენიერი არსების დანახვაზე, ბევრს თანაგრძნობითა და სიბრალულით გული აუჩუყდა, მათ შორის გულქვა ადამიანებსაც კი.

ორთვალა ტაძრის წინა მოედანზე გამოვიდა და მთავარი პორტალის წინ გაჩერდა. ორივე მხარეს ბადრაგი განლაგდა. ბრბო მიჩუმდა. მთავარკარის გაღებისთანავე, ეკლესიიდან მძიმე, საზეიმო, მჭექარე და მონოტორულმა ხმამ იგრიალა, რომელიც მსჯავრდებულს თავზე პირქუში ფსალმუნის ნაწვეტევს აყრიდა: Non timebo millia populi circumdantis me. Exsurge, Domine, salvum me fac, Deus! ...infixus sum in limo profundi, et non est substantia[1]. ეს წყვდიადში შთანთქმული რამდენიმე მოხუცის შორეული გალობა-პანაშვიდი, სიკვდილის წირვა იყო ახალგაზრდული ენერგიითა და სიცოცხლით სავსე მშვენიერი ქმნილების მიმართ. ხალხი მოწიწებით უსმენდა.

შიშით შეპყრობილ, უბედურ ქალიშვილს ეგონა ცქერითა და ფიქრებით ეკლესიის შიგნით, ბნელ სიღრმეში ჩაიკარგა. გაფითრებუ-

---

[1] *არა შემეშინოს მე ბევრეულისგან ერისა, რომელთა იგი გარე-მიმაქცევს მე. აღსდეგ უფალო, მაცხოვნე მე ღმერთო ჩემო! (ფს. 3,6,7).*

ლი ტუჩები ნელა უმოძრავებდა, თითქოს ლოცულობდა. როდესაც ჯალათის ლაქია ორთვალადან ჩამოსვლაში დასახმარებლად მიუახლოვდა, გაიგონა, როგორ გაიმეორა ქალმა ხმადაბლა: „ფებუს“. ხელები გაუხსნეს, დაბლა ჩამოიყვანეს; თხაც თან ახლდა. ისიც აუშვეს. გათავისუფლებული ცხოველი მხიარული კიკინით მისდევდა პატრონს. ფეხშიშველი ქალი ქვაფენილზე გაატარეს, პორტალის ქვემო საფეხურებამდე მიიყვანეს. კისერზე მობმული თოკი უკან მოსთრევდა, თითქო გველი მოსდევსო.

ეკლესიაში გალობა შეწყდა. სიბნელეში თაღიდან ფილაქნამდე ჩამოშვებული დიდი ვერცხლის ჯვარი და სანთლების მწკრივი შეირხა. გაისმა ეკლესიის ჭრელსამოსიან მცველთა და მეკარეთა შუბნაჯახების წკარუნი და რამდენიმე წუთის შემდეგ მსჯავრდებულისა და ბრბოს თვალწინ გაიშალა მღვდელთა და დიაკვანთა გრძელი პროცესია, რომელიც დინჯად, საზეიმო ნაბიჯითა და ფსალმუნთა გალობით სიკვდილმისჯილისკენ მიემართებოდა. მაგრამ მისი მზერა პროცესიის თავში მომავალ კაცზე შეჩერდა.

- ოჰ! - წაიჩურჩულა და აკანკალდა, - ეს ის მღვდელია!

ის მართლაც არქიდიაკონი იყო. მარცხნივ მოსდევდა ტაძრის რეგენტის, ლოტბარის თანაშემწე, მარჯვნივ, კვერთხით აღჭურვილი თავით რეგენტ-ლოტბარი. ხუცესი დაწინაურდა, გაფითრებული თავი უკან გადაეწია, თვალები ფართოდ გაეხილა, გაშტერებოდა და ძლიერი ხმით მღეროდა: - De vertre inferi clamavi, et exaudisti vocem meam, et projecisti me in profundum in corde maris, et flumen circumdedit me[1]. გაფითრებულმა და ქანდაკებად ქცეულმა ბოშა ქალმა ვერც კი შეამჩნია, როგორ ჩაუდეს ხელში ცვილის ანთებული სანთელი. იგი ყურს არ უგდებდა სასამართლოს მოხელის

[1] *„დავინთქ მე უყსა უფსკრულისასა, და არა არს დათმენა“ (ფს.68,2).*

წკავწკავა ხმას, რომელიც საჯარო მონანიების საბედისწერო შინაარსს კითხულობდა. თითქოს სიცოცხლის ძალის დაბრუნება იგრძნო, როცა მღვდელმა გუშაგებს ანიშნა განზე გამდგარიყვნენ და მისკენ მარტო გამოეშურა. სისხლი თავში აუვარდა. გათოშილის სულში აღშფოთების უკანასკნელმა ნაპერწკალმა იფეთქა.

არქიდიაკონი დინჯად უახლოვდებოდა. ამ დაძაბულ სიტუაციაშიც კი ქალმა დაინახა, როგორ უყურებდა მღვდელი მის შიშველ სხეულს. მის გამოხედვაში ავხორცობა, შური, ეჭვი და ვნება იკითხებოდა. შემდეგ ხმამაღლა უთხრა:

- ქალიშვილო, შეევედრე თუ არა ღმერთს, გაპატიოს შეცდომები და მანკიერებანი? მერე ქალის ყურისკენ გადაიხარა და დაუმატა (მაყურებლებს კი ეგონათ, აღსარებას იღებსო): - გინდა ჩემი გახდე? კიდევ შემიძლია გადაგარჩინო!

ქალმა თვალი გაუშტერა:

- გამშორდი, დემონო! თორემ გამხელ!

მღვდელმა მწარედ გაიღიმა.

- არ დაგიჯერებენ, დანაშაულს ახლა სირცხვილსაც ზედ დაუმატებ. სწრაფად მიპასუხე! გინდა ჩემი გახდე?

- რა უყავი ჩემს ფებუსს?

- ის მკვდარია, - უთხრა მღვდელმა. ამ დროს არქიდიაკონმა თავი უნებურად მაღლა ასწია და მოედნის მეორე მხარეს, გონდელორიეს სახლის აივანზე, ფლორ-დე-ლისი და ოფიცერი დაინახა. შეტორტმანდა, ხელი თვალებზე გადაისვა, კიდევ შეხედა, მერე ბუზღუნით დასწყევლა და შეაჩვენა. სახის ნაკვთები დაეძაბა.

- მაშ, მოკვდი! - თქვა მან კბილების ღრჭენით. - ნურავისი იქნები! არქიდიაკონმა ხელი აღმართა ბოშა ქალის თავზე და სამგლოვია-

რო ხმით შესძახა: - i nunc, anima anceps, et sit tibi Deus misericors[1]! (ეს მღვდლის პირობითი ნიშანი იყო ჯალათისადმი, რითაც ჩვეულებისამებრ მთავრდებოდა შავბნელი ცერემონიები). ხალხმა დაიჩოქა. - Kyrie eleison[2] - გალობით წარმოთქვეს მთავარკარის თაღქვეშ დარჩენილმა მღვდლებმა. - Kyrie eleison! - გაიმეორა ბრბომ და ყრუ დუდუნმა მათ თავებზე აღელვებული ზღვის ტალღების დგაფუნით გადაიარა.

- Amen! - თქვა არქიდიაკონმა. მან მსჯავრდებულს ზურგი შეაქცია, თავი დახარა, ხელები გადააჯვარედინა და ისევ მღვდელთა ამალას შეუერთდა. წუთის შემდეგ დაინახეს, როგორ გაქრა თავისი ჯვრით, სანთლებითა და სამოსელით კათედრალის თაღებქვეშ. ღვთისმშობლის ტაძრის კარი ღია დარჩა და მაყურებელს საშუალება ჰქონდა მწუხარე, უსინათლო და მდუმარე ტაძარში შეეხედა. მსჯავრდებული უძრავად იდგა და განკარგულებას ელოდა.

ერთმა ქალმა ყურადღება მიაქცევინა მეტრ შარმოლიუს, რომელიც ამ დროს მთავარკარის იმ ბარელიეფის შესწავლას შესდგომოდა, ზოგის აზრით, აბრაამის მსხვერპლშეწირვას რომ გამოხატავდა, ზოგის აზრით კი, ალქიმიკოსთა ოპერაციას ფილოსოფიურ ქვაზე (მზე გამოსახულია ანგელოზით, ცეცხლი - ფიჩხის კონით, ხელოსანი - აბრაამის მიერ). საკმაოდ ძნელი იყო მისი ამ საქმიდან ჩამოცილება, მაგრამ ბოლოს შემობრუნდა და ნიშანი მისცა: ორი ყვითელსამოსიანი ჯალათის ლაქია ბოშა ქალთან მივიდა, რომ ხელები კვლავ შეეკრათ.

შესაძლოა, ვიდრე საბედისწერო ორთვალაზე ავიდოდა და თავის უკანასკნელ გზას დაადგებოდა, უბედური ქალიშვილი სიცოცხლის დაკარგვის მტანჯველმა სინანულმა შეიპყრო. დაწითლებული და

---

[1] *სულო ცოდვილო, და ღმერთი იყოს შენი შემწყალე.*

[2] *უფალო შეიწყალე! (ბერძ).*

გამშრალი თვალებით ცას შეხედა, შემდეგ - მიწას, ხალხსა და სახლებს. უცებ, როდესაც ყვითელტანსაცმლიანი კაცი იდაყვებს უგრეხდა, რომ ზურგზე ხელები გაეკრა, მას საშინელი კივილი, სიხარულის კივილი აღმოხდა. იქ, მოედნის კუთხეში, აივანზე შეამჩნია ფებუსი - თავისი მბრძანებელი, თავისი ცხოვრების მეორე ხილვა.

მოსამართლემ იცრუა! მღვდელმა იცრუა! სწორედ ისაა, ეჭვი არ ეპარება, ის იქ იდგა, მშვენიერი, ცოცხალი, ბრწყინვალე სამოსი ეცვა, წელზე დაშნა ეკიდა. - ფებ! - იყვირა ქალმა, - ჩემო ფებ!

სიყვარულისა და აღტაცებისგან აკანკალებული მკვლავები უნდოდა მისკენ გაეწვდინა, მაგრამ შებორკილი იყო. ბოშა goგონამ დაინახა, როგორ შეიკრა წარბები კაპიტანმა. მის მკლავზე დაყრდნობილმა ახალგაზრდა ლამაზმა კი ტუჩები ზიზღით აიმრიზა და მრისხანე თვალებით შეხედა, ფებუსმა რაღაც თქვა, რაც მის ყურამდე ვერ აღწევდა, შემდეგ კი ორივე აივნის შუშის კარს იქით გაუჩინარდა. კარი მიიხურა.

- ფებ, - იყვირა გონდაკარგულმა, - ნუთუ შენც გჯერა?

საზარელმა აზრმა გაუელვა თავში. გაახსენდა, მას ხომ ფებუს დე შატოპერის მკვლელობის გამო მიუსაჯეს სიკვდილი! აქამდე ყველაფერს იტანდა. მაგრამ ეს უკანასკნელი ლახვარი მეტისმეტად მკაცრი აღმოჩნდა. იგი უგრძნობლად დაეცა ქვაფენილზე.

- აბა, ცოცხლად, - ბრძანა შარმოლიუმ. - აიყვანეთ და გავათაოთ! აქამდე არავის შეუმჩნევია მთავარკარის კამარის თავზე უცნაური მაყურებელი, რომელიც გულცივად აკვირდებოდა ყველაფერს; იმდენად უგრძნობლად და უმოძრაოდ იყო გაჩერებული, ისე ჰქონდა კისერი წინ წაწეული და ისეთი მახინჯი იყო, ნახევრად წითელი და იისფერი სასაცილო მორთულობა რომ არა, ყველა ქვის ერთ-ერთ ურჩხულად აღიქვამდა, რომლის დაღებული ხახიდან აგერ უკვე ექვსასი წელიწადია კათედრალის გრძელი მილებიდან მონადენი წყა-

ლი ინთხევა. ამ მაყურებელს არაფერი გამორჩენია, რაც კი ღვთისმშობლის ტაძრის წინ შუადღის მერე მოხდა. პირველი წამებიდანვე, ტაძრის ერთ-ერთ სვეტს მაგრად გამოაბა სქელი თოკი ისე, რომ ყურადღება არავის მიუქცევია; თოკის მეორე ბოლო კარიბჭის მოედნამდე სწვდებოდა. ეს საქმე რომ დაამთავრა აქეთ-იქით მშვიდად იყურებოდა.

სწორედ იმ წუთს, როდესაც ჯალათის ლაქიებმა შარმოლიუს გულგრილად გაცემული ბრძანების შესრულება დააპირეს, ეს ადამიანი უეცრად გალერეის მოაჯირს გადმოახტა, ფეხებით, მუხლებით, ხელებით თოკს ჩაეჭიდა და მინაზე ჩამოცურებული წვიმის წვეთივით ჩამოსრიალდა ტაძრის ფასადზე, კატის სისწრაფით მივარდა ორ ჯალათს, მისმა დიდმა და ძლიერმა მუშტებმა ორივე მიწაზე დასცა, ცალი ხელით, როგორც ბავშვი თოჯინას, მსჯავრდებულს დასწვდა, თავს მაღლა აიტაცა, ტაძრისკენ გააქანა და ერთი ნახტომით ეკლესიაში გაჩნდა, თან საზარელი ხმით ღრიალებდა: - თავშესაფარი! თავშესაფარი!

ეს ისე სწრაფად მოხდა, ღამე რომ ყოფილიყო, ყველაფრის დასანახად ერთი გაელვებაც საკმარისი იქნებოდა.

- თავშესაფარი, თავშესაფარი! - გაიმეორა ხალხმა და ათიათასი ხელის ტაშისცემამ სიხარულითა და სიამაყით აანთო კვაზიმოდოს ერთადერთი თვალი. ამ მოულოდნელობამ მსჯავრდებული გონს მოიყვანა. ქუთუთოები ასწია, თვალები გაახილა, კვაზიმოდოს შეხედა, მალევე დახუჭა, თითქოს თავისი მხსნელის შეეშინდაო.

შარმოლიუ, ჯალათებიც და ბადრაგიც განცვიფრებისგან ადგილზე გაშეშდნენ. ღვთისმშობლის ტაძრის კედლებში სიკვდილმისჯილი ხომ ხელშეუხებლად ითვლებოდა. კათედრალი საიმედო თავშესაფარი იყო. მის ზღურბლთან ყოველგვარი ადამიანური მართლმსაჯულება თავდებოდა. კვაზიმოდო მთავარკარის კამარის ქვეშ

შეჩერდა, მისი განიერი ფეხები ეკლესიის ფილაქანზე მძიმე რომანული სვეტებივით მაგარი ჩანდა. დიდი, თმააბურძგნული, ბანჯგვლიანი თავი ისე ღრმად ჩამძვრალიყო მხრებში, კისერი არ უჩანდა. კოჟრიან ხელებში ქსოვილივით ეჭირა ათრთოლებული ქალი; იმდენად ფრთხილად ეპყრობოდა, კაცს ეგონებოდა, ეშინია არ გაუტყდეს ან არ დაეჭმუჭნოსო. ეტყობოდა, გრძნობდა, რომ მეტად ნაზი, სათუთი, მშვენიერი, ძვირფასი რამ ეჭირა, რაც მისი ხელებისთვის არ იყო გაჩენილი. იყო წუთები, როცა არათუ უხეშ შეხებას, სუნთქვასაც ვერ ბედავდა. უცებ ხელები მოხვია, კუთხოვან მკერდზე მიიკრა, როგორც საკუთრება, როგორც საუნჯე, განძი, როგორც დედამ - თავისი შვილი. გამოუთქმელი სინაზით, ალერსით, სევდითა და თანაგრძნობით სავსე მოელვარე თვალს ხან ქალისკენ ხრიდა, ხან მაღლა სწევდა. - და მაშინ ქალები იცინოდნენ, ტიროდნენ, აღფრთოვანებული ბრბო ფეხებს აბრახუნებდა; კვაზიმოდოს ამ წუთს ჭეშმარიტად თავისებური სილამაზე დასდებოდა. დიახ, ლამაზად გამოიყურებოდა ობოლი, მიტოვებული, ნაპოვნი, ათვალწუნებული ბავშვი; თავს დიდებულად გრძნობდა, სახეში უყურებდა საზოგადოებას, რომელმაც იგი გააძევა და რომლის საქმეშიც ასე ძლიერ ჩაერია; სახეში უყურებდა ამ არაადამიანურ მართლმსაჯულებას, რომელსაც ხელიდან გამოგლიჯა ნადავლი, ყველა იმ სისხლისმსმელ ვეფხვს, რომელთაც სხვა აღარა დარჩენოდათ რა, გარდა ფუჭი კბილთა ღრჭენისა, ბოქაულებს, მოსამართლეებს, ჯალათებს, მეფის მთელ ამ ძლიერებას, რომელიც მან, უმნიშვნელო ადამიანმა, არარაობამ ღვთის ძალით გატეხა. მეტად ამაღელვებელი იყო ისიც, რომ მახინჯმა კვაზიმოდომ მფარველობა იკისრა, გადაარჩინა უბედური, სასიკვდილოდ განწირული ადამიანი. ერთმანეთს შეხვდა ბუნებისა და საზოგადოებისგან განწირული ორი უაღრესად უბედური ადამიანი და ერთმანეთს დახმარების ხელი გაუწოდეს. რამდენიმე

წუთში გამარჯვებული კვაზიმოდო თავისი ტვირთით ეკლესიაში გაუჩინარდა. ყოველგვარი შემართებისა და სიმამაცის მოყვარული ხალხი მას თვალით ეძებდა, ნანობდა, რომ ასე სწრაფად დაიკარგა მათი აღტაცებისა და სიხარულის საგანი. უცებ ისევ დაინახეს, საფრანგეთის მეფეთა გალერეის ბოლოში გიჟივით გადაჭრა დერეფანი, ხელში აწეული მიაქანებდა თავის ნაალაფარს და ყვიროდა: - თავშესაფარი! თავშესაფარი!

ხალხი კვლავ ტაშით შეხვდა. იგი ისევ ეკლესიის სიღრმეში შთაინთქა. ერთი წუთის შემდეგ ზემო ბაქანზე გამოჩნდა, ქალით ხელში ისევ გიჟივით გარბოდა, ისევ გაჰკიოდა: თავშესაფარი! ხალხი კი ტაშს უკრავდა. ბოლოს, დიდი ზარის კოშკის წვეროზე დაინახეს. ეტყობოდა, იქიდან მთელ ქალაქს მედიდურად უჩვენებდა იმას, ვინც იხსნა და გადაარჩინა. თავშესაფარი! - იმეორებდა მგრგვინავი ხმით, რომელიც ასე იშვიათად ისმოდა და რომელიც თავადაც არასოდეს გაეგონა. სამჯერ ისე გაშმაგებით იღრიალა, ღრუბლებსაც კი მისწვდებოდა: - თავშესაფარი! თავშესაფარი! თავშესაფარი! - დიდება! დიდება! - გაჰყვიროდა ხალხი. ეს მძლავრი შეძახილი, სიხარულის ყიჟინა, მისალმება მდინარის მეორე ნაპირს მისწვდა და გრევის მოედანზე შეკრებილი ბრბო და თვით დაყუდებული განდეგილი ქალიც კი განაცვიფრა, რომელიც მუდამდღე სახრჩობელას მიშტერებოდა.

9.1. ციებ-ცხელება

კლოდ ფროლო ღვთისმშობლის ტაძარში აღარ იყო, როდესაც მისმა შვილობილმა მოულოდნელად გაკვეთა ის საბედისწერო კვანძი, რომელიც ბედკრულმა არქიდიაკონმა ბოშა ქალის ირგვლივ განასკვა და რომელშიც თვითონაც მოჰყვა. ტანსაცმლის საცავში რომ შევიდა, თეთრი კვართი გაიძრო და განცვიფრებულ მსახურს ხელებში მიაყარა, ტაძრის ფარული კარიდან გაიპარა, მარჯვენა ნაპირის მენავეს უბრძანა სენის მარცხენა ნაპირზე გადაეყვანა და უნივერსიტეტის უბნის აღმა-დაღმა ქუჩებს გაუყვა. ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა მამაკაცთა და დედაკაცთა ჯგუფებს, რომლებიც მხიარულად მიეშურებოდნენ სენ მიშელის ხიდისკენ იმ იმედით, რომ ჯადოქრის ჩამოხრჩობას მიუსწრებდნენ. გაფითრებული, დაბნეული, აღელვებული, გაშმაგებული და მიუკარებელი კლოდი მიდიოდა, მაგრამ არ იცოდა სად, ცხადში იყო თუ სიზმარში; ხან მიდიოდა, ხან მირბოდა, ხან ერთ ქუჩაზე შეუხვევდა და ხან მეორეზე, მხოლოდ ერთი აზრი, წინ ერთი ფიქრი უბიძგებდა - ფიქრი საზარელ გრევის მოედანზე, რომელსაც ზურგსუკან ბუნდოვნად გრძნობდა. ბოლოს ქალაქიდან სენ- ვიქტორის ჭიშკრით გავიდა. მანამდე ირბინა, სანამ უსწორმასწორო მიწა მთლიანად არ აეფარა საძულველ პარიზს, როცა იფიქრა, ქალაქიდან ას ლიეზე მაინც ვიქნებიო, უდაბურ მინდორში შეჩერდა, ეგონა, აქ მაინც მოითქვამდა სულს. მაგრამ, საზარელ აზრებს ვერ გაურბოდა. საკუთარ სულში ჩაიხედა და აკანკალდა. მისი ფიქრი იმ უბედურ ქალწულს დასტრიალებდა, ვინც ის დაღუპა და ვინც მან დაღუპა. ფიქრობდა სამარადისო აღთქმათა უგუნურებაზე, უმანკოების, მეცნიერების, სარწმუნოების, სათნოების ამაოებაზე, ღვთის უსარგებლობაზე. გატაცებით შეიჭრა საზარელ ფიქრებში და რაც უფრო ღრმად იძირებოდა, მით მეტად გრძნობდა,

რომ მისი სული ჯოჯოხეთურად ხარხარებდა. საკუთარი სული გადაჩხრიკა და დაინახა, რა ფართო ასპარეზი მოემზადებინა ბუნებას მისი ვნებებისთვის. მწარედ გაეცინა. გულის სიღრმიდან დაძრა მთელი მძულვარება, ბრაზი და ბოროტება. მიუკერძოებელი თვალით შეხედა და გააცნობიერა, რომ ეს სიძულვილი, გაბოროტება, გაავება სხვა არა იყო რა, თუ არა წამხდარი, დამახინჯებული სიყვარული; სიყვარული, ყველა ადამიანურ სათნოებათა და სიკეთეთა წყარო, მღვდლის გულში საშინელებად იქცევა, ხოლო მისი ბუნების კაცი თუ მღვდელი გახდა, დემონად. საზარლად გაეცინა და გაფითრდა, როცა გაისიგრძეგანა თავისი საბედისწერო ვნების უაღრესად პირქუში მხარე - ამომჭმელი, შხამიანი, მძულვარე, ულმობელი და დაუნდობელი სიყვარული, რომელმაც ქალი სახრჩობელაზე აიყვანა, კაცი ჯოჯოხეთში ჩააგდო, ქალი სიკვდილით დასაჯა, კაცი შეაჩვენა. ისევ სიცილი აუტყდა, როდესაც გაიფიქრა, რომ ფებუსი ცოცხალი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, კაპიტანი მაინც ცოცხალია, მხიარული და კმაყოფილი, კიდევ უფრო ლამაზი სამოსი აცვია, ვიდრე ოდესმე, ახალი სატრფო გაუჩენია, რათა დაანახოს, როგორ ჩამოახრჩობენ წინანდელს.

საკუთარი თავის დაცინვა გაიორმაგა, როდესაც გაიფიქრა, რომ ყველა ცოცხალ არსებათაგან, ვისი სიკვდილიც უნდოდა, სიკვდილი არ ასცდა მხოლოდ ბოშა გოგოს, ერთადერთს, ვინც მას არ სძულდა. ფიქრი კაპიტნიდან ხალხზე გადაიტანა და გაუგონარმა შურმა შეიპყრო. ხელებს იმტვრევდა და იმაზე ფიქრობდა, რომ ხალხმა მისი სათაყვანებელი ქალი პერანგის ამარა, თითქმის შიშველი იხილა. იგი გაშმაგებული დასტიროდა ამ შებილწული, მტვერში ამოსვრილი, გაშიშვლებული, სამუდამოდ შერცხვენილი სიყვარულის იდუმალებას. ბრაზისგან ქვითინებდა, როცა წარმოიდგინა, რამდენმა შეხედა ბილწი თვალით მის ჩამოხეულ პერანგს. პარიზის სულმდაბალი

ბრბო - ნაძირლები, ქურდები, მათხოვრები, მაწანწალები, ლაქიები, ქვემძრომები იქ იმისთვის მოსულიყვნენ, რომ თავიანთი ურცხვი, უწმინდური და გარყვნილი სიამოვნება მიეღოთ. შეეცადა წარმოედგინა ბედნიერება, რომელიც იპოვიდა, ის ბოშა ქალი რომ არ ყოფილიყო, ხოლო თვითონ - მღვდელი, ამ ქალს რომ ის ჰყვარებოდა და არა ფებუსი. სინაზისა და სასოწარკვეთისგან გული დაუდნა, როდესაც გაიფიქრა, რომ მისი ცხოვრებაც მშვიდი, ბედნიერებითა და სიყვარულით სავსე იქნებოდა. ამ წუთშიც ხომ არიან დედამიწაზე ბედნიერი წყვილები, რომლებიც ფორთოხლის ხეებქვეშ, ნაკადულის პირას, ჩამავალი მზის სხივებით განათებულნი ტკბილად ბაასობენ; მასაც ხომ შეეძლო იმ ქალთან ერთად კურთხეული წყვილი შეედგინა, ღმერთს რომ ენება, - ოჰ! ყველგან იმ ქალის სახე ედგა თვალწინ! აკვიატებული ფიქრი განუწყვეტლივ უბრუნდებოდა, აწვალებდა, ტვინს უდაღავდა, გულ-მუცელს უსერავდა. იგი არ წუხდა, არ ნანობდა; ყველაფერი, რაც ჩაიდინა, მზად იყო კვლავაც ჩაედინა. ერჩია, ჯალათის ხელში ეხილა ის, ვიდრე კაპიტნის მკლავებში. მაგრამ ისე იტანჯებოდა, რომ დროდადრო თმას იგლეჯდა, რათა ენახა, გავჭაღარავდი თუ არაო. იყო ისეთი წამი, როცა საკუთარ თავზე ჯოჯოხეთური სიცილით ეცინებოდა და თვალწინ ჯერ პირველ დღეს ნანახი ესმერალდა ესახებოდა: ცოცხალი, უზრუნველი, მხიარული, მორთულ-მოკაზმული, მოცეკვავე, ფრთაშესხმული, ჰარმონიული და მერე - უკანასკნელ დღეს: პერანგის ამარა, ყელზე თოკშებმული, ფეხშიშველი, სახრჩობელის საფეხურებზე ნელა მიმავალი და საზარლად ხაოდა. როდესაც სასოწარკვეთის გრიგალმა მის სულში ყველაფერი ააფორიაქა, დაამხო, დაამსხვრია, ამოგლიჯა, მოღუნა, ძირფესვიანად ამოაგდო, ირგვლივ ბუნებას თვალი მოავლო. მის ფეხებთან, ბუჩქნარში რამდენიმე ქათამი რაღაცას კენკავდა. ხოჭოები მზეზე გამოსულიყვნენ. ლურჯ ცაზე რუხი ღრუბლის ქულები

მიცურავდა... მთელი ეს მოქმედი, აწყობილი, მშვიდი და ათასი ფორმით ხორცშესხმული ცხოვრება მასზე ცუდ გავლენას ახდენდა და კვლავ ველად გაიჭრა. ასე ირბინა მინდვრებში საღამომდე. მთელ დღეს გრძელდებოდა ეს გაქცევა ბუნებიდან, ცხოვრებიდან, საკუთარი თავიდან, ადამიანიდან, ღმერთიდან... ყველაფრიდან. ხან პირქვე ემხობოდა მიწაზე და ახალმოსულ პურის ყანას ფრჩხილებით გლეჯდა; ხან კი რომელიმე სოფლის უკაცრიელ ქუჩაში გაჩერდებოდა. ისეთი აუტანელი, მძიმე და გაუსაძლისი ფიქრები ირეოდა მის თავში, რომ ხელებს თავზე იჭერდა, თითქოს მისი მხრებიდან აგლეჯასა და ქვაფენილზე დანარცხებას ლამობსო. როდესაც მზე გადაიხარა, კვლავ საკუთარი სულის ჩხრეკასა და შემოწმებას შეუდგა. მიხვდა, რომ თითქმის ჭკუაზე შეშლილიყო. როცა ბოშა გოგონას გადარჩენის იმედი დაკარგა, გრიგალმა, რომელიც მის სულში ბობოქრობდა, გონებას არც ერთი ჯანსაღი აზრი არ დაუტოვა. მისი გონება თითქოს დაირღვა და დასამარდა. მხოლოდ ორი რამ ახსოვდა - ესმერალდა და სახრჩობელა. დანარჩენი წყვდიად ღამეს შთაენთქა. ამ ტანჯვა-წამების განმავლობაში თვითმკვლელობაზე ერთხელაც არ უფიქრია. ასე იყო შექმნილი ეს უბედური. სიცოცხლეს ებღაუჭებოდა. იქნებ მის უკან მართლაც ჯოჯოხეთს ხედავდა.

ამასობაში დღეც მიიწურა. იმ ცოცხალმა არსებამ, რომელიც მასში კიდევ სულდგმულობდა, უკან დაბრუნება შეახსენა. მას ეგონა პარიზიდან შორს იყო, მაგრამ როგორც კი მიიხედ-მოიხედა, მიხვდა, რომ მხოლოდ უნივერსიტეტის გალავნისთვის შემოევლო. და უკან დაბრუნდა. არქიდიაკონი ერიდებოდა ვინმეს შეხვედროდა; ადამიანის დანახვის ეშინოდა. უნივერსიტეტსა და სენ ჟერმენის დაბას გვერდი აუარა. უნდოდა, ქალაქში რაც შეიძლება გვიან მისულიყო. წყლის პირას გავიდა. იქ მამა კლოდმა მენავე დაინახა. იგი რამდე-

ნიმე პარიზული დინარის საფასურად სენას აუყვა და იმ მიტოვებულ კონცხზე გადმოსვა, რომელიც სამეფო ბაღებს იქით გრძელდებოდა.

ნავის მონოტონურმა რწევამ და წყლის ტლაშუნმა უბედური კლოდი კიდევ უფრო გამოაშტერა; როდესაც მენავე გაშორდა, ქვიშიან ნაპირზე იდგა და წინ უაზროდ იყურებოდა, ყოველ საგანს თითქოს რაღაც ტალღებში გავლით, გადიდებულად აღიქვამდა და ყველაფერს ფანატაზიაში ხარშავდა. იშვიათი არაა, ბევრ მწუხარებით დაღლილს მოსვლია მსგავსი რამ. ბინდი ჩამოწვა. ცა და მდინარე გაუფერულდა. ამ ორ მოთეთრო ზოლს შორის სენის მარცხენა სანაპირო, საითაც თვალი გაშტერებოდა, შავბნელ გროვასავით მოჩანდა, სიღრმეში ვიწროვდებოდა და ღრუბელში შავი ისარივით იჭრებოდა. იგი მთლიანად სახლებით იყო დაფარული, მაგრამ მათი მოღუშული მოხაზულობის გარდა, ვერაფერს გაარჩევდით. უზარმაზარმა შავმა ობელისკმა, რომელიც ცისა და მდინარის ორ თეთრ სიბრტყეს შორის განმარტოებით აღმართულიყო, მოჩვენებათა მორევში მდგარ მამა კლოდზე უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა. გრძნობათა ცთუნებაში ჩავარდნილს, ეგონა, ჯოჯოხეთის სამრეკლოს ვხედავო. ხოლო, როდესაც ქალაქში დაბრუნდა, მაღაზიების ვიტრინებიდან გამონაშუქ, სუსტ სინათლეზე მოფუთფუთე გამვლელ-გამომვლელნი მის ირგვლივ მოხეტიალე ლანდებად მოეჩვენა. ყურებში უცნაური გუგუნი ესმოდა. უჩვეულო ზმანებები მოსვენებას უკარგავდნენ. იგი ვერც სახლებს ხედავდა, ვერც ქვაფენილს, ვერც ხალხს; თავგზააბნეულმა არ იცოდა, საით მიდიოდა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და სენ-მიშელის ხიდზე აღმოჩნდა. ერთ-ერთი სახლის ქვედა სართულის ფანჯარაში სინათლე ენთო; ახლოს მივიდა. გაბზარულ მინაში დაინახა ტურტლიანი ოთახი, რომელმაც ბუნდოვნად რაღაც გაახსენა. ცუდად განათებულ ოთახში ქერა სახემხიარული ყმაწვილი ურცხვად ჩაცმულ გოგოს კოცნიდა და თან ხმა-

მაღლა იცინოდა. სანათის ახლოს იჯდა დედაბერი, რომელიც არ-თავდა და აკანკალებული ხმით რაღაცას მღეროდა. როცა ყმაწვილ-კაცი აღარ იცინოდა, ბებრის რაღაც გაუგებარი და საშინელი სიმღე-რა ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღწევდა მღვდლის ყურამდე. ყმაწვილკაცი კი იცინოდა და ქალიშვილს ეხვეოდა. ბებერი ფალურდელი იყო, ახალგაზრდა ქალი - მეძავი, ჭაბუკი - მისი ძმა. კლოდმა ცქერა გა-ნაგრძო. მისთვის სულ ერთი იყო, რას უყურებდა. ჟანმა სარკმელი გააღო და თქვა:

- სულსა ვფიცავ, უკვე დაღამდა! ხალხი სანთელს ანთებს, კეთი-ლი ღმერთი - ვარსკვლავებს. - და ისევ დახურა. ჟანი ისევ როსკიპს დაუბრუნდა, მაგიდაზე დადგმული ბოთლი გატეხა და შესძახა: - და-ცარიელდა! ეშმაკმა დალახვროს! ფულიც აღარ მაქვს! იზაბო! ჩემო ტურფავ! მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, როდესაც იუპიტერი შენს ორ თეთრ ცურს ორ შავ ბოთლად გადამიქცევს, საიდანაც დღე-ღამ ბონურ ღვინოს მოვწოვდი. - ამ მარჯვე ხუმრობამ ქარაფშუტა ქალი გააცინა. ჟანი გარეთ გამოვიდა.

მამა კლოდმა მხოლოდ მიწაზე პირქვე დამხობა მოასწრო, რათა ძმას პირისპირ არ შეხვედროდა. ქუჩაში ბნელოდა და სტუდენტიც მთვრალი იყო, მაგრამ მან მაინც შეამჩნია ქვაფენილზე ტალახში ჩა-წოლილი არქიდიაკონი.

- ოჰო! - თქვა მან, - აი, ვის გაუტარებია მხიარულად დღე. - და მამა კლოდს ფეხი წამოჰკრა, ის კი სუნთქვაშეკრული იწვა. - უგრძნობ-ლად დამთვრალა! - განაგრძო ჟანმა. - გახეთქილა, გალეშილა. ნამ-დვილი ღვინის კასრიდან მოწყვეტილ წურბელას ჰგავს. მელოტია, ბერიკაცი ყოფილა - თქვა და გზა განაგრძო. მერე მამა კლოდმა გა-იგონა: - თუმცა სულ ერთია, მაინც კარგი რამაა კეთილგონიერება, ჩემი არქიდიაკონი ძმა ბედნიერი კაცია, ბრძენია და ფულიც აქვს. - ამ სიტყვებზე არქიდიაკონი ზეზე წამოიჭრა და ღვთისმშობლის ტაძ-

რისკენ სულმოუთქმელად გაიქცა. იმ წუთს, როდესაც აქაქანებულმა კარიბჭის მოედანს მიაღწია, უკან დაიხია, ვერ გაბედა თავი მაღლა აეწია და ავბედითი შენობისთვის შეეხედა.

- ოჰ! - თქვა მან ხმადაბლა, - ნუთუ ამგვარი რამ ნამდვილად მოხდა აქ დღეს, ამ დილას? მაგრამ, ეკლესიას მაინც შეხედა. ფასადი მოღუშული იყო.

უკან ვარსკვლავიანი ღამე ციმციმებდა. მონასტრის კარი უკვე დაკეტილი იყო. მაგრამ არქიდიაკონი მუდამ თან ატარებდა იმ კოშკის გასაღებს, სადაც თავისი ლაბორატორია ჰქონდა და ახლა გამოადგა.

ეკლესია დუმილს მოეცვა. წყვდიადის სიღრმეში ბრწყინვალედ მოჭედილი დიდი ვერცხლის ჯვარი ისე ციმციმებდა, როგორც ირმის ნახტომი ბნელ აკლდამაში. მაღალი ფანჯრების მინებს მთვარის სხივებზე მიცვალებულის ფერი დაჰკრავდა. სარკმელთა მკვდრისფრად განათებული ისრული კამარები არქიდიაკონს შეჩვენებულ ეპისკოპოსთა მიტრებად მოეჩვენა. თვალები დახუჭა და როცა გაახილა, მოეჩვენა, რომ გარს ერტყმოდა ფერმკრთალი, გაშტერებული სახეები; რომ ტაძარიც ირყეოდა, მასაც სული ჩაედგა, გაცოცხლებულიყო; სქელი სვეტები განიერი ქვის ტერფით იატაკზე აბაკუნებდა; ბუმბერაზი კათედრალი საკვირველ სპილოდ გარდაქმნილიყო. მისმა ციებ-ცხელებამ თუ სიგიჟემ სიმძაფრის ისეთ ზომას მიაღწია, როდესაც გარესამყარო რაღაც ხილულ, ხელშესახებ და საშინელ აპოკალიფსად იქცევა.

წუთით სიმსუბუქე იგრძნო. გვერდით ეკვდერში გავიდა. სუსტი სინათლე შენიშნა. მას მიაშურა. ერთი საცოდავი ლამპა ანათებდა დღე და ღამ ღვთისმშობლის ტაძრის საჯარო ლოცვანს და ხარბად დაეწაფა იმ იმედით, რომ მასში პოვებდა ნუგეშსა და სიმხნევეს. ლოცვანი გადაშლილი იყო. გვერდს გაშტერებული თვალი გადაავლო და წა-

იკითხა: „და სული პირსა ზედა ჩემსა მოვიდა და ვიგრძენი ნელი სუნთქვა, ხოლო შემაშინებდეს მე თმანი და ხორცნი.“ ამ მძიმე ადგილის წაკითხვამ იგივე განაცდევინა, რასაც გრძნობს ხოლმე ბრმა, როცა თავისსავე ჯოხს იჩხვლეტს. მუხლები მოეკვეთა, ფილაქანზე დაეცა და ფიქრობდა იმაზე, ვინც დღეს მოკვდა. მოეჩვენა, თითქოს მისი თავი ჯოჯოხეთის ერთ-ერთ ბუხრად გადაიქცა. ამ მდგომარეობაში დიდხანს დარჩა, ძირს დანარცხებული და უმოქმედო, დემონის ბრჭყალებში ჩავარდნილი აღარაფერზე ფიქრობდა. ბოლოს, როგორც იქნა, ძალა დაუბრუნდა. იფიქრა, ისევ კოშკისთვის შეეფარებინა თავი, თავისი ერთგული კვაზიმოდოს გვერდით. წამოდგა. ლოცვანიდან ლამპარი აიღო გზის გასანათებლად, რაც მაშინ მკრეხელობად ითვლებოდა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

იდუმალი შიშით შეპყრობილი კიბეზე ნელ-ნელა მილასლასებდა. უცებ სახეზე გრილი სიო იგრძნო. ის უკვე ზედა გალერეის კართან იდგა. გრილოდა. მთვარე მკრთალ სხივებს აფრქვევდა და დედამიწას ნაცრისფერს ჰფენდა. ამ დროს კოშკის საათმა წვრილი და მყიფე ხმით დარეკა. შუაღამე იყო. მღვდელს შუადღე გაახსენდა, მაშინაც ხომ თორმეტჯერ დარეკა საათმა. - ოჰ! - დაბალი ხმით თქვა, - ალბათ, უკვე გაცივებული იქნება. უცბად ნიავმა დაუბერა ლამპარს და თითქმის იმავე წუთს კოშკის მოპირდაპირე კუთხეში დაინახა რაღაც აჩრდილი, თეთრი ლანდი, ქალის სახე. ხუცესი შეკრთა, აკანკალდა. ქალის გვერდით პატარა თხა იყო, რომელიც თავის კიკინს კოშკის საათის უკანასკნელ რეკვას უერთებდა. მღვდელს ეყო ძალა, რომ მისთვის შეეხედა. ბოშა ქალი იყო. გაფითრებული და დაღვრემილი ჩანდა. თმა მხრებზე ჩამოშლოდა, როგორც დილით. მაგრამ აღარც თოკი ჰქონდა ყელზე შებმული და აღარც ხუნდები ედო ხელებზე; იგი თავისუფალი მკვდარი იყო. ქალი დინჯად მოდიოდა მისკენ, ცას შეჰყურებდა. არაჩვეულებრივი თხა უკან მოსდევდა.

მღვდელს გასაქცევად ფეხები არ ემორჩილებოდა, ადგილზე გაქვავდა, სხეული ლოდივით დაუმძიმდა. ქალი რომ წინ ერთ ნაბიჯს გადადგამდა, ისიც მხოლოდ ერთ ნაბიჯს დგამდა, ოღონდ უკან. ეს იყო და ეს, მეტს ვერ ახერხებდა. კიბის ბნელ თაღქვეშ გაჩერდა. იმის ფიქრიც კი, რომ შეიძლებოდა ისიც მისკენ წამოსულიყო, ძარღვებში სისხლს უყინავდა. ქალის აჩრდილი რომ ასე მოქცეულიყო, ხუცესი შიშით მოკვდებოდა. ქალი მართლაც კიბის კართან მივიდა, რამდენიმე წამს შეჩერდა, სიბნელეს მიაშტერდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მღვდელი ვერ შეამჩნია; ისე ახლოს ჩაუარა, ხუცესს უფრო მაღალი ეჩვენა, ვიდრე რეალურად იყო. მისი სუნთქვაც კი იგრძნო. როდესაც ქალმა გაიარა, კაცი ისევ კიბეს აუყვა. მაგრამ ისევე აუჩქარებლად, როგორც მოლანდება. საკუთარი თავიც მოჩვენება ეგონა, თვალებს აცეცებდა, თმები აბურძგნოდა, ჩამქრალი ლამპარი ისევ ხელში ეჭირა. დაკლაკნილ საფეხურებზე რომ ჩადიოდა, გარკვევით ჩაესმა ყურში ხმა, რომელიც სიცილით იმეორებდა: - „..და სული პირსა ზედა ჩემსა მოვიდა და ვიგრძენი ნელი სუნთქვა, ხოლო შემაშინებდეს მე თმანი და ხორცნი“.

9.2. კუზიანი, ბრუციანი, კოჭლი

შუა საუკუნეების ნებისმიერ ქალაქს, ასევე საფრანგეთის ყოველ ქალაქს ლუი XII-მდე ჰქონდა თავისი ხელშეუვალი ადგილი, თავისი თავშესაფარი, რომელიც სისხლის სამართლის კანონებისა და ბარბაროსული სამართალწარმოების წარღვნის პირობებში ერთგვარი კუნძული იყო; ის მართლმსაჯულებაზე მაღლა იდგა. ყოველი დამნაშავე, რომელიც ამ ადგილს თავს შეაფარებდა, გადარჩენილი იყო. ზოგიერთ გარეუბანში თითქმის იმდენივე თავშესაფარს დაითვლიდით, რამდენსაც სახრჩობელას. თავშესაფარი წარმოადგენდა და-

უსჯელობის ბოროტად გამოყენებას სასჯელთა ბოროტად გამოყენების გვერდით. ეს გახლდათ ბოროტების ორი სახე, რომლებიც ცდილობდნენ ერთმანეთის შესწორებას, უვნებელყოფას. მეფის, მდიდართა სასახლეებს, უმეტესად, ეკლესიებს ჰქონდათ თავშესაფრის უფლება. ზოგჯერ მთელ ქალაქს ხელახლა დასახლებულად, დროებით თავშესაფარ ადგილად აქცევდნენ. ლუი XI-მ პარიზი 1467 წელს თავშესაფრად გამოაცხადა. რაკი თავშესაფარში ფეხს შედგამდა, დამნაშავე კურთხეული, ხელშეუვალი იყო. მაგრამ ფრთხილად უნდა ყოფილიყო და ფეხი არ უნდა გაედგა იქიდან. ერთი ნაბიჯი წმინდა ადგილის გარეთ და, იგი ისევ მორევში დაინთქმებოდა. სახრჩობელა ფხიზლად დარაჯობდა თავშესაფარს, მუდმივად უთვალთვალებდა თავის ნადავლს. ყოფილა შემთხვევა, რომ მსჯავრდებული თავშესაფარში გაჭაღარავებულა. ასე რომ, თავშესაფარი იგივე საპყრობილე იყო. ზოგჯერ უმაღლესი სასამართლოს საგანგებო დადგენილებით, თავშესაფრის ხელშეუვალობა ილახებოდა და მსჯავრდებულს ჯალათს გადასცემდნენ. თუმცა, ეს იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა. მოსამართლეებს ეპისკოპოსებისა ეშინოდათ, რადგან გამოცდილებით იცოდნენ, რომ მოსამართლეთა გრძელ წამოსასხამს ანაფორასთან ბრძოლაში კარგი დღე არ დაადგებოდა. თავშესაფარი ისეთი პატივისცემით იყო გარშემორტყმული, რომ იგი, გადმოცემის თანახმად, ზოგჯერ ცხოველებზეც კი ვრცელდებოდა. ემუანი მოგვითხრობს, როდესაც დაგობერისგან დევნილმა ირემმა წმინდა დენის აკლდამას მეაფარა თავი, ძაღლების ხროვამ წამსვე ყეფა შეწყვიტაო. ეკლესიებში თავშესაფრის მავედრებელთათვის ჩვეულებისამებრ მოწყობილი იყო საკანი. 1407 წელს ნიკოლა ფლამელმა მათთვის სენ-ჟაკ-დე-ლა-ბუშრის თაღებზე ააგო ერთი ოთახი. ღვთისმშობლის ტაძარში ამგვარი საკანი გვერდითი ეკვდერის ბანზე იყო მოწყობილი. სწორედ იმ ადგილას,

სადაც კოშკის ახლანდელი მეკარის ცოლმა ააშენა ბაღი, რომელიც ისევე ჰგავს ბაბილონის კიდულ ბაღებს, როგორც სალათა პალმას, როგორც მეკარის ცოლი - სემირამიდას. სწორედ აქ მოიყვანა გამარჯვებულმა კვაზიმოდომ ესმერალდა კოშკებსა და გალერეებზე თავაწყვეტილი რბენის შემდეგ. სანამ მიარბენინებდა, გოგონა ძილღვიძილში იყო, ვერაფერს გრძნობდა, გარდა იმისა, რომ ჰაერში ზევით-ზევით მიიწევდა, ლივლივით მიქროდა, მიფრინავდა, რაღაცა ძალა მიწიდან აშორებდა, მაღლა მიჰყავდა. დროდადრო ყურში ესმოდა კვაზიმოდოს მქუხარე ხმა. როცა თვალს ოდნავ გაახელდა, დაბლა ბუნდოვნად არჩევდა ფიქალისა და კრამიტის სახურავებით მოზაიკასავით აჭრელებულ პარიზს, ხოლო თავს მაღლა - კვაზიმოდოს საზარელ და გახარებულ სახეს და ქუთუთოები ისევ ეხუჭებოდა. როდესაც გაშმაგებულმა და აქაქანებულმა ზართამრეკავმა თავშესაფრის საკანში აიყვანა, ქალმა იგრძნო, როგორ ფრთხილად ხსნიდა იგი თავის უშველებელი თათებით თოკს, რომელსაც მისთვის მკლავები დაესერა. ბნელ ღამეში სხვა გემის დაჯახება რომ გამოაღვიძებს, ისე გაიღვიძა მასში მოგონებებმაც და თანდათანობით დაუბრუნდნენ, ამოტივტივდნენ. მიხვდა, რომ ღვთისმშობლის ტაძარში იყო. გაახსენდა, რომ იგი ჯალათს გამოგლიჯეს, რომ ფებუსი ცოცხალია, მაგრამ მას აღარ უყვარს. როდესაც ეს ორი აზრი ერთმანეთში მწარე ნაღველს ურევდა, ერთბაშად გააცნობიერა და მის წინ მდგარ მახინჯ კვაზიმოდოს ჰკითხა: - რატომ გადამარჩინეთ?

დაღონებულმა ყრუმ დაძაბული ყურადღებით შეხედა ქალს, თითქოს უნდოდა გამოეცნო მისი სიტყვების აზრი. ქალმა კითხვა გაუმეორა. მაშინ კვაზიმოდომ სევდიანი თვალი მიაპყრო და უცბად გაქრა. ესმერალდას გაუკვირდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა, რაღაც ბოხჩა მოუტანა და ფეხებთან დაუგდო. ეს შეფარებულისთვის გულმოწყალე ქალების მიერ ეკლესიის კარზე დადებული ტან-

საცმელი იყო. ქალმა საკუთარ თავს დახედა, დაინახა, რომ თითქმის შიშველი იყო და გაწითლდა. სიცოცხლის ხალისი კვლავ დაუბრუნდა. როგორც ჩანს, ეს კვაზიმოდომაც იგრძნო, ფართო თათი ერთადერთ თვალზე მიიფარა და გაშორდა, მაგრამ ძალიან ნელი ნაბიჯით. ესმერალდამ სასწრაფოდ ჩაიცვა. თეთრი კაბა და თეთრი რიდე მოეტანათ - ოტელ-დიეს[1] მორჩილთა ტანსაცმელი. ჩაცმა ძლივს მოასწრო, კვაზიმოდო ისევ დაბრუნდა, ცალ ხელში კალათი ეჭირა, მეორეში - ლეიბი. კალათში ბოთლი, პური და რაღაც სანოვაგე ეწყო. კალათი ძირს დადგა და მიმართა: - ჭამეთ.

შემდეგ ფილაქანზე ლეიბი გაშალა და უთხრა: - დაიძინეთ.

ზართამრეკავმა საკუთარი სადილი და ლოგინი მოუტანა. ბოშა ქალმა თვალები მიაპყრო, მადლობა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერაფერი თქვა. საწყალი კაცი მართლაც საზარელი იყო. ქალი შიშისგან შეკრთა და თავი ძირს დახარა.

მაშინ კვაზიმოდომ უთხრა:

- ჩემი გეშინიათ? ძალიან უშნო ვარ, არა! ნუ შემხედავთ, მხოლოდ მისმინეთ. დღისით აქ დარჩით. ღამღამობით ეკლესიაში შეგიძლიათ ისეირნოთ. მაგრამ არც დღისით, არც ღამით ეკლესიიდან არ გახვიდეთ, თორემ დაიღუპებით. თქვენ მოგკლავენ და მეც მოვკვდები. გულაჩუყებულმა ქალმა თავი მაღლა ასწია, რაღაც უნდოდა ეთქვა. მაგრამ ის გაქრა. ქალი მარტო დარჩა. ამ საზარელი არსების სიტყვებმა ჩააფიქრა, მისმა ხრინწიანმა, მაგრამ მაინც ალერსიანმა ხმამ გააკვირვა.

შემდეგ ეკლესია დაათვალიერა. დაახლოებით ექვსი კვადრატული ფუტი იქნებოდა. ვიწრო სარკმელი და კარი ჰქონდა, რომელიც ოდნავ დახრილ, ბრტყელი კრამიტით დახურულ სახურავზე გადი-

[1] *პარიზის დიდი საავადმყოფო.*

ოდა, მის ირგვლივ რამდენიმე ცხოველის დრუნჩის მაგვარი წყალსადინარი მილი ქვევით ეშვებოდა. სახურავს იქით ათასობით საკვამური შეამჩნია, საიდანაც პარიზის ყველა ღუმელის ბოლი ამოდიოდა. სევდიანი სანახაობა იყო სიკვდილმისჯილი, უბედური, უსამშობლო, უოჯახო, უსახლკარო გოგოსათვის. სწორედ იმ დროს, როდესაც მარტოობა იგრძნო, მის ხელებსა და მუხლებს ბეწვებიანი თავი გაეხახუნა. შეკრთა, რადგან ახლა ყველაფერი აშინებდა და დაბლა დაიხედა. მისი საბრალო თხა იყო, ცქვიტი და მკვირცხლი ჯალი, რომელიც პატრონს აედევნა, როცა კვაზიმოდომ შარმოლიეს გუშაგები დაარბია. და აი, უკვე საათია, თავის პატრონს ელაქუცებოდა, მაგრამ მის შეხედვასაც კი ვერ ეღირსა. გოგონამ თხა გადაკოცნაა. - ოჰ! ჯალი, როგორ დაგივიწყე! შენ კი მუდამ ჩემზე ფიქრობ! ოჰ! შენ არასოდეს ხარ უმადური!

იმ წუთს თითქოს ვიღაცის უხილავმა ხელმა ახსნა ტვირთი, რომელიც მის გულს ასე დიდხანს ლოდად აწვა და ცრემლს გზას უხშობდა. ტირილი დაიწყო. რამდენადაც მეტად ტიროდა, მით უფრო გრძნობდა, როგორ მიდიოდა ცრემლებთან ერთად მისი მწუხარების ყველაზე მწვავე და ყველაზე მწარე ნაღველი. როცა მწუხრი ჩამოწვა, ღამე ისეთი ლამაზი ეჩვენა, მთვარე ისეთი ალერსიანი, რომ ეკლესიას შემოვლებულ ზედა გალავანში გაისეირნა. ერთგვარი შვება იგრძნო, რადგან ამ სიმაღლიდან დანახული დედამიწა მშვიდი ჩანდა.

9.3. ყრუ

მეორე დილას გამოძინებულმა გაიღიმა. ამ იშვიათობამ გააკვირვა. დიდი ხანია ძილს გადაეჩვია. ამ მაღალი მზის მხიარული სხივი სარკმელში შეიჭრა და სახე გაუნათა. მზესთან ერთად, იმავე წუთს, იმავე სარკმელში კვაზიმოდოს შიშისმომგვრელი სახე გამოჩნდა. ქალმა უნებურად დახუჭა თვალები, მაგრამ ამაოდ! მაინც ხედავდა ჯუჯას, ცალთვალას, კბილებჩაცვენილს. თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა, ტლანქი, მაგრამ მეტისმეტად ალერსიანი ხმა რომ ემოესმა: - ნუ გეშინიათ, მე თქვენი მეგობარი ვარ. მინდოდა მენახა, როგორ გძინავთ. თქვენ ხომ არაფერი დაგიშავდებათ, რომ მოვიდე და გნახოთ? განა ასე არ არის? ახლა წავალ. აი, კედელს ამოვეფარე. შეგიძლიათ თვალები გაახილოთ.

ამ სიტყვებზე უფრო საცოდავი მისი კილო იყო. აღელვებულმა ქალიშვილმა თვალები გაახილა. სარკმელში მართლაც არავინ ჩანდა. სარკმელთან მივიდა და კედლის კუთხეში დამწუხრებული, მორჩილი და მოკუნტული კუზიანი დაინახა. მან თავს ძალა დაატანა, რომ გადაელახა ზიზღი, რომელსაც მახინჯი აღუძრავდა.

- მოდი აქ! - უთხრა წყნარად.

ქალიშვილის ტუჩების მოძრაობაზე კვაზიმოდომ იფიქრა, მაგდებსო. წამოდგა და კოჭლობით ნელა გაშორდა თავდახრილი ისე, რომ ვერც კი გაბედა სასოწარკვეთილი ქალიშვილისთვის შეეხედა. - მოდი-მეთქი, აქ! - შესძახა ქალმა.

მაგრამ ის თანდათან შორდებოდა. ესმერალდა საკნიდან გარეთ გამოვარდა, წამოეწია და მკლავზე ხელი მოჰკიდა, კვაზიმოდომ ქალიშვილის შეხება რომ იგრძნო, აკანკალდა. ვედრებით შეავლო ერთადერთი თვალი და როცა მიხვდა, თავისთან მიხმობსო, სახე სიხარულითა და სინაზით გაებადრა. ქალიშვილს სურდა თავის საკან-

ში შეეყვანა, მაგრამ კვაზიმოდო გაჯიუტდა და კარის ზღურბლზე გაჩერდა.

- არა, არა, - თქვა მან, - ბუს რა უნდა ტოროლას ბუდეში.

ესმერალდა საწოლზე ჩამოჯდა, მის ფეხებთან თხა თვლემდა. ქალიშვილიცა და მამაკაციც ერთხანს დუმდნენ, უძრავად იყვნენ, ჩუმად აკვირდებოდნენ ერთმანეთს: ვაჟი - ქალიშვილის სილამაზესა და სიკეკლუცეს, ქალიშვილი - ვაჟის სიმახინჯეს. ყოველ წუთს ქალიშვილი ვაჟის გარეგნობაში ახალ-ახალ სიმახინჯესა და უსახურობას პოულობდა. დაგრეხილი ფეხებიდან, გამრუდებული მუხლებიდან მზერა ხან კუზიან ზურგზე გადაჰქონდა, ხან ერთადერთ თვალზე. ქალს ვერ გაეგო, როგორ არსებობდა ასე უშნოდ შეთითხნილი ქმნილება, მაგრამ ამ სიმახინჯეს ისეთი სევდა, სინაზე და ალერსი მოჰფენოდა, რომ მან თანდათან თვალი მიაჩვია. სიჩუმე პირველად კვაზიმოდომ დაარღვია.

- დაბრუნება მიბრძანეთ? - თანხმობის ნიშნად ქალმა თავი დაუქნია: - დიახ. ვაჟი მიხვდა თავის დაქნევაზე.

- ვაგლახ! - თქვა ბოლოს გაუბედავად, - მე ხომ... ყრუ ვარ... - საცოდავო ადამიანო!

- შესძახა ქალიშვილმა კეთილმოსურნე სიბრალულის გამომეტყველებით.

ვაჟმა სევდიანი ღიმილით განაგრძო:

- თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, ესღა გაკლდაო, ხომ ასეა? დიახ, მე ყრუც ვარ. რას ვიზამ, ასეთი ვარ, ასე გავჩენილვარ. მართლაც საზარელი ვარ, ხომ? თქვენ კი, თქვენ, ძალიან ლამაზი ხართ! საბრალოს ხმაში პირადი უბედურების ისეთი ღრმა შეგნების კვალი ჩანდა, რომ ქალიშვილს ძალა არ ეყო, თუნდაც ერთი სიტყვით მაინც ენუგეშებინა. თუმცა, რას გაიგებდა, კიდეც რომ ეთქვა. ყრუმ განაგრძო:

- არასოდეს ასე არ მიგრძვნია ჩემი სიმახინჯე, უსახურობა, როგორც ახლა. როდესაც თქვენ გადარებთ თავს, მებრალება ჩემი თავი, უბედური ურჩხული რომ ვარ! თქვენზე, ალბათ, მხეცის შთაბეჭდილებას ვახდენ, არა? ხომ ასეა, მითხარით. თქვენ მზის სხივი ხართ, ნამი ვარდისა, სიმღერა ჩიტისა! მე კი, რაღაც საზარელი, არც ადამიანი, არც ცხოველი, არც კი ვიცი, ვინ ვარ; მე უფრო ტლანქი, მძიმე, გათელილი, ფეხით გასრესილი, მახინჯი და უსახური ვარ, ვიდრე რიყის ქვა! - მან გაიცინა და ამ სიცილზე უფრო გულის გამგმირავი ამქვეყნად არაფერი იყო. შემდეგ განაგრძო: - დიახ, ყრუ ვარ. მაგრამ თქვენ ხელებით, ნიშნებით მელაპარაკეთ. მე მყავს ბატონი, რომელიც მუდამ ასე მელაპარაკება, გარდა ამისა, მალე მივეჩვევი თქვენი ნება-სურვილის გამოცნობას თქვენი ტუჩების მოძრაობით, თქვენი შემოხედვით. - კეთილი, მაგრამ ერთი მითხარით, - მიმართა ქალმა ღიმილით, - რატომ გადამარჩინეთ? კვაზიმოდო ყურადღებით უცქერდა, სანამ ის ლაპარაკობდა.

- გავიგე, - უპასუხა მან, - თქვენ მეკითხებით, რატომ გადაგარჩინეთ. თქვენ დაივიწყეთ ის უბედური, რომელმაც ერთ ღამეს თქვენი მოტაცება სცადა, ის საცოდავი ადამიანი, რომელსაც თქვენ მეორე დღესვე დახმარების ხელი გაუწოდეთ, როდესაც იგი ბილწ სამარცხვინო ბოძზე იტანჯებოდა. წყლის იმ ერთი წვეთისთვის, იმ მცირეოდენი შებრალებისთვის შემიძლია მხოლოდ ჩემი სიცოცხლით გადაგიხადოთ, თქვენ დავიწყეთ ის ბედკრული ადამიანი, მაგრამ მას ახსოვხართ! გულაჩუყებული ქალი ღრმა თანაგრძნობით უსმენდა. ზართამრეკავის ერთადერთ თვალს ერთადერთი ცრემლი მოადგა, მაგრამ არ ჩამოვარდა, ზედ გაიყინა. ჩანს, ერთგვარ თაყმოყვარეობის საკითხად, პატიოსნების გრძნობად მიაჩნდა ცრემლის შეკავება, დამალვა, არგამოჩენა. - მისმინე, - განაგრძო მან, - როდესაც უკვე აღარ ეშინოდა, რომ ცრემლი მოსწყდებოდა. - ამ ტაძარს

ძალიან მაღალი კოშკები აქვს. აქედან გადავარდნილი კაცი მანამდე კვდება, სანამ ქვაფენილს დაენარცხება. როცა თქვენ ინებებთ, აქედან გადავვარდე, ერთი სიტყვის თქმაც არ დაგჭირდებათ, თქვენი გამოხედვითაც მივხვდები. იგი ადგა. რა უბედური იყო ქალიშვილი, მაგრამ მაინც ეს უცნაური ველური არსება თანაგრძნობას აღუძრავდა. ქალმა დარჩენა ანიშნა.

- არა, არა. - უთხრა მან, - არ შეიძლება აქ დიდხაჩს დავრჩე, ჩემს გუნებაზე არა ვარ. ცუდად ვხდები. სიბრალულის გამო არ მარიდებთ თვალს. ისეთ ადგილას წავალ, საიდანაც მე თქვენ გიყურებთ, მაგრამ თქვენ იქ ვერ დამინახავთ. ასე უკეთესი იქნება. - ჯიბიდან ლითონის პატარა სასტვენი ამოიღო.

- აიღეთ ეს, - უთხრა მან, - როდესაც დაგჭირდებით, როცა ჩემს მოსვლას ინებებთ, როდესაც ჩემი დანახვა ზიზღს არ აღგიძრავთ, დაუსტვინეთ. ამ ხმას მე გავიგონებ. - სასტვენი ძირს დადო და გაიქცა.

9.4. ბროლი და ქვა

დღე დღეს მისდევდა. ესმერალდას ნელ-ნელა უბრუნდებოდა სიმშვიდე. ზედმეტი მწუხარება, ისევე როგორც ზედმეტი სიხარული, მძაფრი გრძნობებია, რომლებიც ხანგრძლივად არ გრძელდება. ადამიანის გულს არ შეუძლია დიდხანს გაუძლოს მათ უკიდურეს სიმძაფრეს. ქალიშვილმა იმდენი ტანჯვა გამოიარა, რამ განცვიფრების გარდა, აღარაფერი დარჩა მასში. შიში აღარ ჰქონდა და იმედიც დაუბრუნდა. ის საზოგადოების, ცხოვრების გარეთ იდგა, მაგრამ იმედოვნებდა, იქნებ შეუძლებელი შევძლო და დავბრუნდეო. იგი ისეთ მკვდარს ჰგავდა, რომელსაც მარაგად თავისი აკლდამის გასაღები აქვს შემონახული.

გრძნობდა, თანდათან გონებიდან როგორ შორდებოდნენ საზარელი სახეები, რომლებიც ასე დიდხანს აკვიატებოდნენ. მის სულში გაქრნენ ბილწი მოჩვენებანი - პიერა ტორტერიუ, ჟაკ შარმოლიუ, თვით მღვდელიც კი. ფებუსი ხომ ცოცხალია! მან ხომ თავისი თვალით დაინახა. ფებუსის სიცოცხლე მისთვის ყველაფერი იყო. საბედისწერო ძრწოლათა შემდეგ, რომელთაც ყველაფერი დაამხეს მის არსებაში, ერთადერთი, რაც კიდევ გადარჩა - კაპიტნის სიყვარული იყო. სიყვარული ხეს ჰგავს: იგი თავისთავად იზრდება, იდგამს ფესვებს ადამიანის არსებაში და ხშირად განადგურებულ გულშიც კი განაგრძობს მწვანედ ხასხასს. რაც უფრო აუხსნელია. რაც უფრო ბრმაა ვნება, მით უფრო ახირებელია, გაკერპებულია, ყველაზე ძლიერი კი მაშინაა, როცა ყველაზე განუსჯელი და უგუნურია. როცა კაპიტანზე ფიქრობდა, ესმერალდას უეჭველად მწარე მოგონებაც ახსენდებოდა. უთუოდ საზარელი იყო მისთვის აზრი, რომ ფებუსიც მოტყუვდა და დაიჯერა, თითქოს ხანჯალი ჩაარტყა მან, ვინც ათას სიცოცხლესაც კი მისცემდა; მაგრამ, არც ამდენი საყვედური მართებს - განა თვითონ არ აღიარა დანაშაული? ვერ გაუძლო წამებას და გატყდა. ყველაფერი მისი ბრალია, უწინ ფრჩხილები უნდა დაეგლიჯათ, ვიდრე ამ სიტყვებს ათქმევინებდნენ.

ერთხელ მაინც რომ ნახავდეს ფებუსს, თუნდაც წუთით, ერთი სიტყვა, ერთი შეხედვაც კი საკმარისი იქნებოდა, რომ გადაერწმუნებინა, დაებრუნებინა. ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. იგი ცდილობდა დაევიწყებინა ფებუსის უცნაური, შემთხვევითი დასწრება საჯარო მონანიების დღეს; ის ქალიშვილი, რომელთანაც კაპიტანი იდგა, უეჭველად მისი და იყო. განუსჯელი ვარაუდი კმაყოფილებას ანიჭებდა, რადგან უნდოდა ეფიქრა, რომ ფებუსს მაინც უყვარდა. განა ფებუსმა არ შეჰფიცა სიყვარული? მეტი რაღა უნდოდა ამ მიამიტ გოგონას? ყველა მისი ვარაუდი მისივე წინააღმდეგ უფრო იყო, ვიდრე ოფიც-

რის. ესმერალდა იმედოვნებდა, რომ ფებუსს ნახავდა. და ეკლესიაც, რომელიც ყოველი მხრიდან იფარავდა, ქალიშვილს უდიდეს სიმშვიდეს ანიჭებდა. მისი არქიტექტურის დიადი ხაზები, ირგვლივ ყველასა გნის რელიგიური ხასიათი, ღვთისმოსავი და ნათელი აზრები, რაც თითქოს ამ შენობის ყოველი სვეტიდან გამოსჭვიოდა, მისდა უნებურად მასზე კეთილად მოქმედებდა. ტაძარში ისეთი კურთხეული, ნეტარი და დიდებული გალობა ისმოდა, რომ მის ავადმყოფ სულს ტკივილს უყრუებდა. ასე რომ, მზის ყოველ ამოსვლას უფრო დამშვიდებული ხვდებოდა, თავისუფლად სუნთქავდა, დაკარგული ფერი მოსდიოდა, მის სახეზე კვლავინდებური სიკეკლუცე და სილამაზე იფურჩქნებოდა, მაგრამ ახლა გაცილებით ჩაფიქრებული და მშვიდი ჩანდა. ისევ დაუბრუნდა უწინდელი ხასიათი, ზოგიერთი რამ ადრინდელი მხიარულებისა, ტუჩის კეკლუცი აბზუება, თხის სიყვარული, სიმღერის ხალისი, მორცხვობა. ცდილობდა ტანსაცმელი საკნის რომელიმე კუთხეში ჩაეცვა, ეშინოდა, მეზობელი შენობის სხვენიდან ვინმემ არ დამინახოსო.

დროდადრო, როცა ფებუსზე არ ოცნებობდა, ხანდახან კვაზიმოდოზეც დაფიქრდებოდა. ადამიანებთან, ყოველივე ცოცხალთან ერთადერთ კავშირად, ერთადერთი ურთიერთობის საშუალებად ისღა დარჩენოდა. საბრალო! ის უფრო მეტად იყო ქვეყანას მოწყვეტილი, ვიდრე კვაზიმოდო. მას არაფერი გაეგებოდა ამ უცნაური მეგობრისა, რომელიც ბედმა და შემთხვევამ აჩუქა. ხშირად თავი სთავს საყვედურობდა, იმდენი მადლიერების გრძნობაც კი არ გამაჩნია, რომ თვალები არ დავხუჭო და სახეში პირდაპირ შევხედოო, მაგრამ ვერა და ვერ მიეჩვია საბრალო ზართამრეკავს. ის მეტისმეტად მახინჯი იყო. მან კვაზიმოდოს მოტანილი სასტვენი იატაკიდან არ აიღო. მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა ზართამრეკავს პირველ დღეებში დროდადრო გამოჩენილიყო. ქალიშვილი, შეძლებისდაგვარად, ცდი-

ლობდა, მეტისმეტი ზიზღით არ აერიდებინა თვალი, როდესაც კალათით სანოვაგე ან დოქით წყალი მოჰქონდა, მაგრამ კვაზიმოდო სულ მცირე მოძრაობითაც ატყობდა, რად უჯდებოდა ქალს მისი შეხედვა და დაღონებული მაშინვე მიდიოდა ხოლმე. ერთხელ მოულოდნელად გამოჩნდა, ქალიშვილი ჯალის ეალერსებოდა. რამდენიმე წამს ჩაფიქრებული იჯდა; ბოლოს მძიმე და უშნო თავი გააქნია და თქვა: - ჩემი უბედურება ისაა, რომ ადამიანს ვგავარ - კარგი იქნებოდა ამ თხასავით ცხოველი ვყოფილიყავი.

ქალმა განცვიფრებული თვალით შეხედა. ამ შეხედვაზე მან უპასუხა: - ეეჰ! ძალიან კარგად ვიცი, რატომ. - და წავიდა. მეორედ საკნის კართან გამოჩნდა (შიგნით არასოდეს შედიოდა). ამ დროს ესმერალდა ძველ ესპანურ ბალადას მღეროდა, სიტყვები ახსოვდა, რადგან ბოშა ქალები მას პატარაობისას ძილის წინ უმღეროდნენ, მაგრამ მნიშვნელობა არ ესმოდა. ქალიშვილმა სიმღერა შეწყვიტა და უნებურად შეშინებული გამომეტყველება მიიღო. უბედურმა ზართამრეკავმა კარის ზღურბლზე მუხლი მოიყარა და თავისი უშველებელი ტლანქი ხელები მავედრებლის მსგავსად დაიკრიფა:

- ოჰ, გევედრებით, - უთხრა მან სევდიანად, - განაგრძეთ და არ გამაგდოთ! ესმერალდას არ უნდოდა მისთვის ეწყენინებინა, თუმცა მთლად ცახცახებდა და სიმღერა განაგრძო. თანდათან შიშმაც გაუარა. ნაღვლიანი მელოდიის შთაბეჭდილებამ შეიპყრო. მუხლებზე დაჩოქილი კვაზიმოდო, თითქოს ლოცულობსო, ყურადღებით უსმენდა, ძლივს სუნთქავდა, მზერა ქალიშვილის მოელვარე თვალის გუგებისთვის მიეშტერებინა - ქალის თვალებიდან სიმღერის აზრის გაგებას ცდილობდა. ერთხელ კიდევ დარცხვენითა და მორიდებით მივიდა ქალთან. - მისმინეთ, - უთხრა მან ძალ-ღონის დაძაბვით: - რაღაც მაქვს თქვენთან სათქმელი. ესმერალდამ ანიშნა, გისმენო. მან ამოიოხრა, პირიც გააღო, რაღაცის სათქმელად მოემზადა, მაგ-

რამ სახეში შეხედა თუ არა, თავი გააქნია, ხელები შუბლზე მიიფარა და ნელა გაშორდა, გოგონა გაკვირვებული დარჩა.

ტაძარში იყო ერთი ქანდაკება, რომელიც კვაზიმოდოს განსაკუთრებულად უყვარდა, ხშირად გადახედავდა ხოლმე ძმური თვალით. ერთხელ ბოშა ქალმა გაიგონა, როგორ უთხრა კუზიანმა ქანდაკებას. - ოჰ, რატომ არა ვარ შენსავით ქვის!

ერთ დილას ესმერალდა სახურავის კიდემდე მივიდა და ზემოდან მოედანს გადახედა. კვაზიმოდოც იქ იყო, მის უკან. იგი ცდილობდა ისე დამდგარიყო, რომ მას ვერ დაენახა. უცებ ბოშა გოგონა შეკრთა, ცრემლი და სიხარულის ნაპერწკალი ერთდროულად გამოკრთა მის თვალებში, სახურავის ნაპირას მუხლებზე დაეცა, მწუხარებით გაიშვირა ხელები მოედნისკენ და განწირულად იყვირა:

- ფებუს! მოდი! მოდი! ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი სიტყვა, ზეცის სახელით! ფებუს! ფებუს! კვაზიმოდო მოედნისკენ გადაიხარა და დაინახა, რომ ამ ნაზი და შმაგი ვედრების ადრესატი ერთი ყმაწვილკაცი იყო, კაპიტანი, ბრწყინვალედ მორთული ლამაზი კავალერი, რომელმაც ცხენის ნავარდით მოედანი გადაჭრა და აივანზე გადმომდგარ მოღიმარე ლამაზმანს მიესალმა. კაპიტანს არ გაუგონია უბედური ქალის ძახილი. ის ძალიან შორს იყო.

სამაგიეროდ, საბრალო ყრუმ გაიგონა. ღრმა ოხვრა აღმოხდა მკერდიდან. შებრუნდა, გული ნაღვლით გაუსივდა, ცრემლი ახრჩობდა, დაკრუნჩხული მუშტი თავზე შემოიკრა. როცა ხელები დაუშვა, ორივე მუჭში ბღუჯა-ბღუჯა წითური თმა შერჩენოდა.

ბოშა გოგონას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, კვაზიმოდომ კბილები გააღრჭიალა და ბოხი ხმით წაიბურტყუნა:

- დასწყევლოს ღმერთმა! აი, თურმე როგორი უნდა იყო! გარეგნულად ლამაზი! ქალი ისევ მუხლებზე იყო დაჩოქილი და უჩვეულო აღტაცებით გაიძახოდა: - ოჰ, აგერ ცხენიდან ჩამოხტა, ახლა იმ სახ-

ლში შევა! ფებუს! ჩემი არ ესმის! ფებუს! რა ბოროტი ქალია, მაინ-ცდამაინც მაშინ ელაპარაკება, როცა მე ვეძახი. ფებუს! ფებუს! ყრუ კი ისევ მას შეჰყურებდა. ეს პანტომიმა მისთვის სრულიად გასაგები იყო. საბრალო ზართამრეკავს თვალი ცრემლით აევსო, მაგრამ არც ერთი კურცხალი არ გადმოვარდნია. უცებ ქალის სახელოზე ფრთხილად მოქაჩა. იგი შემობრუნდა. კვაზიმოდო უკვე დამშვიდე-ბულიყო და ქალს მიმართა:

- გნებავთ, წავალ, დავუძახებ?

ქალს სიხარულის ყვირილი აღმოხდა:

- ოჰ! წადი! წადი! გაიქეცი! ჩქარა, ის კაპიტანი, ის კაპიტანი მო-მიყვანე! შეგიყვარებ! ქალი მუხლებზე მოეხვია. კუზიანმა მწუხარე-ბით გააქნია თავი. - წავალ, მოგიყვან, - უთხრა მან სუსტი ხმით. შემ-დეგ შებრუნდა და დიდ კიბეზე სწრაფად დაეშვა, ქვითინი სულს უხუ-თავდა. როდესაც მოედანზე გავიდა, გონდელორიების ეზოსთან დაბმული ცხენის დანახვაზე მიხვდა, რომ კაპიტანი სახლში შესული-ყო. კვაზიმოდომ ეკლესიის სახურავისკენ აიხედა. ესმერალდა ისევ იმ ადგილას იდგა, იმავე მდგომარეობაში. დაღონებულმა კვაზიმო-დომ თავის დაქნევით ანიშნა, შემდეგ იქვე ქვის ბოძს მიეყრდნო; გა-დაწყვიტა, კაპიტანს დალოდებოდა. გონდელორიების ოჯახში წინა-საქორწინო განწყობა სუფევდა. კვაზიმოდო ხედავდა, როგორ შე-დიოდა მათ სახლში უამრავი ხალხი, მაგრამ იქიდან გამოსული არა-ვინ უნახავს. დროდადრო მაღლა, ტაძრის სახურავისკენ აიხედავდა ხოლმე. ესმერალდა მასავით უძრავად იდგა. მეჯინიბემ ცხენი აუშვა და იმავე სახლის თავლაში შეიყვანა. მთელი დღე ასე გაატარეს, კვა-ზიმოდომ ქვის ბოძთან, ესმერალდამ - სახურავზე; ხოლო ფებუსმა უეჭველად ფლორ-დე-ლისის ფეხებთან. დაღამდა. უმთვარო, ბნელი ღამე იყო. ამაოდ უყურებდა კვაზიმოდო ესმერალდას. საღამოს ბინდ-ბუნდში ვეღარაფერს არჩევდა, გარდა თეთრი წერტილისა, მე-

რე ისიც გაქრა. ყველაფერი წაიშალა, ყველაფერი სიბნელემ შთანთქა. კვაზიმოდომ დაინახა, როგორ განათდა გონდელორიების სახლის წინხედის ყველა სარკმელი და მოედნის ირგვლივ ერთიმეორეზე მიყოლებით სხვა სარკმელებიც. კარგა ხანს იდგა. ირგვლივ ყველა სახლი ჩაბნელდა. მხოლოდ გონდელორიების ფანჯრები იყო ნაშუაღამევსაც გაჩირაღდნებული. კვაზიმოდო უძრავად იდგა და ყურადღებით შეჰყურებდა ფერად მინებში არეკლილ ადამიანთა მოცეკვავე ლანდებს. ყრუ რომ არ ყოფილიყო (მიძინებულ პარიზში ხმაური კლებულობდა), თანდათან გარკვევით უნდა გაეგო გონდელორიების სახლიდან გამოსული საზეიმო, სიცილისა და მუსიკის ხმები.

ნაშუაღამევის პირველ საათზე იწყეს სტუმრებმა წასვლა. სიბნელეში მიმალულმა კვაზიმოდომ ყველა დაინახა, ვინც კი ჩირაღდნებით განათებულ სადარბაზო კარში გამოვიდა, მაგრამ კაპიტანი არ ჩანდა.

კვაზიმოდო ნაღვლიანმა ფიქრებმა შეიპყრო. ზოგჯერ მოწყენილი ცას შეჰყურებდა. ამ დროს დაინახა, როგორ გაიღო აივნის კარი, რომლის ქვის მოაჯირი მის თავს მაღლა გადმოდიოდა. ორნი გამოვიდნენ. მათ უკან კარი უხმაუროდ მიიხურა. ერთი მამაკაცი იყო, მეორე ქალი. კვაზიმოდომ მამაკაცში ძლივს შეიცნო კაპიტანი, ხოლო ქალში - ის ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც ამ დილას დაინახა - კაპიტანს მშვიდობით დაბრუნებას ულოცავდა. მოედანი სრულიად ჩაბნელებულიყო. ჭაბუკი და ყმაწვილქალი, რამდენადაც შეეძლო გაეგო და განესაჯა ყრუს, რომელსაც მათი სიტყვები არ ესმოდა, როგორც ჩანდა, მეტად გატაცებულნი იყვნენ ნაზი საუბრით. ეტყობოდა, ახალგაზრდა ქალმა ნება დართო ოფიცერს წელზე მკლავი მოეხვია, კოცნაზე კი ნელა უწევდა წინააღმდეგობას. კვაზიმოდო ქვემოდან ბუნდოვნად ხედავდა ამ სცენას, რაც მით უფრო ლამაზი იყო საცქე-

რად, რამდენადაც იგი სხვის დასანახად არ იყო ნავარაუდევი. სიმწრით აკვირდებოდა მათ ბედნიერებას, სილამაზეს; ამ უბადრუკ ადამიანში ბუნების ხმა როდი იყო დამუნჯებული, სხვაზე ნაკლებ მგრძნობიარე. ის ფიქრობდა იმ უბედურ ხვედრზე, რომელიც განგებამ მოუმზადა: ქალმა, სიყვარულმა, ვნებამ მუდამ თვალწინ უნდა ჩაუაროს, მხოლოდ იმიტომ გაჩენილა, სხვის ნეტარებას უყუროს. მაგრამ ამაზე უფრო ის აწუხებდა, როგორ დაიტანჯებოდა ბოშა ქალი, ეს სანახაობა რომ ეხილა. ესმერალდა თუ ისევ იმ ადგილზე დარჩა (რაშიც ეჭვი არ ეპარებოდა), მაინც ვერაფერს დაინახავდა, რადგან ძალიან ბნელოდა; ეს ცოტა ანუგეშებდა; ამასობაში წყვილის საუბარი აივანზე თანდათან გაცხოველდა, როგორც ჩანდა, ქალიშვილი კაპიტანს ევედრებოდა უფრო მეტი არაფერი ეთხოვა. კვაზიმოდო ქალიშვილის მხოლოდ ვედრებით გადაჭდობილ ხელებს, ცრემლნარევ ღიმილს და კაპიტნის ვნებიან მზერას არჩევდა. საცოლის წინააღმდეგობა თანდათან სუსტდებოდა და ვეღარ ებრძოდა. საბედნიეროდ, აივნის კარი გაიღო და მოხუცი ქალი გამოჩნდა; ქალიშვილი დარცხვენილი და შემკრთალი ჩანდა, კაპიტანს წყენა დაეტყო. სამივე ოთახში დაბრუნდა. წუთის შემდეგ ფარულ კართან ცხენის ფლოქვების ხმა მოისმა და მოსასხამში გახვეულმა კაპიტანმა კვაზიმოდოს თვალწინ ჩაუქროლა. ზართამრეკავმა ქუჩის კუთხეში შეხვევა აცალა, შემდეგ მაიმუნის სიმკვირცხლით გამოეკიდა და მიაძახა: - ჰეი, კაპიტანო! კაპიტანი შეჩერდა. - რა უნდა ჩემგან ამ არამზადას? - თქვა მან, სიბნელეში მისკენ ბაჯბაჯით მორბენალ, აქეთ-იქით მოქანავე უცნობი ფიგურის დანახვაზე.

კვაზიმოდო ოფიცერს დაეწია და ცხენს გაბედულად სტაცა ხელი ლაგამზე: - გამომყევით კაპიტანო; აქ, ახლოს, ერთ ვინმეს თქვენთან ლაპარაკი სურს. - ვფიცავ ეშმაკის რქებს! - წაიბუზღუნა ფებუსმა, - ეს საზიზღარი აბურძგნული ფრინველი, მგონი, სადღაც მინა-

ხავს. ეი, კმარა ვაჟბატონო, ხელი უშვი ლაგამს! - კაპიტანო, - განაგრძო ყრუმ, - არ გინდათ გაიგოთ, ვის უნდა თქვენი ნახვა? - მე შენ გეუბნები, გაუშვი ცხენი-მეთქი! - მოუთმენლად გაუმეორა ფებუსმა: - ეს ვინ ოხერი ჩამოეკიდა ჩემს საბრძოლო ცხენს? ცხენი სახრჩობელა ხომ არა გგონია? მაგრამ კვაზიმოდო სადავის გაშვებას არ აპირებდა. მას ვერ გაეგო, რატომ ეწინააღმდეგებოდა კაპიტანი, ამიტომ სასწრაფოდ უთხრა: - წამოდით, კაპიტანო, ქალი გელოდებათ, - და ძალდატანებით დასძინა: - ქალი, რომელსაც თქვენ უყვარხართ.

- აი, იშვიათი და ურცხვი ლაზღანდარა! - თქვა კაპიტანმა, - რა გგონია, ვალდებული ვარ ყველა ქალს ავედევნო, ვისაც კი ვუყვარვარ ან ამბობს, რომ ვუყვარვარ? ერთიც ვნახოთ, ეგ შენი ქალი შენა გგავს, ბუკნაჭოს სიფათო? უთხარი იმას, ვინც გამოგგზავნა, რომ მე ცოლს ვირთავ და ეშმაკსაც წაუღიხარ-თქო.

- მისმინეთ, - შეუძახა კვაზიმოდომ იმ რწმენით, რომ ერთი სიტყვით დაამარცხებდა მის ყოყმანს, - წამოდით, ბატონო! გიხმობთ ის ბოშა ქალი, რომელსაც თქვენ იცნობთ! ამ სიტყვამ ფებუსზე მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ არა ეთი, როგორსაც ყრუ მოელოდა. იმ დღეს ხომ თავაზიანი კაპიტანი ფლორ-დე-ლისთან ერთად მანამდე გაშორდა აივანს, ვიდრე კვაზიმოდო გაათავისუფლებდა. ამის შემდეგ კაპიტანი გონდელორიების ოჯახში საგულისგულოდ ერიდებოდა ბოშა ქალზე საუბარს, რომლის გახსენება ბოლო დროს საშინლად სტანჯავდა. ფლორ-დე-ლისსაც წინდაუხედაობად მიაჩნდა ეთქვა, ბოშა ქალი ცოცხალიაო. ფებუსი დარწმუნებული იყო, რომ საბრალო „სიმილარი“ მოკვდა. რამდენიმე წამს ჩაფიქრდა. მისი ცხენი უკვე ფრუტუნებდა, ალმაცერად უყურებდა კვაზიმოდოს.

- ბოშა ქალი! - შეჰყვირა მან თითქმის შეშინებულმა. - მაშ, შენ საიქიოდან ხარ გამოგზავნილი? - და ხანჯალზე წაივლო ხელი.

- ჩქარა! ჩქარა! - გაიძახოდა ყრუ და ცდილობდა ცხენი თან გაეყოლიებინა; - აი, აქეთ! ფებუსმა ჩექმა მაგრად ჩაარტყა მკერდში. კვაზიმოდოს თვალმა იელვა. ერთი შეირხა, რომ კაპიტანს სძგერებოდა, მაგრამ თავი შეიკავა და უთხრა:

- ოჰ! ბედი თქვენი, რომ ერთ ვინმეს უყვარხართ! - სიტყვა „ერთ ვინმეს“ ხაზგასმით წარმოთქვა და ცხენის სადავეს ხელი გაუშვა: - წადი, მოუსვი აქედან!

ფებუსმა ცხენს ორივე დეზი ჰკრა და თან შეიგინა. კვაზიმოდომ თვალი გააყოლა, ვიდრე ღამის წყვდიადში არ ჩაინთქა. - ოოჰ! - თქვა ხმადაბლა საბრალო ყრუმ, - ასეთ რამეზე უარის თქმა?! იგი ღვთისმშობლის ტაძარში დაბრუნდა, სანათი აანთო და კოშკზე ავიდა. როგორც ფიქრობდა, ბოშა ქალი ისევ იმ ადგილას იყო. როგორც კი შორიდან შეამჩნია, წამსვე მიირბინა მასთან. - მარტო მოხვედი?! - შესძახა მან და ლამაზი ხელები მწუხარებით ერთმანეთს გადააჭდო. - ვერ ვიპოვე, - ცივად უთხრა კვაზიმოდომ.

- მთელ ღამეს უნდა დალოდებოდი, - ცხარედ მიმართა ქალმა.

ვაჟი მის მრისხანე გამომეტყველებაზე მიუხვდა საყვედურს.

- სხვა დროს უკეთ დავუდარაჯდები, - თქვა მან თავჩაქინდრულმა. - წადი აქედან! - უთხრა ქალმა.

და ისიც წავიდა. თუმცა მოიმდურა, მაგრამ ქალის მხრიდან ავი, უდიერი მოპყრობა ერჩია, ვიდრე მისი გულისტკენა და დანაღვლიანება. მთელი ტკივილი, სევდა და მწუხარება საკუთარ თავზე აიღო.

ამ დღიდან ბოშა ქალს ის აღარ უნახავს. მის საკანთან მოსვლა შეწყვიტა. ხანდახან თუ მოჰკრავდა თვალს ერთ-ერთი კოშკის წვეროზე ზართამრეკავს. მაგრამ, როგორც კი ქალი შეამჩნევდა, მაშინვე უჩინარდებოდა. უნდა ითქვას, ესმერალდას ნაკლებად აწუხებდა

ის, რომ საწყალმა კუზიანმა თავისი ნებით აიღო ხელი მასთან მისვლაზე. გულის სიღრმეში ამის გამო მადლობელიც კი იყო მისი. თუმცა, ამ მხრივ, არც კვაზიმოდოს შეუქმნია მცდარი ილუზიები. ქალიშვილს იგი აღარ უნახავს, მაგრამ გრძნობდა, სიკეთის გენია მის ირგვლივ ტრიალებდა. უხილავ ხელს, როცა მას ეძინა, მუდამ მოჰქონდა ახალ-ახალი სანოვაგე. ერთ დილას, ფანჯარაზე დახვდა გალია ჩიტებით. მისი საკნის ზემოთ იყო ქანდაკება, რომელიც აშინებდა. ეს იცოდა კვაზიმოდომ. ერთ დილას (რადგან მთელი ეს საქმე ღამე კეთდებოდა) ქანდაკება ვეღარ დაინახა, დამსხვრეულიყო. ამ ქანდაკებამდე მხოლოდ აძვრომით, კაცს საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში უნდა ჩაეგდო. ხანდახან საღამოობით ესმერალდას სამრეკლოს ჩარდახიდან ესმოდა სევდიანი და უცნაური სიმღერა, როგორიც კი შეუძლია ყრუმ შეთხზას, თითქოს დასაძინებლად ნანას ეუბნებაო ერთ დილას რომ გაიღვიძა, ესმერალდამ ფანჯარაზე ყვავილებით სავსე ორი ლარნაკი დაინახა. ერთი ბროლისა იყო, ძალიან ლამაზი, მაგრამ გაბზარული, - ჩასხმული წყალი გასდენოდა და ყვავილები დამჭკნარიყო. მეორე - ქვისა იყო, უშნო, ტლანქი და ჩვეულებრივი, მაგრამ წყლით სავსე. ქორფა ყვავილებიც მასში თავს კარგად გრძნობდნენ. ძნელია იმის თქმა, განზრახ ქნა ეს თუ არა, ქალიშვილმა დამჭკნარი თაიგული ამოიღო და მთელი დღე მკერდზე მიხუტებული ეჭირა. იმ დღეს სიმღერა არ გაუგონია. მაგრამ ეს ნაკლებად აწუხებდა ესმერალდას. მთელ დღეებს ჯალის ალერსში ატარებდა და გონდელორიეს სახლის სადარბაზო კარს ზვერავდა, ხმადაბლა საკუთარ თავს ფებუსზე ესაუბრებოდა და მერცხლებს პურს უფშვნიდა.

კვაზიმოდოს ზედაც აღარ უყურებდა, აღარ უსმენდა. კაცს ეგონებოდა, საბრალო ზართამრეკავი ეკლესიიდან გაქრაო. მაგრამ ერთ ღამეს, როცა თავის ლამაზ კაპიტანზე ოცნებობდა, საკანთან ვიღა-

ცის ოხვრა მოესმა. შეშინებული წამოდგა და მთვარის შუქზე კარის გარდიგარდმო გაწოლილი უფორმო მასა დაინახა. კვაზიმოდოს ცივ ქვაზე ეძინა.

9.5. წითელი ჭიშკრის გასაღები

ამასობაში ბოშა ქალის სასწაულებრივი გადარჩენის ამბავმა არქიდიაკონის ყურამდეც მიაღწია. თვითონაც არ იცოდა, ამ დროს რას გრძნობდა. ის შეურიგდა ესმერალდას სიკვდილს, დამშვიდდა კიდეც, რადგან მწუხარების უკიდურეს მიჯნას მიაღწია. ადამიანის გულს (კლოდ ფროლოს ამაზეც უფიქრია) შეუძლია სასოწარკვეთის გარკვეული ოდენობა დაიტიოს; როცა ღრუბელი გაჟღენთილია, თუნდაც მთელმა ზღვამ გადაუაროს, ერთი წვეთიც ვეღარ შეაღწევს შიგნით; როცა ესმერალდა მკვდარი ეგონა, ღრუბელი გაიჟღინთა და მისთვის ამქვეყნად ყველაფერი დამთავრდა; მაგრამ ცოცხალი ესმერალდა მის შეგნებაში ცოცხალ ფებუსს უკავშირდებოდა, რაც ტანჯვა-წამების, ეჭვების, ცხოვრების თავიდან დაწყებას ნიშნავდა. კლოდი კი უკვე დაიღალა. ერთ სამონასტრო სენაკში ჩაიკეტა. აღარც საეკლესიო თათბირებზე გამოჩენილა, არც ღვთისმსახურების დროს. ყველას გამოუკეტა კარი, თვით ეპისკოპოსსაც კი. ამგვარ პატიმრობაში რამდენიმე კვირა გაატარა. ფიქრობდნენ, ალბათ, ავად არისო. მართლაც ავად იყო.

მაგრამ, რას აკეთებდა გამოკეტილში? რას ებრძოდა ეს უბედური ადამიანი? იქნებ საშინელ ვნებას? ან იქნებ უკანასკნელ გეგმას აწყობდა ამ გოგოს მოსაკლავად და საკუთარი თავის დასაღუპად? ჟანი, მისი საყვარელი ძმა, მისი განებივრებული ბავშვი, ერთხელ კარს მიადგა, უკაკუნა, ეხვეწა, ეფიცა, ევედრა: შემომიშვი, მე ვარო. კლოდმა მაინც არ გაუღო კარი. მთელი დღეები სახით ფანჯრის მი-

ნებს მიჰკვროდა. აქედან ესმერალდას საკანი მოჩანდა. მას ხშირად თხასთან, ან ზოგჯერ კვაზიმოდოსთან ერთად ხედავდა. იგი ამჩნევდა საზიზღარი ყრუს ზრუნვას, მის მორჩილებას, თავისებურ გულისხმიერებას, ერთგულებას ბოშა ქალის მიმართ. მან გაიხსენა, რადგან კარგი მეხსიერება ჰქონდა, მეხსიერება კი ეჭვიანებისთვის ჯალათია, როგორ უცნაური თვალით უცქერდა ერთ საღამოს ზართამრეკავი მოცეკვავე ქალს. საკუთარ თავს ეკითხებოდა, კვაზიმოდომ ესმერალდა რატომ გადაარჩინა. შორიდან დანახული ბოშა ქალსა და ყრუს პანტომიმა მეტისმეტად ნაზი ეჩვენებოდა. ის არ ენდობოდა ქალების უცნაურ ხასიათს. ბუნდოვნად იგრძნო, როგორ გაიღვიძა მასში ეჭვმა, რისთვისაც არასოდეს მიუქცევია ყურადღება და სირცხვილისა და აღშფოთების გამო გაწითლდა. „დაე, თუნდაც კაპიტანი ყოფილიყო, მაგრამ ეს?!.“ ამ აზრმა ააფორიაქა, გონება დაუბინდა. კვლავ ავხორცმა ვნებამ აიტანა. რაც შავგვრემანი გოგონას ასეთი სიახლოვე იგრძნო, ლოგინში შამფურივით ტრიალებდა და იგრიხებოდა. მისი შმაგი წარმოსახვა ესმერალდას ისეთ პოზაში წარმოიდგენდა, რომ ძარღვებში სისხლი უდუღდა: ხან დაჭრილი კაპიტნის მუხლებთან თვალდახუჭულ, მკერდგაღეღილ, მისი სისხლით მოსვრილ ესმერალდას ხედავდა, იმ ნეტარ წუთს განიცდიდა, როცა მის გაფითრებულ ბაგეებს აკოცა, რომლის სიმხურვალე ცოცხალმკვდარმა ქალმა მაინც იგრძნო. ხან რკინის ხრახნიან „ესპანურ ჩექმაში“ მის პატარა, ნაზ ფეხს და პერანგის ამარა, კისერზე თოკშებმულ, მხრებმოშიშვლებულ, ფეხშიშველს იხსენებდა. ამ ავხორცი სურათების წარმოდგენაზე თითები ეკრუნჩხებოდა და აჟრჟოლებდა. ერთ ღამეს ვნებიანმა ხილვებმა იმდენად აღაგზნეს უბიწო მღვდელი, რომ ლოგინიდან წამოვარდა, პერანგზე კვართი გადაიცვა, ლამპას ხელი სტაცა და სენაკიდან გარეთ გამოვარდა, სანახევროდ შიშველი, დამფრთხალი, გონებადაფანტული, გიჟივით თვა-

ლებანთებული. იცოდა, სად ინახებოდა წითელი ჭიშკრის გასაღები, რომელიც მონასტერს ეკლესიასთან აკავშირებდა, კოშკის კარის გასაღები კი, როგორც ვიცით, მუდამ თან ჰქონდა.

9.6. ისევ წითელი ჭიშკრის გასაღებზე

იმ ღამეს ესმერალდას თავის საკანში იმედებსა და ტკბილ ფიქრებში ჩაეძინა. კარგა ხანი ეძინა და, როგორც ყოველთვის, ფებუსი ესიზმრებოდა. უცებ რაღაც ხმაური შემოესმა. ფხიზელი ძილი იცოდა. მცირე ფაჩუნიც კი აღვიძებდა. თვალები გაახილა. ბნელოდა, მაგრამ მაინც შეამჩნია, რომ სარკმლიდან ვიღაც უყურებდა. იმ წუთს, როგორც კი მიხვდა, ესმერალდამ დამინახაო, იმ ვიღაცამ ლამპა ჩააქრო. ქალიშვილმა ლამპის შუქზე მომხდური იცნო და შიშისგან თვალები დახუჭა. - ოჰ! - თქვა მან მიმქრალი ხმით, - მღვდელი! - და გადატანილი უბედურება გაახსენდა. წუთის შემდეგ სხეულზე ვიღაცის შეხება იგრძნო, რამაც იმდენად აათრთოლა, რომ სრულიად გამოფხიზლდა და გამძვინვარებული ლოგინზე წამოჯდა. მღვდელი ლოგინში შეუძვრა და ორივე ხელი მოხვია. ქალს უნდოდა ეყვირა, მაგრამ არ შეეძლო.

- გასწი, ურჩხულო! გაეთრიე, კაცის მკვლელო! - ეუბნებოდა იგი განრისხებისა და შიშისგან ათრთოლებული დაბალი ხმით.

- შემიბრალე! შემიწყალე! - ჩურჩულებდა მღვდელი და თან ტუჩებით მხრებზე კოცნიდა. ქალი ორივე ხელით მელოტ თავზე დარჩენილ თმაში სწვდა და მოშორებას ცდილობდა. თითქოს მღვდლის ხვევნა-კოცნა გველისნაკბენი ყოფილიყოს.

- შემიბრალე, გაიღე მოწყალება! - იმეორებდა ბედკრული. - შენ რომ იცოდე, როგორია ჩემი სიყვარული შენდამი! იგი ცეცხლია,

გამდნარი ტყვია, ჩემს გულში გაყრილი ათასი დანა. - და ზეადამიანური ძალით დაუჭირა მკლავები.

მოთმინებადაკარგულმა ქალმა უყვირა:

- გამიშვი, გამიშვი, თორემ სახეში შეგაფურთხებ!

გაუშვა.

- დამამცირე, შემარცხვინე, მცემე, იყავი ჩემდამი ავი და ბოროტი! მიყავი, რაც გინდა! ოღონდ შემიბრალე! შემიყვარე!

მაშინ გოგონამ ბავშვური გაშმაგებით დაუწყო ცემა, მთელი თავისი ლამაზი ხელების ძალა მოიკრიბა, რომ მისთვის სახე ჩაეჩეჩქვა. - გასწი, დემონო!

- შემიყვარე, შემიყვარე! შემიბრალე! - ყვიროდა საბრალო მღვდელი, ფეხებში უვარდებოდა, ზედ ეკვროდა და ცემაზე ალერსით პასუხობდა. უცბად ქალმა იგრძნო, რომ მამაკაცი მასზე ღონიერი იყო.

- დროა, ბოლო მოვუღოთ! - თქვა კაცმა კბილთა ღრჭენით.

დამარცხებული, დამორჩილებული, აკანკალებული და გატეხილი გოგონა მის მკლავებში იყო მომწყვდეული. ის გრძნობდა, როგორ უფათურებდა მამაკაცი ავხორც ხელებს მის სხეულს. უკანასკნელად მოიკრიბა ძალ-ღონე და იყვირა:

- მიშველეთ! ვამპირი! ვამპირი!

არავინ გამოჩენილა. მარტო ჯალიმ გაიღვიძა და საცოდავად მოჰყვა კიკინს. - გაჩუმდი! - უთხრა აქოშინებულმა მღვდელმა. ხელის ფათურში გოგონა ლითონის რაღაც ნივთს წააწყდა. ეს კვაზიმოდოს სასტვენი იყო. ქალს იმედი მიეცა. სასტვენი ტუჩებთან მიიტანა და მთელი ძალღონით ჩაბერა. სასტვენმა წკრიალა, მკვეთრი და ძლიერი ხმა გამოსცა. - რა არის ეს? - თქვა მღვდელმა.

თითქმის იმავე წამს კლოდმა იგრძნო, რომ ვიღაცის ღონიერმა ხელმა მაღლა ასწია. სენაკში ბნელოდა; მკაფიოდ ვერ გაარჩია, ვინ

სტაცა ხელი, მაგრამ კბილების გაშმაგებული ღრჭენა შემოესმა. ამასობაში სიბნელეში სინათლის ჭავლები მიმოფანტულიყო და თავს მაღლა ალაპლაპებული დანის ფართო პირი დაინახა.

მღვდლის ვარაუდით, ეს კვაზიმოდო უნდა ყოფილიყო. გაახსენდა, რომ შემოსვლისას კართან გარედან გარდიგარდმო გაწოლილ რაღაცას წამოჰკრა ფეხი და წაიბორძიკა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. დანააღმართულს ხელზე ხელი უტაცა და უყვირა: - კვაზიმოდო! - გადაავიწყდა, რომ ის ყრუ იყო. თვალის დახამხამებაში მღვდელი ძირს დაენარცხა და იგრძნო, რომ ტყვიასავით მძიმე მუხლი დაებჯინა მკერდზე. კუთხოვან მუხლზე იცნო კვაზიმოდო. მაგრამ რა უნდა ექნა, რომ მასაც ეცნო იგი? ღამეს ყრუ ბრმადაც ექცია. იღუპებოდა. ძუ ვეფხვივით განრისხებული და შეუბრალებელი ქალიშვილი ადგილიდან არ დაძრულა. დანა კი უახლოვდებოდა. სახიფათო მომენტი იყო. უცბად კვაზიმოდო შეყოყმანდა. - სისხლმა არ უნდა შებილწოს ის! - თქვა მან ყრუ ხმით. - მღვდელმა იგრძნო, რომ ღონიერი ხელი ფეხებში სწვდა და საკნიდან გარეთ გაათრია. აი, თურმე სად ელის სიკვდილი! მისდა საბედნიეროდ, მთვარე გამოჩნდა. მისი მკრთალი სხივი მღვდლის სახეს მოხვდა. კვაზიმოდომ პირდაპირ შეხედა და აცახცახდა, მღვდელს ხელი გაუშვა და უკან დაიხია. ბოშა ქალი საკნის ზღურბლზე გამოვიდა და განცვიფრებულმა დაინახა, რომ როლები უცბად შეიცვალა. ახლა მღვდელი ემუქრებოდა, კვაზიმოდო კი ევედრებოდა. მღვდელმა განრისხებისა და საყვედურის ნიშნები დააყარა თავს ყრუს და ხელის მძაფრი მოძრაობით ანიშნა გასცლოდა. ყრუმ თავი დახარა და ბოშა ქალის საკნის წინ მუხლებზე დაემხო: - ჩემო ატონო! - თქვა მან მძიმე და მორჩილი ხმით, - ჯერ მე მომკალით, მერე რაც გნებავთ, ის ჰქენით. - და დანა მღვდელს გაუწოდა. გონდაკარგულმა მღვდელმა დანის გამორთმევა მოინდომა. მაგრამ ქალიშვილი მასზე მკვირცხლი აღ-

მოჩნდა. კვაზიმოდოს დანა ხელიდან გამოგლიჯა და ავად გადაიხარხარა: - ერთი მომიახლოვდი! - შეუძახა მღვდელს. ესმერალდამ დანა შემართა. მღვდელი გაუბედავად შეჩერდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ქალი არ დაინდობდა და ნამდვილად დაარტყამდა. - ფეხის გადმოდგმასაც ვერ გაბედავ, ლაჩარო! - უყვირა ქალმა. შემდეგ შეუბრალებელი, დაუნდობელი კილოთი მიაძახა: - აა! მე ვიცი, რომ ფებუსი ცოცხალია! - ესმერალდამ კარგად იცოდა, რომ ამ სიტყვებით მღვდელს ათასი გავარვარებული ხანჯლით გულს გაუგმირავდა. მღვდელმა ფეხი ჰკრა კვაზიმოდოს და გადააბრუნა. გაცოფებული და აცახცახებული ისევ კიბის თაღქვეშ გაუჩინარდა. როდესაც ის წავიდა, კვაზიმოდომ აიღო ქალიშვილის მხსნელი სასტვენი. - კინაღამ დაჟანგდა, - თქვა მან და სასტვენი დაუბრუნა; მერე ისევ მარტო დატოვა. ამ მძაფრი სცენით აფორიაქებული ესმერალდა ღონემიხდილი თავის ლოგინზე დაემხო და მწარედ აქვითინდა. მისი ცა ისევ მოიღრუბლა, მის გულში ისევ დაბნელდა. მღვდელი ხელის ცეცებით დაბრუნდა თავის სენაკში. საქმე გათავებული იყო. მამა კლოდი კვაზიმოდოზე ეჭვიანობდა!

მან გაიმეორა საბედისწერო სიტყვები: „მაშ, ნურავისი იქნება“.

10.1. გრენგუარის აზრები ბერნარდინელთა ქუჩაზე

მას შემდეგ, რაც პიერ გრენგუარმა დაინახა, როგორ შებრუნდა საქმე და დარწმუნდა, რომ კომედიის მთავარი მოქმედი პირებისთვის ეს ამბავი უთუოდ თოკით, ჩამოხრჩობით და სხვა უსიამოვნებით დამთავრდებოდა, გადაწყვიტა არაფერში ჩარეულიყო. მაწანწალები, რომლებთანაც ის ცხოვრობდა, გრენგუარის ანგარიშით, ყველაზე უკეთეს საზოგადოებას წარმოადგენდნენ პარიზში, რადგან მხოლოდ მათ აინტერესებდათ ბოშა ქალის ამბავი და ეს სრულიად

ბუნებრივად მიაჩნდა იმ ხალხის მხრიდან, ვისი მომავალიც, ისევე, როგორც ამ ქალისა, მხოლოდ შარმოლიუ და ტორტერიუ იყო. მათი საუბრიდან გაიგო, რომ დამსხვრეული დოქით მასზე დაქორწინებულმა ცოლმა ღვთისმშობლის ტაძარს შეაფარა თავი და ძალიან გაუხარდა. მაგრამ, მისი იქ ნახვის ცდუნებაც კი არ ჰქონია. რამდენჯერმე პატარა თხა გაახსენდა, ეგ იყო და ეგ. საზრდოს საშოვნელად დღისით ათასგვარ ძალისმიერ ილეთებს ასრულებდა, ხოლო ღამღამობით პარიზის ეპისკოპოსის წინააღმდეგ მიმართული ფიქრები იპყრობდა, რადგან ახსოვდა, როგორ გაწუწეს მისი წისქვილების ბორბლებმა. მუშაობდა ბოდრი-ლე-რუჟის, ნოიონისა და ტურნეის ეპისკოპოსის მშვენიერი ნაწარმოების - De cupa petrarum[1]-ის განმარტებაზეც, რამაც ხუროთმოძღვრების შესწავლისადმი სურვილი გაუმძაფრა და მასში ჰერმეტიზმით გატაცება ჩაახშო. იმ დროს ხომ ჰერმეტიზმის ბუნებრივი დაბოლოება ხუროთმოძღვრება იყო, რადგან მასსა და ჰერმეტიკას შორის შინაგანი კავშირი არსებობს. გრენგუარი იდეის სიყვარულიდან ფორმის სიყვარულზე გადავიდა.

ერთ დღეს ის იმ სახლის კუთხეში გაჩერდა, რომელსაც „ეპისკოპოსის სამსჯავროს“ ეძახდნენ და მეორე შენობის, „მეფის სამსჯავროს“ პირდაპირ იდგა. ეპისკოპოსის სამსჯავროში იყო XIV საუკუნის მშვენიერი ეკვდერი, რომლის საკურთხევლის ერთი ნაწილი ქუჩაში გამოდიოდა. გრენგუარი მოწიწებით იკვლევდა გარე ქანდაკებას. იმ წუთს იგი იმყოფებოდა განსაკუთრებულ, უმაღლეს, ეგოისტურ ტკბობასა და განცხრომაში, როდესაც ხელოვანი მთელ ქვეყანაზე ვერაფერს ხედავს, გარდა ხელოვნებისა და ქვეყანასაც მხოლოდ ხელოვნებიდან განიკითხავს. უცებ იგრძნო, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი მძიმედ დაადო, შემობრუნდა. მის წინ ძველი მეგობარი, მასწავ-

[1] *ქვები თლისთვის.*

ლებელი, მუსიე არქიდიაკონი იდგა. განცვიფრებული გრენგუარი ადგილზე გაიყინა. დიდი ხანია არქიდიაკონი აღარ ენახა; ამაყი და აღგზნებული ხასიათის მამა კლოდთან შეხვედრა სკეპტიკოს ფილოსოფოსს მუდამ სულიერ წონასწორობას ურღვევდა.

არქიდიაკონი რამდენიმე წუთს დუმდა. გრენგუარმა შეამჩნია, რომ მამა კლოდი გამოცვლილიყო - ფერმკრთალ სახეზე თვალები ჩავარდნოდა, თმა თითქმის გაჭაღარავებოდა. დუმილი მღვდელმა დაარღვია და მშვიდი, მაგრამ გამყინავი კილოთი ჰკითხა: - როგორ ბრძანდებით, მეტრ პიერ? - ეჰ! როგორც იტყვიან, არც ისე და არც ასე, - მიუგო გრენგუარმა, - საერთოდ კარგად ვარ. გადაჭარბება არ მიყვარს, ზომიერების დაცვა ვიცი. მოგეხსენებათ, მასწავლებელო, ჯანმრთელობის საიდუმლო, ჰიპოკრატეს თანახმად: id est: cidi, potus, somni, venus, omnia moderata sint[1]. - მაშ, არაფერი გაწუხებთ, მეტრ პიერ? - კვლავ მიმართა არქიდიაკონმა და თან გრენგუარს თვალებში ჩააშტერდა.

- ნამდვილად არა!

- ახლა რას აკეთებთ?

- ამ ქვის ნათლობას ვიკვლევ და ბარელიეფის ამოჭრის წესს, მეტრ. მღვდელმა მწარედ გაიღიმა ტუჩის მხოლოდ ერთი კუთხის ამრეზით. - და ეს გართობთ?

- ეს სამოთხეა! - წამოიძახა გრენგუარმა და აღტაცებული ქანდაკებისკენ დაიხარა, - თქვენ არ მიგაჩნიათ, რომ ამ ბარელიეფის მეტამორფოზები დიდი ოსტატობით, დახვეწილობითა და გულმოდგინედ არის შესრულებული? შეხედეთ, რომელი სვეტის ირგვლივ გინახავთ საჭრეთლით ამაზე უფრო სათუთად და სიყვარულით ამოკვეთილი ქვის ფოთლები? აგერ ჟან მაიელვენის სამი რელიეფი. ესე-

---

[1] *„სახელდობრ: ჭამაში, სმაში, ძილში, სიყვარულში, ყველაფერში საჭიროა თავშეკავება“.*

ნი ამ დიდი გენიოსის ყველაზე უკეთესი ქმნილებები როდია. მიუხედავად ამისა, გულუბრყვილობა, სახეთა სინაზე, მხიარული, ბუნებრივი პოზები, დახვეწილი მოფარდვა, ენით აუწერელი და აუხსნელი მშვენიერება, რაც მის ნაკლოვანებებშიც კი ჩანს, ამ პატარა ქანდაკებებს, შესაძლოა, ზედმეტ მხიარულებას, სიცოცხლესა და სინატიფეს ანიჭებს. განა არ ფიქრობთ, რომ იგი ფრიად თავშესაქცევია?

- ჰო, რა თქმა უნდა! - მიუგო მღვდელმა. - ახლა იმ ეკვდერს აღარ იკითხავთ! - აღფრთოვანებით განაგრძო ყბედმა პოეტმა, - ყველგან ვხვდებით კომბოსტოს ფოთლებივით დახვეულ ქანდაკებას. ხოლო თაღედი იმისთანა მოკრძალებას აღძრავს და თავისებურია, რომ სხვაგან ამგვარი არასოდეს არაფერი მინახავს!

მამა კლოდმა გააწყვეტინა.

- მაშ, თქვენ ბედნიერი ხართ?

გრენგუარმა გაცხარებით უპასუხა:

- ვფიცავ პატიოსნებას, ბედნიერი ვარ, ჯერ ქალები მიყვარდა, მერე ცხოველები; ახლა ქვები მიყვარს. ისინი ისევე თავშესაქცევია, როგორც ცხოველები და ქალები, ოღონდ ნაკლებად მუხანათი. მღვდელმა შუბლზე ხელი მიიდო. ეს მისი ჩვეულებრივი მოძრაობა იყო. - მართლა?

- ოღონდაც! - თქვა გრენგუარმა, - ფრიად სასიამოვნოა! - მღვდელს მკლავზე ხელი მოჰკიდა და „ეპისკოპოსის სამსჯავროს“ კოშკურის კიბესთან მიიყვანა.

- აი, კიბე! - განაგრძო პოეტმა. - ყოველთვის, როცა კი ამას ვუყურებ, ბედნიერი ვარ. ეს პარიზში ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და იშვიათი კიბეა. ყველა მისი საფეხური საუკეთესო ფილებისგან გამოუთლიათ. თითოეულ მათგანს ერთი ფუტი სიგანე აქვს, ერთმანეთშია ჩაწნული, ჩაჭედილი, ჩაწყობილი, შეკრულ-შეკავშირებული, მი-

სადაგებული, ჩარჩოში ჩასმული და ჩამჯდარი, თითქოს ერთმანეთს კბილებით ჩაფრენიანო.

- და თქვენ მეტი არაფერი გსურთ?

- არა.

- არაფერს ნანობთ?

- არც მსურს და არც ვნანობ. მე მოვაგვარე ჩემი ცხოვრება.

- რასაც ადამიანები აგვარებენ, გარემოებანი შლიან და ფუშავენ, - თქვა კლოდმა. - მე პირონის[1] მიმდევარი ვარ, - უპასუხა გრენგუარმა, - და ყველგან წონასწორობას ვიცავ. - თავს რითი ირჩენ, სარჩოს როგორ შოულობ?

- დროდადრო ტრაგედიებს ვწერ. მაგრამ უფრო მეტ შემოსავალს მაძლევს ხელობა, რომელსაც თქვენ იცნობთ, მეტრ, კბილებით სკამებს დავატარებ.

- ტლანქი ხელობაა ფილოსოფოსისთვის.

- აქაც კვლავ წონასწარობას ვიცავ, - თქვა გრენგუარმა. - როცა ადამიანს ერთი აზრი აქვს, მერე იმას ყველაფერში ნახულობს.

- ეს კარგად ვიცი, - უპასუხა არქიდიაკონმა. მცირე დუმილის შემდეგ მღვდელმა განაგრძო: - მაინც საკმაოდ საბრალო შესახედაობა გაქვთ.

- საბრალო, დიახ, მაგრამ არა უბედური!

ამ დროს ქვაფენილზე მძაფრად გაისმა ცხენების თქარათქური და ორივემ დაინახა, როგორ ჩაიარა ქუჩის ბოლოს მწყობრად შუბშემართულმა მეფის რაზმის ათეულმა. წინ კაპიტანი მიუძღოდა. - როგორ მიაცქერდით იმ კაპიტანს! - უთხრა გრენგუარმა არქიდიაკონს. - მგონი, ვიცნობ.

- რა ჰქვია?

---

[1] *ბერძენი ფილოსოფოს-სკეპტიკოსი (ძვ. წ. IV ს.) - ამტკიცებდა, რომ ბედნიერება სულიერ უშფოთველობაშია.*

- მგონი, - მიუგო კლოდმა, - ფებუს დე შატოპერი უნდა ერქვას. - ფებუს! იშვიათი სახელია! არსებობს კიდევ ერთი ფებუსი, გრაფი დე ფუა. მახსოვს, ერთ გოგოს ვიცნობდი, სულ ფებუსის სახელს ფიცულობდა.

- წავიდეთ, - უთხრა მღვდელმა, - რაღაც მაქვს სათქმელი.

მას შემდეგ, რაც რაზმმა ჩაიარა, არქიდიაკონს ნიღაბივით გაყინულ სახეზე ერთგვარი მღელვარება ემჩნეოდა. იგი წინ წავიდა. გრენგუარიც მიჰყვა, რადგან მიჩვეული იყო მისდამი მორჩილებას, ისე როგორც ყველა, ვისაც კი ერთხელ მაინც ჰქონია ამ გავლენიან ადამიანთან ახლო ურთიერთობა. მათ ჩუმად მიაღწიეს უკაცრიელ ბერნარდინელთა ქუჩას. აქ მამა კლოდი შეჩერდა. - რა გნებავდათ გეთქვათ, მეტრ? - ჰკითხა გრენგუარმა.

- როგორ გგონიათ, - ღრმად ჩაფიქრებული იერით დაიწყო ლაპარაკი არქიდიაკონმა, - განა იმ ცხენოსანთა ტანისამოსი, ახლა რომ ვნახეთ, თქვენსა და ჩემს ტანსაცმელზე უფრო ლამაზი არ არის? გრენგუარმა თავი გააქნია.

- სიმართლე გითხრათ, სინდისს ვფიცავ, ჩემი ყვითელ-წითელი ქურთუკი მირჩევნია მაგ რკინისა თუ ფოლადის აღჭურვილობას. დიდი სიამოვნება კია სიარულის დროს კაცი ისეთ ჟღარუნსა და ხმაურს ტეხდეს, როგორც რკინა-კავეულობის ფარდული მიწისძვრის დროს. - მაშ, გრენგუარ, არასოდეს აღგძვრიათ შური ამ აბჯარასხმული ვაჟკაცების მიმართ? - როგორ თუ შური, მუსიე არქიდიაკონო! რაზე, რისთვის? მათი ძალის, მათი აბჯრის, საჭურვლის, თუ მათი დისციპლინის გამო? მაგას სჯობია ფილოსოფია და დამოუკიდებლობა, თუნდაც კაცს ძონძები ეცვას. მირჩევნია ბუზის თავი ვიყო, ვიდრე ლომის კუდი. - უცნაურია, - თქვა ჩაფიქრებით მღვდელმა. - ლამაზი სამოსი მაინც კარგია. გრენგუარმა შენიშნა, მისი თანამოსაუბრე ფიქრებში გაერთო, მიატოვა და ერთ-ერთი სახლის ჭიშკრის

ცქერით ტკბებოდა. მერე დაბრუნდა, ხელი ხელს შემოჰკრა და თქვა:
- თქვენ ყოველთვის ნაკლებად გიტაცებდათ სამხედრო მოხელეთა სამოსი, გთხოვთ, წამოდით და იმ კარს შეხედეთ. ყოველთვის ვამბობდი, მუსიე ობრის სახლის ჭიშკარი ამქვეყნად ყველაზე დიდებულია-მეთქი.

- პიერ გრენგუარ, - მიმართა არქიდიაკონმა, - სადაა პატარა ბოშა ქალი? - ესმერალდა? რა მკვეთრად ცვლით საუბრის თემას?

- განა ის თქვენი ცოლი არ იყო?

- დიახ, დამსხვრეული დოქის წესით, ოთხი წლით დაგვაქორწინეს. მართლა, რაკი სიტყვამ მოიტანა, - დაურთო გრენგუარმა და თან, ცოტა არ იყოს, ეშმაკურად შეხედა არქიდიაკონს, - თქვენ კიდევ ფიქრობთ მასზე?

- განა თქვენ აღარ გადარდებთ ის?

- მცირედ. იმდენი საქმე მაქვს!.. ღმერთო ჩემო, რა ლამაზი იყო პატარა თხა! - განა იმ ბოშა გოგონამ არ იხსნა თქვენი სიცოცხლე?

- ღმერთმანი, მართალია.

- მერედა, თვითონ მას რა დაემართა?

- არ ვიცი, რა გითხრათ, მგონი, ჩამოახრჩვეს.

- ასე გგონიათ?

- დარწმუნებული არ ვარ. საქმე სახრჩობელამდე რომ მივიდა, მაშინვე განზე გავდექი. - სულ ეს არის, რაც თქვენ იცით?

- მოიცათ! მითხრეს, ღვთისმშობლის ტაძარს შეაფარა თავი და იქ უსაფრთხოდ არისო. ეს ძალიან მახარებს, მაგრამ აქამდე ვერ გავარკვიე, თხაც გადარჩა თუ არა. - მე უფრო მეტს მოგახსენებთ, - შესძახა მამა კლოდმა და დაბალი, ნელი, თითქმის ყრუ ხმა უცებ მგრგვინავი გაუხდა. - მან მართლაც ღვთისმშობლის ტაძარს შეაფარა თავი. მაგრამ სამი დღის შემდეგ მართლმსაჯულება იქიდან წაიყ-

ვანს და გრევის მოედანზე ჩამოახრჩობს. უკვე არსებობს უმაღლესი სასამართლო პალატის დადგენილება.

- ეს საწყენია, - თქვა გრენგუარმა.

თვალის დახამხამებაში მღვდელს გულგრილი და მშვიდი გამომეტყველება დაუბრუნდა. - რომელ ქაჯსა და ეშმაკს მოუვიდა თავში აზრად, - დაიწყო პოეტმა, - შუამდგომლობა აღეძრა, რათა მისი ხელახალი შეპყრობის დადგენილება გამოეტანათ? განა არ შეიძლებოდა სასამართლო არ შეეწუხებინათ? ვინ დაზარალდა იმით, რომ საბრალო გოგომ თავშესაფარი იპოვა? - ასეთი ტარტაროზებიც არიან ამქვეყნად, - მიუგო არქიდიაკონმა. - ყოველივე ეს ჯოჯოხეთური ბოროტებითაა მოწყობილი, - თქვა გრენგუარმა. არქიდიაკონმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ წამოიწყო: - მაშ, მან იხსნა თქვენი სიცოცხლე? - დიახ.

- ნუთუ არაფერი გსურთ მისთვის გააკეთოთ?

- დიდი სიამოვნებით, მამა კლოდ. მაგრამ ვთქვათ, ანაზდად უხეირო საქმეში გავება? - რა მოხდა მერე?

- ერიჰა! რა მოხდაო? ადვილია ეგრე ლაპარაკი, მეტრ! მე ორი თხზულება დავიწყე. მღვდელმა შუბლზე ხელი იტკიცა. მიუხედავად მოჩვენებითი სიმშვიდისა, დროდადრო შინაგან კრუნჩხვებს მისი მძაფრი მოძრაობა ამჟღავნებდა: - როგორ უნდა გადავარჩინოთ? გრენგუარმა მიუგო: - მეტრ, ღმერთია ჩვენი იმედი.

- როგორ გადავარჩინოთ? - გაიმეორა ჩაფიქრებულმა კლოდმა. გრენგუარმა შუბლზე მიირტყა ხელი. - მისმინეთ, მეტრ. დიდი წარმოსახვის უნარი არ მაქვს, მაგრამ ვიპოვით გამოსავალს. მეფეს შეწყალება რომ ვთხოვოთ?

- ლუი XI და შეწყალება?!

- რატომაც არა?

- აბა მიდი და ვეფხვს ძვალი აართვი!

გრენგუარი ახალი ხერხის ძებნას შეუდგა.

- კეთილი! ინებეთ! გნებავთ ბებიაქალებს დავაწერინებ, რომ ქალი ფეხმძიმედაა? ამან მღვდელს ჩაცვივნული თვალები აუნთო.

- ფეხმძიმე! არამზადავ! განა შენ ამის რაიმე გაგეგება? - მისი სახის გამომეტყველებამ გრენგუარი შეაშინა, ამიტომ სასწრაფოდ უპასუხა: - ოჰ! არა, არაფერი ვიცი! ჩვენი ქორწინება ნამდვილი foris maritagium[1] იყო. მე არაფერ შუაში ვარ, განზე ვდგავარ, მაგრამ ასე ვადის გადადებას შევძლებდით.

- ეგ სიგიჟეა! ურცხვობაა! გაჩუმდი!

- ტყუილად ჯავრობთ, - ჩაიბუზღუნა გრენგუარმა, - ვადის გადადებას შევძლებდით; ეს არავის დააზარალებდა, ხოლო საცოდავი ბებიაქალები ორმოც პარიზულ დინარს იშოვიდნენ. მღვდელი არ უსმენდა.

- ამასთან საჭიროა, რომ იგი იქიდან გამოვიდეს! - ბუტბუტებდა ხუცესი. - დადგენილება სამ დღეში უნდა შესრულდეს. თუნდ დადგენილებაც არ არსებობდეს, რას უზამ კვაზიმოდოს! ქალებს ისეთი წამხდარი გემოვნება აქვთ! - მან ხმას აუწია: - მეტრ პიერ, მე ყველაფერი კარგად მოვიფიქრე. მის გადასარჩენად მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს.

- რომელი? მეტს ვერ ვხედავ.

- მისმინეთ, მეტრ პიერ, გახსოვდეთ, რომ თქვენ მისგან სიცოცხლით ხართ დავალებული. ჩემს აზრს გულწრფელად გეტყვით. ეკლესიას დღე და ღამე დარაჯობენ. იქიდან მხოლოდ იმას უშვებენ, ვინც გარედან შესული ნახეს. მაშასადამე, თქვენ შეგიძლიათ შეხვიდეთ. თქვენ მოხვალთ. მე მასთან შეგიყვანთ. ტანსაცმელს გაუცვლით. ის თქვენს ქურთუკს ჩაიცვამს, თქვენ მის კაბას. - აქამდე ყვე-

[1] *ფიქტიური ქორწინება.*

ლაფერი კარგად მიდის, - შენიშნა ფილოსოფოსმა, - მერე? - მერე? ის გამოვა თქვენი ტანსაცმლით, თქვენ იქ დარჩებით მისი ტანსაცმლით. შესაძლებელია, თქვენ ჩამოგახრჩონ, მაგრამ ის გადარჩება.

გრენგუარმა ფრიად სერიოზული სახით ყური მოიფხანა.

- ხედავ! - თქვა მან, - აი, აზრი, რომელიც მე არასოდეს მომივიდოდა თავში. მამა კლოდის მოულოდნელი წინადადების გამო პოეტს კეთილი სახე უცბად მოეღუშა. - ჰოდა, რას იტყვი ჩემს ხერხზე, გრენგუარ?

- იმას ვიტყვი, ჩემო მოძღვარო, რომ „შესაძლებელია“ კი არა, დანამდვილებით ჩამომახრჩობენ. - ეს ჩვენ არ გვეხება.

- აი, ახალი ჭირი! - თქვა გრენგუარმა. - მან იხსნა თქვენი სიცოცხლე, თქვენ ვალს მოიხდით. - სხვაც ბევრი მაქვს ვალი, მაგრამ არ ვიხდი!

- მეტრ პიერ, ეს აუცილებელია. - არქიდიაკონი მბრძანებლური კილოთი ლაპარაკობდა. - მისმინეთ, მამაო კლოდ! - უპასუხა სრულიად გაოგნებულმა პოეტმა. - თქვენ თავს მახვევთ აზრს, მაგრამ არ ხართ მართალი. მე ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ უნდა ჩამოვახრჩობინო თავი სხვის მაგიერ.

- რა არის, ასე რომ ებღაუჭებით სიცოცხლეს, რა გაკავშირებთ ამ ცხოვრებასთან. - აჰ! ათასი მიზეზი?

- რომელი? ხომ არ ინებებდით მოგვახსენოთ?

- რომელიო? ჰაერი, ცა, დილა, საღამო, მთვარის შუქი, ჩემი კეთილი მეგობრები - მაწანწალები, გოგოებთან ფლირტი, პარიზის მშვენიერი ხუროთმოძღვრების შესწავლა, ჯერ კიდევ დასაწერი სამი სქელტანიანი წიგნი. რა ვიცი, განა ცოტა რამ არის? ანაქსაგორა ამბობდა: ამქვეყნად იმიტომ ვცხოვრობ, მზის ცქერით დავტკბეო. მე ბედნიერება მხვდა წილად, მთელი დღეები გავატარო გენიოს ადამიანთან, ე.ი. საკუთარ თავთან, რაც ფრიად სასიამოვნოა! - ამ თა-

ვისგან ჟღარუნა ეჟვანი თუ გაკეთდებოდა! - ჩაიბუზღუნა არქიდი აკონმა. - ეჰ! ერთი მითხარი, ასე მოხიბლული რომ ხარ სიცოცხლით, ვინ შეგინარჩუნა ეგ სიცოცხლე? ვის წინაშე ხარ ვალდებული იმით, რომ სუნთქავ ამ ჰაერს, უცქერ ამ ცას, რომ ტოროლას ჭკუა სისულელეების როშვით გაირთო. უიმისოდ, უესმერალდოდ სად იქნებოდი? გინდა ის მოკვდეს, ვისი წყალობითაც ცოცხალი ხარ? მოკვდეს მშვენიერი, ნაზი, სათუთი, სათაყვანებელი ქმნილება, აუცილებელი, გარდაუვალი სინათლე ქვეყნიერებისა, თვით ღმერთზეც უფრო ღვთაებრივი! შენ კი, ნახევრად ბრძენო და ნახევრად შეშლილო, მცენარის მაგვარო რაღაცავ, რომ გგონია დადიხარ და ფიქრობ, შენ უნდა იცოცხლო იმ სიცოცხლით, რომელიც მას მოჰპარე, შუადღისას ანთებული სანთელივით უსარგებლოვ! გამოიჩინე მცირეოდენი სიბრალული, გრენგუარ! იყავი დიდსულოვანი. მან პირველმა გიჩვენა საამისო მაგალითი.

მღვდელი ცხარობდა. გრენგური ჯერ გულგრილად უსმენდა, შემდეგ გული მოულბა და ბოლოს ტრაგიკული გამომეტყველება მიიღო, სახეზე მკვდრისფერი დაედო. - თქვენ პათოსით ლაპარაკობთ! - უთხრა პოეტმა და ცრემლი შეიმშრალა. - კეთილი! მოვიფიქრებ. უცნაური აზრი კი მოგივიდათ თავში. ბოლოს,- განაგრძო მან დუმილის შემდეგ, - ვინ იცის? იქნებ არც ჩამომახრჩონ. ყოველთვის ის როდი ირთავს ცოლს, ვინც ინიშნება. როდესაც თავშესაფარში მნახავენ სასაცილოდ მორთულს, კაბითა და ქალის თავსახვევით, შეიძლება სიცილიც წასკდეთ. მერე რა, კიდეც რომ ჩამომკიდონ, თოკით სიკვდილი იმ ბრძენის ღირსი სიკვდილია, ვინც მთელი სიცოცხლე მერყეობდა; ისეთი სიკვდილია, რომელსაც ყოყმანის და გაუბედაობის დაღი აზის; იგი ფილოსოფოსის სიკვდილია, რაც, შესაძლოა, განგებით წინასწარ მიწერია. დიდებულია მოკვდე ისე, როგორც გიცხოვრია!

მღვდელმა შეაწყვეტინა:

- ამრიგად, შევთანხმდით?

- ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, რა არის სიკვდილი? - აღტაცებით განაგრძო გრენგუარმა. - უსიამოვნო წამი, საგზაო ბაჟი, გადასვლა უმნიშვნელო, მცირე რაობიდან არარაობაში. ვიღაცამ ჰკითხა კერკიდასს, „სიამოვნებით კვდები?“ „რატომაც არა? - უპასუხა მან; - სიკვდილის შემდეგ დიდ ადამიანებს ვნახავ“.

არქიდიაკონმა ხელი გაუწოდა.

- მაშ გადაწყვეტილია? ხვალ მოხვალ.

ამ ხელის გაწვდენამ გრენგუარი სინამდვილეს დაუბრუნა.

- აჰ, არა, ნამდვილად არა! - ისეთი კილოთი თქვა, თითქოს ძილიდან გამოერკვაო, - რაო? ჩამომახრჩონ! დიდი უაზრობაა! არ მინდა.

- მაშ, მშვიდობით! - უთხრა არქიდიაკონმა დუდუნით: - გნახავ! „არ მინდა ამ წყეულმა კაცმა მნახოს,“ - გაიფიქრა გრენგუარმა და კლოდს გამოეკიდა. - მისმინეთ, პატივცემულო არქიდიაკონო! ძველ მეგობართა შორის ჩხუბი არ იქნება! თქვენ ჩაერიეთ ამ ქალის, ე.ი. ჩემი ცოლის საქმეში, კეთილი! სამხედრო ეშმაკობა მოიგონეთ იმისთვის, რომ ღვთისმშობლის ტაძრიდან უვნებლად გამოვიყვანოთ, მაგრამ თქვენი ხერხი უაღრესად უსიამოვნოა ჩემთვის, გრენგუარისთვის. მე თუ ჩემი ხერხი მაქვს? გაფრთხილებთ, ამ წუთს ფრიად ნათელი ზეშთაგონება გამიჩნდა. რას იტყვით, თუ შემოგთავაზებთ იმ ქალის განსაცდელიდან გამოხსნის ისეთ გზას, რომ არც ჩემი კისერი ჩავარდება საფრთხეში და არც მარყუჟში გამაყოფინებენ თავს? რას იტყვით ამაზე? ნუთუ ამას არ დასჯერდებით? ნუთუ აუცილებელია ჩემი ჩამოხრჩობა, რომ თქვენ კმაყოფილი დარჩეთ?

მღვდელი მოუთმენლობისგან ანაფორაზე ღილებს იგლეჯდა.

- ენაჭარტალა, სიტყვათა ღარო! აბა, რა გზა მოძებნე?

- დიახ, - განაგრძო გრენგუარმა საკუთარ თავთან საუბარი და თან საჩვენებელი თითი ღრმა ჩაფიქრებულობის ნიშნად ცხვირზე მიიდო, - დიახ, ასეა! მაწანწალები ვაჟკაცები არიან. ბოშათა ტომს იგი უყვარს. ისინი პირველ დაძახებაზევე წამოიშლებიან, ამაზე ადვილი არაფერია! მოულოდნელი თავდასხმა. არეულობის დროს ადვილი იქნება მოტაცება! თუნდაც ხვალ საღამოს... ისინი ბევრს არ მახვეწნინებენ, გაუხარდებათ კიდეც.

- ხერხი, საშუალება! თქვი! - უთხრა მღვდელმა და თან შეანჯღრია. გრენგუარი მედიდურად მიუბრუნდა:

- მაცალეთ-მეთქი. თქვენ კარგად ხედავთ, რომ მე ვთხზავ, ვაზროვნებ. - კიდევ რამდენიმე წუთს იფიქრა, შემდეგ თვითონვე დაუკრა ტაში თავის ნაფიქრალს და წამოიძახა: - საუცხოოა! უთუოდ წარმატება გვექნება!

- ხერხი, საშუალება! - გაბრაზებით შეუძახა მღვდელმა.

გრენგუარს სახე უბრწყინავდა და ხმადაბლა უთხრა:

- ეს მართლაც გაბედული ხრიკია, რომელიც ყველას გვიხსნის გაჭირვებიდან. ღმერთმანი! უნდა დამეთანხმოთ, სულელი არა ვარ. - უცებ შეჩერდა, რაღაც გაახსენდა. - ერთი მითხარით, პატარა თხაც იმ ქალთანაა?

- დიახ. ეშმაკსაც წაუღიხარ!

- ალბათ, მასაც ჩამოახრჩობენ, არა?

- მერე, მე რა მენაღვლება?

- დიახ, იმასაც ჩამოახრჩობენ. გასულ თვეს ნეზვი ჩამოახრჩვეს. ქონდაქარსაც ეს უნდა. შემდეგ ხორცს მიირთმევს. ჩემი კოხტა ჯალი ჩამოახრჩონ! საბრალო პაწია თიკანი! - შეჩვენებულო! - შესძახა მამა კლოდმა. - ჯალათი შენ თვითონ ხარ. მითხარი, გაიძვერავ, გამოხსნის რა ხერხი მოიგონე? მაშებით ხომ არ ამოგგლიჯონ ეგ შენი იდეა? - კმარა, დამშვიდდით, მოძღვარო! აი, იდეაც. - გრენგუარი

არქიდიაკონის ყურისკენ გადაიხარა და მეტისმეტად დაბალი ხმით რაღაცას ეუბნებოდა, თანაც მოუსვენრად ათვალიერებდა ქუჩას, თუმცა კაცის ჭაჭანება არ იყო. როდესაც დაამთავრა, კლოდმა ხელი ჩამოართვა და ცივად უთხრა: - კარგი, ხვალამდე. - ხვალამდე, - გაიმეორა გრენგუარმა. მაშინ როდესაც არქიდიაკონი ერთ მხარეს წავიდა, ის მეორე მხარეს გაემართა და თავისთვის ჩაილაპარაკა: - ეს თამამი გადაწყვეტილებაა, მუსიე პიერ გრენგუარ. მაგრამ არა უშავს, სულ ერთია. რაკი პატარა ადამიანები ვართ, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ დიდ საქმეს შევუშინდებით. ბიტონმა მხრებით უზარმაზარი ხარი მოათრია! მზეწვიები, კიოტები და იადონები ოკეანეს სერავენ.

10.2. გახდით მაწანწალა!

მონასტერში რომ დაბრუნდა, არქიდიაკონს თავის სენაკის კართან თავისი ძმა ჟან-მეწისქვილე დახვდა. ლოდინისგან დაღლილს ნახშირი აეღო და კედელზე თავისი ძმის პროფილს ხატავდა. უზომოდ დიდი ცხვირი დაეხატა. მამა კლოდმა ძმა ძლივს შეამჩნია. სულ სხვა საზრუნავი ჰქონდა. ძმის მხიარულ სახეს ხშირად გაუხსნია მღვდლის პირქუში გამომეტყველება, მაგრამ ახლა ვეღარაფერი გაფანტავდა მის აყროლებულ სულში დაგუბებულ ნისლს.

- ჩემო ძმაო, - მიმართა მოკრძალებით ჟანმა, - თქვენს სანახავად მოვედი. არქიდიაკონს არც შეუხედავს. - მერე?

- ჩემო ძმაო, - განაგრძო პირმოთნემ, - ისეთი კეთილი ხართ, ისეთ კარგ რჩევას მაძლევთ ხოლმე, რომ ყოველთვის თქვენთან მოვდივარ.

- შემდეგ?

- ვაი, რომ მართალი ბრძანდებოდით, ჩემო ძმაო, როცა მეუბნებოდით: - ჟან! Cessat doctorum doctrina, discipulorum disciplina[1]. ჟან, იყავი გონიერი, ისწავლე, ნუ გაათევ ღამეს კოლეჯის გარეთ არასაპატიო მიზეზით და მასწავლებლის უნებართვოდ. ნუ სცემ პიკარდიელებს, ნუ წახდები უწიგნური ვირივით. ჟან, დაემორჩილე მასწავლებლის სასჯელს. ჟან, ყოველ საღამოს მიდი ეკლესიაში და იგალობე და წაიკითხე ლოცვანი... ვაი, რა ჩინებული რჩევა-დარიგება იყო! - მერე?

- ძმაო ჩემო, თქვენ უყურებთ დამნაშავეს, ცოდვილს, ბილწს, გარყვნილს, თავგასულს! ძვირფასო ძმაო, ჟანმა ყველა თქვენი რჩევა-დარიგება ჩალად და ნეხვად აქცია, ფეხით გათელა. ამიტომაც მკაცრად დავისაჯე და მოწყალე ღმერთი ნამდვილად მართალია. სანამ ფული მქონდა, ვქეიფობდი, ვგიჟობდი, მხიარულ ცხოვრებას ვეწეოდი. ოჰ! რა მიმზიდველია გარყვნილება, მაგრამ რა გონჯი და ულაზათოა, მეორე მხრივ! ჩემი პერანგი და პირსახოციც კი გავყიდე. გათავდა მხიარული ცხოვრება! მშვენიერი სანთელი ჩაქრა და ხელთ შემრჩა საზიზღარი ქონის პატრუქი, ცხვირში რომ მიხრჩოლავს. გოგოები დამცინიან. მარტო წყალსღა ვსვამ. სინდისი და მოვალეები მაწუხებენ. - დასკვნა? - ჰკითხა არქიდიაკონმა.

- ძვირფასო ძმაო, მინდა დავდინჯდე, უკეთესი ცხოვრება დავიწყო. ვინანიებ, ვაღიარებ, გულმკერდში ვიცემ მუშტებს. სრულიად მართალი ბრძანდებოდით, როცა გსურდათ ხარისხი მიმეღო და ტორშის კოლეჯის დამრიგებლის თანაშემწე გავმხდარიყავი. აი, ახლა თვითონ ვგრძნობ, რომ ესაა ჩემი ნამდვილი მოწოდება. მაგრამ კალამი, ქაღალდი, წიგნები არ მაქვს, მელანი დამიშრა, საჭიროა

[1] *ქრება განსწავლულობა კაცთა, სწავლა მოსწავლეთა.*

ყიდვა. ძალიან მჭირდება ცოტა თანხა და თქვენთან მოვედი ძმაო ჩემო, სინანულით სავსე გულით. - სულ ეგაა?

- დიახ, - მიუგო სტუდენტმა, - მცირეოდენი ფული.

- არ მაქვს. - მაშინ ჟანმა გაბედულად, რიხით უთხრა: - მაშ, კარგი! ასე იყოს, ჩემო ძმაო! თუმცა ძალიან მწყინს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ სხვები უფრო ხელსაყრელ წინადადებებს მთავაზობენ. თქვენ არ გსურთ, ფული მომცეთ? არა? მაშინ მაწანწალა გავხდები. ამ საზარელ სიტყვას რომ ამბობდა, აიაქსის გამომეტყველება მიიღო, თითქოს თავზე მეხის დაცემას ელოდა. არქიდიაკონმა კი ცივად უპასუხა: - გახდით მაწანწალა! ჟანმა მდაბლად დაუკრა თავი და სტვენით დაეშვა მონასტრის კიბეზე. როდესაც ძმის სენაკის სარკმელქვეშ გაიარა, გაიგო, როგორ გაიღო ფანჯარა, მაღლა აიხედა. ღია სარკმელში არქიდიაკონის სასტიკი სახე გამოჩნდა.

- ეშმაკთანაც წასულხარ! - მიაძახა კლოდმა, - ფულს უკანასკნელად გაძლევ. (იმავე წუთს მღვდელმა ჟანს ქისა ჩამოუგდო, ქისა შუბლზე დაეცა და დიდი კოპი დააჯდა. ჭაბუკმა ქისას ხელი დასტაცა და იქაურობას გაეცალა, ერთსა და იმავე დროს ნაწყენიცა და კმაყოფილიც.

10.3. გაუმარჯოს მხიარულებას!

საოცრებათა ეზოს ნაწილი შემოზღუდული იყო ძველი გალავნით, რომელიც გარს ერტყა ქალაქს. გალავნის კოშკების უმეტესობა იმ დროს უკვე ნგრევას იწყებდა. ერთ-ერთ მათგანში მაწანწალები დროს ატარებდნენ. ქვემო დარბაზში სამიკიტნო იყო, სხვა დანარჩენი კი ზემო სართულებში. ეს კოშკი მაწანწალათა სამეფოს ყველაზე ბილწ თავშესაყარს, დღედაღამ მოზუზუნე საზარელ გეჯას წარმოადგენდა. ღამით, როცა დანარჩენ მათხოვრებს ეძინათ და გარშემო,

მიწისფერი ფასადების ფანჯრებში სინათლე არ ენთო, ქურდების, როსკიპების, მოტაცებული ბავშვებისა თუ ნაბიჭვრების ამ ბუდეებიდან ადვილად გამოარჩევდით ამ კოშკს ხმაურითა და მეწამული სინათლით, რომელიც ერთდროულად ყველა ღრიჭოდან გამოდიოდა. დუქნის კარს ზემოთ ფირნიშის ნაცვლად მიკრული იყო ნათხუპნი რაღაც, წარწერით: „მიცვალებულთა ზართამრეკავების სამიკიტნო“. ერთ საღამოს, როდესაც პარიზის ყველა სათვალთვალო კოშკიდან სინათლის ჩაქრობის ნიშანი მისცეს, ღამის გუშაგნი საზარელ საოცრებათა ეზოში რომ შესულიყვნენ, შეამჩნევდნენ - მაწანწალების დუქანში ჩვეულებრივზე მეტი ჩოჩქოლი იყო, უფრო მეტს სვამდნენ და უარესად იგინებოდნენ. გარეთ, კარში თუ მოედანზე ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი ხალხი ერთმანეთს ხმადაბლა ესაუბრებოდა, როგორც ყოველთვის, როცა დიდ რამეს განიზრახავენ. აქა-იქ ხმაურიანი ონავრები ჩაცუცქულიყვნენ და ქვაფენილზე ჟანგიან რკინის დანებს ლესავდნენ. სამიკიტნოში კი ღვინოსა და თამაშში ჩართული მაწანწალებისგან ძნელად თუ გაიგებდით, რაზე ლაპარაკობდნენ, შეამჩნევდით, რომ მათ ჩვეულებრივზე უფრო მხიარული სახეები ჰქონდათ და თითოეულს მუხლებს შორის რომელიმე იარაღი უელავდა: სასხლავი, ცული, ფართო ორპირი მახვილი ან ძველი სიათა. მრგვალ, დიდ დარბაზში მაგიდები ისე მჭიდროდ მიეწყოთ, დუქანში მსმელი თუ მძინარე, მოთამაშე თუ დამკვრელი, ხეიბარი თუ ჯანმრთელი ერთმანეთში არეულ-დარეული და დახორავებული ჩანდა, იმავე წესით და ჰარმონიით, როგორც ხამანწკების ნიჟარების გროვა. მაგიდებზე რამდენიმე ქონის სანთელი ენთო, მაგრამ სინათლის მთავარი წყარო, ბუხარში დანთებული დიდი ცეცხლი, იმავე როლს ასრულებდა, რასაც ჭაღი ოპერაში. დუქანი იმდენად ნესტიანი ჩანდა, რომ ბუხარში ცეცხლს არასოდეს აქრობდნენ, თვით შუა ზაფხულშიც კი. ვეებერთელა ბუხარში რკინის მძიმე ზედადგარები

ეკიდა. ნაცარში მედიდურად ჩამჯდარი დიდი ძაღლი გავარვარებული ნაკვერცხლების წინ ხორცაცმულ შამფურს ატრიალებდა. მიუხედავად არეულობისა, უამრავ ხალხში მაინც გამოარჩევდით სამი მამაკაცის ირგვლივ შემოკრებილ სამ დიდ ჯგუფს. ერთი ამ პიროვნებათაგანი რომელიც აღმოსავლური ჭრელ-ჭრელი ძონძებით გამოპრანჭულიყო, მათიას ჰუნგადი სპიკალი იყო, ბოშათა ჰერცოგი. ეს არამზადა მაგიდაზე იჯდა, ფეხები გადაეჯვარედინებინა, თითი აეწია და პირდაღებულ მსმენელებს ხმამაღლა უზიარებდა თეთრი და შავი მაგიის მეცნიერებას.

მეორე ჯგუფი კბილებამდე შეიარაღებული ბოშათა მამაცი მეფის ირგვლივ შექუჩებულიყო. კლოპენ ტრუილფუ მეტად სერიოზული სახით ხელმძღვანელობდა მის წინ ფართოდ პირდაღებული, ძირგავარდნილი და იარაღით სავსე უზარმაზარი კასრის დაცლას, საიდანაც გროვა-გროვა ცვიოდა ცულები, ხმლები, დაშნები, ჩაფხუტები, ჯავშნები, ჯაჭვის პერანგები, ფოლადის ბალთიანი აბჯრები, შუბის ბუნიკები, უბრალო და დაკუთხული ისრები. თითოეული იმას იღებდა, რაც სურდა. ბავშვებიც კი შეიარაღდნენ. ჯავშანში ჩამჯდარი კუტნი და ხეიბარნი სხვათა ფეხებს შორის უზარმაზარი ხოჭოებივით დაბობღავდნენ.

მესამე ჯგუფს, ყველაზე ხმაურიანს, მხიარულსა და მრავალრიცხოვანს სკამები და მაგიდები დაეკავებინა. მუზარადიდან დეზებამდე საჭურველასხმული ყოფილი სამხედრო გამყინავად ილანძღებოდა, მძიმე აბჯარში ისე ჩამალულიყო, რომ მხოლოდ დაწითლებული და თავხედურად მაღლა აბზეკილი ცხვირი, ქერა ქოჩორი, ვარდისფერი ტუჩები და ურცხვი თვალები მოუჩანდა. წინ ღვინით სავსე დიდი დოქი ედგა, მარჯვნივ ვიღაც სქელი, გამომწვევად ჩაცმული გოგო ეჯდა. ირგვლივ ყველა იცინოდა, სვამდა, იგინებოდა.

ამას დაუმატეთ კიდევ ოცი მეორეხარისხოვანი ჯგუფი, მომსახურე გოგონები და ბიჭები, თავზე დოქშედგმული რომ გარბი-გამორბოდნენ; კამათლებზე, შაშის კოჭებზე, ზარსა და სხვა აზარტულ გასართობზე დახრილი თუ ჩაცუცქული მოთამაშეები; ჩხუბი, კინკლაობა, ძიძგილი ერთ კუთხეში, ხვევნა-კოცნა - მეორეში, - ამ წარმოდგენას ბუხრის ცეცხლის ალი ანათებდა, რის გამოც სამიკიტნოს კედლებზე უზარმაზარი უცნაური და სასაცილო ჩრდილები ცეკვავდნენ. ამ გნიასში ბუხრისპირას სკამზე ფიქრებში გართული ჩვენი ფილოსოფოსი იჯდა; ფეხები ნაცარში გაეშოტა და თვალი მუგუზლებისთვის გაეშტერებინა.

- აბა, ჩქარა! სწრაფად დატრიალდით, შეიარაღდით! ერთ საათში გავდივართ! - ეუბნებოდა კლოპენ ტრუილფუ თავის ხალხს.

ვიღაც გოგო ღიღინებდა, ბანქოს ორი მოთამაშე ჩხუბობდა.

- სალახანავ! - იყვირა ერთ-ერთმა და მეორეს მუშტი მოუღერა. - ისეთ ჯვარს დაგაჩნევ, რომ... - უჰ, აქ ხალხი ისეა ჩაჭედილი, როგორც ქვაფენილში რიყის ქვა! - იღრიალა ვიღაცამ ნორმანდიული აქცენტით.

- ჩემო ძენო, - მიმართავდა თავის ხალხს ბოშათა ჰერცოგი გამყინავი ხმით, - ფრანგი ჯადოქრები კუდიანთა შაბათობაზე უცოცხოდ, გაუპოხავად, უვაცოდ, მხოლოდ რამდენიმე ჯადოსნური სიტყვით მიფრინავენ. იტალიელ ჯადოქრებს კართან მუდამ თხა ელოდებათ. მაგრამ ყველანი აუცილებლად ბუხრის საკვამურებიდან გადიან.

- დიდება! დიდება! - ყვიროდა ვიღაც. - დღეს პირველად ავისხი იარაღი! მაწანწალა ვარ, ვფიცავ ქრისტეს მუცელს! დამისხით, დამალევინეთ! ჩემო მეგობრებო! ჟან ფროლო-მეწისქვილეს მეძახიან. კნიაზი გახლავართ. მე იმ აზრისა ვარ, ღმერთი რომ ყოჩაღი ყოფილიყო, ყაჩაღი გახდებოდა. ძმებო, ჩვენ სახელოვან ლაშქრობას

ვაწყობთ. ჩვენ მამაცნი ვართ. ეკლესიის გარემოცვას, კარის შელეწვას, ლამაზმანის დახსნას მოსამართლეებისა და ხუცესებისგან, მონასტრის დანგრევას, ეპიკოპოსის დაწვას მისსავე ეპარქიაში, ყოველივე ამას ჩვენ უფრო ადრე გავაკეთებთ, სანამ ბურგომისტრი ერთი კოვზი წვნიანის გადაყლაპვას მოასწრებდეს. ჩვენი საქმე სამართლიანია! ჩვენ გავძარცვავთ, ავიკლებთ ღვთისმშობლის ტაძარს, მორჩა და გათავდა! კვაზიმოდოს ჩამოვახრჩობთ. იცნობთ, ქალბატონებო, კვაზიმოდოს? არ გინახავთ იგი აქოშინებული, დიდ ზარზე შემომჯდარი სამება დღეს? ჭეშმარიტად სატანის რქებია! ეს დიდებულია! იტყვით, ეშმაკი შემომჯდარა სპილენძის ხახაზეო! ჩემო მეგობრებო, მისმინეთ, ჩემი ბუნებით მაწანწალა ვარ, სულით ბოშა, ქურდად დაბადებული. ძალიან მდიდარი ვიყავი, მაგრამ შევყლაპე, რაც კი მებადა. დედაჩემს უნდოდა ოფიცერი გამოვსულიყავი, მამაჩემს - დიაკვანი, მამიდაჩემს - სასამართლოს მრჩეველი, ბებიას - მეფის პროტონოტარიუსი, პაპიდას - სამხედრო უწყების ხაზინადარი. მე კი მაწანწალა გამოვედი. ეს ამბავი მამაჩემს ვუთხარი. მან წყევლა-კრულვა დამატეხა თავს, დედაჩემმა, დარბაისელმა მოხუცმა, ტირილი დაიწყო, ის აწუწუნდა და აცრემლდა, როგორც ეს ნედლი შეშის ღერი ბუხრის ზედადგარზე. გაუმარჯოს მხიარულებას! ლამის ჭკუაზე შევიშალო! ქალო მიკიტანო, ჩემო ტურფავ, სანუკვარო, სხვა ღვინო მომიტანე! კიდევ მაოხრია რაღაც გროშები, რომ გადაგიხადო. აჩოჩქოლებული ბრბო ტაშს უკრავდა და თან ხარხარებდა. დაინახა რა ხმაური გაორმაგდაო, სტუდენტმა იყვირა: - ოჰ! რა დიდებული გნიასია! Populi de bacchantis populosa debacchatio[1]! - აღტაცებულმა თვალები დამხრჩვალივით გადმოკარკლა და მწუხრის ლოცვის კილოზე სიმღერა წამოიწყო. უცბად სიმღერა შეწყვიტა: - ქალო,

[1] *გაშმაგებული ხალხის ხალხმრავალი შმაგობა (ლათ.).*

ეშმაკის მეფუნდუკევ, ვახშამი მომიტანე! ერთი წუთით თითქმის სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს ხმას აუმაღლა ბოშათა ჰერცოგმა: - სინდიოფალას ადუინე ჰქვია, მელას - ლურჯფეხა ან ტყის მაწანწალა, მგელს - რუხფეხა ან ოქროფეხა, დათვს - ბებერი ან ბაბუა. გნომის ქუდი ადამიანს უჩინარს ხდის და უხილავ საგნებს დაანახვებს. ყოველ გომბეშოს, როდესაც ნათლავენ, წითელი ან შავი ხავერდი უნდა ჩააცვან, ერთ ეჟვანს კისერზე შეაბამენ, მეორეს ფეხებზე. ნათლიმამას თავი უჭირავს, ნათლიდედას - გავა. მარტო დემონ სიდრაგაზუმს შეუძლია შიშველი ქალები აცეკვოს.

- წირვის მადლმა! - გააწყვეტინა ჟანმა, - ვისურვებდი დემონი სიდრაგაზუმი ვყოფილიყავი. ამასობაში მაწანწალები შეიარაღებას განაგრძობდნენ და თან დუქნის მეორე მხარეს ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

- საბრალო ესმერალდა! - თქვა ერთმა ბოშამ. - ის ხომ ჩვენი დაა, იქიდან უნდა გამოვიყვანოთ. - ნუთუ ისევ ღვთისმშობლის ტაძარშია? - იკითხა ერთმა.

- დიახ, ეშმაკმა დალახვროს.

- რაღას ვუყურებთ, მეგობრებო! - შესძახა მეორემ, - გავილაშქროთ ღვთისმშობლის ტაძარზე! იქ ორი ქანდაკებაა, ერთი წმინდა იოანე ნათლისმცემლისა და მეორე წმინდა ანტონისა, ორივე ბაჯაღლო ოქროსია, წონით ორივე ერთად შვიდი ოქროს მარკა და თხუთმეტი სტერლინია, კვარცხლბეკი მოოქრული ვერცხლია და შვიდ მარკასა და ხუთ უნციას იწონის. ეს კარგად ვიცი, ოქრომჭედელი ვარ. ჟანს ვახშამი მოართვეს. ის გვერდით მჯდომი ქალის მკერდს მიეყრდნო და შესძახა: - ვფიცავ წმინდა ვულტ ლიუკელს, ვისაც ხალხი წმინდა კუდაბზიკას ეძახის, რომ სრულიად ბედნიერი ვარ. აგერ იქ, ჩემ წინ ზის ვიღაც ჩერჩეტი და ერცჰერცოგივით მიყურებს. აგერ მარცხნივ რომ ზის, ისეთი გრძელი კბილები აქვს, რომ ლამის

ნიკაპს უფარავს. მე კი, არც მეტი და არც ნაკლები, ნამდვილი მარ-შალი ჟიე ვარ. ეი, მაჰმადის ღიპო! შენ ბურთებით მოვაჭრის სიფათი გაქვს, ჩემს გვერდით კი წამოსკუპდი. მე კეთილშობილი გახლა-ვართ, მეგობარო. ვაჭრობა და კეთილშობილება შეუთავსებელია. აქედან წაეთრიე! თქვენ, ჰეი, მანდ ნუ ჩხუბობთ! როგორც ბაპტისტ ჩიტიხრამუნას, დიდებული ცხვირი გაბია, როგორ გაბედე და ამ ბრიყვის ზორბა მუშტებს დაუხვედრე! აი, სულელი! Non cuiquam datum est habere nasum[1]. შენ ჭეშმარიტად ღვთაებრივი ხარ, ჟაკე-ლინა ყურიმღრღნელო! სამწუხაროა, რომ თმა არ გაქვს. ჰეი, მე ჟან ფროლოს მეძახიან, ჩემი ძმა არქიდიაკონია. ეშმაკსაც წაუღია! ყვე-ლაფერი, რასაც გეუბნებით, სრული სიმართლეა. მაწანწალა რომ გავხდი, გულმხიარულმა სიამოვნებით ავიღე ხელი სახლის იმ ნახე-ვარზე, ჩემი ძმა რომ მპირდებოდა. ტირშაპის ქუჩაზე მამული მაქვს და ყველა ქალს ვუყვარვარ. ეს ისევე მართალია, როგორც წმინდა ელია ჩინებული ოქრომჭედელი იყო და ჩვენს დიდებულ პარიზში ხუთი ხელობის ამქარია: მეთრიმლეების, დაბაღების, მეტყავეების, ქისის ოსტატებისა და მეაბანოეებისა, ხოლო წმინდა ლავრენტი კვერცხის ნაჭუჭის კოცონზე დაწვეს. გეფიცებით, მეგობრებო, თუნდ მთელ წელიწადს არ დავლევ წიწაკის არაყს, თუ თქვენთან ვტყუ-ოდე! გოგოებო, ცხვირი მოხოცეთ ბიჭებს და სანთლებს! ქრისტევ და მაჰმადო! ამას რას ვჭამ, იუპიტერო? ეჰეი, მაჭანკალო! შენს როსკი-პებს იმიტომ არ შერჩენიათ თავზე თმა, რომ შენს ერბო-კვერცხში ყრია, ჰეი, ბებრუხანავ! მე მიყვარს მელოტი ერბო-კვერცხი. ეშმაკს მიუბია შენთვის პაჭუა ცხვირი! დიდებული დუქანია, მეძავები თმას ჩანგლებით ივარცხნიან!

---

[1] *ყველას როდი ღირსებია ჰქონდეს ცხვირი. (ლათ.).*

ეს რომ თქვა, თეფში ფილაქანზე მიამსხვრია და ღრიალით სიმღერა დაიწყო: უფლის სისხლს ვფიცავ, აღარა მაქვს რწმენა, სახლკარი, კერა. აღარც კანონის მჯერა, ვფიცავ, ნამდვილად აღარ მყავს მეფე, ვფიცავ, ნამდვილად არა მწამს ღმერთი.

ამასობაში კლოპენ ტრუილფუმ იარაღის დარიგება დაამთავრა და გრენგუარს მიუახლოვდა. პოეტი ღრმა ფიქრებსა და ოცნებაში ჩაფლულიყო, ახლა ფეხები ზედადგარზე შეეწყო. - პიერ, მეგობარო, - მიმართა ბოშათა მეფემ, - რა ეშმაკს ჩაუფიქრებიხარ ასე? გრენგუარი ნაღვლიანი ღიმილით მისკენ შემობრუნდა.

- ცეცხლი მიყვარს, ჩემო ძვირფასო მბრძანებელო. არა იმ უხამსი მიზეზის გამო, რომ ცეცხლი ფეხებს გვითბობს ან წვნიანს გვიხარშავს, არამედ ნაპერწკლების გამო. ზოგჯერ მთელ საათებს ვატარებ მათ ცქერაში. ათას რამეს აღმოვაჩენ ამ ვარსკვლავებში, რომლებითაც მოფენილია კერიის ბნელი სიღრმე. ეს ვარსკვლავები მთელი სამყაროა.

- მეხი დამეცეს, თუ რამე გამეგებოდეს! - უთხრა მაწანწალამ. - ხომ არ იცი, რომელი საათია? - არ ვიცი, - უპასუხა გრენგუარმა. მაშინ კლოპენი ბოშათა ჰერცოგს მიუახლოვდა. - მეგობარო, ჩვენ მარჯვე დრო ვერ შევარჩიეთ. ამბობენ, მეფე ლუი XI პარიზშიაო. - ეგ კიდევ ერთი საბაბია, რომ ჩვენი და მის ბრჭყალებს გამოვგლიჯოთ, - უპასუხა მოხუცმა ბოშამ.

- ვაჟკაცურად ამბობ, მათიას, - უთხრა კლოპენმა, - ამასთან, ადვილად გავართმევთ თავს. ეკლესიის მხრიდან წინააღმდეგობა არ უნდა გვაფიქრებდეს, ღვთისმსახურები ხომ კურდღლები არიან. გარდა ამისა, ძალაც ჩვენს მხარეზეა! სასამართლო პალატის მოხელენი ხვალ ძალიან იმედგაცრუებული დარჩებიან, როცა ქალის წასაყვანად მივლენ. ვფიცავ პაპის ნაწლავებს, არ მინდა, ის ლამაზი გოგო ჩამოახრჩონ! - და კლოპენი დუქნიდან გავიდა.

ამ დროს ჟანი ხრინწიანი ხმით ყვიროდა:

- მე ვსვამ, მე ვჭამ, მე მთვრალი ვარ, მე იუპიტერი ვარ! ჰეი, პიერ სულთამხუთავო, თუ კიდევ შემომხედე ასეთი თვალებით, მაგ ცხვირს სულ წკიპურტებით გადაგიბერტყავ! რაკი ფიქრი დაურღვიეს, გრენგუარმა, მყვირალა ბრბოს გადახედა და ჩაიბუტბუტა: - Uxuriosa res vinum et tumultuosa ebrietas[1]! რა კარგია, რომ არ ვსვამ და რა დიდებულად თქვა წმინდა ბენედიქტემ: Vanum apostatare facit etiam sapientes[2]! სწორედ ამ დროს კლოპენი დაბრუნდა და მქუხარე ხმით დაიძახა: - შუაღამეა! მაწანწალები - კაცი, ქალი, ბავშვი - იარაღისა და რკინეულობის ჟღარუნით დუქნიდან ჯგროდ გამოცვივდნენ.

მთვარე ღრუბლებს მიეფარა. საოცრებათა ეზო სრულმა სიბნელემ მოიცვა. სინათლე აღარსად ენთო. მაგრამ მოედანი არ დაცარიალებულა. იქ გაარჩევდით ხმადაბლა მოლაპარაკე ბრბოს. კლოპენი დიდ ქვაზე შედგა და იყვირა:

- მწკრივად დაეწყვეთ!

სიბნელეში მოძრაობა დაიწყო. კაცს ეგონებოდა, უსაზღვრო სიმრავლე ეწყობოდა მწკრივებად. რამდენიმე წუთის შემდეგ ბოშათა მეფემ კვლავ აუმაღლა ხმას: - პარიზში გავლის დროს სრული სიჩუმე დაიცავით! პაროლი ასეთია: „პატარა სატევრები ლაღობენ“. ჩირაღდნები მხოლოდ ღვთისმშობლის ტაძართან აინთება! ნაბიჯიით, იარ! ათი წუთის შემდეგ ღამის ცხენოსანი გუშაგები შეშინებული გაურბოდნენ ზარაფთა ხიდისკენ მიმავალ პირქუშ და მდუმარე პროცესიას.

---

[1] *ღვინისაგან მოდის გარყვნილება და შმაგი მხიარულება (ლათ.).*

[2] *ღვინო ბრძენთაც კი შეაცდენს (ლათ.).*

10.4. დათვური სამსახური

იმ ღამეს კვაზიმოდოს არ ეძინა. უკანასკნელად შემოუარა ეკლესიას. კარს რომ კეტავდა, ვერც კი შეამჩნია, როგორ ჩაუარა არქიდიაკონმა და როგორ გამოხატა უკმაყოფილება, როდესაც დაინახა, რა გულმოდგინედ კეტავდა კუზიანი ურდულებითა და ბოქლომებით რკინის უშველებელ მოწყობილობას. მამა კლოდს ჩვეულებრივზე უფრო შეფიქრიანებული სახე ჰქონდა. თუმცა, სენაკში მომხდარი ამბის შემდეგ კვაზიმოდოს მეტისმეტად უკმეხად ექცეოდა და ხანდახან უმიზეზოდ სცემდა კიდეც, მაგრამ ზართამრეკავის მორჩილებას, მოთმინებასა და უდრტვინველ ერთგულებას ვერაფერი არყევდა. მხოლოდ ეგ იყო, უნდო თვალს გააყოლებდა ხოლმე კოშკის კიბეზე ამავალ კლოდს, რომელიც თავად ცდილობდა, ბოშა ქალს თვალში არ მოხვედროდა. იმ ღამეს თვალი მოავლო თავის საბრალო მიტოვებულ ზარებს - ჟაკლინს, მარიას, ტიბოს და ჩრდილოეთის კოშკის წვეროზე ავიდა, სახურავზე ყრუდ დახურული სანათი დადგა და პარიზს გადახედა. ძალიან ბნელოდა. მხოლოდ სენტ-ანტუანის ჭიშკრის გვერდით ერთი მაღალი და პირქუში შენობის ზემო სართულის სარკმელში შეამჩნია სინათლე. კარგია, ერთს მაინც თუ ღვიძავსო, გაიფიქრა. ზართამრეკავი რაღაც გაუცნობიერებელ შიშს გრძნობდა. უკვე რამდენიმე დღეა ფრთხილობდა. მან შენიშნა, რომ ეკლესიის ირგვლივ განუწყვეტლივ დაყიალობდნენ ბოროტი იერსახის ადამიანები და ესმერალდას თავშესაფარს ზვერავდნენ. ფიქრობდა, ვერაგული შეთქმულება ხომ არ მზადდება უბედური შემოხიზნულის წინააღმდეგო. წარმოიდგინა, რომ ხალხს ესმერალდა ისევე სძულდა, როგორც ის და მოსალოდნელია მალე რაღაც მოხდესო. სწორედ ამიტომ დარაჯობდა მას სამრეკლოზე თავის საფარში და როგორც რაბლე ამბობს, „ოცნებობდა თავის საოცნებოში“, ერთგული

ძაღლივით საიმედოდ იდგა საგუშაგოზე და ხან საკანს დაადგამდა ცალ თვალს და ხან პარიზს, სულში კი ათასი ეჭვი და უნდობლობა უტრიალებდა.

როდესაც კვაზიმოდო ყურადღებით ჩხრეკდა უზარმაზარ ქალაქს ერთადერთი თვალით, რომელიც ბუნებას ისეთი გამჭრიახი მხედველობით დაეჯილდოებინა, რომ თითქმის უნაზღაურებდა სხვა ორგანოების ნაკლოვანებას, სანაპიროზე რაღაც მოძრაობა შეამჩნია. ყურადღება გაიორმაგა. სინათლის ნატამალი არსად იყო. მოძრაობა ერთხანს მხოლოდ სანაპიროზე შეინიშნებოდა, შემდეგ ნელ-ნელა თითქოს კუნძულის შიგნით შევიდა, მერე სულ შეწყდა, სანაპიროს ხაზი ისევ გასწორდა. ჩანდა, რაღაც გრძელი პროცესია სიტესკენ მოემართებოდა.

იმ წუთს, როდესაც კვაზიმოდო თავს ძალას ატანდა, გაერკვია, რა ხდებოდა, მოეჩვენა, რომ პროცესია ღვთისმშობლის ტაძრის მოედანზე გაიჭიმა. ბოლოს, უკუნი სიბნელის მიუხედავად, დაინახა, რომ უცებ ხალხი მოედანზე გაიშალა, რომელიც ცდილობდა წყვდიადში დამალულიყო. ამ სანახაობაში რაღაც საშინელება იმალებოდა; შესაძლოა, უცნაური რიტუალი, თუმცა რაღაც ჩქამი, თუნდაც ფეხის ხმა მაინც ხომ უნდა ყოფილიყო, მაგრამ კვაზიმოდო რას გაიგებდა?! ეს ყველაფერი მიცვალებულთა მდუმარე, კვამლში შთანთქმული აჩოჩქოლებული ბრბოს შთაბეჭდილებას ახდენდა. ეგონა, მისკენ ადამიანებით სავსე ღრუბელი მოიწევდა. ეჭვი კვლავ ბოშა ქალზე თავდასხმას დაუკავშირა. ბუნდოვნად იგრძნო, რომ საფრთხე ახლოვდებოდა. ასეთ გადამწყვეტ წუთებში ყველაფრის გონივრულად და სწრაფად მოსაზრება, სწორი არჩევანის გაკეთება, ცუდად მოწყობილი ტვინისგან არც იყო მოსალოდნელი. რა უნდა ექნა? იქნებ გაეღვიძებინა ბოშა ქალი და გაეპარებინა? მაგრამ რა გზით? საით? როგორ? ქუჩები ალყაში იყო მომწყვდეული, ერთ მხარეს მდინარე

ჩამოუდიოდა. იქ კი არც ნავი იყო და არც გასასვლელი. ერთი გზა დარჩენოდა: ღვთისმშობლის ტაძრის ზღურბლზე გმირულად დაცემულიყო, იქამდე მაინც გაეწია წინააღმდეგობა, სანამ დახმარება მოუსწრებდა, თუკი საერთოდ საიდანმე გამოჩნდებოდა. მანამდე კი ძილს არ დაურღვევს ესმერალდას. უბედური ქალი ყოველთვის მოასწრებს გაღვიძებას იმისთვის, რომ მოკვდეს. რაკი ამ გადაწყვეტილებაზე შეჩერდა, უფრო გულდამშვიდებით შეუდგა საქმის გაანალიზებას. ბრბო, როგორც ჩანდა, კარიბჭის მოედანზე ყოველ წამს იზრდებოდა. კვაზიმოდო ფიქრობდა, ალბათ, ძალიან მცირე ხმაურს ქმნის ეს ბრბო, რაკი ირგვლივ ფანჯრები არ იღებაო. უცებ შვიდი თუ რვა ანთებული ჩირაღდანი აბრიალდა ბრბოს თავზე, ცეცხლის ალები კონებად იფრქვეოდა სიბნელეში. კვაზიმოდომ გარკვევით დაინახა კარიბჭის მოედანზე ძონძებში გახვეული, შეიარაღებული ქალები და კაცები და ბუნდოვნად გაახსენდა, რომ ეს სახეები ამ რამდენიმე თვის წინ ისე ესალმებოდნენ, როგორც ქილიკების პაპს. ვიღაც მამაკაცი, ვისაც ცალ ხელში ჩირაღდანი ეჭირა, ხოლო მეორეში - კეტი, ქვის კუნძზე შეხტა და, როგორც ჩანდა, სიტყვას ამბობდა. იმავე წუთს ამ უცნაურმა არმიამ წყობა შეიცვალა, თითქოს ეკლესიას ალყას არტყამდა. კვაზიმოდო სანათს დასწვდა და ორ კოშკს შორის ბაქანზე გაჩნდა, რათა უფრო ახლოს დაეზვერა ისინი და თავდაცვისთვის მომზადებულიყო.

კლოპენ ტრუილფუ ღვთისმშობლის ტაძრის პორტალთან მივიდა, თავისი ლაშქარი საბრძოლო წესზე დააწყო. თუმცა არავითარ წინააღმდეგობას არ მოელოდა, მაგრამ, როგორც ფრთხილ მხედართმთავარს, წესრიგი უნდა დაეცვა და საჭირო შემთხვევაში პასუხი გაეცა ღამის გუშაგთა ან ბადრაგთა იერიშისთვის. მაწანწალები ეშელონებად ისე განალაგა, რომ შორი სიმაღლიდან რომაულ სამკუთხედს წააგავდა, რომლის ფუძე მოედნის სიღრმეში იდგა და

კარიბჭის ქუჩას ხერგავდა, ერთი მხარე უყურებდა ოტელ-დიეს, ხოლო მეორე - სენ-პიერ-ო-ბეფის ქუჩას. ამ ოპერაციას კლოპენ ტრუილფუ ხელმძღვანელობდა. მან გვერდში ამოიყენა ბოშათა ჰერცოგი, ჟანი და სხვა თავზეხელაღებული ბიჭები.

შუა საუკუნეების ქალაქებში იშვიათი როდი იყო ისეთი თავდასხმები, რასაც მაწანწალები უპირებდნენ ღვთისმშობლის ტაძარს. პოლიცია მაშინ არ არსებობდა. ხალხმრავალ ქალაქებში, უმეტესად, დედაქალაქებში არ მოქმედებდა წესრიგის დამცველი ერთიანი სახელმწიფო უწყება. ფეოდალური წყობილება დიდ თემქალაქებს უცნაური წესით ქმნიდა. ქალაქი წარმოადგენდა ათასობით მებატონეთა მამულების ერთობლიობას, რომელსაც ისინი როგორც უნდოდათ ისე იყოფდნენ და მართავდნენ. აქედან მოდიოდა ათასგვარი უწესრიგობაც. მაგალითად, პარიზში, ასორმოცდაერთი მამულის მფლობელის დამოუკიდებლად, რომელთაც ღალის აკრეფის უფლება ჰქონდათ, კიდევ ოცდახუთი მფლობელი იყო, სასამართლო ხელისუფლებისა და ხარკის აკრეფის უფლებით. ყველა ფეოდალი მხოლოდ ნომინალურად აღიარებდა სიუზერენის - მეფის ავტორიტეტს. ლუი XI-მ ფართო მასშტაბით დაიწყო ფეოდალიზმის შენობის ნგრევა, რაც რიშელიემ და ლუი XIV-მ განაგრძეს მეფის ხელისუფლების სასარგებლოდ და მირაბომ დაამთავრა ხალხის სასარგებლოდ. ლუი XI-მ საყოველთაო წესრიგის დასამყარებლად ორი თუ სამი მკაცრი ბრძანება გამოსცა. 1465 წელს მოქალაქეებს უბრძანეს, დაღამებისთანავე ფანჯრის რაფაზე სანთლები აენთოთ, დაემწყვდიათ ძაღლები, თორემ ურჩობის შემთხვევაში სახრჩობელაზე ჩამოკიდებდნენ.

მოქალაქეებს ეკრძალებოდათ საღამოობით ქუჩაში იარაღის ტარება. მაგრამ ცოტა ხანში ყველაფერი დაივიწყეს. იარაღის ტარების აკრძალვამ ის შედეგი გამოიღო, რომ „ყელგამოჭრილთა“ ქუჩის სა-

ხელი „კისერგამოჭრილით“ შეცვალეს, რაც აშკარა პროგრესი იყო. ფეოდალური მართლმსაჯულების ძველი ხარაჩოები ისევ ფეხზე იდგა. ქალაქში იმდენად ბევრი საოლქო და საადგილმამულო სასამართლო უწყება დაგროვდა, ერთმანეთს ავიწროებდნენ. ამ უწესრიგობასა და ქაოსში გაუგონარ შემთხვევად როდი ითვლებოდა მდაბიო ხალხის თავდასხმები სასახლეზე და ხშირად დასახლებულ უბნებზეც კი. ეკლესიებს მათი სიწმინდე იცავდა. ზოგიერთი მათგანი გამაგრებულიც იყო, თუმცა მათ რიცხვს არ ეკუთვნოდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.

როდესაც პირველი განკარგულებები დამთავრდა (კლოპენის ყველა ბრძანება სრული სიჩუმითა და სიზუსტით სრულდებოდა), ბანდის ღირსეული წინამძღოლი კარიბჭის მოაჯირზე ავიდა, ღვთისმშობლის ტაძრისკენ შებრუნდა და ხრინწიან, ბუზღუნა ხმას აუწია, თან ჩირაღდანს იქნევდა.

- ლუი დე ბომონ, პარიზელო ეპისკოპოსო, სამეფო სასამართლოს მრჩეველო, მოგმართავ მე, კლოპენ ტრუილფუ, მეფე ბოშებისა, დიდი კეისარი, თავადი, ქილიკთა ეპისკოპოსი: - ჩვენი და, ჯადოქრობისთვის უმიზეზოდ დასჯილი, თავს აფარებს შენს ეკლესიას. შენ ვალდებული ხარ, რომ მისცე თავშესაფარი და მფარველობა გაუწიო. მაგრამ სასამართლო პალატას სურს იქიდან გამოიყვანოს. მას ხვალ ჩამოახრჩობენ გრევის მოედანზე. აი, რატომ მოვედით შენთან, ეპისკოპოსო! თუ შენი ეკლესია კურთხეულია და ხელშეუხებელი, მაშინ ჩვენი დაც ხელშეუხებელია, მაგრამ თუ ჩვენი და არ არის ხელშეუხებელი, მაშინ აღარც შენი ეკლესიაა შეუვალი. ამიტომ მოვითხოვთ, დაგვიბრუნო ჩვენი და, თუ გინდა ეკლესია გადაარჩინო. არადა, ჩვენ წაგართმევთ მას და გავძარცვავთ ეკლესიას. ამის დასტურად აქ აღვმართავ ჩემს ალამს და ღმერთი იყოს შენი მფარველი, პარიზელო ეპისკოპოსო! - და ერთმა მაწანწალამ კლო-

პენს ალამი გადასცა, მან კი ზეიმით ორ ფილას შორის ჩაარჭო. იგი წარმოადგენდა ორკაპ ფიწალს, რომლის წვეროზე სისხლიანი ლეშის ნაჭერი იყო წამოცმული. - სამწუხაროდ, კვაზიმოდოს არ შეეძლო მოესმინა პირქუში და ველური მედიდურობით წარმოთქმული ეს სიტყვები.

ბოშათა მეფემ თავის მრავალრიცხოვან, მძინვარე არმიას გადახედა. წუთით შეჩერდა, შემდეგ შეუძახა: - წინ, ბიჭებო! აბა, საქმეს შეუდექით, ჩხუბისთავებო! ბოქლომმტეხელებო! მწკრივებიდან წინ წამოვიდა ოცდაათი ძალღონით სავსე, მხარბეჭიანი მამაკაცი. ხელში ჩაქუჩები და მარწუხები ეჭირათ, მხრებზე რკინის ძალაყინები გაედოთ. ისინი ეკლესიის მთავარკარისკენ გაემართნენ, საფეხურები აიარეს და მალე ისრული თაღის ქვეშ გაჩნდნენ. გარკვევით ჩანდა, როგორ ამტვრევდნენ კარს. მაწანწალების ბრბო მათ აედევნა, რომ დახმარებოდა ან ეცქირა. კარიბჭის თერთმეტივე საფეხური ხალხით იყო გაჭედილი. მთავარკარი მედგრად დაუხვდათ. - ეშმაკსაც წაუღია, ძალიან მაგარი და კერპი რამ ჩანს! - თქვა ერთმა. - სიძველისგან ხრტილები გაქვავებია, - თქვა მეორემ.

- მამაცურად, მეგობრებო! - ამხნევებდა კლოპენი, - სანაძლეოზე თავს ჩამოვდივარ ძველი ფლოსტის სანაცვლოდ, რომ თქვენ გააღებთ კარს, მოიტაცებთ ქალს, გაძარცვავთ მთავარ საკურთხეველს, სანამ თუნდაც ერთი მნათე გაიღვიძებს! უყურეთ! მგონი, ბოქლომი ჭრიალებს! კლოპენს სიტყვა საშინელმა გრუხუნმა შეაწყვეტინა, რომელიც მის ზურგს უკან გაისმა. იგი შებრუნდა. უზარმაზარმა მორმა, თითქოს ციდან ჩამოვარდაო, ათი მაწანწალა მაინც გასრისა ეკლესიის კარიბჭის საფეხურებზე, მერე ზარბაზნის ქუხილით ახტა და ქვაფენილზე გადავარდა, გზად ბრბოს აქა-იქ ფეხები შემოალეწა. შეშინებულები ყვირილით გაეცალნენ. თვალის დახამხამებაში კარიბჭისწინა მოედანი დაცარიელდა. საქმე მიატოვეს პორტალის

ღრმა თაღებით დაცულმა ბოქლომმტეხელებმაც. კლოპენმაც ტაძრიდან საკმაოდ დიდ მანძილზე დაიხია.

- კარგად კი გადავარჩი! - შეძახა ჟანმა, - ღრჭიალი დროზე გავიგონე, ვფიცავ ეშმაკის თავს! სამაგიეროდ, მან პიერ სულთამხუთავის სული დალია!

მორის ჩამოვარდნამ ავაზაკები გააოცა და შეაშინა, რამდენიმე წუთი გაშტერებული შეჰყურებდნენ ცას. მეფის ოციათასი მსროლელის გამოჩენაზე ისე არ დაიბნეოდნენ, როგორც ხის ამ ნაჭრის დანახვამ დააბნია.

- ტარტაროზია! - დაიჭექა ბოშათა ჰერცოგმა, - ამას ჯადოქრობის სუნი უდის! - მთვარემ ხომ არა გვტყორცნა ეს შეშის ღერი, - თქვა ანდრი წითურამ. - იმასაც ამბობენ, მთვარე უბიწო ღვთისმშობლის მეგობარიაო! - თქვა ფრანსუა შანტეპრიუნმა. ტაძრის მაღალ ფასადზე, რომლის წვერამდე ჩირაღდნების სინათლე ვერ აღწევდა, არაფერი ჩანდა. მძიმე მორი კარიბჭის ქვაფენილზე ეგდო. ირგვლივ უბედურთა კვნესა ისმოდა. პირველმა განცვიფრებამ რომ გაიარა, ბოშათა მეფემ ამ ფაქტს ახსნა მოუძებნა, რაც მისმა თანამებრძოლებმა შესაძლებლად მიიჩნიეს.

- ეშმაკის ხახავ, ნუთუ მღვდლები დაცვას აპირებენ? მაშინ გაძარცვეთ! აიკელით! - გაძარცვეთ! - გაშმაგებული ვაშას ძახილით იმეორებდა ბრბო და ამის საპასუხოდ მუშკეტების ზალპი გაისმა და ეკლესიის ფასადს ისრები დააყარეს. ხმაურზე მშვიდობიანმა ხალხმა გაიღვიძა. რამდენიმე სარკმელი გაიღო და ანთებული სანთლები გამოჩნდა. - ესროლეთ ფანჯრებს, - იყვირა კლოპენმა.

ფანჯრები იმწამსვე მიიხურა. საბრალო მოქალაქეებმა ძლივს მოასწრეს სუსტად განათებული და აჩოჩქოლებული სცენის ხილვა, შიშით ოფლში გაიწურნენ, ისევ ცოლებს მიაშურეს, თან საკუთარ თავს ეკითხებოდნენ, კუდიანები ხომ არ მართავენ ღვთისმშობლის

კარიბჭის მოედანზე თემობას ან ბურგუნდიელთა იერიში ხომ არ დაიწყო, როგორც 64 წელსო. ქმრები ქონების დაკარგვაზე ფიქრობდნენ, ცოლები კი გაუპატიურებაზე. ყველა შიშისგან კანკალებდა. - გაძარცვეთ! - იმეორებდნენ ბოშები, მაგრამ მიახლოებას ვერ ბედავდნენ. ხან ეკლესიას შესცქეროდნენ, ხან მორს დაჰყურებდნენ. მორი არ იძვროდა, შენობა უსიცოცხლო სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მაგრამ რაღაც ძალა ყინავდა მაწანწალებს ერთ ადგილზე. - აბა, შევუდგეთ საქმეს, ბოქლომმტეხელებო! - ყვიროდა ტრუილფუ, - გატეხეთ კარი! ადგილიდან არავინ დაძრულა.

- ეშმაკის წვერო და ღიპო! - შესძახა კლოპენმა, - ერთი ამ ვაჟკაცებს დამიხედეთ, მორის შეეშინდათ!

ერთმა მოხუცმა ბოქლომმტეხელმა სიტყვით მიმართა:

- უფროსო, ჩვენ მორი კი არ გვაშინებს, არამედ კარი, რომელიც მთლად რკინის სალტეებითა და მორებითაა შეჭედილი. მიწოლით ვერაფერს დავაკლებთ.

- მაშ, რა გჭირდება მის შესალეწად? - ჰკითხა კლოპენმა.

- რა და, ურნალი.

ბოშათა მეფემ უშველებელ მორთან მიირბინა და ფეხი დაადგა.

- აგერ, ესეც თქვენი ურნალი! თვითონ ხუცესებმა გამოგვიგზავნეს, - და დამცინავი სალამი გაგზავნა ეკლესიისკენ, - გმადლობთ, მამებო!

ამან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მორის ჯადო დაიმსხვრა. მაწანწალები ისევ გამამაცდნენ. მალე ორასმა ღონიერმა ხელმა მორი ბუმბულივით აიტაცა და გაშმაგებით დააჯახა დიდ კარს. ყოველ დარტყმაზე ნახევრად ლითონის უზარმაზარი კარი დოლის ხმას გამოსცემდა. მაგრამ არც დაძრულა, არც გაბზარულა. მთელ ტაძარში გუგუნი ისმოდა. იმავე წუთს ფასადის ზემოდან დიდრონი ქვები წვიმასავით წამოვიდა თავდამსხმელების თავებზე.

- ეშმაკმა დალახვროს! - იყვირა ჟანმა. - ნუთუ კოშკებს განუზრახავთ თავიანთი მოაჯირები თავს დაგვაბერტყონ?

კარს კიდევ უფრო მეტი გაშმაგებით ურტყამდნენ, მიუხედავად ზემოდან წამოსული ქვებისა, რის გამოც თავებს ხათქახუთქი გაუდიოდა. შესანიშნავი ის იყო, რომ ქვები თითო-თითოდ, მაგრამ ერთმანეთის მიყოლებით ცვიოდა. თითქმის ყველა ქვა მიზანში ხვდებოდა, უამრავი მოკლული და დაჭრილი სისხლისგან იცლებოდა, იკრუნჩხებოდა. მაგრამ გარემომცველნი მაინც გააფთრებით უტევდნენ და განუწყვეტლივ ავსებდნენ შეთხელებულ მწკრივებს. გრძელი მორი ზარის ენასავით მწყობრ, თანაბარზომიერ ჯახუნს განაგრძობდა კარზე. ქვები წვიმასავით ცვიოდა, კარი ჭრიალებდა. უეჭველად მიხვდით, ამ მოულოდნელ წინააღმდეგობაში, რამაც ასე გააშმაგა მაწანწალები, კვაზიმოდოს ხელი ერია. როდესაც იგი კოშკთა შორის ბაქანზე ჩამოვიდა, თავში აზრები ერეოდა. ზემოდან რომ დახედა მაწანწალების ერთად შეკუმშულ მასას, რომელიც ეკლესიაზე შეტევისთვის მზად იყო, რამდენიმე წუთს დერეფნის გასწვრივ გიჟივით იქით-აქეთ დარბოდა, ეშმაკს თუ ღმერთს ევედრებოდა, ბოშა ქალი გადაერჩინა. ერთხანს აზრად მოუვიდა სამხრეთის კოშკზე ასულიყო და საგანგაშო ზარი დაერეკა. მაგრამ სანამ ზარს გააქანგამოაქანებდა და მარია თავის ომახიან ხმას დააგუგუნებდა, ეკლესიის კარი ათჯერ მოასწრებდა დალეწვას. ეს სწორედ მაშინ იყო, როდესაც ბოქლომმტეხელები საზეინკლო იარაღებით ეკლესიის კარს მიადგნენ. რა უნდა ექნა? უცებ მოაგონდა, რომ მთელ დღეს სამხრეთ კოშკის კედლის შეკეთებაზე კალატოზები მუშაობდნენ. კვაზიმოდომ კოშკს მიაშურა. მისი ქვემო ოთახები კი სავსე იყო ტყვიის დახვეული ფურცლებით, ყავარისა და თამასების კონებით, დიდრონი კოჭებით, ღორღით, ერთი სიტყვით, მთელი არსენალით.

დრო არ ითმენდა, წამითაც არ შეიძლებოდა დაყოვნება. ქვემოთ ბოქლომმტეხელები გამალებით მუშაობდნენ. საფრთხის შეგნებამ გაათკეცებული ძალით ყველაზე მძიმე, ყველაზე გრძელი მორი აა-წევინა, ერთ-ერთ სარკმელში გაყო, შემდეგ კოშკის გარედან ხე-ლით ბაქნის მოაჯირის კუთხეზე დააცურა და დაბლა ჩაუშვა. ას სა-მოცი ფუტის სიმაღლიდან დაშვებულმა უშველებელმა მორმა კედ-ლები ჩამოფხიკა, ქანდაკებები ჩამოლეწა, ჰაერში რამდენიმეჯერ გადატრიალდა და ბოლოს ჯერ ქვაფენილზე გრუხუნით დაენარცხა, მერე ჰაერში გველივით ახტა და განზე გადავარდა. საშინელი ყვი-რილი ატყდა.

კვაზიმოდომ დაინახა, როგორ გაიფანტნენ ძელის დაცემისთანა-ვე მაწანწალები და ამით ისარგებლა. სანამ ისინი ცრუმორწმუნეობ-რივი შიშით შეპყრობილნი ციდან ჩამოვარდნილ, უზარმაზარ მორს დაჰყურებდნენ და პორტალზე წმინდანთა ქვის გამოსახულებებს თვალებში ისრებსა და საფანტს უშენდნენ, კვაზიმოდომ იმ მოაჯირ-თან, საიდანაც მორი დაუშვა, უხმაუროდ დააგროვა დიდი, ქვები, ქვიშნარი და თვით კალატოზთა ხელსაწყოებით სავსე ტომრებიც. ასე რომ, როგორც კი ქვემოთ კარიბჭეს მორით შეუტიეს, ქვა და ღორღი სეტყვასავით დააყარა; მაწანწალებს ეგონათ, ეკლესია თავ-ზე გვენგრევაო. ვინც ამ დროს კვაზიმოდოს შეხედავდა, უთუოდ შეძ-რწუნდებოდა. როცა ქვიშნარი და ღორღი გამოელია, ქვებით შე-უტია.

წარმოუდგენელი სისწრაფით იხრებოდა და სწორდებოდა.

გადმოიხრებოდა თუ არა მოაჯირზე მისი ქონდრისებური დიდი თავი, უზარმაზარი ქვა მოფრინავდა ქვაფენილისკენ, შემდეგ მე-ორე, მესამე... დროდადრო თვალს დაადევნებდა რომელიმე მძიმე ქვას და როცა მიზანს მოახვედრებდა, ღმუოდა: - უუჰ!

მაწანწალები გულს არ იტეხდნენ, მხნეობას არ კარგავდნენ. უკვე ოცჯერ ეკვეთნენ სქელ კარს, რომელიც მუხის მორის სიმძიმისგან ირყეოდა, რასაც ასი კაცის ღონე კიდევ უფრო აძლიერებდა. თითოეულ დარტყმაზე კარი უკვე ჭრიალებდა, მისი ნაჭედობანი და ჩუქურთმები აქეთ-იქით ნამსხვრევებად იფანტებოდა. კვაზიმოდოს საბედნიეროდ, კარში ხეზე მეტი რკინა იყო, მაგრამ გრძნობდა, რომ იგი ირყეოდა. თუმცა მორის ჯახუნის ხმა არ ესმოდა, მაგრამ ყოველი დარტყმა გამოძახილს ჰპოვებდა, როგორც ეკლესიის შიგნით, ისე ყრუს გულ-მუცელში. ზემოდან ხედავდა, როგორ უღერებდნენ მაწანწალები მუშტებს ტაძრის ჩაბნელებულ ფასადს ზეიმითა და გაშმაგებით. ბოშა ქალზე და თავის თავზე მოფიქრალი შურით შეჰყურებდა თავს მაღლა გუნდ-გუნდად აფრენილ ბუებს. ქვა და ღორღი საკმარისი არ იყო მომხდურთა მოსაგერიებლად. ამ დროს დაღონებულმა შენიშნა, რომ იმ მოაჯირის ცოტა ქვემოთ, საიდანაც მაწანწალებს მუსრს ავლებდა, ორი გრძელი ქვის სადინარი იწყებოდა, რომელიც უშუალოდ მთავარკარის თავზე გადიოდა და წვიმის წყალს გზას მოედნისკენ უკვალავდა. თავში რაღაც აზრმა გაუელვა. თავის ხუხულიდან ფიჩხი მოიტანა, ზედ დასტა-დასტა ყავარი და ტყვიის გრაგნილი დააყარა, სადინარის ღრუს წინ დააზვინა და სანათის ალით კოცონი გააჩაღა.

ამ დროის განმავლობაში ქვები აღარ ცვიოდა და მაწანწალებმაც შეწყვიტეს ჰაერში ყურება. ავაზაკები მგელივით, რომელსაც ტახი თავის ბუნაგში მიუმწყვდევია, ხმაურით აწვებოდნენ მორისგან დასახიჩრებულ, მაგრამ ჯერ კიდევ ფეხზე მდგარ კარს. ისინი მოუთმენლად ელოდნენ გადამწყვეტ დარტყმას, რომელიც კარს შელეწავდა. თითოეული ცდილობდა, როგორმე ახლოს ყოფილიყო, რათა, როგორც კი გაიღებოდა, პირველი შევარდნილიყო ამ უხვ, უზარმაზარ განძთსაცავში, სადაც სამი საუკუნის სიმდიდრე იყო დაგროვილი.

სიხარულისა და სიხარბისგან საღერღელაშლილნი ღმუოდნენ, ერთმანეთს შეახსენებდნენ მშვენიერ ვერცხლის ჯვარს, ფარჩის საუცხოო სამოსს, დიდებულ მოოქრულ ვერცხლის ფილებს საფლავებზე, ქოროს უხვ მორთულობას, ჩირაღდნებით გაბრწყინებულ შობას, მზის სხივებით გაკაშკაშებულ აღდგომას - ბრწყინვალე დღესასწაულების დროს ხომ საკურთხევლები შანდლებით, ლარნაკებით, უამრავი ძვირფასეულობით იყო სავსე. ცხადია, ამ წუთებში ყველა ქურდბაცაცას, გაიძვერასა თუ მატყუარას, ბოშა ქალის გათავისუფლება ნაკლებად აწუხებდა, მათ ღვთისმშობლის ტაძრის გაძარცვა უფრო აღელვებდათ. როდესაც ისინი მორის ირგვლივ შეჯგუფდნენ, სუნთქვა შეიკრეს და კუნთები დაძაგრეს, რათა საბოლოოდ მთელი ძალით დაერტყათ. კიდევ უფრო საზარელი ღრიალი გაისმა, ვიდრე მორის ჩამოვარდნის დროს და უცებ ჩაკვდა. ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაღლა აიხედა. გამდნარი ტყვიის ორი ნაკადი შენობის ზემო ნაწილიდან შუაგულ ბრბოში იფრქვეოდა. ბრბომ თითქოს ძირს ჩაიწია, მდუღარე ლითონის ქვეშ ჩაწვა. ჩამოღვრის ადგილას ხალხში ორი შავი მხრჩოლავი ღრმული გაჩნდა. ჩანდა, როგორ იკრუნჩხებოდნენ მომაკვდავნი და როგორ ღმუოდნენ ტკივილებისგან სანახევროდ დამწვარ-დანახშირებულნი. ამ ორი ნაკადის ირგვლივ საშინელი წვიმის წვეთებივით იფანტებოდა მდუღარე ლითონი და მომხდურთ თავებში ცეცხლის ბურღებივით იჭრებოდა. ისმოდა გულშემზარავი ყვირილი. როგორც გულადებმა, ისე ლაჩრებმა მორი გვამებზე მიაგდეს და აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, კარიბჭის მოედანი მეორედ დაცარიელდა.

ყველამ ეკლესიის წვეროს მიაპყრო თვალი და დაინახეს, რომ ცენტრალური მრგვალი სარკმლის თავზე, ორ სამრეკლოს შორის, დიდი ცეცხლი გიზგიზებდა, რომლის გამძვინვარებული ალი დროდადრო ნაფლეთ-ნაფლეთ მიჰქონდა ქარს ბოლთან ერთად. ორი

სადინარი, როგორც ურჩხულის ორი ხახა, შეუწყვეტლივ ანთხევდა ამ მწველ, მხურვალე წვიმას და რაც უფრო უახლოვდებოდა ქვაფენილს, თხევადი ტყვიის ორი ნაკადი ისე იშლებოდა, როგორც სარწყულის ნასვრეტებიდან გადმოფრქვეული წყლის შხეფები. ცეცხლის ალის მოციმციმე შუქზე დემონებისა და გველეშაპების უამრავი ქანდაკება ამოძრავებული, გაცოცხლებული გეგონებოდათ. ეს უცნაური კოცონი ბისერტის შორეულ ბორცვებზე უეჭველად გამოაღვიძებდა შეშისმჭრელებს და შეაშინებდა, როცა დაინახავდნენ, როგორ ირხეოდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის გოლიათი კოშკების ჩრდილები მანანით მოფენილ ფერდობებზე.

შეშინებული მაწანწალები დადუმდნენ. ისმოდა მხოლოდ მონასტერში გამოკეტილ და ცეცხლმოკიდებულ თავლაში დამწყვდეულ ცხენებზე უფრო მეტად დამფრთხალი მღვდლების ყვირილი, სწრაფად გაღებულ-მიხურულ ფანჯრებს მიღმა იდუმალი შფოთვა და ცეცხლის ალის ბობოქრობა ქარში, მომაკვდავთა უკანასკნელი ხრიალი და ტყვიის წვიმის განუწყვეტელი ტკაცუნი ქვაფენილზე.

ამ დროს მაწანწალების მეთაურებმა გონდელორიეს სახლის ჭიშკარს მიაშურეს და ბჭობას შეუდგნენ. ქვის ბოძს მიყრდნობილი ბოშათა ჰერცოგი რაღაც ცრუმორწმუნეობრივი შიშით უჭვრეტდა ფანტასმაგორიულ კოცონს, რომელიც ორასი ფუტის სიმაღლეზე გიზგიზებდა. კლოპენ ტრუილფუ თავის დიდ მუშტებს გაშმაგებული კბენდა.

- შესვლა შეუძლებელია! - ბუზღუნებდა იგი კრიჭაშეკრული.

- ძველი გრძნეული ეკლესიაა! - ბურტყუნებდა ბებერი ბოშა მათიას ჰუნგარი. - ვფიცავ პაპის ულვაშებს! - თქვა ყოფილმა სამხედრომ, ჭაღარა გაიძვერამ, - ეკლესიის სადინრები გამდნარ ტყვიას ლეკტურის სათოფურებზე უარესად როდი გვაფურთხებენ. - ხედავთ იმ ეშმას, ცეცხლის წინ რომ გარბი-გამორბის! - შესძახა ჰერცოგმა. - ეშ-

მაკმა დალახვროს, ეგ ხომ წყეული ზართამრეკავი კვაზიმოდოა, - თქვა კლოპენმა. ბოშამ თავი გააქნია.

- მე თქვენ გეუბნებით, რომ ეგ სიმაგრეთა დემონია. მას ლომის-თავიანი შეიარაღებული ჯარისკაცის ფორმა აქვს. ხანდახან მახინჯ ცხენზე ჯდება. ადამიანებს ჯერ ქვებად აქცევს, მერე მათგან ციხეებს აგებს. ორმოცდაათ ლეგიონს სარდლობს. ეგ, რა თქმა უნდა, ის არის; მე ვიცნობ. ზოგჯერ თურქული ყაიდის ოქროს ლამაზი სამოსელი აცვია.

- სად არის ბელვინ ეტუალი? - იკითხა კლოპენმა.

- მოკვდა, - უპასუხა ერთმა მაწანწალა ქალმა.

ანდრი წითურამ იდიოტივით გადაიხარხარა:

- ღვთისმშობლის ტაძარმა სამუშაო გაუჩინა ოტელ-დიეს ჰოსპიტალს! - ნუთუ ამ კარის შემტვრევის რაიმე გზა არ არსებობს? - შესძახა ბოშათა მეფემ და ფეხი დააბაკუნა.

ჰერცოგმა ნაღვლიანად უჩვენა მდუღარე ტყვიის ორი ნაკადი, რომელიც უწყვეტად მოედინებოდა.

- იმის მაგალითებიც ყოფილა, ეკლესიებს თვითონ დაუცავთ თავი, - შენიშნა მან ოხვრით. - ორმოცი წლის წინ კონსტანტინოპოლში წმ. სოფიას ტაძარმა სამჯერ ზედიზედ მიწაზე დაანარცხა მაჰმადის ნახევარმთვარე და ამ დროს გუმბათებს თავებივით არხევდა. მისი ამშენებელი გილიომ პარიზელი ჯადოქარი იყო.

- ნუთუ ასე სამარცხვინოდ უნდა წავიდეთ აქედან, ხელცარიელნი, როგორც შარაგზის მუდრეგები? - თქვა კლოპენმა. - ნუთუ უნდა მივატოვოთ ჩვენი და, რომელსაც ეს მგლები ხვალ ჩამოახრჩობენ?

- და საცავი, სადაც უამრავი ოქროა! - დაურთო ვიღაც მაწანწალამ. - მაჰმადის წვერო! - იყვირა ტრუილფუმ.

- ერთხელ კიდევ ვცადოთ, - მიმართა მაწანწალამ.

მათიას ჰუნგადიმ თავი გააქნია.

- კარიდან ვერ შევალთ, რაიმე ნაკლი უნდა მოვუძებნოთ ბებერი კუდიანის აბჯარს: ნახვრეტი, მიწისქვეშა საიდუმლო შესასვლელი, რაიმე სახსარი. - ვინ არის მომხრე? - თქვა კლოპენმა. - მე ვბრუნდები იქ.

- მართლა, სად არის სტუდენტი ჟანი, მთლად ჯავშანსაჭურველში რომ იყო ჩამჯდარი? - უეჭველად მოკლულია, - უპასუხა ვიღაცამ: - აღარ ისმის მისი სიცილი. ბოშათა მეფემ წარბები შეიკრა.

- მით უარესი. რკინის ხარახურის ქვეშ მას ვაჟკაცური გული უძგერდა. ის სადღაა, მეტრ პიერ გრენგუარი?

- კაპიტანო კლოპენ, - თქვა ანდრი წითურამ, - გაიპარა, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ზარაფების ხიდზე ვიყავით.

კლოპენმა ფეხი დააბაკუნა.

- ხახაო ღვთისავ! თვითონ წაგვაქეზა ამ საქმეზე და ახლა გასაჭირში მოგვატოვა! მშიშარა ყბედი, გახვრეტილი ფლოსტი!

- კაპიტანო კლოპენ, - უთხრა ანდრი წითურამ, რომელიც კარიბჭის ქუჩისკენ იცქირებოდა,- აგერ, სტუდენტი.

- დიდება პლუტონს! - შესძახა კლოპენმა. - მაგრამ ეს რა ეშმაკს მოათრევს? მართლაც ჟანი იყო; იგი იმდენად სწრაფად მორბოდა, რამდენადაც ამის ნებას რაინდის მძიმე საჭურველი და გრძელი კიბე აძლევდა, რომელსაც ყოჩაღად მოათრევდა ქვაფენილზე, როგორც თავისზე ოცჯერ უფრო გრძელ ღეროს - ჭიანჭველა.

- გამარჯვება! Te Deum[1]! - ღრიალებდა სტუდენტი. - აი, მტვირთავების კიბე სენ-ლანდრის ნავსადგურიდან მომაქვს.

კლოპენი მიუახლოვდა.

- ბალღო, რას აპირებ, რა ეშმაკისთვის გინდა ეგ კიბე?

---

[1] *დიდება უფალს (ლათ.).*

- მაინც ხელთ ვიგდე, - უპასუხა აქოშინებულმა ჟანმა. - ვიცოდი, სადაც იყო. უზენაესი მოსამართლის ნაცვლის სახლის ფარდულ-ქვეშ. იქ ცხოვრობს ერთი ჩემი ნაცნობი გოგო, რომელსაც ჰგონია, რომ კუპიდონივით ლამაზი ვარ. იგი დამეხმარა, კიბე რომ მეშოვა და აი, ვიშოვე კიდეც. ვფიცავ მასხარა მაჰმადს! საწყალი გოგო, პერანგის ამარა გამოვიდა კარის გასაღებად! - ჰო, მაგრამ რად გინდა ეგ კიბე? - ჰკითხა კლოპენმა.

ჟანმა ცბიერი და ყოჩაღი ბიჭის იერით შეხედა და თითები გაატკაცუნა. ამ წუთს იგი დიდებული იყო. თავს XV საუკუნის მძიმე მუზარადი უმშვენებდა, რომლის ფანტასტიკური თხემი ოდესღაც მტერს აშინებდა.

- რად მინდა იგი, უავგუსტესო ბოშათა მეფევ? ხედავთ იმ გამოყეყეჩებული სახის ქანდაკებებს იქ, სამი პორტალის მაღლა?

- დიახ. მერე რა?

- ეგ საფრანგეთის მეფეთა გალერეაა.

- მერე, მათთან მე რა მესაქმება? - უთხრა კლოპენმა.

- მაცალეთ! ამ გალერეის ბოლოს კარია, რომელიც მხოლოდ ურდულითაა დაკეტილი. ამ კიბით ავალ და უკვე ეკლესიაში ვიქნები.

- ბალღო, მაცალე, პირველად მე ავალ.

- არა, მეგობარო, ეს ჩემი კიბეა. წამოდი, თქვენ მეორე იქნებით. - ბელზებელსაც წაუხრჩვიხარ! - ბუზღუნით უთხრა კლოპენმა: - არ მინდა, ვინმეს კუდში მივჩანჩალებდე.

- მაშინ, კლოპენ, მოძებნე კიბე შენთვის! - ჟანმა კიბით მოედანზე გადაირბინა, თან ყვიროდა: - მომყევით, ბიჭებო!

როგორც კი კიბე ასწიეს და ქვედა გალერეის მოაჯირს მიაყუდეს, მაწანწალების ბრბო ყიჟინით მიაწყდა, მაგრამ ჟანმა თავისი უფლება დაიცვა და პირველი ავიდა კიბეზე. საფრანგეთის მეფეთა გალერეა ქვაფენილიდან დაახლოებით სამოცი ფუტის სიმაღლეზეა. ეს

საკმაოდ დიდი მანძილი იყო. ჟანი დინჯად ადიოდა, მძიმე აღჭურვილობა ხელს უშლიდა; როდესაც კიბის შუა ნაწილს მიაღწია, ერთი წუთით სევდიანი თვალი გადაავლო დახოცილ მაწანწალებს, რომლებიც კარიბჭის საფეხურებზე ეყარნენ. - „სამწუხაროა! აი, გვამების გროვა, რომელიც „ილიადის“ მეხუთე სიმღერის ღირსია!“ - გაიფიქრა მან.

ასვლა განაგრძო. მაწანწალებიც მისდევდნენ. თითო საფეხურზე თითო კაცი იდგა. მათი ჯავშნიანი ზურგები სიბნელეში ისე ჩანდა, გეგონებოდათ ეკლესიის კედელზე ფოლადის გველი მისრიალებსო. წინმიმავალი ჟანი სტვენით ავსებდა ამ ილუზიას. სტუდენტმა გალერეის აივანს მიაღწია და ისე მარჯვედ დაეუფლა ციტადელს, რომ ბრბომ ტაშით დააჯილდოვა. ის იყო სიხარულით უნდა ეყივლა, რომ უცებ ადგილზე გაქვავდა. ერთი ქანდაკების უკან კვაზიმოდო შენიშნა, რომელსაც სიბნელეში ერთადერთი თვალი უელავდა. სანამ ვინმე გალერეაზე ამოსვლას მოასწრებდა, კუზიანი ერთი ნახტომით კიბის თავთან გაჩნდა, ღონიერი ხელები კიბეს ბოლოებში სტაცა, ასწია, კედელს მოაშორა, ერთ წუთს გააქან-გამოაქანა და ძირიდან თავამდე მაწანწალებით დახუნძლულ და დაღუნულ ბანდიტების მტევანს, რომლებიც თავზარდამცემად კიოდნენ, არაადამიანური ძალით ხელი ჰკრა და მოედნისკენ გადააგდო. დადგა წუთი, როდესაც ყველაზე გამბედავნიც კი აკანკალდნენ. უკან გატყორცნილი კიბე ერთ წამს სწორად გაჩერდა, შემდეგ შეირხა, შეტორტმანდა, გადაქანდა, ოთხმოცი ფუტი რადიუსის საშინელი რკალი მოხაზა და ქვაფენილზე დაენარცხა. გაისმა უსაზღვრო წყევლა-კრულვა, ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე დასახიჩრებული მოკლულთა გროვიდან ხოხვით გამოძვრა.

მომხდურთა პირველი საზეიმო შეძახილები წუხილმა და რისხვამ შეცვალა. კვაზიმოდო იდაყვებით დაყრდნობოდა მოაჯირს და ზემო-

დან გულცივად დაჰყურებდა მოედანს. ამ დროს მას უძველესი დროის მეფის იერი ჰქონდა.

ჟან ფროლო კრიტიკულ მდგომარეობაში იყო. გალერეაში მარტოდმარტო იყო საზარელი ზართამრეკავის პირისპირ. სანამ კვაზიმოდო კიბესთან ჭიდილში იყო გართული, სტუდენტმა ფარულ კართან მიირბინა, იფიქრა, ღია იქნებაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ერთ-ერთი ქანდაკების უკან დაიმალა, სუნთქვასაც ვერ ბედავდა, იმ კაცივით, რომელიც სამხეცის დარაჯის ცოლს ეარშიყებოდა, ერთხელ პაემანზე მისულს სიბნელეში კარი აერია და მოულოდნელად თეთრი დათვის პირისპირ აღმოჩნდა.

პირველ წუთებში ყრუმ ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ ბოლოს თავი მიაბრუნა და წელში გასწორდა. სტუდენტი დაინახა, რომელიც შეტაკებისთვის ემზადებოდა. მაგრამ ყრუ უძრავად იდგა და უყურებდა.

- ჰო! ჰო! - მიმართა ჟანმა, - რა დაღონებული მიყურებ მაგ ბრუციანი თვალით? - ამას რომ ამბობდა, თან შეუმჩნევლად იარაღს ამზადებდა. - კვაზიმოდო! მაგ სახელს შეგიცვლი; ამიერიდან ბრმას დაგიძახებენ! - ისარმა გაიზუზუნა და კუზიანს მარცხენა მკვლავში შეერჭო. კვაზიმოდომ აინუნშიც არ ჩააგდო - ვითომც ქანდაკება გაეფხაჭნოს. ხელი ისრისკენ წაიღო, მკლავიდან ამოიგლიჯა და სქელ მუხლზე მშვიდად გადაიმტვრია. ორად გადამტვრეული ძირს დაყარა, უფრო სწორად დაუცვივდა; მაგრამ ჟანმა ვერ მოასწრო მეორედ სროლა. ისარი რომ გადაამტვრია, კვაზიმოდომ მძაფრად ამოიქშინა, კალიასავით ახტა და სტუდენტს თავზე დაეცა, დაცემისგან აბჯარი კედელზე მიეჭყლიტა.

ჩაბნელებულ ადგილას, ჩირაღდნების ოდნავ მოციმციმე შუქზე, საზარელი სანახაობა დატრიალდა. კვაზიმოდომ მარცხენა ხელით ორივე მკლავი დაუჭირა ჟანს, რომელიც აღარ ებრძოდა, იმდენად

დაღუპულად იგრძნო თავი. მარჯვენა ხელით კი აუჩქარებლად, ერთიმეორეზე მიყოლებით შემოხსნა აბჯარი, დაშნა, ხანჯლები, მუზარადი, ჯავშანი, სამკლავურნი, გეგონებოდათ, მაიმუნი კაკალს ფცქვნისო. კვაზიმოდო თავის ფეხებთან ნაჭერ-ნაჭერ ყრიდა სტუდენტის რკინის ნაჭუჭს. როდესაც სტუდენტმა დაინახა, რომ განიარაღებული და უმწეო იყო, ყრუსთან დალაპარაკებაც კი არ უცდია, სახეში უტიფრად შეხარხარებდა და თექვსმეტი წლის ბიჭის უშიშარი უზრუნველობით, იმ დროს ხალხში გავრცელებული სიმღერა წამოიწყო, მაგრამ ვეღარ დაამთავრა. კვაზიმოდომ გალერეის მოაჯირთან მიაგდო, ცალი ხელი ფეხებში ჩაავლო და უფსკრულის თავზე აქანავებდა. შემდეგ კედელზე ძვლებით სავსე ყუთის სკდომისმაგვარი ხმა გაისმა და ყველამ დაინახა, როგორ წამოვიდა ზევიდან რაღაც, არქიტექტურულ შვერილს წამოედო და შეჩერდა. ასე დარჩა იქ, ჩამოკიდებული, ორად მოკეცილი, ხერხემალგადამსხვრეული და თავგაჭეჭყილი უსულო გვამი. მაწანწალებში შიშისა და ძრწოლის ღრიანცელი ატყდა.

- შურისძიება! - იყვირა კლოპენმა.

- ავიკლოთ, გავძარცვოთ! - შეაგება სიტყვა ბრბომ.

- იერიში! იერიში!

უჩვეულო ღმუილი ატყდა; ყველა ენა, კილო, გამოთქმა ერთმანეთში აირია. საბრალო სტუდენტის სიკვდილმა ბრბოში მძვინვარე ცეცხლის ალი ჩააგდო. იგი იმის სირცხვილმა და ბრაზმა შეიპყრო, რომ ერთმა კუზიანმა შეძლო მათი ამდენხანს შეჩერება. გაცოფებამ აპოვნინა მათ კიბეებიც, უამრავი ჩირაღდანიც და რამდენიმე წუთის შემდეგ თავგზააბნეულმა კვაზიმოდომ დაინახა, როგორ გადმოვიდა იერიშზე და როგორ შემოესია ყოველმხრივ საშინელი ჭიანჭველეთი ღვთისმშობლის ტაძარს. ვისაც კიბე არ ჰქონდა, კვანძიანი თოკები იშოვეს, ხოლო ვისაც თოკები არ გააჩნდა, ქანდაკებათა შვერი-

ლებზე მიცოცავდნენ. ერთიმეორეს ძონძებზე ეკიდებოდნენ, ამ საშინელ სახეთა მოზღვავებული ზვირთების პირისპირ წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო. ამ ველურებს რისხვა აერთიანებდათ; მიწისფერი შუბლებიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, თვალები უელვარებდათ... კაცს ეგონებოდა, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის საიერიშოდ სხვა ეკლესიას გამოუგზავნია თავისი ქოფაკები, ნიღბები, დემონები, ფანტასტიკური ქანდაკებანიო. ისინი ფასადის ქვის ურჩხულებზე შემომსხდარ ცოცხალ ურჩხულებს ჰგავდნენ.

ამასობაში მოედანი ათასობით ჩირაღდანმა გაანათა. ბრძოლის უწესრიგო ასპარეზი, რომელსაც აქამდე წყვდიადი ფარავდა, უეცრად განათდა. კარიბჭე ბრწყინავდა და ცაში სხივებს სტყორცნიდა. ზემო ბაქანზე დანთებული კოცონი ისევ გიზგიზებდა. ორი კოშკის უზარმაზარი სილუეტი შორს გაშლილიყო პარიზის სახურავებზე და ამ ნათელ ფონზე ფართო შავ მღვიმეს ქმნიდა. ქალაქი თითქოს შეირხა, ამოძრავდა. შორს საგანგაშო ზარები დარეკეს. მაწანწალები ყვიროდნენ, ღმუოდნენ, ქშინავდნენ, ილანძღებოდნენ. სასოწარკვეთილი კვაზიმოდო ხედავდა, როგორ უახლოვდებოდნენ მის გალერეას გამძვინვარებული სახეები; გრძნობდა, რომ ამდენი მტრის წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდა. გააჟრჟოლა, ხელებს იმტვრევდა და ღმერთს ბოშა ქალის გადარჩენას სთხოვდა.

10.5. სენაკი, სადაც მეფე ლუი XI ჟამნს კითხულობდა

მკითხველს, ალბათ, ახსოვს, ვიდრე ღამის სიბნელეში მაწანწალების ბრბოს შენიშნავდა, კვაზიმოდომ, სამრეკლოდან პარიზს რომ გადახედა, ერთადერთი სინათლე სენტ-ანტუანის ჭიშკრის გვერდით, მაღალი შენობის სარკმელში შეამჩნია. ეს ბასტილია იყო, სადაც ლუის XI-ის სანთელი კიაფობდა.

მეფე ლუი XI ორი დღეა პარიზში იყო. შემდეგ ისევ მონტილ-ლეტურის ციხესიმაგრეში დაბრუნებას აპირებდა. ის საერთოდ იშვიათად და მცირე ხნით გამოჩნდებოდა ხოლმე თავის საყვარელ პარიზში, ფიქრობდა, რომ იქ არ იყო საკმარისი საიდუმლო ჩასასვლელ-გასასვლელები, სახრჩობელები და შოტლანდიელი მშვილდოსნები. გადაწყვიტა ღამე ბასტილიაში გაეთია. მას ნაკლებად მოსწონდა თავისი დიდი ოთახი ლუვრში, რომელშიც თორმეტი უზარმაზარი ცხოველის და ცამეტი დიდი წინასწარმეტყველის გამოსახულებიანი დიდი ბუხარი, აგრეთვე დიდი, გრძელი საწოლი იდგა. ლუი XI მთელ ამ სიდიადეში იკარგებოდა. მეფეს, რომელსაც თავმდაბალი მოქალაქის გემოვნება ჰქონდა, ბასტილია უფრო მოსწონდა, თავისი საკნითა და ვიწრო საწოლით. გარდა ამისა, ბასტილია უფრო უკეთ იყო გამაგრებული, ვიდრე ლუვრი.

„პატარა ოთახი," რომელიც მეფემ ცნობილ სახელმწიფო ციხეში თავისთვის მოიწყო, მაინც საკმაოდ ფართო იყო და მთავარი კოშკის ზემო სართული ეჭირა. ოთახს ამშვენებდა მხოლოდ ერთი მაღალი ისრული სარკმელი, რომელშიც რკინის გისოსი დაეტანებინათ, გარდა ამისა, სარკმლის ლამაზი, ფერადი მინა მეფე-დედოფლის გერბთა გამოსახულებას ჩაებნელებინა. ოთახს მხოლოდ ერთი დაბალთაღიანი საუცხოო კარი ჰქონდა, რომელზეც შიგნიდან მოქარგული ფარდაგი აეკრათ, გარედან ფაქიზად და ოსტატურად დამუშავებული ირლანდიური ხე. ასეთ ნახელავს ხშირად ნახავდით ძველებურ სახლებში. იქ არ იყო სკამები, მხოლოდ ერთი დიდებული დასაკეცი სავარძელი იდგა, რაც იმას მოწმობდა, რომ ოთახში მხოლოდ ერთადერთ პიროვნებას ჰქონდა დაჯდომის უფლება. სარკმელთან ახლოს იდგა მაგიდა, რომელსაც ნაქარგ-ნაქსოვი ხალიჩა ეფარა. მაგიდაზე ეწყო საწერი მოწყობილობა, რამდენიმე ეტრატი, კალამი და მოვერცხლილი თასი; ცოტა მოშორებით მეწამულისფერი ხავერ-

დგადაკრული და ოქროს გირჩებით დამშვენებული საწიგნე-სალოცავი იდო. სიღრმეში - უბრალო საწოლს სადა წითელ-ყვითელი აბრეშუმის ქსოვილი ეფარა. საწოლი განთქმული იყო იმით, რომ ლუი XI-ს ძილს ჰგვრიდა ან უკრთობდა. ასეთი იყო სენაკი, სადაც, როგორც ხალხი ამბობდა, „საფრანგეთის მეფე ლუი ჟამნს კითხულობდა.“

სენაკში ძალიან ბნელოდა. სინათლის ჩაქრობის სიგნალი ერთი საათის წინ გაისმა. დაღამდა. მაგიდაზე გაუბედავად ციმციმებდა ერთადერთი სანთელი, რომელიც ოთახში მყოფ ხუთ კაცს ანათებდა. პირველი, რომელსაც სინათლე ეცემოდა, დიდკაცურად ჩაცმული დიდებული ბრძანდებოდა. მოკლე შარვალი, ვერცხლისზოლიანი ალისფერი მოკლე ხიფთანი ეცვა. ლაბადას ოქროს ძაფით მოქარგული ფართო სახელოები უმშვენებდა. ბრწყინვალე ტანსაცმელზე შუქი დასთამაშებდა, თითქოს მის ყოველ ნაოჭზე, ცეცხლის ალი კრთოდა. ამ ადამიანს მკერდზე ამოქარგული ჰქონდა გერბი. ქამარზე მდიდრული ხანჯალი ეკიდა. თავაწეულ სახეზე ქედმაღლობა და ავზნიანობა ეტყობოდა. ხელში გრძელი გრაგნილი ეჭირა და სავარძლის უკან იდგა, რომელშიც ორად მოხრილი მამაკაცი უშნოდ ჩამჯდარიყო, ფეხი ფეხზე გადაედო, იდაყვი მაგიდაზე დაეყრდნო. მას მეტისმეტად ცუდად ეცვა. წარმოიდგინეთ, დიდებულ, კოლდოვას ტყავით გადაკრულ სავარძელში ორი დაგრეხილი ფეხი, შავი მატყლისგან მოქსოვილი ღარიბული სათბუნით შემოსილი ორი მჭლე ბარძაყი, ზედა ტანს ფანელის განიერი ქურთუკით ითბუნებდა, რომელსაც ბეწვგაქუცული ტყავი ჰქონდა გარშემო მიკერებული. ყოველივე ამას შავი, უხეირო მაუდის შლაპა აგვირგვინებდა. ამას დაუმატეთ ბინძური არახჩინი, საიდანაც თმა ძლივს მოუჩანდა. თავი ისე ჩაეღუნა, რომ მხოლოდ ცხვირის წვეტი მოუჩანდა, რომელსაც სინათლის სხივი ეცემოდა; როგორც ჩანდა, გრძელი ცხვირი ჰქონდა.

დამჭკნარ, დანაოჭებულ ხელებზე ეტყობოდა მოხუცი იყო. ეს მოხუცი ლუი XI გახლდათ. მათ უკან, ცოტა მოშორებით, ფლამანდიურ ყაიდაზე ჩაცმული ორი მამაკაცი ხმადაბლა საუბრობდა. ორივეს სინათლე ხვდებოდა და ამიტომ, ვინც გრენგუარის მისტერიის წარმოდგენას ესწრებოდა, მაშინვე იცნობდა ფლამანდიის ორ მთავარ ელჩს, ვილჰელმ რიმსს - გენტის შორსმჭვრეტელ წარჩინებულს და ხალხის საყვარელ მეწინდეს - ჟაკ კოპენოლს. ორივე ლუი XI-ის საიდუმლო პოლიტიკაში იყო გარეული.

სიღრმეში, კარის ახლოს ქანდაკებასავით უძრავად იდგა ჯმუხი მამაკაცი, რომელსაც გერბამოქარგული გრძელსახელოიანი ლაბადა ეცვა და სამხედრო აბჯარში იყო ჩამჯდარი. მისი ოთხკუთხა, ლამის უშუბლო სახე, ჭროღა, გადმოკარკლული თვალები, ვეებერთელა გახეული პირი, გადატკეცილი თმის ორი გადმოშვერილი კულულის ქვეშ დამალული ყურები, ერთსა და იმავე დროს ქოფაკსაც მოგაგონებდათ და ვეფხვსაც.

მეფის გარდა ყველა ქუდმოხდილი იდგა. მეფეს ახლოს მდგომი დიდგვაროვანი რაღაც გრძელ მოხსენებას უკითხავდა, რასაც მისი უდიდებულესობა, როგორც ჩანდა, ყურადღებით ისმენდა. ორივე ფლამანდიელი ჩურჩულებდა.

- ჯვარო უფლისაო! - ბუზღუნებდა კოპენოლი, - ფეხზე დგომით დავიღალე; ნუთუ აქ ერთი სკამიც არ არის?

რიმმა მოკრძალებული ღიმილით თავი ოდნავ გაიქნია.

- ჯვარო უფლისაო! - დაიწყო ისევ კოპენოლმა; თავს უბედურად გრძნობდა, რადგან ვალდებული იყო, ასე ხმადაბლა ესაუბრა. - ერთი სული მაქვს, იატაკზე დავჯდე, ფეხები გადავაჯვარედინო და მოვიკეცო, როგორც ჩემს დუქანში.

- არავითარ შემთხვევაში არ მოიქცეთ ასე, მეტრ ჟაკ!

- ნუთუ? მეტრ ვილჰემლ! მაშ, აქ მხოლოდ ფეხზე დგომაა ნებადართული? - ან მუხლებზე დგომა, - მიუგო რიმმა. ამ დროს მეფემ ხმას აუწია. ისინი გაჩუმდნენ. - ორმოცდაათი სუ მსახურების ტანსაცმელზე და თორმეტი ლივრი სამეფო კარის ამალის მოხელეთა წამოსასხამებზე! მართლა ასეა? ეს რა ამბავია! ოქროს კასრებს ბზესავით აბნევთ! ხომ არ გაგიჟდით, ოლივიე! - ამ სიტყვებზე მოხუცმა თავი მაღლა ასწია. კისერზე წმინდა მიქაელის ორდენის ოქროს ნიჟარებიანი ყელსაბამი აუელვარდა. სანთელმა მთლიანად გაუნათა გამხდარი და მოღუშული პროფილი. ქაღალდები ხელიდან გამოგლიჯა. - თქვენ გვაჩანაგებთ! - შეჰყვირა მან, როცა თავისი ჩავარდნილი თვალებით ჩამონათვალს გადახედა - რა ამბავია? რაში გვჭირდება ამდენი ხალხი? ორი კარის მოძღვარი, თითოეულს ათ-ათი ლივრი თვეში და სამლოცველოს მსახური - ასი სუ! ხელმწიფის ფარეში - ოთხმოცდაათი ლივრი წელიწადში! მუშების ზედამხედველი, მებაღე, მზარეულის თანაშემწე, მზარეულთუხეცესი, საჭურველთმცველნი, ორი მოანგარიშე - თითოეული ათ-ათი ლივრი თვეში! ორი მზარეული ბიჭი, შეგირდი - რვა-რვა ლივრი! მეჯინიბე და მისი ორი დამხმარე - ოცდაოთხი ლივრი თვეში! ვინ იცის კიდევ რა? ეს სიგიჟეა! ჩვენი მსახურების რჩენა და ჯამაგირები საფრანგეთს ძარცვავს, აპარტახებს!. ლუვრის მთელი განძეულობა დნება ამ უთავბოლო მფლანგველობის ცეცხლზე! მალე ჭურჭლის გაყიდვა მოგვიხდება და მომავალ წელს, თუ მანამდე ღმერთი და ღვთისმშობელი (აქ მან შლაპა აიწია) სიცოცხლეს კიდევ გაგვიხანგრძლივებს, წამლის დალევა თიხის დოქით მოგვიწევს!

ამას რომ ამბობდა, მზერა გადაიტანა ვერცხლის კათხაზე, რომელიც მაგიდაზე ბზინავდა, ჩაახველა და ისევ განაგრძო: - მეტრ ოლივიე, მათ, რომლებიც დიდ სამფლობელოებს განაგებენ, როგორც ხელმწიფენი, თავიანთ სამფლობელოებში ფუფუნება არ უნდა დაუშ-

ვან, რადგან აქედან ცეცხლი პროვინციასაც მოედება. მუსიე ოლი-ვიე, დაიმახსოვრეთ ერთხელ და სამუდამოდ, ხარჯები ყოველწლიუ-რად მატულობს! ეს ამბავი არ მოგვწონს. ღმერთმანი, ასე, როგორ იქნება! ვფიცავ უფლის აღდგომის მადლს, 79 წლამდე იგი ოცდა-თექვსმეტი ათას ლივრს არ აღემატებოდა. 80 წელს - ორმოცდაათი ათას ექვსასცხრამეტ ლივრს მიაღწია. ეს რიცხვები კარგად მახ-სოვს: - 81 წელს - სამოცდაექვსი ათას ექვსას ოთხმოც ლივრს, წელს კი ნამდვილად, სულსა ვფიცავ, ოთხმოცი ათას ლივრს მიაღწევს! ოთხ წელიწადში გაორმაგდა. საშინელებაა!

შეჩერდა, ძლივს ქშინავდა, მერე ისევ აღშფოთებით განაგრძო: - ირგვლივ მხოლოდ ისეთებს ვხედავ, რომლებიც ჩემი სიგამხდრის ხარჯზე სუქდებიან! ყველა უჯრედიდან ეკიუს მწოვთ! ყველა დუმდა. მეფეს ბრაზი მოერია. გაძლება მართებდათ, სანამ გაუვლიდა. მო-ხუცი განაგრძობდა: - ეს მაგონებს საფრანგეთის თავად-აზნაურთა წერილობით თხოვნას, რომლის მიხედვითაც, სამეფო კარზე კვლავ უნდა აღგვედგინა ე.წ. საპატიო სამსახური! ეს ხომ ტვირთია! წელში გამწყვეტი ტვირთი! აჰ! ბატონებო! თქვენ ბრძანებთ, რომ ნამდვილი მეფე არ გახლავართ, რადგან ისე განვაგებ dapifero nullo, buticulario nullo[1]! ვფიცავ ღვთისა და აღდგომის ძალს, გაჩვენებთ, როგორ არა ვარ მეფე! - და ძლიერების შეგნებით გაიღიმა. ცუდმა გუნებამ გაუარა და ფლამანდიელებს მიუბრუნდა: - ხედავთ, ძვირ-ფასო ვილჰელმ, ყველა ესენი: პურის დამრიგებელნი, მეღვინეთუ-ხუცესნი, მერიქიფენი, სასახლის მსახურთუფროსნი ერთ უბრალო ლაქიადაც არა ღირან. დაიმახსოვრეთ, ძვირფასო კოპენოლ, ისინი არაფრად ვარგიან. უსარგებლოდ ისე აყუდებულან მეფის გარშემო, როგორც სასახლის კოშკის დიდი საათის ციფერბლატზე ოთხი მახა-

[1] *არა გვყავს არც მერიქიფე და არც მწდე (ლათ.).*

რობლის ქანდაკება; ისინი მოოქრულია, მაგრამ საათი უიმათოდაც იმუშავებს.

ერთი წუთით შეჩერდა, ჩაფიქრდა, ჭაღარა თავი გააქნია და დაუმატა: - ჰო! ჰო! ვფიცავ ღვთისმშობელს! მე ფილიპ ბრილი არ გახლავართ და დიდ ვასალებს ოქროთი ვერ შევაფერადებ! განაგრძე, ოლივიე!

მამაკაცმა, რომელსაც ამ სახელით მიმართა, გრაგნილი გამოართვა და ხმამაღლა კითხვა განაგრძო: - „...ადამ ტენონს, პარიზის პრევოს ბეჭდის მცველის მოსამსახურეს, ვერცხლის ბეჭედთა ამოტვიფრისთვის, რამეთუ წინანდელი, სიძველისა და გაცვეთილობისა გამო სახმარად აღარ ვარგა, - თორმეტი პარიზული ლივრი.

- „გილიომ ფრერს - ოთხი ლივრი და ოთხი პარიზული სუ ოტელ ტურნელის ორ სამტრედეში, ამა წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში მტრედების გამოკვებისა და შენახვისთვის ჯამაგირის საფასურში მიეცა შვიდი საწყაო ქერი“ - „ფრაცისკანელ ბერს - დამნაშავის აღსარებაში - ოთხი პარიზული სუ.“ მეფე ჩუმად უსმენდა. დროდადრო ახველებდა. ტუჩებთან ფიალა მიჰქონდა და ზიზღით თითოთითო ყლუპს სვამდა.

- „წელს, სასამართლოს ბრძანებით, პარიზის გზაჯვარედინებზე ბუკით გამოცხადდა ორმოცდათექვსმეტი უწყება. ანგარიში გასასწორებელია.

- „გათხრებსა და საძიებო სამუშაოებში, როგორც პარიზში, ისე იმ ადგილებში, სადაც ამბობდნენ, რომ განძი იყო დამალული, თუმცა ვერაფერი იპოვეს, ორმოცდახუთი პარიზული ლივრი“. - ეგ იგივეა, ეკიუ დაფლო, რომ სუ ამოიღო! - თქვა მეფემ.

- „...ოტელ ტურნელში თეთრი მინის ექვსი პანოს დასამთავრებლად - ცამეტი სუ; მეფის ბრძანებით, მახინჯთა დღესასწაულის დღეს, ყვავილწნულით ხელმწიფის გერბის დასამზადებლად და მისატანად

- ექვსი ლივრი; მეფის ძველი კამზოლის ორ ახალ სახელოზე - ოცი სუ; რამდენიმე ტიხარი, ფიცარნაგი და სენ-პოლის სასახლის ლომების გალიის ასაწევი კარი - ოცდაორი ლივრი. - ძვირი გვიჯდება ეს მხეცები, - თქვა ლუი XI-მ, - მაგრამ არა უშავს! იგი მეფის საკადრისი დიდებული გასართობია. იქ ერთი დიდი ჟღალი ლომი ძალია მომწონს. მეტრ ვოლჰელმ მეფეებს, ძაღლების მაგიერ ლომები უნდა გვყავდეს, კატების მაგიერ კი - ვეფხვები. დიდებულება გვირგვინოსანთა საკადრისია. წარმართობის დროს, როდესაც იუპიტერს ეთაყვანებოდნენ და ხალხი თავიანთ ტაძრებს ას ხარს და ას ცხვარს სწირავდა, ხელმწიფენი ას ლომსა და ას არწივს უძღვნიდნენ. ამაში საფრთხეც იყო და სილამაზეც. საფრანგეთის მეფეებს თავიანთი ტახტის ირგვლივ მუდამ ესმოდათ ლომების ბრდღვინვა. მაგრამ სამართლიანად თუ განვსჯით, მე ამაზე ნაკლებ ფულს ვხარჯავ, ვიდრე ჩემი წინაპრები და ბევრად უფრო ცოტა ლომები, დათვები, სპილოები და ავაზები მყავს. განაგრძეთ, მეტრ ოლივიე.

ვილჰელმ რიმმა თავაზიანად დახარა თავი, მოღუშული და წარბშეჭმუხნილი კოპენოლი კი სწორედ იმ ერთ-ერთი დათვივით დაყუდებულიყო, რომელზეც მისი უდიდებულესობა ლაპარაკობდა. მეფეს მისთვის ყურადღება არც მიუქცევია. მან ფიალა პირთან მიიტანა, ტუჩები დაისველა, შემდეგ გადმოაფურთხა და ჩაილაპარაკა: - ფუ! რა უსიამოვნო ნახარშია! ვინც კითხულობდა, მანვე განაგრძო: - „საკანში განკარგულების მოლოდინში მყოფი დამნაშავე მაწანწალას ექვსი თვის საკვები - ექვსი ლივრი და ოთხი სუ." - ეს რა არის? - გააწყვეტინა მეფემ. - იმის კვება, ვინც უნდა ჩამოახრჩონ! ვფიცავ ღვთისა და აღდგომის მადლს, ერთ სუსაც აღარ გავიღებ ამაზე. ოლივიე, მოელაპარაკეთ მუსიე დ'ესტუტვილს და საღამოსვე ყველაფერი მოამზადეთ, რომ მაგ გაიძვერას სახრჩობელაზე ჯვარი დასწეროთ. განაგრძეთ! ოლივიემ ფრჩხილით მონიშნა ეს ადგილი

და შემდეგზე გადავიდა: - „ანრი კიუზენს - პარიზის მთავარ ჯალათს - მონსენიორ პრევოს მიერ დაწესებული და ნაბრძანები თანხა - სამოცი პარიზული სუ დიდი მახვილის საყიდლად და იმ პირთა სიკვდილით დასასჯელად და თავმოსაკვეთად, ვისაც მართლმსაჯულებამ სათანადო მსჯავრი დასდო მათი უღირსი საქციელისა და დანაშაულის გამო, აგრეთვე ქარქაშისა და ყველა სხვა საჭირო მოწყობილობის შესაძენად; ასევე იმ ძველი მახვილის აღსადგენად, რომელიც მუსიე ლუი ლუქსემბურგელის სიკვდილით დასჯის დროს გაიბზარა; როგორც აქედან მთელი სიცხადით ჩანს.“

მეფემ გააწყვეტინა: - კმარა. ამ თანხას სიამოვნებით ვამტკიცებ. ამგვარი ხარჯებისთვის ფული არასოდეს დამნანებია. განაგრძეთ!

- „ახალი დიდი გალიის გაკეთებაში.“

- ჰო! - თქვა მეფემ და ორივე ხელი სავარძლის საყრდენებს ჩასჭიდა, - კარგად ვიცოდი, რომ ბასტილიაში ტყუილად არ მოვიდოდი, მოიცადეთ, მეტრ ოლივიე, თავად მინდა ვნახო გალია. თქვენ წამიკითხეთ დანახარჯები, ამასობაში მე დავათვალიერებ. მუსიე ფლამანდიელებო, წამოდით, ვნახოთ, საინტერესოა. იგი წამოდგა და თანამოსაუბრის მკლავს დაეყრდნო; კართან გაჭიმულ კაცს ანიშნა, წინ გაძღოლოდა, ხოლო ორ ფლამანდიელს - უკან გაჰყოლოდნენ და ოთახიდან გავიდა. სენაკის კარს უკან მეფის ამალას შეუერთდნენ რკინით შეჯავშნული ჯარისკაცები და პაჟები, რომელთაც ხელში ჩირაღდნები ეჭირათ. რამდენიმე ხანს პირქუში კოშკის შიდა დერეფნებში მიდიოდნენ. ბასტილიის ციხისთავი წინ მიუძღოდა და ბრძანებას იძლეოდა, ავადმყოფი, ორადმოხრილი და ხველებით მიმავალი მოხუცი მეფისთვის დაბალი კარი გაეღოთ, რომელშიც ყველა იძულებული იყო თავდახრილს გაევლო, გარდა მეფისა.

მალე ბოლო კარს მიადგნენ, რომელსაც იმდენი ბოქლომი ედო, რომ მის გაღებას ნახევარი საათი დასჭირდა. ისინი შევიდნენ ის-

რულთაღიან, მაღალ და ფართო დარბაზში, რომლის შუაგულში ჩირაღდნების შუქზე გაარჩევდით ქვის, რკინისა და ხისგან შეკრულ მკვრივ მასიურ კუბს. შიგნით ღრუ იყო. იგი ერთ-ერთი ყბადაღებული გალიათაგანი იყო, რომლებიც სახელმწიფო დამნაშავეებისთვის იყო განკუთვნილი და რატომღაც „მეფის გოგოებს“ ეძახდნენ. კედლებში დატანებული ორი სარკმელი ისეთი ხშირი რკინის ძელაკებით იყო შეჭედილი, რომ მინები არ ჩანდა. სამარესავით დიდი და ბრტყელი ქვის ლოდის კარი არასოდეს იღებოდა და თუ იღებოდა, მხოლოდ შესასვლელად. ამ გალიაში ადამიანი ცოცხლად იმარხებოდა.

მეფემ ამ პატარა შენობას დინჯად შემოუარა, გულმოდგინედ დაათვალიერა. ამ დროს მეტრ ოლივიე ფეხდაფეხ მისდევდა და ხმამაღლა კითხვას განაგრძობდა: - „სქელი ძელებისგან შეკრული ხის ახალჩარჩოიანი დიდი გალია, რომელიც შეჭედილია რკინის სქელი სალტეებით, გაკეთდა სენტ- ანტუანის ციხესიმაგრის ერთ-ერთი კოშკის ოთახში. მასში, ჩვენი ხელმწიფე მეფის ბრძანებით, დამწყვდეულია პატიმარი, რომელიც მანამდე ძველ გალიაში იმყოფებოდა. ზემოაღნიშნულ ახალ გალიაზე დაიხარჯა ოთხმოცდათექვსმეტი მორი სიგანეში, ორმოცდათორმეტი - სიმაღლეში, ათი - სიგრძეში - თითოეული სამი ტუაზი, ხოლო ზემოაღნიშნული ხე-ტყის გათლაზე, გამოჭრასა და მორგებაზე მუშაობდა ცხრამეტი ხურო ოცი დღის განმავლობაში.“ - მაგარი ჯიშის მუხაა, - თქვა მეფემ და თან მუშტით მორზე დააკაკუნა. - „...ამ გალიაზე დაიხარჯა, - განაგრძობდა ოლივიე, - ორას ოცი სქელი რკინის ძელი, გარდა ამისა, საშუალო სიგრძის რკინა გისოსისთვის და სიმაგრისთვის. რკინეულობის წონა სამი ათას შვიდას ოცდათხუთმეტ გირვანქას შეადგენს.“

- აი, რამდენი რკინა დასჭირდა ერთი თავქარიანი გონების დაოკებას! - თქვა მეფემ. - „...ყოველივე ეს სამას ჩვიდმეტი ლივრი, ხუ-

თი სუ და შვიდი დინარი დაჯდა.“ - ჰოი, უფლის აღდგომის მადლო! - წამოიძახა მეფემ.

ლუი XI-ის ამ საყვარელი ფიცის წარმოთქმისას გალიის შიგნით თითქოს რაღაც შეირხა, იატაკზე ბორკილების ჟღარუნი გაისმა და მისუსტებული ხმით ვიღაცამ ამოიხრიალა - გეგონებოდათ, ეს ხმა სამარიდან მოდიოდა. - ხელმწიფევ! ხელმწიფევ! მოწყალება გაიღეთ! - შეუძლებელი იყო იმ ადამიანის დანახვა, ვინც ამას ამბობდა.

- სამას ჩვიდმეტი ლივრი, ხუთი სუ და შვიდი დინარი! - გაიმეორა ლუი XI-მ. ამ შემზარავ ხმაზე, რომელიც გალიიდან მოისმა, ყველა იქმყოფს, თვით მეტრ ოლივიესაც კი ძარღვებში სისხლი გაეყინა. მხოლოდ მეფეს ჰქონდა ისეთი სახე, ვითომ არც გაუგონიაო. მისი ბრძანებით, მეტრ ოლივიემ კითხვა განგრძო, ხოლო მისმა უწმინდესობამ გულცივად განაგრძო გალიის შემოწმება. - „...გარდა ამისა, გადავუხადეთ კალატოზს, რომელმაც სარკმლის გისოსების დასაყენებლად ხვრელები გააკეთა და ხელახლა დააგო იატაკი იმ ოთახში, სადაც გალია დგას, რადგან იატაკი ვერ გაუძლებდა მის სიმძიმეს, - ოცდაშვიდი ლივრი და თოთხმეტი პარიზული სუ..“ კვლავ გაისმა მკვნესარე ხმა: - შემიწყალეთ, უფალო ხელმწიფევ! გეფიცებით, რომ მისმა უწმინდესობა კარდინალმა ანჟერელმა გიღალატათ და არა მე!

- ეგ კალატოზი საშინლად ძვირი დამჯდარა! - თქვა მეფემ, - განაგრძე, ოლივიე. ოლივიემაც განაგრძო.

- „..დურგალს სარკმლის თამასებს, ტახტსა და ფიცარში - ოცი ლივრი და ორი პარიზული სუ“. გალიიდან ხმა განმეორდა:

- უფალო ხელმწიფევ! ნუთუ არ მომისმენთ? გარწმუნებთ, რომ მე არ მიმიწერია მონსენიორ გიენელისთვის, მისმა უწმინდესობა კარდინალმა ბალიუმ მისწერა. - დურგალიც ძვირი დამჯდარა, - შენიშნა მეფემ. - სულ ეგ არის? - არა, ხელმწიფევ! კიდევ არის... „..ზემოხსე-

ნებული ოთახის სარკმლების შუშა - ორმოცდაექვსი სუ და რვა პარიზული დინარი.“

- გაიღეთ მოწყალება, ხელმწიფევ! ნუთუ საკმარისი არაა, რომ მთელი ჩემი ქონება მიეცით მოსამართლეებს, ჩემი ჭურჭლეულობა - მუსიე ტორსის, ჩემი წიგნთსაცავი - მეტრ პიერ დორიოლს, ხალიჩები - რუსილონის ნაცვალს. მე უდანაშაულო ვარ. თოთხმეტი წელია, რაც რკინის გალიაში ვითოშები, სიცივისგან ვკანკალებ. გაიღეთ მოწყალება, ხელმწიფევ! ზეცა მოგიძღვნით სანაცვლოს. - მეტრ ოლივიე, - ჰკითხა მეფემ, - სულ რა დაჯდა?

- სამას სამოცდაშვიდი ლივრი, რვა სუ და სამი პარიზული დინარი. - წმინდაო ღვთისმშობელო! - შესძახა მეფემ. - ამ გალიამ გაგვაპარტახა! - მეტრ ოლივიეს ხელიდან გამოგლიჯა გრაგნილი და თვითონ შეუდგა თითებზე გამოანგარიშებას, ხან ქაღალდს ამოწმებდა, ხან გალიას. ამ დროს პატიმრის ქვითინი გაისმა. წყვდიადიდან იგი ისეთი მწუხარებით ისმოდა, რომ იქმყოფნი გაფითრდნენ და ერთმანეთს მიაჩერდნენ. - თოთხმეტი წელია, ხელმწიფევ! თოთხმეტი წელია 1467 წლის აპრილიდან. წმინდა ღვთისმშობელს გაფიცებთ, ხელმწიფევ, მომისმინეთ! თქვენ მუდამ ტკბებოდით მზის სითბოთი. ნუთუ ბედშავი ვერასოდეს ვიხილავ დღის სინათლეს? შემიწყალეთ, ხელმწიფევ! იყავით ლმობიერი! შეწყალება მეფეთა დიადი სათნოებაა, რომელიც სძლევს მის მრისხანებას. ხელმწიფეო, მე არ მიღალატია თქვენი უდიდებულესობისთვის. კარდინალმა ანჟერელმა ჩაიდინა ეს. მიუხედავად ამისა, ფეხზე მადევს მძიმე ბორკილი, რომლის ბოლოზე მიბმულია უშველებელი რკინა, ბევრად უფრო მძიმე, ვიდრე მე დამიმსახურებია. ოო, ხელმწიფევ, შემიბრალეთ! - ოლივიე, - მიმართა მეფემ თავის ცანცარით, - ვხედავ, რომ კასრი თაბაშირი ოცი სუ მიანგარიშეს, მაშინ როდესაც იგი თორმეტი სუ ღირს. გადაასწორეთ ანგარიში. გალიას ზურგი შეაქცია და გასასვლელის-

კენ გაემართა. ჩირაღდნების შუქი და ფეხის ხმა თანდათან შორდებოდა და საბრალო პატიმარი მიხვდა, რომ მეფე მიდიოდა. - ხელმწიფევ! ხელმწიფევ! - ყვიროდა სასოწარკვეთილი.

კარი მიიხურა. მეფე მდუმარედ ადიოდა თავის სენაკში, უკან მისდევდა მსჯავრდებულის კვნესა-ქვითინისგან შეძრწუნებული ამალა. უცებ მისი უდიდებულესობა ბასტილიის უფროსს მიუბრუნდა:

- ჰო, მართლა! - მიმართა მან, - იმ გალიაში ვინმე იყო?

- დიახ, ხელმწიფევ! - უპასუხა განცვიფრებულმა გუბერნატორმა. - მერედა ვინ იყო?

- მისი უწმინდესობა ეპისკოპოსი ვერდენელი.

მეფემ ეს ყველაზე უკეთ იცოდა, მაგრამ ასეთი ახირება სჩვეოდა. - ააჰ! - ისეთი გულუბრყვილო სახით თქვა, თითქოს პირველად გაიგოო, - აა, გილიომ დე არანკური, მუსიე კარდინალ ბალის მეგობარი. კარგი ბიჭი იყო ეპისკოპოსი. - რამდენიმე წამის შემდეგ სენაკის კარი კვლავ გაიღო და მიიხურა. ოთახში ისევ ის ხუთი პიროვნება შემოვიდა და ხმადაბლა საუბარი განაგრძეს.

მეფის არყოფნის დროს მაგიდაზე რამდენიმე წერილი დაეწყოთ; მეფემ თითოეულს ლუქი თვითონ ახსნა, სასწრაფოდ წაიკითხა და მეტრ ოლივიეს ანიშნა, რომელიც, როგორც ჩანდა, მისი მინისტრი იყო, ხელში კალამი აეღო. მეფემ, ისე რომ შინაარსი არ უთქვამს, საპასუხო ტექსტები უკარნახა, რომელსაც ოლივიე საკმაოდ უხერხულად, მაგიდასთან მუხლებზე დაჩოქილი წერდა. მუსიე რიმი ყურადღებით ადევნებდა თვალს; მეფე ისე ხმადაბლა ლაპარაკობდა, რომ სიტყვები არ ესმოდათ, ხანდახან მათთვის ნაკლებად გასაგები ცალკეული ფრაზები აღწევდა მათ ყურამდე, მაგალითად:

- „..ხელი შეეწყოს ნაყოფიერ ადგილებს ვაჭრობით, ხოლო უნაყოფო-მოუსავლიანს - მანუფაქტურით...

- „არტილერიის ბრალია, რომ ომი ახლა მეტად წინდახედულად ტარდება... - ჯარის შენახვა შეუძლებელია ხარჯის აუკრეფად...“ და ა.შ.) ერთხანს მეფემ ხმას აუწია: - ჰოი, უფლის აღდგომის მადლო! სიცილიის მეფე თავის წერილებს საფრანგეთის მეფესავით ყვითელი ცვილით ლუქავს. ჩვენ, შესაძლოა, ტყუილად დავრთეთ ამის ნება. ჩემი საყვარელი ბიძაშვილი არავის აძლევდა მეწამულფონიან გერბს. მეფის სასახლის სიდიადე უპირატეს უფლებათა ხელშეუვალობითაა უზრუნველყოფილი. ეს ჩაინიშნე, ძვირფასო ოლივიე. მეორედ უკვე წამოიძახა: - ოჰ! ოჰ! ეს რა დიდი უსტარია! რას მოითხოვს ჩვენი ძმა იმპერატორი? - და საჩქაროდ თვალი გადაავლო წერილს: კითხვის დროს შიგადაშიგ წამოიძახებდა: - უთუოდ! გერმანელები ისე ბევრნი და ძლიერნი არიან, რომ ძნელად დასაჯერებელია, - მაგრამ ჩვენ არ ვივიწყებთ ძველ ანდაზას: არ არსებობს ფლამანდიაზე ლამაზი საგრაფო... არ არსებობს მილანის საჰერცოგოზე უკეთესი... საფრანგეთზე უფრო ლამაზი სამეფო... ასე არ არის, მუსიე ფლამანდიელებო? ამჯერად კოპენოლმა ვილჰელმ რიმთან ერთად დახარა თავი. მეწინდის პატრიოტულ გრძნობას ეამა.

უკანასკნელ დეპეშაზე ლუი XI-მ წარბი შეიკრა: - ეს რა არის? საჩივარი პიკარდიის გარნიზონების მიმართ? ოლივიე, დაუყოვნებლივ მიწერე მუსიე მარშალ რუოს, რომ სამხედრო დისციპლინა მოდუნდა, სამხედრო სამსახურში გაწვეული თავადაზნაურები, მშვილდოსნები, შვეიცარიელები სოფლის მოსახლეობას შეურაცხყოფენ. ისინი არ სჯერდებიან იმ სიკეთეს, რომელსაც ისინი მიწის მუშათა, მხვნელ-მთესველთა სახლში ნახულობენ, ჯოხით ცემითა და ოროლით აიძულებენ წავიდნენ ქალაქში, ღვინის, თევზის, სანელებლებისა თუ სხვა რამის საშოვნელად; ეს მეტისმეტია. მისწერეთ, რომ მეფემ ყველაფერი იცის. ჩვენი ხალხი დაცული უნდა იყოს უსიამოვნების, ქურდბაცაცობის, გამოძალვისა და ძარცვა-გლეჯისგან. ასე-

თია ჩვენი ნება-სურვილი, ვფიცავ ღვთის მშობელს! გარდა ამისა, არ მოგვწონს და არც გვნებავს, რომ ყოველი მეფანდურე, დალაქი თუ სამხედრო ლაქია თავადივით ხავერდით, აბრეშუმის მაუდ-ატლასი-თა და ოქროს ბეჭდებით იყოს მორთული. ამაო და ფუჭი მედიდურო-ბა ღმერთს სძულს. თუმცა ჩვენ კეთილშობილნი და წარჩინებულნი ვართ, ვჯერდებით მაუდის ქურთუკს, კამზოლს, ერთი პარიზული წყრთა თექვსმეტი სუ რომ ღირს... მაშასადამე, მეღალეებმაც ინე-ბონ აქამდე დამდაბლება. მერე წერილი ხმამაღლა, მტკიცედ და ნაწ-ყვეტ-ნაწყვეტ უკარნახა. იმ წუთს, როცა კარნახი მოათავა, კარი გა-იღო და ოთახში ყვირილით შემოვარდა შეშინებული მამაკაცი: - ხელმწიფევ! ხელმწიფევ! პარიზში ამბოხია!

ლუი XI-ს მკაცრი სახე მოეღუშა; მღელვარებამ ელვასავით გა-დაუარა. მაგრამ თავი შეიკავა და მშვიდი სიმკაცრით თქვა: - ძვირ-ფასო ჟაკ, თქვენ მოულოდნელად შემოვარდით! - ხელმწიფევ! ხელ-მწიფევ! აჯანყებაა! - ქაქანით გაიმეორა ჟაკმა. სავარძლიდან წამომ-დგარმა მეფემ მაგრად მოხვია მკვლავი მხარზე, ალმაცერად გადა-ხედა ფლამანდიელებს და თავშეკავებული სიმკაცრით ყურში ჩას-ჩურჩულა ისე, რომ მხოლოდ მას გაეგო: - გაჩუმდი ან ხმადაბლა ილაპარაკე!

ახალმოსული მიხვდა და დაბალი ხმით, დაბნეულად ალაპარაკ-და. მეფე მშვიდად უსმენდა. ამ დროს ვილჰელმ რიმმა კოპენოლს ანიშნა, ყურადღება მიექცია მისი ჩაცმულობისთვის - ბეწვის ქუდი, მოკლე მოსასხამი, შავი ხავერდის კაბა ადასტურებდა, რომ იგი სა-ანგარიშო პალატის თავმჯდომარე იყო. ის-ის იყო ახალმოსული ახ-სნა-განმარტებას მოჰყვა, რომ ლუი XI-მ ხარხარით წამოიძახა: - მართლა? ხმამაღლა ილაპარაკეთ ძვირფასო კუაკტიე! ასე ხმადაბ-ლა რატომ ლაპარაკობთ? ღვთისმშობელმა უწყის, რომ არაფერი

გვაქვს დასამალი ჩვენს კეთილ ფლამანდიელ მეგობრებთან. - მაგრამ, ხელმწიფევ...

- ილაპარაკეთ ხმამაღლა!

„ძვირფასი“ კუაკტიე განცვიფრებისგან დამუნჯდა.

- ამრიგად, - საუბარი განაახლა მეფემ, - ილაპარაკეთ, მუსიე! მაშ, ჩვენს საყვარელ პარიზში მდაბიოთა მღელვარებაა?

- დიახ, ხელმწიფევ!

- რომელიც მიმართულია, როგორც თქვენ ამბობთ, მართლმსაჯულების სასახლის მთავარი მოსამართლის წინააღმდეგ?

- როგორც ჩანს, - უპასუხა ჟაკმა, რომელიც ისევ ბუტბუტებდა და ვერ აეხსნა, რამ შეცვალა ასე მკვეთრად მეფის აზრთა დინება. ლუი XI-მ ჰკითხა: - სად შეხვდნენ ღამის გუშაგები ბრბოს? - მენიალის ხიდისკენ მიმავალ გზაზე. მეც შევხვდი, როდესაც აქეთ მოვდიოდი. თქვენი უდიდებულესობის ბრძანებათა აღსასრულებლად. გავიგონე, როგორ იყვირა ზოგმა: „ძირს მართლმსაჯულების სასახლის მთავარი მოსამართლე“.

- რას უჩივიან მთავარ მოსამართლეს?

- აჰ! - თქვა ჟაკმა, - ის ხომ მათი ლენური ბატონია.

- მართლა?!

- დიახ, ხელმწიფევ. ისინი საოცრებათა ეზოს არამზადები არიან. უკვე დიდი ხანია უჩივიან მთავარ მოსამართლეს. მისი არც მოსამართლედ ცნობა სურთ და არც გზის ბაჟის ამკრეფად. - ოჰო! - წარმოთქვა მეფემ და თან ამაოდ ცდილობდა კმაყოფილების ღიმილი დაემალა. - თავიანთ საჩივრებში უმაღლესი სასამართლოს მიმართ, - დაიწყო ისევ ჟაკმა, - ისინი ამტკიცებენ, რომ ორი ბატონი ჰყავთ: თქვენი უდიდებულესობა და თავიანთი ღმერთი, რომელიც, როგორც ვფიქრობ, თვით ეშმაკია. - ოჰო! - თქვა მეფემ. იგი ხელებს ისრესდა, გულში ეცინებოდა, კმაყოფილებისგან სახე უბრწყინავდა,

სიხარულს ვერ მალავდა, თუმცა დროდადრო თავს ძალას ატანდა შესაფერისი გამომეტყველების მისაღებად. ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა, თვით მეტრ ოლივიეც კი. ერთხანს მეფე გაჩუმდა, ჩაფიქრებული, მაგრამ კმაყოფილი სახე ჰქონდა.

- ბევრნი არიან? - იკითხა მეფემ მოულოდნელად.

- უთუოდ, ხელმწიფევ! - უპასუხა ჟაკმა.

- მაინც რამდენი იქნებიან?

- სულ ცოტა, ექვსი ათასი.

მეფემ თავი ვერ შეიკავა და წარმოთქვა: „კარგია!“

- შეიარაღებულნი არიან?

- ცელებით, შუბებით, თოხებით... ფრიად საზარელი იარაღები აქვთ. მეფე სრულიადაც არ შეწუხებულა ამ ჩამონათვალის გამო. ჟაკმა საჭიროდ მიიჩნია დაემატებინა: - თუ თქვენი უდიდებულესობა სასწრაფოდ არ გაუგზავნის მოსამართლეს დახმარებას, ის დაიღუპება. - ჩვენ გავგზავნით, - უპასუხა მეფემ ყალბი სერიოზულობით. - ეს კარგია! რა თქმა უნდა, გავგზავნით. მუსიე მოსამართლე ჩვენი მეგობარია. ექვსი ათასი თავზეხელაღებული! მათი თავხედობა საოცარია. ძალიან აღშფოთებული ვარ, მაგრამ ამ ღამეს მცირეოდენი ხალხი გვყავს. ხვალ დილითაც მოვასწრებთ.

ჟაკმა წამოიძახა:

- ახლავე ხელმწიფევ, თორემ მართლმსაჯულების სასახლეს მანამდე ოცჯერ გაძარცვავენ, აიკლებენ, მებატონის უფლებას შებღალავენ და მთავარ მოსამართლეს ჩამოახრჩობენ, ღვთის გულისთვის, ხელმწიფევ! გაგზავნეთ დახმარება ხვალ დილამდე. მეფემ პირდაპირ სახეში შეხედა.

- გითხარით, ხვალ დილას-მეთქი! - ეს ისეთი შეხედვა იყო, რომელიც შეპასუხებას ვერ იტანს. ერთხანს დუმილის შემდეგ ლუი XI-მ ისევ აუწია ხმას.

- ძვირფასო ჟაკ, თქვენ უნდა იცოდეთ, როგორი იყო... - მაგრამ მაშინვე გამოასწორა, - როგორია მართლმსაჯულების სასახლის მთავარი მოსამართლის უფლებები.

- ხელმწიფევ, მართლმსაჯულების სასახლის მთავარ მოსამართლეს ეკუთვნის სატკეცის ქუჩა მწვანე ქუჩამდე, სენ-მიშელის მოედანი და ის ადგილები, რომელსაც მდაბიურ ენაზე „საქშენს“ ეძახიან და ნოტრ-დამ-დე-შანის ახლოს მდებარეობს (აქ ლუი XI-მ შლაპა ოდნავ აიწია), გარდა ამისა, საოცრებათა ეზო, კეთროვანთა ჰოსპიტალი, გზატკეცილი, რომელიც აქედან იწყება და სენ-ჟაკის ჭიშკართან თავდება. ყველა ამ ადგილში იგი გზათა ზედამხედველი, უმაღლეს, საშუალო და უმდაბლეს საქმეთა მსაჯული და სრულუფლებიანი მბრძანებელია. - ნუთუ? - თქვა მეფემ და მარჯვენა ხელით მარცხენა ყური მოიფხანა. - ეს ქალაქის საკმაოდ დიდი ნაწილია! აჰ! მუსიე მთავარი მოსამართლე ყველა ამათი მეფე-მბრძანებელი იყო! ამჯერად მეფემ ნათქვამი აღარ გაასწორა და ჩაფიქრებულმა განაგრძო, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდა: - შესანიშნავია, მუსიე მოსამართლევ! პარიზის კარგა გემრიელი ნაჭერი გჭერია კბილებით! - უცბად იფეთქა: - ვფიცავ უფლის აღდგომას! ეს რა ხალხია, გზის ზედამხედველობა, მოსამართლეობა რომ დაუჩემებიათ? ყოველი მინდვრის ბოლოს თავიანთი საბაჟოები დაუწესებიათ. ყოველ გზაჯვარედინზე თავიანთი ჯალათები დაუყენებიათ? ისევე, როგორც ბერძენს სჯეროდა, რომ იმდენი ღმერთი ჰყავდა, რამდენიც წყარო იყო მის ქვეყანაში, როგორც სპარსელი ფიქრობდა, რომ იმდენი ღმერთი არსებობდა, რამდენიც ცაში ვარსკვლავია, ფრანგიც იმდენ მეფეს ითვლის, რამდენ სახრჩობელასაც დაინახავს! ეშმაკმა დალახვროს! ეს ცუდია და ამგვარი ქაოსი არ მომწონს. მინდა, თუ ღვთის ნება იქნება, რომ პარიზში სხვაზედა მხედველი არ იყოს, გარდა მეფისა, სხვა სასამართლო, გარდა ჩვენი მართლმსაჯულების

უმაღლესი სასამართლო პალატისა, სხვა ხელმწიფე, გარდა ჩვენი ხელმწიფისა! სულსა ვფიცავ! საჭიროა და უკვე დროა საფრანგეთში იყოს მხოლოდ ერთი მეფე- მბრძანებელი, ერთი მოსამართლე, ერთი ჯალათი, ისევე, როგორც სამოთხეშია ერთი ღმერთი! მან ერთხელ კიდევ აიწია შლაპა და ისევ ფიქრებში გართულმა, ისეთი იერითა და კილოთი განაგრძო, თითქოს ნადირს ძაღლებს უსევდა: - ძალიან კარგია. ჩემო ხალხო! ყოჩაღად! მიდი, დაჰკარი ვაჟკაცურად! შემუსრე ეგ ცრუ მებატონენი! გააკეთე შენი საქმე, აბა, მიდი! გაძარცვე, ჩამოახრჩვე, ააფორიაქე! აჰ, თქვენ მეფობა მომინდომეთ, ბატონებო? მიდი, ხალხო, მიდი, დაჰკარი! უცებ მეფე გაჩუმდა, ტუჩზე იკბინა, თითქოს სურდა უნებლიეთ წარმოსროლილი სიტყვები უკან წაეღო, თავისი გამჭრიახი თვალი ირგვლივმყოფთ სათითაოდ დაადგა. უცებ ორივე ხელით შლაპა მოიძრო, დააშტერდა და თქვა: - შენ რომ იცოდე, რა იმალება ჩემს თავში, დაგწვავდი! იქმყოფთ ისე გაფაციცებით მოავლო ყურადღებიანი და მოუსვენარი თვალები, ისე თვალთმაქცურად, როგორც მელამ იცის ხოლმე, სანამ თავის სოროში შეძვრება: - როგორც უნდა იყოს, შევეშველებით მუსიე მთავარ მოსამართლეს! საუბედუროდ, ამჟამად, ძალიან ცოტა ჯარი გვყავს, რომ ამოდენა ბრბოს გაუმკლავდეს. ხვალამდე მოცდა მოგვიწევს. სიტეში წესრიგს აღადგენენ და ყველას სახრჩობელაზე ჩამოჰკიდებენ, ვისაც კი მოიხელთებენ.

- მართლა, სიტყვამ მოიტანა, ხელმწიფევ! - მიმართა კუაკტიემ, - ისეთი აღელვებული ვიყავი, დამავიწყდა მეთქვა, რომ ღამის გუშაგებმა დაიჭირეს იმ ხროვას ჩამორჩენილი ორი კაცი, თუ თქვენი უდიდებულესობა ინებებს მათ ნახვას, ისინი აქ არიან.

- როგორ თუ ვინებებ მათ ნახვას! - წამოიძახა მეფემ. - უფლის აღდგომის მადლმა! როგორ ივიწყებთ ამისთანა რამეს! სწრაფად გაიქეცი, ოლივიე, მოძებნე და მომგვარე ისინი. მეტრ ოლივიე გავიდა

და ერთი წუთის შემდეგ ისევ შემოვიდა ორი ტყვის თანხლებით, რომლებიც მეფის მშვილდოსნებით იყვნენ გარშემორტყმულნი. პირველ მათგანს დასიებული, ნამთვრალევი და გამოშტერებული სახე ჰქონდა, ძონძები ეცვა, სიარულის დროს მუხლი ეკეცებოდა და ფეხს მიათრევდა. მეორე მკვდრისფერი, მაგრამ მომღიმარი სახით იდგა. მეფე ერთ წამს უსიტყვოდ ათვალიერებდა მათ, შემდეგ პირველს მიმართა: - რა გქვია შენ?

- ჟიეფრუა ცრუპენტელა.

- შენი ხელობა!

- მაწანწალა.

- რატომ ჩაერიე ამ წყეულ აჯანყებაში?

მაწანწალამ მეფეს გამოყეყეჩებული სახით შეხედა, ხელებს აქეთ-იქით აქნევდა. იგი ერთ-ერთი იმ უხეიროდ შეკოწიწებული თავთაგანი იყო, რომელშიც ჭკუა ისევე მხიარულად თამაშობს, როგორც სანთლის ალი საქრობელას ქვეშ.

- არ ვიცი, - თქვა მან, - სხვები მიდიოდნენ, მეც წავედი.

- თქვენ განზრახული გქონდათ თავხედურად დასხმოდით თავს და გაგეძარცვათ მუსიე მართლმსაჯულების სასახლის მთავარი მოსამართლე?

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ვიღაცასთან მივდიოდი რაღაცის წასართმევად. სულ ეს არის. - ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მეფეს აჩვენა სასხლავი დანა, რომელიც მაწანწალას ჩამოართვეს. - იცნობ ამ იარაღს? - ჰკითხა მეფემ.

- დიახ, ეგ ჩემი სასხლავია. მევენახე ვარ.

- იცნობ ამ კაცს, როგორც თანამებრძოლს? - დაუმატა ლუი XI-მ და მეორე ტყვეზე მიუთითა. - არა, არ ვიცნობ.

- კმარა, - თქვა მეფემ და თითით ანიშნა მდუმარე კაცს, რომელიც უძრავად იდგა კართან. - ძვირფასო ტრისტან. აგერ, წაიყვანე ეს კა-

ცი, სწორედ საშენოა. ტრისტან-განდეგილმა თავი დაუკრა და ჩურ-ჩულით მისცა ბრძანება ორ მშვილდოსანს, რომლებმაც საბრალო მაწანწალა წაიყვანეს. ამასობაში მეფე მიუახლოვდა მეორე ტყვეს, რომელსაც ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. - შენი სახელი?

- პიერ გრენგუარი, ხელმწიფევ.

- ხელობა? - ფილოსოფოსი, ხელმწიფევ.

- როგორ გაბედე, ავარავ, გაგელაშქრა ჩვენი მეგობრის, მარ-თლმსაჯულების სასახლის მთავარმოსამართლის წინააღმდეგ და რას იტყვი ხალხის ამ მღელვარებაზე? - ხელმწიფევ, მე იქ არ ვყო-ფილვარ.

- როგორ, გარყვნილო! განა ღამის გუშაგებმა ამ უხეირო საზოგა-დოებაში არ შეგიპყრეს? - არა, ხელმწიფევ, გაუგებრობა მოხდა. ბე-დისწერაა. მე ტრაგედიებს ვთხზავ. ხელმწიფევ, თქვენო უდიდებუ-ლესობავ, გემუდარებით მომისმინოთ. მე პოეტი ვარ. ჩემი პროფე-სიის ხალხს სევდა ღამღამობით ქუჩებისკენ გვერეკება. ამ საღამოს სევდით შეპყრობილი გარეთ გამოვედი. სრულიად შემთხვევით, ტყუიილუბრალოდ დამაპატიმრეს. სრულიად უდანაშაულო ვარ ამ სამოქალაქო ქარიშხალში; თქვენმა უდიდებულესობამ დაინახა, რომ მაწანწალამ ვერც კი მიცნო. მე ვევედრები თქვენს უდიდებულე-სობას...

- გაჩუმდი! - უთხრა მეფემ, სანამ წამლის მეორე ყლუპს შესვამდა, - შენი ყბედობით თავი გაგვისკდა.

ტრისტან-განდეგილი წინ წამოდგა და გრენგუარისკენ გაიშვირა თითი. - ხელმწიფევ, ესეც შეიძლება ჩამოვკიდოთ სახრჩობელაზე?

- ჰა! დიდი ამბავი! - დაუდევრად უპასუხა მეფემ. - მაგაში პრობ-ლემას ვერ ვხედავ. - სამაგიეროდ მე ვხედავ! - მიუგო გრენგუარმა.

ამ წუთს ჩვენი ფილოსოფოსი ზეთისხილზე უფრო მწვანე იყო. მე-ფის გულგრილი სახის დანახვაზე მიხვდა, რომ მისი ხსნა მხოლოდ

რაიმე მეტად პათეტიკურ საქციელს შეეძლო. ლუი XI-ს ფეხებში ჩაუვარდა და სასოწარკვეთილმა ხელების მტვრევით შესძახა: - თქვენო უდიდებულესობავ! ღირსმყავით თქვენი ყურადღებისა. დიდო ხელმწიფევ! ნუ დაატყდებით თავს ჭექა-ქუხილით ჩემისთანა არარაობას. ღვთის რისხვა, მეხი თუ ცეცხლი, როდი ატყდება ღორის ქადას. ხელმწიფევ, თქვენ გვირგვინოსანი და უძლიერესი მონარქი ბრძანდებით! შეიბრალეთ საწყალი, პატიოსანი ადამიანი, რომელსაც ისევე არ შეუძლია აჯანყების გამოწვევა, როგორც ყინულს ნაპერწკლის გაჩაღება. ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ, გულკეთილობა ლომის და მეფის სათნოებაა. ვაგლახ! სიმკაცრე მხოლოდ აშინებს გონებას. ხელმწიფევ, თქვენ მზე ხართ. გარწმუნებთ, ჩემო უფალო, ჩემო მბრძანებელო, რომ მაწანწალების, ქურდებისა და თავხედების ამხანაგი არ გახლავართ. აჯანყება და ავაზაკობა აპოლონის მსახურთ არ ეკადრებათ. მე არ ვარ ისეთი კაცი, რომ გადავეშვა ამ საავდრო ღრუბლებში, რომელიც აჯანყებად მოედება ქვეყანას. მე თქვენი უდიდებულესობის ერთგული ყმა ვარ. ისევე, როგორც ქმარი უფრთხილდება ცოლის პატიოსნებას, როგორც შვილი განიცდის მამის სიყვარულს, ასევე კარგ ყმას მართებს თავი დასდოს მეფის სახელისა და დიდებისთვის; მან მთელი თავისი სიცოცხლე მეფის კარისადმი გულმოდგინებაში უნდა გალიოს. ყველა სხვა ვნებანი თუ გატაცებანი მხოლოდ სიშმაგეა. ასეთია, ხელმწიფევ, ჩემი სახელმწიფოებრივი მრწამსი. ნუ ჩამთვლით მეამბოხედ და მძარცველად იმის გამო, რომ იდაყვებში გაცვეთილი ტანსაცმელი მაცვია. თუ მოწყალებას გაიღებთ, ხელმწიფევ, დილას და საღამოს მუხლებსაც გადავიტყავებ თქვენთვის ლოცვა-ვედრებაში! ვაი, რომ არა ვარ მდიდარი! მე ღარიბი ვარ. ყველამ უწყის, რომ დიდი სიმდიდრე კაზმული სიტყვით არ გროვდება. თვით იმათაც კი, ვინც კარგი წიგნების თხზვაში დახელოვნებულან, ყოველთვის როდი უგიზგიზებთ

ზამთრობით ბუხარში ცეცხლი. მარტო ვექილები იღებენ მთელ ხორ-ბალს, დანარჩენ მეცნიერულ დარგებს კი მხოლოდ ნამჯა და ჩალა ხვდებათ. ორმოცი დიდებული ანდაზა არსებობს ფილოსოფოსთა დახეული წამოსასხამის თაობაზე. ოჰ, ხელმწიფევ! მოწყალება ერ-თადერთი ლამპარია, რომელსაც შეუძლია გააცისკროვნოს დიადი სულის შინაგანი სამყარო! მოწყალება ყველა ქველმოქმედების ჩი-რაღდანია. უიმისოდ ისინი ბრმები, უსინათლონი არიან და ღმერთს ხელის ცეცებით ეძებენ. ლმობიერება, რომელიც იგივე მოწყალე-ბაა, იგივე დიდსულოვნებაა, ქვეშევრდომებში სიყვარულს ბადებს და მეფის საიმედო დაცვას წარმოადგენს. რა აკლდება თქვენს უდი-დებულესობას თუ ამქვეყნად ერთით მეტი საბრალო ადამიანი იარ-სებებს, ერთი უდანაშაულო ფილოსოფოსი, რომელიც სიდუხჭირის წყვდიადში ჯიბეცარიელი დალასლასებს და რომელსაც შიმშილის-გან ცარიელი მუცელი გვრემს? ამასთან, ხელმწიფევ, მე სწავლული ვარ. დიდი მეფენი, რომლებიც მეცნიერებას მფარველობდნენ, ერთ ზედმეტ მარგალიტს ჩაურთავდნენ თავიანთ გვირგვინს. ჰერაკლე არ თაკილობდა მუზათა მფარველის ტიტულს. რაა მეცნიერების მფარველობა თუ სწავლულებს სახრჩობელაზე ჩამოკიდებენ. რო-გორი ლაქა იქნებოდა ალექსანდრესთვის, არისტოტელეს ჩამოხ-რჩობა რომ ებრძანებინა! ხელმწიფევ! მე შევქმენი ფრიად სასარ-გებლო საქორწინო პიესა მადამ მარგარიტა ფლამანდიელისა და სამეფო ტახტის მემკვიდრის, უფლისწულის სადიდებლად. ამას ვერ იქმს ამბოხების გამჩაღებელი. თქვენს უდიდებულესობას შეუძლია დარწმუნდეს, რომ არა ვარ ჯღაბნია მწერლუკა, წარჩინებით ვსწავ-ლობდი და ბუნებრივი მჭევრმეტყველებით ვარ დაჯილდოებული. გაიღეთ ჩემზე მოწყალება, ხელმწიფევ! ამით ღვთისმშობლის საამე-ბელ საქმეს ჩაიდენთ. გეფიცებით, შიშსა მგვრის იმაზე ფიქრიც კი, რომ უნდა ჩამომახრჩონ.

სასოწარკვეთილი გრენგუარი ლაპარაკობდა და თან მეფის ქოშებს კოცნიდა. ვილჰელმ რიმმა ხმადაბლა წასჩურჩულა კოპენოლს:

- კარგს შვრება, მის ფეხთით მიწაზე რომ ფორთხავს. მეფეები კრეტელ იუპიტერს ჰგვანან, ყურები ფეხებში აქვთ. მეწინდე კი სულაც არ ფიქრობდა კრეტელ იუპიტერზე, გრენგუარისთვის მიეპყრო თვალი: მან ტლანქი ღიმილით გასცა პასუხი:

- ოჰ! ასე მგონია, კანცლერ ჰუგონეს ვუსმენ, შეწყალებას რომ მთხოვდა. სრულიად აქოშინებული გრენგუარი გაჩერდა და აკანკალებულმა მეფეს შეხედა, რომელიც ფრჩხილით მუხლთან შარვალზე ლაქას იფხეკდა. შემდეგ მისი უდიდებულესობა თავისი კათხით წამლის სმას შეუდგა. მაგრამ სიტყვა არ უთქვამს; ეს დუმილი ტანჯავდა გრენგუარს. ბოლოს, როგორც იქნა, მეფემ შეხედა:

- ეს რა საშინელი ყბედი ვინმეა! - და ტრისტან-განდეგილს მიუბრუნდა: - ჰეი, გაუშვი! სიხარულისგან დაბნეული გრენგუარი ჩაჯდა.

- გავათავისუფლოთ?! - ჩაიბუზღუნა ტრისტანმა, - ხომ არ ინებებს თქვენი უდიდებულესობა ცოტა ხანს გალიაში ჩავსვათ?

- ძვირფასო, - მიუგო ლუი XI-მ, - ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ამგვარი ფრინველებისთვის ვაგებთ სამას სამოცდაშვიდ ლივრად, რვა სუდ და სამ დინარად ღირებულ გალიებს? დაუყოვნებლივ გაუშვი, მომაცილე ეგ გარყვნილი (ლუი XI-ს ძალიან უყვარდა ეს სიტყვა და „უფლის აღდგომის მადლთან“ ერთად მისი ხუმრობის მთელ მარაგს შეადგენდა), კინწისკვრით გააგდე გარეთ! - უჰ! - შესძახა გრენგუარმა. - აი, დიდებული მეფე!

ეშინოდა, მეფემ არ გადაიფიქროს და განკარგულება არ გააუქმოსო და მაშინვე გასასვლელს ეცა. ტრისტანმა საკმაოდ კუშტად გაუღო კარი. მასთან ერთად ჯარისკაცებიც გამოვიდნენ და უკნიდან წიხლებს ურტყამდნენ, რაც გრენგუარმა მოთმინებით აიტანა, როგორც პრინციპულ ფილოსოფოსს შეჰფერის.

მას შემდეგ, რაც მოახსენეს, რომ ამბოხება სასახლის მოსამართლის წინააღმდეგ იყო, მეფე კარგ ხასიათზე დადგა. ეს უჩვეულო შეწყალებაც ამის დასტური იყო. ტრისტან-განდეგილი პირქუშად იბღვირებოდა ქოფაკი ძაღლივით, რომელსაც ძვალი აჩვენეს და არ მიუგდეს. ამ დროს მეფე სავარძლის სახელურზე თითებით მხიარულად უკაკუნებდა პონტოდემერის მარშის მელოდიას. მან ოსტატურად იცოდა აზრების დაფარვა, მაგრამ საზრუნავს ბევრად უკეთ მალავდა, ვიდრე სიხარულს. ზოგჯერ კარგი ამბით გამოწვეული სიხარულის ამგვარი გამოვლენა ძალიან შორს მიდიოდა: მაგალითად, შარლ გულადის სიკვდილი რომ გაიგო, წმ. მარტინ ტურელის ტაძარს ვერცხლის მოჯირი შეწირა, ხოლო ტახტზე რომ ადიოდა, დაავიწყდა, ბრძანება გაეცა, მამამისი დასაფლავებინათ. - ჰოი, ხელმწიფევ! - შესძახა უცებ ჟაკ კუაკტიემ, - რა სატკივარი გაწუხებთ, რისთვის დამიბარა თქვენმა უდიდებულესობამ?

- ოი! - თქვა მეფემ, - მე მართლაც ძალიან ვიტანჯები, ჩემო ძვირფასო. ყურები მიწივის, მკერდს თითქოს გავარვარებული ფოცხით მიკაწრავენ.

კუაკტიემ მეფის ხელი აიღო და მცოდნე კაცის იერით მაჯა გაუსინჯა. - ერთი შეხედეთ, კოპენოლ! - უთხრა ხმადაბლა რიმმა. - იგი კუაკტიესა და ტრისტანს შორის ზის. ეს არის მთელი მისი სამეფო კარი, ექიმი - მისთვის, ჯალათი - სხვისთვის. მეფეს მაჯას რომ უსინჯავდა, კუაკტიე სულ უფრო შეშფოთებულ სახეს იღებდა. ლუი XI დაძაბულად უყურებდა. კუაკტიე ყოველი თვალის დახამხამებაზე იღუშებოდა. ამ მარიფათიან ვაჟკაცს მეფის ცუდი ჯანმრთელობის გარდა, შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნდა და ისიც საუკეთესოდ იყენებდა მას.

- ოჰო! ჰო! - ჩაიბუტბუტა მან ბოლოს, - მართლაც მძიმე მდგომარეობაა. - მართლა? - ჰკითხა შეშფოთებულმა მეფემ.

- Pulsus creber, anhelans, crepitans, irregularis[1]. - უფლის აღდგომის მადლო!

- ასეთ მდგომარეობაში ადამიანი შეიძლება სამ დღეში გათავდეს. - ღვთისმშობელო! - შესძახა მეფემ. - მერე წამალი, ძვირფასო? - სწორედ მაგაზე ვფიქრობ, ხელმწიფევ.

ლუი XI-ს ენა გამოაყოფინა. თავი გააქნია, დაიმანჭა და უეცრად თქვა: - ღმერთმანი, ხელმწიფევ, უნდა მოგახსენოთ, რომ გათავისუფლდა სამეფო გადასახადთა ამკრეფის თანამდებობა და მე მყავს ძმისწული...

- შენი ძმისწულისთვის მიმიცია ეს ადგილი, ძვირფასო ჟაკ, - უპასუხა მეფემ, - ოღონდ კი მომაცილე ეს ცეცხლი, მკერდს რომ მწვავს.

- რადგან თქვენი უდიდებულესობა ასეთი მოწყალეა, - კვლავ წამოიწყო ექიმმა, - იგი უარს არ მეტყვის მცირე დახმარებაზე, რომ დავამთავრო ჩემი სახლის მშენებლობა სენტ-ანდრე-დეზ-არკის ქუჩაზე.

- ოჰო! - თქვა მეფემ.

- ფული მითავდება, - განაგრძო ექიმმა. - არადა, დასანანი იქნება, ამ სახლს ჭერი რომ ვერ დავხურო. თვით სახლი უბრალოა, მაგრამ ჟან ფურბოს მოხატული კედლები მენანება. ერთზე - დიანა მიფრინავს; ისეთი დიდებულია, ისეთი სათუთი, ისეთი გულუბრყვილო, ხალისიანი, თავზე ისე ლამაზად აქვს თმა გადავარცხნილი, რომ ყველას აცდუნებს თუ მეტისმეტი ცნობისმოყვარეობით დააკვირდება. იქ ცერერაც არის. ისიც მეტად მშვენიერი ქალღმერთია, სრულქმნილი მშვენიერებაა, როგორიც კი ოდესმე მხატვრის ფუნჯს შეუქმნია. - ჯალათო! - ჩაიბუზღუნა ლუი XI-მ, - თქვი, რა გინდა, საით უმიზნებ? - მთელ ამ მხატვრობას, ხელმწიფევ, სახურავი სჭირდება. თუმცა, ეს

[1] *მაჯისცემა ხშირი, მძიმედ მფეთქავი, წყვეტილი, სუსტი, არათანაბარი.*

წვრილმანი რამ არის, მაგრამ ფული აღარ მაქვს. - რამდენი უნდა შენს სახურავს?

- მე ვფიქრობ... სპილენძის სახურავი მთელი თავისი მორთულობითა და ვარაყით, ოქროქანდით ორი ათას ლივრზე მეტი არ დაჯდება. - აჰ! ავაზაკო! კაცისმკვლელო! - შესძახა მეფემ... - ისე არ ამომაძრობს კბილს, თუ სამაგიეროდ ალმასი არ ამაღლიტა.

- მექნება თუ არა სახურავი? - ჰკითხა კუაკტიემ.

- ჰო! ეშმაკსაც წაუღიხარ, ოღონდ განმკურნე.

ჟაკ კუაკტიემ მდაბლად დაუკრა თავი და უთხრა:

- ხელმწიფევ! თქვენ გიშველით შემწოვი და დასაცხრობი საშუალება. წელზე დაგადებთ ცვილისა და ცხიმოვანი თიხის, კვერცხის ცილის, ზეითუნის ზეთისა და ძმრისგან შეზავებულ სალბუნს. წამლის მიღებას გააგრძელებთ და თქვენი უდიდებულესობის ჯანმრთელობის თავმდები ჩვენ ვიქნებით.

ანთებული სანთელი მარტო ქინქლას როდი იზიდავს. მეტრ ოლივიემ მეფის ესოდენი გულუხვობა რომ დაინახა, იფიქრა, ხელსაყრელი წუთი ვიპოვეო და ისიც მიუახლოვდა: - ხელმწიფევ...

- რაო, რა არის კიდევ? - იკითხა ლუი XI-მ.

- ხელმწიფევ, თქვენმა უდიდებულესობამ იცის, რომ მეტრ სიმონ რადენი მოკვდა? - მერე რა?

- იგი მეფის მრჩეველი იყო ხაზინის სასამართლო საქმეებში.

- ჰოდა რა?

- ხელმწიფევ, მისი ადგილი ახლა თავისუფალია. - ამას რომ ამბობდა, მეტრ ოლივიეს მედიდურ სახეზე ამპარტავანი გამომეტყველება პირმოთნე მლიქვნელობით შეეცვალა. მეფემ პირდაპირ შეხედა და უკმეხად უთხრა: - მესმის. - და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო: - მეტრ ოლივიე, მარშალი ბუსიკო იტყოდა ხოლმე: „საჩუქარი მესმის მეფური, თევზჭერა უხვიო.“ ვხედავ, თქვენ მუსიე ბუსიკოს აზრისა

ბრძანდებით. ახლა მისმინეთ. ჯერჯერობით კარგი მეხსიერება მაქვს. 68 წელს დაგნიშნეთ ჩვენი ოთახის მსახურად; 69-ში ციხე-დარბაზის მცველად, ას ლივრს გიხდიდით (თქვენ მოისურვეთ პარიზული ლივრი). 73 წლის ნოემბერში, ჟერჟოლში გაცემული სიგელით, გაგამწესეთ ვენსენის ტყის მეთვალყურედ ჟილბერ აკლის ნაცვლად; 75-ში - მეტყევედ; 78 წელს, ყოვლადმოწყალე მეფის სიგელით, რომელიც მწვანე ცვილის ორმაგი ბეჭდით იყო დალუქული, თქვენ და თქვენს ცოლს გებოძათ ყოველწლიური რენტა ათი პარიზული ლივრის რაოდენობით, სენ- ჟერმენის კოლეჯის ახლოს ბაზრის ვაჭართაგან ასაკრეფი; 79-ში დაგნიშნეთ სენარის ტყის, შემდეგ ლომის ციხე-დარბაზის უფროსად, შემდეგ სენ-კენტენის მმართველად, მერე მილანის ხიდისთავად და იმ დღიდან გრაფი მილანის სახელს ატარებთ. იმ ხუთსუიანი ჯარიმიდან, რომელსაც ყოველი დალაქი იხდის დღესასწაულებში ვინმეს გაპარსვის გამო, სამი სუ თქვენი წილია, ხოლო ჩვენ ნაშთი გვხვდება. ნება დაგრთეთ შეგეცვალათ თქვენი წინანდელი გვარი ლე მოვე, რაც თქვენთვის სწორედაც რომ ზედგამოჭრილია. 74-ში, თავადაზნაურობის დიდი უკმაყოფილების მიუხედავად, გიბოძეთ ათასფეროვანი ჯილდო, რამაც თქვენი მკერდი ფარშევანგის მკერდს დაამსგავსა. ვფიცავ უფლის აღდგომის მადლს! მაინც ვერ გაძეხით. განა საოცრად ბევრი თევზი არ დაიჭირეთ? ნუთუ არ გეშინიათ, რომ ერთმა ზედმეტმა ორაგულმა შეიძლება თქვენი ნავი გადააბრუნოს? ამპარტავნობა დაგღუპავთ, ჩემო ძვირფასო. ამპარტავნობას მოსდევს აოხრება და სირცხვილი. კარგად განსაჯეთ ეს და გაჩუმდით. მკაცრად ნათქვამმა სიტყვებმა აიძულა მეტრ ოლივიე, ისევ ურცხვი და თავხედი გამომეტყველება მიეღო.

- კარგი, - ჩაიბუზღუნა მან თითქმის ხმამაღლა, - მართლაც, ეტყობა, რომ დღეს მეფე ავად ბრძანდება. ყველაფერს ექიმს აძლევს.

ლუი XI ამ კადნიერებაზე არ გაბრაზებულა, ერთგვარი სიმშვიდითაც კი მიმართა: - ჰო, კინაღამ დამავიწყდა, რომ ჩემს ელჩად დაგნიშნეთ გენტიში ჰერცოგინიასთან. - დიახ, ბატონებო, - მიუბრუნდა მეფე ფლამანდიელებს, - იგი ელჩი იყო. აბა, ჩემო ძვირფასო, - მიმართა ისევ მეტრ ოლივიეს, - ნუ ვიჩხუბებთ, ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ. ახლა უკვე გვიანია. სამუშაო დავამთავროთ. მოდით, გამპარსეთ.

„მეტრ ოლივიეს“ სახით უეჭველად უკვე იცანით ის საზარელი ფიგარო, რომელიც განგებამ ესოდენ ოსტატურად გარია ლუი XI-ის გრძელსა და სისხლიან კომედიაში. მეფის დალაქს სამი სახელი ჰქონდა. სასახლის კარზე მას თავაზიანად ოლივიე ლე დენით მიმართავდნენ, ხალხში „ოლივიე ეშმაკს“ ეძახდნენ. მისი ნამდვილი სახელი კი, როგორც მეფემ თქვა, ოლივიე ლე მოვე იყო. ამგვარად, ოლივიე ლე მოვე უძრავად იდგა, მეფეს ებუტებოდა და ჟაკ კუაკტიეს ალმაცერად უყურებდა.

- დიახ! დიახ! ყველაფერი ექიმს! - გაიმეორა კრიჭაშეკრულმა. - დიახ! ექიმს! - მიუგო იშვიათი გულკეთილობით ლუი XI-მ. - დიახ, ექიმს თქვენზე მეტი ნდობა აქვს. ეს მარტივი რამაა. მის ხელთაა ჩვენი სხეული, შენს ხელთ კი მხოლოდ ნიკაპი. კარგი, ჩემო საბრალო დალაქო, შენც შეგხვდება რაღაც. მაშინ რას იტყოდი ან რას იზამდი, მე რომ ისეთი მეფე ვიყო, როგორიც მეფე ხილპერიკი, რომელსაც წვერზე ხელის მოკიდების ჩვეულება ჰქონდა? აბა, ჩემო ძვირფასო, შეუდექი შენს სამსახურებრივ მოვალეობას, წვერი მომპარსე. მიდი, მოიტანე ყველაფერი, რაც გჭირდება. როცა ოლივიემ დაინახა, რომ მეფე ყველაფერს ხუმრობაში ატარებდა და მის გაბრაზებასაც კი ვერ ახერხებდა, ბრძანების შესასრულებლად ბუზღუნით გავიდა. მეფე წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა, უცებ გააღო იგი და არაჩვეულებრივი აღტყინებით წამოიძახა:

- ოჰ! დიახ! - და ტაში შემოჰკრა, - შეხედეთ, ცა გაწითლებულა სიტეს თავზე. მოსამართლის სახლი იწვის. აჰ! ჩემო კარგო ხალხო! როგორც იქნა, შენც მოხვედი, რათა დამეხმარო დიდებულების დამხობაში!

შემდეგ ფლამანდიელებისკენ მიბრუნდა:

- ბატონებო, მობრძანდით, შეხედეთ. ეს ხომ ხანძარია?

ორივე გენტელი მეფეს მიუახლოვდა.

- დიდი ხანძარია, - თქვა ვილჰელმ რიმმა.

- ოჰ! - ჩაურთო კოპენოლმა და უცბად თვალები აენთო, - ეს სენიორ ემბერკურის სახლის დაწვას მაგონებს. როგორც ჩანს, დიდი ამბოხებაა.

- ასე ფიქრობთ, მეტრ კოპენოლ? - ლუი XI-ის გამოხედვა თითქმის ისეთივე მხიარული იყო, როგორიც მეწინდისა, - ძნელი იქნება წინააღმდეგობის გაწევა? - ვფიცავ ჯვარს უფლისას, ხელმწიფევ, რომ თქვენს უდიდებულესობას მებრძოლთა არაერთი ასეული დაუზარალდება იქ!

- აჰ! ეს სხვა საქმეა, - მიუგო სწრაფად მეფემ. - თუ მოვინდომე!.. მარშალი ბუსიკო XV ს-ში ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

მეწინდე გაბედულად შეეპასუხა: - თუ ეს აჯანყება ისეთია, როგორსაც ვვარაუდობ, მაშინ მარტო თქვენი მონდომება და სურვილი არ იკმარებს, ხელმწიფევ. - ძვირფასო, - უთხრა ლუი XI-მ, - ჩემი დაცვის ორი ასეული და ზარბაზნის ბათქი კმარა, რომ ამ ხეპრეების ბრბოს ლაზათიანად გაუსწორდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ვილჰელმ რიმი ანიშნებდა, მეწინდეს გადაეწყვიტა მაგრად დახვედროდა მეფეს.

- ხელმწიფევ, შვეიცარიელებიც სოფლელი ტეტიები იყვნენ, მისი აღმატებულება ბურგუნდიელი ჰერცოგი კი მათ არაფრად აგდებდა.

გრანსონის ბრძოლის დროს, ხელმწიფევ, ის ყვიროდა: მეზარბაზნეებო! ცეცხლი ამ წუპაკებსო და წმინდა გიორგის ფიცულობდა. მაგრამ ქალაქის თავი ფიცხლად ეკვეთა თავისი კვერთხითა და ხალხით დიდებულ ჰერცოგს და ამ კამეჩის ტყაპუჭიან გლეხებთან ბრძოლისას ბურგუნდიელთა ბრწყინვალე არმია ფანჯრის მინასავით ნამსხვრევებად იქცა. იქ ცოტა როდი იყო ამ არამზადების მიერ განგმირული რაინდი. - მეგობარო, - ჩამოართვა სიტყვა მეფემ, - თქვენ ლაპარაკობთ ბრძოლაზე, აქ კი უბრალოდ შფოთზეა ლაპარაკი. საკმარისია წარბი შევიკრა, რომ ამ ამბავს ბოლო მოეღება. მეწინდემ გულცივად მიუგო:

- შეიძლება, ხელმწიფევ! მაგრამ ეს იმას ამბობს, რომ ხალხის საათს ჯერ კიდევ არ ჩამოუკრავს. ვილჰელმ რიმმა საჭიროდ ჩათვალა ჩარეულიყო:

- მეტრ კოპენოლ, თქვენ უძლიერეს მეფეს ელაპარაკებით.

- ვიცი, - მედიდურად მიუგო მეწინდემ.

- დაე, ილაპარაკოს, მუსიე რიმ, ჩემო მეგობარო, - უთხრა მეფემ. - მიყვარს გულახდილი საუბარი. მამაჩემი შარლ VII ამბობდა, ჭეშმარიტება დასნეულდაო. მე კი მეგონა, მას ისე აღმოხდა სული, აღმსარებელიც ვერ ნახა. მეტრ კოპენოლი კი მარწმუნებს, რომ ვცდებოდი. - და მოურიდებლად მხარზე ხელი დაადო კოპენოლს. - მაშ, თქვენ ამბობთ, მეტრ ჟაკ... - მე ვამბობ, ხელმწიფევ, რომ შესაძლოა თქვენ მართალიც ბრძანდებით, მაგრამ თქვენში ჯერ კიდევ არ დამდგარა ხალხის დრო.

ლუი XI-მ გამჭრიახი თვალით შეხედა. - მაშ, როდისღა დაჰკრავს ეგ საათი, მეტრ? - თქვენ გაიგონებთ რეკვას.

- თუ შეგიძლიათ მითხრათ, რომელი კოშკის საათიდან?

კოპენოლმა აუღელვებელი გამომეტყველებით და ხეპრულად მიიყვანა მეფე ფანჯარასთან. - მისმინეთ, ხელმწიფევ! აგერ ციხე-

კოშკი, ზარბაზნები, მოქალაქენი, ჯარისკაცები. როდესაც ამ სათვალთვალო კოშკიდან წამოვა განგაშის ხმები, როდესაც ზარბაზნები იგრიალებენ და ციხე-კოშკი გრუხუნით დაემხობა, როდესაც მოქალაქენი და ჯარისკაცები ღმუილით ერთმანეთს ეკვეთებიან, მაშინ დარეკავს ეს საათი. ლუი XI ჩაფიქრდა, სახე მოეღუშა, ერთხანს მდუმარედ იდგა, შემდეგ ციხის სქელ კედელს ალერსით დაჰკრა ხელი, თითქოს ხელი ბედაურის გავას გადაუსვაო. - ოჰ! არა! შენ ხომ ასე ადვილად არ დაემხობი, ჩემო კარგო ბასტილია? - და მერე უცებ მიტრიალდა მამაცი ფლამანდიელისკენ. - გინახავთ ოდესმე აჯანყება, მეტრ ჟაკ? - მე თვითონ გამომიწვევია აჯანყება. - უპასუხა მეწინდემ.

- რას აკეთებდით იმისთვის, რომ აჯანყება გამოგეწვიათ?

- აჰ! - უპასუხა კოპენოლმა, - ეს არც ისე ძნელია. ასნაირი ხერხი არსებობს. ჯერ ერთი, საჭიროა, რომ ქალაქში უკმაყოფილება იყოს და ასეთი რამ იშვიათი როდია, შემდეგ, მცხოვრებთა ხასიათი... გენტელებს აჯანყებისკენ მიდრეკილება აქვთ. მათ ყოველთვის უყვართ უფლისწული, მაგრამ მეფე - არასოდეს. ჰოდა, კეთილი! ვთქვათ, ერთ დილას ჩემთან დუქანში შემოვიდა ვინმე და მითხრა: მეტრ კოპენოლ, ფლამანდიელ ქალბატონს სურს გადაარჩინოს თავისი მინისტრები, მთავარმა მოსამართლემ მაჟალოს და პანტის გადასახადი გააორმაგა და სხვა, რაც გნებავთ. მაშინვე ვტოვებ სამუშაოს, საწინდედან ქუჩაში გავდივარ და ვყვირი: „ძარცვა-გლეჯა!“ ყოველთვის მოიძებნება სადმე ძირგავარდნილი კასრი. ავდივარ ზედ და ხმამაღლა გავიძახი ყველაფერს, რაც ენაზე მომადგება და რაც გულში მაქვს. როცა კაცი ხალხიდანაა გამოსული, იმას გულში მუდამ რაღაცა აქვს, ხელმწიფევ. მაშინ ირგვლივ ხალხი მოგროვდება, ყვირიან, განგაშს ტეხენ, ჯარისკაცებს იარაღს აჰყრიან და სოფლელებს დაურიგებენ, ბაზრის ხალხიც შემოგვიერთდება და აჯანყებაც

მზადაა. ყოველთვის ასე იქნება, სანამ მამულებში ბატონები სხედან, ქალაქებში მოქალაქეები არიან, ხოლო სოფლად გლეხები ცხოვრობენ.

- მერედა ვის წინააღმდეგ ჯანყობთ? - ჰკითხა მეფემ. - მოსამართლეების თუ ბატონების? - ხან ისე, ხან ასე, როგორც მოგვიხდება, გარემოებათა მიხედვით. ზოგჯერ ჩვენი ჰერცოგის წინააღმდეგაც.

ლუი XI ისევ დაჯდა და ღიმილით თქვა:

- აჰა! ჩვენში კი ჯერჯერობით მხოლოდ მოსამართლეებს მიადგნენ. ამ დროს ოლივიე ლე დენი შემოვიდა. მას ორი მსახური მოსდევდა, რომელთაც მეფის საპარსი მოწყობილობა მოჰქონდათ. მაგრამ მეფე იმან გააკვირვა, რომ ოლივიეს თან ახლდნენ პარიზის პრევო და ღამის გუშაგთა უფროსი, რომლებიც თავზარდაცემული ჩანდნენ. ავგული დალაქიც გაოცებული იყო, მაგრამ შინაგანი კმაყოფილება მაინც ეტყობოდა. პირველად მან დაიწყო. - ხელმწიფევ, თქვენს უდიდებულესობას ვთხოვ, მაპატიოს უსიამოვნო ცნობისთვის. მეფე მკვირცხლად შებრუნდა მისკენ და სავარძლის ფეხით იატაკზე დაგებული ჭილოფი დაეხა.

- რას ნიშნავს ეს?

- ხელმწიფევ, - განაგრძო ოლივიე ლე დენმა ისეთი ბოროტი იერით, როდესაც უხარიათ, ვინმეს მწარე დარტყმას რომ აყენებენ. - ხალხის აჯანყება სულაც არ არის მიმართული მართლმსაჯულების სასახლის მთავარმოსამართლის წინააღმდეგ.

- მაშ, ვის წინააღმდეგ არის?

- თქვენს წინააღმდეგ, ხელმწიფევ.

მოხუცი მეფე ფეხზე წამოდგა და ახალგაზრდასავით გასწორდა წელში. - ამიხსენი, ოლივიე! განმიმარტე! თავს გაუფრთხილდი, ჩემო ძვირფასო, თორემ წმინდა ლოს ჯვარსა ვფიცავ, თუ გვატყუებ, ის მახვილი, რომელმაც ჰერცოგ უქსემბურგელს თავი მოჰკვეთა, იმ-

დენად არ დაჟანგებულა, რომ შენ ვერ გაგაგდებინოს თავი. ეს საშინელი ფიცი იყო. თავის სიცოცხლეში ლუი XI-მ წმინდა ლოს ჯვარი მხოლოდ ორჯერ დაიფიცა.

ოლივიემ პასუხისთვის პირი დააღო:

- ხელმწიფევ...

- დაიჩოქე! - შეაწყვეტინა გამძვინვარებულმა მეფემ, - ტრისტან, თვალყური ადევნე ამ კაცს. ოლივიე მუხლებზე დაემხო და ცივად წარმოთქვა:

- ხელმწიფევ, თქვენმა სამეფო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა ვიღაც ჯადოქარს. მან თავი შეაფარა ღვთისმშობლის ტაძარს. ხალხს უნდა, რომ იგი იქიდან ცოცხალი გამოიყვანოს. მუსიე პრევო და ღამის გუშაგთა უფროსი იქიდან მოვიდნენ, ახლა თქვენს წინაშე არიან და შეუძლიათ მამხილონ, თუ ეს მართალი არაა. ხალხმა ღვთისმშობლის ტაძარს ალყა შემოარტყა. - ერთი უყურეთ! - ჩაილაპარაკა ხმადაბლა მთლად გაფითრებულმა და რისხვისგან აკანკალებულმა მეფემ. - ღვთისმშობლის ტაძარი. მათ ალყა შემოარტყეს ღვთისმშობელს, ქალწულ მარიამს, ჩემს მოწყალე მბრძანებელს მისივე კათედრალში. წამოდექი, ოლივიე. მართალი ხარ. მიბოძებია სიმონ რადენის თანამდებობა. მართალი ხარ, მე მიტევენ. ჯადოქალს ეკლესია მფარველობს, ეკლესიას კი მე ვმფარველობ. მეგონა, მოსამართლის წინააღმდეგ ჯანყობდნენ, თურმე ჩემზე მოდიან. სიშმაგემ თითქმის გააახალგაზრდავა, დიდი ნაბიჯებით აქეთ-იქით დაიწყო სიარული. აღარ იცინოდა. საზარელი სანახავი იყო. მელია აფთრად იქცა. ეტყობოდა, სული ეხუთებოდა, ვეღარ ლაპარაკობდა, ტუჩებს აცმაცუნებდა, გამხმარ მუშტებს კრუნჩხავდა. უცებ თავი ასწია, ჩაცვენილ თვალებში ცეცხლი გამოკრთა და ბუკივით დაიგრგვინა:

- სტაცე ხელი, ტრისტან! გასრისე ის გაიძვერა არამზადები! გაეშურე, ტრისტან, ჩემო მეგობარო! გაჟლიტე! ამოხოცე!

აფეთქების შემდეგ იგი ისევ დაჯდა და გაშმაგებულმა ცივად წარმოთქვა: - აქეთ, ტრისტან!

ბასტილიაში გვყავს ორმოცდაათი შუბოსანი, რაც საჭურველთმტვირთველებთან ერთად სამას მხედარს შეადგენს, წაიყვანეთ ისინი. აქ არის აგრეთვე ჩვენი დაცვის მშვილდოსანთა ასეული მუსიე დე შატოპერის მეთაურობით, ისინიც წაიყვანეთ. მჭედელთა ამქრის უფროსი ხართ, თქვენ გემორჩილებათ საამქროს ხალხი, წაიყვანეთ ისინი. სენ- პოლის სასახლეში ნახავთ ტახტის მემკვიდრის ახალი გვარდიის ორმოც მშვილდოსანს, ისინიც წაიყვანეთ. მთელი ამ ჯარით გაეშურეთ ღვთისმშობლის ტაძრისკენ. აჰ! პარიზელო ხეპრეებო! საფრანგეთის გვირგვინის, ტახტის წინააღმდეგ, ღვთისმშობლის ტაძრის და ჩვენი სახელმწიფოს სიმშვიდის წინააღმდეგ ილაშქრებთ?! ამოწყვიტე, ტრისტან! ამოჟლიტე! ვინც სიკვდილს გადაურჩება, ჩამოახრჩვე! ტრისტანმა თავი დაუკრა.

- კარგი, კეთილი, ხელმწიფევ! - ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაურთო: - რა ვუყო ჯადოქალს? ამ კითხვამ მეფე ჩააფიქრა.

- აჰ! - თქვა მან, - ჯადოქალი? მუსიე დ'ესტუტვილ, რას უპირებდა მას ხალხი? - ხელმწიფევ, - უპასუხა პარიზის პრევომ, - ვფიქრობ, რაკი ხალხი ღვთისმშობლის თავშესაფრიდან ჯადოქალის ძალით გამოთრევას ცდილობს, მისი ჩამოხრჩობა სურს, ამიტომ ჯადოქრის დაუსჯელობა შეურაცხყოფს ხალხს.

მეფე, როგორც ჩანდა, ღრმად ჩაფიქრდა, შემდეგ ტრისტან-განდეგილს მიუბრუნდა: - კეთილი! ჩემო ნათლია, ხალხი ამოწყვიტე და ჯადოქალი ჩამოახრჩვე! - კარგი რამაა, - დაბალი ხმით წასჩურჩულა რიმმა კოპენოლს, - ხალხი დასაჯე მისი სურვილის გამო, შემდეგ კი ის გააკეთე, რაც ხალხს სურს!

- მესმის, ხელმწიფევ, - უპასუხა ტრისტანმა, - თუ ჯადოქალი ისევ ღვთისმშობლის ტაძარშია, შემიძლია თუ არა გამოვიყვანო იქიდან, მიუხედავად თავშესაფრის უფლებისა? - უფლის აღდგომის მადლო, თავშესაფარი! - თქვა მეფემ და ყური მოიფხანა. - მაგრამ ის ქალი მაინც უნდა ჩამოახრჩო.

თითქოს უეცარმა აზრმა გაუელვა თავშიო, თავისი სავარძლის წინ მუხლებზე დაემხო. ქუდი მოიხადა, სკამზე დადო და მოწიწებით მიაპყრო მზერა მასზე გამოსახულ ერთ-ერთ ფიგურას: - ოჰ! - თქვა მან და ხელები ერთმანეთზე გადააჭდო, - პარიზის ღვთისმშობელო! ჩემო მოწყალე მფარველო, მომიტევე! მხოლოდ ერთხელ ჩავიდენ ამას! ის დამნაშავე ქალი უნდა დაისაჯოს, გარწმუნებ, ჩემო კეთილო მფარველო, რომ ის ჯადოქარი არ არის ღირსი თქვენი თავაზიანი, გულითადი მფარველობისა. შენ უწყი, რომ ბევრ ფრიად ღვთისმოსავ ხელმწიფეს დაურღვევია ეკლესიის პრივილეგიები ღვთის სადიდებლად და სახელმწიფოებრივი აუცილებლობის გამო. წმინდა ჰიუგმა, ინგლისელმა ეპისკოპოსმა ედუარდ მეფეს ნება დართო თავის ეკლესიაში ჯადოქარი შეეპყრო. ალფონსმა, იერუსალიმელი მეფის ძემ - თვით უფლის აკლდამის ეკლესიის ხელშეუხებლობაც კი დაარღვია. მაშ, მომიტევე ამჯერად, პარიზის ღვთისმშობელო! მეტს აღარ ვიზამ და ვერცხლის ლამაზ ქანდაკებას მოგიძღვნი. ჭეშმარიტად, იყოს ასე, ამინ!

პირჯვარი გადაიწერა, წამოდგა, ქუდი დაიხურა და ტრისტანს უთხრა: - მკვირცხლად მოიქეცი, ჩემო ძვირფასო. თან წაიყვანეთ მუსიე დე შატოპერი. უბრძანეთ, განგაში ატეხონ. გასრისეთ მდაბიო ბრბო. ჩამოახრჩვეთ ჯადოქალი. მე მსურს, რომ სიკვდილით დასჯა თქვენ აღასრულოთ. ანგარიშს მე ჩამაბარებთ - წავიდეთ, ოლივიე, ამ ღამეს არ დავიძინებ, წვერი მომპარსე.

ტრისტან-განდეგილმა თავი დაუკრა და გავიდა. შემდეგ მეფემ რიმი და კოპენოლი დაითხოვა: - ღმერთი გფარავდეთ, ჩემო კეთილო მეგობრებო, ბატონო ფლამანდიელებო, მიბრძანდით, ცოტა მოისვენეთ. ღამე ილევა. დილა გვიახლოვდება. ორივემ დატოვა იქაურობა. როდესაც ბასტილიის ციხისთავის თანხლებით თავიანთ ოთახებს მიუახლოვდნენ, კოპენოლმა რიმს უთხრა:

- ჰმ! მეყოფა, კმარა, ყელში ამომივიდა ეს მეფე, სულ რომ ახველებს. მე მინახავს მთვრალი შარლ ბურგუნდიელი, მაგრამ ის არ იყო ასეთი ავი და ბოროტი, როგორც ეს სნეული ლუი XI. - მეტრ ჟაკ, - უპასუხა რიმმა, - ეს იმიტომ, რომ მეფეთა ღვინო ნაკლებად მწარეა, ვიდრე წამალი.

10.6. მოკლე სატევრები ლაღობენ

ბასტილიიდან გამოსული გრენგუარი სენტ-ანტუანის ქუჩაზე თავაწყვეტილი ცხენის სისწრაფით დაეშვა. ბოდუაიეს ჭიშკარს რომ მიაღწია, პირდაპირ მოედანზე აღმართული ქვის ჯვარცმისკენ გაემართა, რომლის საფეხურებზეც თითქმის სიბნელეში შავითმოსილი, კაპიუშონიანი მამაკაცი იჯდა.

- თქვენ ხართ, მეტრ? - ჰკითხა გრენგუარმა.

შავოსანი წამოდგა.

- ვნებანო უფლისანო! დავილიე ლოდინით, გრენგუარ. სენ-ჟერვენის კოშკზე გუშაგმა ნაშუაღამევის ორის ნახევარი უკვე გვაუწყა.

- ოჰ! - უპასუხა გრენგუარმა. - ჩემი ბრალი არ არის, ღამის გუშაგებისა და მეფის ბრალია. კიდევ კარგად დავაღწიე თავი. ყოველთვის ხელიდან ვუშვებ ჩემი ჩამოხრჩობის შემთხვევას. ასეთია ბედისწერა.

- შენ მუდამ ხელიდან უშვებ ყველაფერს, - უთხრა მეტრმა. - ჩქარა წავიდეთ. - თქვენ წარმოიდგინეთ, მეტრ, მე ვნახე მეფე. იქიდან მოვდივარ. ფანელის მოკლე შარვალი აცვია. ბევრი რამ გადავიტანე...

- ეჰ! ნეტა რა გატარტარებს? ეს არ მაინტერესებს! მაწანწალების პაროლი თუ იცი? - ვიცი. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, „მოკლე სატევრები ლაღობენ“. - კეთილი. სხვაგვარად ეკლესიამდე ვერ მივაღწევთ. მაწანწალებს ქუჩები ჩაუხერგავთ. საბედნიეროდ, როგორც ჩანს, წინააღმდეგობას წააწყდნენ. შეიძლება მივუსწროთ. - რასაკვირველია, მეტრ. მაგრამ, როგორ უნდა შევიდეთ ღვთისმშობლის ტაძარში? - თან მაქვს კოშკის გასაღები.

- როგორღა გამოვალთ იქიდან?

- მონასტერს უკან პატარა საიდუმლო კარი აქვს, რომელიც ტერენზე გადის, იქიდან კი მდინარეზე. მისი გასაღებიც წამოვიღე და დილით ბაგირით იქ ნავი მივაბი. - ლამაზად კი ავცდი სახრჩობელას! - წამოიწყო ისევ გრენგუარმა. - ჰო, ჩქარა! წავედით! - უთხრა შავოსანმა კაცმა. - და ორივე ჩქარი ნაბიჯით დაეშვა სიტესკენ.

10.7. შატოპერ, დაიხსენი!

კვაზიმოდომ, მაწანწალებით ყოველმხრივ გარემოცულმა მამაცმა ყრუმ, მხნეობა არა, მაგრამ ხსნის იმედი მაინც დაკარგა, რა თქმა უნდა, ბოშა ქალის ხსნის იმედი, თორემ საკუთარ თავზე აღარ ფიქრობდა. თავგზააბნეული დერეფანში დარბოდა. ცოტაც და, ტაძარს მაწანწალები აიღებდნენ. უცებ მეზობელ ქუჩებში ცხენების თქარათქური გაისმა, გამოჩნდა ჩირაღდნების გრძელი მწკრივი და ცხენოსანთა შეიარაღებული რაზმები. ისინი ხმაურითა და ყიჟინით გრიგალივით შემოიჭრნენ მოედანზე:

- საფრანგეთისთვის! საფრანგეთისთვის! აჩეხე ხეპრეები! შატოპერ, დაიხსენი! პრევოსთვის! პრევოსთვის!

ყრუ კვაზიმოდომ დაინახა გაშიშვლებული ხმლები, ჩირაღდნები, შუბების წვეტები, მთელი ცხენოსანი ჯარი, რომელსაც კაპიტანი ფებუსი მეთაურობდა. დაინახა, როგორ დაიქსაქსნენ და დაიბნენ მაწანწალები, ამ მოულოდნელმა დახმარებამ ძალა შემატა - უკუაგდო უკვე გალერეაზე ამოსული პირველი მომხვდურნი.

მეფის რაზმები მოულოდნელად გამოჩნდნენ, თუმცა მაწანწალები მალე მოეგნენ გონს და გაბედულად მოქმედებდნენ, თავს მედგრად იცავდნენ. როცა სენ-პიერ-ო-ბეფის ქუჩის მხრიდან ჯარისკაცებმა შემოუტიეს, მაწანწალები ერთსა და იმავე დროს გარემომცველნიც აღმოჩნდნენ და გარემოცულნიც; ისინი ისეთივე უცნაურ მდგომარეობაში ჩავარდნენ, რომელშიც მოგვიანებით, 1640 წელს, ტურინის ყბადაღებული გარემოცვის დროს გრაფი ანრი დ'არკური აღმოჩნდა. მან ალყა შემოარტყა პრინც თომას სავოიელს და თვითონ აღმოჩნდა მარკიზ ლეგანეზის ჯარებისგან გარშემორტყმული, Taurinum obsessor idem et obsessus[1], გვაუწყებს მისი საფლავის ქვის წარწერა. საშინელი შეტაკება დაიწყო. „ძაღლის კბილს მგლის კბილი დახვდა." მეფის ცხენოსნები, რომელთა შორის გამბედაობით გამოირჩეოდა ფებუს დე შატოპერი, არავის ინდობდნენ, ვინც ხმალს გადაურჩებოდა, მახვილის წვერით სწვდებოდნენ.

ცუდად შეიარაღებული მაწანწალები იკბინებოდნენ. კაცი, ქალი, ბავშვი ცხენის გავას თუ მკერდს კატებივით ახტებოდნენ და კბილებსა და ფრჩხილებს ასობდნენ. სხვები მშვილდოსნებს სახეში ჩირაღდნებს არტყამდნენ, რკინის კავებსა და სამსჭვალებს უყრიდნენ მხედრებს კისერში და ძირს ყრიდნენ. ჩამოყრილებს ასო-ასო კუწავ-

[1] *ტურინის გარემომცველი, იგივე გარემოცული (ლათ.).*

დნენ. ვიღაცა დიდი ცელით კარგა ხანი ცხენთა ფლოქვებს ცელავდა და თან რაღაც სიმღერას დუდღუნებდა. ცელს გამალებით იქნევდა, ყოველ მოქნევაზე თითოს ჩეხდა. მშვიდად მიიწევდა წინ ცხენოსანთა ხშირი რიგებისკენ, თავს აქეთ-იქით აქნევდა, თანაბრად ქშინავდა, როგორც ხორბლის მომკელი. ეს კლოპენ ტრუილფუ იყო, რომელიც სიათის ტყვიამ ადგილზე გაყინა. ამასობაში ფანჯრები ისევ გაიღო. მეზობლებმა მეფის მხედრობის ყიჟინა რომ გაიგონეს, დაფაცურდნენ და ყველა სართულიდან ტყვიები სეტყვასავით დააყარეს მაწანწალებს. კარიბჭის წინა მოედანი სქელი კვამლით დაიფარა, ბოლოს მაწანწალები შედრკნენ. დაღლილობამ, კარგი იარაღის ნაკლებობამ, მოულოდნელმა თავდასხმამ, ფანჯრებიდან სროლამ, მეფის მხედრების მედგარმა დარტყმამ ისინი გატეხა. მაწანწალები ყველა მიმართულებით მიმოიფანტნენ. კარიბჭის მოედანი სასაკლაოს ჰგავდა.

კვაზიმოდოს ბრძოლა წუთითაც არ შეუწყვეტია; როდესაც მაწანწალები გაიფანტნენ, მუხლებზე დაეცა და ზეცისკენ აღაპყრო ხელები. მერე სიხარულისგან დამთვრალი ჩიტივით აფრინდა იმ საკანში, რომლის მისადგომებს ესოდენ გულადად იცავდა. მას ერთადერთი აზრი ასულდგმულებდა, დაეჩოქა იმის წინაშე, ვინც ის-ის იყო, მეორედ გადაარჩინა, მაგრამ საკანი ცარიელი დახვდა.

11.1. ციცქნა ფაჩუჩი

იმ წუთს, როდესაც მაწანწალებმა ეკლესიის გარემოცვა დაიწყეს, ესმერალდას ეძინა. შენობის ირგვლივ მზარდმა ხმაურმა და მასზე ადრე გაღვიძებული თხის მოუსვენარმა კიკინმა ძილი დაუფრთხო. ლოგინზე წამოჯდა, ყური მიუგდო და შეშინებული საკნიდან გავარდა. მოედანზე მოძრავმა აჩრდილებმა, არეულობამ, ბრბომ, რომელსაც წყვდიადში ბუნდოვნად არჩევდა და მათმა ხრინწიანმა ყიყინმა, აქეთ-იქით მოძრავმა წითელმა ჩირაღდნებმა, მასზე კუდიანთა ღამის სერობის, მოჩვენებებსა და ეკლესიის ქვის ურჩხულთა შორის გამართული იდუმალი ბრძოლის შთაბეჭდილება მოახდინა. ბოშათა ცრუმორწმუნეობით აღზრდილი, თავზარდაცემული ესმერალდა საკანში შევარდა და გაინაბა.

ღმერთს ევედრებოდა, მისთვის საშინელი მაჯლაჯუნები არ მოევლინა. მაგრამ პირველი შიში ნელ-ნელა გაიფანტა. მზარდმა ხმაურმა და სინამდვილის მრავალმა ნიშანმა აგრძნობინა, რომ ტაძარს მოჩვენებანი კი არა, ადამიანები შემოსჯარვოდნენ. მისმა შიშმა სხვა ფორმა მიიღო, როდესაც გაიფიქრა, შესაძლოა ხალხს თავშესაფრიდან ჩემი ძალით გაყვანა უნდაო. მწუხარებისაგან მუხლებზე დაეცა, ლოგინზე დაემხო და ხელები თავზე იტაცა. თუმცა ესმერალდა კერპთაყვანისმცემელი იყო, მოწყალებას ღვთისმშობელს სთხოვდა. რადგან ცხოვრებაში დგება წუთები, როდესაც თვით ურწმუნოც კი განიმსჭვალება იმ ტაძრის სარწმუნოებით, რომლის მფარველობაშიც იმყოფება.

დიდხანს იყო ასე მუხლმოყრილი, უმოძრაო. მოახლოებული ბრბოს სუნთქვას გრძნობდა და ძარღვებში სისხლი ეყინებოდა. ვერ აეხსნა მათი გაშმაგების მიზეზი, რა უნდოდათ, რა იხლართებოდა... თუმცა, ბუნდოვნად გრძნობდა საშინელ დასასრულს. უცებ ფეხის

ხმა მოესმა. მიბრუნდა. საკანში შემოვიდა ორი ადამიანი, რომელთაგან ერთს სანათი ეჭირა. ქალმა სუსტად შეჰკივლა.

- ნურაფრის გეშინიათ, - უთხრა ერთ-ერთმა, რომლის ხმაც ეცნო, - მე ვარ. - ვინ თქვენ? - ჰკითხა ქალმა.

- პიერ გრენგუარი.

ამ სახელის გაგონებაზე დამშვიდდა. იცნო პოეტი. მაგრამ შავოსანი, კაპიუშონიანი მამაკაცის დუმილმა გააოცა.

- ხედავთ, - წარმოთქვა გრენგუარმა საყვედურის კილოთი, - ჯალიმ თქვენზე ადრე მიცნო! მართლაც, პატარა თხას არ დაუცდია, სანამ გრენგუარი შეეხმიანებოდა. როგორც კი შემოვიდა, მუხლებზე ნაზად გაეხახუნა, პოეტი ალერსითა და თეთრი ბეწვით დაფარა, რადგან იმჟამად ბეწვი სცვიოდა. გრენგუარმაც ალერსით უპასუხა.

- ეს ვინაა თქვენთან? - ხმადაბლა ჰკითხა ბოშა ქალმა.

- დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, - უპასუხა გრენგუარმა, - იგი ერთ-ერთი ჩემი მეგობარია. მერე ფილოსოფოსმა სანათი ძირს დადგა, ფილაქანზე ჩაცუცქდა, ჯალი ჩაიხუტა და აღტაცებით წამოიძახა:

- ოჰ! რა მშვენიერი ცხოველია! უთუოდ სიფაქიზით უფრო გამოირჩევა, ვიდრე სიდიდით, მაგრამ გონიერია, მოხერხებული და განსწავლული, როგორც გრამატიკოსი! აბა, ერთი ვნახოთ, ჩემო ჯალი, ხომ არ დაგავიწყდა შენი ლაზათიანი ოინები? როგორ იქცევა მეტრ ჟაკ შარმოლიუ? შავოსანმა არ დაამთავრებინა, გრენგუარს მიუახლოვდა და მაგრად დაჰკრა ხელი მხარზე. გრენგუარი წამოდგა.

- მართლა, - თქვა მან, - სულ დამავიწყდა, უნდა ავჩქარდეთ. მაგრამ ეს მაინც არ გაძლევთ უფლებას, მეტრ, რომ ასე უხეშად მოექცეთ ადამიანებს.

- ჩემო მშვენიერო ბავშვო, თქვენი სიცოცხლე, ასევე ჯალის სიცოცხლეც განსაცდელშია. კვლავ შეპყრობას გიპირებენ, ჩვენ თქვე-

ნი მეგობრები ვართ და გადასარჩენად მოვედით. გამოგვყევით. - ნუთუ მართლა? - წამოიძახა აფორიაქებულმა ქალმა.

- დიახ, სრული სიმართლე გახლავთ. ჩქარა წავიდეთ!

- სიამოვნებით წამოვალ, - ჩაიბუტბუტა ქალმა, - მაგრამ, რატომ დუმს თქვენი მეგობარი? - ეეჰ! - თქვა გრენგუარმა, - იმიტომ, რომ ახირებულმა დედ-მამამ ასე გაზარდა. ქალი იძულებული იყო ამ განმარტებას დასჯერებოდა. გრენგუარმა ხელი მოჰკიდა, მისმა თანამგზავრმა სანათი აიღო და წინ წავიდა. შეშინებული ესმერალდა გაჰყვა. თხა კუნტრუშით აედევნა. იმდენად გაუხარდა გრენგუარის ნახვა, რომ ფეხებში ედებოდა. პოეტმა ამის გამო რამდენჯერმე წაიბორძიკა კიდეც.

- ასეთია ცხოვრება, - ამბობდა პოეტი, როგორც კი წაიბორძიკებდა, - ხშირად საუკეთესო მეგობრებიც კი ფეხს გვიდებენ.

ისინი სწრაფად დაეშვნენ კოშკის კიბეზე, ჩაბნელებული ეკლესია გადაჭრეს, მაგრამ ბრძოლის ხმაური კარგად ესმოდათ. წითელი ჭიშკრით მიტოვებული მონასტრის ეზოში გავიდნენ. ბერები საეპისკოპოსოში მიმალულიყვნენ და საერთო ლოცვა-ვედრებას აღავლენდნენ. ეზოც ცარიელი იყო, მხოლოდ რამდენიმე დამფრთხალი მსახური მიკუნჭულიყო ბნელ კუთხეში. ლტოლვილნი ტერენზე გამავალი კარისკენ გაემართნენ. შავოსანმა გასაღებით კარი გააღო. სიტეს მხრიდან გალავნით შემოზღუდული ტერენი წაგრძელებული კონცხი იყო, რომელიც ღვთისმშობლის ტაძრის ბერთა ორდენს ეკუთვნოდა. გალავანი სრულიად უკაცრიელი იყო. იქ უკვე ნაკლებად ისმოდა ჩოჩქოლის ხმა. მაწანწალათა იერიშის ხმები აქ ერთმანეთში არეული შორეული გუგუნივით აღწევდა. მაგრამ საფრთხე ჯერ კიდევ ძალიან ახლოს იყო. მათთან ყველაზე ახლოს ეპისკოპოსის სასახლე და ტაძარი იყო. ეპისკოპოსის სასახლეში დიდი არეულობა სუფევდა. მის ბნელ ფასადზე კვალს ავლებდა ერთი ფანჯრი-

დან მეორისკენ გაელვებული სინათლე. გვერდით, ღვთისმშობლის ეკლესიის შენობის მთავარ მოგრძო ნავზე აღმართული ორი უზარმაზარი კოშკი მოწითალო სინათლის გამონაშუქზე შავად იკვეთებოდა და კარიბჭის მოედანზე იღვრებოდა. კოშკები ციკლოპების კერაში დადგმულ ორ უზარმაზარ ზედადგარს ჰგავდა. ირგვლივ ყველაფერს თვალი ჩრდილისა და სინათლის ნარევად აღიქვამდა - რემბრანდტის სურათებს აქვთ ასეთი ფონი. შავოსანი პირდაპირ ტერენის კონცხის წვეროსკენ გაემართა. იქ, ზედ წყლის პირას ნახევრად დამპალი ყავრის ღობე გაჭიმულიყო, რომელსაც გარეული ვაზის რამდენიმე დამჭკნარი შტო გაშლილი ხელის თითებივით ჩასჭიდებოდა. ამ ღობის ძირში პატარა ნავი იდგა. შავოსანმა გრენგუარსა და ქალს ანიშნა ჩამსხდარიყვნენ. თხაც მათ მიჰყვა. ბოლოს თავად ჩაჯდა. ბაგირი, რომლითაც ნავი იყო მიბმული, გადაჭრა და გრძელი ბარჯის კვრით ნავი ნაპირს მოსწყვიტა; ორი ნიჩაბი მოიმარჯვა, წინ დაჯდა და მთელი ძალ-ღონით შუა მდინარისკენ მოუსვა. ამ ადგილას სენა ძალიან ჩქარია და საკმაო ჯაფა დასჭირდა, რომ კუნძულს გასცლოდა.

გრენგუარის უპირველესი საზრუნავი თხა იყო, ცდილობდა მუხლებზე დაესვა. მან უკან, კიჩოზე დაიკავა ადგილი. ესმერალდა კი, რომელსაც უცნობი მამაკაცი გაურკვეველ შიშს ჰგვრიდა, პოეტის გვერდით დაჯდა და მიეყრდნო. როდესაც ფილოსოფოსმა იგრძნო, ნავი ტალღებში შეცურდა, ხელი ხელს შემოჰკრა და ჯალის რქების შუაში აკოცა.

- ხედავ, ოთხივენი გადავრჩით! - და შემდეგ ღრმააზროვანი იერით დასძინა: - დიდი წამოწყების ბედნიერად დამთავრებას ხან შემთხვევას უნდა ვუმადლოდეთ, ხან - ეშმაკობას. ნავი ნელა მიცურავდა მარჯვენა ნაპირისკენ. ქალიშვილი იდუმალი შიშით ადევნებდა თვალს უცნობ მამაკაცს, რომელიც ნავის კიჩოზე ლანდივით მოჩან-

და. კაპიუშონი ნიღაბივით ჩამოეფარა. ამ ხნის განმავლობაში კრინტიც არ დაუძრავს. ნავში მხოლოდ ნიჩბების თანაბარი თქაფუნი ისმოდა. - სულსა ვფიცავ! - წამოიძახა უეცრად გრენგუარმა, - ჩვენ ყველა მხნე და მხიარული ვართ, მაგრამ ვდუმვართ როგორც პითაგორელები ან თევზები. უფლის აღდგომის მადლმა, ჩემო მეგობრებო, ძალიან მინდა, რომელიმე თქვენგანი დამელაპარაკოს. ადამიანის ხმა მუსიკაა ადამიანის ყურისთვის. ეს სიტყვები დიდიმ ალექსანდრიელს ეკუთვნის, შესანიშნავი გამოთქმაა! ცხადია, იგი სულაც არ გახლავთ საშუალო ფილოსოფოსი.

- მითხარით თუნდაც ერთი სიტყვა, მშვენიერო ბავშვო! მითხარით, გევედრებით, ერთი სიტყვა. იცით თქვენ, ჩემო სანუკვარო, რომ ყველა თავშესაფარი უმაღლესი სასამართლოს გამგებლობაში შედის და ამიტომ ღვთისმშობლის ტაძრის საკანში ჯდომით დიდ განსაცდელში იგდებდით თავს? პაწია ჩიტი ნიანგის ხახაში იკეთებს ბუდეს. - მეტრ, აგერ მთვარეც გამოჩნდა. ოღონდ არ შეგვამჩნიონ! ჩვენ სანაქებო საქმეს ვაკეთებთ ამ ქალიშვილის გადარჩენით, მაგრამ თუ ხელი გვტაცეს, მაინც ჩამოგვახრჩობენ მეფის სახელით. ვაი, რომ ყოველ ადამიანურ ქმედებას ორგვარად ეპყრობიან: რისთვისაც მე მსჯიან, შენ გვირგვინს გადგამენ. ვინც კეისარს თაყვანს სცემს, ის კატილინას გმობს. ასე არ არის, მეტრ? რას იტყვით ამგვარ ფილოსოფიაზე? მე ფილოსოფია ალღოთი, ბუნებით ვიცი, როგორც ფუტკრებმა გეომეტრია; რაო, ხმას არ მცემთ? როგორც ვხედავ, ორივე ცუდ გუნებაზე ხართ! გამოდის, რომ მარტომ უნდა ვილაპარაკო. ამას ჩვენ ტრაგედიაში მონოლოგს ვუწოდებთ. უფლის აღდგომის მადლმა!.. მოგახსენებთ, რომ ახლახან ვნახე მეფე და ასეთი დაფიცება მისგან გადმოვიღე. ეეჰ, ისინი ისევ განაგრძობენ ღმუილს სიტეში. ავი და საძაგელია ეს ბებერი მეფე. ჩემი პიესის ფული ისევ მართებს, არადა, ამ საღამოს მისი ბრძანებით კინაღამ ჩამო-

მახრჩეს. მეფე ღირსეული ადამიანების დაჯილდოებისას ძუნწია, სალვიან კელნელის ოთხი წიგნის - Adversus avaritiam[1] წაკითხვა არ აწყენდა. ჭეშმარიტად! სიტყვაკაზმულ მწერლობაზე ძალიან მწირი შეხედულება აქვს და მეტისმეტ ბარბაროსულ სიმკაცრეს იჩენს. იგი ხალხიდან ფულის ამომწოვ ღრუბელსა ჰგავს. მისი ხაზინა ის ელენთაა, რომელიც ყველა სხვა ნაწილის სიმჭლევის ხარჯზე სივდება. ამიტომაც ჩივილი დუხჭირ დროებაზე მეფის წინააღმდეგ დრტვინვად იქცევა. ამ ჩუმჩუმა, ფარისეველი მეფის ხელში სახრჩობელები ჩამოხრჩობილთა სიმძიმისგან ჭრიალებენ, საჯალათო კუნძები სისხლისგან ლპება, მეტისმეტად სავსე ციხეები ლამისაა გასკდნენ. მეფე ერთი ხელით ძარცვავს, მეორით ახრჩობს. იგი მადამ გადასახადისა და მუსიე სახჩობელას რწმუნებულია. დიდებულთ ღირსებას ართმევს, მდაბლებს გაუთავებელი გადასახადების ტვირთქვეშ სრესს. ამ მეფემ ზომა არ იცის. არ მიყვარს ეს მონარქი. თქვენ, მეტრ? შავსამოსიანი ყბედ პოეტს ხელს არ უშლიდა. იგი მდინარის მძაფრ დინებასთან ბრძოლას განაგრძობდა.

- მართლა, მეტრ! - უცბად გაიხსენა გრენგუარმა. - იმ წუთს, როდესაც კარიბჭის წინ გაცოფებული მაწანწალების ბრბოში გზას მივიკვლევდით, თქვენმა უწმინდესობამ შენიშნა თუ არა საწყალი ბიჭი, რომელსაც თქვენმა ყრუმ ტაძრის კედელზე ტვინი მიასხმევინა. მე ბეცი ვარ და ვერ ვიცანი, ხომ არ იცით, ვინ შეიძლება ყოფილიყო?

შავოსანმა არაფერი უპასუხა. მაგრამ უცებ ნიჩბებს ხელი შეუშვა, მკლავები მოუდუნდა, თავი მკერდზე ჩამოუვარდა. ესმერალდამ დაკრუნჩხულის გმინვა გაიგონა და აკანკალდა, სადღაც გაეგონა ეს ხმა...

---

[1] *სიხარბის წინააღმდეგ.*

ნავი რამდენიმე წუთს წყლის დინებას თავისით მიყვებოდა. მაგრამ შავოსანი წელში გასწორდა, ნიჩბები კვლავ ჩაბღუჯა და ნავი მდინარეს აღმა აუყვა, კონცხს შემოუარა და გეზი სენის ნავმისდგომისკენ აიღო.

- აგერ, - განაგრძო გრენგუარმა, - ბარბოს სასახლეც, ერთი შეხედეთ, მეტრ, იმ შავ სახურავებს, უცნაურ კუთხეებს რომ ქმნიან, ლამაზი სასახლეა. შიგნით მშვენიერი ჩუქურთმებიანი სამლოცველო აქვს, აგრეთვე, სასიამოვნო ბაღი, აუზით, საფრინველე, ბურთის სათამაშო მოედანი, გარეულ ცხოველთა გალიები, ხეივნები ქალღმერთ ვენერას საამებლად. იქ არის აგრეთვე ერთი უცნაური ხე, „ავხორცს“ ეძახიან, რადგან ხშირი ფოთლებით იფარავდა სეფექალისა და ლამაზი კონეტაბლის სასიყვარულო იდილიას.

- ჩვენ, საბრალო ფილოსოფოსებს, კონეტაბლთან შედარებით იგივე ფასი გვაქვს, რაც ბოლოკის კვალს ლუვრის ბაღებთან შედარებით. თუმცა, ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს! ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება კარგისა და ავის, კეთილისა და ბოროტის ხელჩართული ბრძოლაა. მწუხარება მუდამ თან ახლავს სიხარულს. მეტრ, ძალიან საინტერესოა ბარბოს სასახლის ისტორია, რომელიც ტრაგიკულად დამთავრდა 1319 წელს, ფილიპ V-ის, საფრანგეთის ყველაზე აყლაყუდა მეფის დროს. ამ ამბის მორალი ისაა, რომ ხორცის ცდუნება მუდამ მომაკვდინებელი და ვერაგია. ნუ დაადგამ თვალს მეზობლის ცოლს, როგორც უნდა აღიზიანებდეს მისი სილამაზე გრძნობებს. მრუშობა გარყვნილი გრძნობაა. ცოლქმრული ერთგულების ღალატი სხვისი ავხორცობის ცნობისმოყვარეობაა... - ერიჰა! იქ ხმაური კიდევ უფრო ძლიერდება.

მართლაც ღვთისმშობლის ტაძრის ირგვლივ ჩოჩქოლი იზრდებოდა. ყური მიუგდეს. საკმაოდ გარკვევით ესმოდათ გამარჯვების ყიჟინა. უცებ ასობით ჩირაღდანი, რომელთა შუქზე ჯარისკაცთა მუ-

ზარადები ელვარებდა, მთელ ეკლესიაში აციმციმდა. როგორც ჩანდა, ჩირაღდნიანები ვიღაცას ეძებდნენ. ლტოვილთა ყურამდე გარკვევით მოაღწია ცალკეულმა ხმებმა: - ბოშა ქალი, ჯადოქარი, კუდიანი, სიკვდილი ბოშა ქალს!

უბედურმა ქალმა თავი ხელებში ჩარგო, უცნობმა კი უფრო გაშმაგებით მოუსვა ნიჩბებს. ამ დროს ფილოსოფოსი ფიქრობდა, თხას მკერდზე იხუტებდა და ჩუმ-ჩუმად შორდებოდა ბოშა ქალს, რომელიც სულ უფრო და უფრო ეკვროდა მას, როგორც უკანასკნელ თავშესაფარს. გრენგუარი უეჭველად შეძრწუნებული იყო. ფიქრობდა, რომ „არსებული კანონმდებლობის თანახმად“ თხასაც ჩამოახრჩობენ, თუ შეიპყრესო. საბრალო ჯალი! ამასთან, ორი მსხვერპლის აკიდება ერთი ადამიანისთვის მეტისმეტია... მეტრი ხომ სიამოვნებით იკისრებს მასზე მზრუნველობას. იგი მძაფრ სულიერ ბრძოლას განიცდიდა; როგორც იუპიტერი „ილიადაში“, იგი ორივეს ბედს წონიდა და ცრემლიანი თვალებით რიგრიგობით უყურებდა ხან ერთს, ხან მეორეს. კრიჭაშეკრული გრენგუარი თავისთვის ბუტბუტებდა: „მაგრამ მე ხომ არ შემიძლია, ორივე გადაგარჩინოთ“. მკვეთრმა დაჯახებამ აგრძნობინა მათ, რომ ნავი ნაპირს მიადგა. ავბედითი ღრიანცელი ისევ ეფინებოდა სიტეს. შავოსანი წამოდგა, ბოშა გოგონასთან მივიდა, უნდოდა ნავიდან გადმოსვლაში დახმარებოდა; ქალმა ხელი ჰკრა და გრენგუარის სახელოს ჩამოეკიდა, მაგრამ ის თხაზე ზრუნვაში იყო გართული და მოიშორა. აღელვებული გოგონა თვითონ გადახტა ნავიდან, მან არც ის იცოდა, რას აკეთებდა და არც ის, სად მიდიოდა. ერთ წუთს გაოცებული შეჩერდა, წყლის დინებას დააკვირდა. როდესაც გამოერკვა, დაინახა, რომ უცნობთან მარტო იყო. ჩანდა, გრენგუარმა სიბნელით ისარგებლა და ერთმანეთზე მიჯრილ სახლებს შორის თხასთან ერთად გაიპარა. საწყალ გოგონას შიშისგან გააჟრჟოლა. უნდოდა რამე ეთქვა, ეყვირა, გრენგუა-

რისთვის დაეძახა, მაგრამ ენა პირში ვერ მოატრიალა. უცებ ხელზე უცნობის გაყინული და ღონიერი ხელის შეხება იგრძნო. კბილები აუკაწკაწდა, სახე იმ მთვარის სხივზე უფრო მეტად გაუფითრდა, მას რომ ანათებდა. მამაკაცმა უსიტყვოდ ჩასჭიდა ქალს ხელი და დიდი ნაბიჯებით გრევის მოედნისკენ გასწია. გოგონამ იგრძნო, რომ ბედისწერა უძლეველი ძალაა. სისუსტემ შეიპყრო, წინააღმდეგობას აღარ უწევდა და სწრაფად მიმავალ მამაკაცს თითქმის სირბილით მისდევდა. ირგვლივ მიმოიხედა. ქუჩაში არავინ ჩანდა. სიტედან, რომლისგანაც მხოლოდ სენის პატარა შენაკადი ჰყოფდა, კვლავ ხმაური ისმოდა. ირგვლივ დიდ შავ ლოდებად გაშლილიყო პარიზი.

უცნობი ისევ მიათრევდა. გოგონამ ვერც ერთი ადგილი ვერ იცნო. ერთგან განათებულ ფანჯარას ჩაუარეს, ძალა მოიკრიბა და დაიძახა: - მიშველეთ! ვიღაცამ ფანჯარა გააღო, პერანგის ამარა გამოჩნდა, ხელში ლამპა ეჭირა, გამოჩერჩეტებული სახით სანაპიროს გახედა, რაღაც თქვა და ფანჯარა მიხურა. იმედის უკანასკნელი სუსტი შუქიც ჩაქრა. შავოსანმა ფეხს კიდევ უფრო აუჩქარა. გაწამებული ქალი კი მორჩილად მისდევდა. დროდადრო უკანასკნელ ძალას იკრებდა და უყვიროდა:

- ვინ ხართ? ვინ ხართ-მეთქი?!

უცნობი არ პასუხობდა. ასე მიდიოდნენ დიდხანს სანაპირო ქუჩის გასწვრივ და საკმაოდ დიდ მოედანზე გავიდნენ. მთვარე მკრთალად ანათებდა გრევის მოედანს. შუაში სახრჩობელა შავი ჯვარივით ამართულიყო. ქალი მიხვდა, სადაც იმყოფებოდა.

კაცი შეჩერდა, მისკენ მიბრუნდა და კაპიუშონი გადაიხადა.

- ოჰ! - წაილუღლუღა გოგონამ და ადგილზე გაქვავდა, - ვგრძნობდი... მის წინ მდგარი მღვდელი საკუთარ მოჩვენებას უფრო ჰგავდა.

- მისმინე! - თქვა მღვდელმა. ამ საბედისწერო ხმაზე ქალი აკანკალდა. იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა და სულს ძლივს ით-

ქვამდა, რაც მის ღრმა შინაგან მღელვარებას ამჟღავნებდა. - მისმინე. ჩვენ მოვედით აქ. მე მინდა მოგელაპარაკო. ეს გრევია. აქ უკიდურესი წერტილია, ამის იქით გზა არ არსებობს. ბედისწერამ ერთმანეთს გადაგვკიდა. ჩემს ხელთაა შენი სიცოცხლე, შენს ხელთაა ჩემი სული. აგერ მოედანი და აგერ ღამე, იქით არარაობაა. მაშ, მისმინე, მინდა გითხრა... მაგრამ არაფერი მითხრა შენს ფებუსზე (წინ და უკან დადიოდა, ქალიც მიჰყავდა და მოჰყავდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა), თუ წამოგცდა მისი სახელი, არ ვიცი, რას ვიზამ, მაგრამ ნამდვილად საშინელება იქნება. - თქვა და თითქოს სხეულმა სიმძიმის ცენტრი იპოვაო, ისევ უძრავად გაჩერდა, მაგრამ სიტყვები მის მღელვარებას ამჟღავნებდა. ხმა თანდათან უბოხდებოდა. - თავს ნუ იბრუნებ იქით. მისმინე. ეს სერიოზული საქმეა. ჯერ ერთი, აი, რა მოხდა.. გეფიცები, ეს სულაც არ არის სახუმარო.. ჰო, რას გეუბნებოდი? ჰო, გამახსენდა! არსებობს უმაღლესი სასამართლო პალატის დადგენილება, რომლის ძალითაც, შენ კვლავ მოგისაჯეს სახრჩობელა. მე გამოვგლიჯე მათ შენი თავი, მაგრამ მაინც მოგდევენ, შეხედე! - და მან ხელი სიტესკენ გაიშვირა. როგორც ჩანდა, იქ მისი ძებნა გრძელდებოდა. ხმაური ახლოვდებოდა. მთავარი მოსამართლის განათებული სასახლიდან, რომელიც გრევის მოედნის პირდაპირ იდგა, საშინელი ღრიანცელი ისმოდა.

- თავადაც კარგად ხედავ, რომ მათ შენი ჩამოხრჩობა უნდათ... მე კი მიყვარხარ. ახლა ნუ გააღებ პირს და ნუ მეტყვი, რომ გძულვარ. აღარ მინდა ამის მოსმენა. ახლახან გადაგარჩინე... მაცალე, ბოლომდე მათქმევინე. შემიძლია საბოლოოდ გადაგარჩინო. ყველაფერი მოვამზადე. ახლა შენზეა დამოკიდებული. თუ ისურვებ, შემიძლია... - და მან მკვეთრად შეწყვიტა სიტყვა: - არა, არა, ეს არ უნდა მეთქვა. - იგი სახრჩობელისკენ გაექანა და ქალიც თან წაიყოლა., თითი მაღლა ასწია: - აირჩიე ჩვენ ორ შორის, - უთხრა მან ცივად.

ქალმა ხელი გამოსტაცა. სახრჩობელის ძირში დაეცა და ამ უკანასკნელ, პირქუშ საყრდენს ხელები მოხვია. შემდეგ მშვენიერი, კოხტა თავი მოაბრუნა და მხარს ზევიდან მღვდელს ახედა. იგი ღვთისმშობელს ჰგავდა, ჯვარცმის ქვეშ დამხობილს. მღვდელს თითი ისევ სახრჩობელისკენ ჰქონდა გაშვერილი და ქანდაკებასავით გაქვავებულიყო.

ბოლოს ბოშა გოგონამ უთხრა:

- ის უფრო ნაკლებ შიშსა მგვრის, ვიდრე თქვენ.

ხუცესმა ხელი ძირს ნელა დაუშვა. ქვაფენილს ღრმა მწუხარებით დახედა და ჩაიდუდუნა: - ამ ქვებს რომ ლაპარაკი შეეძლოს, ჩემზე იტყოდნენ: ჭეშმარიტად უბედურიაო. - და კვლავ განაგრძო. სახჩრობელის ძირას მუხლმოყრილი და გრძელ თმაში გახვეული ყმაწვილქალი ლაპარაკს არ უშლიდა, არ აწყვეტინებდა. ახლა მღვდლის ხმაში მწუხარების და სინაზის ნოტები ისმოდა, რომელიც მძაფრ კონტრასტს ქმნიდა მის მკაცრ გამომეტყველებასთან. - მიყვარხართ. დიახ! ეს უდავო ჭეშმარიტებაა. ნუთუ გარედან არ ჩანს, რა ცეცხლი მიბუგავს გულს? დღე-ღამ გიზგიზებს ეს ცეცხლი. ნუთუ იგი არავითარი სიბრალულის ღირსი არ არის? გეუბნებით, ეს წამებაა. ოჰ, ძალიან ვიტანჯები, ჩემო საბრალო ბავშვო! გარწმუნებთ, ეს გრძნობა თანაგრძნობის ღირსია. ხედავთ, რომ ტკბილად გელაპარაკებით. ძალიან მინდა, ჩემი აღარ გეშინოდეთ. კაცს რომ ქალი უყვარდეს, განა ეს დანაშაულია! ოჰ! ღმერთო ჩემო! როგორ! ნუთუ არასდროს მაპატიებთ? მაშ, ყველაფერი გათავებულია? სწორედ ეს მაბოროტებს და საკუთარი თავიც კი მეზიზღება! არც კი მიყურებთ! შესაძლოა, სხვა რაღაცაზე ფიქრობთ იმ დროს, როდესაც მარადისობის ზღურბლზე ვდგავარ, რომელიც ორივეს შთანთქმას ლამობს! მე დავემხობი თქვენს მუხლებთან, ვეამბორები... არა, თქვენს ტერფებს, არა, თქვენ ამის ნებას არ მომცემთ, არამედ მიწას თქვენ ფეხ-

ქვეშ. რაო! მე ვქვითინებ როგორც ბავშვი, ჩემი მკერდიდან გულს, სულს ამოვიგლეჯდი თქვენი ერთი ტკბილი სიტყვის გულისთვის, მაგრამ ყველაფერი ამაოა, ამ დროს რა ნაზი და ლმობიერი გული გაქვთ, თქვენგან უწყინარობისა და სათნოების სხივი იფრქვევა. ყველას მიმართ კეთილსა და შემწყნარებელს, სამწუხაროდ, მხოლოდ მე გეზიზღებით. ოო! ეს რა ბედი მაქვს! - და მღვდელმა სახეზე ხელები აიფარა. ყმაწვილქალს ტირილი შემოესმა. ასეთი რამ პირველად ხდებოდა, - კმარა! - განაგრძო მღვდელმა, როგორც კი პირველმა ცრემლებმა გადაუარა, - სიტყვებს ვერ ვპოულობ. თუმცა ყველაფერი კარგად მოვიფიქრე, რაც უნდა მეთქვა. მაგრამ ახლა ვკანკალებ, გადამწყვეტ წუთებში სისუსტემ მძლია, ჩვენს თავზე ვგრძნობ რაღაც უზენაეს ძალას, ენა მებმის. ოჰ! ახლავე დავემხობი მიწაზე, თუ მოწყალებას არ გაიღებთ ჩემზე და თქვენზე; ნუ იფუჭებთ თავს, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ! მე ხომ უარი ვთქვი ყოველგვარ სიკეთეზე, სათნოებაზე, სასოწარკვეთილმა საკუთარი თავიც დავივიწყე! მეცნიერმა აბუჩად ავიგდე მეცნიერება, კეთილშობილმა აზნაურმა შევბღალე სახელი ჩემი, ღვთისმსახურმა ქურუმმა ლოცვანი ავხორცი ზმანებების ყურთბალიშად ვაქციე, მე სახეში შევაფურთხე ჩემს ღმერთს! ყოველივე ეს თქვენს გამო, გრძნეულო ქალო! რათა ღირსი ვიყო თქვენი ჯოჯოხეთისა! არ გინდივარ მე შეჩვენებული! ოჰ! ყველაფერი უნდა გითხრათ! კიდევ უფრო საშინელი რამ! დიახ! კიდევ უფრო საზარელი!.. - ამ სიტყვებზე სახე შეეშალა. წამით გაყუჩდა და შემდეგ ხმამაღლა ალაპარაკდა, თითქოს საკუთარ თავს მიმართავდა: - კაენ, სად არს ძმა შენი?! - ისევ დადუმდა, ისევ განაგრძო: - სადა არს, უფალო, ძმა ჩემი, რა ვუყავ მე მას? ვაჭმევდი, ვზრდიდი, შევიყვარე, გავაღმერთე და მოვკალი! დიახ, უფალო, ჩემს თვალწინ ახლახან გაუჭეჭყეს თავი ღვთის სახლის ქვებზე და ეს ჩემი მიზეზით, ამ ქალის გამო... ამის გამო.

გამოხედვა მკაცრი და პირქუში ჰქონდა, ხმა უწყდებოდა. კიდევ რამდენჯერმე უნებურად გაიმეორა საკმაოდ ხანგრძლივი შუალედებით, როგორც ზარმა, უკანასკნელ ჟღერადობას რომ ახანგრძლივებს ხოლმე. - მისი მიზეზით... მის გამო...

შემდეგ ხმა ჩაუწყდა, ენა აღარ ემორჩილებოდა, თუმცა ტუჩებს აცმაცუნებდა. უცებ ფეხები მოეკვეთა, მიწაზე დაეცა და უძრავად გაიყინა, თავი მუხლებზე დაუვარდა. ყმაწვილქალის შეხებამ, რომელმაც ზედ დაცემული სხეულისგან ფეხი გაითავისუფლა, კვლავ გონს მოიყვანა. დინჯად მოისვა ხელი ჩავარდნილ ღაწვებზე და რამდენიმე წამს განცვიფრებული დაჰყურებდა თავის სველ თითებს.

- რაო, - ჩაიბუტბუტა მან, - მე ვტიროდი! - და უეცრად ბოშა ქალისკენ მიბრუნებულმა გამოუთქმელი მწუხარებით წარმოთქვა. - სამწუხაროა, გულგრილად უყურებდით ჩემს ტირილს! იცი, ბავშვო, რომ ეს ცრემლები მდუღარე ნიაღვარია? მართალი ყოფილა, ადამიანს თუ ადამიანი სძულს, მისი არა ენაღვლება რა. შენს თვალწინაც რომ ვკვდებოდე, იცინებდი. მე კი არ მინდა მომაკვდავს შეგხედო! ერთი სიტყვა! ნუ მეტყვი, რომ გიყვარვარ, მხოლოდ ის მითხარი, რომ თანახმა ხარ, ესეც საკმარისია. მე გადაგარჩენ, თუ არადა... ოჰ! დრო გადის. ყველა წმინდა სავედ რებელსგავედრებ, ნუ ელოდები, რომ ისევ ქვად ვიქცე, როგორც ეს სახრჩობელა, რომელიც ასევე გიხმობს, გეძახის! დაფიქრდი, ორივეს ბედი ჩემს ხელთაა და მე კი ჩემს თავს არ ვეკუთვნი, გიჟი ვარ, შეშლილი. ეს საშინელებაა! შემიძლია ყველაფერი დავღუპო. ჩვენს ფეხთით უძირო უფსკრულია, მე გადავიჩეხები, რათა მარადისობაშიც თან გდიო. ერთადერთი კეთილი სიტყვა! მითხარი რამე, სიტყვა მაინც, მხოლოდ ერთადერთი სიტყვა!

ქალმა ტუჩები გახსნა. კაცი მუხლებზე დაემხო, რათა მოწიწებითა და თაყვანისცემით მოესმინა მისი სიტყვები, ვინ იცის, იქნებ თანაგ-

რძნობის სიტყვაც დასცდენოდა, მაგრამ ქალმა პირში მიახალა: - თქვენ მკვლელი ხართ!

მღვდელმა გაშმაგებით მოხვია მკლავები და საზიზღარ ხარხარს მოჰყვა. - დაე, ვიყო მკვლელი! მაგრამ შენ ჩემი იქნები. არ ისურვე, რომ შენი მონა ვყოფილიყავი, მაშ, შენი ბატონი ვიქნები. მე მაქვს ბუნაგი, სადაც წაგათრევ. შენ გამომყვები! თორემ გადაგცემ! ან უნდა მოკვდე ლამაზო, ან ჩემი უნდა იყო, ჩემი - მღვდლისა, რჯულგანდგომილისა, მკვლელისა! ამ ღამესვე, გესმის? წავიდეთ! სამხიარულოდ! წავიდეთ-მეთქი! მაკოცე, სულელო! სამარე ან ჩემი საწოლი! ვნებისგან თვალები უელვარებდა. ავხორცი ტუჩებით ახალგაზრდა ქალის კისერს ჩააფრინდა. გოგონა მის მკლავებში ფართხალებდა, იბრძოდა, კაცი გაშმაგებით ლოშნიდა. - ნუ მკბენ, ურჩხულო! - უყვიროდა ქალი. - ოჰ! ბილწო, საზიზღარო, მყრალო ბერო! დამანებე თავი! დაგაგლეჯ მაგ ბინძურ ჭაღარას და ბღუჯა-ბღუჯა მოგაყრი სახეში! გეუბნები, ჩემს ფებუსს ვეკუთვნი. ფებუსი მიყვარს, ფებუსი ლამაზია! შენ კი, ხუცესო, ბებერი ხარ! შენ გონჯი ხარ! მომშორდი! მღვდელს ისეთი მძაფრი ღრიალი აღმოხდა, თითქოს გავარვარებული შანთით დადაღესო. - მაშ, მოკვდი! - თქვა მან კბილების კრაჭუნით. ქალმა დაინახა ხუცესის საშინელი მზერა და გაქცევა დააპირა. მაგრამ მან დაიჭირა, შეანჯღრია, ძირს დააგდო და საბრალო გოგო ჩქარი ნაბიჯით როლანდის კოშკის კუთხისკენ წაათრია: როცა კოშკს მიაღწია, მისკენ შემობრუნდა: - უკანასკნელად გეკითხები: გინდა თუ არა ჩემი იყო?

ქალმა მტკიცედ უპასუხა:

- არა! - მან კი ხმამაღლა იყვირა: - გუდულა! გუდულა! აჰა, ბოშა ქალი! იძიე შური! ყმაწვილქალმა იგრძნო, რომ იდაყვზე ვიღაცა სწვდა. შეხედა, კედელში გამოჭრილი სარკმლიდან განდეგილს გამხდარი ხელი გადმოეყო და რკინის მარწუხივით ჩასჭიდებოდა. -

კარგად დაუჭირე! - უთხრა მღვდელმა. - ეს გაქცეული ბოშა გოგოა. არ გაუშვა. წავალ, გუშაგებს მოვძებნი. ნახავ, როგორც ჩამოახრჩობენ. - ჰა! ჰა! ჰა! - შიგნიდან ხორხისმიერი სიცილი გაისმა. მღვდელი ღვთისმშობლის ხიდისკენ გაიქცა, საიდანაც ცხენების თქარათქური ისმოდა.

ყმაწვილქალმა იცნო „ვირთხის სოროში“ დაყუდებული. შეშინებული გათავისუფლებას შეეცადა. იკლაკნებოდა, იწურებოდა. რამდენიმეჯერ გაიბრძოლა სიკვდილის შიშითა და სასოწარკვეთით შეპყრობილმა, მაგრამ გამხმარ ხელს გაუგონარი ძალით ეჭირა. ძვლადქცეული და გამხდარი თითები ისე მტკივნეულად ჩაფრენოდა მკლავში, თითქოს ხელი ზედ შედუღებოდა. იგი ქვიტკირის კედლიდან გამოყოფილ სულჩამდგარ და ცოცხალ მარწუხს ჰგავდა. ძალაგამოცლილი გოგონა კედელს მიეყრდნო. სიკვდილის შიშმა აიტანა. ის ფიქრობდა სიცოცხლის სილამაზეზე, ფებუსის სიყვარულზე, ყველაფერზე, რაც ხელიდან უსხლტებოდა და ყველაფერზე, რაც უახლოვდებოდა - მღვდელზე, ვინც იგი გასცა და ამხილა, ჯალათზე, სახრჩობელაზე, რომელიც იქვე აღმართულიყო. იგრძნო, რომ შიშისგან თმა აებურძგნა. განდეგილის ავყია სიცილი და ლაპარაკი შემოესმა:

- ჰა! ჰა! ჰა! შენ ჩამოგახრჩობენ!

ცოცხალმკვდარი, გაფითრებული სარკმლისკენ მიბრუნდა და ძაძიანის გააფთრებული სახე დაინახა.

- რა დაგიშავეთ? - ჰკითხა თითქმის გონდაკარგულმა.

განდეგილმა არ უპასუხა, დამცინავი კილოთი წაუმღერა: - ბოშის გოგო! ბოშა ქალო! ბოშის ქალიშვილო!

უბედურ ესმერალდას თავი მკერდზე ჩამოუვარდა. მიხვდა, რომ საქმე არა ადამიანურ არსებასთან ჰქონდა.

უცბად განდეგილმა წამოიძახა, თითქოს ბოშა გოგონას კითხვამ ახლაღა მიაღწია მის გონებამდეო:

- შენ ამბობ, რა დამიშავე? აჰ! გინდა იცოდე, რა დამიშავე, ბოშის გოგო! კეთილი! მაშ მიგდე ყური! მე მყავდა შვილი! გესმის? შვილი-მეთქი! პატარა ლამაზი გოგონა! ჩემი აგნესა, - განდეგილი დაბნეულად ლაპარაკობდა და თან სიბნელეში რაღაც საგანს კოცნიდა. - ეჰ! მერე რა! აი, ხედავ, ბოშის ქალო? წამართვეს, მომპარეს, შეჭამეს ჩემი ბავშვი. აი, რა მიყავი, რა დამიშავე. კრავივით შემკრთალმა ესმერალდამ მოკრძალებით უპასუხა: - იქნებ მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი!

- ოჰ! როგორ არა! - სწრაფად მიუგო განდეგილმა, - შენ დაბადებული იქნებოდი. ის ახლა შენი ხნის უნდა ყოფილიყო. თხუთმეტი წელია აქა ვარ, თხუთმეტი წელია ვიტანჯები, ვლოცულობ, თავს ვახლი ამ ოთხ ქვის კედელს. ბოშებმა მომპარეს შვილი, გესმის? კბილებით დაგლიჯეს. გაქვს შენ გული? წარმოიდგინე, რა არის ბავშვი, რომელიც თამაშობს, ძუძუს წოვს, სძინავს. ის თვით უმანკოება იყო! მერე მომტაცეს და მომიკლეს! დღეს ჩემი ჯერია, ახლა მე შევჭამ ბოშა ქალს! ოჰ! რა მაგრად დაგკბენდი, ეს რკინის ძელაკები რომ არ მიშლიდეს. საბრალო ბავშვი! მაშინ მომპარეს, როცა ეძინა! ბოშა დედებო! ახლა მოდით და ნახეთ, როგორ მოკვდება თქვენი შვილი! ძაძიანი იცინოდა და კბილებს აკრაჭუნებდა. უკვე თენდებოდა. სულ უფრო გარკვევით ისახებოდა მოედანზე სახჩობელა. გაღმა მხრიდან უკვე ახლოს ისმოდა ცხენების თქარათქური. - მადამ! - შესძახა ხელაპყრობილმა გოგონამ და თმაგაწეწილი, დაბნეული, შიშისგან გაგიჟებული მუხლებზე დაეშვა. - მადამ, შემიბრალეთ! ისინი მოდიან. მე თქვენთვის არაფერი დამიშავებია. ნუთუ გინდათ თქვენს თვალწინ მომკლან? დარწმუნებული ვარ, სიბრალულის გრძნობა

მაინც გაქვთ! ეს თავზარდამცემია! გამიშვით, თავს ვუშველო, გე-ვედრებით! არ მინდა ასეთი სიკვდილი!

- დამიბრუნე ჩემი შვილი! - მიმართა დაყუდებულმა.

- შემიბრალეთ, შემიწყალეთ!

- დამიბრუნე ჩემი შვილი!

- გამიშვით, ღვთის გულისთვის!

- დამიბრუნე ჩემი შვილი!

დასუსტებული ქალიშვილი დაეცა, თვალები მომაკვდავივით თითქმის შუშისებური ჰქონდა. - სამწუხაროა, თქვენ ეძებთ თქვენს შვილს, მე კი ჩემს მშობლებს. - დამიბრუნე ჩემი შვილი, - განაგ-რძობდა გუდულა. - არ იცი სადაა? მაშ, მოკვდი! მე აგიხსნი რატომ მინდა შენი სიკვდილი... თავისუფალი ყოფაქცევის ქალი ვიყავი, ბო-შებმა ერთადერთი სიხარული მომპარეს... როცა დედაშენი მოგა-კითხავს, ვეტყვი: - შეხედე იმ სახრჩობელას! იქნებ დამიბრუნო ჩემი შვილი! მოდი, გაჩვენო. აი, მისი ფაჩუჩი, სულ ეს არის, რაც მისგან დამრჩა. - ამ სიტყვებზე მეორე ხელი გადმოყო და ბოშა ქალს აჩვენა. უკვე საკმაოდ გათენებულიყო, მისი დანახვა შეიძლებოდა.

- მაჩვენეთ! - უთხრა ათრთოლებულმა ბოშა ქალმა, - ღმერთო! ღმერთო! - და იმავე დროს თავისუფალი ხელით სწრაფად გახსნა მწვანე შუშის მძივებით მორთული თილისმა, რომელიც ყელზე ეკი-და.

- კარგი! კარგი! - ბუზღუნებდა გუდულა, - ჩხრიკე შენი ჯოჯოხეთუ-რი თილისმა! - უცბად ხმა ჩაუწყდა, მთელი სხეული აუძაგძაგდა და გულის სიღრმიდან ამომავალი ხმით იკივლა: - შვილო! ბოშა ქალმა თილისმიდან ციცქნა ფაჩუჩი ამოიღო, რომელიც სავსებით ჰგავდა მეორეს. მასზე მიმაგრებული იყო პერგამენტის ქაღალდი, რომელ-ზედაც ეწერა: იპოვე ამის სადარი შენ და გულში ჩაგიკრავს მშობე-ლი დედა.

განდეგილმა ელვის უსწრაფესად შეადარა ეს ორი ფაჩუჩი, წარწერა წაიკითხა, ზეციური სიხარულით გაბრწყინებული სახით სარკმლის გისოსებს ზედ მიეკრო და იკივლა: - შვილო! ჩემო გოგონა!

- დედა! - მიუგო ბოშა ქალმა. კალმითაუწერელი ამბავი მოხდა. მათ შორის ქვიტკირის კედელი და რკინის გისოსები იყო.

- ოჰ! ეს კედელი! - შესძახა განდეგილმა. - ოჰ! გიყურო ასე და გულში ვერ ჩაგიხუტო! ხელი მომაწოდე! შენი ხელი!

გოგონამ მკვლავი სარკმელში გაყო, განდეგილი ხელს ეცა და ტუჩები ზედ დააკონა; ასე გაიყინა კოცნით შთანთქმული, სიცოცხლის სხვა ნიშანწყალი არ ეტყობოდა, გარდა იმისა, რომ დროდადრო ქვითინი არხევდა მის მხრებს. ცრემლები წვიმასავით მოსდიოდა. უცბად წამოიჭრა, გრძელი ჭაღარა თმა შუბლიდან გადაიწია და უსიტყვოდ, ძუ ლომზე უფრო გამძვინვარებით ორივე ხელით იწყო თავისი ბუნაგის გისოსების ნჯღრევა. მაგრამ ამაოდ. მაშინ დიდი ქვა აიღო, რომელიც ბალიშად ედო, და ისეთი ძალით დაარტყა, რომ ერთ-ერთი გატყდა. მეორე დარტყმაზე - კიდევ რამდენიმე. მერე ორივე ხელით მიღუნ-მოღუნვა დაიწყო. არის წუთები, როდესაც ქალის ხელები არაადამიანურ ძალას იძენენ.

შესასვლელი გზა წუთში გაწმინდა, ქალიშვილს წელზე ხელები მოჰკიდა და საკანში გადაათრია.

- მოდი! მე გიხსნი გაჭირვებიდან, მე ამოგიყვან უფსკრულიდან! - ბუტბუტებდა იგი. როდესაც იგი საკანში გადაიყვანა, ნელა დაუშვა ძირს, მერე ისევ ხელში აიყვანა და ასე ატატებული დაჰყავდა, თითქოს ისევ პაწაწინა აგნესა ყოფილიყოს. წინ და უკან დადიოდა ვიწრო ბუნაგში, ბედნიერებისგან მთვრალი, გაშმაგებული და გახარებული. ყვიროდა, მღეროდა, შვილს კოცნიდა, რაღაცას ეუბნებოდა, ერთსა და იმავე დროს ხარხარებდა და ცრემლებად იღვრებოდა... - ჩემი გოგონა! ჩემი შვილი! ჩემი ქალიშვილი ჩემთანაა! კეთილმა

ღმერთმა დამიბრუნა. ჰეი, ვინა ხართ მანდ! ყველა მოდით აქ! არის მანდ ვინმე? შეხედეთ, ჩემი გოგონა ჩემთანაა, აქ მყავს! თხუთმეტი წელი მაცდევინე, ღმერთო, ჩემთვის რომ დაგებრუნებინა. მაშასადამე, ბოშა ქალებმა არ შეჭამეს! კეთილი ყოფილან ბოშა ქალები! დიახ, ეს შენა ხარ. აი, თურმე რატომ მიხტოდა გული ყოველთვის, როცა შენ ჩამივლიდი. მე კი მეგონა, სიძულვილისგან იყო! მაპატიე, ჩემო აგნესა, მაპატიე! ძალიან ავი გეგონე, არა? მიყვარხარ... სადაა შენი პაწაწინა ხალი კისერზე, ისევ გაქვს? მაჩვენე. ისევ აქაა. ოჰ! რა ლამაზი ხარ! ეს მე გაჩუქეთ, ქალბატონო, დიდი თვალები. მაკოცე, მაკოცე! მიყვარხარ! - ამ სიტყვების მთელი სილამაზე და თილისმა თავად ნათქვამის კილოში იხატებოდა. დედა აბრეშუმისებრ თმაზე ხელს უსვამდა, უკოცნიდა ფეხებს, მუხლებს, შუბლს, თვალებს და ყველაფერს აღტაცებაში მოჰყავდა. გოგონამ ყველაფრის ნება მისცა, მხოლოდ დროგამოშვებით მეტისმეტად ხმა დაბლა, ნაზად ეჩურჩულებოდა: - ჩემო დედიკო! - ხედავ, ჩემო პატარა გოგონა! - ეუბნებოდა განდეგილი და თან კოცნით წყვეტდა ყოველ თავის სიტყვას, - ჩვენ წავალთ აქედან და ბედნიერები ვიქნებით. მემკვიდრეობით ზოგიერთი რამ მივიღე რეიმსში. გახსოვს რეიმსი? აჰ! არა, შენ რა გეხსომება, ძალიან პატარა იყავი! რომ იცოდე, რა ლამაზი იყავი ოთხი თვისა! ისეთი პაწაწინა ფეხები გქონდა, რომ სანახავად ცნობისმოყვარენი ეპერნედან მოდიოდნენ, რომელიც შვიდ ლიეზეა რეიმსიდან! ჩვენ გვექნება ეზო, სახლი. ჩემს ლოგინში დაგაწვენ. ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ვინ იფ იქრებდა ამას? ჩემი შვილი ჩემთანაა! - ჩემო დედიკო! - თქვა ყმაწვილქალმა, როცა ძალა მოიკრიბა და მღელვარება დასძლია, - ერთი კეთილი ბოშა ქალი ამას მიწინასწარმეტყველებდა, იგი ისე ზრუნავდა ჩემზე, როგორც ძიძა. შარშან გარდაიცვალა. მან ჩამომკიდა ეს თილისმა. ის მუდამ მეუბნებოდა: - პატარავ, გაუფრთხილდი ამ ძვირფას ნივთს. ის გაპოვნინებს დედას.

დედაშენს კისერზე ატარებო! ძაძიანმა კვლავ ჩაიხუტა თავისი ქალიშვილი.

- მოდი გაკოცო! რა საამოდ ლაპარაკობ. როდესაც ჩვენს მხარეში დავბრუნდებით, ეკლესიაში წავალთ და ყრმა იესოს ჩავაცვამთ ამ ფაჩუჩებს. ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ მოწყალე ღვთისმშობლის სადიდებლად. ღმერთო ჩემო! შვილი ვიპოვე! რაკი სიხარულისგან გული არ გამისკდა, ახლა რაღა მომკლავს! - და კვლავ შემოჰკრა ტაში, იცინოდა და ყვიროდა: - ჩვენ ბედნიერნი ვიქნებით! ამ დროს სენაკში იარაღის ჟღარუნი და ცხენების თქარათქური გაისმა. სასოწარკვეთილი გოგონა ძაძიანს მკერდზე მიეხუტა.

- მიშველეთ! გადამარჩინეთ! დედა! ისინი მოდიან!

განდეგილი გაფითრდა.

- ჰოი, ზეცაო! რას ამბობ! დამავიწყდა! შენ მოგდევენ! განა რა ჩაიდინე? - არ ვიცი, - უპასუხა უბედურმა ბავშვმა, - მაგრამ სიკვდილი მომისაჯეს. - სიკვდილი! - თქვა გუდულამ და შეტორტმანდა, თითქოს მეხი დაეცაო. - სიკვდილი! - დინჯად გაიმეორა მან და თვალი ქალიშვილს მიაშტერა.

- დიახ, დედაჩემო, - განაგრძო დაბნეულმა ქალიშვილმა, - მათ ჩემი მოკვლა უნდათ. ჩემს შესაპყრობად მოდიან. ის სახრჩობელა ჩემთვისაა გამზადებული. მიშველეთ! გადამარჩინეთ! სადაცაა მოვლენ! მიშველეთ!

განდეგილი რამდენიმე წამით ერთ ადგილს მიეყინა, შემდეგ საშინელი ხარხარი აუტყდა. - ოო! არა! ეს სიზმარია. აჰ, არა! ეს როგორ იქნება! როგორ! თხუთმეტი წელი უცადო და დაკარგო?! იპოვო იმისათვის, რომ მხოლოდ ერთ წუთს უყურო! როგორ! ისევ უნდა წამართვან, როცა ყველაზე ბედნიერი ვარ?! ახლა უნდა მოვიდნენ და შემიჭამონ ჩემს თვალწინ?! ოჰ, არა! ეს შეუძლებელია. კეთილი ღმერთი ამის ნებას არ მისცემს.

ამ დროს ცხენოსანი რაზმი შეჩერდა და შორიდან ვიღაცის ხმა გაისმა: - აქეთ, მუსიე ტრისტან! მღვდელმა თქვა, „ვირთხის სოროსთან“ ნახავთო. კვლავ მოისმა ცხენების თქარათქური.

განდეგილი სასოწარკვეთილი კივილით წამოიჭრა.

- გაიქეცი, თავს უშველე, ჩემო შვილო! ყველაფერი გამახსენდა! შენ მართალი ხარ! სიკვდილი მოდის, შენი სიკვდილი! ჰოი, საშინელებავ! წყეულიმც იყოს! თავს უშველე, გაიქეცი! თავი სარკმელში გაყო და სწრაფადვე დაიხია უკან.

- შეჩერდი, - უთხრა ხმადაბლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და პირქუშად: შიშისგან ფერდაკარგულ გოგონას ხელი დაუჭირა. - შეჩერდი, დარჩი! ნუ სუნთქავ! ყველგან ჯარისკაცები არიან. ვერ გახვალ. უკვე გათენდა.

გამშრალი თვალები უბრწყინავდა. წუთით გაჩუმდა. ოღონდ დიდი ნაბიჯებით მიდი- მოდიოდა, დროდადრო ჩერდებოდა, ჭაღარა თმას იგლეჯდა და კბილებით წყვეტდა. მერე შვილს უთხრა:

- ისინი გვიახლოვდებიან. მე მოველაპარაკები. ამ კუთხეში დაიმალე. აქ ვერ დაგინახავენ. ვეტყვი, რომ ვერ დაგიჭირე, გამექეცი, ნამდვილად, ღმერთმანი! ქალიშვილი საკნის ბნელ კუნჭულში დასვა, რომელიც გარედან არ ჩანდა. გულმოდგინედ მოათავსა, რომ ხელ-ფეხი არ გამოსჩენოდა, მოკრუნჩხულს შავი თმა ჩამოუშალა, სხეული დაუფარა. წინ თავისი დოქი და ლოდი დაუდგა, თავისი ერთადერთი ავეჯი. რატომღაც იფიქრა, რომ ამით დაფარავდა. ამას რომ მორჩა, შედარებით დამშვიდდა, მუხლებზე დაემხო და ლოცვა დაიწყო. „ვირთხის სოროში“ ჯერ კიდევ ბნელოდა. იმავე წუთს საკანთან ახლოს მღვდლის ჯოჯოხეთური ყვირილი გაისმა:

- აქეთ, კაპიტანო ფებუს დე შატოპერ!

ამ სახელისა და ხმის გაგონებაზე კუთხეში განაბული ესმერალდა შეირხა. - არ გაინძრე! - უთხრა გუდულამ.

ძლივს მოასწრო ამის თქმა, რომ საკნის ირგვლივ კაცები აყაყანდნენ, ხმლები აჟღარუნდნენ. დედა სარკმლის წინ ისე დადგა, რომ შვილს ჩამოფარებოდა. მან დაინახა შეიარაღებული ქვეითი და მხედრების დიდი რაზმი გრევის მოედანზე დაეწყო, მათი უფროსი ცხენიდან ჩამოხტა და მასთან მივიდა.

- დედაბერო! - მიმართა საზარელი, მკაცრი სახის კაცმა, - ჩვენ ვეძებთ ჯადოქალს, რომ ჩამოვახრჩოთ, გვითხრეს, რომ შენთანაა.

საბრალო დედა შეეცადა გულგრილი სახე მიეღო:

- არ მესმის, რას მეუბნებით.

კაცმა განაგრძო:

- ეშმაკმა დალახვროს! ეს რა დაამღერა ჭკუადამფრთხალმა არქიდიაკონმა? სად არის? რა იქნა? - გაქრა, ბატონო, - უპასუხა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა.

- აბა, ბებერო გიჟო! - განაგრძო მეთაურმა, - ნუ ცრუობ. შენ მოგანდეს ჯადოქალის დარაჯობა. რა უყავი?

განდეგილი მთლად უარზე არ დამდგარა, არ დაეჭვდნენო და გულწრფელი ბუზღუნა კილოთი უპასუხა:

- თუ თქვენ იმ ქალიშვილზე ლაპარაკობთ, ერთი საათის წინ რომ მომაჩეჩეს, გეტყვით, რომ ხელზე მიკბინა და გამექცა. ეს არის და ეს. ახლა თავი დამანებეთ. მეთაურს იმედგაცრუება დაეტყო და უკმაყოფილოდ დაიმანჭა.

- არ მომატყუო, ბებერო მოჩვენებავ! - გაიმეორა მან, - მე ტრისტან-განდეგილს მეძახიან, მეფის რჩეული ჯარისკაცი ვარ. ტრისტან-განდეგილი-მეთქი, გესმის? - გრევის მოედანს თვალი მოავლო და დასძინა: - ჩემი სახელი აქ ექოს გამოსცემს.

- თუნდაც ტარტაროზ-განდეგილი ბრძანდებოდეთ, - მიუგო გუდულამ, რომელსაც იმედი დაუბრუნდა, - იმაზე მეტს ვერ გეტყვით, რაც გითხარით და თქვენი სულაც არ მეშინია. - ეშმაკის თავო! - შესძახა

ტრისტანმა, - ყბედი დედაკაცი! აჰ! მაშ, ჯადოქარმა თავს უშველა! საით გაიქცა?

გუდულამ უზრუნველი კილოთი უპასუხა:

- მგონი, ცხვრის ქუჩისკენ.

ტრისტანმა პირი იბრუნა და რაზმს ნიშანი მისცა დაძრულიყო. განდეგილმა სული მოითქვა. - ჩემო ბატონო, - მიმართა უცბად ერთმა მშვილდოსანმა. - ერთი ჰკითხეთ მაგ კუდიან ბებერს, რატომაა მისი სარკმლის გისოსები დამტვრეული? ამ კითხვამ უბედური დედა კვლავ დაამწუხრა, თუმცა სულიერი მხნეობა მაინც არ დაუკარგავს.

- ყოველთვის ასე იყო, - თქვა ენის ბორძიკით მოხუცმა.

- ერიჰაა! - შეეპასუხა ერთი ჯარისკაცი, - ჯერ კიდევ გუშინ მშვენიერი შავი ჯვარივით გამოიყურებოდა და კაცის გულში მოწიწებას აღძრავდა.

ტრისტანმა ცერად შეხედა დაყუდებულს.

- მგონი, ჭორიკანა ნათლიდედა ურევს!

უბედურმა ქალმა იგრძნო, რომ ახლა ყველაფერი მის გამძლეობასა და თავდაჭერაზე იყო დამოკიდებული, თუმცა სულში საშინელ ძრწოლას განიცდიდა, მაინც გამქირდავად გაიცინა. მხოლოდ დედებს შეუძლიათ ასე დაატანონ თავს ძალა:

- აუჰ! ეს კაცი მთვრალია! წელიწადზე მეტია ქვით დატვირთული ოთხთვალა დაეჯახა ჩემს სარკმელს და გისოსი შემომინგრია. რამდენი ვლანძღე მეეტლე. - მართალია, - თქვა მეორე ჯარისკაცმა, - მე თვითონ ვნახე. ყველგან და ყოველთვის გამოჩნდება ადამიანი, რომელსაც ყველაფერი უნახავს. ჯარისკაცის მოულოდნელმა დამოწმებამ გაამხნევა დაყუდებული, რომელიც დაკითხვისას თავს ისე გრძნობდა, თითქოს უფსკრულზე გადებულ დანაზე გადიოდა. ასეთი იყო მისი ხვედრი - მუდმივად უნდა ექანავა იმედსა და სასოწარკვეთას შორის.

- ეს რომ ოთხთვალას ექნა, - განაგრძო ისევ პირველმა ჯარისკაცმა, - მაშინ გისოსები შიგნით შეიღუნებოდა და არა გარეთ.

- ოჰო! - უპასუხა ტრისტანმა ჯარისკაცს, - შენ შატლეს გამომძიებლის ყნოსვა გაქვს. აბა, პასუხი გაეცი, ბებერო!

- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა გუდულამ ცრემლნარევი, ათრთოლებული ხმით, - გეფიცებით, ჩემო ბატონო, რომ ოთხთვალამ შემომიმტვრია ეს ძელაკები. თქვენ ხომ გაიგონეთ, მაგ კაცმაც ნახა. ესეც არ იყოს, რა ხელი აქვს ყოველივე ამას ბოშა ქალთან?

- ჰმ! - ჩაიბუზღუნა ტრისტანმა.

- ეშმაკმა დალახვროს! - წამოიწყო ისევ უფროსის ქებით ნასიამოვნებმა ჯარისკაცმა, - რკინა ახალ გატეხილს ჰგავს და!.. - ტრისტანმა თავი გაიქნია. გუდულა გაფითრდა. - როგორ თქვით, რამდენი ხანია, რაც იმ ოთხთვალამ გაიარაო?

- ერთი თვე ან ორი კვირა, მონსენიორ. კარგად ვერ დავიმახსოვრე. - ჯერ თქვა ერთი წელიწადიო, - შენიშნა ჯარისკაცმა.

- ეს კი საეჭვოა! - თქვა უფროსმა.

- მონსენიორ! - შესძახა ქალმა, თან სარკმელს კანკალით ეკვროდა, ეშინოდა, საკანში არ შეეხედა, - მუსიე, გეფიცებით, რომ ოთხთვალამ გატეხა ეს გისოსი. გეფიცებით სამოთხის ყველა წმინდა ანგელოზს. თუ ეს ასე არ არის, დაე, საუკუნოდ ვიყო შეჩვენებული და ღვთისგან განდგომილი. - რაღაც ზედმეტად გაცხარებით კი იფიცება! - თქვა ტრისტანმა და ქალს ინკვიზიტორის თვალით დააკვირდა.

საბრალო ქალი გრძნობდა, რომ თავს ვეღარ იკავებდა, უხეში შეცდომები მოსდიოდა, შეშინებული ხვდებოდა, რომ იმას არ ამბობდა, რაც საჭირო იყო. სწორედ ამ დროს მოვარდა მეორე ჯარისკაცი და იყვირა:

- მონსენიორ, კუდიანი ბებერი ცრუობს. ჯადოქალი ვერ გაიქცეო-და ცხვრის ქუჩისკენ. მთელი ღამე ქუჩა ჯაჭვებით იყო გადაკეტილი, თანაც გუშაგსაც არავინ დაუნახავს. ტრისტანმა, რომელსაც სახე თანდათან ეღუშებოდა, განდეგილს ჰკითხა: - ამაზე რას იტყვი?

ქალი შეეცადა ახალ შემოტევასაც მაგრად დახვედროდა:

- მე რა ვიცი, მონსენიორ, შეიძლება შევცდი. შეიძლება, წყალშიც ჩავიდა. - ეს ხომ საწინააღმდეგო მიმართულებითაა, - თქვა უფროს-მა. - თანაც, რატომ დაბრუნდებოდა სიტეში, სადაც ეძებენ! სტყუი, ბებერო!

- გარდა ამისა, - ჩაურთო პირველმა ჯარისკაცმა, - წყლის არც ერთ მხარეს ნავი არ არის. - იქნებ გაცურა, - შეეპასუხა განდეგილი, რომელიც ყოველ სიტყვას თავგამოდებით იცავდა. - განა ქალები ცურავენ? - იკითხა ჯარისკაცმა.

- ეშმაკმა დალახვროს! დედაბერო! შენ ცრუობ! სტყუი! - მრისხა-ნედ უყვირა ტრისტანმა. - გული მეუბნება, თავი დავანებო ამ ჯადო-ქალს და შენ წაგათრიო. წამში სიმართლეს ამოგგლეჯდნენ მაგ ყან-ყრატოდან. წამოდი, წამოგვყევი!

ქალი ამ სიტყვებს ხარბად ჩაეჭიდა.

- როგორც გნებავთ, მონსენიორ. ასეც ჰქენით. შეასრულეთ. წა-მება? მზად ვარ. წამიყვანეთ. ჩქარა! ჩქარა! წავიდეთ ახლავე! „ამა-სობაში ჩემი შვილი თავს უშველის," - ფიქრობდა ძაძიანი. - ეშმაკმა დალახვროს, - თქვა უფროსმა, - ეს ქალი საწამებლად ხალისით მიი-წევს, ამ გიჟის არა მესმის რა.

მწკრივიდან ღამის გუშაგთა ჭაღარა ათისთავი გამოვიდა და უფ-როსს მიმართა: - მართლაც გიჟია, მონსენიორ. თუ ბოშა ქალი გაუშ-ვა, მისი ბრალი არც არის, რადგან ბოშები სძულს. თხუთმეტი წელია ღამის გუშაგი ვარ და ყოველ საღამოს მესმის, როგორ ლანძღავს დაუსრულებლად ბოშა ქალებს უშვერი სიტყვებით. ვისაც ჩვენ ვე-

ძებთ, თუ ის მოცეკვავე ქალია, თხა რომ ჰყავს, იგი ყველაზე მეტად სძულს.

გუდულამ თავს ძალა დაატანა და თქვა:

- მეტადრე ის.

დანარჩენმა გუშაგებმა ერთხმად დაუმოწმეს უფროსს მოხუცი ათისთავის სიტყვები. მანაც დაიჯერა. რაკი იმედი აღარ ჰქონდა, რომ დაყუდებულისგან კიდევ რაიმეს გაიგებდა, ტრისტან- განდეგილმა ზურგი აქცია. ქალი გამოუთქმელი მღელვარებით ადევნებდა თვალს, როგორ გაემართა დინჯად თავისი ცხენისკენ.

- აბა, გავუდგეთ გზას, - წაიბუზღუნა კრიჭაშეკრულმა მეთაურმა, - განვაგრძოთ ძებნა. არ დავიძინებ, სანამ ბოშა ქალს არ ჩამოვახრჩობთ.

ვიდრე ცხენზე შეჯდებოდა, ერთხანს კიდევ შეყოყმანდა. ცოცხალ-მკვდარი გუდულა ათრთოლებული ადევნებდა თვალს ტრისტან-განდეგილს, რომელიც მონადირე ძაღლივით ათვალიერებდა მოედანს. ბოლოს თავი გაიქნია და უნაგირზე შეხტა. საშინელებისგან შეკუმშული გული გუდულას ისევ აუძგერდა. ქალიშვილს გადახედა, რომლისკენაც აქამდე მიხედვა ვერ გაებედნა და ხმადაბლა უთხრა: - გადარჩი!

საბრალო გოგონა ამ ხნის განმავლობაში სუნთქვაშეკრული უძრავად იჯდა კუთხეში და მხოლოდ სიკვდილზე ფიქრობდა. მათი საუბრიდან არაფერი გამორჩენია და დედის ყოველი ტკივილი თუ მწუხარება მის გულში ჰპოვებდა გამოძახილს. გრძნობდა, როგორ გაუდიოდა თანდათან ტკაცანი იმ ძაფს, რომლითაც უფსკრულის თავზე ეკიდა. ოცჯერ მაინც იფიქრა, რომ ძაფი სადაცაა გაწყდებაო. მხოლოდ ახლაღა მოითქვა სული და ფეხქვეშ მყარი ნიადაგი იგრძნო. ამ დროს მოესმა ხმა, რომელიც ტრისტანს ეუბნებოდა:

- ჯანდაბა! მუსიე, მე სამხედრო კაცი ვარ და ჩემი საქმე არაა ჯადოქალების ჩამოხრჩობა. ბრბო შევმუსრეთ. დანარჩენზე თქვენ გაისარჯეთ. თუ ნებას დამრთავთ, უკაპიტნოდ დარჩენილ ჩემს ასეულს შევუერთდები.

ეს ფებუს დე შატოპერის ხმა იყო. ენა ვერ იტყვის, რა მოხდა ყმაწვილქალის გულში. ის აქაა, მისი მეგობარი, მფარველი, ბურჯი, მისი ფებუსი! ზეზე წამოიჭრა, სანამ დედა მის შეჩერებას მოასწრებდა, სარკმელს ეცა და იყვირა:

- ფებუს! ჩემთან, ჩემო ფებუს! - მაგრამ ფებუსი იქ აღარ იყო. ის ცხენის ჭენებით უკვე მეანეების ქუჩის კუთხეში უხვევდა. სამაგიეროდ ტრისტანი ჯერ არ წასულიყო. განდეგილი ქალი ღმუილით ეცა შვილს. უკანვე მიათრია ძალით, ფრჩხილები კისერში ჩაასო. დედა ვეფხვი ხომ ამ დროს აღარაფერს დაგიდევს, მაგრამ უკვე გვიან იყო. ტრისტანმა დაინახა. - ჰე! ჰე! - იყვირა ხარხარით ისე, რომ ყველა კბილი გამოუჩნდა და მისი სახე მგლის დრუნჩს დაემსგავსა, - ხაფანგში ორი თაგვი დამწყვდეულა!

- მეც მაგას ვეჭვობდი, - თქვა ჯარისკაცმა.

ტრისტანმა მხარზე ხელი დაჰკრა:

- შენ კატის ალღო გაქვს. აბა, სადაა ანრი კუზიენი?

მწყობრიდან გამოვიდა კაცი, რომელიც არც ჩაცმულობით ჰგავდა ჯარისკაცს და არც შესახედაობით. თმაგადატკეცილს ნახევრად რუხი, ნახევრად ხაკისფერი ტყავის სახელოიანი ტანსაცმელი ეცვა, მსხვილ და ღონიერ ხელებში თოკები ეჭირა. ეს კაცი მუდამ თან ახლდა ტრისტანს, ისევე, როგორც ტრისტანი ახლდა მუდამ ლუი XI-ს.

- მეგობარო! - უთხრა ტრისტან-განდეგილმა. - ვფიქრობ, რომ ეგ სწორედ ის ჯადოქალია, რომელსაც ჩვენ ვეძებთ. მიდი, ჩამოჰკიდე სახრჩობელაზე. თან გაქვს კიბე? - კიბე იქაა, სვეტებიანი სახლის

ფარდულქვეშ, - უპასუხა კაცმა, - რომელ სახრჩობელაზე ჩამოვკიდოთ, იმაზე? - ჰკითხა და ქვის სახრჩობელაზე მიუთითა. - დიახ.

- ჰე! ჰე! - უფროსზე უფრო მხეცურად გადაიხარხარა კაცმა. - შორს წასვლა არ მოგვიწევს. - ჩქარა! - უთხრა ტრისტანმა, - მერე იხარხარე, რამდენიც გენებოს! იმ წუთიდან, რაც ტრისტანმა ქალიშვილი დაინახა, დაყუდებულმა ყოველგვარი იმედი დაკარგა, სიტყვაც აღარ უთქვამს. ცოცხალ-მკვდარი გოგონა აკლდამის კუთხეში მიაგდო და ისევ სარკმელთან დადგა, ორივე ხელი ბრჭყალებივით ჩარჩოს კუთხეს ჩასჭიდა და ჯარისკაცებს გაბედულად მოავლო თვალი, ისევ დაუბრუნდა მხეცური და გიჟური გამოხედვა. როდესაც ანრი კუზენი საკანს მიუახლოვდა, გუდულას ისეთი კუშტი და ველური სახე გაუხდა, რომ კაცმა უკან დაიხია.

- მონსენიორ, - ჰკითხა მან უფროსს, - რომელი წამოვიყვანო? - ახალგაზრდა.

- მით უკეთესი, თორემ ბებერი ძნელად დასაჭერი ჩანს.

- საბრალო პატარა მოცეკვავე, მუდამ თხასთან ერთად ვხედავდი! - თქვა ღამის გუშაგთა მოხუცმა ათისთავმა.

ანრი კუზიენი ისევ მიუახლოვდა სარკმელს. დედის შეხედვამ თვალი ძირს დაახრევინა და საკმაოდ მოკრძალებით მიმართა: - მადამ.

ქალმა დაბალი, მაგრამ მრისხანე ხმით გააწყვეტინა:

- რა გინდა?

- თქვენ არა, მეორე, - უპასუხა კაცმა.

- რომელი მეორე?

- ახალგაზრდა.

ქალმა თავის ქნევით ყვირილი მორთო:

- აქ არავინაა! აქ არავინ არის მეთქი, არავინ!

- არა! არის! - მიმართა ჯალათმა. - თქვენ ეს კარგად იცით. ნება მომეცით, წავიყვანო ახალგაზრდა ქალი. არ მინდა რამე დაგიშავოთ.

მოხუცმა ქალმა უცნაური დაცინვით უთხრა:

- აჰ! შენ არ გინდა რამე დამიშავო!

- მომეცით მხოლოდ ის, მეორე, მადამ! ასე მიბრძანა უფროსმა. სახეშეშლილმა ქალმა გაიმეორა:

- აქ არავინაა.

- მე თქვენ გეუბნებით, რომ არის! - შეეპასუხა ჯალათი. - ჩვენ ყველამ დავინახეთ, ორნი იყავით.

- შენ თვითონ შემოიხედე! - უთხრა განდეგილმა ქალმა დაცინვით, - ერთი შემოყავი ეგ თავი სარკმელში!

ჯალათმა დედის ფრჩხილები შეათვალიერა და ვეღარ გაბედა.

- აჩქარდი! - უყვირა ტრისტანმა, რომელსაც თავისი რაზმი უკვე დაეწყო „ვირთხის სოროს“ ირგვლივ და ცხენით სახრჩობელასკენ გასწია.

გაწბილებული ანრი კუზიენი კიდევ მივიდა უფროსთან. თოკები მიწაზე დადო და ქუდს ხელში უხერხულად ატრიალებდა.

- მონსენიორ, შიგ საიდან შევიდე?

- კარიდან.

- კარი არა აქვს.

- ფანჯრიდან.

- ძალიან ვიწროა.

- გააგანიერე, - გაბრაზებით უპასუხა ტრისტანმა. - რა, არა გაქვს წერაქვი? მღვიმის სიღრმეში მდგომი დედა გაფაციცებით ადევნებდა მათ თვალს. ყოველგვარი იმედი გადაეწურა, არ იცოდა რა ექნა, მხოლოდ ერთი რამ უნდოდა - მისთვის შვილი არ წაერთმიათ! ანრი კუზიენი იარაღების მოსატანად წავიდა, რომლებიც სვეტებიანი სახ-

ლის ფარდულში ეწყო. იქიდან გამოიტანა ორმაგი მისადგმელი კიბეც და იქვე სახრჩობელის ბაქანზე დადგა. პრევოს რაზმიდან ხუთი თუ ექვსი კაცი წერაქვებითა და ბერკეტით შეიარაღდა. ტრისტანი მათთან ერთად სარკმლისკენ გაემართა.

- დედაბერო, - უთხრა მეთაურმა მკაცრი კილოთი, - ნებით ჩაგვაბარე ეგ გოგო. მოხუცმა ქალმა ისე შეხედა, თითქოს ვერაფერს ხვდებაო.

- ეშმაკმა დალახვროს შენი თავი! - განაგრძო ტრისტანმა. - რატომ არ გინდა და ხელს რად გვიშლი, რომ ეგ კუდიანი გოგო ჩამოვახრჩოთ, როგორც მეფემ ბრძანა. უბედური მოხუცი ქალი ველურ ხარხარს მოჰყვა:

- რატომ არ მინდა? იმიტომ რომ ჩემი შვილია!

ეს სიტყვები ქალმა ისეთი კილოთი წარმოთქვა, რომ თვით ანრი კუზიენსაც კი გააჟრჟოლა. - ძალიან ვწუხვარ, - უპასუხა ტრისტანმა, - მაგრამ ასეთია ნება მეფისა. ქალმა საშინელი გაორკეცებული ხარხარით იკივლა:

- რა მესაქმება შენს მეფესთან? გეუბნები, ჩემი შვილია-მეთქი! - გახვრიტეთ კედელი! - ბრძანა ტრისტანმა. ღრუს გასაფართოებლად საკმარისი იყო სარკმელქვეშ ქვების ერთი ფენა გამოეღოთ. როდესაც დედამ საკანზე წერაქვების დარტყმის ხმა გაიგონა, საზარლად აღრიალდა და საშინლად აწრიალდა; ველური ცხოველის ეს ჩვეულება საკანში ჯდომისას შეითვისა. აღარაფერს ამბობდა, მაგრამ თვალები ანთებული ჰქონდა. ჯარისკაცებს თითქოს ძარღვებში სისხლი გაეყინათ.

უეცრად ეცა თავის ლოდს, ორივე ხელით ასწია და ხარხარით სტყორცნა მომუშავე ჯარისკაცებს. ხელები უკანკალებდა, ამიტომ უხერხულად ნატყორცნი ქვა არავის მოხვედრია, მხოლოდ ტრისტანის ცხენის ფეხებთან დაეცა. ძაძიანმა კბილები გააკრაჭუნა. ამასო-

ბაში გათენდა, თუმცა მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო. ეს ის დრო იყო, როდესაც სხვენზე მცხოვრებნი მხიარულად აღებენ ფანჯრებს. ბაზრებისკენ მიმავალი, სახედრებზე ამხედრებული სოფლელები და მემწვანილეები გრევის მოედანზე გაიჭიმნენ. წუთით „ვირთხის სოროს“ გარშემო შეკრებილ ჯარისკაცებთან შეჩერდნენ, გაკვირვებულნი მიაშტერდნენ და გზა განაგრძეს. განდეგილი შვილის გვერდით დაჯდა, ტანით გადაეფარა, თვალებგაშტერებული ყურს უგდებდა უძრავად დაგდებული საბრალო შვილის ბუტბუტს: ფებუს! ფებუს! კედლის მნგრეველთა საქმე წინ მიიწევდა, დედა უნებურად უკან იხევდა და შვილს უფრო და უფრო კედლისკენ სწევდა. განდეგილმა ქალმა უცბად შენიშნა, რომ ერთი ქვა შეინძრა. ამ დროს ტრისტანის გამამხნევებელი ხმაც გაისმა. იგი ხანმოკლე გაოგნებისგან გამოერკვა და ისე იკივლა, რომ უნებურად ყურებზე თითებს დაიცობდით.

- ო-ო-ო! მაგრამ ეს ხომ საშინელია! თქვენ ყაჩაღები ხართ! ნუთუ მართლა იმისთვის მოხვედით, რომ შვილი წამართვათ? გეუბნებით, ეს ჩემი შვილია! ოჰ! სულმდაბლებო! ოჰ, ლაქია ჯალათებო! ოჰ, ბილწო, ჭუჭყიანო მკვლელებო, სულთამხუთავებო! მიშველეთ, მიშველეთ! ნუთუ უნდა წამართვან ჩემი შვილი? მაშ, ვინღაა და რაღაა იგი, ვისაც კეთილ ღმერთს ეძახიან? - მოხუცს პირზე დუჟი ჰქონდა მომდგარი, გამოხედვა პირქუში. ჯიქივით ოთხზე დამდგარიყო და მთლად აბურძგნულიყო. გამწარებულმა ტრისტანს მიაძახა: - აბა, ახლოს მოდი, ერთი სცადე ჩემი შვილის წართმევა! რაო, არ გესმის, რომ დედაკაცი გეუბნება, ჩემი შვილიაო? იცი კი, რას ნიშნავს, შვილი? ჰეი, მგელო! აფთარო! არასოდეს გაგიტარებია ღამე ძუ მგელთან? ნუთუ არასოდეს გყოლია მგლის ლეკვი, არასოდეს გყოლია პატარები, და თუ გყოლია, როდესაც ისინი ყმუიან, ნუთუ გულ-მუცელი არ გადმოგტრიალებია?

- გამოიღეთ ქვა, - ბრძანა ტრისტანმა, - გადმოვარდნაზეა!

ქვას ბერკეტი გამოსდეს. დედის უკანასკნელი სანგარი ინგრეოდა. იმ ქვას ეცა, უნდოდა დაეჭირა, შეეჩერებინა. ფრჩხილებით ფხაჭნა დაუწყო, მაგრამ მძიმე ლოდი ხელიდან დაუსხლტა და მიწაზე დაეცა. დაინახა რა, რომ ნაპრალი გაფართოვდა, დედა გარდიგარდმო გაწვა და საკუთარი სხეულით ჩახერგა, დაღლილობისგან ხრინწიანი და ძლივს გასაგონი ხმით კიოდა: - გვიშველეთ! ცეცხლი, ხანძარი, ვიწვით!

- ახლა გოგო გამოიყვანეთ! - უბრძანა ისევ გულცივად ტრისტანმა. დედამ ისე საზარლად შეხედა ჯარისკაცებს, რომ მათ უკან დაიხიეს.

- აბა, მიდი! - განაგრძო უფროსმა, - ანრი კუზიენ, შენ გეუბნები! ადგილიდან ფეხს არავინ იცვლიდა.

- ქრისტეს მადლმა, - შეუკურთხა უფროსმა - რა ჯარისკაცები ხართ, დედაკაცის შეგეშინდათ? - მონსენიორ, - უთხრა ანრიემ, - თქვენ ამას დედაკაცს ეძახით? - ვერ უყურებთ, ლომის ფაფარი აქვს! - თქვა მეორემ.

- მიდით-მეთქი! - ბრძანა კვლავ მეთაურმა, - ხვრელი უკვე საკმაოდ ფართოა. სამივე შეძვერით ერთ მწკრივად, როგორც პონტუაზის გარემოცვის დროს იყო. დავამთავროთ, ვფიცავ მაჰმადს, ვინც უკან მობრუნდება, შუაზე გავჭრი!

ორ საფრთხეს შორის მოქცეული ჯარისკაცები, ერთი მხრივ, გააფთრებულ დედასა და, მეორე მხრივ, მრისხანე მეთაურს შორის, წუთით შეყოყმანდნენ, შემდეგ „ვირთხის სოროს“ მიაშურეს. განდეგილი ყველაფერს მიხვდა. მუხლებზე წამოიწია, თმა სახიდან გადაიყარა, გამხდარი და დაკაწრული ხელები ბარძაყზე ჩამოუვარდა. მსხვილი ცრემლები ერთმანეთზე მიყოლებით გადმოუგორდა დანაოჭებულ ლოყებზე. ამ დროს ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ ისეთი ვედრებით, ისეთი ტკბილი, ნაზი, მორჩილი და ტანჯული ხმით, რომ

ტრისტანთან მდგომმა ძველმა მეომრებმა, ადამიანის ხორცსაც რომ შეჭამდნენ, თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდეს. - ყოვლადმოწყალენო ხელმწიფენო, ბატონო ათისთავებო, ზოგი რამ მინდა გიამბოთ. ეს ჩემი შვილია, ხედავთ? ჩემი საყვარელი პატარა შვილი, რომელიც დაკარგული მყავდა! მისმინეთ! გრძელი ამბავია. თქვენ წარმოიდგინეთ, კარგად ვიცნობ ბატონ ათისთავებს. ისინი ყოველთვის კარგად მეპყრობოდნენ, როცა პატარა ბიჭები ქვებს მესროდნენ, რადგან გარყვნილ ცხოვრებას ვეწეოდი. მიყურებთ? თქვენ დამიტოვებთ ჩემს შვილს, ყველაფერს რომ გაიგებთ. ერთი საცოდავი ქუჩის ქალი ვარ. ბოშა ქალებმა მომპარეს იგი; მართალს მოგახსენებთ, თხუთმეტი წელია ვინახავ მის ფაჩუჩს. აი ისიც, შეხედეთ. აი, როგორი პაწია ფეხი ჰქონდა. რეიმსში! შანტფლერი! დიადი გოდების ქუჩა. იქნებ, რომელიმე თქვენგანი კიდეც იცნობდა მას. ეს მე ვიყავი, თქვენი სიჭაბუკის ჟამს, მაშინ კარგი დრო იყო. თქვენ ხომ შემიბრალებთ, ბატონებო, ასე არ არის? ბოშა ქალებმა მომპარეს, თხუთმეტ წელიწადს მიმალავდნენ. მე მკვდარი მეგონა. წარმოიდგინეთ, ჩემო კეთილო მეგობრებო, მე ვფიქრობდი, რომ მკვდარი იყო. თხუთმეტი წელი გავატარე აქ, ამ სარდაფში; ზამთრობით ცეცხლი არ მქონდა. ძალიან გამიძნელდა. იმდენს ვკვნესოდი და ვგოდებდი, რომ მოწყალე ღმერთმა შეისმინა და დამიბრუნა ჩემი შვილი. ეს ღვთის სასწაულია! ის არ მომკვდარა. თქვენ მას არ წამართმევთ, დარწმუნებული ვარ. მე რომ ვიყო, კიდევ ჰო, არაფერს ვიტყოდი, მაგრამ ის ხომ ჯერ ისევ ბავშვია. გაუშვით, მიეცით დრო დატკბეს მზის ცქერით! რა დაგიშავათ? არაფერი. ან მე რა დაგიშავეთ? რომ იცოდეთ, მის მეტი არავინა მყავს ამქვეყნად. წმინდა ღვთისმშობელმა გამომიგზავნა! მერედა, ყველანი რაოდენ კეთილი ბრძანდებით! თქვენ ხომ არ იცოდით, რომ ის ჩემი შვილია, ახლა კი იცით. ოჰ! როგორ მიყვარს იგი! მონსენიორ დიდო უფროსო, ის მირ-

ჩევნია მუცელი გამოვიფატრო, ვიდრე მის თითზე უბრალო ნაფხაჭ-ნი დავინახო! თქვენ ისეთი კეთილი სახე გაქვთ, მონსენიორ უფრო-სო! ახლა ხომ ყველაფერი ცხადია, ყველაფერი იცით? განა ჭეშმა-რიტებას არ მოგახსენებთ? ოჰ, თქვენც ხომ გყავთ დედა, უფალო ჩე-მო! თქვენ კაპიტანი ბრძანდებით, დამითმეთ ჩემი შვილი! მიყურეთ, მუხლმოდრეკილი გევედრებით ისე, როგორც იესო ქრისტეს ევედ-რებიან! სხვას არაფერს ვითხოვ. რეიმსელი ვარ, მოწყალენო ხელ-მწიფენო. იქ ერთი პატარა მინდორი მაქვს, რომელიც ბიძამ მიან-დერძა. მათხოვარი არ ვარ. არაფერი მსურს, მხოლოდ ჩემი შვილი მინდა! ოჰ! მინდა დავიფარო ჩემი შვილი. კეთილმა უფალმა ტყუ-ილად როდი დამიბრუნა! მეფეო! თქვენ ამბობთ, მეფეო! ნუთუ მეფეს ესიამოვნება, რომ ჩემი პატარა შვილი მომიკლათ! მეფე ხომ კეთი-ლია! ის ჩემი შვილია, ჩემი, ჩემი და არა მეფის! და არა თქვენი! მინ-და წავიდე აქედან, ჩვენ გვინდა გავშორდეთ აქაურობას! გაგვიშვით წავიდეთ! ჩვენ რეიმსელები ვართ, ოჰ, თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით, ბატონო ათისთავებო, ყველანი მიყვარხართ. თქვენ არ წამართმევთ ჩემს ძვირფას პაწიას, ეს შეუძლებელია! განა ასე არაა? ჩემი შვილი! ჩემი პატარა!

შეუძლებელია მისი მოძრაობების, მისი ხმის კილოს აღწერა. ლა-პარაკის დროს ცრემლები ახრჩობდა, ხელებს ხან ვედრებით აღაპ-ყრობდა, ხან მკერდზე იწყობდა, ხან იმტვრევდა; მისი გულგამგმი-რავი ღიმილი, მუდარით სავსე თვალები, ოხვრა-გმინვა, განწირუ-ლი კივილი და გულამოსკვნილი ქვითინი მისსავე სიტყვებს ერწყმო-და, ირეოდა; როდესაც დადუმდა, ტრისტან- განდეგილმა წარბი შე-იკრა, რათა ვეფხვისებურ თვალებზე მომდგარი ცრემლი დაემალა. მან სძლია საკუთარ სისუსტეს და უკმეხად უპასუხა:

- მეფეს ასე ნებავს!

შემდეგ ანრი კუზიენისკენ გადაიხარა და ყურში უჩურჩულა: „მალე გაათავე!“ შესაძლოა, საზარელმა უფროსმა იგრძნო, რომ ვეღარც მისი გული გაუძლებდა. ჯალათი და ათისთავები საკანში შევიდნენ. დედა წინააღმდეგობას აღარ უწევდა, მხოლოდ შვილთან მიცოცდა და გონდაკარგული ზედ გადაეფარა.

ბოშა გოგონამ დაინახა, რომ ჯარისკაცები მიუახლოვდნენ, სიკვდილის შიშმა და ძრწოლამ კვლავ გამოაცოცხლა იგი.

- დედაჩემო! - იყვირა მან ენით გამოუთქმელი მწუხარე კილოთი, - დედაჩემო! მოდიან! მიშველე!

- ჰო, ჩემო საყვარელო! - უპასუხა დედამ მიმქრალი ხმით და ხელები შემოხვია, მკერდში მაგრად ჩაიკრა და კოცნით დაფარა. მიწაზე გართხმული შვილი და მასზე გადაფოფრილი დედა, მართლაც საბრალო სანახავი იყო. ანრი კუზიენმა ყმაწვილქალს ლამაზი მხრების ქვეშ ხელი მოხვია. როდესაც გოგონამ ხელის მიკარება იგრძნო, ოდნავ შეჰკივლა და გული წაუვიდა. ჯალათს, რომელსაც მსხვილი ცრემლები სდიოდა და გოგონას ეცემოდა, უნდოდა ხელში აეყვანა, მკლავებზე გადაეწვინა. შეეცადა ქალიშვილისთვის მოეცილებინა დედა, რომელსაც შვილისთვის ორივე ხელი წელზე კვანძივით ისე მაგრად შემოეჭდო, რომ მოშორება შეუძლებელი იყო. ბოლოს, ანრი კუზიენმა ქალიშვილი საკნიდან გაათრია, დედა შვილს კვლავ ებღაუჭებოდა...

მზეც ამოვიდა. მოედანზე მოსული დიდძალი ხალხი შორიდან უყურებდა, როგორ მიათრევდნენ რაღაცას ქვაფენილზე, სახრჩობელასკენ. ტრისტანს ჩვეულებად ჰქონდა, სასჯელის აღსრულებისას ცნობისმოყვარენი ახლოს არ მიეშვა.

ირგვლივ ფანჯრებში არავინ ჩანდა. მხოლოდ შორს, ღვთისმშობლის ტაძრის იმ კოშკის წვეროზე, რომელიც გრევის მოედანს გადმოჰყურებს, დილის ნათელ ცაზე შავად ისახებოდა ორი მამაკაცის

ფიგურა, რომლებიც, როგორც ეტყობოდა, მოედანს გადმოჰყურებ-დნენ. ანრი კუზიენი თავისი ტვირთით საბედისწერო კიბესთან გა-ჩერდა, გულაჩუყებული სულს ძლივს ითქვამდა. ახალგაზრდა ქა-ლის მომხიბლავ ყელს თოკი ჩამოაცვა. უბედურმა გოგომ თოკის სა-ზარელი შეხება იგრძნო, ქუთუთოები ასწია და წინ აღმართული ქვის სახრჩობელა დაინახა. შეკრთა, შეირხა და გულის გამგმირავი ხმით აღრიალდა: - არა! არა! არ მინდა! დედას თავი შვილის ტანსაცმელ-ში ჩაემალა. სიტყვა არ უთქვამს; მთელი სხეული უკანკალებდა და გაშმაგებით კოცნიდა მის ტანსაცმელს. ჯალათმა მომენტით ისარ-გებლა და სიკვდილმისჯილს სწრაფად მოაშორა დედის ხელები. დე-და დაჰყვა ჯალათის ნებას. მას ქანცი გაუწყდა, სასოწარკვეთილს იმედი გაუქრა. ჯალათმა ქალიშვილი მხრებზე შეიგდო. მომხიბლავი ქმნილება მის ვეებერთელა თავს უკან წელში კოხტად გადაიღუნა. ჯალათი უკვე სახრჩობელას კიბეზე ადიოდა, როცა ქვაფენილზე ჩა-ცუცქულმა დედამ ფართოდ გაახილა თვალები. არც უკივლია, არც ხმა ამოუღია. საზარელი სახით ზეზე წამოიჭრა, წელში გასწორდა და, როგორც მხეცი თავის ნადავლს, ისე ეცა ჯალათის ხელს და კბი-ლებით ჩააფრინდა. ჯალათმა ტკივილებისგან დაიღმუვლა. მას სხვები წამოეშველნენ. ძლივს გამოგლიჯეს დედის კბილებს მისი გა-სისხლიანებული ხელი. გახევებული დედა დუმდა. მერე უხეშად ჰკრეს ხელი. დედა ქვაფენილზე მძიმედ დაეცა. სცადეს წამოეყენე-ბინათ, მაგრამ ისევ დაეცა. ის უკვე მკვდარი იყო, ჯალათი, რომელ-საც სიკვდილმისჯილისთვის ხელი არ გაუშვია, კიბეზე ავიდა.

11.2. LA CREATURA BELLA BIANCO VESTITA[1]

კვაზიმოდომ როგორც კი დაინახა, რომ სენაკი ცარიელი იყო, ხელები თავში წაიშინა და მოულოდნელობისა და მწუხარებისგან ფეხები დააბაკუნა; ირგვლივ ყველაფერი გადაჩხრიკა, მთელ ეკლესიაში დაიწყო ძებნა. მისი უცნაური ბღავილი კედლებს აყრუებდა, სიმწრისგან თმებს იგლეჯდა. ეს სწორედ იმ დროს ხდებოდა, როდესაც მეფის მშვილდოსნები გამარჯვებული შევიდნენ ღვთისმშობლის ტაძარში და ისინიც ბოშა ქალის ძებნას შეუდგნენ. კვაზიმოდო, ეს საბრალო ყრუ, ისე ეხმარებოდა, რომ ეჭვი არ შეპარვია მათ ვერაგულ განზრახვაში. ბოშა ქალის მტრებად მას მაწანწალები მიაჩნდა. თვითონ მან აჩვენა ტრისტან-განდეგილს ტაძრის ყველა კუნჭული, გაუღო საიდუმლო კარი, საკურთხევლის ორმაგი ნიშები და საცავები. უბედური ქალი რომ ისევ იქ ყოფილიყო, თვითონვე გასცემდა მას, როდესაც ტრისტანმა ვერაფერი ნახა და ძებნაზე ხელი აიღო. კვაზიმოდომ კი ასე ადვილად როდი იცოდა უკანდახევა, მარტომ განაგრძო ძებნა. ოცჯერ, თუ ასჯერ შემოირბინა ეკლესია სიგრძე-სიგანეზე, ზევიდან ქვევით, კიბეებზე ადიოდ-ჩადიოდა, დარბოდა, ეძახდა, ყვიროდა, ყნოსავდა, ჩხრეკდა, ხელებს აფათურებდა, თვალს აცეცებდა და ყველა ხვრელში ყოფდა თავს. იმედდაკარგული და გაგიჟებული ჩირაღდნით ანათებდა ყოველ თაღს, ასე გამძვინვარებით ხვადიც კი ვერ იღმუვლებდა.

როდესაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ესმერალდა იქ არ იყო, მისთვის ყველაფერი დამთავრდა. კოშკის კიბეს ნელა აუყვა, რომელზეც ზეიმითა და აღტაცებით აირბინა იმ დღეს, როდესაც ბოშა

---

[1] *თეთრსამოსიანი მშვენიერი არსება (დანტე, სალხინებელი). იგულისხმება ბეატრიჩე, სილამაზის და უბიწო სიყვარულის სიმბოლო.*

გოგონა გადაარჩინა. მან იგივე ადგილები გაიარა თავდახრილმა, უხმოდ, უცრემლოდ, თითქმის სუნთქვაშეკრულმა. ეკლესია კვლავ დაცარიელდა და დუმილმა მოიცვა. ჯარისკაცებმა იქაურობა დატოვეს, რათა ჯადოქარი სიტეში მოეძებნათ. კვაზიმოდო იმ სენაკისკენ გაემართა, სადაც ბოშა ქალს რამდენიმე კვირა ეძინა. რატომღაც გაიფიქრა, იქნებ რომელიმე კეთილმა სულმა თავის სენაკში დააბრუნაო. ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდა, ეშინოდა, ილუზია არ დაემსხვრია: - „იქნებ სძინავს ან ლოცულობს. არ დავურღვევ სიმშვიდეს“.

როგორც იქნა, ძალ-ღონე მოიკრიბა, ფეხის წვერებზე შედგა და შეიხედა, მერე შევიდა, იქ არავინ იყო! უბედურმა ყრუმ ლოგინი გადასწია და ქვეშ შეიხედა, თითქოს ესმერალდას შეეძლო ქვის ფილასა და ლეიბს შორის დამალულიყო, თავი გააქნია და გაოგნებული ერთ ადგილზე გაირინდა. გაღიზიანებულმა ჩირაღდანი ძირს დააგდო და ფეხი დაარტყა. კედელს თავი მიახალა და გულშეწუხებული დაეცა. როცა გონს მოვიდა, ლოგინზე დაემხო და გაშმაგებული კოცნიდა ქალიშვილის ჯერ კიდევ თბილ ლოგინს. რამდენიმე წუთს უძრავად ეგდო, თითქოს, ეს-ესაა სული ამოხდებაო, შემდეგ წამოდგა, ოფლში იწურებოდა, სული ეხუთებოდა, ზარის ენასავით აქეთ-იქით ქანაობდა და გონდაკარგული კედლებს თავს ახლიდა. ბოლოს, არაქათგამოცლილი სენაკიდან გამოხოხდა.

საათზე მეტხანს დაჰყო უძრავად, თვალგაშტერებული, უხმოდ გაჰყურებდა ცარიელ სენაკს, უფრო დამწუხრებული, ვიდრე დაცარიელებულ აკვანსა და შვილის კუბოს შორის მჯდარი მგლოვიარე დედა. ხანგამოშვებით მძაფრი და უცრემლო ქვითინი შეანჯღრევდა ხოლმე მის სხეულს. მწუხარე ფიქრებში გართული კვაზიმოდო ცდილობდა გამოეცნო, ვის შეიძლებოდა იგი მოეტაცა, მისი ეჭვი არქიდიაკონზე შეჩერდა, რადგან მხოლოდ მას ჰქონდა ესმერალდას სე-

ნაკისკენ მიმავალი კიბის გასაღები; ქალიშვილზე ღამით მისი თავდასხმა, სხვა წვრილმანებიც გაიხსენა და დარწმუნდა, რომ სწორედ არქიდიაკონმა წაართვა ბოშა ქალი. მაგრამ, იმდენად პატივს სცემდა მღვდელს, იმდენად ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული მისადმი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობას, რომ ახლაც კი, ეს გრძნობები მძაფრად ეწინააღმდეგებოდა ეჭვიანობასა და გულაცრუებას. იმ დროს, როდესაც მისი ეჭვი ხუცესზე შეჩერდა, განთიადის სხივებმა გააშუქა საბჯენი თაღები, კვაზიმოდომ უცებ შენიშნა, რომ ღვთისმშობლის ტაძრის ზემო სართულზე, გარეთა მოაჯირის მოსახვევთან, რომელიც აბსიდს ქამარივით ერტყმოდა, ვიღაც მისკენ მოდიოდა. მან არქიდიაკონი იცნო.

კლოდი მძიმედ და ნელა მოაბიჯებდა, წინ არ იყურებოდა; გეზი ჩრდილოეთ კოშკისკენ აეღო, მაგრამ სახე სენის მარჯვენა ნაპირისკენ ჰქონდა მიბრუნებული და მაღლა იყურებოდა, თითქოს სახურავს ზემოთ რაღაცის დანახვას ცდილობსო. ასეთი ალმაცერი გამოხედვა ბუს აქვს - ერთი მიმართულებით მიფრინავს და სხვა მხარეს იყურება. ხუცესმა კვაზიმოდოს სწორედ თავს მაღლა გადაუარა, მაგრამ არ შეუმჩნევია.

ამ მოულოდნელმა გამოჩენამ ყრუ ერთ ადგილზე გააქვავა. მან თვალი გააყოლა მიმავალს, ვიდრე ჩრდილოეთ კოშკის კიბის კარს არ მიეფარა (სწორედ ამ კოშკიდან მოჩანს ქალაქის რატუშა). კვაზიმოდო არქიდიაკონის კვალს გაჰყვა.

კოშკის კიბეზე ავიდა, რათა გაეგო, რატომ მიდიოდა ზევით ხუცესი. თუმცა, საბრალო ზართამრეკავი რას იზამდა ან რას ეტყოდა. ის გულისწყრომასა და შიშს შეეპყრო. მასში ერთმანეთს დაუპირისპირდა არქიდიაკონი და ბოშა ქალი.

როდესაც კოშკის წვეროს მიაღწია, ვიდრე კიბის სიბნელიდან გამოვიდოდა და ბაქანზე გავიდოდა, ფრთხილად დაათვალიერა იქაუ-

რობა, თვალით ეძებდა ხუცესს, რომელიც ზურგშექცევით იდგა და ქალაქს გადაჰყურებდა, კვაზიმოდო მგლის ნაბიჯით უკნიდან მიეპარა, უნდოდა გაეგო, რას უყურებდა ხუცესი, რომლის ყურადღებაც იმდენად მიეპყრო რომელიღაც ადგილს, რომ ყრუს ფეხის ხმა ვერც კი გაიგო.

დიდებული სანახაობაა ზაფხულის განთიადის მოციმციმე სხივებით გაცისკროვნებული პარიზი, - მეტადრე იმ დროის პარიზი, - რომელიც ღვთისმშობლის ტაძრის კოშკის წვეროდან ხელისგულივით იშლებოდა. ივლისის მზის სხივებში მკაფიოდ ისახებოდა ათასობით სახლის აღმოსავლეთის კედლები. სამრეკლოების გიგანტური ჩრდილები სახურავიდან სახურავზე, დიდი ქალაქის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე იშლებოდა. ვერცხლისფრად ციმციმებდა მოლივლივე მდინარე, რომლის ტალღები ხიდების კამარებქვეშ ბურჯებსა და პატარა კონცხებს ეხეთქებოდა. ტაძრის კარიბჭესთან რამდენიმე ჭორიკანა, რომლებსაც რძის ჭურჭელი ეჭირათ ხელში, ერთმანეთს გაკვირვებით უჩვენებდნენ ღვთისმშობლის ტაძრის დანგრეულ მთავარკარს და სალი ქვის ნაპრალებში გაყინულ ტყვიის ორ ნაკადს - მხოლოდ ეს დარჩენილიყო ღამის არეულობიდან. კვაზიმოდოს მიერ ორ კოშკს შორის დანთებული კოცონი ჩამქრალიყო. ტრისტანმა უკვე გაწმინდა მოედანი და დახოცილთა გვამები სენაში გადააყრევინა. ისეთი მეფეები, როგორიცაა ლუი XI, ყოველთვის ზრუნავენ, რომ ხოცვა- ჟლეტის შემდეგ სწრაფად გადარეცხონ ქვაფენილი.

ირგვლივ ფრინველების ჭიკჭიკი ისმოდა, მაგრამ ხუცესს არაფერი ესმოდა, არაფერს უყურებდა. ის იმ ადამიანთა მოდგმას ეკუთვნოდა, რომლებისთვისაც არც დილა არსებობს, არც ფრინველი, არც ყვავილი. ამ უსაზღვრო ჰორიზონტზე, რომელიც თვალს მრავალფეროვან სანახაობას სთავაზობდა, მისი მზერა მხოლოდ ერთა-

დერთი წერტილისკენ იყო მიპყრობილი. კვაზიმოდოს სურვილი წვავდა, მისთვის ეკითხა, რა უყო ბოშა ქალს! მაგრამ ატყობდა, რომ არქიდიაკონი ამქვეყნად არ იყო და კვლავ ერთ ადგილს მდუმარედ მიშტერებოდა. ამ მდუმარებასა და უძრაობაში იყო რაღაც იმდენად საშინელი, რომ თვით ველურ ზართამრეკავსაც კი ჟრუანტელმა დაუარა და ვერ გაბედა მდუმარება დაერღვია. მაგრამ სხვა ხერხიც არსებობდა. დააკვირდა საით იყურებოდა და ყრუმაც იქით გაიხედა - მღვდელი გრევის მოედანს გაჰყურებდა. მუდმივ სახრჩობელასთან დადგმული იყო კიბე. მოედანზე მოჩანდა ბრბო და უამრავი ჯარისკაცი. ვიღაც მამაკაცი ქვაფენილზე მიათრევდა თეთრ რაღაცას, რომელსაც შავი რაღაც ჩასჭიდებოდა. მამაკაცი სახრჩობელის ძირას შეჩერდა. ამ დროს იქ რაღაც მოხდა, რაც კვაზიმოდომ იმდენ ჯარისკაცებში კარგად ვერ დაინახა (არა იმიტომ, რომ მისმა ერთადერთმა თვალმა მახვილობა და კარგა). ამ დროს მზემ ჰორიზონტიდან თვალისმომჭრელი სინათლის ისეთი ტალღები გადმოღვარა, რომ პარიზის მაღალი ადგილები, გუმბათებისა და კოშკების წვეროები, საკვამურები - ყველაფერი ერთბაშად განათდა.

ამასობაში კვაზიმოდომ ნათლად გაარჩია ჯალათის მხარზე გადაწვენილი, თეთრსამოსიანი ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელსაც ყელზე მარყუჟი ჰქონდა ჩამოცმული. ჯალათი სახრჩობელას უახლოვდებოდა. კვაზიმოდომ ესმერალდა იცნო.

ხუცესს კარგად რომ დაენახა, მუხლებით მოაჯირზე შედგა.

უცებ ჯალათმა სწრაფად ჰკრა ქუსლი კიბეს და სუნთქვაშეკრულმა კვაზიმოდომ დაინახა, როგორ გაქანდა ქვაფენილიდან ორი საჟენის სიმაღლეზე თოკის მარყუჟზე თავით ჩამოკიდებული უბედური გოგონას სხეული კაცთან ერთად, რომელიც მას მხრებზე მოახტა. თოკი რამდენჯერმე დაიგრიხა. კვაზიმოდომ დაინახა, როგორ საშინლად იკრუნჩხებოდა ბოშა გოგონა; ხუცესიც, თავის მხრივ, კი-

სერწაწეული და თვალებგადმოკარკლული მიაშტერდა ამ გულშემ-ზარავ ორეულს - კაცსა და ახალგაზრდა ქალს, ობობასა და ბუზს.

ამ შემაძრწუნებელ წუთს ჯოჯოხეთურმა, არაადამიანურმა ხარ-ხარმა დაღრიჯა ხუცესის მკვდარივით გაფითრებული სახე. კვაზიმო-დოს ეს ხარხარი არ გაუგონია, მაგრამ დაინახა. ზართამრეკავმა არ-ქიდიაკონის ზურგს უკან რამდენიმე ნაბიჯით დაიხია, გააფთრებული მოულოდნელად ეძგერა, ორივე მძლავრი ხელი ზურგში ჰკრა და უფსკრულში გადაჩეხა. - წყეულიმც იყავ! - იყვირა ხუცესმა და ძირს ჩავარდა. წყალსადინარმა მისი ვარდნა შეაჩერა. მღვდელი ორივე ხელით, თავგანწირვით ჩაებღაუჭა ქვის სადინარს და სწორედ იმ წუთს, როცა ის-ის იყო უნდა ეყვირა, თავს მაღლა კვაზიმოდოს მრის-ხანე და შურისძიებით აღსავსე სახე დაინახა. მაშინვე დადუმდა. ქვა-ფენილამდე ორას ფუტზე მეტი იყო.

ამ საშინელ მდგომარეობაში არქიდიაკონს არაფერი უთქვამს, არც დაუკვნესია. მხოლოდ სადინარს ებღაუჭებოდა და გაუგონარი ძალ-ღონით ცდილობდა, როგორმე მაღლა აცოცებულიყო. მაგრამ ხელებით გრანიტს კარგად ვერ ეკიდებოდა, უსხლტებოდა, ფეხებით კი ამაოდ ფხოჭნიდა კედელს, ამაოდ ეძებდა დასაყრდენს. ვინც ღვთისმშობლის ტაძრის კოშკზე ასულა, იცის, რომ მოაჯირქვეშ ქვის ამობურცული შვერილია. სწორედ მასზე ცოდვილობდა და არაქათი ეცლებოდა განწირულ არქიდიაკონს. მის გადასარჩენად კვაზიმო-დოს მხოლოდ ხელის გაწვდენა კმაროდა, მაგრამ ის ზედაც არ უყუ-რებდა. იგი გრევის მოედანს, სახრჩობელასა და ბოშა ქალს გასცქე-როდა. იდაყვით დაეყრდნო მოაჯირს სწორედ იმ ადგილას, სადაც წუთის წინ არქიდიაკონი იდგა და თვალს არ აშორებდა ამქვეყნად მის ერთადერთ საგანს. მეხდაცემულივით უძრავად, მდუმარედ იდ-გა და ცრემლები უწყვეტად სდიოდა ერთადერთი თვალიდან, რო-მელსაც მანამდე მხოლოდ ერთადერთი კურცხალი ჩამოვარდნოდა.

ამ დროს არქიდიაკონს სული ეხუთებოდა. მელოტი შუბლიდან სიმწრის ოფლი სდიოდა. ფრჩხილებიდან ქვაზე სისხლი წვეთავდა. კედელზე ხახუნისგან მუხლები გადაუტყავდა. ხუცესს ესმოდა, მის ყოველ განძრევაზე როგორ იხეოდა შვერილს წამოდებული ანაფორა. მისდა საუბედუროდ, სადინარი ტყვიის თხელი მილით თავდებოდა, რომელიც მისი სხეულის სიმძიმისგან იღუნებოდა. არქიდიაკონი გრძნობდა, როგორც კი მისი ღონემიხდილი ხელები მოეშვებოდა, ანაფორა ბოლომდე გაეხეოდა და ტყვიის მილიც დაიღუნებოდა, აუცილებლად ჩავარდებოდა. საშინელი იყო ამ ორი ადამიანის დუმილი. იმ დროს, როდესაც არქიდიაკონი რამდენიმე ნაბიჯზე ულმობლად ღაფავდა სულს, კვაზიმოდო ცრემლად იღვრებოდა და გრევის მოედანს გაჰყურებდა.

არქიდიაკონი ხედავდა, რომ ყოველი შეტოკება მის უკანასკნელ სუსტ დასაყრდენს არყევდა, ამიტომ გადაწყვიტა, აღარ განძრეულიყო. ასე ეკიდა ერთხანს. მხოლოდ მუცლის კუნთები ეკრუნჩხებოდა უნებურად. თვალები ავადმყოფივით გაშტერებოდა და გაფართოებოდა. თითები სადინარზე უცურავდა, გრძნობდა, რომ მკლავები უსუსტდებოდა და სხეული უფრო და უფრო უმძიმდებოდა. ძირს ჩაიხედა და საშინელი სანახაობა წარმოუდგა თვალწინ: სენ-ჟან-ლერონის სახურავი ორად გაღუნულ რუკას ჰგავდა. უფსკრულის თავზე მისებრ დაკიდული კოშკის ქანდაკებები კი მისდამი არც შიშს გრძნობდნენ და არც სიბრალულს. ირგვლივ ყველაფერი ქვის იყო: თვალწინ - უგრძნობი ქანდაკებები, ქვემოთ, მოედნის სიღრმეში - ქვაფენილი; თავს ზემოთ კი - ატირებული კვაზიმოდო.

ტაძრის კარიბჭის წინ, მოედანზე შეგროვილი ცნობისმოყვარეები კი გულდამშვიდებით ცდილობდნენ გამოეცნოთ, ვინ უნდა ყოფილიყო ის გიჟი, რომელიც ასე უცნაურად ირთობდა თავს. ხუცესს მათი ლაპარაკი ესმოდა: - „მაგრამ ის ხომ კისერს მოიტეხს!“ კვაზიმოდო

ტიროდა. ბოლოს ცოფმორეულმა და შიშით შეპყრობილმა არქიდიაკონმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და მუხლები კედელს ჰკრა, ორივე ხელით ქვების კიდეებს ჩააფრინდა და დაახლოებით ერთი ფუტით მოახერხა აფორთხება, მაგრამ მკვეთრმა მოძრაობამ მისი საყრდენი სადინარი გაღუნა, მყისვე ანაფორაც გაიფატრა; მაშინ კი იგრძნო არქიდიაკონმა, რომ ყოველგვარი დასაყრდენი მოესპო, თვალები დახუჭა და გადავარდა. კვაზიმოდო უყურებდა, როგორ ვარდებოდა იგი. ასეთი სიმაღლიდან შვეულად გადავარდნა იშვიათია. არქიდიაკონი ჯერ თავითა და გაშლილი ხელებით დაეშვა ქვემოთ; შემდეგ ჰაერში რამდენჯერმე გადატრიალდა; ქარმა იგი ერთ-ერთი სახლის სახურავისკენ გააქანა და ზედ დაენარცხა. ამ დროს იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ზართამრეკავმა დაინახა, როგორ ცდილობდა სახლის სახურავს ხელით ჩაბღაუჭებოდა, თავი შეეკავებინა, მაგრამ სახურავი მეტისმეტად ციცაბო იყო, ის კი, ძალაგამოცლილი. ხუცესი სწრაფად ჩამოსრიალდა და ქვაფენილზე მოადინა ზღართანი. აღარც განძრეულა.

კვაზიმოდომ გახედა ბოშა ქალს, რომლის სახრჩობელაზე ჩამოკიდებული სულთმობრძავი სხეული თეთრ სამოსელქვეშ უკანასკნელად იკრუნჩხებოდა, შემდეგ მზერა კოშკის ძირას გაშხლართული არქიდიაკონის არაადამიანურ სახეზე გადაიტანა და გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ქვითინით წარმოთქვა: - ოჰ, გათავდა, ყველაფერი გაქრა, რაც მიყვარდა!

11.3. ფებუსის ქორწინება

იმავე დღეს, საღამოს, როდესაც ეპისკოპოსის სასამართლოს ბოქაულებმა არქიდიაკონის გვამი წაიღეს, კვაზიმოდო ტაძრიდან გაქრა.

ამ შემთხვევაზე მრავალი მითქმა-მოთქმა იყო. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ დადგა დრო, როდესაც ხელშეკრულების თანახმად, კვაზიმოდოს, იგივე ეშმაკს, უნდა წაეყვანა კლოდ ფროლო, ე.ი. ჯადოქარი. ფიქრობდნენ, რომ კვაზიმოდომ ხუცესის სულის წასაყვანად მისი სხეული დაამსხვრია ისე, როგორც მაიმუნი ტეხს კაკალს, შიგთავსი რომ შეჭამოს. ამიტომაც არ დაკრძალეს არქიდიაკონი წმინდა მიწაში.

ლუი XI ერთი წლის შემდეგ, 1483 წლის მარიამობისთვეში გარდაიცვალა. რაც შეეხება პიერ გრენგუარს, მან თხა გადაარჩინა და დრამატურგიაში წარმატებას მიაღწია. როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც გემო გაუგო ასტროლოგიას, ფილოსოფიას, არქიტექტურას, ჰერმეტიკას, ბოლოს ისევ ყველაზე გიჟურ გატაცებას - ტრაგედიას დაუბრუნდა, რასაც თავისი ცხოვრების „ტრაგიკულ დასასრულს“ უწოდებდა. აი, რა წერია 1483 წლის ჩვეულებრივ ანგარიშებში: „ჟან მარშანსა და პიერ გრენგუარს, რომლებმაც დადგეს და შეთხზეს მისტერია პარიზის შატლეში მუსიე ლეგატის მობრძანების დღეს და მსახიობებს, რომლებიც მორთულ-მოკაზმულნი იყვნენ ისე, როგორც ზემოხსენებული მისტერია მოითხოვდა, ასევე სცენის ასაგებად, ყოველივე ამაში - ასი ლივრი.“ ფებუს დე შატოპერმაც ტრაგიკულად დაამთავრა - ცოლი შეირთო.

11.4. კვაზიმოდოს ქორწინება

უკვე ვთქვით, კვაზიმოდო ღვთისმშობლის ტაძრიდან ბოშა ქალისა და არქიდიაკონის სიკვდილის დღეს გაქრა. იგი აღარავის უნახავს, არავინ იცოდა, რა დაემართა. ღამით ჯალათის თანაშემწეებმა ესმერალდას გვამი სახრჩობელადან ჩამოხსნეს და, ჩვეულების თანახმად, მონფოკონის აკლდამაში წაიღეს.

მონფოკონი, როგორც სოვალი ამბობს, „სამეფოს ყველაზე ძველი და ყველაზე დიდებული სახრჩობელა იყო“. პარიზის გალავნიდან ას სამოც საჟენზე, ერთი დამრეცი, მაღალი ბორცვის მწვერვალზე იდგა უცნაური ფორმის ნაგებობა, რომელიც კელტურ კრომლეხს წააგავდა. იქ ადამიანებსაც სწირავდნენ მსხვერპლად. წარმოიდგინეთ, ბორცვის წვეროზე ქვის დიდი პარალელეპიპედი - სიმაღლით თხუთმეტი, სიგანით ოცდაათი და სიგრძით ორმოცი ფუტი, კარით, გარეთა კიბითა და მოედნით, რომელზეც გაუთლელი ქვისგან ნაგები ოცდაათი ფუტი სიმაღლის თექვსმეტი უზარმაზარი სვეტი იდგა. სვეტებზე გარკვეული შუალედებით დაშვებული იყო ჯაჭვები, რომლებზეც ჩონჩხები ეკიდა. ამ დიდებულ საკვირველებას რამდენიმე ლიეედანაც დაინახავდით. იმ არემარეში ვაკეზე იდგა ქვის ჯვარცმა და ორი მეორე რიგის სახრჩობელა - როგორც მთავარი სახრჩობელას ორი განშტოება. მაღლა ცაში მუდამ ირეოდნენ ყვავ-ყორნები. ასეთი გახლდათ მონფოკონი. უშველებელი სახრჩობელა, რომელიც 1328 წლით თარიღდება, XV საუკუნის დამლევს მეტისმეტად დაძველებული ჩანდა. კოჭები ჭიებს გამოეხრათ, ჯაჭვებს ჟანგი მოჰკიდებოდა, ბოძები ობისგან გამწვანებულიყო. თლილი ქვით ნაგები კედლები დახეთქილიყო; მოედანი ბალახს დაეფარა. ნაგებობა ცაზე შემზარავ სილუეტად მოჩანდა, მით უფრო ღამღამობით, როდესაც მთვარის მკრთალი შუქი თეთრ თავის ქალებზე ციმციმებდა ან, რო-

დესაც ქარი უბერავდა და ჯაჭვებსა და ჩონჩხებს აქეთ-იქით არხევ-და. მარტო ეს სახრჩობელაც კმაროდა, იმ არემარეს პირქუში ელ-ფერი რომ დასდებოდა.

ძველ ფართო აკლდამაში ჰყრიდნენ არა მარტო მონფოკონის ჯაჭვებიდან ჩამოყრილ ადამიანთა ჩონჩხის ნაშთებს, არამედ იმ უბედურთა გვამებსაც, რომლებსაც პარიზის სხვა მუდმივმოქმედი სახრჩობელებიდან ხსნიდნენ. ღრმა საძვალეში ამა ქვეყნის მრავა-ლი დიდებულისა თუ უბრალო ადამიანის ნეშტი ერთად იხრწნებო-და: დაწყებული ანგერან დე მარინით, ვინც განაახლა მონფოკონი და ვინც მართალი იყო, დამთავრებული ადმირალ კოლინით, ვინც მონფოკონის წრე დაამთავრა და ვინც ასევე უდანაშაულო იყო.

რაც შეეხება კვაზიმოდოს იდუმალ გაქრობას, აი, ყოველივე ის, რის აღმოჩენაც შევძელით: ამ ამბების შემდეგ დაახლოებით ორმა წელიწადმა თუ თვრამეტმა თვემ განვლო, როდესაც მონფოკონის აკლდამაში ორი დღის მიტანილი ოლივიე ლე დენის გვამის მოსა-ძებნად მივიდნენ (შარლ VIII-მ გაიღო წყალობა, რომ იგი სენ-ლო-რანის სასაფლაოზე დაეკრძალათ) და ორი უცნაურად გადაჭდობი-ლი ჩონჩხი ნახეს. ერთი ქალის იყო. მას ჯერ კიდევ შერჩენოდა ოდესღაც თეთრი კაბის ნაფლეთები, ყელზე კი მწვანე შუშის მძივე-ბით შემკული თილისმა ეკიდა; ეს საგნები იმდენად მცირე ღირებუ-ლებისა იყო, რომ უეჭველია, თვით ჯალათმაც კი არ ისურვა წაეღო. მეორე მამაკაცის ჩონჩხი გახლდათ. მას გამრუდებული ხერხემალი, ბეჭებს შორის ღრმად ჩავარდნილი თავი და ერთი ფეხი უფრო მოკ-ლე ჰქონდა. ჩონჩხს კისრის მალების რაიმე დაზიანება ან კეფასთან წყვეტა არ ეტყობოდა, ანუ იგი არ იყო ჩამომხრჩვალი. აშკარაა, რომ იგი თავად მივიდა იქ და იქვე მომკვდარა; როდესაც მისი მოცილება მოინდომეს იმ ჩონჩხისგან, რომელსაც მიკვროდა, მყისვე მტვრად იქცა.